საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

ავთანდილ იოსელიანი

საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941—1945)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1958

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ИМЕНИ И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

Автандил Павлович Иоселиани

Грузия в Великой Отечественной войне Советского Союза (1941—1945)

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ТБИЛИСИ — 1958

წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941—1945 წწ.) უდიდესი მსხვერპლით მოპოვებულ გამარჯვებას, თავისი მსოფლიო-ისტორიული შედეგებით, ბადალი არ მოეპოვება კაცობრიობის ისტორიაში. ისტორია იცნობს მრავალრიცხოვან სამართლიან ომებს და ხალხთა მასების გმირულ ბრძოლებს სამშობლოს დასაცავად, მაგრამ უმაგალითოა მშრომელთა მასების ისეთი ერთსულოვნება და თავგანწირვა, მასობრივი გმირობა ფრონტებზე და უდიდესი შრომითი აღმავლობა ზურგში, როგორიც საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში გამოიჩინა.

ცხოვრებამ მთელი სიცხადით დაადასტურა ვ. ი. ლენინის სიტყვები: „ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას“[1].

საბჭოთა ხალხმა უსაზღვრო ერთგულება გამოიჩინა დიდი ლენინის ანდერძისადმი სოციალისტური სამშობლოს დამოუკიდებლობისა და მისი საზღვრების ხელუხლებლობის დაცვის შესახებ. ბოლშევიკების უშესანიშნავესი თვისებები — გმირობა, ბრძოლაში უშიშრობა და მტრის სრულ განადგურებამდე საბრძოლო მზადყოფნა, ომის წლებში საბჭოთა ხალხების საერთო თვისებად იქცა.

კომუნისტური პარტიის ლოზუნგებმა — „ყველაფერი ფრონტისათვის“, „ყველაფერი გამარჯვებისათვის“—განაპირობეს საბჭოთა ხალხების მოქმედება, მათი პატრიოტიზმი, გმირული თავდადება ბრძოლისა და შრომის ფრონტებზე. სამამულო ომის შედეგებმა ახალი სიძლიერით გამოავლინა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ცხოველმყოფელობა, ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლი, მათი ორგანიზებული ერთობლიობისა და საბრძოლო თანამეგობრობის ძალა და უძლეველობა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 370.

ქართველ ხალხს საკუთარი ძალებით და რუსი ხალხის მხარდამხარ მრავალი ომი გადაუხდია უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ და ბევრი სისხლიც დაუღვრია. სამშობლოს განსაცდელის ჟამს ქართველი ხალხი ბევრჯერ დარაზმულა და მამაცურად შებმია თავდამსხმელს, მაგრამ ისეთი ერთსულოვნება და მტკიცე ორგანიზებულობა, რაც ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში გამოავლინა, საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არ იცის. ქართველმა ხალხმა, სსრ კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად, გაუძლო ომის განსაცდელს და დიდი წვლილი შეიტანა ფაშისტურ ტირანიაზე უდიდესი ისტორიული გამარჯვების მოპოვების საქმეში. სიამაყის გრძნობის მომგვრელია საყოველთაო აღიარება იმისა, რომ „სამამულო ომის წლებში ქართველმა ხალხმა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე"[2].

ამ ჭეშმარიტების მეცნიერულად გამოკვლევა და დასაბუთება დღემდე ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ საპატიო ამოცანად და მოვალეობად რჩება. დიდია ამგვარი ნაშრომის შემეცნებითი ღირებულება იმ მხრივაც, რომ დიდი სამამულო ომის გმირული ტრადიციების მაგალითზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი თაობისა და ხალხის მასების ყველა ფენის საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდას.

საბჭოთა ხალხის მიერ ვაჟკაცური შეუპოვრობით გადახდილი და მის მეხსიერებაში ახლაც ცოცხლად აღბეჭდილი დიდი სამამულო ომის ისტორიულ ასპექტში გააზრება, როგორც ამას ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი კომუნისტური პარტია გვავალებს, მეტად სერიოზულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული; შაგრამ ამ სიძნელეთა დაძლევისა და დიდი სამამულო ომის მეცნიერული ისტორიის შექმნის მართებული გზები მოცემულია სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებში, რომლებიც გზას გვინათებენ კვლევა-ძიების სწორად წარმართვისათვის. ისინი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებენ მკვლევარს მეცნიერული სისრულით დაასაბუთოს, თუ როგორი ოსტატობით იქნა გამოყენებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობანი, რათა საბჭოთა ხალხს ეერაგ მტერზე ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოეპოვებინა.

ჩვენი ღრმა რწმენით, მართალია, ჯერ კიდევ ბევრია სიძნელენი

---

[2] სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმებიდან საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავის დღესასწაულზე (გაზ. „კომუნისტი", 1946, № 48).

დიდი სამამულო ომის მეცნიერული ისტორიის შექმნის გზაზე, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ამ სიძნელეთა ხასიათი და მისგან წარმომდგარი დაბრკოლებანი ჩვენი თაობის, როგორც ამ გამარჯვების შემოქმედის და თვითმხილველის მიერ დაწერილ ისტორიულ ნარკვევს შთამომავლობისათვის ყოველთვის გარკვეული სამეცნიერო მნიშვნელობა ექნება და რაც მეტი დრო გაივლის, მით უფრო გაიზრდება მისადმი ინტერესი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1957 წლის 12 სექტემბერს მიიღო საპროგრამო დადგენილება საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მეცნიერული ისტორიის შექმნის შესახებ, სადაც დასახა კონკრეტული გზები ამ ამოცანის განხორციელებისათვის. ამ დადგენილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებასთან — „საბჭოთა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ — ერთად. იგი მიმართულია სკკპ XX ყრილობის ისტორიულ დადგენილებათა განხორციელებისაკენ და გზის მაჩვენებელია სამამულო ომის მეცნიერული ისტორიის შექმნისათვის.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები აყალბებენ ომის ისტორიას, როცა ისინი ხელოვნურად აზვიადებენ ინგლის-ამერიკის საომარ ოპერაციებს და უარყოფენ საბჭოთა კავშირის გადამწყვეტ როლს ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთ აქტუალურ საბრძოლო ამოცანად დასახა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მთელი ამ სიყალბისა და ცილისწამებათა გაბათილება და ომის მარქსისტულ-ლენინური ჭეშმარიტი ისტორიის შექმნა, სადაც ნაჩვენები იქნება ხალხის მასების გადამწყვეტი როლი ფაშიზმის განადგურების საქმეში, რომელსაც საბჭოთა კავშირის ინიციატივით შექმნილი ანტიფაშისტური კოალიცია წარმართავდა; ასეთ ვითარებაში მთელი სიცხადით წარმოგვიდგება საბჭოთა ხალხების გმირული თავდადება დიდ სამამულო ომში. რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშიზმის განადგურების საქმეში.

წინამდებარე გამოკვლევა განმაზოგადოებელი ნაშრომია. იგი წარმოადგენს პრობლემის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას, სადაც შესწავლილია და ანალიზი აქვს გაკეთებული იმ ისტორიულ-პატრიოტულ თავდადებას, რაც საქართველოს მშრომელებმა, სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, საბჭოთა სამ-

შობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დიდ სამამულო ომში გამოიჩინეს. თემის აქტუალობამ განაპირობა ჩვენი მუშაობის დიდი ინტერესი, რაც იმითაც ღრმავდებოდა, რომ ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგნად დღემდე არავის გაუხდია.

ამ ნაშრომს, როგორც პირველ ცდას, ალბათ, ხარვეზიც ექნება; მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ მასში დადგენილი ფაქტები და მათ საფუძველზე შემჩნეული განვითარების ტენდენცია-კანონზომიერებანი, მიღებული დასკვნები და განზოგადებანი ყურადსაღებია მკითხველთათვის არა მარტო წმიდა თეორიული ინტერესის დასაკმაყოფილებლად, არამედ ყოველივე აქ აღნიშნული შესაძლებელია რესპუბლიკის მშრომელთა, როგორც მოქმედ პირთა, უშუალო განსჯისა და კრიტიკულად გააზრების საგანიც გახდეს. სწორედ ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია სამამულო ომის მონაწილე თვითეული საბჭოთა მეომრის, მუშის, კოლმეურნისა და ინტელიგენტის ყოველი საქმიანი შენიშვნა, რომელთაც დიდი კმაყოფილებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ ჩვენს მუშაობაში.

წარმოდგენილი ნაშრომი ხანგრძლივი კვლევითი მუშაობის ნაყოფია. მასში განვითარებული ძირითადი დებულებანი ჩვენ მიერ წინასწარი მოხსენების სახით წაკითხულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე (1955 წლის 20 დეკემბერი). კამათში მონაწილეთა მიერ გამოითქვა სურვილები და შენიშვნები, რაც ნაშრომში სათანადოდაა გათვალისწინებული.

ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია უღრმესი მადლობა მოვახსენოთ საქართველოს სსრ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიების ისტორიის ინსტიტუტების, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერ თანამშრომლებს, რომლებმაც საქმიანი დახმარებით ტვირთი შეგვიმსუბუქეს წინამდებარე მონოგრაფიაზე მუშაობის დროს.

შესავალი

ისტორიის შემოქმედად მუდამ ხალხთა მასები გვევლინებიან, და რაც უფრო დიდია, ღრმა და ფართო საზოგადოებრივი გარდაქმნები, განვითარება და წინსვლა, მით უფრო დიდია ხალხთა მასების როლი, მათი უშრეტი შემოქმედებითი ენერგიის გამომზეურებელ ხალხთა მასების როლი დიდია არა მარტო ძველი, დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილების რევოლუციურად დამხობისა და ახლის აშენების საქმეში, არამედ რევოლუციის მონაპოვართა და მასების შემოქმედებითი შრომით აშენებული ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დაცვის საქმეში. ამ დებულების ყველაზე უფრო ნათელ დადასტურებას ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ისტორიული გამოცდილება იძლევა.

ვ. ი. ლენინი ხალხთა მასების ძალისა და უძლეველობის შესახებ გვასწავლის, რომ „ათეული მილიონობით შემოქმედის გონება ქმნის რაღაც განუზომლად უფრო მაღალს, ვიდრე ყველაზე დიადი და გენიალური წინასწარხედვა“[3]. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შემოქმედებითი ძალა და ენერგია ყოველმხრივ გაიშალა და განუზომლად გაიზარდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში, გმირულ შრომასა და ბრძოლაში საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში სოციალისტური სამშობლოს დასაცავად იბრძოდა საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ყველა ხალხი დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ და მისი მეთაურობით. ამიტომ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მეცნიერული ისტორიის დაწერისათვის. რა თქმა უნდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომმე რესპუბლიკების მშრომელთა ამ პერიოდის ისტორიის მეცნიერულად შესწავლას.

სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებში გარკვევითაა აღნიშ-

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 555.

ნული ის ფაქტი, რომ სოციალიზმი არა თუ არ სპობს ეროვნულ განსხვავებებს და თავისებურებებს, არამედ, პირიქით, უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარებასა და აყვავებას. ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა აყენებს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასების დიდ სამამულო ომში მონაწილეობის ისტორიის მეცნიერულად შესწავლის საკითხს და იმ კონკრეტულ-ისტორიული პირობების წარმოჩენას, რომლებშიც ჰედდნენ საბჭოთა ხალხები ამ უდიდეს გამარჯვებას.

ვ. ი. ლენინი წერდა: „მარქსისტული თეორიის უთუო მოთხოვნას ყოველგვარი სოციალური საკითხის გარჩევის დროს წარმოადგენს მისი ჩასმა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ისტორიულ ჩარჩოებში, ხოლო შემდეგ, თუ ლაპარაკია ერთ ქვეყანაზე... იმ კონკრეტულ თავისებურებათა აღრიცხვა, რომლებიც ამ ქვეყანას სხვებისაგან განასხვავებენ ერთი და იმავე ისტორიული ეპოქის ფარგლებში“[4].

კვლევა-ძიებითი მუშაობის ამ გზით წარმართვა, რა თქმა უნდა, ბევრად ძნელია, ვიდრე ზოგადი ამბების გადმოცემა, მაგრამ ცალკეული რესპუბლიკების როლის მარქსისტულ-ლენინური შესწავლისათვის სხვა გზა არ შეიძლება არსებობდეს.

სსრ კავშირის ხალხები ერთი მიზნით — საბჭოთა სამშობლოს დაცვის დიადი მიზნით მოქმედებდნენ, მაგრამ ცალკე ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში ხალხთა მასების ეს მოქმედება და პატრიოტიზმი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა.

სსრ კავშირში გაერთიანებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხალხები თავიანთი ისტორიული, გეოგრაფიულ-ეკონომიური პირობებით და ეროვნული თავისებურებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დიდი სამამულო ომის პერიოდში ეს თავისებურებანი კიდევ უფრო მეტად საყურადღებო გახდა. სამამულო ომის შედეგად შექმნილმა სიძნელეებმა, მთელი რიგი საბჭოთა რესპუბლიკების მტრის მიერ დროებით ოკუპაციამ, რესპუბლიკათაშორისო ეკონომიური და კულტურული კავშირის გართულებამ და ხურგის ცალკეული რესპუბლიკებისათვის ფრონტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კონკრეტული ამოცანების დაკისრებამ, დიდად გაზარდა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების როლი, მაქსიმალურად ამოქმედა მასების შემოქმედებითი ინიციატივა ადგილობრივი რესურსების და მთელი შესაძლებლობის ქვეყნის თავდაცვის სამსახურში ჩაყენების მიზნით. არ შეიძლება სადავო იყოს ის ფაქტი,

---

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 489.

რომ ომის პერიოდში თვითეულ საბჭოთა რესპუბლიკაში რამდენადმე თავისებური იყო როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის კონკრეტული პირობები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ, საერთო მიზანს ემსახურებოდნენ[5].

„ცნობილია, რომ სწორედ ომის პერიოდში ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, აგრეთვე გამოჩენილმა საბჭოთა მხედართმთავრებმა თავიანთ ხელში აიღეს საქმიანობის გარკვეული უბნები ზურგში და ფრონტზე, დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებებს და თავიანთი ორგანიზატორული, პოლიტიკური, სამეურნეო და სამხედრო მუშაობით, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოფდნენ საბჭოთა ხალხის გამარჯვებას ომში“[6].

საბჭოთა საქართველო მომმე მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც თავისი ტერიტორიული მდებარეობით, სტრატეგიულ-ეკონომიური მნიშვნელობით, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტით, განსაკუთრებული მნიშვნელობა და როლი ეკისრებოდა დიდ სამამულო ომში.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მკერდით იცავდა საყვარელ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს. საქართველოს მშრომელებმა ასეულ ათასობით თავიანთი შვილები ფრონტზე გაგზავნეს, ზურგში დარჩენილები კი თავდადებით შრომობდნენ გასამხედროებულ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ისინი

---

[5] სამამულო ომის პერიოდში გაფართოვდა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სახელმწიფო ორგანოების უფლებები. ამას მოითხოვდა ზურგის უკეთ მუშაობისა და სამხედრო მოქმედების განვითარებასთან დაკავშირებული გადაუდებელი ამოცანების სწრაფი და ოპერატიული გადაწყვეტა. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და სახალხო კომისარიატებს მიეცათ ფართო რწმუნებანი თავდაცვითი მნიშვნელობის ახალი ობიექტების მშენებლობის, სათბობისა და ნედლეულის მოპოვების, ადგილობრივი სამშენებლო მასალისა და სხვა სახის რესურსების მოპოვების, აგრეთვე მათი გამოყენების საქმეში, თესვის კამპანიის ჩატარების, პროდუქტების ჩაბარებისა და მოსავლის აღების, მუშახელისა და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობათა მობილიზაციის, ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობათა გადაჯგუფების, ნედლეულის რესურსებისა და მუშახელის განაწილების ოპერატიულად გადაწყვეტის საქმეში. ამასთან წარმოების ხელმძღვანელებს უფლება მიეცათ მუშა-მოსამსახურეთათვის დამატებით სამუშაო დროის დაწესებისა 1—3 საათამდე სათანადო ანაზღაურების საფუძველზე და სხვა (იხ. Сборник законов СССР и Указов Президиума Верховного Совета СССР, 1938—1944гг., зз. 443—444, законодательные и административные правовые акты военного времени, М., 1944, зз. 83—84).

[6] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 1956, 3 ივლისი.

ძუდამ პირნათლად ასრულებდნენ პარტიისა და მთავრობის ყველა დავალებას, მასობრივად ამზადებდნენ საბჭოთა არმიისათვის იარაღ-საჭურველს, საომარ მასალასა და ტანსაცმელს, მზრუნველობით მკურნალობდნენ დაჭრილ მეომრებს და არაფერს იშურებდნენ მტერზე გამარჯვებისათვის.

საქართველოს მშრომელები მათზე დაკისრებულ ისტორიულ მისიას დიდი სამამულო ომის პერიოდში მეტისმეტად რთულ და რესპუბლიკისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პირობებში ახორციელებდნენ. ეს პირობები ამასთანავე უაღრესად ცვალებადი იყო. საქართველო არ იყო ზურგის ჩვეულებრივი რაიონი. მას შემდეგ, როცა ბრძოლები კავკასიის მისადგომებზე გაჩაღდა, საქართველო ფრონტისპირა რაიონად იქცა. ამ ეტაპზე საქართველო ზურგიც იყო და ფრონტიც, რომელსაც საშიშროება თურქეთის საზღვრებიდანაც ემუქრებოდა. მაგრამ რესპუბლიკა ამ მდგომარეობიდან საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლებით და საბჭოთა ზურგის მუშაკთა თავდადებული შრომით მოკლე დროში იქნა გამოყვანილი. სტალინგრადის ფრონტზე ისტორიულმა გამარჯვებამ დასაბამი მისცა ძირეული გარდატეხის პერიოდს; საქართველო თანდათანობით ღრმა ზურგი გახდა. შეიქმნა ბევრად ხელსაყრელი პირობები საბჭოთა არმიისადმი უფრო მეტი ქმედითი დახმარების გასაწევად.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის გმირული ბრძოლა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებისათვის. მასში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების საკითხს დიდი სამამულო ომის პერიოდში, ამ კავშირის ახალი ფორმებისა და კონკრეტულ დამახასიათებელ თავისებურებათა გამოვლინება-დადგენას ომის ეტაპების მიხედვით. ამასთანავე ზურგი და ფრონტი განუყრელ კავშირსა და ერთობლიობაშია განხილული.

სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა. იგი ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების დაუშრეტელი წყაროა. ეს მეგობრობა დიდი სამამულო ომის პერიოდში უმაგალითო სიძლიერითა და სიღრმით გაიზარდა, რან ახალი ფორმები და ახალი შინაარსი შეიძინა. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებაა მიპყრობილი ხალხთა მეგობრობის საკითხისადმი; გულმოდგინედაა შესწავლილი ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის უმაგალითოდ განმტკიცება სსრ კავშირის მომძე ხალხებთან ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს.

რუს ხალხთან, ისე როგორც სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან, ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობას უაღრესად დიდი ტრადიციები აქვს. საბჭოთა კავშირის სამამულო ომში ეს ტრადიციები გამრავლდა და სოციალისტური სამშობლოს დაცვის დიად ამოცანას დაუქვემდებარდა. ჩვენი ქვეყნის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიის ბევრი შესანიშნავი მოვლენა მეცნიერულადაა შესწავლილი პროფესორების: ი. ცინცაძის, ი. ანთელავას, ა. ფირცხალაიშვილის, პ. გუგუშვილის, ნ. ბერძენიშვილის, შ. ჩხეტიას, ა. კოკვიძის, ე. ბურჭულაძის და დოცენტებისა მ. დუმბაძის. ლ. გორგილაძის, მ. ალექსიშვილის, გ. ბრეგაძის, ა. სურგულაძის და სხვათა გამოკვლევებში; ასევე აღვნიშნავ მხოლოდ, რომ რამდენიმე ჩვენი ნაშრომი, მათ შორის ცალკე წიგნიც, სპეციალურადაა მიძღვნილი რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი. ქართულ ისტორიოგრაფიას საერთოდ, მართალია, დიდი წვლილი აქვს შეტანილი ამ პრობლემის მეცნიერულად გამოკვლევის საპატიო საქმეში, მაგრამ დღემდე, სამწუხაროდ, ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგნად არავის გაუხდია. წინამდებარე შრომაში გამოკვლეულია უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხალხების გამოჭედილი თანამეგობრობის ისტორიულ ტრადიციათა დიდი მნიშვნელობა და დასაბუთებულია, რომ რუსი და ქართველი ხალხების, ისე როგორც სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა არასოდეს არ ყოფილა ისე ურღვევი და უძლეველი, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში იყო. ბუნებრივია, ამ ისტორიულ ფაქტს მოეპოვება თავისი სოციალურ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძვლები, რომლებიც ახსნილი და მოტივირებულია ნაშრომში.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ 13 წელი გავიდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ ხნის განმავლობაში დიდი სამამულო ომის ისტორიის გაშუქებას მიეძღვნა მთელი რიგი წიგნები, ბროშურები, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. საბჭოთა ხალხის ისტორიის ამ დიდმნიშვნელოვან პერიოდზე კვლევით მუშაობას ეწევიან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიები, სამხედრო აკადემია და ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა როგორც ისტორიკოსები, ასევე ეკონომისტები და იურისტები[7].

---

[7] გამოკვეყნებული ნაშრომებიდან ყურადღებას იპყრობს: Н. В. Онисимов, Г. В. Кувыкина, Великая Отечественная война Советского Союза (1941—1945 гг.), М., 1952; Б. С. Телпуховский, Великая Отечественная

სამამულო ომის თემაზე მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების გამომცემლობების მიერ გამოქვეყნდა წიგნები და დოკუმენტების კრებულები. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მოსკოვის, სტალინგრადის, ლენინგრადის, ოდესის, კავკასიისა და ყირიმის დაცვის შესახებ დოკუმენტალური მასალების პუბლიკაციები[8], აგრეთვე ლატვიის, ყირგიზეთის, უკრაინის, ჩუვაშეთის, დაღესტნის, სომხეთისა და დიდ სამამულო ომში სხვ. მონაწილეებისადმი მიძღვნილი ცალკეული ნარკვევები, რომლებშიაც მეტ-ნაკლებად ასახულია მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის პატრიოტიზმი, გმირული შრომა და ბრძოლა მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. გამოქვეყნდა ბროშურები, წერილები და მოგონებები ფრონტელ ცალკეულ გმირებსა და გამოჩენილ მეომრებზე, მტრის ზურგში მოქმედ პარტიზანებსა და პარტიზანული რაზმების საბრძოლო მოქმედებაზე (უკანასკნელთაგან საყურადღებოა ლეგენდარული გმირის ს. კოვპაკისა და მისი ქართველი თანამებრძოლის დ. ბაქრაძის, ასევე ა. ფედოროვის, ა. კოზლოვის, ე. სტეპანოვის, ი. ნაუმოვის და სხვათა მოგონებანი), აგრეთვე ბერლინის აღების მონაწილეთა მოგონებანი „Штурм Берлина" (М., 1948 г.) და სხვ.; დიდ სამამულო ომში საბჭოთა საქართველოს მონაწილეობის ისტორიის შესწავლა,

---

война Советского Союза (1941 — 1945 гг.), М., 1952; Е. Н. Бурджалов, Великая Отечественная война Советского Союза (1941 — 1945 гг.). М., 1953; Е. И. Солдатенко, Трудовой подвиг советского народа в Великой Отечественной войне, М., 1954; П. А. Белов, Вопросы экономики в современной войне, М. 1951; Н. Вознесенский, Военная экономика СССР в период Отечественной войны, М., 1946; Е. А. Грановский. Советская промышленность в Великой Отечественной войне Советского Союза, М., 1949; Е. Карнаухов, Колхозное производство в годы Великой Отечественной войны; И. Лерский, Воспроизводство основных фондов промишленности СССР в условиях войны, М., 1945; П. Максимов, Советская промышленность в годы Отечественной войны, М., 1945 და სხვ.

[8] დიდ სამამულო ომზე ჟურნალებში გამოქვეყნდა რიგი ცალკეული სპეციალური ნარკვევები მაგ., ჟურნალ „Большевик"-ის 1944 წ. № 17 და 18-ში დაიბეჭდა პროფ. გატოვსკის წერილები: „Индустриальная основа военной мощи СССР" და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლა აქ შორს წაგვიყვანდა. მოვალთაგან აღვნიშნავთ ჟურნალში „Вопросы истории" დაბეჭდილ საყურადღებო წერილს „Чрезвичайные органы Советского государства в годы Отечественной войны" (1955, წ., № 3, გვ. 32—43). ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა წერილები: А. Е. Балтиков, „Победа Советских Вооруженных Сил на заключительном этапе Великой Отечественной войны", С. Р. Гешберг, „Всесоюзное социалистическое соревнование работников промышленности в 1942 году". ამ ჟურნალის მოწინავე სპეციალურადაა მიძღვნილი საკითხისადმი: „О разработке истории Великой Отечественной войны Советского Союза", სადაც მოცემულია შეჯამებული საბჭოთა ისტორიოგრაფიის როგორც მიღწევები, ასევე არსებული ნაკლოვანებანი ამ პრობლემის შესწავლის საქმეში.

რა თქმა უნდა, ჩვენი ისტორიკოსთა ყურადღების გარეშე არ დარჩენილა. ჩატარებული მუშაობიდან, საიუბილეო საგაზეთო სტატიებს გარდა, ყურადღებას იპყრობს ისეთი ნაშრომები, სადაც სხვა ძირითად საკითხთა ფონზე სამამულო ომის ისტორიის მხოლოდ ცალკეული საკითხებია აღძრული და მეტ-ნაკლებად განხილული; ამ თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აკად. გ. ხაჭაპურიძის, პროფ. პ. გუგუშვილის, პროფ. დ. გვრიტიშვილის, დოც. ი. ბაჯაძის, დოც. ა. ნუცუბიძის და სხვა ავტორთა ცალკეულ ნარკვევებს. დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის ისტორიის ცალკეული საკითხებისადმია მიძღვნილი რამდენიმე ნარკვევი, ასეთებია: მ. ქოჩიაშვილის „ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში (აჯანყება კუნძულ ტექსელზე)", თბილისი, 1948 წ., ნ. ჭეიშვილის „მასალები ქართველი მეომრების მონაწილეობის შესახებ ბერლინის აღებისათვის ბრძოლაში", 1951 წ., ქ. ანთიძის „ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში", თბილისი, 1955 წ., ა. იოსელიანის „საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან" (ტრანსპორტის მუშაკთა პატრიოტიზმი დიდი სამამულო ომის პერიოდში, 1941—1945 წწ.), თბილისი, 1957 წ. (აქედან მ. ქოჩიაშვილისა და ქ. ანთიძის დასახელებული ნაშრომები საკანდიდატო დისერტაციებად იყო წარდგენილი). დიდ სამამულო ომში ქართველი მეომრების თავდადებაზე დაიბეჭდა მ. დავითაშვილის პოპულარული ბროშურა, ხოლო კომკავშირელების მონაწილეობაზე დოც. ნ. ჩახვაშვილმა გამოაქვეყნა ნარკვევი.

სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის სპეციალური საკითხისადმია მიძღვნილი მ. ბარამიას საკანდიდატო დისერტაცია „ქართველი ხალხის მონაწილეობა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში" (დაიცვა 1955 წელს). 1957 წელს სტალინირში გამოიცა ბ. პლიევის ნაშრომი „Трудящиеся Юго-Осетии в период Великой Отечественной войны", რომელიც ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად იქნა წარმოდგენილი (ბ. პლიევისა და მ. ბარამიას ზემოდასახელებული ნაშრომების შესახებ ჩვენ, როგორც ოფიციალურ ოპონენტს, შესაძლებლობა გვქონდა ჩვენი აზრი წერილობით მოგვეხსენებია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის.) აი ის მცირე რამ, რაც ქართულ ისტორიოგრაფიას გაუკეთებია ამ პრობლემის შესასწავლად.

სამამულო ომის თემატიკაზე ჯერ კიდევ 1955 წლის მაისისათვის მთლიანად საბჭოთა კავშირში 400-მდე საკანდიდატო და 19 სადოქტორო დისერტაცია იყო დაცული, ამათგან ზურგის მუშაობის სა-

კითხებზე დაწერილი დისერტაციების რაოდენობა 24-ს არ აღემატებოდა[9].

მომმე რესპუბლიკებში სამამულო ომის ისტორიის მეცნიერულად შესწავლისათვის წინ გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მთელი რიგი რესპუბლიკების — უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის და სხვ. ისტორიის სახელმძღვანელოებში სათანადო ადგილი ეთმობა დიდი სამამულო ომის პერიოდს. რესპუბლიკებში მიმდინარეობს კვლევით მუშაობა სამამულო ომის პერიოდზე ეკონომისტებისა და სხვა სპეციალისტების მიერაც. მაგალითად, 1954 წელს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა „Очерки развития народного хозяйства Украйнской СССР," სადაც ნაშრომის მე-8 თავი (გვ. 428—471) დიდი სამამულო ომის ეკონომიური ისტორიის საკითხებისადმია მიძღვნილი. 1956 წელს უკრაინაში გამოიცა Н. И. Супруненко-ს ნარკვევი „Украина в великой Отечественной войне Советского Союза (1941—1945 гг.)". და ორი წლით ადრე А. Казакова-ს „Киргизский народ в Великой Отечественной войне Советского Союза" (1941—1945 гг.) Киргизиздат, 1954.

სამამულო ომის ისტორიის შესწავლამ მთლიანად სსრ კავშირში და მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში კიდევ უფრო კონკრეტული ხასიათი მიიღო. კვლევა-ძიება წარმმართა სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში მუშებისა და გლეხების პატრიოტიზმის, მათი შრომითი მამაცობისა და საბჭოთა არმიისადმი ქმედითი დახმარების ისტორიული მნიშვნელობის პრობლემების შესწავლის გზით, რაც ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარების ფრიად სასურველი გზაა[10].

---

[9] ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ლენინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი; И. Ф. Безпятки, „Борьба Комунистической партии Советского Союза за укрепление тыла в период Великой Отечественной войны. (1941 — 1945 гг.)" (по материалам Киргизской парторганизации, 1953), М., 1953; С. Гейдаров „Организаторская работа Компартии Азербайджана в период Великой Отечественной войны, (1941—1945 гг"). Баку, 1953; Р. Джураев, „Трудящиеся Бухарской области в борьбе за побелу над врагом в годы Великой Отечественной войны (1941—1945 гг".), Ташкент, 1954; В. М. Глухов-, „Адигея в дни Великой Отечественной войны," Майкоп, 1949; საბჭოთა სომხეთში გამოიცა А. П. Мнацаканян-ის ნაშრომი „Армянский народ в Великой Отечественной войне (1941—1945 гг.)," 1954, რომლის ავტორს დასახელებულმა ნაშრომმა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოუპოვა.

[10] ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ნაშრომები: В. Ш. Багдасарова, Ташкентский текстильный комбинат им. И. В. Сталина в годы Великой Отечественной войны Советского Союза. 1949, Ташкент; М. К. Колтаков, Развитие народной инициативы по оказанию помощи фронту в период Великой Отечественной войны в 1941—1945 гг. (по материалам Воронежского района Саратовской области), 1949, Саратов და სხვ.

1955 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნდა კოლექტიური შრომა „Очерки истории Великой Отечественной войны 1941—1945 гг.“ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ბ. ტელპუხოვსკის საერთო რედაქციით. დასახელებული ნაშრომი ჩვენი ისტორიოგრაფიის უდავოდ სერიოზული მიღწევაა. მასში ბევრი საყურადღებო მოსაზრებაა განვითარებული და ახლებურადაა დასმული სამამულო ომის ისტორიის რიგი საკითხები, მაგრამ ამ წიგნმა, ისე როგორც დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილმა სხვა ნაშრომებმა, ვერ დააღწია თავი პრინციპული მნიშვნელობის ნაკლოვანებებს[11], რომელთა შესახებ, სამწუხაროდ, ჩვენ აქ ვრცლად ვერ შევჩერდებით.

დასახელებული ნაშრომები, მართალია, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მონაპოვარია, მაგრამ მათი დიდი ნაწილი დროთა ვითარებაში მოძველდა და ვეღარ აკმაყოფილებს საბჭოთა ისტორიული მეცნიერების თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი აყენებენ[12].

მეორე მსოფლიო ომისა და, კერძოდ, სსრკ დიდი სამამულო ომის ისტორიის ფალსიფიკატორად ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია გვევლინება. ბურჟუაზიული სამხედრო იდეოლოგების მტკიცებით, გამარჯვების ბედს მხოლოდ სამხედრო გენიოსები, დიდი

---

[11] იხ. Серьезные недостатки „Очерков истории Великой Отечественной войны“, „Вопросы истории“, 1956, № 5, გვ. 146—156.

[12] დასახელებულ ნაშრომთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც XX ყრილობამდე გამოქვეყნდა, დაწერილია შემუშავებული შტამპით და ნაკლებად იგრძნობა მეცნიერული სიღრმე. ამასთანავე ამ ნაშრომთა დიდი უმრავლესობა პოპულარული ხასიათისაა. მათში, რაც მთავარია, ვერ პოულობენ ჯეროვან ასახვას სსრ კავშირში გაერთიანებული ხალხების, მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ის გმირული ბრძოლები ფრონტებზე და შრომითი მამაცობანი ზურგში, რომლებმაც განაპირობეს გამარჯვება და ხშირად გვერდი აქვს შევლილი იმ მოქმედი ობიექტური ეკონომიური კანონების ანალიზს, რომლებმაც უზრუნველყვეს სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკის წარმატებით განვითარება.

სამამულო ომის თემატიკაზე გამოცემული ნაშრომების ნაკლია ისიც, რომ გვერდი აქვს შევლილი ომის დროის სიძნელეებს და უმეტეს შემთხვევაში ომის მოვლენების იდეალიზაციას აქვს ადგილი. ავტორების დიდი უმრავლესობა ნაკლებად ჩერდება ომის უმძიმეს პერიოდზე, როცა არმია დამარცხებას განიცდიდა. სამაგიეროდ, როგორც წესი, მეტად დიდ ყურადღებას 1943—1945 წლებს აქცევენ, როცა საბჭოთა არმია ახალ-ახალი გამარჯვებებით მიიწევდა წინ.

დასახელებული ნაშრომების ნაწილში აგრეთვე არაა სწორად გაანრეული სამამულო ომის პერიოდიზაცია და ანტიისტორიზმისათვის დამახასიათებელი მანკით ხასიათდება (ბურჯალოვის და სხვ. შრომები); 1941—1942 წლებს „აქტიური თავდაცვის“ პერიოდად მიიჩნევენ და დიფირამბებს უმღერიან მას; უგულებელყოფენ ხალხის მასების გადამწყვეტ როლს გამარჯვების მოპოვების საქმეში.

სარდლები სწყვეტენ. ეათი მსოფლმხედველობა პიროვნების კულტისა და ტექნიკის ფეტიშიზმის იდეებითაა გაჟღენთილი.

დიდი სამამულო ომის 10 წლისთავზე, 1955 წლის მაისში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, მოეწყო სამეცნიერო სესია, სადაც განხილულ იქნა დიდი სამამულო ომისა და საერთოდ მეორე მსოფლიო ომის ისტორიის შესწავლის მდგომარეობის საკითხები[13].

დადასტურებულია, რომ დასავლეთ გერმანიაში ჩამოყალიბდა დიდი კასტა ბურჟუაზიული ისტორიკოსებისა, რომლებიც სპეციალურად მეორე მსოფლიო ომის ისტორიის საკითხებზე მუშაობენ. მასობრივი ტირაჟით ქვეყნდება გუდერიანის, გალდერისა და სხვა ჰიტლერელი გენერლებისა და ოფიცრების მემუარები და მოგონებები, იბეჭდება სპეციალური გამოკვლევები, სადაც მეორე მსოფლიო ომის ჭეშმარიტი ისტორიის უხამსი გაყალბება და ფალსიფიცირება ხდება[14].

მაგალითად, დასავლეთ გერმანიაში გამოიცა ისტორიკოსი გერ-

---

[13] მომხსენებელი და კამათში გამოსული სპეციალისტები აღნიშნავდნენ იმ ჩამორჩენას და ნაკლოვანებებს, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიას აქვს დიდი სამამულო ომის ისტორიის დარგში. ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო საგრძნობი ხდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მეორე მსოფლიო ომში ამერიკის მონაწილეობის ისტორიაზე დაგეგმილ 100-ტომეულიდან მაშინ 30 ტომამდე უკვე გამოცემული იყო. (1955 წ. მეცნიერებათა აკადემიის ჟურ. „Доклады и сообщения Института истории", 8 вып. გვ. 75—82, გამოქვეყნებული სტატია Л. В. Митрофанова „К вопросу об изучении истории Великой Отечественной войны").

[14] აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია თუ ერთი მხრივ ამხელს მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ბურჟუაზიულ რეაქციულ ფალსიფიკატორებს, ამასთანავე იგი არ იჩენს გულგრილობას პროგრესულ დემოკრატიულ ისტორიკოსთა ნაშრომებისადმი; ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მთელი რიგი ამ ხასიათის ისტორიული ნაშრომები ითარგმნა რუსულად. მაგალითად, ჯერ კიდევ 1947 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა Лорф. Ингерсолл, „Совершенно секретно" 1955; Г. Метлоф, „Стратегическое планирование в колониальной войне" 1941—42 წწ. ეს უკანასკნელი იმ მხრივაა ჩვენთვის საყურადღებო, რომ მასში გადმოცემულია 1942 წელს კავკასიის დაცვასთან დაკავშირებული ბევრი საყურადღებო მოვლენა. რუსულად ითარგმნა ბევრი სხვა ნაშრომებიც, მაგალითად, გამოვიდა ამერიკის კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწის ულიამ ზ. ფოსტერის მთელი რიგი ნაშრომები, სადაც კარგადაა წარმოდგენილი მეორე მსოფლიო ომში ამერიკის ისტორიის პრინციპული საკითხები. კერძოდ, თუ რა დონეზეა ინგლისში მეორე მსოფლიო ომის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა, ამის შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული ჟურნ. „Вопросы истории", 1957, № 1. გვ. 198.

ლიცის ორტომიანი ნაშრომი[15], ყოფილი ჰიტლერელი გენერლის ტიპელსკირხის ვრცელი ნარკვევი[16]. ასევე გამოქვეყნდა შუმახერის წიგნი[17] და მრავალი სხვა.

დასავლეთ გერმანიის აქ დასახელებული ნაციონალისტურ-რეაქციული ისტორიოგრაფიის ამოსავალია იდეალისტური ფილოსოფიის ექსისტენციალური ცრუ მეცნიერული მოძღვრება. მისი დამცველები ილაშქრებენ ყოველგვარი პროგრესისა და დემოკრატიზმის წინააღმდეგ, ცილს სწამებენ და უგულებელყოფენ ხალხთა მასებს და უპირისპირებენ ხალხს „ძლიერთა არისტოკრატიზმის ყოველშემძლეობას". ისინი ფაშიზმს ახასიათებენ „დასავლეთის ციეილიზაციის" დამცველად და მის ყოველგვარ ბოროტმოქმედებას ხელაღებით ამართლებენ. ისტორიის ეს ფალსიფიკატორები მოწოდებულნი არიან იქითკენ, რომ მკვდრეთით აღადგინონ გერმანიის მილიტარიზმი და მსოფლიოს ახალი გამანადგურებელი ომი დაატეხონ თავს. ეს ვაჟბატონები, ამართლებენ რა ფაშიზმის აგრესიას, ჰიტლერის არაგონივრული პოლიტიკის შედეგად თვლიან ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვითომდა „არაბუნებრივ კავშირს" საბჭოთა კავშირთან ფაშისტური გერმანიის საწინააღმდეგო ომში. თუმცა აშკარა მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ „ყოველგვარი მოლოდინის გარეშე საბჭოთა კავშირმა გვაჩვენა არაჩვეულებრივი ძალა წინააღმდეგობისა[18], რომ სტალინგრადის ბრძოლები კულმინაციური პუნქტი და უდიდესი შემობრუნება იყო აღმოსავლეთში ომის უდიდესი დრამისა" (გერლიცი, ტ. II, გვ. 179) და სხვ. ჰაგრამ მათ არ ესმით და არაფერი გაეგებათ საბჭოთა ხალხების პატრიოტიზმისა, როცა ამბობენ საბჭოთა ხალხის მიერ „საკუთარი სამშობლოს ინსტიქტურ და ფანატიკურ დაცვაზე". (ტიპელსკირხი, გვ. 275). ჰიტლერელი ისტორიკოსები თვლიან, რომ თითქოს „ამერიკის დახმარებამ იხსნა რუსეთი". გერლიცი „ასაბუთებს", რომ საბჭოთა პარტიზანების მოძრაობა, რომელთაც „ბანდას" უწოდებს თითქოს „კანონგარეშე მოქმედება იყო"; იგი თავის წიგნში „ადოლფ ჰიტლერი" წმინდა იდეალისტურ-სუბიექტივისტური თვალსაზრისით ჩქმალავს მასების როლს და ევროპული ქვეყნების ისტორია ჰიტლერის ნებისყოფის მოქმედებამდე დაჰყავს. „ჰიტლერი მთელი რიგი

---

[15] W. Görlitz, der Zweiten weltkrieg, 1939—1945, Stutgart, 1951—1952.

[16] K Tippelskirch, Geschichte des Zweiten Weltvriegs, Bd 1-11, Bonn, 1954, არსებობს ამის რუსული თარგმანი გენ. ლეიტ. ვ.ფ. ვორობიოვის რედაქციით. მოსკოვი, 1956

[17] E. Schumacher, Geschichte des Zveiten Welkrieges, zurich 1945—1946.

[18] იხ. ტიპელსკირხის დასახელებული ნაშრომის რუსული თარგმანი, გვ. 275.

წლების განმავლობაში მარტო განსაზღვრავდა ევროპის ისტორიის მსვლელობასო", — წერს იგი.

ასეთია მოკლედ ინგლის-ამერიკის და, კერძოდ, დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული რეაქციული ისტორიოგრაფიის გეზი მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფალსიფიკაციის საქმეში. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ვალია ამხილოს და ნიღაბი ჩამოგლიჯოს ისტორიის ამ ფალსიფიკატორებს

* * *

მეორე მსოფლიო ომისა და, კერძოდ, დიდი სამამულო ომის ისტორიოგრაფიის აქ დასახელებული საერთო მდგომარეობა გვავალებდა კვლევა-ძიება დაგვემყარებინა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებზე, დიდი სამამულო ომის ისტორიის დოკუმენტურ პირველწყაროებსა და უმნიშვნელოვანეს საარქივო ფონდებზე.

ჩვენი კვლევა-ძიებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებებს, ისევე როგორც სსრ კავშირისა და საქართველოს მშრომელთა დეპუტატების უმაღლესი საბჭოს სესიების მასალებს, ლენინური კომკავშირის და პროფესიონალური ორგანიზაციების ყრილობებისა და პლენუმების სათანადო დადგენილებებს, ი. ბ. სტალინისა და საბჭოთა მთავრობის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა სადირექტივო სიტყვებს, წერილებს და ნაშრომებს, აგრეთვე სხვა ხასიათის პირველწყაროებს[19].

ჩვენი ნაშრომი ძირითადად დამყარებულია სხვადასხვა ხასიათის პირველწყაროებზე[20], იგი ეყრდნობა საქართველოს ფაბრიკა-

---

[19] დიდი სამამულო ომის ისტორიისათვის, ჩვენი ქვეყნის საშინაო, საერთაშორისო და სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებია აღძრული იმგვარი ხასიათის ოფიციალურ პირველწყაროებში, როგორიცაა: Сообщение Совинформбюро тт. I, II III, IV, V, VI, VII. VIII; Внешняя политика Советского Союза в период Великой Отечественной войны, Госполитиздат, 1947, тт. I, II, III; Нюрнбергский процесс, т. I и II; Сообщение Государственной комиссии „О материальном ущербе"; Сборник сообщений Чрезвыч. Госком. о злодеяниях немецко-фашистских захватчиков, 1946; Фальсификаторы истории, 1948; Сборник документов и материалов по вопросу труда в период Великой Отечественной войны; 1944; Сборник законодательных и инструктивных материалов по Гособеспечению семей военнослужащих და მრავალი სხვა დოკუმენტური მასალა.

[20] 1957 წელს გამოქვეყნდა: Переписка Председателя Совета министров СССР с президентами США и премьер-министром Великобритании во время великой Отечественной войны 1941 — 1945 гг. ეს დოკუმენტები ახლებურად აყენებს მეორე მსოფლიო ომის მთელ რიგ საკითხებს და ცხადყოფენ საბჭოთა ხალხის ძლევამოსილებას.

ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობისა და კულ-ტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ანგარიშებს და შემოწმებულ დოკუმენტებს[21], რესპუბლიკის სტატის-ტიკური სამმართველოს და სახელმწიფო საგეგმო კომისიის მასალებს და უმნიშვნელოვანეს საარქივო ფონდებს[22].

მარქსიზმ-ლენინიზმის ამოსავალ დებულებათა შუქზე ჩვენ მიერ გააზრებულმა და კრიტიკულად გამოყენებულმა საარქივო მასალებმა, პირველწყაროებმა და სათანადო ლიტერატურამ, რამდე-ნადმე განაპირობა კვლევა-ძიების მთელი პროცესი და გვი-კარნახა საკვლევი პრობლემის შესასწავლად აქ წარმოდგენილი გეგ-მა მიგვეღო. წინამდებარე ნარკვევში საქართველოს მაგალითზე ვანზოგადება პოვა დიდი სამამულო ომის ისტორიის თითქმის ყვე-ლა უმნიშვნელოვანესმა საკითხმა; მასში აისახა ზურგისა და ფრონ-ტის ერთიანობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობისა და მუშათა და გლეხთა კავშირის ძალა და უძლე-ველობა სამშობლოს დაცვისათვის დიად ბრძოლებში. საქართველოს მაგალითებზე მთელი თავისი სიცხადით წარმოგვიდგა ხალხის მასე-ბის გადამწყვეტი როლი, საბჭოთა მეომრების თავდადება და ძლევა-მოსილება სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის გადახდილ საბ-ჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში.

---

[21] ნაშრომში გამოყენებული რამდენადმე ანალოგიური ხასიათის ქართული მასალებიდან შეიძლება დასახელებულ იქნეს 1945—1946 წლებში საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის მიერ ორ წიგნად გამოცემული ბიბლიოგრაფიული საძიებელი: „ქართველი მეომრები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში". სამა-მულო ომის პერიოდში იბეჭდებოდა ისტორიული დოკუმენტური ხასიათის მასა-ლები, როგორიცაა ამიერკავკასიის ხალხთა ფიცი" (1942, თბილისი), „ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებს", 1943 წ. და სხვა ხასიათის ოფიციალური მასალა და პირველწყაროები, რომლებიც სათანადოდაა დამოწმე-ბული წინამდებარე ნაშრომში.

[22] ამათგან აღსანიშნავია: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამამულო ომის ისტორიის არქივი. (შემოკლებით — სამამულო ომის ისტორიის არქივი). სკკპ ცენტრალურ კომიტეტ-თან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტ-არქივის ფრიად საყურადღებო ფონდები, რომლებშიაც ასახულია დიდი სამამულო ომის პერიოდში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. გამოყენე-ბულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ხელნაწერი ფონდები, სადაც დაცულია სამამულო ომის განყოფილების მასალები. საქართვე-ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ხელნაწერი ფონ-დები. საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურისა და ჩვენთვის საინტერესო სხვა განყოფილებებისაგან მიღებული მასალები. ნაშრომში ფართოდაა გამოყენებული საკავშირო და რეს-პუბლიკური პრესა და პერიოდული ორგანოები.

განყოფილება პირველი

საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წინ

საბჭოთა საქართველოს მშრომელები სოციალიზმის აშენებისა და ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის ბრძოლაში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით რუსეთში დაემხო ექსპლოატატორული წყობილება, ძირფესვიანად შეირყა მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემა, დაიწყო კაპიტალიზმის რღვევისა და სოციალიზმის ზეიმის დიადი ეპოქა.

ოქტომბრის რევოლუციამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იხსნა რუსეთის ხალხები იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიად გადაქცევის საფრთხისაგან და ჩვენი ქვეყანა გადააქცია დემოკრატიის, მშვიდობისა და კომუნიზმის დიადი იდეების ჭეშმარიტ მედროშედ მთელს მსოფლიოში.

მართალია, სოციალისტურმა რევოლუციამ შექმნილი კონკრეტული ისტორიული პირობების გამო საქართველოსა და ამიერკავკასიაში რამდენიმე წლით დაგვიანებით გაიმარჯვა, მაგრამ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობისა და ინტერვენტების ბატონობის წლები (1917—1921 წწ.) იყო საქართველოს მუშებისა და გლეხების გმირული რევოლუციური ბრძოლების წლები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის[1].

საერთაშორისო იმპერიალიზმი აღსდგა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმაგალითო გმირობით დაიცვეს დიდი

---

[1] ეს საკითხი შედარებით ფართოდ აქვთ გაშუქებული თავიანთ წიგნებში: გ. ხაჭაპურიძეს — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში და ა. სურგულაძეს — ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში.

ოქტომბრის მონაპოვარი. საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირის განმტკიცებითა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განდევნა ინტერვენტები, გაანადგურა თეთრგვარდიული კონტრრევოლუციური ბანდები და პირველ საბჭოთა სამამულო ომში გამარჯვებულ დიდ რუს ხალხს შესაძლებლობა მიეცა ძმური დახმარების ხელი გამოეწოდებია საქართველოს მშრომელებისათვის. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოშიაც. დაიწყო ახალი ხანა ქართველი ხალხის ისტორიაში.

ქართველი ხალხი სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ენტუზიაზმით შეუდგა ახალი საზოგადოების მშენებლობას. მეურნეობის ახალი სოციალისტური ფორმების შექმნისას საბჭოთა ხელისუფლება ემყარებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიას საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონების შესახებ, რომელიც თავის დასაბუთებას საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიურ კანონში პოულობს. საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოების საშუალებათა განსაზოგადოებამ დასაბამი მისცა საწარმოო ძალების უჩვეულო სისწრაფით განვითარებას.

კომუნისტურმა პარტიამ აღაფრთოვანა მასები, გააღვივა მათი შემოქმედებითი ენერგია და საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, უაღრესად მოკლე დროში აღდგენილ იქნა დანგრეული სახალხო მეურნეობა (1921—1925 წლებში)[2]. საბჭოთა საქართველო წინათ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ინდუსტრიულ, მოწინავე კოლექტიური სოფლის მეურნეობის ქვეყნად იქცა. ხალხთა მასების გმირული შრომით აშენდა სოციალისტური საზოგადოება. სოციალიზმის გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული სახე. შეიცვალა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, გაქრა პარაზიტული ფენები და მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ვ. ი. ლენინი სოციალიზმის მატერიალურ საფუძვლად მძიმე მრეწველობის განვითარებას მიიჩნევდა. იგი წერდა: „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი

---

[2] ეს საკითხი ჩვენ შედარებით ფართოდ გვაქვს განხილული შრომაში — საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში (1921—1925 წწ.), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955).

შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ძალუძს მიწათმოქმედების გარდაქმნაც"[3].

კომუნისტურმა პარტიამ ი. ბ. სტალინის მეთაურობით დაიცვა ლენინიზმის იდეები, გაანადგურა ტროცკიზმი და მემარჯვენე კაპიტულანტები, რომლებიც ძირს უთხრიდნენ პროლეტარიატის დიქტატურას, ცდილობდნენ ჩაეშალათ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის დიადი პროგრამა. სსრ კავშირში ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკის გამარჯვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხალხის ბედისათვის. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიული განვითარება კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო სისწრაფით ხორციელდებოდა. მაგალითად, მძიმე ინდუსტრიის ისეთი წამყვანი დარგი. როგორიცაა მანქანათმშენებლობა, 1940 წლისათვის 50-ჯერ აღემატებოდა რევოლუციამდელი რუსეთის მანქანათმშენებლობას და ევროპაში პირველი ადგილი ეჭირა. ამავე პერიოდში ათასობით მსხვილი ფაბრიკა-ქარხანა აიგო და მოხდა არსებულის სრული რეკონსტრუქცია. ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში ამუშავებულ ახალ დიდ საწარმოთა რიცხვი 1500 აღწევდა, ხოლო მეორე ხუთწლედში— 4500[4].

სსრ კავშირის ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად ომამდელი ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა მძლავრი თავდაცვითი მრეწველობა. აშენდა დიდი სიმძლავრის საავიაცო, სატანკო, სამხედრო-ქიმიური და საარტილერიო ქარხნები, რომლებმაც უზრუნველყვეს საბჭოთა არმიის შეიარაღება ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე, მოკავშირე რესპუბლიკებში ომამდელ ხუთწლედებში მრეწველობის ზრდა, საერთოდ, უფრო სწრაფი ტემპით ხორციელდებოდა, ვიდრე ცენტრალურ სამრეწველო რაიონებში; მაგალითად, 1940 წელს სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია თუ დაახლოებით 12-ჯერ სჭარბობდა 1913 წლის დონეს, ამავე პერიოდში ყაზახეთის სსრ მრეწველობა გაიზარდა 20-ჯერ, ყირგიზეთისა— 153-ჯერ, ტაჯიკეთისა — 308-ჯერ, საქართველოს მრეწველობა — 27-ჯერ.

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ 584.

[4] Развитие советской экономики (статистические материалы), Изд. Высш. партийной школы при ЦК ВКП (б), Сост. Д. Г. Кузменко под ред. М. Готовского, 1946, гз. 36.

საბჭოთა საქართველოში აგებულ და ექსპლოატაციაში შესულ ახალ საწარმოთა მიერ გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა მთელ პროდუქციასთან შედარებით დიდი სამამულო ომის წინ 85 პროცენტზე მეტს შეადგენდა.

ომამდელი ხუთწლედების მანძილზე საქართველოში აშენდა და უახლოესი ტექნიკით აღიჭურვა 800-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო, რომელთა მიერ გამომუშავებული პროდუქცია 80,6%-ს შეადგენდა.[5] 1940 წლისათვის მრეწველობის მთლიანი პროდუქციიდან რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველ ერთ სულზე მოდიოდა 392,2 მანეთის პროდუქცია (1926—1927 წწ. უცვლ. ფასებში), რაც 11,8 ჯერ აღემატებოდა 1927 წლის შესატყვის მაჩვენებელს.

1921—1940 წლების მანძილზე შეიცვალა საქართველოს საწარმოო ძალთა განლაგება. 1921 წლამდე საქართველოში მრეწველობა თუ თავს იყრიდა უმთავრესად თბილისში, ბათუმსა და ჭიათურაში, საბჭოთა ხელისუფლებამ მრეწველობის უმაგალითო აღმავლობასთან ერთად უზრუნველყო მისი სოციალისტური განლაგება რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ქუთაისი მეორე ინდუსტრიულ ცენტრად იქცა. მძლავრად განვითარდა მრეწველობა სოხუმში, ბათუმში და სტალინირში. მოწინავე სამრეწველო რაიონებად იქცა ტყიბული, ტყვარჩელი, ზესტაფონი, ახალციხე. გორი, თელავი, სამტრედია, აგარა და მრავალი სხვა. 1940 წლისათვის 40-ზე მეტი ჩაის ფაბრიკა იყო აგებული დასავლეთ საქართველოს რაიონებში. შეიქმნა ახალი სამრეწველო დაბა-ქალაქები და სხვ.

საქართველოს მშრომელებს მრეწველობის ესოდენ სწრაფ განვითარებაში ძმურად დაეხმარა დიდი რუსი ხალხი, სსრ კავშირის ინდუსტრიული ცენტრებისა და მანქანათმშენებლობის მუშები. მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ურალიდან, ბაქოდან და სხვა ინდუსტრიული რაიონებიდან საქართველო ღებულობდა ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო მანქანა-იარაღებს, რთულ მოწყობილობათა მექანიზმებს და სხვ. რომელთა წარმოება საქართველოში მაშინ არ იყო.

ინდუსტრიული მშენებლობის პროცესში მასობრივად იზრდებოდა და იწრთობოდა მუშათა კლასის ნაციონალური მაღალკვალიფიციური კადრები. 1941 წ. დასაწყისისათვის საქართველოს სსრ მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი 7,5-ჯერ აღემატებოდა 1913 წლისას. 1913 წ. მსხვილ მრეწველობაში ჩაბმული მუშათა რიცხვი თუ 10,9 ათას უდრიდა, 1940 წ. მან მიაღწია 82 700

---

[5] საბჭოთა საქართველოს 20 წელი, გვ. 32.

კაცამდე. ამასთან 1939 წელს მრეწველობის მუშათა შორის ქალთა რაოდენობა 39,5%-ს უდრიდა[6].

წარმოების მაღალი ტექნიკური შეიარაღების, შრომის პროცესების მექანიზაციისა და ელექტროშეიარაღების ზრდის შესაბამისად სწრაფად იზრდება კვალიფიციურ მუშათა რიცხვი, იზრდება შრომის ნაყოფიერება, ინერგება შრომის ორგანიზაციის სოციალისტური ფორმები, სამეურნეო ანგარიშიანობა და განუხრელად იზრდება საქართველოს სსრ მუშათა კლასის კეთილდღეობა.

საქართველოს მსხვილ მრეწველობაში 1939 წლისათვის შრომის ნაყოფიერება 5-ჯერ აღემატებოდა 1913 წლისას და 10-ჯერ 1920 წლისას. შრომის ნაყოფიერება ომამდელი ხუთწლედების მანძილზე 3,6-ჯერ გადიდდა[7].

სსრ კავშირის ეკონომიკა დიდი სამამულო ომის წინ უმაგალითოდ განმტკიცდა; მისი შედარება მეფის რუსეთის ეკონომიკასთან ასეთ სურათს წარმოგვიდგენს (ცხრ. 1)[8]:

ცხრილი 1

პროდუქციის სახეობანი	1913 წ.	1940 წ.	ზრდა
	პროდუქციის წარმოება მილიონ ტონობით		
თუჯი	4.22	15	თითქმის 4-ჯერ მეტი.
ფოლადი	4,23	18,3	$4^1/_2$-ჯერ
ქვანახშირი	29	166	$5^1/_2$-ჯერ მეტი
ნავთი	9	31	$3^1/_2$-ჯერ მეტი
სასაქონლო პური	21,6	38,3	17 მილიონ ტონით მეტი
ბამბის ნედლეული	0,74	2,7	$3^1/_2$-ჯერ მეტი

ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ ასეთი ნახტომი უმაგალითოა, რაც განახორციელეს სსრ კავშირის მშრომელებმა უმოკლეს პერიოდში.

ამავე პერიოდში საქართველოშიაც ახალი საწარმოებისა და შახტების ამუშავებით დიდი სისწრაფით გაიზარდა მრეწველობა და მისი პროდუქციის გამოშვება. ეს ზრდა შემდეგი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება: 1913 წელს ამოღებული იყო 71 ათასი ტონა ქვანახ-

[6] პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობა 1921—1946 წლებში, ჟურნ. „ბოლშევიკი", № 1, 1946, გვ. 26.

[7] საბჭოთა საქართველოს 20 წელი, გვ. 33.

[8] ი. ბ. სტალინი, წინასაარჩევნო სიტყვა 1946 წ. 9 თებერვალს. 1946, გვ. 24.

შირი. ხოლო 1941 წელს—772,5 ათასი, ე. ი. 10,5-ჯერ მეტი, მარგანეცის სასაქონლო მადანი 1913 წელს ამოღებულ იქნა 965,8 ათასი ტონა, ხოლო 1941 წელს ბევრად მეტი ვიდრე ეს 1913 წ. იყო. გაჩნდა ცემენტის წარმოება მაშინ, როცა რევოლუციამდელ საქართველოში ცემენტის წარმოება სრულიად არ იყო. იგივე ითქმის ნავთობის შესახებაც, რომელიც მაშინ — 1940 წ. 41 ათასი ტონა იქნა ამოღებული. ამასთან ელექტრომრეწველობა საქართველოში 40-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა[9].

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა: მანქანათმშენებლობა, დაზგათმშენებლობა, ფერომარგანეცისა და ნავთობის მრეწველობა, ავტოსარემონტო ქარხანა, ბარიტისა და ცემენტის, გუმბრინისა და მარმარილოს, ლიტაპონისა და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობა, ქაღალდისა და ლაქსაღებავთა წარმოება და სხვ., დიდი სისწრაფით განვითარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. რესპუბლიკის მრეწველობის ეს დარგები ომის პერიოდში ქვეყნის თავდაცვის სამსახურში ჩადგნენ.

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული ამავე პერიოდში საბჭოთა ტრანსპორტის აღმავლობის დარგში. 1940 წლისათვის 1920 წელთან შედარებით რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა საბჭოთა კავშირში 36-ჯერ გადიდდა[10]. ამავე პერიოდში საბჭოთა საქართველოში დიდი წარმატებით განვითარდა რკინიგზის, წყლის, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტი და სატრანსპორტო მეურნეობა. საქართველოს რკინიგზებზე ტვირთბრუნვას თუ 1921 წელს 100%-ად მივიჩნევთ, 1940 წ. იგი 4800% აღემატებოდა. გაიზარდა რკინიგზის ქსელიც. თუ 1913 წ. საქართველოში რკინიგზის სიგრძე 716 კმ არ აღემატებოდა, 1945 წლის ბოლოსათვის 1224 კმ მიაღწია. წარმატებით განხორციელდა გამწევი ძალის ელექტრიფიკაცია, ხაზების ავტობლოკირება და მთელი სატრანსპორტო მეურნეობის სრული ტექნიკური რეკონსტრუქცია.

ამრიგად, ომამდელი ხუთწლედების პერიოდში საქართველო მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად იქცა, რითაც მკვიდრი ნიადაგი მომზადდა იმისათვის, რომ საქართველო დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა არმიის ერთ-ერთი მძლავრი არსენალი გამხდარიყო.

---

[9] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, სახელგამი, 1956, გვ. 68—69.

[10] Н. Вознесенский, Военная экономика СССР в период Отечественной войны, 1948, გვ. 99.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე გარდაიქმნა სოფლის მეურნეობა, გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. სსრ კავშირის სოციალისტური სოფლის მეურნეობა გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე უმსხვილეს და მექანიზებულ სოფლის მეურნეობად. დიდი სამამულო ომის წინ საბჭოთა სოფელს მომსახურეობას უწევდა 7069 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, სადაც გაერთიანებული იყო 435 ათასი ტრაქტორი, 40 ათასი სატვირთო მანქანა და ასეულ ათასობით სხვა სახის სას. სამ. უახლესი ტიპის მანქანა-იარაღები[11]. ამავე პერიოდისათვის განხორციელებული იყო მთლიანი კოლექტივიზაცია, არსებობდა ასეულ ათასობით კოლმეურნეობები და 4 ათასზე მეტი მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული საბჭოთა მეურნეობა[12]. 1940 წლისათვის საბჭოთა ქვეყანაში იწარმოებოდა პური 17 მილიონი ტონით მეტი, ხოლო ბამბეულის ნედლეული $3^1/_2$-ჯერ მეტი, ვიდრე ამას აწარმოებდა მეფის რუსეთი მსოფლიო ომის წინ 1913 წელს[13].

საქართველოს სსრ მრავალდარგოვანი მოწინავე სოფლის მეურნეობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ორგანული შემადგენელი ნაწილია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იწყება საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აღორძინება. ახალ საფუძველზე თანდათანობით მრავლდება საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების რიცხვი, ხორციელდება დიდი მასშტაბით მელიორაციული და ირიგაციული მშენებლობანი. დიდი სამამულო ომის წინ საქართველოში 79 საბჭოთა მეურნეობა და 60 მტს-ი მოქმედებდა, რომლებსაც ათასობით ტრაქტორი, კომბაინი და სხვა სახის უახლესი მანქანები ჰქონდა. მტს-თან შექმნილი იყო მძლავრი სარემონტო ბაზები და სახელოსნოები. მტს-ების ქსელის და სიმძლავრის ზრდის შესაბამისად გაიზარდა მათთვის განკუთვნილ სამუშაოთა მოცულობა. ჯერ კიდევ 1937 წ. მტს-ებმა დახნეს კოლმეურნეობათა მთელი სათესი ფართობის 70,3%, რითაც გლეხობას დიდად შეუმსუბუქდა შრომის მძიმე ტვირთი და გაუმჯობესდა მიწის დამუშავების ხარისხიც.

კოლექტივიზაციის გამარჯვების საფუძველზე საბჭოთა საქართველოში ახალი წარმატებანი იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი მექანიზაციის, მელიორაციისა და ირიგა-

---

[11] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, 1956, გვ. 138—139.

[12] Развитие советской экономики, Стат. матер., сост. Д. Г. Кузменко под ред. Л. М. Готовского, М., 1946, გვ. 64.

[13] ი. ბ. სტალინი, სიტყვა 1946 წ. თებერვალს, გვ. 16.

ციის საქმეში. აშენდა ახალი სარწყავი ნაგებობანი, გრანდიოზული მასშტაბის სამუშაოები ჩატარდა კოლხიდის ჭაობების ამოსაშრობად. კოლხიდისა და აფხაზეთის ახლად ათვისებულ მიწებზე 1940 წლისათვის უკვე მრავალი კოლმეურნეობა იყო მოწყობილი. 20 წლის მანძილზე საქართველოში სწრაფად იზრდება მევენახეობა, მეხილეობა, განსაკუთრებით ჩაის, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობა. ამ კულტურების გაშენებით არამც თუ არ შემცირებულა მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები, არამედ იგი კიდევ უფრო გაიზარდა. საგრძნობლად გადიდდა მოსავლიანობა. მნიშვნელოვნად განვითარდა მეცხოველეობა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგი.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის შედეგად იზრდება კოლმეურნეობათა დოვლათიანობა და კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობა. 1935 წლიდან რამდენიმე კოლმეურნეობა უკვე მილიონერი გახდა, ხოლო ათასობით კოლმეურნე გლეხობა შეძლებული. მაგალითად, 1935 წ. საქართველოში 1 მილიონ მანეთზე მეტი ფულადი შემოსავალი ჰქონდა 7 კოლმეურნეობას, 1937 წელს — 13 კოლმეურნეობას, ხოლო 1939 წელს — უკვე 37 კოლმეურნეობას[14].

საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი ნათლად გამოვლინდა 1939—1940 წწ. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ქ. მოსკოვში. საქართველოდან 1939 წ. გამოფენაზე მონაწილეობდა 496 კოლმეურნეობა, 61 მეცხოველეობის ფერმა და 31 საბჭოთა მეურნეობა[15], 3 სამანქანო-სატრაქტორო სადგური და 3487 მოწინავე ადამიანი[16]. მთავარი საგამოფენო კომიტეტის დადგენილებით პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა 339 მეურნეობა, მეორე ხარისხის დიპლომით — 82, დიდი ოქროს მედლით — 19 კოლმეურნეობა, მცირე ოქროს მედლით — 38. 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კი მონაწილეთა რიცხვი საქართველოდან ორჯერ მეტად გაიზარდა. საქართველოს სოფლის მეურნეობის 166 მოწინავე ოქროს და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდა. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოდან წარდგენილი იყო: 7 მოწინავე რაიონი და 828 კოლმეურნეობა, 43 საბჭოთა მეურნეობა, 6 მტს-ი, 98 მეცხოველეობის ფერმა, 2 უმაღლესი სასწავლებელი, 9 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, 7 ათასამდე სოფლის მეურნეობის ნოვატორი[17]. საქართველოს პავილიონი ერთ-ერთი

[14] საბჭოთა საქართველოს 20 წელი, გვ. 69—70.
[15] საქართველოს კპ (ბ) XII ყრილობა, სტენ. ანგ. გვ. 195.
[16] საბჭოთა საქართველოს 20 წელი, გვ. 7.
[17] იქვე, გვ. 71.

მოწინავეთაგანი იყო და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. იგი ინახულა 5 მილიონამდე კაცმა, საქართველოდან გამოფენაზე 10 ათასზე მეტი ექსკურსანტი გაემგზავრა.

სასოფლო სამეურნეო გამოფენა დიდ სკოლად იქცა მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებისა და ფართო პოპულარიზაციისათვის. გამოფენამ დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

ამრიგად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1921 — 1940 წლების მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნისა და სწრაფი აღორძინების შედეგად მომზადდა მკვიდრი ნიადაგი იმისათვის, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში იგი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად გადაქცეულიყო საბჭოთა არმიის ერთ-ერთ ძლავრ არსენალად.

* * *

ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ლენინური გეგმის ორგანული შემადგენელი ნაწილია კულტურული რევოლუცია, რომელმაც უზრუნველყო მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობა, მშრომელთა კულტურული დონის ამაღლება, საკუთარი სოციალისტური ინტელიგენციის შექმნა, მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაშლა. უზრუნველყოფილ იქნა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მიერ ტექნიკისა და მეცნიერების საფუძვლების დაუფლება, შრომის ნაყოფიერების სწრაფი გადიდება როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ასევე საქართველოში. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა განუყრელად იყო დაკავშირებული მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების მომზადებასთან, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებასთან, სხვადასხვა ტიპის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის შეუნელებელ ზრდასთან.

საქართველოში, ისე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებში, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლამ განაპირობა უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ფართო ქსელის ზრდა-განვითარება. მომზადდნენ ისეთი სპეციალისტები როგორიცაა: ინჟინრები, გეოლოგები, აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ქიმიკოსები, ფიზიოლოგები, ზოოლოგები, ენათმეც-

ნიერები, ლიტერატორები, ისტორიკოსები, ეკონომისტები, გეოგრაფები და უმაღლესი კვალიფიკაციის სხვა კადრები.

საქართველოში უმაღლეს დამთავრებული სპეციალისტები ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ მოძმე რესპუბლიკების საწარმოებსა და ტრანსპორტზე, მშენებლობებსა და კოლმეურნეობებში.

კომუნისტური პარტიის მზრუნველობით დიდი წარმატებით განვითარდა საქართველოში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა. 1922 წლისათვის საქართველოში თუ მხოლოდ 21 სამეცნიერო დაწესებულება ითვლებოდა, 1940 წელს მათი რიცხვი 76-მდე გაიზარდა. გამრავლდა მეცნიერ თანამშრომელთა რიცხვი. 1939 წელს რესპუბლიკის 29 კვლევითი ინსტიტუტი 952 მეცნიერ თანამშრომელს აერთიანებდა, ინსტიტუტების 5 ფილიალი 115 მეცნიერ თანამშრომელს, ხოლო სოფლის მეურნეობის დარგობრივი 14 სამეცნიერო სადგური—140 მეცნიერ თანამშრომელს. დაწინაურდა ტექნიკურ მეცნიერებათა ისეთი დარგები, როგორიცაა ენერგეტიკა, მეტალურგია, მშენებლობა და სამთო მრეწველობა. შესწავლილ და გამოვლენილ იქნა რესპუბლიკის წიაღისეული სიმდიდრენი. დაწინაურდა მათემატიკის, ფიზიკის, ბუნებისმეტყველების, მედიცინისა და მეცნიერების სხვა დარგები. აკად. ნ. მუსხელიშვილის ფუნდამენტალურ ნაშრომს დრეკადობის თეორიის შესახებ 1941 წელს სტალინური პრემია მიენიჭა.

1933 წელს ჩამოყალიბდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. 1935 წელს შექმნილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბაზაზე, 1941 წ. 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 20 წლისთავზე, ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის სწრაფად განვითარების საქმეში. აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, მათემატიკის ინსტიტუტი, ბოტანიკის, ქიმიის, ფიზიკის, გეოფიზიკის. ზოოლოგიისა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტები და შეიქმნა ბევრი სხვა სამეცნიერო დაწესებულება.

საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით დიდი წარმატებით განვითარდა უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული ლიტერატურა—პოეზია, პროზა და დრამატურგია; აღორძინდა ქართული მუ-

სიკა, თეატრალური და კინოხელოვნება. შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა ქართულმა მხატვრობამ — ფერწერის, ქანდაკების და გრაფიკის დარგებმა. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ და უფროს თაობას გვერდში ამოუდგნენ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალგაზრდა ტალანტები, აღზრდილნი საბჭოთა ხელისუფლების დროს და მისი მზრუნველობით.

1937 წლის იანვარში მოსკოვში მოეწყო ქართული ხელოვნების დეკადა, რომელშიც 700-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა. ქართული ხელოვნების დეკადამ მაღალი შეფასება მიიღო. დეკადის ბევრმა მონაწილემ მთავრობის საპატიო ჯილდო დაიმსახურა, ხოლო ზ. ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრი და რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი ლენინის ორდენებით იქნენ დაჯილდოებული.

დიდ წარმატებას მიაღწია კინოხელოვნებამ. აშენდა თბილისის კინოფაბრიკა, სადაც 20 წლის მანძილზე გამოშვებულ იქნა 150 სრულმეტრაჟიანი საბჭოთა ფილმი, რომელთა დიდმა ნაწილმა საყოველთაო მოწონება და აღიარება პოვა. საქართველოს ქალაქები და სოფლები დაიქსელა კინოთეატრებითა და კინოდანადგარებით. 1940 წლისათვის მათი რიცხვი 341-მდე გადიდდა[18]. გამრავლდა საკლუბო დაწესებულებები და სხვ.

სწრაფად ვითარდება მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა. საბჭოთა საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის ეპოქის დიად ნაგებობებად დარჩებიან თბილისის დინამოს სტადიონი (ა. ქურდიანი, 1935 წ.), მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა (ა. შჩუსევი, მოქანდაკე თ. აბაკელია და ი. ნიკოლაძე, 1938 წ.), საქართველოს სსრ მთავრობის სასახლე (ვ. კოკორინი და გ. ლეჟავა), თბილისის ი. ბ. სტალინის სანაპირო ქუჩა, (ა. კოჩინაშვილი, 1935—1939 წ.) და სხვ.

ომამდელი ხუთწლედების მანძილზე საქართველოში ასევე ფართოდ განვითარდა ბეჭდვითი სიტყვა და რადიო, გადიდდა მასობრივი ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების რიცხვი, მოხდა მათი შევსება ახალი ექსპონატებით და წიგნებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მიღწევები, რომლებიც მოპოვებულ იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების თარგმნისა და ქართულად გამოცემის საქმეში. მასობრივი ტირაჟით გამოიცა ქართული მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწერები, დიდი ყურადღება მიექცა მსოფლიო ლიტერატურის, რუსული და

[18] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, გვ. 239.

სსრ კავშირში შემავალი სხვა მოძმე ხალხების კლასიკური მწერლობის საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე თარგმნის საქმეს. ასევე შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კლასიკური და საბჭოთა მწერლობის ცალკე ნიმუშები დიდი ტირაჟით ითარგმნა რუსულ, სსრ კავშირის ხალხთა და უცხო ენებზე.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ახალ საფუძველზე აღორძინდა ქართული საბჭოთა მწერლობა. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი გახდა საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ხალხთა მწერლობაში. დიდი ტრადიციების მქონე ქართული საბჭოთა მწერლობა განვითარდა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების საფუძველზე, გაიზარდა და ქართველი მწერლების უფროს თაობას გვერდში ამოუდგა ბევრი ახალგაზრდა ტალანტი, რომლებმაც გაამდიდრეს ქართული მწერლობა — პოეზია, პროზა და დრამატურგია.

ქართულ საბჭოთა ხელოვნებასა და მწერლობაში ამ პერიოდში ნათლად აისახა საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და მათი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის დიადი იდეები, ხალხის ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, ასევე ახალი სოციალურ-ეკონომიური ძერები და ხალხის შეგნებაში მომხდარი ის ფსიქიური გარდაქმნები, რაც სოციალიზმის ვამარჯვებისა და კულტურული რეეოლუციის საფუძველზე საქართველოში განხორციელდა.

დიდი ყურადღება მიექცა ქართული კლასიკური მწერლობის დიადი მემკვიდრეობის ღირსეულად დაფასებას; ჯერ კიდევ 1937 წელს 26 დეკემბერს ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა რუსთაველის უკვდავი პოემის 750 წლისთავი. ეს დიდი იუბილე მთელი საბჭოთა ხალხის საერთო დღესასწაულად გადაიქცა.

ასევე დიდი ზეიმით აღინიშნა ქართული ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსის და ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე. კომუნისტური პარტიის სწორი ეროვნული პოლიტიკის შედეგად განმტკიცდა ხალხთა შორის მეგობრობა და უანგარო სიყვარული. საბჭოთა ხალხების მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთ უმთავრეს თემად იქცა.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში სამშობლოს ცნება განვითარდა და ახალი ფართო შინაარსი მიიღო; სამშობლო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა ქვეყნის და მის მრავალეროვან ხალხთა მიწა-წყლის გამომხატველ ცნებადაც იქცა. ქართველმა მწერლებმა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლე-

ბული და აღორძინებული საქართველო დაგვიხატეს მთელი თავისი სიდიადით. ამ აყვავებული და განახლებული სამშობლოს დაცვის იდეა მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში ბევრად ადრე, ვიდრე სამამულო ომი დაიწყებოდა. თავდაცვის თემატიკაზე იქმნება საინტერესო ლიტერატურა.

სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მ. გორკი თავის დროზე აფრთხილებდა საბჭოთა მწერლებს: „სერიოზულად უნდა ვიფიქროთ აგრეთვე თავდაცვითი ლიტერატურის შექმნის აუცილებლობაზე, რადგან ფაშიზმი გულმოდგინედ ლესავს კბილებს და ბრჭყალებს ჩვენს წინააღმდეგ“. მ. გორკის რჩევა ქართველმა მწერლებმა შემოქმედებით ვალდებულებად მიიღეს. ჯერ კიდევ 1938 წელს გამოიცა ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა კრებული „სამშობლო“, რომელშიც შეტანილი ლექსები სამშობლოს დაცვის თემატიკისა და მშობლიური საბჭოთა არმიის დიდებისადმია მიძღვნილი.

ამრიგად, ქართველმა მწერლებმა ჯერ კიდევ 1940 წლამდე შეძლეს თავიანთ მაღალმხატვრულ ლექსებსა, პიესებსა და მოთხრობებში ჩვენება თავისუფალი და „განახლებული ქართველი ერი“-ს ცხოვრებისა და მისი მზადყოფნისა სამშობლოს დაცვისათვის. სამშობლოს სიყვარულისა და მისი თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ვაჟკაცური ბრძოლების ტრადიციები კიდევ უფრო დიდ შთამაგონებელ ძალად იქცევა და ბასრ იარაღად ხდება ქართველი მწერლების ხელში სამამულო ომის პერიოდში.

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის სწრაფ აღმავლობასთან ერთად შეუნელებლად უმჯობესდება მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. გამრავლდა მოსახლეობა, სახე შეიცვალა სოფლებმა, საქართველოს ბევრ რაიონსა და სოფელში კოლმეურნეებმა აიგეს კეთილმოწყობილი ორსართულიანი სახლები, მოხდა სოფლების რადიოფიცირება, გაშენდა კლუბები და თეატრები, რესპუბლიკა დაიქსელა კეთილმოწყობილი საავტომობილო გზებით, დიდი სისწრაფით გამრავლდა ავტოტრანსპორტთა პარკები.

სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 15 მარტის დადგენილებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის ს ა ბ ჭ ო თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ე ნ ი ნ ი ს ო რ დ ე ნ ი თ დაჯილდოვდა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის წარმატებით განხორციელებამ უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება, რის შედეგად საფუძვლიანად შეიცვალა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა.

საბოლოოდ მოისპო ექსპლოატატორული კლასები. დარჩა ერთ-მანეთისადმი მეგობრული მუშათა კლასი, გლეხთა კლასი და მშრომელი ინტელიგენცია. განმტკიცდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგები და მისი ერთიანობა. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად დამკვიდრდა ჩვენი საზოგადოების ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა საბჭოთა ადამიანების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი[19].

1936 წლის დასასრულს სსრ კავშირის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ მიიღო და დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია, რომელსაც საბჭოთა ხალხმა გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია უწოდა. ამ კონსტიტუციის საფუძველზე საბჭოთა საქართველოს. აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები, რომლებიც მანამდე ამიერკავკასიის ფედერაციაში ერთიანდებოდნენ, მოკავშირე რესპუბლიკებად გარდაიქმნენ და უშუალოდ შეეიდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

1937 წლის 13 თებერვალს სრულიად საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე მიღებულ იქნა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია, რომელშიც აისახა ის მიღწევები, რომელსაც რესპუბლიკამ სოციალიზმის აშენების შედეგად მიაღწია.

1941 წლის თებერვალში საბჭოთა საქართველოს თავისი არსებობის 20 წელი შეუსრულდა. კომუნიზმის დიადი გზით მიმავალმა ხალხმა საზეიმო ვითარებაში შეაჯამა ყველა ის შესანიშნავი მიღწევა, რომელიც მოპოვებულ იქნა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ორი ათეული წლის მანძილზე. საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას არ ახსოვს და შეუძლებელია ახსოვდეს დროის ისეთ მცირე მონაკვეთში, როგორიც ორი ათეული წელია, მიეღწიოს ისეთი წარმატებისათვის, როგორიც მან საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 1921—1941 წლების მანძილზე სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში მოიპოვა. სწორედ ამ ისტორიულმა წარმატებებმა განაპირობეს საბჭოთა საქართველოს ის საპატიო როლი, რომელიც მან, როგორც

---

[19] კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობაზე საბჭოთა ხალხის ამ მსოფლიო ისტორიულ მონაპოვართა დახასიათებისას ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „ეს, სხვათა შორის, იმას ნიშნავს, რომ ომის შემთხვევაში ჩვენი არმიის ზურგი და ფრონტი, მათი ერთგვაროვნობისა და შინაგანი ერთიანობის გამო, — უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე ყოველ სხვა ქვეყანაში, რაც საჭიროა ახსოვდეს სამხედრო შეტაკებათა საზღვარგარეთელ მოყვარულთ“. ეს კარგად დაადასტურეს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შედეგებმა.

ქვემოთ დაერწმუნდებით, საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში შეასრულა.

ბუნებრივია, მიღწევები გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, რომ წლების მანძილზე რესპუბლიკების ხელმძღვანელ ორგანოებში მოკალათებულ ბერიას და მისი დამქაშების დანაშაულებრივ ბოროტმოქმედებას არ ჰქონოდა ადგილი. რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამხედრო კადრების, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების განადგურებით, ამ ბანდამ უდიდესი ზიანი მიაყენა საბჭოთა ქვეყანას, ქართველ ხალხს, მისი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობას. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, თუ საქართველოს წინსვლა, მისი სწრაფი სამეურნეო და კულტურული განვითარება ვერაფერმა ვერ შეაჩერა, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უდიდეს უპირატესობას ყოველგვარ სხვა წყობილებასთან შედარებით და ქართველი ხალხის დაუშრეტელ შემოქმედებითს ძალასა და ძლიერებას.

* *
*

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სამყარო ორ ბანაკად — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ბანაკად გაიყო. საბჭოთა კავშირის ლენინურმა საგარეო პოლიტიკამ დიდი ხნის მანძილზე მოუპოვა საბჭოთა ხალხს მშვიდობიანი პერიოდი. ამ ხნის განმავლობაში აშენდა სოციალიზმი და დაიწყო კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლა. ჩვენი ქვეყნის ზრდასთან ერთად განმტკიცდა მისი თავდაცვისუნარიანობა.

საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე თუ წარმატებით ახორციელებდა სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას, კაპიტალიზმის სამყაროში სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა შეურიგებელი ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობები. 1929 წელს მწვავე ეკონომიურმა კრიზისმა მთელი მსოფლიოს კაპიტალისტური ქვეყნები შეარყია. ამერიკის შშ-ის მრეწველობა თითქმის 50% შემცირდა, გერმანიისა — 40%, საფრანგეთისა — 30%. უმუშევართა რიცხვმა კაპიტალისტურ ქვეყნებში 30 მილიონს გადააჭარბა. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი 1933 წლამდე მძვინვარებდა, რამაც კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი უკიდურესობამდე გაამწვავა. ნედლეულისა და გასაღების ბაზრების მოპოვებისათვის ბრძოლაში ისინი ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდნენ, ზოგ კაპიტალისტურ ქვეყანაში იმარჯვებს ფაშიზმი.

ფაშიზმმა, როგორც მსხვილი იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციულმა დიქტატურამ, გაიმარჯვა იტალიასა და გერმანიაში, იგი გზას იკაფავდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

ბურჟუაზია მაქსიმალური მოგების მიღებისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით ქვეყნის მართვის ფაშისტურ-ტერორისტულ მეთოდებზე გადავიდა, ახალი ომის გაჩაღების გზით კრიზისიდან გამოსავალს ეძებდა.

ფაშისტურ გერმანიას და იმპერიალისტურ იაპონიას დიდ დახმარებას უწევდნენ ამერიკისა და ინგლის-საფრანგეთის რეაქციული წრეები. ფაშისტური გერმანიის გააფთრებული მილიტარიზაცია ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტების დახმარებით ფინანსდებოდა. გერმანიის შეიარაღებას ისინი იმ მიზნით ეწეოდნენ, რომ იგი მთლიანად ყოფილიყო გამოყენებული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ მიზნით 1933 წლიდან 1936 წლამდე გერმანიაში, ინგლის-ამერიკის დახმარებით აშენებულ იქნა 300-ზე მეტი დიდი სამხედრო ქარხანა, მათ შორის: 60 ავიაციის, 45 ავტომობილისა და ჯავშნოსან-სატანკო, 70 სამხედრო-ქიმიური, 80 არტილერიის, 15 სამხედრო-გემთმშენებლობის ქარხნები. 1933 წლიდან მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამდე გერმანიამ მარტო შეიარაღებაზე 90 მილიარდი მარკა დახარჯა. მეორე მსოფლიო ომის წინა 5-წლედში იგი ომის მომზადებაზე ყოველწლიურად ხარჯავდა მთელი ნაციონალური შემოსავლის 30%-ზე მეტს. ამრიგად, გერმანიის ეკონომიკა მთლიანად ომის მომზადების ამოცანებისადმი იქნა დამორჩილებული. მაგ., 1939 წლისათვის გერმანიაში მხოლოდ უშუალოდ სამხედრო მრეწველობაში 2,5 მილიონზე მეტი მუშა იყო ჩაბმული, განხორციელებულ იქნა სამწყებიან სამუშაოზე გადაყვანა მუშებისა და ოფიციალურად დაწესდა 10 საათიანი სამუშაო დღე[20].

გამალებულმა მილიტარიზაციამ მოსპო წვრილი მრეწველობა, გააუარესა მშრომელთა ცხოვრების პირობები, გააძლიერა კაპიტალისტთა ზემოგება მწარმოებელი კლასის ექსპლოატაციის შემდგომი გაძლიერების საფუძველზე. გერმანიაში შოვინისტური და რევანშისტულ-ფაშისტური პროპაგანდა ხელს უწყობდა მილიტარიზმის აღორძინებას და ხალხის მასების მოტყუებას. მეორე მსოფლიო ომი დღითი დღე ახლოვდებოდა.

---

[20] Материалы бывш. министерства хозяйства Германии, Центр. архив Министерства внешней торговли СССР, 1947, гз. 1.

ასეთ ვითარებაში ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიული სახელმწიფოები „ჩაურეველობის“ მიუნხენური პოლიტიკის გზას ადგნენ, რომელიც აძლიერებდა ფაშისტურ აგრესიას, მიმართულს პირველყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ფაშისტურ გერმანიაში გაცხოველებული აგიტაცია „ბოლშევიკური წითელი იმპერიალიზმისაგან“ ევროპისა და მსოფლიოს დაცვის შესახებ ადვილად ითრევდა თავის გავლენის სფეროში ევროპისა და ამერიკის შშ-ის რეაქციული ბურჟუაზიის ძალებს. რეაქციული ბურჟუაზიის ეს უგუნური პოლიტიკა ოსტატურად გამოიყენეს ფაშისტური გერმანიის მესვეურებმა და მოხდა ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის ბურჟუაზიის მოლოდინის სავსებით საწინააღმდეგო რამ.—მათ მიერ შეიარაღებული ფაშისტური გერმანია და მისი თანამზრახველნი მსოფლიოს დაპყრობაზე იწყებენ ოცნებას. კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობები ახალი სიძლიერით მწვავდება. მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ჩამოყალიბდა ორი იმპერიალისტური დაჯგუფება—აშშ-სა და ინგლის-საფრანგეთის მეთაურობით, ერთი მხრივ, ხოლო ფაშისტური გერმანიის, იაპონიისა და იტალიის მეთაურობით, მეორე მხრივ. მეორე მსოფლიო ომი თანდათან ახლოვდებოდა. ფაშისტური იტალია იპყრობს ალბანეთს, საბერძნეთსა და აბისინიას, იაპონია შეიჭრა ცენტრალურ და ჩრდილო ჩინეთში, იგი უახლოვდება საბჭოთა აღმოსავლეთის საზღვრებს. გერმანიამ გაუქმა ვერსალის ხელშეკრულება, დაიპყრო ავსტრია, ჩეხია, ხოლო 1939 წ. იგი თავს ესხმის პოლონეთს. ამის საპასუხოდ ინგლის-საფრანგეთმა, კანადამ და სხვ. ქვეყნებმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების დღიდან, ვიდრე სსრ კავშირის სამამულო ომამდე საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში მეტად ღირსშესანიშნავ ისტორიულ მოვლენებს ჰქონდა ადგილი. უკრაინის და ბელორუსიის რესპუბლიკების ფარგლებში შევიდა წინათ მიტაცებული მიწა-წყალი და მოძმე მოსახლეობა. ამით განხორციელდა უკრაინელი და ბელორუსი ხალხების სანუკვარი ოცნება მათი ერთ მთლიან ნაციონალურ სახელმწიფოებად გაერთიანების შესახებ.

ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა—ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა საბჭოთა ხალხების დახმარებით დაამხეს ანტიხალხური ბურჟუაზიული წყობილება და საბჭოთა დიდ ოჯახს შეუერთდნენ. 1940 წელს საბჭოთა ხალხების ოჯახს მიემატა 5 ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა: ლატვიის სსრ, ლიტვის სსრ, ესტონეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, კარელია-ფინეთის სსრ.

საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრები ამ ღონისძიების შედეგად ასეული კილომეტრით გადაიწია დასავლეთით და იგი საგრძნობლად დაშორდა სსრ კავშირის მთავარ სასიცოცხლო ცენტრებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებისათვის.

ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირი გაცხოველებით ემზადებოდა ქვეყნის თავდაცვის ყოველმხრივ გაძლიერებისათვის.

1940 წლის ივნისში პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მშრომელთა სახელით მიმართა საბჭოთა მთავრობას წინადადებით: ექვსდღიანი კვირიდან შვიდდღიან კვირაზე გადასვლის, სამუშაო დღის 8 საათამდე გადიდებისა და მუშებისა და მოსამსახურეების საწარმოო დაწესებულებებიდან თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1940 წლის 2 ივნისის ბრძანებულებით მოიწონა ეს წინადადება და მან კანონის ძალა მიიღო. ასევე დიდი ღონისძიებები გატარდა სოფლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. გაძლიერდა სპორტული ორგანიზაციების, თავდაცვა-ავიაქიმის, წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა არმიის საბრძოლო ოსტატობის, მისი შეიარაღებისა და პოლიტიკური მომზადების ზრდის საქმეს, გაძლიერდა საბჭოთა არმიის ხელმძღვანელი კადრები, მისი საზღვაო და საავიაციო ფლოტი.

ცნობილია, რომ სსრ კავშირის მესამე ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად შედგა საქართველოს სახალხო მეურნეობის ახალი ხუთწლიანი გეგმა. უდიდესი პერსპექტივები დაესახა რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. მაგრამ ფაშისტური გერმანიის თავდასხმის გამო იგი დროებით გადაიდო.

ფაშისტური გერმანია სსრ გავშირზე თავდასხმისათვის დიდი ხნით ადრევე ემზადებოდა. ფაშისტური გერმანიის სარდლობის მიერ შემუშავებული სსრ კავშირზე თავდასხმის გეგმა ჰიტლერის მიერ დამტკიცებულ იქნა 1940 წ. 18 დეკემბერს. ჰიტლერმა თავისი სარდლობის ერთ-ერთ თათბირზე განაცხადა:

„ჩვენთვის საკმარისი როდია მხოლოდ რუსეთის არმიის განადგურება და ლენინგრადის, მოსკოვის, კავკასიის დაპყრობა. ჩვენ უნდა აღვგავოთ ეს ქვეყანა პირისაგან მიწისა და მოვსპოთ მისი ხალხი“[21].

---

[21] გაზ. „Красная Звезда,“ 1945, 11 декабря.

ფაშისტური გერმანიის სარდლობა წინასწარ შემუშავებული „ბარბაროსას გეგმის“ სტრატეგიულ ჩანაფიქრს ამყარებდა „ელვისებურ“ ომზე, რომლის მიხედვით მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, კავკასიის სწრაფად დაპყრობა და ვოლგისპირეთზე გამოსვლა განხორციელდებოდა 2—3 თვეში, იმ ანგარიშით, რომ შემოდგომის დაწყებამდე სსრ კავშირის წინააღმდეგ ომი გამარჯვებით დაგვირგვინებულიყო.

1941 წლის 6 ივნისს (თავდასხმამდე ორი კვირით ადრე) ჰიტლერმა გამოსცა დირექტივა, რომელიც გაეგზავნა სსრ კავშირის საზღვრებზე გადმოსროლილ ათეულ დივიზიებისაგან შემდგარ სარდლობას, სადაც მითითებული იყო: „თავდასხმის დღეა—22 ივნისი. საათი—დილის 3 საათი და 30 წუთი, არმია მოქმედებს ავიაციისაგან დამოუკიდებლად“. როგორც ცნობილია, ფაშისტური გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა შეასრულეს ჰიტლერული სარდლობის ბრძანება.

განყოფილება მეორე

ფაშისტური გერმანიის თავდასხმა სსრ კავშირზე და მთელი ძალების მოგბილიზება საბჭოთა სამშობლოს დასაცავად

თავი I

დიდი სამამულო ომის დაწყება და საძართველოს მშრომელთა დარაზმვა მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირს ვერაგულად დაესხა თავ ფაშისტური გერმანია. სსრ კავშირის წინააღმდეგ დაიძრა გერმანიის წინასწარ მობილიზებული და უახლესი სამხედრო ტექნიკით შეიარაღებული 153 დივიზია.

ჰიტლერული გერმანიის შეიარაღებულ ძალებთან ერთად სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაება ფინეთის, რუმინეთისა და უნგრეთის 37 დივიზიისაგან შემდგარი არმიები, რომელთაც ფაშისტური იტალიაც შეუერთდა. აგრესული მიზნებისათვის სსრ კავშირის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა აგრეთვე ფაშისტური გერმანიის მიერ დაპყრობილი საფრანგეთის, პოლონეთის, ნორვეგიის, ბელგიის, დანიის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკა და სამხედრო ძალები. გერმანიას დახმარებას უწევდა ბულგარეთი და ესპანეთი. იმპერიალისტური იაპონია მომენტს ელოდებოდა ქვანტუნის მილიონიანი არმიით, რათა აღმოსავლეთიდან დასხმოდა თავს სსრ კავშირს. ასეთივე იყო თურქეთის მთავრობის ზრახვებიც.

ჰიტლერელთა ჯარებმა დაარღვიეს საბჭოთა საზღვრები და ბარენცის ზღვიდან შავზღვამდე გაშალეს ფრონტი. ისინი ტანკებითა და ზარბაზნებით შემოიჭრნენ საბჭოთა მიწა-წყალზე. გერმანელთა ავიაცია ერთდროულად თავს ესხმოდა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობას და გააფთრებით უშენდა ყუმბარებს კიევს, ჟიტომირს, მინსკს, კაუნასს, სევასტოპოლსა და სხვა ქალაქებს, სარკინიგზო კვანძებს და ნავსადგურებს. ასე გააჩაღეს ფაშისტ-დამპყრობლებმა აგრესული ომი საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ და მხოლოდ საომარი მოქმედების შემდეგ ოფიციალურად აუწყეს საბჭოთა მთავრო-

ბას გერმანიის მიერ ომის დაწყების შესახებ სსრ კავშირის წინააღ-
დეგ[1].

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი შეწყდა. საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი პერიოდი—პერიოდი დიდი სამამულო ომისა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. მტრის დიდი ძალების ვერაგული თავდასხმით საბჭოთა საშობლოს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა, მაგრამ საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის მეთაურობით არ შემდრკალა; ომის დაწყების დღესვე საბჭოთა მთავრობამ განცხადებით მიმართა საბჭოთა ხალხს, განუმარტა მას ფაშისტური გერმანიის მიერ დაწყებული ომის მიზნები, ომის ხასიათი და დაუსახა უბოროტეს მტერზე გამარჯვების საბრძოლო ამოცანები. „ახლა მთელი ჩვენი ხალხი ისე მჭიდროდ დარაზმული და ერთიანი უნდა იყოს,—ნათქვამია განცხადებაში,—როგორც არასოდეს არ ყოფილა. თვითეულმა ჩვენთაგანმა თავის თავს და სხვებს უნდა მოსთხოვოს დისციპლინა, ორგანიზებულობა, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტის თავგანწირვა, რათა უზრუნველვყოთ წითელი არმიის, ფლოტისა და ავიაციის მთელი საჭიროება, რათა უზრუნველვყოთ მტერზე გამარჯვება“[2]. განცხადება მთავრდებოდა გულში ჩამწვდომი სიტყვებით: „ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“, რომლებშიაც გამოხატულება პოვა საბჭოთა ადამიანების შეურყეველმა რწმენამ მტერზე გამარჯვებისა.

1. ᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲢᲝᲚᲕᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

გულშემზარავი ამბავი საბჭოთა სამშობლოზე მტრის ვერაგული თავდასხმის შესახებ რადიოთი ერთდროულად მოეფინა მთელ ქვეყანას, მან საბჭოთა ადამიანები აღაშფოთა და მასობრივად აღაგზნო სოციალიზმის დიად მონაპოვართა დაცვისათვის. მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხები კიდევ უფრო მეტი ერთსულოვნებით დაირაზმნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. კომუნისტური პარტიის მოწოდება: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვების მოპოვებისათვის“ საბჭოთა ადამიანების მოქმედების პროგრამად იქცა.

საბჭოთა მრავალეროვანი ხალხების მზადყოფნა, მათი მტკიცე გადაწყვეტილება—ბოლომდე იბრძოლონ ფაშისტური გერმანიის

---

[1] Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны, т. I, М., 1946, გვ. 126—127.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1941, 22 ივნისი.

განადგურებისა და საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ნათლად გამოიხატა იმ მასობრივ პატრიოტულ მიტინგებზე, რომლებმაც ერთდროულად გადაიქროლეს საბჭოთა კავშირის უზარმაზარ სივრცეზე. ხალხმრავალ სახელდახელოდ გამართულ მიტინგებზე საბჭოთა ადამიანებმა გამოხატეს არა მარტო გულისწყრომა, არამედ ფიციც დადეს სამშობლოს წინაშე, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაიცავდნენ სოციალისტურ სამშობლოს და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად.

ქართველმა ხალხმა სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად მთელი სიმძაფრით განიცადა ფაშისტური გერმანიის ეერაგული თავდასხმა. რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, ინდუსტრიულ ცენტრებსა, სარკინიგზო კვანძებსა და საზღვაო ნავსადგურებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამართულ მასობრივ მიტინგებზე საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად გამოთქვამდნენ თავიანთ მრისხანებას აგრესორის წინააღმდეგ და მზადყოფნას სამშობლოს დაცვისათვის.

საქართველოს მშრომელებმა მთელი სიცხადით წარმოიდგინეს. რომ ფაშისტი დამპყრობლები დამონებას უქადდნენ თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს მთელ საბჭოთა ხალხებთან ერთად. ამიტომ სამშობლოს დაცვისათვის ისტორიულ ბრძოლებგადახდილი ქართველი ხალხი, რომლის წინაპრები გმირულად ებრძოდნენ არაბობას და თურქობას, თემურ-ლენგის და შაჰ-აბაზის, შაჰ-ნადირისა და აღა-მაჰმად-ხანის ურდოებს, უმაგალითო ერთსულოვნებით ირაზმება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მთელი გააფთრებით ებრძვის ფაშისტურ გერმანიას.

საქართველოს ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდობა სტოვებს საწარმოებსა და დაწესებულებებს, საკოლმეურნეო მინდვრებს, მტს-ებს, საბჭოთა მეურნეობებს და ფრონტზე მიდის.

რესპუბლიკის მშრომელები საქალაქო და სადაბო ცენტრებში, სოფლსაბჭოებსა და კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამართულ მიტინგებზე ერთსულოვანი მზადყოფნით აცხადებდნენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად[3].

---

[3] მაგ., ხაშურის სავაგონო დეპოში გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოსული სტახანოველი მუშები: დ. ჩადუნელი, ნ. პოგვერაძე, დ. ყიფშიძე და სხვანი ალალ კონკრეტულ საწარმოო ვალდებულებას კისრულობენ და აცხადებენ: „მზად ვართ პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე საკუთარი მკერდით დავიცვათ საყვარელი სამშობლოს საზღვრები". (გაზ. „კომუნისტი", 1941, 25 ივნისი). ამავე დროს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის კოლექტივი პირობას დებს: „ყველა, როგორც ერთი კაცი დავირაზმებით ბოლშევიკური პარტიის გარშემო, გავასამკეცებთ ჩვენს ენერგიას ქვეყნის საშხედრო და სამეურნეო ძლი-

საქართველოს მშრომელთა გულში ყველგან ერთმა ფიქრმა, ერთმა აზრმა და განცდამ დაისადგურა: კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა დროულად განხორციელებით ფრონტზე და ზურგში უზრუნველეყოთ სამშობლოს დაცვა.

ქართველი ხალხის ეს ერთსულოვანი ზრახვები მთელი თავისი მრავალმხრივობით კარგად გამოხატეს საქართველოს კულტურისა და მეცნიერების მუშაკებმა, მთელმა ჩვენმა ინტელიგენციამ; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების, ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლების—აკადემიკოსების ნ. მუსხელიშვილის, ა. ჯანელიძის, ი. ბერიტაშვილის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, კ. კეკელიძის, ს. ჯანაშიას და სხვათა მოწოდებითი ხასიათის წერილში—„მტერს დაღუპვა არ ასცდება“—სხვათა შორის ნათქვამია: „სამშობლოს დასაცავად აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც თავის მშობლიურ მიწა-წყალს იცავს ბარბაროსთა შემოსევისაგან, რომლებიც კაცობრიობას დეგრადაციისა და შუასაუკუნეებისაკენ ეწევიან.

საბჭოთა ინტელიგენცია, საბჭოთა ქვეყნის მეცნიერები გვერდში უდგანან ხალხს, მზად არიან მთელი თავისი ცოდნა, მთელი თავისი ენერგია, და თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც შესწირონ მტერზე გამარჯვების საქმეს“[4].

ქართული ხელოვნების მუშაკები, მწერლები, არტისტები, მხატვრები, ასევე რესპუბლიკის პედაგოგიურ პერსონალთა სახელოვანი რაზმი მტკიცე და ურყევ რწმენას გამოთქვამდნენ ჩვენი დიადი სამშობლოს ძლევამოსილებისადმი, კომუნისტური პარტიის უდიდესი მაორგანიზებელი ძალისადმი და პირობას იძლეოდნენ, რომ სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოლებდნენ სამშობლოს ღაცვისათვის.

* * *

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ომის დაწყებისთანავე მტრისათვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გასაწევად მიიღო პირველი რიგის გადამჭრელი ზომები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში 22 ივნისსავე სამხედრო მდგომარეობა შეიქმნა. ამასთანავე მობილიზაცია გამოცხადდა 14 სამხედრო ოლქისა: ლე-

---

ერების განმტკიცებისათვის, პირობას ვიძლევით მივცემთ ქვეყანას გეგმის გადაჭარბებით ახალ ჩარხებს“. თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნავს — „ჩვენი დიდი ოქტომბრის რევოლუციით მოპოვებულ თავისუფლებას ვერავინ წაგვართმევს. ჩვენ ვიბრძოლებთ მტკიცედ, შეუპოვრად, მთელი სისასტიკით, სიმართლე ჩვენს მხარეზეა და მტერი გასრესილი იქნება“ (გაზ. „კომუნისტი“, 1941, 24 ივნისი).

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1941, 23 ივნისი.

ნინგრადის, ბალტიისპირეთის, დასავლეთის, ოდესის, ხარკოვის, კიევის, მოსკოვის, ორლოვის, არხანგელსკის, ურალის, ციმბირის, ვოლგისპირეთის, ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიებზე, საიდანაც მობილიზაციის წესით საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგნენ 1905—1918 წლებში დაბადებული საბჭოთა მოქალაქენი. ამასთანავე დაიწყო გამანადგურებელი ბატალიონებისა და სახალხო ლაშქართა ფორმირება, რომელსაც თან ერთვოდა მოხალისეთა ლტოლვა საბჭოთა არმიაში და ამ არმიისათვის მძლავრი რეზერვების შექმნა.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის ახალ შევსებას, საბჭოთა არმიის რიგებში სამხედროვალდებულთა სწრაფად და ორგანიზებულად გაწვევას, რომელიც საქართველოში, ისე როგორც მთელ მრავალეროვან სსრ კავშირში, დიდი პატრიოტული აღმავლობით მიმდინარეობდა. საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი კანონმდებლობითი ღონისძიებები განახორციელა მობილიზებულთა ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარებისა და მათი მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით. სამხედრო პირთა ოჯახებზე ზრუნვა მშრომელთა საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა.

საქართველოში სამხედრო ვალდებულთა ჯარში გაწვევა თავიდანვე ისეთი პატრიოტული აღტყინებით გაჩაღდა, რომ იგი სწრაფად გადაიზარდა ფრონტზე მიმავალ მოხალისეთა ფართო მოძრაობაში.

საბჭოთა საქართველოს ასეულ ათასობით პატრიოტი არ დაელოდა მობილიზაციას, რაიონების სამხედრო კომისარიატების შესაკრებ პუნქტებში გამოცხადდნენ და საბჭოთა არმიის რიგებში გაგზავნის სურვილი გამოთქვეს. ფრონტებზე წავიდნენ რესპუბლიკის საუკეთესო ადამიანები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, პარტიული და კომკავშირული აქტივი.

საქართველოს კომპარტიის რიგებიდან ნახევარზე მეტი—98 8239 წევრიდან 52 600 კომუნისტი სამამულო ომის ფრონტებზე წავიდა. განსაკუთრებით დიდი იყო ფრონტებზე წასულ კომკავშირელთა რიცხვი, რაც 160 000 კაცს აღემატებოდა.

სამამულო ომის დაწყებიდან მოკლე დროში საბჭოთა არმიაში რეორგანიზებულ იქნა პოლიტიკური პროპაგანდის ორგანოები, აღდგენილ იქნა სამხედრო კომისართა ინსტიტუტი. ამავე დროს საბჭოთა არმიის რიგების განმტკიცებისა და მისი ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის არმიაში სამუშაოდ გაიგზავნა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე—როგორც საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და აპარატის მუშაკები, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრა-

ლური და საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნები და გამოჩენილი საბჭოთა მუშაკები. ფრონტზე წავიდა საქართველოს კომპარტიის და საბჭოთა ხელმძღვანელ მუშაკთა დიდი ნაწილი.

რესპუბლიკის ბევრი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკი, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, რაიონული და საოლქო კომიტეტის მდივნები, რომლებიც საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგნენ, მონაწილეობას ღებულობენ მრავალი საბრძოლო ოპერაციის ხელმძღვანელობაში და სამაგალითოდ წარმართავენ პოლიტიკურ მუშაობას მებრძოლთა და ოფიცერთა შორის ფრონტებზე; ისინი არმიებსა და დივიზიებში, პოლკებსა და სხვა დანაყოფებში ხელმძღვანელობდნენ პოლიტგანყოფილებებს, ასრულებდნენ სამხედრო კომისრებისა და პოლიტხელის მოვალეობებს და სამხედრო მეთაურებთან ერთად სრულ პასუხისმგებლობას კისრულობდნენ საჯარისო დანაყოფთა მიერ საბრძოლო ამოცანების ჯეროვნად შესრულებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მუშებისა და კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი, მათი ლტოლვა ფრონტებზე, რათა იარაღით ხელში შებრძოლებოდნენ მტერს და გზა გადაეღობათ მისი წინსვლისათვის.

რესპუბლიკის სამრეწველო რაიონების, ფაბრიკა-ქარხნების, მტს-ების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, ასევე მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა ყველაზე უფრო აქტიური და ჯან-ღონით სავსე კადრები ფრონტზე წავიდნენ. ისინი კი, რომლებიც დატოვებულ იქნენ ზურგში, გაორკეცებული დატვირთვით მუშაობდნენ ფრონტის ინტერესებისათვის.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რესპუბლიკის სამრეწველო მუშათა რა დიდი ნაწილი წავიდა ფრონტებზე, ჩვენ აქ საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის ქ. ქუთაისის მაგალითს მოვიყვანთ. ქალაქის ყველა საწარმოში 1941—1942 წლების მანძილზე ახლად მოსულ მუშათა შემადგენლობა, რომლებმაც ნაწილობრივ (და არა მთლიანად) შესცვალეს ფრონტზე წასული მუშები, 50%-ზე მეტს (10 300 კაცს) შეადგენდა[5]. ხოლო რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი სამრეწველო რაიონის საწარმოებში მხოლოდ ომის დასაწყისში ახლად მოსული მუშები მთელი მუშათა შემადგენლობის 40,5% შეადგენდნენ, რომლებიც ნაწილობრივ ცვლიდნენ ფრონტზე წასულ კადრებს[6].

---

[5] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 298, ფურც. 5.
[6] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 5, საქმე 260.

წარმოებიდან ომში წასულ ვაჟკაცებს უმეტეს შემთხვევაში ქალები ცვლიდნენ. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, სხვათა შორის, ხუთი ძმა სვანიძეები მოწინავე სტახანოველები იყვნენ, ომის დაწყებისთანავე ისინი მეომართა რიგებში ჩადგნენ. ფრონტზე წასულნი ფაბრიკაში ქალებმა შეცვალეს. მაგ., მრავალდაზგოსნები მარო მიტოიანი, ლიზა ცხომელიძე ექვს-ექვს დაზგაზე მუშაობდნენ და დავალებას გადაჭარბებით ასრულებდნენ. ასევე ითქმის სონია გორგიშვილისა და სხვათა შესახებ[7].

დიდი იყო რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი, მათი ლტოლვა საბჭოთა არმიის რიგებში ჩასადგომად. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სოფ. თამარიანის პირველი მაისის სახ. კოლმეურნეობის წევრ გიგა ზურაბიშვილის 17 შვილიდან 6 სამამულო ომის ფრონტზე იბრძოდა, ხოლო 75 წლის მოხუცი მამა გამრჯედ შრომობდა კოლმეურნეობაში (1943 წ. 544 შრომადღე ჰქონდა მას გამომუშავებული)[8]. ასევე ითქმის სახელოვანი სარდლის გენერალ კ. ლესელიძის და მისი სამი ფრონტელი ძმის შესახებ, რომელთა მოხუცი მშობლები მამაცურად მუშაობდნენ სოფ. ხვარბეთის კოლმეურნეობაში.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, თუ რამდენად დიდი იყო საქართველოს სოფლებიდან საბჭოთა არმიაში პირველივე მობილიზაციით წასულ კოლმეურნეთა რიცხვი, ჩვენ აქ რესპუბლიკის მხოლოდ რამდენიმე ტიპიური კოლმეურნეობის მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

ადიგენის რაიონის სოფელ უდეს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობიდან სამამულო ომის ფრონტებზე გაიწვიეს 800-ზე მეტი კაცი[9]. ლაგოდეხის რაიონის სოფ. „შრომის" კოლმეურნეობაში 1940 წელს თუ სამუშაოებში მონაწილეობდა 120 შრომისუნარიანი მამაკაცი (16 წლის ასაკს ზევით), 1942 წლის დასაწყისში მამაკაცთა რიცხვი მათი საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის შედეგად 32 მამაკაცამდე შემცირდა[10].

გალის რაიონის სოფ. ოქუმის კოლმეურნეობიდან 200-მდე კაცი[11], ხოლო სოფ. ნატანების კოლმეურნეობიდან 350 კაცი, სამამულო ომის ფრონტზე წავიდა ომის პირველსავე დღეებში[12].

---

[7] გაზ. „კომუნისტი", 1941, 15 ივნისი.

[8] გაზ. „კომუნისტი", 1944, 7 აპრილი.

[9] ა. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველის სახ. სოფ. უდეს კოლმეურნეობა. ხელნაწერი დაცულია ეკონომიკ. ინსტ. გვ. 93.

[10] კ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე, სოფ. შრომის კოლმეურნეობა (მონოგრაფიული ნარკვევი). ხელნაწერი დაცულია ეკონ. ინსტიტუტში.

[11] მ. ა ს ვ ა ნ უ ა, ვ. ზ უ ხ უ ბ ა ი ა, მოწინავე კოლმეურნეობა, 1946, გვ. 40.

[12] დ. ქ ო რ ი ძ ე, სოფ. ნატანების კოლმეურნეობა, მონოგრაფია, გვ. 95, (ხელნაწერი დაცულია ეკონ. ინსტიტუტში).

აბაშის რაიონის სოფ. აბაშისპირის კოლმეურნეობებიდან ფრონტზე 158 კაცი იქნა გაწვეული, რომელთაგან ბევრმა ასახელა სამშობლო[13].

ხშირი იყო შემთხვევა, როცა კოლმეურნეთა ოჯახებიდან ფრონტებზე მამა და შვილები, ძმები და დებიც კი მიდიოდნენ.

კასპის რაიონის სოფ. ქვემო ჭალის კოლმეურნეობიდან ფრონტზე წავიდა მამა და შვილი ოსეფაშვილები (მამა სიმონი და შვილი ივანგიზი), ძმები: შალვა და ირაკლი სოზიაშვილები, კოწია და მიშა გელაშვილები, ნიკა და მიტო კარბელაშვილები[14].

ხაშურელი კოლმეურნე ივანე ლაბაძის ოჯახიდან ფრონტზე ექვაცურად იბრძოდა 4 ვაჟი—არჩილი, ირაკლი, სიმონი და არტემი, ხოლო ოჯახის დანარჩენი ოთხი წევრი (მოხუცი მშობლები და დები) თავდადებით შრომობდნენ კოლმეურნეობაში[15].

ვისაც კი იარაღის ხმარება და მტერთან შებმა შეეძლო შინ არ რჩებოდა. ხშირად ერთი ოჯახიდან ხუთი, ათი და ზოგჯერ მეტი მეომარიც მიდიოდა ფრონტზე. მაგალითად, კოლმეურნე აბესაძის ოჯახიდან ყველა სრულასაკოვანი შვილი სამამულო ომის ფრონტზე იბრძოდა. ამის შესახებ გაზ. „პრავდის“ მოწინავე წერდა:

„17 ძმა იყო ქართველი კოლმეურნე აბესაძის ოჯახში. 14 მათგანი იბრძვის სამამულო ომის ფრონტზე. შინ დარჩნენ მხოლოდ არასრულწლოვანნი. ქვეითი ვლადიმერ აბესაძე და კავალერისტი ლადო ლენინგრადს იცავდნენ, მესაზღვრე ვანო დასავლეთის ფრონტზე იბრძვის, მეზენიტე ვასილი შავი ზღვის ფლოტში მსახურობს, არჩილი, თედო, შაქრო და კიდევ შვიდი ძმა მთებში იბრძვიან და იცავენ თავის მშობლიურ კავკასიას, თავის საყვარელ საქართველოს, თავის საბჭოთა სამშობლოს“[16].

საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად რესპუბლიკის ინტელიგენციის ბევრი საუკეთესო წარმომადგენელი წავიდა სამამულო ომის ფრონტზე. ფრონტს მიაშურეს აკადემიისა და უმაღლესი სასწავლებლის მუშაკებმა, მრავალმა პროფესორმა და დოცენტმა, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრმა გამოჩენილმა მოღვაწემ, ექიმებმა, ინჟინრებმა და პედაგოგებმა.

---

[13] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, აბაშის რაიონის სოფ. აბაშისპირის კოლმეურნეობა, მონოგრაფია, გვ. 190—191. (ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში).

[14] ლ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქვემო ჭალის კოლმეურნეობა, გვ. 57 (ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში).

[15] საფრონტო გაზეთი „სამშობლოს სადარაჯოზე“, 1945, 4 ივნისი, წერილი: „პატრიოტთა ოჯახი“.

[16] გაზ. „პრავდა“, 1942, 15 ოქტომბერი.

ომის დასაწყისიდანვე საბჭოთა არმიის რიგებში მიდიან პროფესორები და დოცენტები— ვ. კუპრაძე, ს. ჟღენტი, გ. ხაფთასი, ს. წერეთელი, გამოჩენილი ქართველი მწერლები—დ. შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, ლ. ასათიანი, ს. ისიანი, პ. აბრამია, ი. ნონეშვილი და სხვ. ფრონტზე წავიდა ქართული მხატვრობის, მუსიკის, კინემატოგრაფიის და თეატრალური ხელოვნების ბევრი გამოჩენილი მუშაკი.

სამშობლოს დაცვის სამსახურში მასობრივად ჩადგნენ საქართველოს მედიცინის მუშაკები, გამოჩენილი პროფესორები, დოცენტები და რიგითი ექიმები, მოწინავე რაზმი ქართველი ინტელიგენციისა — მასწავლებლების, აგრონომების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების სახით. მაგალითად, სოხუმელმა ექიმებმა ცოლ-ქმარმა ქრისტინე და ფილიპე ჭანუყვაძეებმა ფრონტზე გაგზავნა ითხოვეს.

საქართველოს სპორტის, თავდაცვა-ავიაქიმის და წითელი ჯვრის ორგანიზაციების ბევრი გამოჩენილი მუშაკი, ქართველი სპორტსმენები — მთამსვლელები, მძლეოსნები, ფეხბურთელები და სხვები ფრონტზე წავიდნენ, რომელთაც ასახელეს ჩვენი სამშობლო.

არ არსებობდა დიდი სამამულო ომის არც ერთი ფრონტი, არც ერთი სახეობა არმიისა, სადაც სსრ კავშირის მოძმე ხალხების შვილებთან ერთად ქართველი მეომრებიც არ ყოფილიყვნენ და არ გამოეჩინათ თავი მტერთან ბრძოლაში.

საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოდან სამხედროვალდებულებთან ერთად წავიდა ათასობით მოხალისე პატრიოტი ვაჟი და ქალი; ისინი მოითხოვდნენ ფრონტზე გაგზავნას ანდა უშუალოდ ფრონტის ინტერესებისათვის გათვალისწინებულ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოებზე (უხელფასოდ) მუშაობას.

მაგალითად, ანტონ მაჩიტაძე თავის განცხადებაში თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისრისადმი წერს: „დაჟინებით გთხოვთ მოხალისედ გამგზავნოთ წითელი არმიის რიგებში. გული შომიწოდებს სოციალიზმის სამშობლოს მტერთან ბრძოლისაკენ. მკერდით დავიცავ საყვარელ სამშობლოს, ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე ვიქნები მუდამ". ასევე იქცეოა ახალგაზრდა მოხალისე ვ. ჩიკვაიძე და მრავალი სხვა[17]. თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგის დამთავრების შემდეგ მუშა ქალების ერთი ჯგუფი განცხადებაში მოითხოვდა:

---

[17] გაზ. „კომუნისტი", 1941, 26 ივნისი.

„გთხოვთ გვიშუამდგომლოთ, რათა ამ განცხადებაზე ხელმოწერილ მუშა ქალები ჩარიცხული ვიქნეთ სახელოვან წითელ არმიაში მოხალისეებად“[18].

კომუნისტები და კომკავშირელები აქაც მოწინავეთა რიგებში იდგნენ. ათასობით კომუნისტი და კომკავშირელი მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიაში. საქართველოდან 13 650 კომკავშირელი საბჭოთა არმიაში მოხალისედ წავიდა. მაგ., მხოლოდ სამხრეთ ოსეთის კომკავშირული ორგანიზაციებიდან ომის დაწყების დღეებში მოხალისედ წავიდა 893 კომკავშირელი[19].

ჭაღარამოსილი მოხუცებიც კი ალაგზნო სამშობლოს დაცვის კეთილშობილურმა ზრახვამ და ბევრი მათგანი თავიანთ შვილებთან ერთად ფრონტზე წასვლის სურვილს გამოთქვამდა[20]. მოხუცი კონსტანტინე სანიკიძე თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატისადმი თავის განცხადებაში წერდა:

„...სახლში არ მიდგება გული, უქმად ყოფნა არ შემიძლია, ჩემი შვილი, ინჟინერ-მექანიკოსი ჯარშია წაყვანილი. გთხოვთ არ შეგაფიქროთ ჩემმა ჭაღარამ და ჩამრიცხოთ მებრძოლად იმ ნაწილში, სადაც ჩემი შვილია .ველი ჩემი განცხადების დაკმაყოფილებას“[21]. ყურადღებას იპყრობს აწ განსვენებული აკად. ტ. კვარაცხელიას პატრიოტული წერილი, იგი წერდა: „რამდენიმე დღეა, რაც დავბრუნდი საქართველოს სუბტროპიკული რაიონებიდან, სადაც კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და საცდელ-საკვლევო დაწესებულებებს ვეხმარებოდი მოსავლიანობის გადიდების საქმეში... ჩემი შვილი ალექსი ახლა უკვე ფრონტზეა, რუმინეთის საზღვართან და იბრძვის ფაშისტ ბარბაროსების წინააღმდეგ. მეც მზად ვარ საომრად“[22].

ორდენოსანი დრამატურგი შალვა დადიანი მაღალი პატრიოტული შეგნებითა და ახალგაზრდული აღტყინებით სამშობლოს ამ განსაცდელის ჟამს ფრონტზე მიმავალ ახალგაზრდობასთანაა. იგი წერს: „..ჩვენი ხალხი უკვე აღსდგა საბჭოთა ქვეყნის წმიდათაწმიდა მიწა-წყლის დასაცავად. საქართველოს შვილები არავის ჩამორჩებიან ამ დიდსა და სასახელო ბრძოლაში. პარტიისა და ხელისუფლების პირველი დაძახებისთანავე, ყველანი, როგორც ერთი კაცი გავალთ მტრის გასანადგურებლად. ჭაღარა არ მიშლის ხელს მეც წავიდე ბრძოლის ველზე“.

---

[18] გაზ. „კომუნისტი“. 1941, 23 ივნისი.
[19] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 2, საქმე 727, ფონდი 5, საქმე 834, ფონდი 3, საქმე 7, ფურ. 2.
[20] იქვე.
[21] გაზ. „კომუნისტი“, 1941, 25 ივნისი.
[22] გაზ. „კომუნისტი“, 1941, 27 ივნისი.

„მეც თქვენთან ვიქნები, ახალგაზრდებო!“—მიმართავს მხცოვანი დრამატურგი სამშობლოს დამცველ ქართველ ახალგაზრდობას[23].

ქართველი ხალხის მგზნებარე პატრიოტული განცდები, მისი ლტოლვა ფრონტისკენ მტრის შესამუსრავად შესანიშნავად ასახა ჩვენმა პოეტმა აწ განსვენებულმა გ. ქუჩიშვილმა:

ვინღა დარჩება
შინ, მაშინ როცა
ვით ერთი კაცი
აღიძრა ხალხი!
არავინ!
ვიდრე მტერს არ
წავრხოცავთ
აღარ ჩავაგებთ
ქარქაშში მახვილს.

ყველაფრით დასტურდება, რომ საქართველოს მშრომელები საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მოწოდებათა განხორციელებისათვის მტკიცედ დაირაზმნენ; მათი მოქმედების ჭეშმარიტ დევიზად იქცა ლოზუნგები: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის“, „ხალხთა მთელი ძალები მტრის განადგურებისათვის“ და სხვ. ქართველი ხალხის, ისე როგორც სსრ კავშირის სხვა ხალხების, მთელი მოღვაწეობა თავისი მრავალმხრივობით, მისი ბრძოლა და შრომა, მისი გულისყური. ფიქრი და განცდები მთლიანად სამშობლოს დაცვის უკეთილშობილეს და დიად ამოცანებს დაუქვემდებარდა.

2. საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ერთიანი ბრძოლა საბჭოთა სამშობლოზე მტრის მოულოდნელი თავდასხმით გამოწვეულ უპირატესობათა ლიკვიდაციისათვის

სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ, მართალია, საქვეყნოდ ჩამოგლიჯა ნიღაბი ჰიტლერელებს როგორც აგრესორებს, რაც საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის გამარჯვებისათვის უდავოდ ერთ-ერთ დიდ მორალურ ფაქტორად იქცა[24], მაგრამ

[23] გაზ. „კომუნისტი“, 1941, 23 ივნისი. დამახასიათებელია, რომ საბჭოთა საქართველოდან სამამულო ომის ფრონტზე მშრომელთა წასვლა არ წარმოადგენდა ერთდროული კამპანიური ხასიათის ღონისძიებას. იგი ომის დამთავრებამდე სისტემატურად გრძელდებოდა და მეტ-ნაკლებად გაპირობებული იყო ფრონტზე შექმნილი ვითარებისა და საბჭოთა არმიის ახალ-ახალი შეტევებისათვის საჭირო რეზერვების მოთხოვნით. ამიტომ საბჭოთა საქართველოდან, ისე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან, სამამულო ომის ფრონტზე განუწყვეტლივ მიედინებოდა მებრძოლთა ახალი და ახალი ნაკადი. რესპუბლიკის სამხედროვალდებულთა ძირითადი ბირთვი კი ომის დაწყების პირველსავე თვეებში იქნა გაწვეული.

[24] А. Каширин, Роль морального фактора в современной войне, М. 1953.

ამ მოულოდნელი ვერაგული თავდასხმით საბჭოთა არმია და მთელი საბჭოთა ხალხი ომის დასაწყის ეტაპზე მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ფაშისტური გერმანია ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა 190 დივიზიისაგან შემდგარი კადრის არმიით, რომელსაც თანამედროვე ომის წარმოების ორი წლის გამოცდილება მოეპოვებოდა. მტერს ჰქონდა არა მარტო მოულოდნელი თავდასხმით შექმნილი უპირატესობანი. არამედ მოეპოვებოდა არმიის შემადგენლობის რიცხვობრივი უპირატესობა და მისი ბევრად უკეთესი შეიარაღება ტანკების, თვითმფრინავების რაოდენობისა და სხვა მხრივაც.

ამიტომ დიდი სამამულო ომის დაწყებითს პერიოდში (მტრის ესოდენ დიდი ძალების მოულოდნელი შემოტევის გამო) საბჭოთა არმია იძულებული იყო ეწარმოებინა მძიმე თავდაცვითი ბრძოლები[25]. მაგრამ მიუხედავად მტრის ძალების ესოდენ დიდი უპირატესობისა, საბჭოთა არმია, იხევდა რა უკან, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. იგი ხშირი კონტრშეტევით სისხლისმღვრელ უთანასწორო ბრძოლაში გმირულად იცავდა ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს და დიდ ზიანს აყენებდა მტერს. საბჭოთა მესაზღვრეებისა და არმიის ერთობლივი ბრძოლები თვითეული სანგრის, სიმაგრისა და გამაგრებული ზღუდისათვის უმაგალითო თავგანწირვით ხასიათდებოდა.

მხოლოდ 22 და 23 ივნისის ბრძოლებში საბჭოთა მეომრების მიერ ჩამოგდებულ იქნა მტრის 127 თვითმფრინავი. დატყვევებულ იქნა 5 ათასზე მეტი ფაშისტი ოფიცერი და ჯარისკაცი, განადგურდა მტრის უამრავი ტანკი და სხვა სახის იარაღ-საჭურველი. მაგალითად, 23 ივნისს არტილერიის ცეცხლით, მხოლოდ შაულიაუს მიმართულებით მოსპობილ იქნა გერმანიის 300-მდე ტანკი[25].

საბჭოთა ხალხის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება ის გმირობა და თავდადება, რაც საბჭოთა მეომრებმა გვიჩვენეს ამ უმძიმეს დღეებში. მაგალითად, ფაშისტური არმიის სისტემატურ და მასირებულ დარტყმებს 22 დღე-ღამის განმავლობაში უმაგალითო გმირო-

[25] ჰიტლერული გერმანია სსრ კავშირზე თავდასხმისას ფლობდა თითქმის მთელი ევროპის ტექნიკურ-ეკონომიურ რესურსებს და დამონებულ ადამიანთა რეზერვებს. ჰიტლერელებმა დაიპყრეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და ხელთ იგდეს მილიონობით ტონა ნავთობი. საფრანგეთში ჰიტლერელებმა ხელთ იგდეს 42 ათასი ტონა სპილენძი, 27 ათასი ტონა თუთია, 19 ათასი ტონა ტყვია, ათეულ ათასობით ვაგონები და ორთქლმავლები. მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ქარხნების ხელში ჩაგდებით ჰიტლერელებს შეეძლოთ 45 დივიზიის შეიარაღება ტანკებით, ტყვიამფრქვევებითა და სხვა იარაღებით. გერმანელი ფაშისტები დაპყრობილი ქვეყნებიდან ყოველწლიურად ღებულობდნენ 600 ათას ავტომანქანას, აგრეთვე დაპყრობილი ევროპის 12 მილიონი მუშა სამხედრო ქარხნებში ყავდათ გამოყენებული.

ბით იგერიებდა ბრესტის სიმაგრეში მყოფი საბჭოთა გარნიზონი, რომლის შემადგენლობაში მრავალი ქართველი მეომარი იყო. სიმაგრის კედელზე უცნობი საბჭოთა ჯარისკაცის მიერ გაკეთებული ახლადაღმოჩენილი ერთ-ერთი წარწერა ასე იკითხება: „ვკვდები. მაგრამ არ ვნებდები. მშვიდობით, სამშობლო. 20 ივლისი 41 წ.“ 20 ივლისი სიმაგრის დაცვის უკანასკნელი დღე იყო. საბჭოთა მეომრები ამრიგად არჩევდნენ სიკვდილს, ვიდრე ტყვედ ჩავარდნას[26]. სამამულო ომის ამ უმძიმეს ბრძოლებში ბევრი ქართველი მესაზღვრე, რიგითი მეომარი და ოფიცერი მონაწილეობდა, რომლებმაც თავიანთი ვაჟკაცობით ასახელეს სამშობლო ხმელეთზე, ზღვებსა და საჰაერო ბრძოლებში.

საბჭოთა ქვეყნის მთელი ძალებისა და რეზერვების მობილიზაციასთან ერთად ყოველდღიურად იზრდებოდა საბჭოთა არმიის წინააღმდეგობა, ხოლო მტრის ძალების შეტევის ტემპები თანდათანობით ნელდებოდა.

საბჭოთა მეომრების ამ თავგანწირული ბრძოლებისა და ჩვენი ქვეყნის მთელი ძალების მობილიზაციის პირობებში მტერი არ ზოგავდა ძალებს, არ ერიდებოდა მსხვერპლს და გააფთრებით მოიწევდა წინ. მან მოკლე დროში ხელთ იგდო ჩვენი ქვეყნის დასავლეთის სამრეწველო და სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი რაიონები, იგი დაპყრობით დაემუქრა მოსკოვსა და ლენინგრადს, გამოიქრა სამხრეთისაკენ. საბჭოთა სამშობლოს მომაკვდინებელი საფრთხე იზრდებოდა. საბჭოთა არმიის ეს უკანდახევა იყო არა თითქოს წინასწარშემუშავებული ე. წ. „აქტიური თავდაცვის გეგმით“, არამედ იმით, რომ საომარ მოქმედებათა ამ ეტაპზე გარკვეული პირობების გამო ჩვენს ჯარებს არ შეეძლოთ შეეკავებინათ თავაწყვეტილი მტერი. ეს გრძელდებოდა 1941 წლის შემოდგომამდე, ვიდრე მოსკოვთან არ გაქარწყლდა და არ ჩაიფუშა ფაშისტური სარდლობის „ელვისებური ომის“ გეგმა.

ამ უაღრესად დაძაბულ ვითარებაში ფაშისტური გერმანიისა და მისი არმიის წინააღმდეგობის გაწევის უკეთესი ორგანიზაციისა და მისი საბოლოოდ დათრგუნვის მიზნით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით მთელი რიგი საგანგებო ხასიათის ღონისძიებები გატარდა. ომის დაწყების პირველსავე თვეების უმძიმეს ვითარებაში არა მარტო განხორციელდა საბჭოთა ქვეყნის მთელი ძალებისა და რეზერვების მობილიზაცია, საფუძვლიანად გარდაიქმნა სახელმწიფო და პარტიული ორგანოების მუშაობა.

---

[26] ბრესტის დაცვისათვის იბრძოდნენ ზემდეგი პ. აფხაზავა, პოლიტხელის მოადგილე ო. ასათიანი, კაპიტანი ჯიჯეიშვილი, ალ. კალანდაძე, და სხვ. (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958, 6 მაისი).

არამედ გარდაიქმნენ თვით საბჭოთა ადამიანები და მათი მუშაობა; მეტად მოკლე პერიოდში საბჭოთა ქვეყანა ერთიან საბრძოლო ბანაკად იქცა. ამას მოითხოვდა ქვეყნის თავდაცვის ამოცანები და ამ დიდი განსაცდელიდან თავის დაღწევა, რომელიც ომის შედეგად დაატყდა თავს საბჭოთა ხალხს.

ომმა სავსებით ახლებური ამოცანები დააყენა პარტიული, კავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე, მოითხოვა მათი აპარატის მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნა, რათა ისინი კიდევ უფრო მოქნილი და ოპერატიული გამხდარიყვნენ. მშვიდობიანი პერიოდის რიგი ორგანოები გაუქმებულ იქნა. შეიქმნა ახალი განყოფილებები და ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ქვეყნის თავდაცვას ემსახურებოდნენ. ამასთანავე საჭირო გახდა დროებითი საგანგებო სახელმწიფო ორგანოების შექმნა, რომელთა ხელშიც კონცენტრირებული იქნებოდა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება.

1941 წლის 30 ივნისს, მე-9 დღეს ომის დაწყებიდან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ჩვენი ქვეყნის მთელი ძალებისა და საშუალებების სწრაფი მობილიზების მიზნით ჩამოყალიბდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი (თსკ) ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით. სამხედრო სამუშაოზე გაიგზავნა პარტიისა და სახელმწიფოს ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორიცაა ნ. ა. ხრუშჩოვი, ა. ა. ჟდანოვი, ა. შჩერბაკოვი და სხვ. თსკ დადგენილება და მითითება განუხრელად სრულდებოდა ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამხედრო და სხვ. ორგანიზაციებისა და ყველა საბჭოთა მოქალაქის მიერ. თსკ უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციას, საბჭოთა არმიის მტკიცე ზურგის შექმნას, წარმართავდა მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაობას, ხელმძღვანელობდა საბჭოთა არმიის კვალიფიციური რეზერვების მომზადებას, მუშახელის მობილიზაციისა და განაწილების საქმეს, მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვ. თსკ ყურადღების ცენტრში იდგა ფრონტისათვის იარაღ-საჭურველთა მზარდი და შეუფერხებელი მიწოდება, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ტანკების, თვითმფრინავების, ნაღმტყორცნების და ზარბაზნების წარმოება, აგრეთვე საბჭოთა არმიის მომარაგება სურსათით, სათბობითა და ტანსაცმლით.

1941 წლის ოქტომბერში თსკ-მა სპეციალური დადგენილება მიიღო ფრონტისპირა რაიონებსა და ქალაქებში საქალაქო თავდაცვის კომიტეტების ჩამოყალიბების შესახებ. ამ კომიტეტებს ემორ-

ჩილებოდა არა მარტო ქალაქის, არამედ რაიონისა და ოლქის ყველა ორგანიზაცია. ისინი უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივ თავდაცვას.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუშახელის მობილიზაციას, წარმოებაში ახლად მისული მუშების მომზადებას და სწორ განაწილებას. ამ მიზნით 1941 წლის 30 ივნისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან შეიქმნა კომიტეტი მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების მოსაწესრიგებლად. რამდენადმე მოგვიანებით მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქებსა და მხარეებში რაიონული და საქალაქო საბჭოებთან შეიქმნა სათანადო ბიუროები მუშახელის აღრიცხვა-განაწილებისათვის; სოფლსაბჭოებში კი დაინიშნა მუშახელის მობილიზაციის პერსონალური გამგეები[27].

მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების კომიტეტები და ბიუროები არა მარტო ატარებდნენ მუშახელის მობილიზაციას, არამედ ამასთანავე ახდენდნენ კადრის მუშების ხელახალ გადანაწილებას, აგზავნიდნენ მათ ყველაზე უფრო პასუხსაგებ საწარმოო უბნებზე და პირველ ყოვლისა სამხედრო სამრეწველო. სატრანსპორტო და სოფლის მეურნეობის მშენებლობის ობიექტებზე[28].

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მოკლე დროის მანძილზე შეძლო ფრონტისა და ზურგის ერთ მთლიან ძალად გაერთიანება, საბჭოთა ქვეყნის მთელი ძალების კოორდინირება და ფრონტისა და ზურგის დაწესებულებათა იმგვარი ორგანიზაცია, რომელმაც სსრ კავშირი ერთ საბრძოლო ბანაკად გადააქცია. შეიქმნა სსრ კავშირის სატანკო მრეწველობისა და ნაღმმტყორცნი იარაღების სახალხო კომისარიატები. მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეიქმნა ცალკე სამმართველოები, კომიტეტები, ბიუროები და სხვ.

1941 წლის 19 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ი. ბ. სტალინი დანიშნულ იქნა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრად, ხოლო იმავე წლის 8 აგვისტოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე.

სამამულო ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის მანძილზე კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა მტკიცე გეგმა სსრ კავშირის ერთიან საბრძოლო ბანაკად გადაქცევის გზით საბჭოთა სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვისა და ჰიტლერელ აგრესორთა სრული განაღ-

---

[27] Сборник указов, постановлений... военного времени 1942—1943 гг. გვ., 103.

[28] А. М. Синицкий, Чрезвычайные органы Советского государства, Ж., „Вопросы истории", № 2, 1955, გვ. 39.

გურებისათვის. პარტია ემყარებოდა ვ. ი. ლენინის გენიალურ მითითებებს და საბჭოთა ქვეყნის გმირულ ბრძოლათა ჭამოცდილებებს სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმეში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი სიტყვით გამოვიდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი. მან ანალიზი გაუკეთა ომის შედეგად შექმნილ ახალ ვითარებას და მთელი სიცხადით უჩვენა ის საშიშროება, რაც საბჭოთა ადამიანებს ემუქრებოდა. „საქმე ეხება,—ამბობდა ი. ბ. სტალინი,—სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს, იმას თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში ჩავარდნენ". კომუნისტურმა პარტიამ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბა საბჭოთა სამშობლოს დაცვისა და მტრის განადგურების ცნობილი გეგმა. მოგვცა მიმდინარე მომენტის ღრმა ანალიზი, განსაზღვრა არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ამოცანები.

კომუნისტურმა პარტიამ მთელი სიცხადით ამხილა ფაშისტური ტირანიის მისწრაფებები და რასობრივი თეორიის არსი; მან მოუწოდა საბჭოთა ხალხს კაცობრიობის ამ უბოროტესი მტრის შესამუსრავად. ამ ღონისძიებათა გზით „პარტიამ საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ძალ-ღონე, ჩვენი ქვეყნის მთელი ძალები და საშუალებანი დაუქვემდებარა მტრის განადგურების საქმეს"[29].

ომის დაწყების პირველ დღეებიდანვე კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის წევრებმა, ასევე საბჭოთა არმიის ჭამოჩენილმა მხედართუფროსებმა ხელში აიღეს როგორც ფრონტის, ასევე ზურგის გარკვეულ უბანთა ხელმძღვანელობა და თავიანთი ორგანიზატორული, პოლიტიკური, სამეურნეო და სამხედრო მუშაობით დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა ქვეყნის გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში.

დიდი სამამულო ომის სამართლიანი მიზნები საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებდა გმირობისათვის. მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, ასრულებდნენ რა კომუნისტური პარტიის მოწოდებას, არ ანგარიშობდნენ დროს და ძალების დაუზოგავად, თავდადებით შრომობდნენ ფრონტის ინტერესებისათვის.

ყველგან ფრონტებზე და ზურგში, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში დამკვიდრდა მტკიცე სამხედრო დისციპლინა. გაიზარდა რევოლუციური სიფხიზლე.

---

[29] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903—1953 წწ.), 1953, გვ. 24.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები გულმოდგინედ განუმარტავდნენ მებრძოლებს საომარ ომის ხასიათს და მიზნებს, იმ ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა ხალხის წინაშე იდგა. ფართოდ წარმოებდა ბოლშევიზმის ვმირული ტრადიციების და საბჭოთა პატრიოტიზმის პოპულარიზაცია. პარტიული და საბჭოთა პრესა, პროპაგანდისტთა და აგიტატორთა მძლავრი არმია განუმარტავდა საბჭოთა მშრომელებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას, აწვდიდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს ფრონტებისა და ზურგის მებრძოლთა წარმატებების შესახებ, ნიღაბს ხდიდა ჰიტლერელების მხეცობას, საბჭოთა ადამიანების წამების, საბჭოთა კულტურის ძეგლების მოსპობისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვისა და მონებად გერმანიაში გარეკვის შესახებ. მტრისადმი სიძულვილი დღითი დღე ღრმავდებოდა და მასობრივად ეუფლებოდა მილიონობით საბჭოთა ხალხს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა არმიის განსამტკიცებლად სამხედრო ვალდებულთა პირველი მობილიზაციის წარმატებით განხორციელებასთან ერთად უმაღალითო გაქანებით მიმდინარეობდა ქვეყნის თავდაცვის შემდგომი აღმავლობა. იგი გამოხატულებას პოულობდა: 1. საბჭოთა არმიის კვალიფიციური რეზერვების მომზადებასა და ფრონტებზე ორგანიზებულად მათს წარგზავნაში; 2. სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნილი სახალხო მეურნეობის ყველა მშრომელის პატრიოტიზმსა და ერთსულოვან დარაზმვაში საბჭოთა არმიის მომარაგებისათვის იარაღსაჭურველით, სურსათით და ტანისამოსით, ყოველივე იმით, რაც ეზრუნველყოფდა გამარჯვებას.

3. ღონისძიებანი საბჭოთა არმიის კვალიფიციური რეზერვების მომზადებისათვის

კომუნისტური პარტიის მითითება იმაზე, რომ განუწყვეტელი დინებით უნდა მიდიოდეს ფრონტზე საბჭოთა არმიის კვალიფიციური რეზერვებიო—საქართველოს პარტიული, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებმა, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში იდგა და განსაკუთრებული ზრუნვის საგნად გადაიქცა.

საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტისათვის კვალიფიციური რეზერვების მომზადება ხორციელდებოდა ომის დასაწყისშივე, საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემულ კანონთა საფუძველზე. მისი განუხრელად განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკურმა და რაიონულმა სამხედრო კომისარიატებ-

მა, თავდაცვა-ავიაქიმის, წითელი ჯვრის, სასკოლო და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. მასობრივი ხასიათი მიიღო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სამხედრო საქმის დაუფლებამ, მზადდებოდა სპეციალური ნაწილები მეთხილამურეების, ალპინისტების, მთამსვლელი ინსტრუქტორების, ხელჩართული ბრძოლების ოსტატებისა და სხვათა სახით. უფროსი კლასის მოსწავლეთა შორის გაჩაღდა მუშაობა „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ ნორმების ჩასაბარებლად[30].

რეზერვების შექმნის მიზნით რესპუბლიკის ყველა რაიონში მასობრივად დაიწყო მომზადება სნაიპერების, ნაღმმტყორცნელების, მეტყვიამფრქვევეების, მეავტომატეების, ტანკსაწინააღმდეგოურებლებისა და სხვ. თავდაცვის კომიტეტის დირექტივების საფუძველზე შეიქმნა შრომისა და თავდაცვის ახალი (უფრო გაზრდილი) ნორმების ჩაბარებათა სპეციალური წრეები, ცალკე ჯგუფები და საკონსულტაციო პუნქტები, გამანადგურებელი ბატალიონები და სხვა სახის რაზმები. თავდაცვის თემებზე მასობრივად ეწყობოდა ლექციები, მოხსენებები და საუბრები[31].

რესპუბლიკის ქალაქების, დაბებისა და კურორტების საუკეთესო შენობები ჰოსპიტლებს დაეთმო. ათასობით ექიმმა და ექთანმა განცხადებები შეიტანეს და სურვილი გამოთქვეს ჰოსპიტლებში ნებაყოფლობით მუშაობაზე, საიდანაც ბევრი მათგანი ფრონტზე წავიდა. გამრავლდა დონორები.

რესპუბლიკის პარტიული, სამხედრო და საზოგადოებრივი, ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოების მუშაკთა გულისყური საბჭოთა არმიის მტკიცე ზურგის შექმნისათვის საერთო ბრძოლაში განსაკუთრებით იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ მასობრივად მოეზადებინათ მებრძოლთა ახალი და ახალი კადრები, რომლებიც კარგად იქნებოდნენ დაუფლებული სამხედრო საქმეს და ახალ ტექნიკას. ამის შედეგად შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ სამამუ-

---

[30] მაგ., ქ. თბილისში მხოლოდ 1941—1943 წლებში 44 ათასზე მეტი ნიშნოსანი მომზადდა. ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ სისტემატურად ეწყობოდა სამხედრო სპარტაკიადები, მასობრივი სპორტული შეჯიბრებები. ამ გზით მხოლოდ სპორტული ორგანიზაციების ღონისძიებების გატარების შედეგად 1942 წელს 160 ათასზე მეტი კაცი მომზადდა.

[31] რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მიერ მარტო თბილისში 1941—1943 წლებში საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების 110-საათიანი პროგრამით მომზადდა მრავალი სნაიპერი, მეტყვიამფრქვევე, რადისტი-ტელეფონისტი და სხვ. საფუძვლიანად გარდაქმნეს მუშაობა რესპუბლიკის წითელი ჯვრის ორგანიზაციებმა. მაგ., მხოლოდ 1941—1942 წლების მანძილზე წარმოებიდან მოუწყვეტლივ საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციების მიერ ქალაქებსა და სოფლებში მრავალი სანიტარული რაზმეული ქალი იქნა მომზადებული (სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 3, საქმე 17, ფონდი 5, საქმე 217, ფურც. 6).

ლო ომის პირველსავე პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არა ერთი და ორი დივიზია იქნა გაფორმებული უმთავრესად ამ კვალიფიციური რეზერვებისაგან.

საქართველოდან სამამულო ომის ფრონტებზე მრავალი წარგზავნილი გამოირჩეოდა თავისი საბრძოლო და პოლიტმომზადების დონით. ნაწილებში არა ერთხელ აღუნიშნავთ ეს ფაქტი და გამოუხატავთ სათანადო სამხედრო დანაყოფების მეთაურებს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატებისადმი გაგზავნილ მადლობით აღსავსე ბარათებში[32].

საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში ხშირად ღებულობდნენ მადლობით აღსავსე წერილებს სამხედრო ნაწილებისაგან.

მაგ., მეორე სვირის კოლმეურნეობის წევრის ფრონტელ ა. დოლიკაძის შესახებ კოლმეურნეობამ მიიღო ნაწილის მეთაურის წერილი, სადაც მოთხრობილი იყო მის გმირობაზე, მაღალ მხედრულ კულტურასა და სანიმუშო დისციპლინაზე[33].

ფაშისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ ე. წ. „მეხუთე კოლონაზე". ფაშისტების ვარაუდით ამ დივერსიულ რაზმებს დაუყოვნებლივ უნდა მოესპოთ და ხელთ ეჭდოთ ჩვენი ქვეყნის ძირითადი ეკონომიური და სტრატეგიული ბაზები, დაენერგათ ზურგში სრული ქაოსი და ამ გზით მოეპოვებინათ გამარჯვება.

ამ მიზნით მტერი საბჭოთა ტერიტორიაზე, ზურგში სისტემატურად აგზავნიდა დივერსანტებს, საპარაშუტო რაზმებს და სხვ. დივერსანტების წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის მითითებით საქართველოში, ისე როგორც სხვაგან, სპეციალური სახალხო გამანადგურებელი ბატალიონები ჩამოყალიბდა.

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მასობრივად შეუდგნენ საბჭოთა არმიის

---

[32] მაგალითად, ზესტაფონის რაიონიდან ფრონტზე გაგზავნილ საუკეთესოდ მომზადებულ მებრძოლთა ვ. ქათამაძის (სოფ. ილმიდან), აკ. კობალაშვილის, ჭაჭიაშვილის (სოფ. არგვეთიდან) და სხვათა შესახებ ნაწილის მეთაური აქმ. ზემბრილოვი იწერებოდა: მადლობა ზესტაფონის სამხედრო კომისარიატის მუშაკებს, რომლებიც ფრონტისათვის კარგ კადრებს გვაწვდიანო. ფრონტზე წარგზავნილი და კარგად აღზრდილი ქართველი მეომრები თავიანთი მაღალი მხედრული კულტურით, დისციპლინითა და ვაჟკაცობით ხშირად იმსახურებდნენ ნაწილის ყურადღებას (გაზ. „ლენინელი", 1942, ნოემბრის 28).

[33] ა. დოლიკაძის თანასოფლელი კოლმეურნე გლეხები საერთო კრებაზე გაეცნენ ამ წერილს და ფრონტზე გაგზავნეს საპასუხო ბარათი და აიღეს ახალი ვალდებულებები უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში. ასე მყარდებოდა და მტკიცდებოდა ზურგისა და ფრონტის ერთიანობა (იხ. ზესტაფონის რაიონული გაზ. „ლენინელი", 1943, № 0).

დამხმარე სახალხო მოლაშქრე გამანადგურებელ ბატალიონთა რაზმების შექმნას, რომლებიც მუსრს ავლებდნენ საქართველოს მიწა-წყალზე შემოჭრილ ჰიტლერულ დივერსანტებს. ისინი ასევე მასობრივად მონაწილეობდნენ თავდაცვის ნაგებობათა—საჰაერო თავდაცვის, აეროდრომებისა და სამხედრო გზების—მშენებლობაში და სხვ. კომუნისტები და კომკავშირელები მოწინავეთა რიგებში იდგნენ.

საჰაერო თავდაცვის ორგანიზაცია უაღრესად მასობრივ ხასიათს ატარებდა. იგი აერთიანებდა რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენებს—ქალაქებისა და სოფლების, რკინიგზებისა და ნავსადგურების. დაწესებულებებისა და საწარმოების ათეულ ათასობით მშრომელებს და დიასახლისებს.

დიდი მუშაობა დაიწყო სოფლად და ქალაქად თავშესაფართა მშენებლობისა და შუქშენიღბვის ორგანიზებულად განხორციელებისათვის.

სამამულო ომის დასაწყისშივე საქართველოში ეანუწყვეტლივ იწყო დენა დაჭრილი საბჭოთა მებრძოლების ახალ-ახალმა ეშელონებმა. გაიშალა ჰოსპიტლებისა და სპეციალური საავადმყოფოების ფართო ქსელი, სადაც ათასობით გოგონები და ქალები ნებაყოფლობით მუშაობდნენ სანიტარულ რაზმებში მედიცინის დებად და ექიმებად.

ყოველივე ეს წარმოადგენდა თვალსაჩინო დადასტურებას იმისა, რომ საბჭოთა ხალხის სამართლიანმა სამამულო ომმა თავიდანვე სახალხო ხასიათი მიიღო. იგი როგორც ფრონტზე, ასევე ზურგში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მასობრივად წარმოშობდა გმირებს საბჭოთა სამშობლოს დაცვისათვის, რაც მოკლე დროში კარგად დაადასტურა ომის მსვლელობამ და მისმა ისტორიულმა გაკვეთილებმა.

თ ა ვ ი II

ზურგის მშრომელთა პატრიოტული მოძრაობა ფრონტზე წასულთა შეხაცვლელად ომის დაწყების პირველ თვეებში და რესპუბლიკის მშრომელთა პირველი წარმატებანი

საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ფაშისტური გერმანიის თავდასხმის საპასუხოდ რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებსა და ტრანსპორტზე, საკოლმეურნეო მინდვრებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდ შრომითს აღმავლობას აჩაღებენ. ომის ყაიდაზე გარდაქმნისათვის ახალი მეზანსწრაფვით იწყეს მუშაობა სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში. უმაღ-

ლეს სასწავლებლებში, ყველა საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებაში, რათა საბჭოთა არმია უზრუნველეყოთ იარაღ-საჭურვლით, სურსათ-ტანსაცმლით და ყოველივე იმით, რაც საჭირო იყო გამარჯვებისათვის.

რესპუბლიკის მშრომელები მოიცვა შრომითი გმირობისა და მამაცობის ჰეროიკამ. წარმოების ნოვატორების პატრიოტული მოწოდება — „ვიმუშაოთ არა მარტო ჩვენი თავის, არამედ ფრონტზე წასული ამხანაგის მაგიერადაც“ — დიდ გამოხმაურებას პოულობს რესპუბლიკის მშრომელთა უფართოეს ფენებში. იწყება საწარმოო გეგმის „ორასოვანთა და მრავალასოვანთა“ შესანიშნავი მოძრაობა, მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაშლის საფუძველზე წარმოიშვა და ფართოდ დაინერგა სოციალისტური შეჯიბრების მრავალი ახალი, ომის დროის ფორმები. — ჩამოყალიბდა საფრონტო ბრიგადები, გაიზარდა მრავალდაზგოსანთა და პროფესიათა შემთავსებლების რიგები. ღაიწყო ქალთა მოძრაობა ფრონტზე წასულთა შეცვლისა და „მამაკაცების პროფესიების“ ათვისებისათვის. რკინიგზის ტრანსპორტზე ლუნინური მოძრაობა მასობრივი ხდება. სოციალისტური შრომის ჭმირები—ვემანქანე წიკლაური. კოხრეიძე და სხვა ამ მოძრაობის პიონერებად გვეელინებიან ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. ჩაღდება გიგანტური მუშაობა ომის დროის სიძნელეების დაძლევის, წარმოების ადგილობრივი რესურსების გამოვლინებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის გზით მზა პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად.

1. მუშათა კლასის შრომითი მამაცობის ახალი ეტაპის დასაწყისი

ომის პირველ პერიოდშივე საქართველოში სტახანოვური მოძრაობის მჭობრივ ფორმად ორასოვანთა მოძრაობა იქცა. ისინი ჩაუდგნენ სათავეში იმ დიდ პატრიოტულ შრომითს აღმავლობას, რომელმაც ომის დასაწყისშივე მასობრივად იჩინა თავი ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში. მაგ., თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ორასოვანთა პირველი თათბირი ასეთი მოწოდებით გამოვიდა: „ორ-ორი ნორმიდან ვადავიდეთ სამ-სამ და მეტი ნორმის შესრულებაზე. უფრო მჭიდროდ დავაკავშიროთ ორასოვანთა მოძრაობა პროფესიების შეთავსებისა და მრავალი დაზგის მომსახურების პრაქტიკასთან[31]. /„ვიათურის მაღაროელებო, ტყვარჩელისა და ტყიბულის მეშახტეებო, შირაქის რაიონის ნავთობის მრეწველობის მუშებო, შეუპოვრად იბრძო-

[34] გაზ. „კომუნისტი“, 1941, 12 სექტემბერი.

ლეთ მარგანეცის, ქვანახშირის, ნავთობის მოპოვების გაორკეცებისათვის, ყოველნაირად გააფართოვეთ ორასოვანთა რიგები... მანქანათმშენებლებო, დაზგათმშენებლებო, რკინიგზელებო, ფეიქრებო, საქართველოს მსუბუქი, ადგილობრივი, კვების, სატყეო მრეწველობის საწარმოთა მუშაკებო, გამოუშვით მაღალი ხარისხის პროდუქცია ფრონტისა და ზურგის საჭიროებისათვის..."[35] ამ მოწოდებამ უდიდესი გამოხმაურება პოვა რესპუბლიკის საწარმოებში. მაგალითად, 15 სექტემბერს შედგა მირზაანის ნავთობის სარეწაოების ბუოღვის კანტორის ორასოვანთა თათბირი, სადაც განიხილეს „ორასოვანთა ამოცანები სამამულო ომის პერიოდში", თათბირს 250-ზე მეტი სტახანოველი დაესწრო[36].

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის პარტორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა ორასოვანთა პატრიოტულ მოძრაობას და მის წარმოებაში დანერგვას. ქარხანაში 185 ორასოვანი ითვლებოდა, რომელთაგან უმრავლესობა კომუნისტი იყო. ისინი მაქსიმალურად იყენებდნენ ადგილობრივ რესურსებს და იბრძოდნენ რაციონალიზატორული წინადადების დასანერგავად[37].

ორასოვანთა რიგებიდან დღითი დღე იზრდებოდა ხუთასოვანთა და ათასოვანთა რიცხვი, მაგ., თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველები: ა. თოდრია, ვ. გაბინაშვილი, მ. ბორზალოვი საწარმოო გეგმებს 400—450%-ით ასრულებდნენ.[38]

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ამწყობი საამქროს სტახანოველი ზეინკალი ელ. სვანი თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატი გახდა. იგი დავალებას 400—500 პროცენტით ასრულებდა.

ელ. სვანმა 1941 წ. აგვისტოში მეტად რთული და საპასუხისმგებლო დავალება 1000 პროცენტით შეასრულა და ეს რეკორდი სტახანოვური მოძრაობის წლისთავს მიუძღვნა[39]. იგი ამავე პერიოდში კომუნისტური პარტიის რიგებში შეივიდა[40].

---

[35] გაზ. „კომუნისტი", 1941, 12 სექტემბერი.

[36] იქვე.

[37] გაზ. „კომუნისტი", 1941, 6 ოქტომბერი. თბილისის ორჯონიკიძის სახ. ქარხანაში კომუნისტების გ. ახალბედაშვილის, ვ. კვატაშიძის, გ. დავითაშვილის რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებით ქარხანამ წლიურად 4200 მანეთის ეკონომია მიიღო („კომუნისტი", 1941, 18 სექტემბერი).

[38] გაზ. „კომუნისტი", 1941, 7 სექტემბერი.

[39] ნამდვილი მებრძოლის თავდადებით მუშაობდნენ ჭიათურელი ამწეველი ამხ. ჭიღლაძე და ტყიბულელი მნგრეველი ცქიფურიშვილი, ტყვარჩელელი მუღლავი მემანქანე ალიოხინი და მირზაანელი ბურღვის ოსტატი ფიფია, თბილისის სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მეუდელი ილურიძე, არესტამოვი და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატები აკოფოვი და გასიაშვილი. თბილისის საორთქლმავლო დეპოს შემდღელელი პატარქალიშვილი და თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის მქსოველი ქალი კვარაცხელია. ისინი 300—400 პროცენტით ასრულებენ დავალებას.

[40] გაზ. „კომუნისტი", 1941, 2 სექტემბერი.

საქართველოს მუშების ასეთ პატრიოტულ თავდადებას თავისი შესანიშნავი შედეგები მოჰყვა საწარმოო დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულების საპატიო საქმეში. მაგალითად. საქართველოს მანქანათმშენებელმა ქარხნებმა 1941 წლის გეგმა ვადამდე შეასრულეს. დიდ წარმატებებს მიაღწია თბილისის ლითონის კონსტრუქციების ქარხანამ, რომელმაც 21 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით 1 110 000 მან. თავდაცვის პროდუქცია გამოუშვა. ასევე კალინინის ქარხანამ გეგმის გადამეტებით 673 000 მან. პროდუქცია გამოუშვა, ბათუმის თუთიის ქარხანამ — 25 000 მანეთისა და ა. შ.[41].

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის მუშებმა 1941 წ. 9 თვის მანძილზე ასეული ათასობით მეტრი ქსოვილი და ნახევარ მილიონამდე მანეთის მოგება მისცეს სახელმწიფოს[42].

საქართველოს ჩაის ფაბრიკების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს სეზონის დამთავრებამდე გეგმის გადამეტებით 450 ტონა მზა ჩაი გამოეშვათ. ეს ვალდებულება ბრწყინვალედ იქნა განაღდებული (ფაქტიურად გამოუშვეს 550 ტონა ჩაი).

ჭიათურის მარგანეცის, ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროელებმა ვადამდე შეასრულეს 8 თვის საწარმოო დავალება. ასევე წარმატებით მუშაობდნენ საქართველოს ნავთობის მრეწველობის საწარმოები და სხვ.

საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი იყო კომუნისტების როლი. მაგ., ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტში მომუშავე ლენინის ორდენოსანმა კომუნისტმა ა. აიბამ 1941 წლის უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში 2 წლის პროგრამა შეასრულა. ლენინის ორდენოსანი კომუნისტი ქ. მაქაცარია და პ. ზვერევიჩი დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ გეგმებს[43].

საქართველოს მუშათა კლასმა ასევე დიდი წარმატებები მოიპოვა ახალგაზრდა მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში. ომის დასაწყისიდანვე საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და ტრანსპორტზე მოედინებოდა ახალ-ახალი შევსებები, რომლებიც თანდათანობით ცვლიდნენ ფრონტზე წასულ კვალიფიციურ მუშებს, ესენი იყვნენ ქალები, ახალგაზრდები და მაღალკვალიფიციური მოხუცი პენსიონერი მუშები, მოხუცი კოლმეურნეები, მოწაფეები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ვადა-

---

41 გაზ. „კომუნისტი", 1941, 24 დეკემბერი.
42 გაზ. „კომუნისტი", 1941, 26 ოქტომბერი.
43 გაზ. „კომუნისტი", 1941, 2 სექტემბერი.

ზე ადრე კურსდამთავრებული საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელთა მუშა ახალგაზრდობის კადრები. სახელმწიფო ადმინისტრაციული სამმართველო დაწესებულებების აპარატის მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქარხნებში წავიდა, რათა თავისი შრომით უფრო ეფექტურად დახმარებოდა ფრონტს. რესპუბლიკის ყველა ქალაქში დაბასა და სოფლსაბჭოში ჩატარდა ქალთა და ახალგაზრდათა ანტიფაშისტური მიტინგები, სადაც ღებულობდნენ მოწოდებას ფრონტზე წასული მუშების ღირსეულად შეცვლის შესახებ. ეწყობოდა დიასახლისთა კრებები და საუბრები, სადაც ეანუმარტავდნენ საბჭოთა ქალის როლს და ამოცანებს დიდ სამამულო ომში.

სულ მალე ქალი ფრონტზე წასული მამაკაცის ადგილს იკავებს, უმცროსი ძმა—უფროსისას. ომის წლებში რესპუბლიკის საწარმოებში 40 000 მხოლოდ კომკავშირელი გოგონა მოვიდა[14].

რესპუბლიკის საწარმოებში მუშათა ორგანიზებულად ჩაბმისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1942 წ. 13 თებერვლის) ბრძანებულებას ომის პერიოდში „ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის საწარმოებსა და მშენებლობებზე მობილიზაციის შესახებ". საქართველოს მშრომელები მოწონებით შეხვდნენ ამ ბრძანებულებას.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ქალთა, მოზარდთა და მოხუცთა მიერ ღირსეულად იქნა შეცვლილი ფრონტზე წასული მამაკაცები. 1945 წლის მონაცემებით მუშა ქალთა პროცენტული შეფარდება წარმოებაში დასაქმებულ მუშათა მთლიან რიცხვთან ასეთი მაჩვენებლებით ხასიათდება: მსუბუქი მრეწველობის დარგში— 75,9%, საფეიქრო მრეწველობაში—81%, კვების მრეწველობის დარგში—63,7%.[45]. ქალები ნაყოფიერად მუშაობდნენ ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში, ტრანსპორტსა და სამხედრო საწარმოებში.

კიდევ უფრო დიდი იყო ქალთა აქტივობა რესპუბლიკის სოფლებში. გამრავლდა მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოს და ჭარხლის მოსავლიანობის ოსტატები, გაიზარდა აგრეთვე ტრაქტორისტ სტახანოველ ქალთა რიგები. ქართველმა ქალებმა ქ. სარსანიამ და სხვებმა ჩაის კრეფის მსოფლიო რეკორდები დაამყარეს. ასევე ითქმის საქართველოს ახალგაზრდობის პატრიოტიზმზე, მის შრომითს მამაცობაზე. კომკავშირელთა ინიციატივით იქმნება ახალგაზრდული და საფრონტო ბრიგადები, ინერგება რაციონალიზატო-

---

[44] სამამულო ომის არქივი, ფონდი 3, საქმე 7, ფურც. 10.

[45] ცნობები აღებულია საქართველოს სსრ რესპუბლიკური სტატისტიკური სამმართველოდან.

რული წინადადებები. კომკავშრელებმა ომის წლებში თავიანთი ინიციატივით მრეწველობაში ჩამოაყალიბეს 1279 ბრიგადა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფრონტულად იწოდებოდა.

ფრონტზე წასულთა შესაცვლელად ფაბრიკა-ქარხნებს, შახტებსა და მაღაროებს უბრუნდებიან მაღალკვალიფიციური მოხუცი პენსიონერი მუშები, რომლებიც ომამდე სრულებით აღარ მუშაობდნენ ანდა გადასული იყვნენ უფრო მსუბუქ სამუშაოებზე. საქართველოს კპ (ბ) თბილისის კომიტეტში შემდგარ პენსიონერ მუშათა თათბირზე მოხუცმა ზეინკალმა ა. ბადახიშვილმა განაცხადა: „1902 წლიდან ვმუშაობდი ჩემს სპეციალობაზე თბილისის და მოსკოვის დიდ საწარმოებში... უკანასკნელ წლებში ვმუშაობდი ტრესტ „საქენერგოს“ მომარაგების განყოფილების გამგედ. მოხუცი მუშების მოწოდებამ ხელახლა დავდგეთ დაზგებთან, ღრმად ამაღელვა. ვუბრუნდები კვლავ დაზგას იმ რწმენით, რომ მოვუტანო სარგებლობა სამშობლოს, დავეხმარო წითელ არმიას“[46].

საწარმოებში დაბრუნებულმა მოხუცებმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს ახლადმოსული მუშების აღზრდისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ახლადმოსულ მუშათა 60—70%-ზე მეტი არავითარი პროფესიის მქონე არ იყო. მათ წინაშე დაისვა ამოცანა — უმოკლეს პერიოდში დაუფლებოდნენ პროფესიას. რომლის სასურველად გადაჭრა სხვა ღონისძიებებთან ერთად შესაძლებელი გახდა კვალიფიციურ მუშათა კადრების დახმარებით; მათდამი ახლადმოსული მუშების მიმაგრებისა და ინდივიდუალურად სწავლების პრაქტიკამ დააადასტურა, რომ ეს გამოცდილი მუშები ასევე სამაგალითო მასწავლებლებიც აღმოჩნდნენ. მალე მათ შორის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება; ამ გზით მუშათა კადრების მომზადებაში ცნობილი ა. სემენოვლოვი და პ. სპეხოვი ამ მოძრაობის ინიციატორებად გვევლინებიან[47].

სტახანოველი მუშები აღმოჩნდნენ არა მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდის სამაგალითო ოსტატები, არამედ საუკეთესო პედაგოგები და აღმზრდელები. სტახანოველთა ამ შემოქმედებითმა ინიციატივამ დიდი როლი შეასრულა მუშათა ახალი კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში. მუშა მოწაფეები ნოვატორ მასწავლებელთა ღირსეული თანაშემწენი აღმოჩნდნენ. ახლადმოსულ მუშებს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება

---

[46] გაზ. „კომუნისტი“, 1942, 16 იანვარი.
[47] გაზ. „Труд“, 1941, 5 ნოემბერი

ტექნიკის სწრაფად დაუფლებისათვის. მრავალმა მათგანმა შრომაში გმირობა და თავდადება გვიჩვენა.

სამამულო ომის პირველსავე თვეებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ცხადი გახდა, რომ რესპუბლიკის მშრომელები მათ წინაშე მდგომი ამოცანების სიმაღლეზე იდგნენ. საქართველოს მუშათა კლასის გმირული შრომით 1941 წელს, 1940 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა. მაგ., კვების მრეწველობაში — 13,8 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში — 26,5 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობაში — 13,5 პროცენტით და სხვ.

გამომგონებლობამ და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვამ გაზარდა პროდუქციის ახალი სახეების წარმოების ათვისება, გამოავლინა და აამოქმედა ადგილობრივი რესურსები და გაზარდა შრომის ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულა ორასოვანთა და მრავალასოვანთა რიგების ზრდამ. მაგ., მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში 1941 წლის მეოთხე კვარტალში მათი რაოდენობა 353-ს აღწევს. ამავე პერიოდისათვის საფეიქრო მრეწველობაში კი 410 მრავალდაზგოსანი ითვლებოდა[48].

1941 წლის გეგმა საქართველოს სსრ ძირითადმა სამრეწველო სახალხო კომისარიატებმა ვადაჭარბებით შეასრულეს. მათ 1940 წელთან შედარებით 11,3 პროცენტით გაადიდეს პროდუქციის გამოშვება, 1941 წლის მეორე ნახევარში შეძლეს გამოეშვათ 13 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე პირველ ნახევარში.

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა წარბატებით აითვისეს სპეციალური დანიშნულების პროდუქციის წარმოების ახალი სახეობები. საქართველოს საწარმოებში ასეთი პროდუქციის წარმოების ხვედრითი წონა 1942 წლისათვის 83 პროცენტს აღწევდა[49]. საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა მალე ისწავლეს ახალი სახის პროდუქციის წარმოება, ნედლეულის და საწვავის ხარჯვის ეკონომია, კადრების უმოკლეს ვადაში მომზადება და ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება. ისინი ქმედით დახმარებას უწევენ საბჭოთა არმიას, სისტემატური კავშირი აქვთ დამყარებული განსაცდელში მყოფ გმირ ქალაქებთან და სხვ. მაგ., ლენინგრადის მშრომელებს გამამხნევებელი და გამარჯვების რწმენით აღსავსე წერილი მიწერა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ორასოვანთა თათბირმა[50].

---

[48] გაზ. „კომუნისტი", 1942, 23 თებერვალი.
[49] იქვე.
[50] გაზ. „კომუნისტი", 1941, 12 სექტემბერი.

ომის პირველ დღეებში მტრის მიერ ოკუპირებული საბჭოთა რაიონების ზონიდან მოსახლეობის, ფაბრიკა-ქარხნების, მტს-ებისა და კოლმეურნე გლეხობის მთელი დოვლათის ორგანიზებულად ევაკუაციის საქმეში დიდი როლი შეასრულეს ტრანსპორტმა და სატრანსპორტო მეურნეობის მუშაკებმა.

ფრონტისპირა ზოლიდან ღრმა ზურგში, საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის რაიონებში, ეს გრანდიოზული მასშტაბის ევაკუაცია მეტად მოკლე დროში განხორციელდა. სამამულო ომის დაწყებიდან 3 თვეში 1360 მსხვილი საწარმოს დემონტაჟი და გადაადგილება სრული წესრიგით და შეუფერხებლად დამთავრდა. მხოლოდ რკინიგზის ტრანსპორტმა ამ ეტაპზე $1^1/_2$ მილიონი ვაგონი საევაკუაციო ტვირთის გადაზიდვა წარმატებით უზრუნველყო. აღსანიშნავია ასევე წყლის, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის დიდი დამსახურება.

ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველოს ტრანსპორტის, მისი სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო და საზღვაო ფლოტის მუშაკები მოწინავეთა რიგებში იდგნენ, გზას უკაფავდნენ ნოვატორულ ლენინურ მოძრაობას და ტვირთზიდვის გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ[51].

რესპუბლიკის ტრანსპორტის ყველა სახეობის საშუალებებით სამაგალითო ორგანიზებულობით განხორციელდა სამრეწველო საწარმოებისა და მოსახლეობის ტრანსპორტირება საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან, უკრაინიდან და საბჭოთა რუსეთის სამხრეთის მთელი რიგი რაიონებიდან. ევაკუირებულ იქნა მძლავრი ფაბრიკა-ქარხნები, სამრეწველო საწარმოები მუშებითურთ, ცალკეული კოლმეურნეობები, კოლმეურნე ქალები, ბავშვები და მოხუცები, რომლებიც გულთბილად იქნენ მიღებული ქართველი ხალხის მიერ და ყოველმხრივ დახმარება გაეწიათ. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობას ეწვივნენ უკრაინის ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეები. ეს ორი კოლმეურნეობა მრავალი წლის განმავლობაში ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში იყვნენ, სამამულო ომის დროს კი საბრძოლო და ნივთიერ დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს[52].

---

[51] ეს საკითხი ჩვენ უფრო ფართოდ გაშუქებული გვაქვს სპეციალურ შრომაში „საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან", 1957.

[52] Очерки развития народного хозяйства Украинской ССР, М., 1953. 442.

საქართველოს კპ (ბ) ცეკას 1942 წ. 17 თებერვლის მასალებში შემხსენებელთათვის თემაზე: „წითელი არმიის 24-ე წლისთავი და საბჭოთა საქართველოს 21-ე წლისთავი“ — ვკითხულობთ: „საბ-ჭოთა საქართველოს მრეწველობის და ტრანსპორტის საწარმოები დღითი დღე ზრდიან პროდუქციის გამოშვებას, ამასთანავე ეკონო-მიას ეწევიან სათბობის, მეტალის, ხელსაწყოების და სათადარიგო ნაწილებისას. რესპუბლიკის წამყვან საწარმოებში ომის წლებში გაიზარდა რიცხვი ორასოვანთა, ასევე იმ მუშებისა, რომლებიც ერთ ცვლაში 3—4 და მეტ ნორმებს ასრულებდნენ.

მაგ., ტყვარჩელის სტალინის სახ. მაღაროს მუშამ ნ. ხუნტუა-ს დღიური ნორმა 2060 პროცენტით შეასრულა და მთელი გამომუშა-ვება თავდაცვის ფონდში შეიტანა. საქართველოს ნავთობის მრეწველობის რიგი მუშაკები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდნენ ორდენებით და მედლებით. გამრავლდა ლუნინელთა რიცხვი“.

ასეთია წარმატებები, რომლებიც საქართველოს მუშათა კლასმა ნოიპოვა ომის დაწყების პირველ თვეებში. საქართველოს მუშათა კლასმა ამ წარმატებებს მიაღწია ომის დროის უდიდეს სიძნელეთა ვაჟკაცურად გადალახვის გზით. თუ რა ხასიათის იყო კონკრეტუ-ლად ეს სიძნელენი და რა ღონისძიებებითა და მეთოდებით ხდე-ბოდა მათი დაძლევა ამაზე ჩვენ ქვემოთ სპეციალურად გვექნება მსჯელობა.

2. კოლმეურნე გლეხობის თავდადება

მუშათა კლასს მხარში ედგა კოლმეურნე გლეხობა, კიდევ უფ-რო მტკიცდებოდა ქალაქისა და სოფლის კავშირი. სოფლის მეურნე-ობის მუშაკთა მოქმედების პროგრამად გადაიქცა საბჭოთა არმიის და მოსახლეობის სურსათით, ხოლო მრეწველობის ნედლეულით შეუფერხებლად უზრუნველყოფა.

ფაშისტ-დამპყრობლების ვარაუდი — თითქოს საბჭოთა კავში-რი ვერ უზრუნველყოფდა 1941 წ. მოსავლის აღებას, ჩაიფუშა. კოლმეურნე გლეხობამ მტრის შემოსევას უპასუხა მამაცური შრო-მით, მათ ვადაზე ადრე შესძლეს მოსავლის აღება და სახელმწიფო-სადმი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გაძლიერე-ბით უზრუნველყვეს გეგმის გადაჭარბებით შესრულება. კოლმე-ურნე გლეხობა ამ წარმატებას აღწევს უაღრესად ძნელ პირობებში. რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მაღალკვა-ლიფიციური სპეციალისტები, აგრონომები, ტრაქტორისტები, კომ-ბაინერები, ჩაისა და ციტრუსთა, ვენახისა და ხეხილის ბა-

ღების გამოცდილი კადრები, ბრიგადირები და მერგოლერები ამ დროს უკვე ფრონტებზე იყვნენ წასული. სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ავტომანქანებისა და ცხენების დიდი ნაწილი მობილიზაციის შედეგად ძალზე შემცირდა. ამ სიძნელეთა დაძლევისა და მასების აქტივობის სწორად წარმართვის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კომუნისტური პარტიის ღონისძიებებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცების საქმეში. 1941 წ. 17 ნოემბერს საკავშირო კპ(ბ) ცეკას დადგენილებით მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა პოლიტ-განყოფილებები.

სამამულო ომის პირველსავე დღეებიდან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ღონისძიებები ჯატარდა მუშათა და გლეხთა, ქალაქისა და სოფლის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ჯერ კიდევ 1941 წელს სოფლად საზაფხულო სამუშაოებზე ქალაქის მშრომელებისა და მოწაფეობის მონაწილეობამ კარგი შედეგები მოიტანა და ეს პრაქტიკა ომის წლებში გამართლებულად იქნა მიჩნეული. გაზეთი „პრავდა“ მოუწოდებდა: — „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დაძაბულ პერიოდებში, დიდი დახმარების გაწევა შეუძლია და კიდევაც უნდა გაუწიოს ახალგაზრდობამ—საშუალო სასწავლებელთა უფროსი კლასების მოსწავლეებმა, უმაღლესი სკოლების მოსწავლეებმა, აგრეთვე ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მოსამსახურეებმა“[53].

ჩვენი ქვეყნის ქალაქების ასეულ ათასობით მოსახლეობა 1941 წლის ზაფხულშივე მასობრივად გაემგზავრა სოფლად და აქტიურად მონაწილეობდა მოსავლის აღებაში[54].

რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის სამუშაოებში ქალაქის მოსახლეობის მონაწილეობის სასურველი შედეგების მიღების მიზნით, 1941 წ. ნოემბერში ყალიბდება მოკლევადიანი სპეციალური კურსები და სასწავლებლები, რომლებშიც ქალაქის არაორგანიზებული მოსახლეობა, მოსამსახურეები და მოსწავ-

---

[53] გაზ. „პრავდა“, 1941, 16 დეკემბერი.

[54] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11616, ფურც. 2. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ აქტივობას იჩენდა სოფლის მოზარდი თაობა კოლმეურნეობებში, მოგვყავს ასეთი ცნობა: ხარაგაულელმა პიონერებმა და მოსწავლეებმა გამარგლეს 4307 ჰექტარი სიმინდი და მხოლოდ მარგვლაში გამოიმუშავეს 907 317 შრომადღე.

ასევე ითქმის ჭიათურის რაიონის სკოლების მოსწავლეებზე. მათ 1941 წლის სასკოლო არდადეგები კოლმეურნეობებში ბეჯით შრომაში გაატარეს და სხვ. (იხ. სამ. ომის ისტ. არქივი, ფონდი 5, საქმე 818, ფურც. 33 და 52).

ლეები ეუფლებიან სოფლის მეურნეობის სამუშაოთა ტექნიკის მინიმუმს დარგების მიხედვით.

საქართველოს სსრ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების 1941 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებით რესპუბლიკის ძირითად რაიონებში დაიგზავნა ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ყველაზე უფრო გამოცდილი წევრები იმ მიზნით, რომ გაეწიათ ქმედითი დახმარება პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისადმი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური ღონისძიებების განხორციელების საქმეში. ომის დაწყების პირველ პერიოდში ადგილზე რაიონული ხელმძღვანელობა, ბუნებრივია, განსაკუთრებით საჭიროებდა ისეთ ჭამოცდილ მუშაკთა დახმარებას, როგორიც იყვნენ ფ. მახარაძე, გ. სტურუა და სხვ.[55].

საქართველოს ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა თავდაცვის კომიტეტის მითითების საფუძველზე სათანადო დადგენილება მიიღო იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა საბჭოთა არმიის რიგებში მასობრივად წასული ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა მუშაკების შესაცვლელად საჭირო ახალი კადრების შერჩევასა და მომზადებას, მათს დაწინაურებას საწარმოებისა და ტრანსპორტის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებად[56]. სოფლად კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში იგზავნება პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები და მრავალი მშრომელი. 1942 წლის 13 ივლისს საქართველოს კპ (ბ) ცეკას ბიურომ განიხილა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სას. სამ. სამუშაოებზე ქალაქის შრომისუნარიანი მობილიზებული მოსახლეობის მუშაობის მიმდინარეობის საკითხები. ამ დროისათვის სოფლად წასული და მუშაობაში ჩაბმული იყო 57 ათასი შრომისუნარიანი. მაგ...

---

[55] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11595, ფურც. 4—5.

[56] იქვე. სხვა ღონისძიებათა შორის, 1941 წლიდანვე რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება ომიანობის დროს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და საწარმოთა დამხმარე მეურნეობების სას. სამ. სამუშაოებში ორგანიზებული წესით მე-7—10 კლასის მოსწავლეების ჩაბმის შესახებ.

ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდები მიმართა საქართველოს განათლების ყველა მუშაკს, მასწავლებელსა და უფროსი კლასის მოსწავლეს. საქართველოს ყველა რაიონში, სოფლად და ქალაქად ასეულ ათასობით მოსწავლეები და. მასწავლებლები პარტიისა და მთავრობის მოწოდების საფუძველზე ერთსულოვნად. დაირაზმნენ უხვი მოსავლის აღებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს არქ., საქ., № 25, გვ. 361—353, მუხ. 155; გაზ. „კომუნისტი", 1941, 9 ივლისი).

თბილისის თვითეული რაიონიდან 300-დან 600 კაცამდე აღმოსავლეთ საქართველოს ცალკე რაიონებში იმყოფებოდა[57].

ფრონტზე წასულ მამაკაცებს მოკლე დროში ღირსეულად ცვლიან კოლმეურნე ქალები. არ არსებობს სოფლის მეურნეობის არც ერთი დარგი, იქნებოდა ეს მემინდვრეობა, მევენახეობა, ჩაისა და თამბაქოს, ციტრუსებისა და შაქრის ჭარხლის მეურნეობა თუ სხვა დარგი, სადაც საქართველოს კოლმეურნე ქალებს ომის წლებში თავი არ ესახელებინათ.

რესპუბლიკის კოლმეურნე ქალები ომის წლებში წარმატებით დაეუფლნენ ტრაქტორისტის, გუთნისდედისა და სხვა პროფესიებს. ამათ თავი გამოიჩინეს აგრეთვე სოფლის შეურნეობის ხელმძღვანელ სამუშაოებზე—მუშაობდნენ სოფსაბჭოსა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად, მესაქონლეობისა და მეფრინველეობის ფერმის გამგეებად, ბრიგადირებად, მერგოლურებად. მაგალითად, ომის წლებში აფხაზეთის ასსრ-ში მხოლოდ მეფრინველეობის ფერმის გამგედ დაწინაურებული იყო 140 ქალი, ხოლო ხელმძღვანელ სამუშაოებზე—253 ქალი[58].

ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის საპასუხოდ საქართველოს კოლმეურნე ქალებმა ახალი რეკორდები დაამყარეს. გამრავლდა ხუთასოვან და ათასოვან ქალთა რიგები. კოლმეურნე ქალთა შრომითმა თავდადებამ დიდი წარმატებები მოგეცა საქართველოს ჩაის რაიონებში. ჩაის პლანტაციებში შრომითი თავდადებით ბევრმა ქართველმა ქალმა ისახელა თავი. მაგ., სოფ. ჭილოუს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ახუბამ 1941 წ. 20 ივლისს ჩაის კრეფის ახალი რეკორდი დაამყარა — მოკრიფა 945 კგ. ჩაის მწვანე ფოთოლი და დღიური ნორმა 4722 პროცენტით შეასრულა[59].

---

[57] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12303, ფურც. 39—40.

[58] საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის არქივი, ფონდი 1, საქმე 30, ფურც. 120. სოფ. ლაშისღელის ფრუნზეს სახ. კოლმეურნეობას და სასოფლო საბჭოს ქალები ხელმძღვანელობდნენ. კოლმეურნეობაში არსებული რვა რგოლიდან ექვს რგოლს ფრონტელთა მეუღლეები და დედები ხელმძღვანელობდნენ.

ფრუნზეს სახელობის ლაშისღელის კოლმეურნეობიდან 144 ვაჟკაცი ფრონტზე წავიდა. კოლმეურნეობაში მოხუცები და ქალები დარჩნენ მოზარდებთან ერთად. პენსიონერმა ქალმა ეფემია რუსეიშვილმა განცხადებით მიმართა რაიონულ კომიტეტს: გთხოვთ სამუშაოდ გამგზავნოთ, შინ დარჩენა არ შემიძლია. გამოცდილი და გულისხმიერი ეფემია სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. კოლმეურნეობას სათავეში ქსენია ორაგველიძე ჩაუდგა. ლაშისღელის კოლმეურნეობა მოწინავე გახდა. ქ. ორაგველიძე შრომის წითელი დროშის ორდენით იქნა დაჯილდოებული (ა ლ ი ო ა დ ა მ ი ა, — „ლაშისღელეში სახლია ერთი", ნარკვევი).

[59] „კომუნისტი", 1941, 24 ივლისი.

აგრეთვე ჩაის კრეფის ცნობილმა რეკორდსმენმა ორდენოსანმა ქიონია სარსანიამ 1941 წ. 7 სექტემბერს ერთი დღის განმავლობაში მოკრიფა 1407 კგ პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი. დღიური ნორმა შეასრულა 9100 პროცენტით და გამოიმუშავა 91 შრომადღე.

სარსანიას მუშაობა იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ იგი ზრდიდა ახალგაზრდა ნოვატორებს, ნერგავდა ჩაის კრეფის საკუთარ გამოცდილებას და დიდად უწყობდა ხელს საერთო ალმაევლობას[60].

კოლმეურნე ქალები მასობრივად ეუფლებიან ტრაქტორისტის პროფესიას, ისინი ხვნის საწარმოო გეგმების შესრულებისა და საწვავის ეკონომიის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან.

მაგ.. გორელმა ტრაქტორისტმა ქალმა მარო ყულიაშვილმა იკისრა ხვნის დღიური გეგმის 250 პროცენტით შესრულება. მან პირობა წარმატებით გაანაღდა. ი. გასიტაშვილმა ხვნის წლიური გეგმა 26 ოქტომბრისათვის შეასრულა 112 პროცენტით და 995 კგ საწვავი დაზოგა. მ. გიორგაშვილმა 249 ჰექტარის ნაცვლად 32; ჰექტარი მოხნა და 1398 კგ საწვავი დაზოგა[61].

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა საქართველოს სინამდვილიდან, თუ რაოდენ თავდადებითა და ვაჟკაცური სიმამაცით ცვლიდნენ მოხუცი კოლმეურნეები ფრონტზე წასულ შვილებს, ჩვენ აქ რამდენიმეზე შეეჩერდებით: 1941 წლის 7 სექტემბერს გაზ. „კომუნისტის" კორესპონდენტმა ინახულა სოფ. ხვარბეთის (მახარაძის რაიონი) კოლმეურნის ნიკოლოზ ლესელიძის ოჯახი, რომლის ოთხი ვაჟი, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი კონსტანტინე ლესელიძე და მისი სამი ძმა, გმირული თავდადებით იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტზე. მოხუცი მშობლები კი დიდი ენერგიითა და ახალგაზრდული ენტუზიაზმით მუშაობდნენ კოლმეურნეობაში საბჭოთა არმიის ზურგის გასამაგრებლად[62].

სოფელ პატარა ფოთის კოლმეურნემ 80 წლის მოხუცმა ივანე წულაიამ 5 ვაჟი — ტარასი, ილიანე, იონა, გიორგი და

---

[60] ძალას არ ვზოგავ, — განაცხადა ქ. სარსანიამ, — რათა ახალგაზრდა კოლმეურნეებს შევასწავლო ჩაის კრეფის ნოვატორული მეთოდი სწრაფი და მაღალხარისხოვანი კრეფისა. ამ მიზნით სისტემატურად ვეხმარები მათ პლანტაციებში. პრაქტიკულად ვაჩვენებ ჩაის კრეფის მომენტში ორი კალათის ტარების და ორიეე ხელით—ათივე თითით—კრეფის ხერხს. ჩემმა მოწაფეებმა საუკეთესოდ შეითვისეს ჩემი მეთოდი და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწიეს. მათ შორის შ. გაბელია, ქ. ყალიჩავა, თ. ზორია, მ. ყალიჩავა, ვ. ყალიჩავა, თ. მაქაცარია და სხვები დღეში 350—400 კგ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფენ (გაზ. „კომუნისტი", 1943, 14 ნოემბერი).

[61] გაზ. „კომუნისტი", 1941, 26 ოქტომბერი.

[62] გაზ. „კომუნისტი", 1941, 9 სექტემბერი.

ჭუკუ — ომის დაწყების პირველსავე დღეებში სამამულო ომის ფრონტებზე გაისტუმრა. თვითონ კი, თავის რძლებითურთ ახალი ენერგიით ჩაება შრომაში[63]. ასევე ითქმის ჭიათურის რაიონის სოფ. ცრემლოვანის კოლმეურნე 70 წ. მოხუც ივანე კაპანაძის მამაცობაზე, რომელმაც 1943 წ. 377 შრომადღე გამოიმუშავა[64]. ამავე რაიონის სოფ. ზოდის სტალინის სახელობის კოლმეურნე, მოხუცი დავით გამყრელიძე კი მთავრობის მიერ დაჯილდოებულ იქნა მედლით „შრომითი მამაცობისათვის"[65]. ჭიათურის რაიონის სოფ. შუქრუთის „წითელი არმიის" სახელობის კოლმეურნეობის მოხუცი წევრი ფატა გაფრინდაშვილი ასევე დიდ შრომითს თავდადებას იჩენდა. იგი მუშაობდა მეღორეობის ფერმაში და გეგმით გათვალისწინებულ 28 გოჭის ნაცვლად გაზარდა 55 გოჭი[66].

ამგვარი თავდადებული შრომითი წარმატებით დამთავრდა როგორც 1941 წლის მოსავლის აღება, ისე მინდვრად საშემოდგომო სამუშაოები და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხორცისა და სხვა პროდუქტების ჩაბარება, მუშაობის ტემპები წინანდელზე ბევრად უფრო გაძლიერდა. ამავე დროს მასობრივად დაიწყო კოლმეურნეობისა და კოლმეურნეების მიერ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში სათანადო წვლილის შეტანა ყოველგვარი დანაზოგებიდან. ასევე დიდი გაცხოველებით მიმდინარეობდა 1942 წლის სასოფლო-სამეურნეო, საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მთელ ამ მუშაობას სათავეში ედგა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. ჯერ კიდევ 1941 წ. ნოემბრის პირველ რიცხვებში საკ. კპ (ბ) ცეკას დირექტივების საფუძველზე განიხილეს საკითხი კოლმეურნეობებში მზრალად ხვნის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო გეგმით 1941 წ. გათვალისწინებული იყო 170 ათასი ჰექტარი ფართობის მზრალად მოხვნა საკოლმეურნეო ფართობებში. მზრალად ხვნის გეგმა რესპუბლიკაში 1941 წ. 10 დეკემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო[67], რაც ვადაზე ადრე განხორციელდა.

დიდი მუშაობა გაჩაღდა გამოუყენებელი, ნასვენი ფართობების ასათვისებლად და დროულად დასათესად. სულ საქართველოს

---

[63] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 143 და 146.
[64] იქვე, ფონდი 4, საქმე 391, ფურც. 3.
[65] იქვე, ფონდი 4, საქმე 391, ფურც. 3.
[66] იქვე.
[67] გაზ. „კომუნისტი", 1941, 6 ნოემბერი.

კოლმეურნეობებმა საშემოდგომო ნათესთა ფართობი 1941 წ. 42 ათასი ჰექტარით გაადიდეს 1940 წ. შედარებით. განსაკუთრებით დიდი ენთუზიაზმით ითესებოდა თავდაცვის ჰექტარები.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ 1941 წ. გათვალისწინებული ყველა ვალდებულება მაღალხარისხოვანი მაჩვენებლებით შეასრულა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა 1942 წლის უხვი მოსავლის მისაღებად.

3. მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ჩადგომა სამშობლოს დაცვის სამსახურში

ომმა საქართველოს ინტელიგენციისაგან მოითხოვა მუშაობის გარდაქმნა. აუცილებელი გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, უმაღლესი სასწავლებლების სათანადო კათედრების, ასევე ტექნიკუმებისა და სხვა ტიპის სასწავლებლების მუშაობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა და ახალი ამოცანების წინაშე მდგომი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღმავლობისადმი დაქვემდებარება. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს ინტელიგენციამ მოკლე დროში შეძლო ამ უძნელესი და ურთულესი ამოცანის განხორციელებისათვის მთელი თავისი ძალების დარაზმვა. რესპუბლიკის ტექნიკური ინტელიგენცია, ინჟინრები და გეოლოგები მთელი ენერგიით იწყებენ ბრძოლას ადგილობრივი რესურსების გამოვლინების, რაციონალიზატორული წინადადების დანერგვისა და თავდაცვის პროდუქციის გადიდებისათვის. აგრონომები და ზოოტექნიკოსები ძალებს არ ზოგავდნენ უხვი მოსავლის მისაღებად. მედიცინის მუშაკებმა რესპუბლიკის დიდი საკურორტო და სამკურნალო ბაზებითურთ თავიანთი მუშაობა მთლიანად დაუქვემდებარეს თავდაცვის ამოცანებს. საქართველო საბჭოთა არმიის ჯანმრთელობის დაცვის სამჭედლო გახდა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმეში ჩაბძული ათეულ ათასობით ეკონომისტი, კომუნისტური პარტიისა და საგეგმო ორგანოების ხელმძღვანელობით, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა რესპუბლიკის ეკონომიკის ახლებურად დაგეგმვისა და მისი ყველა რესურსების და მთელი შესაძლებლობის ქვეყნის თავდაცვის სამსახურში გადაყვანისათვის.

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან ფრონტზე წავიდნენ სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერები, პროფესორები, დოცენტები, ლექტორები და სტუდენტობა. ამასთანავე, ომის მთელ მანძილზე შენარჩუნებუ-

ლი იყო უმაღლეს სასწავლებელთა და კვლევითი ინსტიტუტების ძირითადი კონტინგენტი. მათი მუშაობა დაქვემდებარებულ იქნა საბჭოთა არმიის ზურგის განმტკიცების — მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის აღმავლობის, მშრომელთა გათვითცნობიერების და ფაშიზმის ცრუმეცნიერული იდეოლოგიის მხილების საქმისადმი.

1941 წ. ივლისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი კომისია აკადემიის პრეზიდენტის ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც წარმართავდა და კოორდინაციას უკეთებდა აკადემიის ყველა სახის სამხედრო-თავდაცვით სამუშაოებს (ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობასთან თანამშრომლობით).

ომის დასაწყისშივე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ საქართველოში მოავლინა განსაკუთრებული დანიშნულების ექსპედიცია. მას ევალებოდა საქართველოს მეცნიერულ ძალებთან ერთად ფრონტის გეოგრაფიულ-გეოლოგიური მომსახურების სწორი ორგანიზაცია. შეიქმნა კავკასიის გეოლოგიურ-გეოგრაფიული და გეოდეზიურ-ტოპოგრაფიული კომისიები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბდა საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აკად. ა. თვალჭრელიძე. დიდი მუშაობა გაჩაღდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა — სათბობისა და სამრეწველო რესურსების ახალ-ახალ მარაგთა გამოვლინების მიზნით, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ თავდაცვისათვის. ქართველი გეოლოგების მიერ აღმოჩენილ იქნა ქვანახშირის, ფერადი ლითონების, ნავთობისა და სხვ. ახალი დიდი მარაგი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში 1941 წ. 27 ნოემბერს შედგა ქ. თბილისის მეცნიერ-მუშაკთა საერთო საქალაქო თათბირი, რომელმაც განიხილა საბჭოთა არმიისადმი მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენის საკითხები. მოხსენებით გამოვიდა აკად. ა. თვალჭრელიძე[68]. თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები და მეცნიერების წარმომადგენლებმა ახალი ვალდებულებები აიკისრეს. დღითი დღე მტკიცდებოდა სამეცნიერო დაწესებულებების კავშირი წარმოებასთან. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოწინავე მუშების თანამშრომლობით მარგანეცის ელექტროლიზური წესით გადამუშავებით მოპოვებულ იქნა მაღალხარისხოვანი ფოლადი, რომელსაც დიდი სამრეწველო თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს[69].

---

[68] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 10. ფურც. 60.

[69] გაზ. „კომუნისტი", 1946, 29 იანვარი.

სამამულო ომის წლებში წარმოებისა და მეცნიერების კავშირი სავსებით ახალ საფეხურზე იქნა აყვანილი. რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური კვლევითი ინსტიტუტების და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერი მუშაკები—აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები და ასისტენტები უშუალოდ ჩაებნენ სამრეწველო საწარმოთა პრაქტიკულ შემოქმედებითს მუშაობაში და უდიდესი დახმარება გაუწიეს მუშათა კლასს მრეწველობის სამხედრო რელსებზე გადაყვანისა და თავდაცვის პროდუქციის გამოშვების სისტემატურად გადიდებისათვის ბრძოლაში. ათასობით სტუდენტი ახალგაზრდა აქტიურად ჩაება რესპუბლიკის ქვანახშირის, მარგანეცის, ნავთობის, ლითონგადამუშავების, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობაში. გვერდში ამოუდგა მუშათა კლასს მასზე დაკისრებული საპატიო ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ინსტიტუტებიდან არდადეგების პერიოდში ტყიბულსა და ტყვარჩელში იგზავნებოდა ბრიგადები. პროფ. გ. წულუკიძის, დოც. პ. ჯიქიასა და სხვათა ხელმძღვანელობით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის ბევრი მოწინავე სტუდენტი ტყვარჩელში გაემგზავრა. მათ შახტის ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მოწინავე სტახანოველ მუშებთან თანამშრომლობით ბევრი ახალი ტექნიკური გაუმჯობესებანი დანერგეს და გაზარდეს ზა პროდუქციის გამოშვება.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური და სხვა ინსტიტუტების უფროსი კურსების სტუდენტები მრეწველობისა და ტრანსპორტის პასუხსაგებ სამუშაოებზე გაემგზავრნენ. ისინი გამოყენებული იყვნენ მშენებლების, მემანქანეებს, ელექტროტექნიკოსების თანამდებობებზე, ასევე გზებისა და ხიდების მშენებლობებზე.

ომის წლებში საქართველოში შემდგომი განვითარება იწყო ტექნიკური მეცნიერების ახალმა დარგებმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაიხსნა ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილება, რომელშიც გაერთიანდა ტექნიკური მეცნიერების ოთხი ისეთი წამყვანი დარგი, როგორიცაა: ელექტროტექნიკა, მანქანათმშენებლობა და ლითონის ტექნოლოგია, სამთამადნო წარმოება-ტრანსპორტისა და მიმოსვლის საშუალებანი[70].

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა

[70] მეცნიერების ამ დარგთა მუშაკები, ჩადგნენ რა უშუალოდ ქვეყნის თავდაცვის სამსახურში, თავიანთ მუშაობაში დიდ ადგილს უთმობენ ომით დაზარა-

და უმაღლესი სასწავლებლების მრავალდარგოვან მუშაკთა და სტუდენტობის პატრიოტიზმი, რომელმაც ომის დასაწყისშივე იჩინა თავი. მათ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ამ დროს სოფლად შექმნილი სიძნელეების დაძლევისა და სოფლის მეურნეობის სამხედრო რელსებზე გადაყვანის ორგანიზაციის საქმეში. პარტიის პირველი მოწოდებისთანავე კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკები,—აკადემიკოსები, პროფესორები და დოცენტები სოფლად კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიდიან, ყოველმხრივ ეხმარებიან მათ კვალიფიციური კადრების მომზადებისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების საფუძველზე მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. აღსანიშნავია, რომ აკად. ტ. კვარაცხელიას, ნ. კეცხოველის და სხვათა მეცნიერული გამოკვლევები დიდ დახმარებას უწევდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და პრაქტიკოსებს. სოფლის მეურნეობისა და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების ათეულობით პროფესორ-მასწავლებელი, ასობით სტუდენტობა მიემგზავრებოდნენ რაიონებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა ტიპისა და სპეციალობის კურსებს. ამზადებდნენ ტრაქტორისტებსა და აგროტექნიკოსებს ადგილობრივი მოსახლეობიდან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის, რათა დროულად შეეცვალათ ფრონტზე წასულები. სტუდენტობა, ტექნიკუმებისა და სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობდა კოლმეურნეობათა ყველა სახის სამუშაოების შესრულებაში.

ქართველი ინტელიგენციის დიდი კოლექტივი, მედიცინის მუშაკები სამამულო ომის დასაწყისიდანვე მთელ თავიანთ მუშაობას უშუალოდ ფრონტის ინტერესებს უმორჩილებენ. ათასობით ექიმი ფრონტებზე წავიდა, ხოლო ზურგში დარჩენილი სამეცნიერო ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები, პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტობა დაჭრილ მებრძოლთა განკურნებას ემსახურებოდნენ ჰოსპიტლებსა და საავადმყოფოების უაღრესად გაფართოებულ ქსელში.

ლებული საბჭოთა რაიონების აღდგენის საქმეს. მაგალითად, ტრანსპორტის სექტორში დამუშავდა და გადაწყდა ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ხიდების, გზატკეცილებისა და რკინიგზების აღსადგენი ტიპიური პროექტების შემუშავება; სამხედრო დანიშნულების რკინიგზების, გზატკეცილებისა და ხიდების მშენებლობის მტკიცე ნორმების გამომუშავება და მათი მშენებლობის მექანიზაციის საკითხები; სამთო გზატკეცილებისა და რკინიგზების, ტიპიური ხიდების პროექტების დამუშავება, რომელთაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, კერძოდ, კავკასიის დაცვისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორების გ. გედეონიშვილის, კ. ზაერიევის, ვ. მაისუროვისა და სხვათა მიღწევები.

ქართული ხელოვნების მუშაკებმა ომის დასაწყისიდანვე იკისრეს დიდი მასშტაბის საშეფო მუშაობა წითელი არმიის მოქმედ ნაწილებსა და ჰოსპიტლებში მყოფ დაჭრილთა შორის. ქართველი არტისტები, მუსიკოსები, ცეკვის, სიმღერისა და მხატვრული სიტყვის ოსტატები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები თავიანთი კულტურულ-საშეფო ღონისძიებებით დიდ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა არმიას. ისინი უშიშრად მიდიოდნენ ფრონტის მოწინავე ხაზებზე და მხატვრულ-შემოქმედებითი მოწესახურებით ზრდიდნენ მებრძოლთა პატრიოტიზმს, მებრძოლებთან მართავდნენ შეხვედრებს, კონცერტებს, ლექციებს, საუბრებს და სხვ. ამ გზით ფრონტსა და ზურგს შორის მტკიცე და განუყრელი კავშირი დამკვიდრდა.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები (გ. ნიორაძე, ს. ჯანაშია, გ. ხაჭაპურიძე და სხვ.), ენათმეცნიერები (ა. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი), ფსიქოლოგები (დ. უზნაძე, ა. ბოკორიშვილი, ა. ფრანგიშვილი, რ. ნათაძე), ფილოსოფოსები, ლიტერატურათმცოდნეები, უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკები და სხვ. თავიანთ მეცნიერულ ნაშრომებში, პოპულარულ ბროშურებსა და ლექციებში ამხილებდნენ ფაშიზმის რასობრივ, რეაქციულ იდეოლოგიას. ისინი დაკავშირებულნი იყვნენ მოსახლეობის უფართოეს ფენებთან და თავიანთი სალექციო, პროპაგანდისტული მუშაობით დიდ სამსახურს უწევდნენ ხალხს და ეხმარებოდნენ პარტიას. ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატები, ქართველი პოეტები, მწერლები და დრამატურგები—გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიაჩელი, შ. დადიანი, ს. ჩიქოვანი, კ. ლორთქიფანიძე და მრავალი სხვ. დიდ შემოქმედებითს მუშაობას აჩაღებენ, ომის დასაწყისიდანვე უმღერიან გმირობას და თავდადებას სამშობლოს დასაცავად. მათ დიდი როლი შეასრულეს რესპუბლიკის მშრომელებზე კომუნისტური პარტიის მოწინავე იდეების გავლენის შემდგომი განმტკიცებისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში. ქართველი ინტელიგენციის ყველა საუკეთესო წარმომადგენელი, მეცნიერი მუშაკები, მწერლები, მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები და ტექნიკოსები, წარმოების ხელმძღვანელები ომის დასაწყისიდანვე აქტიურად ჩაებნენ საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში, მათ მასებში შეჰქონდათ ლენინის უკვდავი იდეები და უნერგავდნენ ვერაგ მტერზე გამარჯვების ურყევ რწმენას.

კომუნისტური პარტია, ახდენდა რა ჩვენი ქვეყნის მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაციას ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ამავე დროს უდიდეს მზრუნველობას იჩენ-

და ზურგის მთელი მოსახლეობის მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

* * *

ომის დროის სიძნელეებს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებაზე. სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნამ გამოიწვია ფართო მოხმარების საგანთა წარმოების შეკვეცა, სოფლის მეურნეობის და სამრეწველო პროდუქტთა მთელ მარაგზე მკაცრი ეკონომიის დაწესება, აუცილებელი იყო მათი მიზნობრივი განაწილება იმ ვარაუდით, რომ ფრონტზე და ზურგში მოსახლეობის მომარაგების საქმეში ომის მთელ მანძილზე ადგილი არ ჰქონოდა რაიმე სერიოზულ გართულებას. სასურსათო და სამრეწველო პროდუქტების სწორად განაწილების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ეახდა საბარათო სისტემის შემოღება. მრეწველობის წამყვანი დარგების მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ ქვეყნის თავდაცვის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე მუშაობდნენ, გაუდიდდათ ხელფასი, დაწესდა ნორმირებული პროდუქტებით მათი უკეთ მომარაგება.

დიდი სიძნელეების მიუხედავად ომის მთელ მანძილზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შენარჩუნებულ იქნა სტაბილური სახელმწიფო ფასები ფართო მოხმარების ნორმირებული საქონლის ყველა ასორტიმენტზე, დაცულ იქნა მტკიცე სახელმწიფო უცვლელი ტარიფები ბინის ქირის, კომუნალური მომსახურეობისა და ტრანსპორტით სარგებლობაზე.

კომუნისტური პარტია, ომის დასაწყისიდანვე ყოველმხრივ ზრუნავდა რა ზურგის მშრომელთა ჯანმრთელობაზე, დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი რეზერვებისა და რესურსების გამოვლენის საქმეს. ომის წლებში საქართველოში ფართოდ განვითარდა ფაბრიკა-ქარხნების დამხმარე მეურნეობებისა და მუშა-მოსამსახურეთა საბოსტნე ნაკვეთების დამუშავების პრაქტიკა, მათ დახმარება გაეწიათ თესლით, იარაღებით, გადიდდა ადგილობრივ თევზჭერა და სხვა, რომელიც იქცა რესპუბლიკის მშრომელთა სურსათით მომარაგების ფრიად მნიშვნელოვან საშუალებად.

4. საყოველთაო სახალხო პატრიოტული წამოწყებანი საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად

საქართველოს მშრომელთა საყოველთაო სახალხო მზრუნველობით იყვნენ გარემოსილი საბჭოთა მეომრები და სამამულო ომის ფრონტებიდან სამკურნალოდ ეამოგზავნილი საბჭოთა არმიის

ავადმყოფი და დაჭრილი მებრძოლები; განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფრონტელთა ოჯახებზე ზრუნვას. საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა არმიის 25 წლისთავზე მოუწოდებდა, რომ ფრონტელთა ოჯახებისადმი ზრუნვა, საბჭოთა არმიისადმი ყველა ჩვენი მზრუნველობის ნახევარს წარმოადგენსო. ფრონტელთა ოჯახისადმი დახმარება ხორციელდებოდა არა მარტო სახელმწიფოს მხრივ, არამედ მასების საყოველთაო სახალხო მზრუნველობითაც.

ქართველი ხალხი შეუნელებელ ყურადღებას იჩენდა ევაკუირებულ ბავშვთადმი, ბევრი მათგანი ქართველი დედების მიერ აყვანილ იქნა შვილებად და მშობლიური მზრუნველობის გამოჩენით ბავშვებს ობლობა არ უგრძვნიათ.

საბჭოთა მეომრებმა დაბეჯითებით იცოდნენ, რომ მათი ოჯახები საბჭოთა მთავრობისა და მთელი ხალხის საყოველთაო მზრუნველობით იყო გარემოსილი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელთა მზრუნველობა სამხედრო პირთა ოჯახებისადმი უაღრესად მრავალმხრივი და მეტად სახალხო საყოველთაო საქმედ გადაიქცა. საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფრონტელთა ყველა ოჯახი აღრიცხვაზე იქნა აყვანილი. ისინი, მთავრობის მიერ კანონით დაწესებული დახმარებებისა და შეღავათების გარდა. გარემოსილნი იყვნენ მოსახლეობის ზრუნვით — სასურსათო და სამრეწველო პროდუქტების მიწოდების, ფულადი დახმარების აღმოჩენის, საცხოვრებელი ბინების შეკეთების, სათბობით მომარაგების, საკარმიდამო და საბოსტნე ნაკვეთთა დამუშავების, შესაფერ სამუშაოებზე მოწყობისა და სხვა მხრივ. ფრონტელთა შვილების დიდ ნაწილს საბავშვო ბაგებსა და ბაღებში უფასოდ პატრონობდნენ. სამამულო ომის ფრონტიდან საქართველოს მეომრების მიერ გამოგზავნილი მადლობით აღსავსე უამრავი წერილი ზურგის მუშაკებისადმი ყველაზე უკეთ გამოხატავენ მათი ოჯახებისადმი პარტიის, მთავრობისა და ხალხის ზრუნვას და მის რეალურ შედეგებს.

საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი, როცა სამშობლოს მომაკვდინებელი საშიშროება დაემუქრა, უსაზღვრო იყო, იგი ახალ და ახალ ფორმებში ვლინდებოდა და უაღრესად ფართო შინაარს ღებულობდა. ამ მიმართულებით სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველი ხალხის მზრუნველობა საბჭოთა არმიისადმი. მშრომელები მთელი თავიანთი შესაძლებლობითა და სახსრებით ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ფრონტს და

ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან ქმნიდნენ ქვეყნის თავდაცვის ფონდებს. მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერები და ხელოვნების მუშაკები ახდენდნენ თავიანთი ხელფასის ნაწილის გადარიცხვას თავდაცვის ფონდში და თავიანთ გამოგონებებს, რაციონალიზატორულ წინადადებებს უსასყიდლოდ გადასცემდნენ სამშობლოს. კოლმეურნე გლეხები ზეგეგმით აბარებდნენ სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და სამრეწველო ნედლეულს, სთესავდნენ თავდაცვის ნაკვეთებს და ამავე ფონდში შეპქონდათ შრომადღეების გარკვეულ რაოდენობაზე მიღებული შემოსავალი. ქვანახშირის შახტებსა და მარგანეცის მაღაროებში, გუმბრინისა და ნავთობის საბადოებზე მუშებმა განავითარეს ინიციატივა დამატებით სამუშაო საათებში თავდაცვის ფონდში ზეგეგმითი ნავთობის, ბარიტის, მარგანეცისა და ქვანახშირით დატვირთული ახალი ეშელონების გადაცემის შესახებ. ასევე აღსანიშნავია რესპუბლიკის კომკავშირელების პატრიოტული ინიციატივა ლითონის ჯართის შეგროვების საქმეში. მათ მიერ მოეწყო სპეციალური შაბათობები და შეგროვდა ასეულ ტონობით ჯართი შავი და ფერადი ლითონებისა.

საქართველოს ახალგაზრდობამ 1941 წლის აგვისტოში მოაწყო დიდი კვირაობა. ახალგაზრდა მუშების, გლეხებისა და კულტურის ფრონტის ათეული ათასების მიერ ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტსებში გამომუშავებული მთელი თანხა და შრომადღეების ღირებულება მთლიანად თავდაცვის ფონდში იქნა შეტანილი.

საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებული ძალების ზრდამ, სსრ კავშირის მთელი ეკონომიკის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის სამხედრო რელსებზე გადაყვანამ, უზარმაზარი ფინანსური სახსრები და ნივთიერი საშუალებები მოითხოვა, რაც. სხვა ქვეყნებიდან სესხის მიღების გარეშე, ჩვენი ქვეყნის შინაგანი სახსრებითა და რესურსებით იფარებოდა ხალხის მასების გმირული შრომით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, შრომის ნაყოფიერების გაზრდის, შინაგანი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების გზით. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა ხალხის პატრიოტულ წამოწყებებს — საკუთარი ფულადი დანაზოგების, ძვირფასი ნივთების, ოქრო-ვერცხლისა და ობლიგაციების შეტანას თავდაცვის ფონდში.

1941 წლის დასასრულისათვის საქართველოს მშრომელებს თავდაცვის ფონდში შეტანილი ჰქონდათ 33 419 ათასი მანეთი

ნაღდ ფულად, 48 728 ათასი მან. ობლიგაციები, 3299 გ ოქრო, დიდი რაოდენობის ვერცხლი, პლატინა და ძვირფასი ნივთები[71].

ომის დაწყებიდან სულ მალე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მეტად ფართო და მასობრივი მოძრაობა დაიწყო თავდაცვის ფონდში სოფლის მეურნეობის პროდუქტების — პურის, ხორცის, რძის ნაწარმისა და სხვ. შეტანის შესახებ[72].

1941 წლის აგვისტოდან საქართველოში მასობრივი ხასიათი მიიღო სახალხო ინიციატივამ საბჭოთა არმიისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვების შესახებ, ხოლო ამავე წლის სექტემბრიდან, წითელი არმიის მიერ ქ. ელნიას განთავისუფლებასთან დაკავშირებით თავი იჩინა ახალმა მოძრაობამ — იქმნებოდა ფონდები მტრის მიერ დაზარალებული ახლადგანთავისუფლებული საბჭოთა რაიონების მშრომელებისათვის ძმური დახმარების გასაწევად. ფართო გაქანება მოიპოვა საბჭოთა საქართველოდან ფრონტზე სადღესასწაულო საჩუქრებისა და სხვა სახის ამანათების გაგზავნამ. რესპუბლიკიდან ფრონტზე განუწყვეტლივ მიედინებოდა სურსათ-სანოვაგით და სხვა სახის საჩუქრებით დატვირთული ეშელონები. სსრ კავშირის ხალხების ამგვარ საყოველთაო სახალხო მზრუნველობას მშობლიური საბჭოთა არმიისადმი პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც თავისი არმიისადმი ხალხთა უსაზღვრო სიყვარულის ისტორიაში არნახულ გამოხატულებას[73].

საქართველოს მშრომელთა ყველა ამ პატრიოტული მოღვაწეობიდან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს მუშების, გლეხებისა და კულტურის ფრონტის მუშაკთა ერთობლივი ზრუნვა საბჭოთა არმიის საჭურველ-იარაღით უზრუნველყოფისათვის სპეციალური ფონდების შესაქმნელად. რესპუბლიკის მშრომელთა დანაზოგებით აგებული ტანკების კოლონები და თვითმფრინავების ესკადრილიები, წყალქვეშა ნავები და სხვა სახის იარაღები დიდ ძალად გადაიქცა საბჭოთა არმიის ხელში ფაშისტ-ოკუპანტების გასანადგურებლად.

რესპუბლიკის მშრომელები მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად ამით ქმედითად ეხმაურებოდნენ კომუნისტური პარტიის მოწოდებას: „მოვსპოთ მტრის უპირატესობა ტანკებისა და თვითმფრინავების რაოდენობის მხრივაც". იმაზე, თუ როგორი წარმატებით გარდაქმნეს მთელი თავიანთი მუშაობა და რა შედეგებს მიაღწიეს საქართველოს მშრომელებმა სამამულო ომის პირველსავე თვეებში:

[71] გაზ. „კომუნისტი, 1942, 1 იანვარი.

[72] გაზ. „პრავდა", 1942, 22 აპრილი.

[73] Журн. „Пропагандист", № 11—12, 1942, გვ. 4.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმეში, ნათლად მეტყველებს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 1941 წლის 10 დეკემბრის გადმოცემა, სადაც ვკითხულობთ: „საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია... თავდადებით ეხმარებიან ფრონტს. საქართველოში ფართოდ გაიშალა თავდაცვითი პროდუქციის ახალ სახეობათა ათვისება. რესპუბლიკის ბევრმა უდიდესმა საწარმომ—სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა, საქნავთის ტრესტმა, მანქანათმშენებელმა ქარხანამ, თბილისის ჩაისგამწონმა ფაბრიკამ და სხვებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმები. განუწყვეტლივ იზრდება იმ სტახანოველთა რიგები, რომლებიც ერთიორად და მეტადაც ასრულებენ ნორმას. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ინიციატივით, სტალინის სახელობის ქარხანაში შექმნილია ორასოვანთა სტახანოვური სკოლები. ყველა, ვინც კი ეს სკოლა დაამთავრა, ნორმას სულ ცოტა 200 პროცენტით ასრულებს. ცვლაში 4 — 5 ნორმას ასრულებენ: სტალინის სახელობის ქარხნის სტახანოველები — ამხ. ვეშაპელი, ელისაბედაშვილი... ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველები — ამხ. კირაკოზოვი და სიტაია, თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველები—ამხ. გასიშვილი, კორძაძე და სხვები.

საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში ენერგიულად მუშაობენ საქართველოს კოლმეურნეები, მოკრეფილია 58 075 ათასი კილოგრამი მწვანე ჩაის ფოთოლი — 7 მილიონი კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან. ჩაის კრეფის უმაგალითო რეკორდი დაამყარა ენგურის კოლმეურნეობის სტახანოველმა ქიონია სარსანიამ, ამას წინათ მან 1966 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ამ დღის მთელი შემოსავალი მან თავდაცვის ფონდში შეიტანა. წელს 30 ათასი ჰექტარი მოემატა საშემოდგომო ნათესების ფართობს. საქართველო წელს 15 ათას ტონა მაღალხარისხოვან თამბაქოს მოგვცემს. ომის განმავლობაში რესპუბლიკაში მომზადებულია 1700 ტრაქტორისტი, უმთავრესად ქალები“[74].

ყოველივე ზემოაღნიშნული პირველ ყოვლისა იმას ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებიდან სულ მოკლე დროში ერთიან საბრძოლო ბანაკად გადაქცეულმა საბჭოთა საქართველომაც დაუყოვნებლივ გარდაქმნა მუშაობა და მთელი მატერიალური და სულიერი ძალები სამშობლოს დაცვის დიად ამოცანებს დაუმორჩილა. დიდი სამამულო ომი ქართველ ხალხს, სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, მიაჩნდა საყოველ-

[74] გაზ. „კომუნისტი,“ 1941, 11 დეკემბერი.

თაო სახალხო ომად, რომელიც მოწოდებული იყო საკაცობრიო პროგრესისა და მისი საუკეთესო მომავლის მებაირახტრის საბჭოთა სამშობლოს დაცვის, მისი ხალხების დამონებისა და ამოწყეტისაგან ხსნისათვის.

ყაქართველოს მშრომელთა ეს უმაგალითო პატრიოტიზმი, რომელმაც მოიცვა რესპუბლიკა ომის დასაწყისშივე შეუნელებლივ ღრმავდებოდა სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, ვიდრე დიდი სამამულო ომი სრული გამარჯვებით არ იქნა დაგვირგვინებული.

თავი მესამე

საბჭოთა სამშობლოს სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა ომის დაწყების პერიოდში

1. საბჭოთა არმიისა და მის რიგებში მყოფ ქართველ მეომართა გმირული ბრძოლა გერმანიის „ელვისებური ომის" გეგმის ჩაშლისათვის

სამამულო ომის დასაწყისში საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, ფრონტებზე შექმნილი მძიმე ვითარების გამო, დიდად დაიძაბა, საბჭოთა სამშობლო უდიდესი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მოკლე დროში მტერმა დაიპყრო უკრაინის დიდი ნაწილი, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, მოლდავეთი, დაპყრობით დაემუქრა ლენინგრადსა და მოსკოვს. საბჭოთა ქვეყნის დიდი სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წამყვანი რაიონების მტრის მიერ ოკუპაციის შედეგად ძალზე გართულდა მდგომარეობა. დროებით მწყობრიდან გამოვიდა ფაბრიკა-ქარხნების, მტს-ების, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების დიდი ნაწილი, შეიკვეცა მზა პროდუქციის გამოშვება, დიდი სიძნელეები შეექმნა საბჭოთა არმიის მომარაგების საქმეს; მაგრამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხების მამაცური შრომითა და საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლებით შედარებით მოკლე პერიოდში მოხერხდა მდგომარეობის შეცვლა.

საბჭოთა არმიამ უთანასწორო ბრძოლებში მაინც შესძლო შეეკავებინა მტერი, მოეგერიებინა მისი პირველი შემოტევები და განევითარებინა მძლავრი კონტრშეტევები ტიხვინთან, დონის როსტოვთან და ისტორიულ ოპერაციებში მოსკოვთან; მტერმა აქ პირველი მწვავე დამარცხება განიცადა და იგი ასეული კილომეტრებით უკუგდებულ იქნა დაკავებული პოზიციებიდან. ჯერ კიდევ 1941 წელს, ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, საბოლო-

ოდ ჩაიფუშა ჰიტლერელების „ელვისებური ომის“ გეგმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მოსკოვის მისადგომებთან მოპოვებული გამარჯვებით გაცამტვერდა მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ.

ამ სახელოვან ბრძოლებში საბჭოთა კავშირის ხალხთა შვილების მხარდამხარ თავდადებით მონაწილეობდნენ სამამულო ომის ფრონტებზე პირველსავე მობილიზაციით წასული და იქ საზღვრებზე მყოფი კადრის შემადგენლობის მეომრები — ქართველი ხალხის ღირსეული შვილები. ამ ისტორიულ ბრძოლებში „ქართველმა მეომრებმა კიდევ უფრო განადიდეს წინაპართა საბრძოლო ტრადიციები, სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ისინი მამაცურად იბრძოდნენ ყველა ფრონტზე“ — აღნიშნავდა საბჭოთა კავშირის მარშალი თ. ი. ტოლბუხინი.

1941 წ. 22 ივნისს ა. გეგეშიძე ბესარაბიაში იმყოფებოდა, მისი ნაწილები ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ მოძალებულ მტერს. ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან ფრონტზე იმყოფებოდა კადრის ბევრი ქართველი ოფიცერი და რიგითი მებრძოლი. მაგალითად, კ. ჯახუას მეთაურობით მოქმედი სამხედრო ნაწილი ჰიტლერელთა თავდასხმისას სსრ კავშირის საზღვარს იცავდა, მისმა მებრძოლებმა გზა გადაუღობეს მტერს, მაჯრამ სასტიკ ბრძოლებში ალყაში მოექცნენ, მათ მალე გაარღვიეს მტრის ალყა, კვლავ საბჭოთა არმიის მოქმედ ნაწილებს შეუერთდნენ და თავგანწირვით აგრძელებდნენ ბრძოლას ჰიტლერელების წინააღმდეგ.

გენერალ (მაშინ პოლკოვნიკ) პ. ჩანჩიბაძის ხელმძღვანელობით მოტომსროლელთა დივიზიამ ჯერ კიდევ 1941 წ. ივლისში ქ. ბელის რაიონში მოქმედ მტრის მე-20 სატანკო დივიზიის განადგურებით დაიწყო თავისი სახელოვანი საბრძოლო გზა. მისი მეთაურობით მოქმედი დივიზია ასევე გმირული თავდადებით იბრძოდა მოსკოვის დაცვისათვის. დივიზიამ გვარდიულის საპატიო წოდება დაიმკვიდრა და ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა სამამულო ომის ისტორიაში.

ახალგაზრდა მფრინავ მ. ჩიტაიშვილს ომმა ლატვიაში მოუსწრო. იგი გაბედულად იბრძოდა მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ. მან ასევე ასახელა სამშობლო მოსკოვის დაცვის დიდ ისტორიულ ბრძოლებში, რომლებშიც დიდი სახელი მოიხვეჭა გენერალ-მაიორმა მ. კიკნაძემ და მისივე ხელმძღვანელობით საზენიტო საარტილერიო გვარდიული დივიზიის მებრძოლებმა და მეთაურებმა. მოსკოვის დაცვისათვის ამ ისტორიულ ბრძოლებში დიდი მხედრული ოსტატობით მონაწილეობდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი პოლკოვნიკი ს. ლესელიძე.

გუდერიანის მეორე სატანკო არმიას, რომელიც ტულისა და სერპუხოვის მოვლით მოსკოვის დაპყრობას ისახავდა მიზნად, ქ. ტულასთან გზა გადაუღობეს გენერალ-პოლკოვნიკ ს. ლესელიძის არტილერისტთა ნაწილებმა. აქ მტერი შეჩერებულ იქნა, ხოლო მისი ნაწილები განადგურებული. კ. ლესელიძის ნაწილებმა ღირსეულად დაიცვეს ტულა და მტერს გზა გადაუჭრეს მოსკოვის დაპყრობისათვის ბრძოლაში.

მოსკოვს იცავდა საბჭოთა კავშირის გმირი პოდპოლკოვნიკი არტილერისტი გ. ალფაიძე, მის ანგარიშზე ითვლებოდა მოსკოვის მისადგომებთან განადგურებული მტრის რამდენიმე სატანკო კოლონა. საბჭოთა საინფორმაციო ბიურო, პრესა და რადიო ომის დასაწყისშივე მთელ მსოფლიოს ამცნობდა იმ პატრიოტულ გმირობას, რასაც ფრონტებზე საბჭოთა არმიის რიგებში იჩენდნენ ქართველი მეომრები და ოფიცრობა.

ფაშისტური არმიის თავდასხმიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1941 წ. 9 ივლისს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყებოდა მფრინავ კაპიტან ა. წურწუმიას იმ საგმირო ბრძოლებზე, რომლებსაც იგი ასე სახელოვნად ეწეოდა შავ ზღვაზე მტრის გემების გასანადგურებლად. ა. წურწუმიამ დაბომბა მტრის ჰაეროდრომები, ტანკები, სატვირთო მანქანები, მოსპო მისი ცოცხალი ძალა. შავ ზღვაზე მან მოსპო ფაშისტთა გემები, გაანადგურა პლოეშტის დიდი ნავთობსაცავი ბაზები და სხვ. მან თავი ისახელა ყირიმის და ოდესის დაცვის გმირულ ბრძოლებში. წურწუმიამ ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან მფრინავ ნანეიშვილთან, ლებანიძესთან, ბენდელიანთან, თვაურთან, ჩიტაიშვილთან და სხვებთან ერთად ასახელა ქართველი ხალხი.

1941 წ. 8 ივლისს გაზ. „პრავდა" იუწყებოდა არტილერისტ ლეიტენანტ გ. შოღირიძის მხედრულ ოსტატობაზე. შოღირიძე იყო პირველი სახელოვანი ქართველი მეომარი, რომლის შესახებაც გვამცნობდა საბჭოთა პრესა. 1941 წლის 14 ივლისს საბჭოთა მთავრობამ მფრინავი შ. ლებანიძე წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. სამამულო ომის დროს ეს იყო პირველი ქართველი მეომარი, რომელმაც მთავრობის საპატიო ჯილდო დაიმსახურა, რაც მასობრივი გახდა ომის შემდგომ მსვლელობაში.

ქართველ მეომართა საგმირო საქმეები დღითი დღე მრავლდებოდა. გაზეთმა „პრავდამ" 1941 წ. 5 აგვისტოს მთელ მსოფლიოს ამცნო სახელოვან მებრძოლთა მიშაკოვისა და შალამბერიძის საბრძოლო მეგობრობისა და გმირულ შემართებათა შესახებ. ვიტებსკისათვის ბრძოლებში ბატარეის მეთაურ იაკობ ჯუღაშვილის

გმირულ თავდადებათა შესახებ იუწყებოდა გაზ. „კრასნაია ზვეზ-და“ (15 აგვისტოს). ჯერ კიდევ 1 აგვისტოს გაზ. „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა „სიმღერა კომისარ ჩარგეიშვილზე“, მის პატრიოტულ გმირულ თავდადებაზე და მრავალი სხვა./ ქართველ მებრძოლთა ასეთმა პატრიოტიზმმა, რომელმაც ომის პირველსავე დღეებში მასობრივად იჩინა თავი ფრონტებზე, სსრ კავშირის მოძმე ხალხების შვილების მხარდამხარ დიდი როლი შეასრულა ფაშისტური სარდლობის „ელვისებური ომის“ გეგმის ჩაფუშვისა და ფაშისტური არმიის „უძლეველობაზე“ შეთხზული მითის გაქარწყლების საქმეში. საბჭოთა არმიის გმირულმა თავდაცვითმა ომმა და ომის პირველსავე დღეებიდან განვითარებულმა მძლავრმა კონტრშეტევებმა უზრუნველყო ის გამარჯვება, რომელიც მოპოვებულ იქნა 1941 წლის ბოლოს ტიხვინთან, დონის როსტოვთან, მოსკოვთან და სხვ. ჩვენი სამშობლოს უმძიმეს დღეებში მოპოვებული ეს გამარჯვება შედეგი იყო ფრონტისა და ზურგის ერთიანობის, საბჭოთა ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა და დარაზმვის, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა.

საბჭოთა არმიის რიგებში ჩამდგარი ქართველი მეომრების დიდი გმირობა ფრონტებზე, რომელმაც ომის დასაწყისშივე იჩინა თავი ხელს უწყობდა დიდ შრომით აღმავლობას ზურგში საქართველოს მშრომელებში, ზრდიდა დახმარებას ფრონტისადმი და ამრავლებდა სოციალისტური შრომის გმირებს, რაც თავის მხრივ ბევრად უფრო აძლიერებდა ფრონტელთა თავდადებას და გმირობას გამარჯვებისათვის[75]. ასე ისახება და დღითი დღე ძლიერდება ზურგისა და ფრონტის ყოვლისმძლე ერთიანობა.

2. ანტიფაშისტური კოალიციის ჩამოყალიბება სსრ კავშირის მეთაურობით. მსოფლიოს დემოკრატიული ძალების დარაზმვა ფაშიზმის გასანადგურებლად

სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმით და საბჭოთა ქვეყნის ომში ჩაბმით არსებითად შეიცვალა როგორც საერთაშო-

---

[75] მაგალითად, უფროსი ლეიტენანტი ჭ. რობაქიძე აღმოსავლეთ პრუსიიდან გამოგზავნილ წერილში გადმოსცემდა თუ რა აღტაცებაში მოვიდა იგი, როცა „კრასნოარმეისკაია პრავდაში“ წაიკითხა ცნობა საქართველოს ცნობილი რკინიგზელის ანდრია წიკლაურისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. „თქვენი წარმატებები შრომაში ჩვენ ფრონტელებს აღგვაფრთოვანებს საგმირო საქმეებისათვის“, — წერდა რობაქიძე (გაზ. „კომუნისტი“, 1945, 16 მარტი).

ანალოგიური შინაარსის მომართვას აგზავნიდა ფრონტიდან მედიცინის სამსახურის კაპიტანი ლ. ელიზბარაშვილი მოწინავე მუშების შ. კოხრეიძისა და ნ. გელაძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ ((გაზ. „კომუნისტი“, 1944, 11 ივნისი).

რისო მდგომარეობა, ასევე ომში დაპირისპირებულ ძალთა თანაფარდობა და სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მიზანი იმთავითვე იყო არა მარტო ჩვენი სამშობლოს თავზე აღმართული საშიშროების ლიკვიდაცია, არამედ ფაშისტური ტირანიის მოსპობით ევროპის ხალხებისადმი დახმარების აღმოჩენა, რომლებიც ფაშიზმის უღელქვეშ გმინავდნენ. საბჭოთა ხალხს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სწამდა, რომ ამ განმათავისუფლებელ ომში მას გამოუჩნდებოდა მოკავშირეები და არ იქნებოდა მარტო, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხთან ერთად აღდგებოდნენ მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები და ეს ომი იქნებოდა ხალხთა ერთიანი ფრონტი საერთო მტრის წინააღმდეგ თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. ყოველივე ეს ისტორიამ მთლიანად დაადასტურა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ომამდე წარმოადგენდა პროგრესისა და მშვიდობის დაცვის მძლავრ დასაყრდენს, ომის პერიოდში იქცა ერთადერთ ქვეყნად, რომელსაც შესწევდა უნარი ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართულ ომში დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანებისა. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ხელმძღვანელი უ. ზ. ფოსტერი წერს:

„ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ფაშიზმს და მუდამ მზად იყვნენ შეთანხმებოდნენ ჰიტლერს, საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე დაიწყებდნენ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ"[76].

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის შემდეგ ანტიფაშისტური ომის განმათავისუფლებელი ხასიათი უაღრესად გაღრმავდა და თვისებრივად გაძლიერდა. სწორედ ამ ნიადაგზე შეიქმნა საბჭოთა კავშირის მეთაურობით სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სხვა სახელმწიფოთა ანტიფაშისტური კოალიცია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ფაშისტურ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების განადგურების საერთო ისტორიულ საქმეში.

სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის დღესვე, 1941 წ. 22 ივნისს, ინგლისის პრემიერ მინისტრის ჩერჩილის გამოსვლა ასახავდა ინგლისელი ხალხის საერთო განწყობილებას ფაშიზმ-

---

[76] **У. З. Фостер, Очерки политической истории Америки, Изд-во иностранной литературы, М., 1955, ss. 609.**

თან ბრძოლაში, როცა იგი იძულებული იყო განეცხადებინა, რომ „რუსეთისათვის შექმნილი საშიშროება წარმოადგენს ჩვენს საშიშროებას და აშშ საშიშროებას“[77].

ანალოგიური განცხადებით 1941 წ. 24 ივნისს გამოვიდა აშშ პრეზიდენტი რუზველტი; 1941 წლის 12 ივლისს ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის შეთანხმება გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ. ასევე ევროპის სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარე ძალები კავშირს ამყარებენ საბჭოთა ქვეყანასთან გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ. სსრ კავშირთან ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მჭიდრო სოლიდარული დამოკიდებულების დამყარებისათვის ფართო მოძრაობა გაიშალა ინდოეთში, ჩინეთში, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. დაირაზმნენ მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები ანტიჰიტლერული კოალიციის გარშემო ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამრიგად, სსრ კავშირი არ აღმოჩნდა იზოლირებული, როგორც ამას იმპერიალისტები ვარაუდობდნენ. პირიქით, ჰიტლერელების ავანტიურისტულმა საგარეო პოლიტიკამ დიდი კრიზისი განიცადა, ჩამოყალიბდა ანტიჰიტლერული კოალიცია, რომელმაც სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა ფაშისტურ რეჟიმს.

დიდი სამამულო ომის დასაწყისშივე ფაშისტური გერმანიის აგენტურამ სერიოზული საშიშროება შეუქმნა ახლო აღმოსავლეთის ხალხების ეროვნულ დამოუკიდებლობას. საბჭოთა კავშირმა მეგობრული დახმარება აღმოუჩინა ამ ხალხებს და იხსნა ისინი ფაშისტური მონობისაგან. ჰიტლერელთა აგენტები და ირანის პროფაშისტური ელემენტები დიდი მონდომებით შეეცადნენ მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება ირანში და ირანელი ხალხი ჩაებათ ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ. ომის დასაწყისშივე ამიერკავკასიის ბრძოლის ასპარეზად გადაქცევით ფაშისტები მიზნად ისახავდნენ მოესპოთ საბჭოთა არმიის ერთ-ერთი უმძლავრესი არსენალი — ხელში ჩაეგდოთ ბაქოს ნავთობი, ჭიათურის მარგანეცი, სომხეთის სპილენძი და ამიერკავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხებისათვის მონობის უღელი დაედგათ. ამ ბოროტზრახვათა განსახორციელებლად ირანში შეიქმნა დიდი დივერსიული ჯგუფები. საბჭოთა მთავრობამ სამგზის მიმართა ირანის

---

[77] გაზ. „პრავდა“, 1941, 23 ივნისი.

მაშინდელ მთავრობას ფაშისტური გერმანიის ამ მტრული დივერსიული ჯგუფების მოქმედებათა აღკვეთის მიზნით, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს დივერსიული ჯგუფები და ჰიტლერის პოლიტიკა საფრთხეს უქმნიდა ირანის დამოუკიდებლობას, ეს კანონიერი მოთხოვნა არ იქნა შესრულებული. ამიტომ საბჭოთა მთავრობამ 1941 წლის 25 აგვისტოს ნოტა გადასცა ირანის მთავრობას, ირანის ჩრდილოეთ რაიონებში საბჭოთა ჯარების შეყვანის შესახებ, ნოტაში განმარტებულია ამ ისტორიული აქტის განმათავისუფლებელი და პროგრესული მიზნები.

საბჭოთა მთავრობის ეს მოქმედება ამ ორი სახელმწიფოს საერთო ინტერესების დაცვისაკენ იყო მიმართული. იგი ემყარებოდა სსრ კავშირსა და ირანს შორის 1921 წელს დადებულ ხელშეკრულებას[78].

ირანის ტერიტორიაზე საბჭოთა არმიის, ისე როგორც ინგლისის არმიის შესვლით, ირანი გადაურჩა ფაშისტურ ოკუპაციას და საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ომში ჩათრევას.

ამ ისტორიულ აქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მთლიანად საბჭოთა ქვეყნისა და, კერძოდ, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების უშიშროების დაცვისათვის და ამასთანავე ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გარდასაქმნელად საბჭოთა არმიის ერთ-ერთ უმძლავრეს არსენალად.

სამამულო ომის პირველსავე პერიოდში სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა და მათს გარშემო მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხების დარაზმვა იყო საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დიდი გამარჯვება; მაგრამ ფაქტია, რომ სსრ კავშირის მეთაურობით ანტიფაშისტურ კოალიციაში გაერთიანებული თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ ამავე კოალიციაში შესული იმპერიალისტური წრეები პრინციპულად განსხვავებულ მიზნებს ისახავდნენ. სერიოზულ შინაგან წინააღმდეგობათა მიუხედავად თავისუფლებისმოყვარე ხალხთა კოალიციამ სსრ კავშირის მეთაურობით დიდი ისტორიული როლი შეასრულა.

ვინაიდან მეორე მსოფლიო ომი იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ იყო ბრძოლა მსოფლიოს ხელახალი გადანა-

---

[78] **Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны. т. I,** გვ. 157. ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობა როგორც სამამულო ომის პირველ პერიოდში, ასევე 1943 წ. 1 დეკემბერს სამი სახელმწიფოს თეირანის კონფერენციაზე და სამამულო ომის პერიოდის მთელ მანძილზე განუხრელად ატარებდა ირანისადმი მეგობრული დახმარების და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვის პოლიტიკას.

წილებისათვის, ბუნებრივია, საერთაშორისო იმპერიალიზმი ამ ომში არაერთგზის შეეცადა სოციალიზმისა და დემოკრატიის მოსპობას მთელს მსოფლიოში; ამდენად მეორე მსოფლიო ომი, განსხვავებით პირველისაგან, იყო დაპირისპირება წინააღმდეგობებისა მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ბაზრების ხელახალი გადანაწილებისათვის და წინააღმდეგობებისა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის[79].

სსრ კავშირის მეორე მსოფლიო ომში ჩაბმით და ანტიფაშისტური კოალიციის ჩამოყალიბებით ფაშიზმის წინააღმდეგ აღდგა და დაირაზმა მსოფლიოს ყველა დემოკრატიული ფენა და სასტიკი კრახი განიცადა გამყიდველურმა, სსრ კავშირის იზოლირების მიუნხენურმა პოლიტიკამ; ფაშიზმზე გამარჯვების მოპოვების საქმეში სსრ კავშირის როლი ხელმძღვანელ გადამწყვეტ ძალად იქცა[80].

საბჭოთა კავშირის ხალხთა მსოფლიო ისტორიულ დამსახურებაზე ფაშიზმის განადგურების საქმეში ლაპარაკობენ არა მარტო ამერიკისა და ევროპის მოწინავე ადამიანები, არამედ აზიისა და მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობაც.

---

[79] **У. З. Фостер, Очерки политической истории Америки, М., 1955, გვ. 613.** რეაქციული ბურჟუაზია თავისი პოზიციით რეაქციული მონოპოლისტური კაპიტალისტური მაგნატების ეგოისტურ ზრახვებს გამოხატავდა და საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა როგორც ინგლისელი, ასევე ამერიკელი ხალხის ინტერესებს; მართლაც, ამერიკელმა კაპიტალისტებმა ომის წლებში 57 მილიარდი დოლარის წმინდა მოგება მიიღეს ხალხის სისხლით და ოფლის დაღვრით. მონოპოლისტური კაპიტალისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ამ ომში ღერძის სახელმწიფოებთან ერთად საბჭოთა კავშირი დამარცხებულიყო, ანდა უკიდურესობამდე დასუსტებულიყო, დაემყარებინათ თავიანთი მსოფლიო ბატონობა. საკმარისია მოვიგონოთ აშშ სენატის წევრის ტრუმენისა და ინგლისელი მინისტრის ბურ ბრამაზონის ოფიციალური განცხადებანი მასზე, რომ დეე გერმანიისა და საბჭოთა ხალხებმა ამ ომში რაც შეიძლება მეტი გასწყვიტონ ერთმანეთი და ჩვენ კი ამისათვის ყოველმხრივ ვიღონებთო (ისტორიის ფალსიფიკატორები, ისტ. ცნობა, თბილისი, გვ. 75—78).

[80] ამერიკის კომპარტიის გამოჩენილი ლიდერის უ. ფოსტერის თქმით, „საბჭოთა კავშირმა თავისი სამხედრო ძალებით, კომუნისტური პარტიის ბრწყინვალე ხელმძღვანელობით (სტალინის მეთაურობით) თითქმის მარტოდმარტომ გაანადგურა ეს გიგანტური საომარი მანქანა, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერის ძალები რიცხოვრივად ბევრად აჭარბებდნენ საბჭოთა კავშირის ძალებს და ჰიტლერის განკარგულებაში იყო გაცილებით მნიშვნელოვანი სამრეწველო ძალა". 1955 წლის 6 დეკემბერს ინდოეთსა და ბირმაში მოგზაურობისას ნ. ხრუშჩოვმა განაცხადა: „საბჭოთა ხალხმა ამ ომში გაცილებით მეტი სისხლი დაღვარა ვიდრე ყველა ჩვენმა მოკავშირეებმა ერთად, მაგრამ ჩვენ პატივს ეცემთ და ქებით ვიხსენიებთ მოკავშირეებს". ;

გერმანიის 9500 ათას დაღუპულ მეომართა 86% საბჭოთა კავშირის ფრონტებზე განადგურდა, ხოლო დანარჩენი 14% მოკავშირეთა ჯარებთან ბრძოლებში (**У. З. Фостер, Очерки политической истории Америки, М., 1955, გვ. 611 и 623.**)

ინდოელი დიდი საზოგადო მოღვაწე და მწერალი კრიშან ჩანდრი, რომელიც 1956 წლის დასაწყისს ესტუმრა საქართველოს, ინდოელი ხალხის უმწიკვლო სიყვარულს საბჭოთა ხალხისადმი იმით ხსნიდა, რომ საბჭოთა ხალხი ფაშიზმთან ბრძოლაში ასევე სისხლს ღვრიდა აზიის ხალხთა და მათ შორის ინდეოეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვისაც.

წარმოვიდგინოთ ერთი წუთით რა ბედი ეწვეოდა აზიას, თუ ფაშიზმი არ იქნებოდა განადგურებული — აყენებდა კითხვას კრიშან ჩანდრი ამ საინტერესო საუბრის დროს.[81]

საბჭოთა ხალხების ბრძოლა ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ იყო ყველაზე უფრო სამართლიანი ომი, რომელიც კი ახსოვს ისტორიას; ამიტომ ეს ომი თავისი ბუნებით იყო ნამდვილი სახალხო საყოველთაო ომი, რასაც განსაზღვრავდა საბჭოთა ხალხის დიადი პოლიტიკური მიზნები და ომის ღრმა სამართლიანი ბუნება[82]. ასეთ პირობებში შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ მშრომელებმა, როგორც დავრწმუნდით, ომის დასაწყისშივე მთელი ძალები დარაზმეს და მტერზე გამარჯვების დიად განმათავისუფლებელ ამოცანებს დაუქვემდებარეს.

3. ომისა და ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი. საბჭოთა არმიისათვის მტკიცე ზურგის მოწყობის ლენინური მემკვიდრეობის შემოქმედებითი გამოყენება დიდ სამამულო ომში

ომი უაღრესად რთული საზოგადოებრივი მოვლენაა. დადასტურებულია, რომ ყოველგვარ სოციალურ მოვლენათა მეცნიერულად ახსნისა და გააზრებისას თუკი საჭიროა შემოქმედებითი მიდგომა, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საჭიროა კვლევა-ძიების ამ სფეროში.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში მარქსიზმ-ლენინიზმმა შეიმუშავა მწყობრი და მეცნიერულად შეურყეველი მოძღვრება ომსა და ომების ხასიათზე.

იდეალიზმისა და ეკლექტიციზმის ტყვეობაში მოქცეულ ბურჟუაზიულ მეცნიერებს ყველაზე მეტად დაბნეულობა და ანტიმეცნიერული ზერელეობა ამ საკითხში დასჩემდათ. ისინი ქადაგე-

---

[81] გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1956, 15 იანვარი.

[82] ჰიტლერული ტირანიის ტოტალური ომი თუ იმპერიალისტურ მიზნებს ისახავდა, საბჭოთა ხალხს, რომელსაც გვერდში ამოუდგა მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე სხვა ხალხები, ომში ამოქმედებდა დიადი და უმაღლესი ეთილშობილურ-პატრიოტული მიზნები.

ბენ, რომ ომი აუცილებელი და მარადიული კატეგორიაა, იგი თითქოს ბუნებრივი მოვლენაა ხალხთა და სახელმწიფოების ცხოვრებასა და მათი არსებობისათვის ბრძოლაში, რომ ომი გამაახლებელია საზოგადოებრივი ორგანიზმისა და სხვ.

მარქსიზმ-ლენინიზმი უარყოფს ამ მცდარ შეხედულებას და ასაბუთებს, რომ ომი ისტორიული მოვლენა და კლასობრივი საზოგადოების განვითარების დამახასიათებელია, კერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოს ჩასახვასთან ერთად საჭირო გახდა განსაკუთრებული შეიარაღებული რაზმებისა და არმიების შექმნა გაბატონებული კლასების კლასობრივი ბატონობის დასაცავად.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ომი არის ამა თუ იმ კლასის პოლიტიკის გაგრძელება ძალმომრეობის საშუალებებით. გაბატონებული კლასი და მისი მთავრობა თავის კლასობრივ მიზნებს სხვადასხვა საშუალებებით — ეკონომიური, იდეოლოგიური, დიპლომატიური საშუალებებით ახორციელებს და თუ ამ საშუალებებით დასახული მიზნები ვერ იქნება მიღწეული, მაშინ მებრძოლი კლასი და სახელმწიფო მიმართავენ ბრძოლის უკიდურეს ძალადატანებითს საშუალებას — ომს.

მარქსიზმი ყოველგვარი ომის, მისი წარმომშობი მიზეზებისა და ხასიათის გასაგებად საჭიროდ მიიჩნევს გაბატონებული კლასის სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლას ომის წინ და ომის პერიოდში, რომელსაც მივყევართ და მიგვიყვანა უკვე ომამდე. პოლიტიკა საბოლოო ანგარიშში განისაზღვრება გაბატონებული კლასის ეკონომიური ინტერესებით, რამდენადაც პოლიტიკა არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება. სწორედ ამიტომ ლენინი ყოველგვარი ომის ხასიათისა და ბუნების გასაგებად საჭიროდ თვლის იმ პოლიტიკის არსის შესწავლას, რომელმაც ხალხები მიიყვანა ომამდე.

„როგორც ყოველგვარი ომი არის მხოლოდ გაგრძელება, ძალადატანების საშუალებებით, იმ პოლიტიკისა, რომელსაც მეომარი სახელმწიფოები და მათი გაბატონებული კლასები აწარმოებდნენ ომამდე მრავალი წლის განმავლობაში, ხანდახან ათეულ წლობით. ისე ზავი, რომლითაც მთავრდება ყოველი ომი, შეიძლება იყოს მხოლოდ აღრიცხვა და ჩაწერა ძალთა იმ ნამდვილი ცვლილებებისა, რომლებიც მოხდა ამა თუ იმ ომის მსვლელობაში და მის შედეგად“[83].

---

[83] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 207.

მარქსიზმ-ლენინიზმი არ იზღუდება ომის ზოგადი განსაზღვრით და ომზე ზოგადი თეორიის ჩამოყალიბებით. იგი, წინააღმდეგ იდეალისტებისა და მეტაფიზიკოსებისა, ამ შემთხვევაშიც კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას იჩენს და ყოველგვარ ომს სწავლობს მისი დიალექტიკური განვითარების პროცესსა და ყოველმხრივობაში. ამიტომ ომის ხასიათის განსაზღვრისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ომის ობიექტურ-ისტორიული შედეგების ანალიზს, მისი როლისა და მნიშვნელობის გამორკვევას საზოგადოებრივი განვითარებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ როგორი მიზანდასახულებითა და ზრახვებით მოქმედებენ გაბატონებული კლასები ამა თუ იმ ომში.

მარქსიზმ-ლენინიზმი განასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს: „...ომიც არის და ომიც, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არის ომები სამართლიანი და უსამართლო, პროგრესული და რეაქციული, მოწინავე კლასთა ომები და ჩამორჩენილ კლასთა ომები, ომები, რომლებიც კლასობრივი ჩაგვრის განმტკიცებას ემსახურებიან და ომები, რომლებიც მის დამხობას ემსახურებიან“[84]. ამიტომ ვ. ი. ლენინი ყოველგვარი ომის წინააღმდეგი როდი იყო. „თუ ომის დროს ლაპარაკია დემოკრატიის დაცვაზე ან ერის მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი უღლის წინააღმდეგ ბრძოლაზე, მე სრულებითაც არა ვარ ასეთი ომის წინააღმდეგი“[85] — წერდა ლენინი.

ვ. ი. ლენინის მოძღვრებიდან სამართლიან და უსამართლო ომებზე ჩვენს ყურადღებას იპყრობს ხაზგასმით მითითებული დებულება, სადაც აღნიშნულია, რომ ერის მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი უ ღ ლ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო მ ი სამართლიანი ომია. ამ დებულებათა შუქზე გააზრებული ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რომელიც რომაელების, არაბების, მონღოლების, თურქებისა და ირანელ უცხო დამპყრობელთა მჩაგვრელი უღლის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის ისტორიაა, ახლებურად აყენებს საკითხთა რიგს და ბევრად ღრმა შინაარს ღებულობს.

გამორკვეულია, რომ ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლები დამპყრობთა მჩაგვრელი უღლის წინააღმდეგ თავისი განვითარების ჯარკვეულ საფეხურზე, შექმნილი კონკრეტულ-ისტორიული პირობების გამო, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო კავშირში გადაიზარდა[86]. ეს უკანასკნელი კი განვითარების პროცესში ახალ შინაარსს ღებულობს და ისტორიული საფუძვე-

---

[84] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. XXX, გვ. 234.
[85] იქვე.
[86] ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბილისი, 1955.

ლი ხდება რუსი და ქართველი ხალხების, ისე როგორც სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხების, საბრძოლო თანამეგობრობისა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მტკიცე ზურგის შექმნას, რაც წარმატებით განხორციელდა.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პირველებმა შექმნეს მწყობრი მეცნიერული მოძღვრება ომისა და ეკონომიკის კავშირზე და მიგვითითეს, რომ „არაფერი არაა ისე დამოკიდებული ეკონომიურ წინასწარ პირობებზე, როგორც სწორედ ჯარი და ფლოტი“ [87].

ფ. ენგელსი თავის გენიალურ ნაშრომში „ანტი-დიურინგი“ სპეციალურად ეხება ამ საკითხს და წერს: „...არმიების მთელი ორგანიზაცია და ბრძოლების მეთოდი და მასთან ერთად გამარჯვება და დამარცხება დამოკიდებულია მატერიალურ, ე. ი. ეკონომიურ პირობებზე, ადამიანისა და თოფ-იარაღის მასალაზე, შაშასადამე, მოსახლეობისა და ტექნიკის თვისებასა და რაოდენობაზე“ [88].

მარქსიზმის ფუძემდებელთა ამ მოსაზრებას ნათლად ადასტურებს საზოგადოებრივი განვითარების მთელი ისტორია.

ბურჟუაზიული სამხედრო თეორეტიკოსები ომს განიხილავენ სამხედრო მოქმედებათა ვიწრო უწყებრივი თვალსაზრისით, მოწყვეტით მეომარი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური საფუძვლებისაგან. ისინი იდეალიზმისა და სუბიექტივიზმის ტყვეობაში იმყოფებიან და ამდენად შორს დგანან ომის არსის მეცნიერული გაგებისაგან. მათ მოძღვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ფატალიზმს და შემთხვევითობას.

კ. კლაუზევიცი კი, რომელიც ცნობილია როგორც ბურჟუაზიული სამხედრო მეცნიერების დიდი თეორეტიკოსი, იდეალიზმის ტყვეობაში რჩება. მ. გ., იგი წერს: „Война—область недостоверного: три четверти того, на чем строится действие на войне, лежит в тумане неизвестности... война—область случайности“. (К. Клаузевиц, о войне, 1941 г., т. 1, стр. 65). Закон...заключает в своем буквальном смысле нечто субъективное и произвольное“ (იქვე გვ. 129) „Понятие закона не может быть использовано теорией, ибо при изменчивости и многообразии явлений ведение войн не знает утверждений, дос-

---

[87] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 134.
[88] იქვე. გვ. 202.

таточно общих, чтобы заслужить название закона“ (იქვე გვ. 125). თანამედროვე ბურჟუაზიული სამხედრო მეცნიერება კ. კლაუზევიცის დოგმებს ეშყარება. ამდენად ბურჟუაზიულ სამხედრო მეცნიერებაში, რომელიც კ. კლაუზევიცის ნაშრომებში პოულობს ასახვას, ამ ამადაც საოცარი დაბნეულობა ბატონობს. ამ ჯურის თეორეტიკოსთა დასკვნით, როგორც დავრწმუნდით, შემთხვევითობა და ბედ-იღბალი სწყვეტს ომის ბედს, რომ ადგილი არა აქვს არავითარ კანონზომიერებას.

კ. კლაუზევიცის ამგვარი იდეალისტური შეხედულებები საფუძვლად უდევს ჰიტლერული არმიის ყოფილ გენერალის კ. ტიპელსკირხის შრომას „მეორე მსოფლიო ომის ისტორია“ (კ. ტიპელსკირხის დასახელებული წიგნი გამოიცა 1954 წელს დასავლეთ გერმანიაში, ხოლო 1956 წელს იგი გამოიცა რუსულ ენაზე მოსკოვში).

მარქსიზმ-ლენინიზმი ერთადერთი მეცნიერული მოძღვრებაა, რომელმაც ომის არსი და ომში გამარჯვება თუ დამარცხება არა ფატალისტური ცრუმორწმუნეობით ახსნა, არამედ მტკიცე მეცნიერულ კანონზომიერებაზე დაამყარა. მარქსიზმ-ლენინიზმი ერთმანეთისაგან საფუძველშივე ანსხვავებს ომის ბედის გადამწყვეტ მუდმივმოქმედი ფაქტორებისაგან შემთხვევითს გარდამავალ ფაქტორებს. სწავლობს თვითეული ომის ხასიათსა და მიზანს, რომელსაც იგი ისახავს. ამრიგად, იგი ომის არსის შესწავლისას ღრმა მეცნიერული საწყისებიდან ამოდის და ომის ბედსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ საფუძვლებთან განუყრელ კავშირში განიხილავს[89].

[89] ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს მიერ გადახდილი უამრავი ომებისათვის ზურგის მნიშვნელობას, ომისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირს, ქვეყნის თავდაცვისათვის მკვიდრი ეკონომიური ორგანიზაციისა და მისი სტრუქტურის საკვანძო საკითხებს პირველად ყურადღება ილია ჭავჭავაძემ მიაპყრო. ილია აკვირდებოდა და ცდილობდა მეცნიერულად აეხსნა ისტორიული ჭეშმარიტება, თუ როგორ შეძლო ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიული არსებობის ხანგრძლივ მანძილზე უთვალავი ომი გადაელახა, ბევრად ჭარბი მტერი გმირულად მოეგერიებინა და სამშობლო შეუპოვარი ვაჟკაცობით დაეცვა. ქართველი ერის დიდი მოამაგე ი. ჭავჭავაძე ასეთ კითხვას აყენებდა: „ვსთქვათ მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა. რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომსა და სისხლის ღვრასა. ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა“ (ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. 5, გვ. 202).

ი. ჭავჭავაძემ, მართალია, ეს საკითხი ვერ გადაჭრა. მისივე თქმით „ამ საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამაში ჩვენი, „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფერით შეგვიწყობს“, მართებულად შენიშნავს ილია. ილიას არც შეეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ იგი მაინც კარგად მიხვდა იმას, რომ ამისი პასუხი ქვეყნის ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში შეიძლება მოი-

წითელი არმიის ორგანიზაციული საფუძვლები და არმიისათვის მტკიცე ზურგის შექმნის უმნიშვნელოვანესი პრინციპები პირველად ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა, რომლის ძალა ბრძოლების ქარცეცხლში შემოწმდა.

ლენინური დებულება სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის რევოლუციური არმიის მტკიცე ზურგის მნიშვნელობის შესახებ ახალი ეტაპია მარქსიზმის განვითარებაში. იგი გამომდინარეობს იმპერიალიზმის ღრმა მეცნიერული ანალიზიდან და გამდიდრებულია ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის მდიდარი გამოცდილებით. სამოქალაქო ომის ქარცეცხლში „ქვეყნის თავდაცვისათვის მთელი რესურსების მობილიზაციის მიზნით 1918 წლის 30 ნოემბერს შეიქმნა მუშური და გლეხური თავდაცვის საბჭო ლენინის მეთაურობით. მრეწველობის, ტრანსპორტისა და სასურსათო აპარატის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა. არმიისათვის რეზერვებისა და შეესებათა მომზადება, ფრონტის მომარაგება ყოველივე იმით, რაც აუცილებელი იყო ომის საწარმოებლად, — ყველა ეს საკითხი თავდაცვის საბჭოში წყდებოდა“[90].

ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით საბჭოთა რესპუბლიკა ერთიან საბრძოლო ბანაკად გადაიქცა და ყველაფერი მტერზე გამარჯვების საქმეს დაუმორჩილდა. ლოზუნგი „ყველაფერი ფრონტისათვის“ პირველად ლენინის მიერ იქნა წამოყენებული. საბჭოთა რესპუბლიკა ნამდვილ სამხედრო ბანაკად გარდაიქმნა. ამ მიზნით შემოღებულ იქნა სამხედრო კომუნიზმი, დამყარდა რკინისებური დისციპლინა.

„რაკი ომი აუცილებელი გახდა — ყველაფერი ომისათვის, და სულ მცირედი მოშვებულობა და ენერგიის უკმარობა უნდა დაისაჯოს სამხედრო დროის კანონების მიხედვით“[91] — წერდა ლენინი. იგი განმარტავდა, რომ ომი ხალხის ეკონომიური და სულიერი ძალების გამოცდაა, რომ „ომში იმარჯვებს ის, ვისაც მეტი რეზერვები ჰყავს, ძალის მეტი წყაროები აქვს, მეტი გამძლეობა აქვს

ნახოს (ა. იოსელიანი, ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1951, გვ. 265). მეცნიერული ახსნა და პასუხის გაცემა ამ პრობლემების გადასაწყვეტად მხოლოდ ჩვენი ეპოქის მარქსისტულ-ლენინური მეთოდით შეიარაღებულ მკვლევარ ისტორიკოსთა წილხვედრია.

ცნობილია, რომ მილიტარიზმის გაძლიერების წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრეს ნ. ნიკოლაძისა და ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ქართულმა პროგრესულ-დემოკრატიულმა ჟურნალ-გაზეთებმა. ჯერ კიდევ 1865-იან წლებში ნ. ნიკოლაძემ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა მილიტარიზმისა და განიარაღების მეტად აქტუალურ საკითხებს.

[90] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, (მოკლე ბიოგრაფია), სახელგამი, 1955, გვ. 244.
[91] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 202.

ხალხის სიღრმეში"[92]. ლენინმა ანალიზი გაუკეთა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მატერიალურ და სულიერ ძალებს, ახალგაზრდა წითელი არმიის ზურგს და მიგვითითა:

„ჩვენ ვიმარჯვებდით და გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ზურგი, და მაგარი ზურგი"[93].

ამის მიზეზია ის, რომ ისტორიას არ ახსოვს ომის წარმოების მიზანი ისე ცხადი, ნათელი და აღმაფრთოვანებელი ყოფილიყოს ხალხისათვის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა ქვეყნის სამამულო ომებში.

მორალური ფაქტორი ერთი იმ მუდმივად მოქმედ ფაქტორთაგანია, რომელიც სწყვეტს ომის ბედს, გამარჯვების ბედს. მორალურ ფაქტორში ლენინური სამხედრო მეცნიერება გულისხმობს იმ შინაგან აღფრთოვანებას დიადი განმათავისუფლებელი მიზნებით, რომლებიც განაპირობებენ და განსაზღვრავენ ხალხის უფართოესი მასების მთელ მოქმედებას ზურგში და ფრონტზე. მაგრამ მორალური ფაქტორი არსებითად მტერზე გამარჯვების მხოლოდ შესაძლებლობაა. იმისათვის, რომ ასეთი შესაძლებლობა მატერიალურ ძალად იქცეს და მიღწეულ იქნას გამარჯვება, ვ. ი. ლენინის განმარტებით „...საჭიროა ჩვენი მორალური ძალა მატერიალურ ძალად გადავაქციოთ... და მხოლოდ იმ პირობით, თუ საუცხოო ორგანიზაცია გვექნება, ჩვენს მორალურ ძალას შეუძლია მატერიალურ ძალად იქცეს"[94].

და აი სწორედ ეს შეძლო კომუნისტურმა პარტიამ თავისი სამაგალითო ორგანიზატორული მუშაობით. სამოქალაქო ომის პერიოდში სამხედრო კომისრები აღაფრთოვანებდნენ მებრძოლთ, ხოლო აღფრთოვანება გმირობას წარმოშობდა, მაგრამ მხოლოდ აღფრთოვანება და ენთუზიაზმი არ კმარა ომის საწარმოებლად. ამიტომ — გვასწავლის ვ. ი. ლენინი — ომის ნ ა მ დ ვ ი ლ ად საწარმოებლად აუცილებელია მაგარი ორგანიზებული ზურგი. საუკეთესო არმიას, რევოლუციის საქმის უერთგულეს ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მტერი, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილი არ იქნებიან.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ომის ბედი წყდება არა შემთხვევითი და ზარდამავალი ფაქტორებით, მაგ., უეცრობის მომენტითა და სხვ. არამედ ისეთი მუდმივმოქმედი ფაქტორებით,

---

[92] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 72.
[93] იქვე, გვ. 169.
[94] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 159.

როგორიცაა ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება და მეთაურთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი.

ზურგის სიმტკიცეში, რომელიც წარმოადგენს ომში გამარჯვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გადამწყვეტ ფაქტორს, შედის პოლიტიკა, სოციალურ-ეკონომიური წყობილება, სახელმწიფო აპარატი, ხალხის მორალური მდგომარეობა, კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება და სხვ. ამრიგად მუდმივმოქმედ ფაქტორთაგან ზურგის სიმტკიცე ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია.

ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ საუკეთესო ბურჟუაზიული სამხედრო სპეციალისტებიც კი „....ყოველთვის როდი არიან კარგი ეკონომისტები, და ყოველთვის როდი განარჩევენ ისინი ერთმანეთში იარაღის ძალას და ეკონომიკის კანონების ძალას“[95].

მხოლოდ თანამედროვე მანქანურ მრეწველობას შეეძლო წარმოეშვა ომის თანამედროვე მანქანა მასობრივი მასშტაბით. მძიმე მრეწველობის — მეტალურგიის, ელექტროტექნიკის, მანქანათმშენებლობის, ავიაციის, გემთმშენებლობის, ავტოტრანსპორტის, სატანკო, საარტილერიო, ქიმიური, მოტორების და სხვ. წარმოების. მასთან მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია როგორც თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, ასევე ომის უახლესი მეთოდებით წარმოება და მით უმეტეს ომში გამარჯვება.

მაგრამ აქედან შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ საწარმოო ძალების მაღალი განვითარება და ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო შეიარაღება თითქოს თავისთავად წყვეტდნენ ომის ბედს.

ცნობილია, რომ ფაშისტური გერმანიის მრავალრიცხოვან არმიას საკმაოდ ბევრი იარაღი მოეპოვებოდა, მაგრამ ეს იარაღი ფაშისტური რეჟიმის პირობებში არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პოლიტიკურად შეგნებული და მორალურად მტკიცე ჯარისკაცთა ხელში.

გერმანელი ფაშისტი ჯარისკაცი, მართალია, ტექნიკურად მოვზადებული, მაგრამ პოლიტიკურად უვიცი და მორალურად გახრწნილი იყო. ი. ბ. სტალინი ამერიკელ მუშათა დელეგაციებთან საუბარში გარკვევით აღნიშნავდა, რომ „...ომის ბედს წყვეტს არა ტექნიკა... არამედ სწორი პოლიტიკა, მოსახლეობის მილიონიანი მასების თანაგრძნობა და მხარდაჭერა“[96]. შეუძლებელია სადავოდ მოგვეჩვენოს ის ჭეშმარიტება, რომ მოწინავე

---

[95] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 295.
[96] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 10, გვ. 113.

სოციალურ-ეკონომიური წყობილება ქმნის საზოგადოების მოწინავე პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციას, რომელიც განაპირობებს როგორც იარაღის ხარისხს და მის გამოყენებას, ასევე ომის წარმოების მიზნებს, მეთოდებს, თვით ომის ხასიათსა და გამარჯვებას.

დიდ სამამულო ომში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ი. ბ. სტალინის მეთაურობით, შემოქმედებითად იყენებდა სოციალისტური სამშობლოს დაცვის დიად ლენინურ მოძღვრებას და იმ მდიდარ გამოცდილებებს, რომლებიც ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით დააგროვა საბჭოთა სამშობლომ ინტერვენტების წინააღმდეგ 1918—1920 წლების უთანასწორო ბრძოლებში. საბჭოთა არმიისათვის მტკიცე ზურგის შექმნისას და მთლიანად საბჭოთა სამშობლოს თავდაცვის ორგანიზაციის მოწყობისას კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის ამ დიადი მემკვიდრეობით.

საბჭოთა კავშირის მეთაურობით შექმნილი ანტიჰიტლერული კოალიცია მჭიდროდ რაზმავდა მსოფლიოს დემოკრატიულ ძალებს, იგი მოკავშირეთა ეკონომიკისა და იარაღ-საჭურველთა მთელი რესურსების კორდინაციას ახდენდა, რათა თავისუფლებისმოყვარე მსოფლიო ხალხები ეხსნა ფაშისტური მონობისაგან. საბჭოთა კავშირში გაერთიანებული მოძმე ხალხების შვილებთან ერთად, სამამულო ომის ფრონტზე მრავალ ათასობით ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებმა ასახელეს სამშობლო და მტერთან სისხლისმღვრელ ბრძოლებში გმირის სახელი მოიხვეჭეს.

ვინაიდან ესოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა არმიისათვის მტკიცე ზურგის შექმნას, საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად საქართველოს მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ და ინტელიგენციამ შრომითი მამაცობის გზით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საქართველო საბჭოთა არმიის ერთ-ერთ მძლავრ არსენალად გადააქცია.

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

„უმაგალითო გმირობა ჩაიდინეს დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ. ომიანობის რთულ და ძნელ პირობებში მათ გიგანტური მუშაობა გასწიეს სამხედრო ყაიდაზე სახალხო მეურნეობის გარდაქმნის, ფრონტისპირა ზოლიდან ღრმა ზურგში სამრეწველო საწარმოთა ევაკუაციის, ტანკების, თვითმფრინავების მასობრივი წარმოების მოგვარების, საომარი მასალით, საჭურველით ფრონტის უზრუნველყოფის დარგში“[1].

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმას საქართველოს, ისე როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, როგორც დავრწმუნდით, მთელი ძალების მობილიზაციით უპასუხეს, ქვეყანა ერთიან საბრძოლო ბანაკად გარდაქმნეს, ფრონტზე და ზურგში დიდი პატრიოტული თავდადებით დაიწყეს ბრძოლა მტრის განადგურებისათვის.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი, რომელიც საჭირო იყო კიდევ უფრო მზარდი გამხდარიყო ომის მსვლელობაში, რათა მტკიცედ ორგანიზებული ზურგიდან შეუფერხებლად მიეღო საბჭოთა არმიას არა მარტო რეზერვები, არამედ ყველაფერი, დაწყებული იარაღ-საჭურველებით სურსათ-სანოვაგემდე, რაც კი საჭირო იყო მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის.

საბჭოთა არმიისათვის მტკიცე ზურგის შექმნა გარკვეულ ვალდე-

---

[1] დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეზისები, 1957.

ბულებებს აკისრებდა მრავალეროვან საბჭოთა ხალხს, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს. კომუნისტური პარტია მოითხოვდა სსრ კავშირში შემავალი თვითეული რესპუბლიკისა და ოლქისაგან, რომელსაც ოკუპაცია არ განეცადა, დაუყოვნებლივ გარდაქმნას საბჭოთა არმიის არსენალად. კომუნისტური პარტიის ამ მოწოდებამ განსაზღვრა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მთელი საქმიანობა და ხალხის მასების გმირული შრომით რესპუბლიკა საბჭოთა არმიის ერთ-ერთი ძლავრი არსენალი გახდა .

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებული ხალხები, მოკავშირე რესპუბლიკები და ოლქები საყოველთაო თავდადებით ქმნიდნენ საბჭოთა არმიის მტკიცე ზურგს; მაგრამ ეს საერთო-სახალხო მონაწილეობა კონკრეტული თავისებურებებითა და სპეციფიკურობით ხასიათდებოდა, რომლებიც სამამულო ომის მსვლელობაში სისტემატურად იცვლებოდა საბჭოთა სამშობლოს სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებებთან ერთად. ასე რომ თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის, ოლქისა და რაიონის მშრომელები მტერზე გამარჯვების საერთო იარაღს ჭედდნენ არა ერთნაირ მდგომარეობაში, არამედ ერმანეთისაგან განსხვავებულ, კონკრეტულ პირობებში, ადგილობრივი ვითარების შესაბამისად, მთელი რესურსებისა და რეზერვების გამოვლინება-მობილიზაციისა და მათი მაქსიმალური გამოყენების გზით.

ეს განსხვავება, პირველ ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ სამამულო ომის გარკვეულ პერიოდში სსრ კავშირის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დროებით ოკუპირებულ იქნა მტრის მიერ, ხოლო აღმოსავლეთის საბჭოთა რაიონები ომის მთელ მანძილზე საბჭოთა არმიის არსენალად რჩებოდნენ. თავისთავად ცხადია, საესებით განსხვავებული იყო თვითეული ამ მხარის მონაწილეობა დიდ სამამულო ომში.

თუ მტრის მიერ ოკუპირებული საბჭოთა რაიონები საომარი და ბასობრივი პარტიზანული მოძრაობის ასპარეზი გახდა, აღმოსავლეთის არაოკუპირებული რაიონები საბჭოთა არმიის რეზერვებისა და მის ყოველგვარ საჭიროებათა დაკმაყოფილების არსენალად იქცა. როგორც მტრის მიერ ოკუპირებული, ასევე არაოკუპირებული რაიონები საერთო საქმეს ემსახურებოდნენ, მტერს ანადგურებდნენ, მაგრამ განსხვავებული საშუალებებითა და ძალებით, სრულიად სხვადასხვა პირობებში. ამიტომ ბუნებრივია, რომ განსხვავებულია დიდ სამამულო ომში ამ რაიონების მშრომელთა როგორც მონაწილეობა, ასევე მისი შედეგებიც. ამან შეუძლებელია თავისი გამოხატულება არ პოვოს საბჭოთა ხალხების ისტორიის ფურცლებზე.

ჩვენი ისტორიოგრაფია ზოგადი ფრაზებით ფონს ვერ გავა და გვერდს ვერ შეუვლის როგორც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს, ისე მათს ანალიზს ისტორიული განვითარების საერთო ასპექტში.

საქართველო და ამიერკავკასია, სსრ კავშირის აღმოსავლეთის სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა არმიისათვის საიმედო ზურგად და არსენალად დარჩა; ამიტომ საბჭოთა საქართველოს, ისე როგორც სსრ კავშირის აღმოსავლეთის სხვა მოძმე რესპუბლიკების ზურგის რაიონების მშრომელების, დიდ სამამულო ომში მონაწილეობა არსებითად საბჭოთა ზურგში დარჩენილი მშრომელების მიერ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი არმიისათვის მტკიცე ზურგის შექმნაში გამოიხატება. ამ უკანასკნელის შესწავლა კი გვაკისრებს მთელი სიღრმით გავუკეთოთ ანალიზი რესპუბლიკის მშრომელების ბრძოლას ყველა თავისი მრავალმხრიობით და სპეციფიკურობით. ეს იმას ნიშნავს, რომ სპეციალურად გამოვიკვლიოთ საქართველოს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის შრომითი მამაცობა, მათი პატრიოტიზმი, მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის როლი და მნიშვნელობა როგორც აღმოსავლეთის ერთ-ერთი ზურგის რაიონისა, საბჭოთა არმიის არსენალად გადაქცევის საქმეში. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენი კვლევა უმეტესად ზურგის მუშაობის ძირითადი საკითხებით იფარგლება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის შემოქმედებით შრომით მოღვაწეობას და მისი შედეგების ანალიზს.

მაგრამ საქართველო არ იყო ზურგის ჩვეულებრივი რაიონი; მას შემდეგ, რაც მტერი ჩრდილო კავკასიაში და კავკასიის მთავარ გადასასვლელებზე გამოიჭრა, საქართველო ფრონტისპირა რაიონად გადაიქცა. იგი 1942—1943 წლების მიჯნაზე ერთდროულად ფრონტიც იყო და ზურგიც, რამაც თავისებურად განაპირობა რესპუბლიკის მშრომელთა გააფთრებული ბრძოლა და გმირული შრომა სამშობლოს დაცვისათვის.

1942 წ. ზაფხულამდე კავკასიის უშუალო დაცვის საკითხი არ იდგა. საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხთა შვილები მანამდე მტერს კავკასიიდან ათასეული და ასეული კილომეტრობით დაშორებით ებრძოდნენ. ასევე ითქმის 1943 წლის იმ პერიოდზე, როცა სტალინგრადისა და კავკასიის მისადგომებთან განადგურებული მტრის ძალები საქართველოდან შორს იქნა განდევნილი. ამრიგად, სამამულო ომის პერიოდში ცვალებად მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა

არმიის ზურგის რაიონად რჩებოდა და არ განუცდია ოკუპაცია. ეს გარემოება კი დიდ ფაქტორს წარმოადგენდა იმისათვის, რომ რესპუბლიკის მშრომელებს მეტ-ნაკლებად ნორმალურ პირობებში შესაძლებლობა მისცემოდათ მაქსიმალურად დაეძაბათ ძალები საბჭოთა არმიისათვის მტკიცე ზურგის შესაქმნელად და საქართველო საბჭოთა არმიის ერთ-ერთ მძლავრ არსენალად ექციათ. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან საბჭოთა საქართველოს თავისი ეკონომიკით, ტერიტორიული მდგომარეობითა და მისი სტრატეგიული მნიშვნელობით, სახმელეთო-სარკინიგზო და საზღვაო-სანავსადგურო მაგისტრალებით, მოწინავე მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით სსრ კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა დიდ სამამულო ომში.

1. სამხედრო რელსებზე ახლად გადაყვანილი სახალხო მეურნეობის სიძნელენი, მათი დაძლევა და მძლავრი აღმავლობის დასაწყისი

სსრ კავშირში გაერთიანებული მოკავშირე (არსებითად ზურგის რაიონთა) რესპუბლიკების ამოცანები, საბჭოთა არმიის არსენალად მათი დაუყოვნებლივ გარდაქმნის გეგმა შემუშავებულ იქნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ომის დასაწყისშივე. მან თავისი გამოხატულება პოვა 1941 წლის მესამე კვარტალის სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო საწარმოო გეგმაში. არსებითად ეს იყო საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიანი სახალხო მეურნეობის, მისი ფინანსური სახსრებისა და მატერიალურ საშუალებათა სამხედრო რელსებზე გადაყვანის ერთიანი გეგმა[2]. ეს გეგმა ითვალისწინებდა აღმოსავლეთის ზურგის რაიონების საბჭოთა არმიის არსენალად გარდაქმნას, დასავლეთის ფრონტისპირა საბჭოთა რაიონებიდან ურალის, დასავლეთ ციმბირის, ვოლგისპირეთის, შუა აზიისა და ნაწილობრივ ამიერკავკასიის რაიონებში ფაბრიკა-ქარხნების ევაკუაციას და იქ არსებულ საწარმოთა სამხედრო ყაიდაზე გადაყვანის გზით სამხედრო პროდუქციის გამოშვების გაღიდებას. ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელებისათვის საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმაგალითო გმირობა გამოიჩინა და დიდ წარმატებებს მიაღწია. მოკლე პერიოდ-

---

[2] 1941 წ. აგვისტოში დამტკიცდა მეოთხე კვარტალის „სამხედრო სამეურნეო გეგმა“.

ში საბჭოთა ქვეყნის მძლავრი მრეწველობა სამხედრო ყაიდაზე იქნა გარდაქმნილი, რაც გამოიხატა:

1. მრეწველობის გადაადგილებაში დასავლეთიდან აღმოსავლეთში (ფაბრიკა-ქარხნებთან ერთად გადაყვანილ იქნა სამრეწველო კადრის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები), ადგილობრივ საწარმოთა სამხედრო რელსებზე გადაყვანაში და მთელი ძალებით სამხედრო პროდუქციის მაქსიმალური გადიდებისათვის მუშაობის გაჩაღებაში;

2. სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელი მუშაობის გარდაქმნაში სამშობლოს დაცვის ინტერესებისათვის, მის მუშაკთა მთელი ძალების მაქსიმალურ მობილიზაციაში საბჭოთა არმიისა და მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფისათვის და მსუბუქი მრეწველობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ნედლეულით;

3. საბჭოთა ინტელიგენციის, მეცნიერებისა და ხელოვნების მთელი საქმიანობის თავდაცვის სამსახურში ჩაყენებაში.

რამდენიმე თვის მანძილზე უმაგალითო ორგანიზებულობით მოხდა 1300 მსხვილი საწარმოს ევაკუირება და აღდგენა ღრმა ზურგში. 1941 წ. ივნისიდან დეკემბრამდე რკინიგზით 1 500 000 ვაგონი სხვადასხვა ტვირთი იქნა ევაკუირებული მარტო ურალსა და ციმბირის მხარეში. ევაკუირებული საწარმოები 2—3 თვის შემდეგ მწყობრში დგებოდნენ და მზარდი მოცულობით იწყებდნენ პროდუქციის გამოშვებას. გარდა ამისა, გაჩაღდა ახალ დიდ თავდაცვით საწარმოთა მშენებლობები. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1942 წელს აშენდა 10 315 მსხვილი საწარმო, 1943 წელს — 10 418. ხოლო 1944 წელს — 20 647-ზე მეტი საწარმო[3].

სამხედრო მრეწველობის მშენებლობისათვის ჩატარდა კვალიფიციური მუშების მობილიზაცია, მოხდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მთელი სასურსათო რესურსებისა და ფონდების მაქსიმალური ცენტრალიზაცია; ამის შესაბამისად გარდაიქმნა სახელმწიფო და პარტიული ორგანოები, რომელთა მუშაობა დაუქვემდებარდა ჩვენი ქვეყნის აღმავალი სამხედრო მეურნეობის გაძლიერებისა და საბჭოთა არმიის განმტკიცების დიად საქმეს.

უმძიმესი პერიოდი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში იყო 1941 წ. ნოემბერ-დეკემბერი, როცა პროდუქციის გამოშვებამ ოკუპაციისა და ევაკუაციის შედეგად საგრძნობლად იკლო. მაგრამ ამას მალე მოეღო ბოლო და 1942 წლის მარტში სამხედრო პრო-

---

[3] Г. Соколов, Промышленное строительство в годы Отечественной войны, Госполитиздат, 1946, გვ. 10.

ლუქციის გამოშვებამ, მხოლოდ აღმოსავლეთ რაიონებში, მიაღწია სსრ კავშირის ომამდელ დონეს.

თავდაცვის კომიტეტი, რომელსაც ი. ბ. სტალინი ედგა სათავეში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის გასამხედროებულ სახალხო მეურნეობას წარმართავდა და უშუალოდ ახორციელებდა ოპერატიულ კონტროლს სამხედრო დაკვეთების შესრულებაზე.

ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შედეგად ომის დასაწყისში მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა საბჭოთა ქვეყნის სოფლის მეურნეობა. მტრის მიერ დროებით ოკუპირებული უკრაინა, დონის, ყუბანის და ყირიმის რაიონები მოიცავდა ჩვენი ქვეყნის მთელი სათესი ფართობის 41%-ს, მათ შორის — ჩვენი ქვეყნის პურეული კულტურების 37%-ს, ტექნიკური კულტურების 49%-ს, სელის 50%-ს, ბზესუმზირას 50%-ს, შაქრის ჭარხლის 87%-ს, კარტოფილის 54%-ს, ბოსტნეულის 56%-ს. ამავე რაიონების კოლმეურნეობებში 1940 წლისათვის ირიცხებოდა ცხენების 44%, მსხვილფეხა პირუტყვის 38%, ცხვრისა და თხის 28%, ღორების 59%[4].

ესოდენ მძიმე მდგომარეობა ახალ გარკვეულ ვალდებულებებს უყენებდა აღმოსავლეთის მომძე რესპუბლიკებს, კერძოდ, საქართველოს კოლმეურნე გლეხობას და მათ მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას როგორც მარცვლეული, ასევე ტექნიკური და სხვ. კულტურების ნათესი ფართობის ზრდისა და მათი მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

სსრ კავშირის დასავლეთის რაიონებიდან მუშებთან და ფაბრიკა-ქარხნებთან ერთად მოხდა ბევრი კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ევაკუაცია მთელი მათი ქონებითა და მუშაკთა შემადგენლობით.

აღმოსავლეთის რაიონებში ევაკუირებული მშრომელები თავის მხრივ მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ ადგილობრივ მუშებს, კოლმეურნეებსა და კულტურის მუშაკებს. მათ აღმოსავლეთის რაიონებში დასავლეთიდან თან გადააქვთ თავიანთი გამოცდილებანი, ტექნიკა და კულტურა, რითაც ისინი დიდ როლს ასრულებდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი დარგების განვითარების საქმეში. მაგალითად, უკრაინელი ევაკუირებული კოლმეურნეები ბაშკირეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პირველად ნერგავენ შაქრის ჭარხლის კულტურას[5].

---

[4] ჟურნ. „Соц. сельское хозяйство", № 10, 1945, გვ. 6.

[5] Х. Б. К-Шае Булатов, Колхозное крестьянство Башкирии в годы Великой Отечественной войны, М., 1954.

დასავლეთის რაიონებიდან აღმოსავლეთში გადაადგილებულ მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან ერთად მილიონობით იქნა ევაკუირებული მოსახლეობა, რომელიც უდიდესი თანაგრძნობით მიიღო აღმოსავლეთის რაიონების მკვიდრმა მოსახლეობამ; ევაკუირებულნი უზრუნველყვეს ბინებით, სურსათით, დაეხმარენ ფულით, ტანსაცმლით, საოჯახო ნივთებითა და ა. შ. ევაკუირებულნი აქტიურად ჩაებენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აშენებლობაში. აღმოსავლეთის რესპუბლიკებისა და ოლქების მშრომელთა ასე უშუალოდ დაკავშირებამ ევაკუირებულებთან, მათან ერთად შრომამ ფრონტის დასახმარებლად, კიდევ უფრო განაჭტკიცა ხალხთა მეგობრობა, გაზარდა მათ შორის სიყვარული.

მტრის მიერ საბჭოთა მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციამ და საბჭოთა ხალხის მიერ ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ევაკუაციამ დასავლეთიდან აღმოსავლეთის უშიშარ რაიონებში, არსებითად შეცვალა ჩვენი ქვეყნის ომამდელი ეკონომიური კავშირურთიერთობა მზა პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებსა და მათთვის ნედლეულის დეფიციტური მასალებისა და საქარხნო მოწყობილობათა მიმწოდებელ საწარმოებს შორის, შეიცვალა აგრეთვე თანაფარდობა მწარმოებელ და მომხმარებელ ორგანიზაციებს შორის, რამაც გამოიწვია ტრანსპორტის უაღრესად დიდი დატვირთვა და მისი მთელი ძალების დაძაბვა.

ახალ ადგილზე ევაკუირებულ საწარმოთა აღდგენა და გაშართვა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. იგი მოითხოვდა საწარმოთა ახალი კორპუსების, სხვადასხვა ტექნიკურ მოწყობილობათა და მუშათა საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. ამ საწარმოთა ელექტროენერგიით, სათბობით, ნედლეულითა და სხვა მოწყობილობით უზრუნველყოფა უაღრესად ძნელ ვითარებაში მიმდინარეობდა. იგი უმთავრესად ადგილობრივი რესურსებისა და სახსრების მაქსიმალურად გამოყენების გზით ხორციელდებოდა.

საბჭოთა ქვეყნის უაღრესად რთული ეკონომიური პირობები და მეტისმეტად დაძაბული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა სამამულო ომის პირველ პერიოდში, როცა საბჭოთა არმია მძიმე ბრძოლებით იხევდა უკან, განაპირობებდნენ საბჭოთა ქვეყნის თვითეული მხარის, ოლქის და მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა ამოცანებს საბჭოთა არმიის ზურგის განმტკიცების საქმეში. სსრ კავშირში გაერთიანებულ მოძმე ხალხებთან ერთად ამ მიმართულებით ფრიად სერიოზული ამოცანები დაეკისრა საქართველოს, მის მოწინავე მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, საქართველოს მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას.

2. საქართველოს სსრ გადაქცევა საბჭოთა არმიის ერთ-ერთ მძლავრ არსენალად

საქართველოს სახალხო მეურნეობის მთელ შესაძლებლობათა მობილიზებას და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის სამსახურში მის მკვიდრად ჩაყენებას განსაზღვრავდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული საპროგრამო ამოცანები, რომლებიც საბჭოთა არმიისათვის მტკიცედ ორგანიზებული ზურგის შექმნით იყო გაპირობებული.

სამამულო ომის პირველსავე პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ ამოცანად დააყენა ფაშისტური არმიის შეიარაღებაში არსებული უპირატესობის მოსპობა, საბჭოთა არმიისათვის ტანკების, თვითმფრინავებისა და არტილერიის წარმოების მასობრივად გაძლიერება. ამ ამოცანის განხორციელება დამოკიდებული იყო მარგანეცის, ქვანახშირის, მოლიბდენის, ვოლფრამის, იშვიათ ლითონთა და ნავთობის წარმოების შემდგომ ზრდაზე, რაც დიდად გაძნელდა განსაკუთრებით ნიკოპოლის, დონბასისა და სხვათა ოკუპაციის შედეგად.

ასეთ რთულ პირობებში საქართველოს მოწინავე მრეწველობას უაღრესად სერიოზული ამოცანები დაეკისრა, რათა მარგანეცისა და ფერომარგანეცის წარმოების გადიდებით უზრუნველეყო სსრ კავშირის სატანკო და თვითმფრინავების მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნები. ამასთან გადაუდებელ ამოცანად დაისახა ქვანახშირის მოპოვების იმ დონემდე განვითარება, რომ საქართველოს მთლიანად დაეკმაყოფილებია ქვანახშირით ამიერკავკასიის მრეწველობის, ტრანსპორტის და შავი ზღვის ფლოტის მოთხოვნილება. ასევე აუცილებელი იყო გუმბრინისა და ნავთობის განვითარება დიდი მასშტაბით და ელექტრომრეწველობის შეუნელებელი ზრდა. არანაკლებ სერიოზული ამოცანები იდგა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის წინაშე. საქართველოს, როგორც მსუბუქი და კვების მრეწველობის მოწინავე რესპუბლიკას, თავის თავზე უნდა ეკისრა მეტად საპატიო ამოცანა: რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიეწოდებინა საბჭოთა არმიისათვის სურსათი და ტანსაცმელი და საბჭოთა ქვეყანა მთლიანად უზრუნველეყო ჩაით.

რესპუბლიკის მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნას და თავდაცვის პროდუქციის გამოშვების ზრდის საქმეს დაემთხვა ევაკუირებული უმსხვილესი საწარმოების მიღებისა და მწყობრში ჩაყენების უაღრესად ძნელი ამოცანა.

საქართველო განეკუთვნებოდა იმ რესპუბლიკათა რიგს, სადაც ხდებოდა ქარხნებისა და ფაბრიკების ევაკუაცია, საქართველოში ევა-

კუირებული მსხვილი საწარმოების ორგანიზებულად მიღება და მათი უმოკლეს ვადაში ამუშავება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ომამდელ ხუთწლედებში შეიქმნა მძლავრი ინდუსტრიული ბაზები — ენერგეტიკის, მეტალურგიის, სათბობისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები.

რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანები საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 20 ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში იყო ჩამოყალიბებული, სადაც ნათქვამია, რომ საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ თავდაცვისათვის აუცილებელი ახალი სახის პროდუქციის ათვისება და ამისათვის აუგილობრივი ნედლეულის გამონახვა.

პლენუმი ავალებდა საწარმოთა პარტორგანიზაციებს დაეწესებინათ ყოველგვარი კონტროლი და უზრუნველეყოთ კონკრეტული ხელმძღვანელობა საწარმოთა მთელი სიმძლავრით დატვირთვის მიზნით და არ დაეშვათ დაზგებისა და მექანიზმების მოცდენა, მობილიზაცია ეყოთ შინაგანი რესურსებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ნედლეულის ხარჯვის ეკონომიისათვის, და ფართოდ განეხორციელებინათ რაციონალიზატორული წინადადებანი. პლენუმი მტკიცედ ავალებდა პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველეყოთ თვითეული საწარმოს, საამქროსა და აგრეგატის თვითეული მუშის ყოველდღიური დავალების შესრულება შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდითა და შრომის რკინისებური დისციპლინის განმტკიცებით სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საფუძველზე[6].

სამამულო ომმა მრეწველობასთან ერთად დიდი ამოცანები დაუკისრა საქართველოს მოწინავე სარკინიგზო, საზღვაო, საავიაციო, საავტომობილო და აგრეთვე საჰაპანო ტრანსპორტს, როგორც ზურგისა და ფრონტის დამაკავშირებელ საშუალებას. ომმა გადაჭრით მოითხოვა მთელი სატრანსპორტო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა ტვირთბრუნვის გადიდება-დაჩქარებისა და რკინისებური სამხედრო დისციპლინის განმტკიცების გზით.

სამამულო ომმა არანაკლებ საპატიო ამოცანები დაუსახა საქართველოს სოფლის მეურნეობას. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა მოქმედებას განაპირობებდა საბჭოთა არმიის მტკიცე ზურგის შესაქმნელად კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ღონისძიებები და მისგან გამომდინარე ძირითადი ამოცანები. იგი გა-

[6] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქ. 1417, ფურ. 3—7.

მოიხატა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის — მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოს, შაქრის, ხორცისა და რძის ნაწარმის, აბრეშუმის პარკის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილის, მევენახეობის, ციტრუსოვანთა კულტურებისა და სხვა სახის სასურსათო და სამრეწველო ნედლეულთა გადიდებისათვის კოლმეურნე გლეხობის თავდადებულ შრომითს მამაცობაში.

მართლაც და მას შემდეგ, რაც მტერმა მიიტაცა ტექნიკური და ნაწილობრივ სუბტროპიკული კულტურების მწარმოებელი ისეთი რაიონები, როგორიცაა ყირიმი, უკრაინა, ყუბანი და სხვა, საქართველოს სოფლის მეურნეობას, აღმოსავლეთის სხვა რაიონების სოფლის მეურნეობასთან ერთად, ბუნებრივია, დიდი ამოცანები დაეკისრა როგორც ტექნიკური და სუბტროპიკული, ასევე მარცვლეული კულტურების განვითარების საქმეში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული ნოემბრის პლენუმი სოფლის მეურნეობის დარგში რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობის ძირითად ამოცანად სახავდა მარცვლეულის, კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობის გადიდებას და მათი მოსავლიანობის ამაღლებას.

პლენუმის დადგენილება მეტად დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების — თამბაქოს, შაქრის ჭარხლის კულტურათა ფართობისა და მოსავლიანობის ზრდას, ჩაის, სუბტროპიკული და მრავალწლიან ნარგავთა დაცვისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეს[7].

ამ ამოცანათა განხორციელებას უამრავი სიძნელეები ეღობებოდა წინ. ომმა მუშახელთან ერთად მოითხოვა ცხენების, ავტომანქანების, ტრაქტორებისა და სხვა სახის მანქანების მობილიზაცია, რამაც სახალხო მეურნეობის ისედაც დაძაბული მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ამასთანავე ომმა მოითხოვა სოფლის მეურნეობისაგან წინანდელზე ბევრად მეტი პროდუქტები არმიისა და ნედლეული მრეწველობისათვის, განსაკუთრებით დიდი სიძნელეები შეიქმნა მრეწველობის და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფრონტებზე წასული კვალიფიციური მუშების მუშათა ახალი კადრებით შეცვლის საქმეში. მტს-ების დიდ უმრავლესობაში თითქმის არ დარჩა ტრაქტორისტები და კომბაინერები, მათ მომზადებას ორი-სამი თვე უნდოდა, მაშინ როცა მოსავლის აღება კარზე იყო მომდგარი. ესოდენ გართულებულ ვითარებაში სოფლად გადაუდებელ

---

[7] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11417, ფურ. 3—7.

ამოცანად იდგა პირველი სამხედრო მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების, სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებისა და საშემოდგომო თესვის გეგმიურად, წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ამასთან იყო დაკავშირებული მეცხოველეობისათვის საკვების დამზადება და სხვ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს ეს საპატიო ამოცანა რადაც უნდა დაჯდომოდათ უნდა შეესრულებინათ.

არანაკლები ამოცანები დაეკისრათ საქართველოს მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს. ისინი ქართველი მუშებისა და გლეხების მხარდამხარ სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხების მეცნიერებთან ერთად როგორც ფრონტზე, ასევე ზურგში თანაბარი თავდადებით ჰედღნენ მტერზე გამარჯვებას. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და სამრეწველო საწარმოები, მტს-ები და კოლმეურნეობები, მთლიანად თეორია და პრაქტიკა, ომის დროს ისე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, როგორც არასოდეს.

საბჭოთა არმიის მტკიცე ზურგის შესაქმნელად, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის კიდევ უფრო გასადიდებლად, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შეუფერხებლად მუშაობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა კვალიფიციური კადრების მომზადებას რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების, ტრანსპორტის, მტს-ებისა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისათვის ფრონტებზე წასულთა შესაცვლელად. ამასთანავე საგულისხმოა ისიც, რომ საწარმოებიდან და კოლმეურნეობებიდან ფრონტებზე წასული მუშახელის რიცხობრივი შეცვლა როდი იყო საკმარისი მტკიცე ზურგის შექმნისათვის. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველი ერთეული მუშის შრომა გამხდარიყო უფრო ეფექტური და მაღალპროდუქტიული. ამ საპატიო ამოცანათა განხორციელების საქმეში რესპუბლიკის მშომელების მხარდამხარ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ, მეცნიერებმა, მისმა საინჟინერო და აგროტექნიკურმა ნაწილმა სხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად.

ყველა ამ ღონისძიების გატარება და ომის დროის უდიდეს სიძნელეთა გადალახვა ხორციელდებოდა თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელიც წარმართავდა საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას და შრომას მტერზე გამარჯვებისაკენ.

პარტიული ორგანიზაციები ადგილებზე იქცნენ ნამდვილ ორგანიზატორებად მთელი მუშაობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნისა და მძლავრად განვითარებისათვის რევოლუციური შემტევი სიფხიზლის დამკვიდრების საქმეში. ისინი სათავეში ედგნენ მასებს, რო-

ჯორც პოლიტიკური ხელმძღვანელები და მათი აქტივობის ორგანიზატორები[8]. ამ ღონისძიებებით პარტია აღწევდა დიდ წარმატებებს საწარმოებსა და კოლმეურნეობებში მთელი სამეურნეო მუშაობის პოლიტიკური ამოცანების დონემდე აყვანისა და სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნილი სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგთა გაფართოებული კვლავ წარმოების გზით განვითარებას, რასაც ფრონტის ინტერესები მოითხოვდა.

ომიანობის წლებში ხელმძღვანელ პარტიულ-საბჭოთა სამუშაოებზე ათასობით მოწინავე ადამიანი მოვიდა. გაიზარდნენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის ახალი, ომის პირობებისათვის ალღოს ამღები და ომის სიძნელეების მოხერხებულად დამძლევი ადამიანები. ეს კადრები მზადდებოდა, იზრდებოდა და იქედებოდა თვით წარმოების პროცესში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების სწორი პოლიტიკური მუშაობის საფუძველზე მაქსიმალურად იქნა გამოყენებული რესპუბლიკის მთელი ძალები, მისი შესაძლებლობანი და სოციალისტური წყობილების უპირატესობანი მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის როლი და მნიშვნელობა. მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ადგილი საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების განხორციელებისა და ქვეყნის თავდაცვის საქმეში სამამულო ომის მთელ მანძილზე შეუნელებელი აღმავლობით იზრდებოდა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა არმიის მტკიცე ზურგის შექმნისათვის. ცნობილია, რომ რესპუბლიკას საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უშუალოდ დაეყრდნო კავკასიის ფრონტი და იგი იქცა მის

---

[8] ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში, — რესპუბლიკურ, საოლქო და საქალაქო კომიტეტებში, — ჯერ კიდევ ომის დაწყების წინა დღეებში ჩამოყალიბდა სახალხო მეურნეობის — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის დარგობრივი განყოფილებები; კერძოდ, მრეწველობისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისრა მრეწველობის დარგში სპეციალურად გაპიროვნებულ ერთ-ერთ მდივანს. ეს ღონისძიება ეხმარებოდა პარტიულ კომიტეტებს კონკრეტულად ეხელმძღვანელათ მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის რთული საქმისა და პროდუქციის გადიდებისათვის. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების გამოყენება ხელს უწყობდა საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებას. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები განამტკიცებდნენ რკინისებურ დისციპლინას ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რკინიგზაზე და დაწესებულებებში. რაზმავდნენ მასებს ახალი შრომითი აღმავლობისათვის და მეთაურობდნენ მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებას ფრონტის დასახმარებლად.

ყოველმხრივ მომმართველებელ ზურგად ამერკავკასიის მოსმე რესპუბ-
ლიკების მშრომელებთან ერთად.

ამ ამოცანების შესაბამისად საკ. კპ(ბ) ცეკას ხელმძღვანელობით და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მითითების საფუძველზე სახალხო მეურნეობის საერთო სამობილიზაციო გეგმის მიხედვით შემუშავებულ იქნა საქართველოს სსრ 1941 წლის III კვარტალისა და 1942 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სამობილიზაციო გეგმა, რითაც გათვალისწინებული იყო საქართველოს ქვანახშირის, ნავთობის, ფერომარგანეცის, იშვიათი ლითონების მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება და მათი გამოყენება თავდაცვის ინტერესებისათვის. საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში იარაღ-საჭურველთა და ტანსაცმელთა მილიონობით კომპლექტების დამზადება, საბჭოთა არმიის სასურსათო ბაზის განმტკიცება, მარცვლეულის მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების, ჩაის, შაქრის, თამბაქოს, ღვინის წარმოების, ბაღჩეულ-ბოსტნეულისა და ხილის პროდუქტების გადიდება რესპუბლიკის მშრომელთა საბრძოლო ამოცანად იქცა.

დამახასიათებელია, რომ იგივე გეგმა ითვალისწინებდა საქართველოს კულტურის ფრონტის მთელი მუშაობის — სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის, პრესისა და ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის წარმართვას სამშობლოს თავდაცვის განმტკიცების ამოცანების შესაბამისად. იგი მოითხოვდა პარტიული და სახელმწიფოებრივი ორგანოების, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ახლებურად გარდაქმნას. საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სწორედ ასეთი გეგმის საფუძველზე გარდაქმნეს მთელი მუშაობა და მტკიცედ ჩადგნენ ქვეყნის თავდაცვის სამსახურში.

მოხდა რესპუბლიკის მთელი რიგი სამხედრო-პოლიტიკური, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი ორგანოების რეორგანიზაცია ქვეყნის თავდაცვის ინტერესების შესაბამისად. შეიქმნა საგანგებო ორგანოები. სახალხო კომისართა საბჭოსა და ცალკე სახალხო კომისარიატებში. ჩამოყალიბდა მთელი რიგი ახალი სამმართველოები, რომლებიც ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდნენ.

გამრავლდა მაღალკვალიფიციური კადრები, განმტკიცდა საბჭოთა არმიის ზურგი, საბჭოთა მეომრებზე ზრუნვა საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა. იგი საბჭოთა არმიის დახმარების ახალ და ახალ

ფორმებში ვლინდებოდა, ფრონტებზე იარაღ-საჭურველთან ერთად განუწყვეტლივ იწყო დენა საბჭოთა მშრომელების საჩუქრებმა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სურსათ-სანოვაგისა და საკუთარი ფულადი დანაზოგებით დამზადებული მრისხანე იარაღების სახით.

საქართველოს მუშათა კლასის გმირული შრომა და მრეწველობის წარმატებანი

1. საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასის საერთო მილოვები იარაღ-საჭურველთა წარმოების ზრდის საქმეში

დიდმა სამამულო ომმა განსაკუთრებული მოთხოვნები წაუყენა საბჭოთა ქვეყნის მრეწველობას და უდიდესი ამოცანები დააკისრა მუშათა კლასს, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ ძალას.

საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, ისე როგორც მისი მრეწველობა, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა და მრეწველობის ორგანული შემადგენელი ნაწილია. ამიტომ სამამულო ომზე მსჯელობა ისე, თუ არ იქნება გათვალისწინებული მთლიანად საბჭოთა ქვეყნის მრეწველობის სინამდვილე, ჩვენი აზრით, ცალმხრივი და გაუმართლებელია. ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ მიმართულმა სამამულო ომმა იმდენად გრანდიოზული და მზარდი მოთხოვნა წაუყენა საბჭოთა ზურგს საომარი მასალისა და იარაღ-საჭურველის მიწოდების საქმეში, რომ იგი შეუძლებელი იყო დაკმაყოფილებულიყო საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ომამდე მომზადებული მარაგით.

ეს გრანდიოზული მოთხოვნა ასევე არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მთლიანად ჩვენი ქვეყნის ომამდე არსებულ სამხედრო ინდუსტრიას, მისი ჩვეულებრივი გაფართოვების პირობებშიც კი. ამიტომ საბჭოთა სამშობლოს დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო სამამულო ომის პროცესში მსხვილი სამხედრო თავდაცვითი მრეწველობის უსწრაფესი ტემპებით შემდგომი განვითარება და დიდი მოცულობის ახალ მშენებლობათა განხორციელება.

საბჭოთა არმიის, საზღვაო და საჰაერო ფლოტის, მისი მოტომექანიკური ნაწილების შეიარაღების გაუმჯობესების მიზნით, თვითმფრინავთა და ტანკმშენებლობის, წყალქვეშა ნავებისა და არტილერიის ქარხნების მშენებლობა და მათი პროდუქციის შემდგომი გადიდება საბჭოთა ინდუსტრიის წმიდათა-წმიდა მოვალეობად იქცა-

ომის დაწყების პირველ დღეებში „პრავდის“ მოწინავე მოუწოდებდა: „ჩვენში ახლა არ შეიძლება „მშვიდობიანი წარმოება“ არსებობდეს. ყოველი ქარხანა, ყოველი ფაბრიკა ომის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად უნდა მუშაობდეს... მუშაობა, რომელიც თავდაცვის საჭიროებასთან დაკავშირებული არ არის, შეიძლება და კიდევაც უნდა გადაიდოს“[9].

საბჭოთა ქვეყნის თავდაცვითი ინდუსტრიის განვითარებას მოითხოვდა დიდი სამამულო ომის ფრონტების საჭირო გადაუდებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამასთანავე იგი აუცილებელი იყო სამხედრო მრეწველობის იმგვარი მასშტაბით და ისეთი ტემპებით აღმავლობის უზრუნველსაყოფად, რომლის შედეგადაც საბჭოთა არმია რიცხობრივ უპირატესობას მოიპოვებდა ჰიტლერული არმიის მიმართ თვითმფრინავების, ტანკების და სხვა იარაღთა წარმოების დარგში, ე. ი. სამამულო ომის პერიოდში მსხვილი კაპიტალური დაბანდების საფუძველზე საბჭოთა ქვეყნის სამხედრო ინდუსტრიას უნდა მოეხდინა არა მარტო კვლავ წარმოება იმისა, რაც აკმაყოფილებდა ომის მიმდინარე მოთხოვნილებებს, არამედ დიდად უნდა გაეფართოებინა სამხედრო წარმოება, რათა უზრუნველყოფილიყო მტერზე გამარჯვება.

მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირი, იმისათვის რომ დაეცვა თავი აგრესიული გერმანიისაგან, იძულებული იყო გაეძლიერებინა სამხედრო ინდუსტრიული მშენებლობა, ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური სიძლიერე თვით სამამულო ომის პროცესში, რადგან გერმანია პირველ ხანებში უფრო მომზადებული აღმოჩნდა ომისათვის. ვიდრე მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამამულო ომის პირველი პერიოდის ყველაზე მძიმე დღეებში, ახდენდა რა ჩვენი ქვეყნის მთელ სამრეწველო შესაძლებლობათა სამხედრო მობილიზაციას, გადაუდებელ ამოცანად ისახავდა:

1. სამხედრო მრეწველობის მთელი სიმძლავრით გამოყენებას და მის შემდგომი უსწრაფესი ტემპებით განვითარებას ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის გაშლის გზით;

2. მანქანათმშენებლობის, ლითონის წარმოებისა და მძიმე მრეწველობის დანარჩენ წამყვან დარგთა გარდაქმნას ომის მოთხოვნათა შესაბამისად;

3. არსებული სამრეწველო რესურსების, სათბობის, ნედლეულის,

---

[9] გაზ. „პრავდა“, 1941, 1 იულისი.

მოწყობილობათა და სხვათა ახლებურად განაწილებას, ადგილობრივი რესურსების გამოვლენას ევაკუირებულ და სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან მოწყვეტილ წარმოებათა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

უმაგალითო სისწრაფით და დროის მოკლე მონაკვეთში მოხერხდა ჩვენი ქვეყნის სამხედრო მეურნეობის მოწესრიგება. ცნობილია, რომ 3—4 თვის განმავლობაში ძირითადად დამთავრდა მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა, ხოლო მთელი სახალხო მეურნეობისა — 1 წლის მანძილზე. ჯერ კიდევ 1941 წლის დეკემბრიდან ძირითადად შეჩერებულ იქნა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების შემცირება და დაიწყო სამხედრო ლიანდაგზე გადასული ჩვენი ქვეყნის მრეწველობის საერთო აღმავლობა.

ომის პირველ პერიოდში მტრის მიერ მიყენებული ზარალისა და სსრ კავშირის აღმოსავლეთის რაიონებში ფაბრიკა-ქარხნების ევაკუაციის გამო საგრძნობლად შემცირდა და შეიკვეცა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. 1941 წლის მეორე ნახევარში მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 2,1-ჯერ შეიკვეცა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ეს იყო საბჭოთა სამხედრო მრეწველობის ყველაზე უმძიმესი პერიოდი, მაგრამ ამ მდგომარეობას მოკლე დროში მოეღო ბოლო.

დიდი სამამულო ომის დასაწყისს კომუნისტური პარტიის მოწოდება საბჭოთა ხალხისადმი: „მთელი ჩვენი ქვეყანა და სსრ კავშირის ყველა ხალხი დაირაზმოს ერთიან საბრძოლო ბანაკად" წარმატებით განხორციელდა. ჩვენი ქვეყნის ზურგი და ფრონტი გაერთიანდა ერთიან საბრძოლო ბანაკად. 1942 წლის მარტისათვის ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის მრეწველობა — ძირითადად ურალის, ციმბირის, ვოლგისპირეთის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის — უკვე იმდენსავე სამხედრო პროდუქციას აწარმოებდა, რამდენიც ომის დაწყებამდე იწარმოებოდა მთლიანად სსრ კავშირში.

საბჭოთა მშენებლებმა, ჩვენმა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა არა მარტო წარმატებით შესძლეს საევაკუაციოდ გამიზნული წარმოების გადაადგილება, მათი დემონტაჟი, ტრანსპორტირება და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მრეწველობის მწყობრში ჩაყენება, არამედ დაძლეულ იქნა ომის პერიოდის უდიდესი სიძნელეები და აღმოსავლეთის რაიონებში გრანდიოზული მასშტაბის ახალი მშენებლობანი განხორციელდა. ომის ოთხი წლის მანძილზე სამრეწველო წარმოებების ზრდა ასეთ სურათს იძლევა[10] (ცხრ. 2).

[10] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 — 1950 წწ. ხუთწლიანი გეგმის კანონი, 1946, გვ. 6.

ინდუსტრიული მშენებლობის ტემპების პრობლემამ სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი დამოკიდებული შეიქნა სამხედრო ინდუსტრიის შემდგომ სწრაფ ზრდაზე, ევაკუირებული საწარმოების დაუყოვნებლივ აღდგენასა და ახალ დიდ სამხედრო საწარმოთა მშენებლობის გაძლიერებაზე.

ცხრილი № 2

რაიონები	რამდენჯერ გადიდდა წარმოება
ურალი	3,6-ჯერ
ციმბირი	2,8 „
ვოლგისპირეთი	3,4 „

ომის პერიოდის მშენებლობის ტემპები 5—6-ჯერ და კიდევ უფრო სწრაფი იყო, ვიდრე ომამდელი ხუთწლედების მშენებლობის ტემპები. ამის შედეგი იყო, რომ ახალი საწარმოების რიცხვი ომის წლებში ყოველწლიურად იზრდებოდა; მაგ., 1942 წელს აშენდა 10 315 საწარმო, 1943 წელს — 10 418, ხოლო 1944 წელს მათმა რიცხვმა 20 647-მდე მიაღწია.

აგრესიული გერმანიის სამხედრო უპირატესობა მოკლე დროში იქნა ლიკვიდირებული საბჭოთა სამხედრო ინდუსტრიის მაღალი ტემპებით განვითარებისა და მისი ძირითადი საშუალებების გაფართოებული სოციალისტური კვლავ წარმოების საფუძველზე.

სსრ კავშირზე გამოლაშქრებისას ფაშისტური სარდლობა თუ დარწმუნებული იყო იმაში, რომ მოულოდნელი თავდასხმისა და „ელვისებური ომის“ სტრატეგიით მოსპობდა საბჭოთა არმიას და ფლოტს უფრო ადრე, ვიდრე საბჭოთა კავშირი მოახერხებდა თავისი მძლავრი რეზერვების ამოქმედებას და საბრძოლო წესრიგში მოყვანას, საბჭოთა ხალხმა მალე ჩაფუშა მტრის ეს ზრახვები. ამ ისტორიულ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი საბჭოთა არმიასთან ერთად შეასრულა გმირმა მუშათა კლასმა.

ფაქტებმა დაადასტურეს, რომ ყბადაღებული „ელვისებური ომის“ გეგმა თუ შედეგებს იძლეოდა ევროპის სუსტი და მცირე ქვეყნების მიმართ, სავსებით უძლური და უნიადაგო გამოდგა ისეთი უმძლავრესი ქვეყნის მიმართ, როგორიც საბჭოთა კავშირია.

საბჭოთა არმიამ 1941 წელსვე სასტიკი დამარცხება აგემა მტერს მოსკოვთან, ტულასთან და ათობით სხვა ქალაქთან, გაანადგურა მისი რჩეული დივიზიები და დიდძალი ტექნიკა, გააქარწყლა ლეგენდა ჰიტლერული არმიის უძლეველობის შესახებ.

საბჭოთა არმიამ ამ ეტაპზე წაართვა მტერს სტრატეგიული ინიციატივა, რომელიც ფაშისტ დამპყრობლებს სსრ კავშირზე ვერაგული თავდასხმის შედეგად უ ე ც რ ო ბ ი ს ა დ ა მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ო ბ ი ს მომენტის სახით ჰქონდათ. ამიტომ ომის ბედის გადამწყვეტად ამიერიდან არა ასეთი მომენტები რჩებოდა, არამედ ომის წარმოების მუდმივმოქმედი ფაქტორები იქცნენ. ვინაიდან მუდმივმოქმედ ფაქტორთაგან ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ზურგის სიმტკიცეს და არმიის შეიარაღებას ენიჭება, ბუნებრივია, სსრ კავშირის მუშათა კლასს, ჩვენი ქვეყნის მრეწველობას იარაღ-საჭურველთა წარმოების საქმეში გამარჯვება უნდა მოეპოვებინა როგორც მილიტარისტული გერმანიის, ასევე მისი სატელიტების სამხედრო მრეწველობაზე[11].

სსრ კავშირის მრეწველობამ და მუშათა კლასმა საბჭოთა არმიისათვის იარაღ-საჭურველთა წარმოების ზრდის საქმეში მოკლე დროში გაუსწრო არა მარტო ფაშისტურ გერმანიას, არამედ მეორე მსოფლიო ომში ჩაბმულ ყველაზე უმსხვილეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებსაც კი. ამაზე ნათლად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (ცხრ. 3).

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ დიდი სამამულო ომის სამ უკანასკნელ წელს ტანკების საშუალო ყოველწლიური წარმოება სსრ კავშირში თითქმის 2-ჯერ მეტი იყო, ვიდრე გერმანიაში, 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე აშშ-ში და 6-ჯერ მეტი ვიდრე ინგლისში; თვითმფრინავებისა — ორჯერ მეტი, ვიდრე გერმანიასა და ინგლისში, არტილერი-

---

[11] ფაშისტური გერმანიის სამხედრო მრეწველობა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან 1942 წლამდე სწრაფად ძლიერდებოდა ოკუპირებული ტერიტორიისა და სახელმწიფოების ნაძარცვით: „ელვისებური“ დარტყმებით გერმანია იპყრობდა რა პოლონეთს, საფრანგეთს, ჩეხოსლოვაკიას, ბელგიას, ჰოლანდიას, ნორვეგიასა და ბალკანეთის ქვეყნებს, იტაცებდა იქიდან ყველაფერს, რითაც აძლიერებდა თავის სამხედრო მრეწველობას. მაგალითად, 1941 წელს ფოლადსადნობი მრეწველობის საწარმოო სიმძლავრე გერმანიამ ოკუპირებული ქვეყნების ხარჯზე 17 მილიონი ტონით გაადიდა და ყოველწლიურად მიაღწია ფოლადის წარმოების გაზრდას 44 მილიონ ტონამდე. გაადიდა ქვანახშირის მოპოვება პოლონეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, ლუტარინგიის ხარჯზე და აიყვანა იგი 430 მილიონ ტონამდე. გერმანიამ გაზარდა მარაგი: ნავთობის, ფერად ლითონთა, ხელთ ოგდო ამ ქვეყნების სამხედრო მნიშვნელობის ფაბრიკა-ქარხნები, მონებად აქცია მილიონობით მუშები და სხვ. ასე რომ, მაგ., 1942 წლისთვის გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნებიდან მიღებული სამრეწველო პროდუქცია 22% უფრო მეტი იყო, ვიდრე ის რომელსაც თვით გერმანია აწარმოებდა. (იხ. П. А. Белов, „Вопросы экономики и современной войне“, ასევე — Промышленность Германии в период войны 1939—1945 гг., перев. с немецкого, М., 1956, зд. 11).

ისა — 4-ჯერ მეტი, ვიდრე გერმანიაში, 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე ამერიკაში და 6-ჯერ მეტი, ვიდრე ინგლისში. ასეთია ფაქტები, რომლებიც საქვეყნოდ ღაღადებენ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილებისა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობაზე კაპიტალისტურთან შედარებით და ადასტურებენ საბჭოთა კავშირის შუშათა კლასის უმაგალითო გმირობას და პატრიოტიზმს.

აგრესიული გერმანიის სამხედრო უპირატესობა 1943 წელს სავსებით ლიკვიდირებულ იქნა საბჭოთა სამხედრო ინდუსტრიის მაღალი ტემპებით მშენებლობის, მისი ძირითადი საშუალებების გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების საფუძველზე. ამრიგად, თუ არ ჩავთვლით ომის პირველ წელს, როცა აღმოსავლეთში მრეწველობის ევაკუაციამ შეაფერხა სამხედ-

ცხრილი 3

პროდუქციის ღირებულება	დიდი სამამულო ომის სამ უკანასკნელ წლებში სსრ კავშირის მრეწველობის ყოველწლიური საშუალო სიმძლავრე	გერმანიის მრეწველობის ყოველწლიური საშუალო სიმძლავრე 1941—1944 წლებში	ამშ-ის მრეწველობის ყოველწლიური საშუალო სიმძლავრე 1940 წლის 1 ივლისიდან 1945 წლის 1 აგვისტომდე	ინგლისის მრეწველობის ყოველწლიური საშუალო სიმძლავრე 1939 წლიდან 1944 წლამდე[12]
ტანკები და თვითმავალი იარაღები (ათასობით)	30-ზე მეტი	15,4	21	5
თვითმფრინავები (ათას ცალობით)	40	19,7	59	21,4
ქვემეხები (ათასობით)	120	28,5	48	21,4
ნაღმტყორცნები (ათასობით)	106	16,7	22	10,0
ტყვიამფრქვევები (ათასობით)	450	466	545	746
შაშხანები და ავტომატები (ათასობით)	50 000	1869,5	3200	400
ყუმბარები და ნაღმები (მილიონობით	240-ზე მეტი	166,7	83	29
ტყვია (მილიონობით)	7400	—	8280	2000

[12] ი. ბ. სტალინი, სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წ. 9 თებერვალს, 1950, გვ. 20.

[13] П. А. Белов, Вопросы экономики в современной войне, Воениздат, М., 1951, გვ. 211.

რო წარმოების გაფართოება, ომის დანარჩენი სამი წლის განმავლობაში საბჭოთა ქვეყანამ შეძლო მიეღწია ისეთი წარმატებებისათვის, რომლებმაც საშუალება მისცეს მას არა მარტო მოემარაგებინა ფრონტი არტილერიის, ტყვიამფრქვევების, შაშხანების, თვითმფრინავების, ტანკებისა და საომარი მასალის საკმაო რაოდენობით, არამედ რეზერვებიც დაეგროვებინა. ამავე დროს საბჭოთა არმიის მომარაგება სურსათითა და ტანსაცმლით მთლიანად უზრუნველყოფილი იყო[14].

დიდი სამამულო ომის წლებში ახალი მძლავრი ინდუსტრიული მშენებლობანი და მტრის მიერ ოკუპირებული საბჭოთა რაიონებიდან ათასობით ქარხნების გადაადგილება მოითხოვდნენ უდიდეს ხარჯებს. საბჭოთა სახელმწიფომ ომის წლებში საკმაო ძალები და სახსრები გამონახა ამისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ შეიარაღებულ ძალთა სამინისტროს ნუსხით 4,5 წლის განმავლობაში დაიხარჯა 551 მილიარდი მანეთი. ამ თანხაში არ შედის ომთან დაკავშირებული სხვა ხარჯები[15].

სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკა ომის წლებშიც კვლავ დამოუკიდებელი რჩებოდა. კაპიტალისტური ქვეყნებისგან სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკის სწორედ ეს დამოუკიდებლობა იქცა მისი განუხრელი განვითარების საფუძვლად.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობას აღმოაჩნდა იმის უნარი, რომ ომის მსვლელობაში გაედიდებინა თავისი ძალები და ამით დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა გერმანიის ეკონომიკის მიმართ. უძნელეს პირობებში საბჭოთა ქვეყნის მძლავრი, მზარდი სამხედრო მეურნეობის შექმნასა და მის შემდგომ განმტკიცებაში გადამწყვეტი როლი დიდ რუს ხალხს ეკუთვნოდა. რსფსრ აწარმოებდა მთელი საბჭოთა კავშირის 80%-ზე მეტს სამრეწველო პროდუქციას, იგი ასრულებდა გადამწყვეტ როლს ფრონტის უზრუნველყოფის საქმეში როგორც იარაღ-საჭურველით, ასევე სურსათ-სანოვაგით[16]. დიდ რუს ხალხს კი გვერდში ედგა სსრ კავშირის ყველა ხალხი. მათთან ერთად მოწინავე რიგებში იდგა ქართველი ხალხი. საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავის საზეიმო სხდომაზე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით ამხ. ნ. მ. შვერნიკი თავის მისასალმებელ სიტყვაში ამ ფაქტს გარკვევით აღნიშნავდა:

---

[14] ი. ბ. სტალინი, სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, 1946 წ. 9 თებერვალს, 1950, გვ. 28—29.

[15] А. Зверев, Советские финансы и строительство социализма в СССР, Сборник—Финансы СССР за XXX лет, გვ. 5.

[16] Б. С. Тельпуховский, Великая Отечественная война Сов. Союза, 1952, გვ. 185.

„საქართველოს რესპუბლიკამ შექმნა უაღრესად განვითარებული მრეწველობა... საქართველოს მარგანეცით და ფეროშენადნობებით სულ უფრო და უფრო მზარდი მოცულობით მარაგდება საბჭოთა კავშირის მრავალი სამრეწველო საწარმო". ჩვენ არ ჩამოვთვლით ბევრ სხვა დარგს, რომლებიც ასევე დიდ როლს ასრულებდნენ სსრ კავშირის მრეწველობის განვითარებაში.

ჭიათურის მარგანეცისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშები, გუმბრინისა და საქართველოს ქვანახშირის მეშახტეები ომის წლებში შეუფერხებლად ამარაგებდნენ სსრ კავშირის საატანკო და საავიაციო მრეწველობას მარგანეცითა და ფოლადის ხარისხოვანი შენადნობებით, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობას — გუმბრინით, ამიერკავკასიის საწარმოებს, ტრანსპორტსა და შავი ზღვის ფლოტს — ქვანახშირით.

ამრიგად, ყველა იმ წარმატებაში, რომელიც სსრ კავშირის მუშათა კლასმა მოიპოვა იარაღ-საჭურველთა წარმოების ზრდის საქმეში, საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასს თავისი წვლილი აქვს შეტანილი. ომამდე საქართველოში იარაღ-საჭურველი თუ საერთოდ არ იწარმოებდა, ომის პერიოდში საქართველოს მუშათა კლასის მამაცური შრომის შედეგად რესპუბლიკაში მზადდებოდა თითქმის ყველა სახის საომარი იარაღი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა არმიის შეიარაღების განმტკიცებისათვის.

რესპუბლიკის მუშათა კლასი ცხოველმყოფელ მონაწილეობას ღებულობდა სსრ კავშირის თავდაცვის მრეწველობის ყველა ძირითადი დარგის განვითარებაში, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა, — იქნებოდა ეს ურალის, ციმბირის, შუა აზიის, აზერბაიჯანის სომხეთის თუ სხვ. სამრეწველო სამხედრო საწარმოები. ისინი განუწყვეტლივ მარაგდებოდნენ საქართველოს მარგანეცით, ფეროშენადნობებით, გუმბრინით, ქვანახშირითა და სხვა აუცილებელი სამრეწველო მასალა-მოწყობილობით.

2. საომარ ყაიდაზე გარდაქმნილი საქართველოს მრეწველობის განვითარების პირობები

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოში, ისე როგორც ამიერკავკასიასა და მრავალ სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკაში, მართალია, სამხედრო მრეწველობის ისეთი გრანდიოზული მასშტაბით მშენებლობა და განვითარება, როგორსაც ადგილი ჰქონდა ურალში, ციმბირსა და აღმოსავლეთის მთელ რიგ რაიონებში, არ განხორციელებულა, მაგრამ სამხედრო მრეწველობის ზრდა და განვითარება ომის პერიოდში საქართველოშიც მზარდი ტემპებით მიმდინარეობდა.

საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის ინტერესების შესაბამისად მოხდა რესპუბლიკის არა მარტო მძიმე მრეწველობის მთელი სიმძლავრის გადაყვანა სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე, არამედ განხორციელდა საგანგებო მნიშვნელობის რიგი ღონისძიებები, რომელთა საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო სამრეწველო საწარმოები, მათ შორის კოოპერატიული და შინამრეწველური საწარმოებიც სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე იქნა გადაყვანილი. რესპუბლიკის მრეწველობამ განიცადა დიდი სტრუქტურული ცვლილებანი და არსებითად შეიცვალა საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის წინათ არსებული თანაფარდობა.

საქართველოს მეტალურგიული და მანქანათმშენებლობის, ჭიათურის მარგანეცის, ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტის მუშები, რესპუბლიკის ნავთობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის მრავალათასიანი მუშათა კოლექტივი წინათ არნახული თავდადებით აძლიერებდნენ მუშაობას და მთელ თავიანთ მოქმედებას ფრონტის ინტერესებს უმორჩილებდნენ. „ფრონტი მოითხოვს — გაკეთდება“ — პასუხობდნენ პარტიას საქართველოს მუშები.

საქართველოს მუშების პატრიოტული თავდადება გამოვლინდა დიდ შემოქმედებითს შრომაში. ომის უმძიმეს წლებში ისინი დაუღალავად იდგნენ მანქანებთან და დაზგებთან, ტურბინებთან და ქვაბებთან, აგრეგატებთან და ჩარხებთან, ქმნიდნენ საფრონტო ბრიგადებს და სტახანოვური შრომის ბრწყინვალე ნიმუშებით აძლიერებდნენ დახმარებას ფრონტისადმი. თბილისისა და ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის, ტყიბულისა და ტყვარჩელის, ჭიათურისა და ზესტაფონის, საქართველოს ყველა სამრეწველო საწარმოს მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები არ ზოგავდნენ ძალღონეს იარაღ-საჭურველის, ნაღმმტყორცნების, ავტომატების, გრანატების, სურსათის, ტანსაცმლისა და ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო სხვა სახის პროდუქციის გეგმის გადაჭარბებით წარმოებისათვის.

სამამულო ომმა ქვეყნის მთელი მატერიალური და ფინანსური საშუალებების მაქსიმალური კონცენტრაცია და ახლებურად გადანაწილება მოითხოვა. ამას შედეგად მოჰყვა საქართველოს მთელი რიგი ინდუსტრიული მშენებლობის დროებითი კონსერვაცია, ხოლო მათთვის განკუთვნილი თანხები გამოყენებულ იქნა პირველი რიგის ევაკუირებული ქარხნების როგორც დამონტაჟებასა და ამუშავებაზე, ასევე ახალი ქარხნების აგებასა და არსებულთა რეკონსტრუქციაზე. ამ მიზნით 1941 წლის 7 აგვისტოს სადირექტივო ორგანოების მითითების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის

ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება მიიღო ზემო სამგორის სარწყავი სისტემის და ჰიდროელსადგურების მშენებლობათა შეჩერებისა და მისი კონსერვაციის შესახებ[17]. ხოლო რამდენადმე მოგვიანებით ხრამჰესის მშენებლობის გადაუდებელ სამუშაოთა სწრაფად დამთავრების შემდეგ მოხდა მისი კონსერვაცია[18]. კონსერვირებულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი სხვა მშენებლობანიც.

საქართველოს უმნიშვნელოვანესი და წვრილი საწარმოების საომარ ყაიდაზე გარდაქმნა გულისხმობდა ძირითადი საშუალებებისა და ფონდების საფუძვლიან გაფართოებას, მათ გაზრდა-გაძლიერებას ახალი საამქროებისა და დანადგარების შექმნა-გამრავლების, ნათა გადაადგილების, მთელ რიგ საწარმოთა ხელახალი შეიარაღების გზით. ხელმძღვანელმა ორგანოებმა დადგენილება მიიღეს რესპუბლიკის იშვიათ ლითონთა: ვოლფრამის, მოლიბდენის, დარიშხანის წარმოების გადიდების შესახებ[19]. დაისახა ქმედითი ღონისძიებები მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის დამყარების შესახებ სამრეწველო მასალებზე, რომლებიც უშუალოდ ემსახურებოდნენ თავდაცვის საქმეს. მაგალითად რესპუბლიკის ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ღონისძიებები დასახეს ტყვიისა და ფერადი ლითონის მარაგთა ხარჯვის ეკონომიის შესახებ[20]. შეიქმნა მთავრობის კომისია, რომელსაც დაეკისრა შავი და ფერადი ლითონის, ქიმიკატების, იარაღ-მანქანებისა და სხვათა გეგმიურად განაწილება იმ საწარმოებს შორის, რომლებიც სამხედრო სპეცდაკვეთებზე მუშაობდნენ[21].

ამრიგად, საკავშირო სადირექტივო ორგანოების მითითებათა საფუძველზე საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით განხორციელდა საქართველოს სამრეწველო რეზერვების, მისი ყველა რესურსისა და მასალის აღრიცხვა, დაისახა ღონისძიებები ფონდების სწორად განაწილების შესახებ.

საქართველოს მთავრობამ 1941 წლის ბოლოს დადგენილება მიიღო საომარი მასალისა და იარაღების წარმოების გაზრდის მიზნით სამხედრო რელსებზე გადაყვანილი რესპუბლიკის სამრეწ-

---

[17] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11561, ფურც. 8.

[18] იქვე, ფონდი 14, საქმე 12236, ფურც. 69—72.

[19] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12275, ფურც. 43—45.

[20] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1941 წლის 16 აგვისტოს დადგენილება, № 1487, ოქმი № 6, ფურც. 7—9, დაცულია მინისტრთა საბჭოს არქივში.

[21] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12325, ფურც. 26.

ველო საწარმოების სრული სიმძლავრის გამორკვევის შესახებ, გა-
მოიყო სპეციალური კომისია და დაისახა გზები ჩვენი მრეწველო-
ბის სამხედრო პოტენციალის გასაზრდელად[22]. .

მიუხედავად იმისა, რომ ომამდე საქართველოში საომარი მასალ-
და იარაღ-საჭურველი არ იწარმოებოდა, ახლა რესპუბლიკის საწარ-
მოების დიდი უმრავლესობა, მისი მთელი რეზერვები, რესურსები
და ძალები ფრონტის სამსახურში იქნა ჩაყენებული.

1941 წ. დასასრულიდან სსრ კავშირის სახელმწიფო თავდაც-
ვის კომიტეტის დავალებით საქართველოს მთელ რიგ საწარმო-
ებში სატანკო სათადარიგო ნაწილები მასობრივად მზადდებოდა[23].
ასევე ითქმის ნაღმმტყორცნების, ტყვიამფრქვევების, ქვემეხების,
შაშხანების, რევოლვერების, ფეთქებად მასალათა და სხვა სახის
იარაღ-საჭურველთა წარმოებისა და მათი სათადარიგო ნაწილების
დიდი რაოდენობით წარმოების შესახებ.

ომის წლებში რესპუბლიკის საწარმოებში დიდი ღონისძიე-
ბები განხორციელდა საწარმოთათვის სათადარიგო ნაწილების ად-
გილობრივად დასამზადებლად. მაგალითად, თბილისის ავტოსარე-
მონტო ქარხანამ აითვისა და შესძლო მასობრივად ეწარმოებინა
ავტომობილთა სათადარიგო ნაწილები, რომლებიც წინათ სსრ კავ-
შირის ცენტრალური რაიონებიდან შემოჰქონდათ. მან აითვისა და
მასობრივად გამოუშვა 500-ზე მეტი სხვადასხვა სახელწოდების დე-
ტალი და დაამზადა ავტომობილების აკუმულატორები სამხედრო და
სამოქალაქო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად[24].

საბჭოთა არმიის ზურგის განმტკიცება მოითხოვდა არა მარტო
არსებული ქარხნების გარდაქმნას სამხედრო ყაიდაზე, არამედ ახალ-
თა მშენებლობასაც; ამ მიზნით რესპუბლიკის საწარმოთა მწყობრში
ჩადგა, როგორც მოპოვებითი, ასევე გადამმუშავებელი მრეწველო-
ბის მთელი რიგი ახალი დარგები. მაგალითად, მოლიბდენის,
ვოლფრამის, ვერცხლისწყლის, დარიშხანის წარმოებები, ამუშავ-
და თავდაცვის ახალი ქარხნები[25]. რესპუბლიკის მეტალურგი-
ული ქარხნების, რკინიგზის ტრანსპორტის და ორთქლის ქვა-
ბებით მომუშავე მთელი რიგი სხვა საწარმოთათვის თბილისში
სასწრაფოდ მოეწყო მაღალი ტემპერატურის გამძლე აგურის წარ-

---

22 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11632, ფურც. 9.

23 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11636, ფურც. 38—41.

24 სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 67, ფურც. 4.

25 სამ. ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 67, ფურც. 5.

მოება, გაფართოვდა ძირულის (შროშის), ტყიბულის ცეცხლგამძლე თიხის საწარმოები და მათ მთლიანად დააკმაყოფილეს რესპუბლიკის მოთხოვნილება ცეცხლგამძლე აგურით[26].

ომის წლებში საქართველოში ათვისებულ იქნა სპეციალური ელექტროლიზური მარგანეცის წარმოება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალხარისხოვან შენადნობთა გამოსაშვებად.

სამამულო ომის პირველსავე წლიდან საქართველოში ევაკუირებული ჰოსპიტლების და ათასობით დაჭრილი მეომრების მოვლა-პატრონობის მზარდი მოთხოვნები საჭიროებდა ფარმაკოქიმიური მრეწველობის შემდგომ გაფართოებას, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ახალი პრეპარატების დიდი რაოდენობით დამზადება რესპუბლიკის მდიდარ ადგილობრივ ნედლეულთა ბაზაზე. ამ ამოცანის გადაწყვეტაში, სხვა დაწესებულებებთან ერთად, ჩაბმული და მაქსიმალურად გამოყენებულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები[27].

ამრიგად, რესპუბლიკის მრეწველობის ყველა დარგი გაპიროვნებულ იქნა და რითმული სიზუსტით ამოქმედდა სამხედრო სპეცდაკვეთების ამა თუ იმ სახის პროდუქციისა და დეტალის საწარმოებლად.

საქართველოში ევაკუირებული უდიდესი საწარმოების მიერ თავდაცვის მზა პროდუქციის დაუყოვნებლივ გამოშვება საქართველოს მშრომელების ნამდვილ საბრძოლო ამოცანად გადაიქცა[28].

ბათუმის მანქანათმშენებლობის ქარხანას 1942 წლიდან სევასტოპოლიდან საქართველოში ევაკუირებული გემთმშენებლობის ქარხანა შეუერთდა, რამაც თავისი საწარმოო მოწყობილობით, კვალიფიციური კადრებითა და შრომის სანიმუშო ორგანიზაციით სიახლე შეიტანა ქარხნის მუშაობაში.

იგივე ითქმის ფოთის საექსკავატორო სადგურ-საწარმოს ძირითადი მექანიკური საშუალებებისა და მოწყობილობათა შესახებ, რომლებიც კოლხიდმშენის სისტემას ემსახურებოდნენ[29].

---

[26] სამ. ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 67, ფურც. 5.

[27] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12260, ფურც. 31.

[28] საქართველოს კპ(ბ) ც. კ. ბიუროს და მინისტრთა საბჭოს მიიღეს მთელი რიგი დადგენილებები თავდაცვის კომიტეტის სადირექტივო მითითებების საფუძველზე რესპუბლიკაში ევაკუირებული ქარხნების დაუყოვნებლივ ამუშავებისა და თავდაცვის პროდუქციის გამოშვების შემდგომი ზრდა-გაფართოების შესახებ.

[29] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 21636, ფონდი 8, საქმე 12233, ფურც. 20—21.

ამგვარი გაერთიანებებით, რომელთა მაგალითები მრავალია, განმტკიცდა რესპუბლიკის რიგი საწარმოები, გაძლიერდა სარემონტო სამუშაოები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მტრის მიერ დაზიანებული საბჭოთა გემების სწრაფად აღდგენის საქმეში. ომის დასაწყისშივე შავ ზღვაზე რესპუბლიკის თევზსაჭერი ფლოტი მთლიანად გასამხედროებულ იქნა და მისთვის შეიქმნა სათანადო ბაზები[30].

სამოქალაქო პროდუქციის წარმოებიდან სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი საწარმოების გადაყვანამ მოითხოვა ახალი ტექნიკური კონსტრუქციების, შტამპებისა და ყალიბების დამზადება, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, საგანგებო საამქროების შექმნა და ძველთა გადაკეთება. ამას მოითხოვდა სამხედრო პროდუქციის ახალი და შეცვლილი ასორტიმენტი, მისი შემდგომი ზრდა და შეუნელებელი გაფართოება.

წარმატებით ხორციელდება რესპუბლიკის ქარხნების მუშაობის და მათ განკარგულებაში არსებული ფონდების ერთგვარი კოოპერირება, ცალკეულ საწარმოებს შორის ფუნქციების განაწილება საჭურველის ან იარაღის რომელიმე დეტალის ცალკეულ საწარმოებში დამუშავებისა და მათი საბოლოო მონტაჟის სახით.

სამამულო ომის წლებში იზრდებოდა რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს საწარმოთა ძირითადი ფონდები. მაგ., თბილისის კიროვის სახ. ჩარხმშენებლობის ქარხნის ძირითადი ფონდის ღირებულებას 1940 წლისათვის თუ 100-ად მივიჩნევთ, 1945 წლისათვის იგი 140-მდე იზრდება[31].

რესპუბლიკის საწარმოებში სპეციალური დაკვეთების შესრულება, როგორც წესი, ხორციელდებოდა უაღრესად ზუსტ ვადებში. წესად დამკვიდრდა თვიური და ზოგჯერ ორკვირეული გეგმების დაშვება და მათი შესრულების შემოწმება. საქართველოს ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად ხელმძღვანელობდა და ეხმარებოდა რესპუბლიკის საწარმოებს, ამოწმებდა გეგმის შესრულებას და ა. შ. [32]. იგი წარმართავდა, კონტროლს აწესებდა და განიხილავდა წარმოების ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საწარმოების ძირითადი საშუალებებით, ნედლეულითა და მუშათა კვალიფიციური კადრე-

---

[30] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12233, ფურც. 20—21.

[31] ეკონომიკის ინსტიტუტის ხელნაწერი მასალები, № 65, გვ. 18.

[32] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12233. ფურც. 18—19.

ბით უზრუნველყოფა, შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომია, სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლა და საწარმოო გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები და მუშათა მომარაგება, პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობისა და აგიტაციის დაყენების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

3. საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა ომის შედეგად გამოწვეულ სიძნელეთა დაძლევისათვის

ომმა უაღრესად დიდი და მეტად სერიოზული ხასიათის სიძნელენი შეუქმნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას საერთოდ და განსაკუთრებით კი მის მრეწველობას. ეს სიძნელენი თავისებურ გამოხატულებას პოულობენ მოკავშირე რესპუბლიკებში და, ბუნებრივია, მათ შორის საბჭოთა საქართველოს სინამდვილეშიც.

იმ მრავალრიცხოვან სიძნელეთაგან, რომლებიც წარმოშვა ომმა, ჩვენ აქ გვინდა შევჩერდეთ ძირითადზე: რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებიდან ფრონტზე წასული კვალიფიციური მუშათა კადრების ახალი ადამიანებით შეცვლასა და ადგილობრივი რესურსებითა და ახალი სამრეწველო რეზერვების გამოვლინება-გამოყენების გზით საქართველოს მრეწველობის განვითარების უზრუნველყოფის საკითხებზე.

ცნობილია, რომ საბჭოთა საქართველოს მრეწველობა შეიქმნა და განვითარდა საქართველოს მშრომელების თავდადებული შრომით და დიდი რუსი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხების დახმარებით. საქართველოს მრეწველობა სსრ კავშირის მრეწველობის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. იგი, ისე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკების მრეწველობა, ემყარება როგორც საკუთარ, ასევე სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან მიღებულ საჭირო მოწყობილობასა და ნედლეულს.

ომმა, განსაკუთრებით 1941—1942 წლებში, დიდად შეაფერხა მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობის ეს თანამშრომლობა, მათთვის საჭირო მასალით ნორმალურად მომარაგების საქმე. მრეწველობის მთელი რიგი დარგებისათვის უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელიც კი გახდა ამგვარი მასალების შემოზიდვა. შექმნილი ვითარების გამო გადაუდებელ ამოცანად დაისვა რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის თითქმის მთლიანად ადგილობრივ რესურსებზე გადაყვანა და ამ გზით პროდუქციის შეუნელებელი მიწოდება ფრონტისათვის.

სამამულო ომმა და სამხედრო ეკონომიკამ შეცვალა ომამდელი თანაფარდობა და ფაბრიკა-ქარხნების კავშირი ნედლეულის წყაროებთან, ურთიერთობა მომხმარებელ და მწარმოებელ ორგანიზაციებს შორის; შეიცვალა თვით ჩვენი ეკონომიკის სტრუქტურული პროპორციულობა და მისი კოოპერირება. არაჩვეულებრივად გაიზარდა მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობა, ფართო გასაქანი პოვა მუშათა შემოქმედებითმა ინიციატივამ, მაქსიმალური ყურადღება მიექცა ადგილობრივი რესურსების გამოვლინებასა და წარმოებებში მათ ფართოდ გამოყენებას.

ამრიგად, ერთ-ერთი სერიოზული სიძნელე, რომელიც ომის პირველსავე წელს აღიმართა საქართველოს მრეწველობის წინაშე, ეს იყო ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოვლინება-გამოყენების გზით საქართველოს მრეწველობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის მოწინავე ფენების, რაციონალიზატორების, სტახანოველების, ინჟინერ-ტექნიკური კადრებისა და მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტების თავდადებული შუშაობით სულ მოკლე დროში დიდი წარმატება იქნა მოპოვებული. საქართველოს მრეწველობის ახალი აღმავლობისათვის მკვიდრი ბაზა შეიქმნა[23]. რესპუბლიკის მეტალურგიული საწარმოების ჩამომსხმელი საამქროებისათვის საჭირო კოქსი და ცეცხლგამძლე თიხა-აგური, ასევე ზოგი მანქანა-დანადგარიც კი, რომლებიც წინათ შემოიზიდებოდა, ადგილობრივ იქნა დამზადებული საჭირო ოდენობით. ასევე ითქმის რესპუბლიკის სხვა, მძიმე, მსუბუქი, კვებისა და ა. შ. უმნიშვნელოვანეს დარგთა შესახებ, რომელთა დასახელება აქ შორს წაგვიყვანდა. 1941 წლის ბოლოსათვის და 1942 წლის დასაწყისს საბჭოთა საქართველოს მრეწველობის ძირითადი დარგები, ადგილობრივი რესურსებისა და საწარმოო რეზერვების მაქსიმალურად გამოვლინების შედეგად, ნაკლებად საჭიროებდნენ ნედლეულის შემოზიდვას სსრ კავშირის ოლქებიდან და თითქმის მთლიანად რესპუბლიკის რესურსებზე დაყრდნობით აწარმოებდნენ პროდუქციას. განსაკუთრებით ეს ითქმის მსუბუქი, საფეიქრო, ადგილობრივი

---

[23] პროფ. ვ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქიმიური მეცნიერება თავდაცვის და სახალხო მეურნეობის სამსახურში, გაზ. „კომუნისტი", 1944, 5 მარტი.

მრეწველობის, სარეწაო საბჭოსა და რიგი სხვა სისტემის საწარმოებზე[34].

საბჭოთა საქართველოს მრეწველობის ამ დარგთა დიდი უმრავლესობის ფაბრიკა-ქარხნებში წარმატებით მზადდებოდა არა მარტო თავდაცვის პროდუქტები, არამედ დაზგა-დანადგარები და სათადარიგო ნაწილები მოძმე რესპუბლიკების, აბრეშუმის ძაფსაღები და საქსოვი ფაბრიკების და ღვინის ქარხნების მზა პროდუქციით მოსამარაგებლად.

საქართველოს აბრეშუმსაქსოვი წარმოების მუშაკებმა ომის წლებში სწრაფად და წარჩინებით აითვისეს სპეციალური ქსოვილების წარმოება. ცენტრალური სამრეწველო რაიონებიდან დამხმარე მასალების და ქიმიკატების შემოზიდვის გართულების პირობებში მათ შეძლეს დეფიციტურ მასალათა შეცვლა ადგილობრივი რესურსებით და ერთი დღითაც არ შეუფერხებიათ წარმოების პროცესი[35].

ამრიგად, ომით გამოწვეული უაღრესად სერიოზული ამოცანა რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ადგილობრივი რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ წარმატებით იქნა გადაწყვეტილი; ამას გვიდასტურებს საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ 1943 წელს შედგენილი ოფიციალური ანგარიში, სადაც ვკითხულობთ:

„მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან შეწყდა ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების რიგ სახეობათა შემოზიდვა, სამრეწველო საწარმოთა გადაყვანით ადგილობრივ ნედლეულზე და წარმოების ორგანიზაციით ამ ნედლეულის შემცველთა ბაზაზე მრეწველობის ყველა ძირითადი დარგი შეუფერხებლად მუშაობს და უშვებს წითელი არმიისა და ზურგისათვის საჭირო ნაწარმთა ახალ ფართო ასორტიმენტს".

იმის დასამტკიცებლად თუ რა საშუალებებითა და ხერხებით ხორციელდებოდა ომის წლებში საქართველოში მწვავე დეფიციტური სამრეწველო მასალის, საქარხნო მოწყობილობისა და ნაწილების შეცვლა ადგილობრივი რესურსებითა და საშუალებებით, ჩვენ აქ რამდენიმე დამახასიათებელ ფაქტზე მივუთითებთ. მაგ., ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საწარმოებში ომის პირველ წლებში განხორციელდა რამდენიმე ტიპიურად დამახასიათებელი ღონისძიება, რომელთა განზოგადება შესაძლებელია. ამ ქარხნის მუშათა

---

[34] გაზ. „კომუნისტი", 1942, 23 თებერვალი.

[35] ვ. მ ხ ე ი ძ ე, საქართველოს სსრ შეაბრეშუმეობის მრეწველობის პროდ. და ხარისხის გაუმჯობესება, საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკონ. ინსტ. შრომები, 1949. ტ. III, გვ. 70.

და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის შემოქმედებითი შრომით:

1. წარმატებით იქნა აღდგენილი მწყობრიდან გამოსული ხის მასრები, დაზიანებული თავების შეკეთების გზით. ამ ღონისძიებით აცდენილ იქნა რუსეთიდან მასრების მიღების შეფერხების გამო კომბინატის მუშაობის გაჩერება.

2. ქარხანაში შეცვლილ იქნა სპეციალური ტყავის მარბენი ალუმინის მარბენით, რამაც 100 დაზგა იხსნა გაჩერებისაგან.

3. განხორციელდა ნახმარ და მწყობრიდან გამოსულ ორმაქვიანი დაზგების რესტავრირება ადგილობრივი საშუალებებით.

4. შეცვლილ იქნა ცენტრალური რაიონებიდან შემოზიდული დეფიციტური მუყაო, ინგურის ქარხნის ქაღალდების სახვევი ღერძით, რაც წინათ სავსებით გამოუყენებელი რჩებოდა.

5. ვატერის საორფებელ-საგრეხი მანქანის რბია, რომელიც ასევე რუსეთიდან შემოიზიდებოდა ომამდე, ადგილობრივად დამზადდა ქარხნის მუშა-გამომგონებელთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიერ, რამაც მანქანა გაჩერებისაგან იხსნა. ასევე ძაფსაღები მანქანის თითბერის გაცვეთილი ნაწილები თუჯის მასალით იქნა შეცვლილი. ამგვარად, კომბინატისათვის საჭირო, წინათ ცენტრალური რაიონებიდან შემოსაზიდი მასალების 80 — 91% ადგილობრივ იქნა ათვისებული და რესპუბლიკის რესურსებით შეცვლილი.[36]

ასევე ითქმის ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის შესახებაც, სადაც ბევრად შეიცვალა ფერომოლიბდენის გამოდნობის ტექნოლოგია, აითვისეს ფერომოლიბდენის მიღება ფერომოლიბდატიდან, რამაც საგრძნობლად გაზარდა პროდუქცია; ეს გაუმჯობესება იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ გავრცელდა და დამკვიდრდა სსრკავშირის სხვა საწარმოებშიც[37].

როცა გაიზარდა მოთხოვნილება კირქვაზე, ხოლო კირქვის საბადოების გამოვლენა კი გაძნელდა, ქარხანამ ინჟინრების ლ. თარგამაძისა და შ. მიქაშავიძის ტექნოლოგიური სქემით წარმატებით აითვისა ფერომარგანეცის გამოდნობა უკირქვოდ[38]. ფეროქარხნის კოლექტივმა წარმოების ნარჩენთა გამოყენების საფუძველზე აითვისა საჩარხავი რგოლების წარმოება, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰოვა ჩარხმშენებლობის ქარხანაში.

ქარხანაში ფეროსილიციუმის წარმოებისათვის საჭირო კვარციტები ომამდე ძირითადად როსტოვის ოლქის ტარასოვკის საბადოებიდან შემოდიოდა, ნაწილობრივ კი აჯამეთის ქალცედონით (იგივე

---

[36] იხ. სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 790, ფურც. 3.
[37] იქვე, საქმე 677, ფურც. 7.
[38] იქვე, საქმე 677, ფურც. 8.

კვარციტით) მარაგდებოდა. 1942 წლიდან ქარხანა მთლიანად იქნა გადაყვანილი აჯამეთის ქალცედონზე და განსხორციელდა დიდი მასშტაბის სამუშაოები აჯამეთის კარიერების საამისოდ მომზადებისათვის. ამ საქმეს უშუალოდ ინჟინერი პ. დგებუაძე ხელმძღვანელობდა.

ასევე განსაკუთრებულ სიძნელეს განიცდიდა ქარხანა ანტრაციტის, ქვანახშირის მყარი და თხევადი ფისის უქონლობის გამო, რაც ომამდე დონბასიდან შემოგვქოდა. ეს დეფიციტური მასალა შეცვლილ იქნა ადგილობრივ დამზადებული კოქსით და ნავთობის ფისით, რითაც ქარხანა გამოყვანილ იქნა გარღვევიდან[39].

ადგილობრივი რესურსების ესოდენ ფართოდ გამოყენების შედეგად წარმატებით იქნა შეცვლილი რთული მანქანა-დანადგარებიც კი. ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის მოწყობილობების მეზიზიდეის შეფერხებამ ომის დასაწყისშივე სიძნელე შეუქმნა ქარხანას. მაგალითად, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ღუმელების განყოფილება. განსაკუთრებით ღუმელის ისეთი დეტალების, როგორიცაა საკონტაქტო ყბები და მოკლე ქსელის სხვა დეტალების უქონლობა, საფრთხეში აგდებდა საწარმოს. ქარხნის კოლექტივის დაძაბული და შემოქმედებითი შრომით მოეწყო ფერადი ლითონების ჩამოსხმის ორგანიზაცია და უმოკლეს დროში წარმატებით იქნა ათვისებული არა მარტო წვრილი დეტალებისა და საკონტაქტო ყბების ჩამოსხმა, არამედ მოკლე ქსელის ისეთი მოწყობილობებისაც, რომლებიც 500 კილოგრამზე მეტს იწონიდნენ. ამ მუშაობის ინიციატორები იყვნენ ქარხნის მოწინავე ინჟინერ-ტექნიკოსები — ი. ლორთქიფანიძე, ლ. თუთურაშვილი, სტეფანიანი, ხონელიძე და სხვ. ომის წლებში მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიერ რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის განხორციელებით ქარხანამ 3 514 377 მანეთის ეკონომია მისცა ჩვენს ქვეყანას[40].

საქართველოს რკინიგზელმა მუშა-გამომგონებლებმა შექმნეს ახალი კონსტრუქციის მანქანა-მოწყობილობანი და დანერგეს მეტად მნიშვნელოვანი ტექნიკური გაუმჯობესებანი. მაგალითად, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა კომკავშირელ ლევან ბოდოშვილის რაციონალიზატორული წინადადებით ამაორთქლებელი კამერა, რომელიც წინათ თითბერისა და სპილენძისაგან მზადდებოდა, ომის დაწყების პირველი წლიდანვე თუჯისაგან კეთდებოდა. კამერა ნაცვლად 12 სამუშაო დღისა, ძლებდა 72 დღეს, ამ წინადადების განხორციელებით იგი სახელმწიფოს ყოველწლიურად აძლევდა დიდ ეკონომიას[41].

---

39 სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 677, ფურც. 8.
40 ი ქ ვ ე, ფონდი პირობითი 077, ფურც. 9.
41 გაზ. „კომუნისტი", 1941, 5 სექტემბერი.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსმა მემანქანემ ი. ცინცაბაძემ მოაწყო საკუთარი კონსტრუქციის აპარატი, რომელიც ავტომატურად აცილებს ქვაბის ქედლებს ნალექს. ამ აპარატის გამოყენებას რკინიგზის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ეკონომია მოჰქონდა[42].

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ამწევი საამქროს ხელმძღვანელმა, მოწინავე ზეინკალმა შ. ხიზანიშვილმა ომიანობის წლებში მრავალი გაუმჯობესება შეიტანა ორთქლმავლის გარეცხვის და რემონტის სამუშაოებში[43].

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წარჩინებულმა მჭედელმა, ლენინის ორდენოსანმა კ. ილურიძემ სამამულო ომის წლებში, გარდა იმისა რომ მრავალი სასწრაფო სპეცდაკვეთები გადაჭარბებით შეასრულა, ამასთანავე წარმოებაში დანერგა რაციონალიზატორული გამოგონებანი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქარხანას მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაში[44].

რესპუბლიკის სინამდვილიდან აღებულ რაციონალიზატორულ წამოწყებათა აქ დასახელებული მაგალითები სავსებით ტიპიურია ადგილობრივი რესურსებისა და შემცვლელთა გამოვლინება-გამოყენების საქმეში. დამახასიათებელია, რომ საქართველოს საწარმოებში მსგავსი ღონისძიებანი, ე. ი. მანქანა-დანადგარებისა და სამრეწველო დეფიციტური (ომის წინ ცენტრალური რაიონებიდან რომ შემოიზიდებოდა) მასალების შეცვლა ადგილობრივი რესურსების ათვისებით 1941—1942 წლებში წარმატებით იქნა განხორციელებული.

1943 წლიდან ამ მხრივ საფუძვლიანად იცვლება მდგომარეობა. საქართველოს ადგილობრივი რესურსებით შეცვლილი ნედლეული, დეფიციტური სამრეწველო მასალების და მანქანა-იარაღების ნაწილების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელთა შემოზიდვაც ცენტრალური რაიონებიდან 1941 — 1942 წლებში თითქმის შეწყდა, 1943 წლიდან ისევ განახლებულ იქნა.

მაგალითად, ქუთაისის იმავე აბრეშუმკომბინატში საორფებელ-საგრეხი მანქანების მარბების გამოყენება დაიწყო 1942 წ. 29 ივლისიდან და გრძელდება 1943 წლის აგვისტომდე. ამის შემდეგ კი მარბებს კვლავ რუსეთიდან ღებულობდნენ, მაგრამ რაც შეეხება ძაფსაღები მანქანების თითბერის ნაწილების შეცვლას თუჯით, დაწყებული 1941 წლის 13 ივლისიდან ომის დამთავრებამდე, უცვ-

---

[42] გაზ. „კომუნისტი", 1943. 1 აგვისტო.
[43] გაზ. „კომუნისტი", 1945, 31 აგვისტო.
[44] გაზ. „კომუნისტი". 1945. 21 იანვარი.

ლელი რჩებოდა (რადგან მისი შეცვლა გაძნელდა და შესაძლებელი იყო არსებულით დაკმაყოფილება).

ასეთი მაგალითები მრავალი შეიძლებოდა დასახლებულიყო საქართველოს მრეწველობის 1943 წლის სინამდვილიდან. 1941 წლამდე ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა ცენტრალური რაიონებიდან შემოზიდული ნორმალური აღმდგენი კოქსით და ქარხნის სხვა მოწყობილობებით მარაგდებოდა. ომმა შეწყვიტა რა ამ მასალების შემოზიდვა, დაიწყო მათი შემცვლელის გამონახვა და მიზანიც მიღწეულ იქნა. 1941 წელს კოქსის შემოზიდვა, მართალია, შეწყდა, მაგრამ სპეციალისტების და ქარხნის რაციონალიზატორების შრომით იგი შეცვლილ იქნა ადგილობრივი — ტყიბულისა და ქვეზანის — ნახშირის გამოყენებით. ადგილობრივი კოქსის გამოყენების საფუძველზე ქარხანა თუ 1941—1942 წლების ძნელ პირობებში მაინც წარმატებით ასრულებდა საწარმოო გეგმებს, 1943 წლის მაისიდან, როცა სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან განახლდა კოქსის შემოზიდვა, რამაც შეცვალა ადგილობრივი (შედარებით ნაკლებხარისხოვანი) კოქსი, ბევრად უფრო გააუმჯობესა მუშაობა. მაგ., ამ კოქსის მიღების შემდეგ ფეროშენადნობთა საამქრომ იმდენად გააუმჯობესა მუშაობა, რომ 1943 წლის ივლისის თვის საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის საამქროების კონკურსზე მთელს კავშირში ბრწყინვალედ გაიმარჯვა, მიიღო პირველი პრემია და შავი ლითონების სახალხო კომისარიატისა და საკავშირო პროფსაბჭოს წითელი დროშა სახელწოდების მინიჭებით: „კავშირის საუკეთესო ფეროშენადნობთა საამქრო". საამქრომ აგვისტოს თვის მაჩვენებლები კიდევ უფრო გაზარდა და საკავშირო კონკურსზე ხელმეორედ დაიკავა პირველი ადგილი.

აქ მოყვანილი ტიპიური ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ 1943 წლიდან საქართველოს მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთი პირობა იყო რესპუბლიკის მრეწველობისადმი სსრ კავშირის ცენტრალური რაიონების მიერ დახმარების განახლება-გაძლიერება. 1943 წლიდან საქართველოს მრეწველობაში თანდათანობით ძლიერდებოდა სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან საჭირო დეფიციტური მასალის მიღება, რომელიც ზოგჯერ შედარებით უფრო ნაკლებხარისხოვანი ადგილობრივი მასალით იყო შეცვლილი 1941—1942 წლებში.

1943 წლის მეორე ნახევრიდან მუშათა კლასის გმირული შრომით დაიწყო მტრის მიერ დაზარალებული საბჭოთა რაიონების მრეწველობის აღდგენა. ამის შესაბამისად რესპუბლიკის საწარმოებში თანდათანობით ღრმავდებოდა ადგილობრივი შედარებით

ნაკლებხარისხოვანი სამრეწველო მასალების, მანქანა-დანადგარების, ნაწილებისა და ნედლეულთა შეცვლის პროცესი, თუმცა ბევრი რამ, ომის მთელ მანძილზე და ომის შემდეგაც, შეუცვლელი დარჩა, რადგან მათი სამრეწველო ეფექტურობა საერთოდ აღიარებულ იქნა და დამკვიდრდა კიდეც დიდი ხნით[45].

ომის პერიოდში ჩვენი ქვეყნის სამხედრო ეკონომიკის განმტკიცების საქმეში უაღრესად დიდი როლი ეკისრებოდა მომჭირნეობის რეჟიმს, როგორც მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ნაცად მეთოდს; მართლაც, ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე საქართველოში გაიშალა მუშაობა მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ეკონომია ტარდებოდა სათბობზე, ელექტროენერგიაზე, დეფიციტურ და ყოველგვარ სტრატეგიულ მასალებზე. ამ მხრივ კარგი მაჩვენებელი ჰქონდა „საქენერგოს". მან 1940 წელთან შედარებით 1941 წელს 15,3 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგა, ხოლო 1942 წელს ეს ეკონომია 44 900 000 კილოვატსაათს აღწევდა[46]. დაწესდა ეკონომიის მკაცრი რეჟიმი მწვავე დეფიციტურ მასალებსა და მეტალზე. საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში ღონისძიებები დასახეს, სპეციალურად დაამუშავეს და განახორციელეს დეფიციტური მასალების ეკონომიით ხარჯვის ახალი ნორმები[47]. თუ როგორი თანმიმდევრობით ხორციელდებოდა სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ეკონომია, ამის საილუსტრაციოდ ჩვენ აქ მოვიყვანთ თბილისის ორი ქარხნის გამოცდილებას. თბილისის მაუდის ქარხანა ელექტროენერგიისა და სათბობის ხარჯვას 1942 წლის პირველი კვარტალისათვის (კვარტალური საწარმოო გეგმა 104% ჰქონდა შესრულებული) ყოველთვიურად ამცირებდა ისე, რომ ეკონომია ელენერგიაზე იანვარში იყო 4,5%, თებერვალში — 6,4%, მარტში — 8,5%. ქვანახშირის ეკონომია იმავე ქარხანაში იანვარში 30 064 ტონას უდრიდა, ხოლო თებერვალში 39 064 ტონამდე გაზარდეს. თბილისის სპილენძსატკეც ქარხანას 1942 წ. პირველი კვარტალისათვის თუ ერთი ტონა სპილენძის გადამუშავებისათვის გეგმით 521,3 კილოგრამი მაზუთი უნდა დაეხარჯა, დახარჯა მხოლოდ 473 კილოგრამი, რამაც მთელ კვარტალში ქარხანას 7,3 ტონა მაზუთი დაუზოგა. ქარხანამ ამავე დროს 450 მანეთის ელენერგია დაზოგა[48].

ამრიგად, სამამულო ომის პირველი პერიოდიდანვე სახალხო მეურნეობის ადგილობრივ რესურსებზე გადაყვანით გამოვლინდა და

---

[45] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი პირობითი 077.
[46] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 67, ფურც. 3.
[47] იქვე, საქმე 253, ფურც. 11.
[48] სამამულო ომის არქივი, ფონდი 5, საქმე 162, ფურც. 4.

ათვისებულ იქნა საბჭოთა საქართველოს მძიმე, მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგთათვის საჭირო ახალი სახის მასალები და შემცვლელნი. რესპუბლიკის მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად საქართველოს სამთამადნო სიმდიდრის შესწავლას და ათვისებას. სამამულო ომის წლებში თავდაცვის საჭიროებათა მომსახურეობის შესაბამისად, განვითარების ახალი იმპულსი მიეცა[49]. ასევე ითქმის დანარჩენ დარგთა შესახებაც. როგორც დავრწმუნდებით, წარმატებით ათვისებულ იქნა არა მარტო ადგილობრივი სამრეწველო რესურსები, არამედ გამოვლინდა ახალი სამრეწველო რეზერვები, რაციონალიზატორების და გამომგონებელთა მიერ ადგილობრივად იქნა დამზადებული ფაბრიკა-ქარხნების ისეთი მექანიზმები და ნაწილები, დაზგა-დანადგარები და მოწყობილობანი, რომლებიც წინათ რესპუბლიკაში შემოიზიდებოდა და საქართველოში მათი დამზადების ტრადიცია არ იყო.

4. ღონისძიებანი ფრონტზე წასულთა შესაცვლელად კვალიფიციურ მუშათა ახალი კადრებით

საქართველოს მაღალკვალიფიციურ მუშათა ათეულ ათასობით ფრონტზე წასვლის შედეგად, რესპუბლიკის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა ახალი კადრებით უზრუნველყოფის საკითხი არსებითი მნიშვნელობის საკითხად იქცა. ამიტომ იყო რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბნად მუშათა ახალი კადრების მაქსიმალურად მოზიდვა და მათ მიერ ახალი პროფესიების მასობრივად დაუფლება გადაიქცა.

საქართველოს მრეწველობის ყველა დარგის საწარმოებიდან კვალიფიციური მუშების წასვლა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იმდენად მასობრივი ხასიათის იყო, რომ უმეტეს შემთხვევაში საწარმოებში 50—60 პროცენტზე მეტი ახლად მოსული მუშათა კადრები იყვნენ. იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი ოდენობით საჭიროებდნენ საწარმოები ახლად მოსულ მუშებს, ჩვენ აქ თბილისის სტალინის სახელობის რაიონის მაგალითს ავიღებთ. 1942 წლის ბოლოსათვის ომის დაწყების დღიდან რაიონის საწარმოებში სულ 2508 ახლადმისული მუშა ითვლებოდა, რაც მუშათა 40,5 პროცენტს შეადგენდა[50].

1941 წლიდან 1943 წლამდე საქართველოს მეორე ინდუსტრიუ-

---

[49] ალ. ჯანელიძე. საბჭოთა საქართველოს მეტალურგია. ეაზ. „იზვესტია", 1944, 21 მაისი.

[50] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 5. საქმე 260.

ლი ცენტრის ქ. ქუთაისის საწარმოებში 10 286 ახალი მუშა მოვიდა, რაც ქალაქის ყველა საწარმოში გაერთიანებულ მუშათა მთელი შემადგენლობის დაახლოებით ნახევარზე მეტს შეადგენდა[51].

ეს ციფრები რამდენადმე წარმოდგენას იძლევა იმაზედაც, თუ დაახლოებით რამდენი მუშა და მუშათა რა პროცენტი იქნა წასული საბჭოთა საქართველოდან დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

საკავშირო კპ (ბ) ცეტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებები ფაბრიკა-ქარხნებიდან ფრონტებზე წასული მამაკაცების ნაცვლად საწარმოებში ზურგში დარჩენილი უმთავრესად ქალების, ახალგაზრდობის და მოხუცთა გამოყენების შესახებ[52]. ჩვენი სამშობლოს ამ განსაცდელის ჟამს საბჭოთა ქალები გაათკეცებული ენერგიით აძლიერებენ მუშაობას სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კულტურის ყველა დარგში[53].

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით 1941 წ. ივლისში ქ. მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახ. ქარხანაში დაიწყო ქალთა დიდმნიშვნელოვანი პატრიოტული მოძრაობა ფრონტებზე წასული მამაკაცების მასობრივად შეცვლისა და რთული საწარმოო პროფესიების დაუფლებისათვის.

საწარმოებში ახლად მოსული ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი სტახანოველები გახდნენ. ფაბრიკა-ქარხნებში კომკავშირული ახალგაზრდობის საფრონტო ბრიგადებში მუშათა 50% გოგონები იყვნენ. დიდი იყო ქართველ ქალთა პატრიოტიზმი სამამულო ომის წლებში; არ არსებობდა სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც მათ არ ეჩვენებინათ გმირობა და თავდადება. ისინი მუშაობდნენ მიწის ქვეშ მაღაროებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, ნავთობის ჭაბურღი-

---

[51] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 289, ფურც. 5.

[52] სამრეწველო საწარმოების მუშახელით უზრუნველყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ომიანობის პერიოდში საწარმოებში და მშენებლობებზე სამუშაოდ ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის შესახებ. ჯერ კიდევ 1941 წ. 28 ივნისს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება მიიღო წარმოების და დაწესებულებების მუშახელითა და კადრებით ორგანიზებული გეგმიურობით უზრუნველყოფის მიზნით ხელმძღვანელი რესპუბლიკური კომისიის შექმნის შესახებ.

[53] საბჭოთა ქალებმა გმირობისა და მამაცობის უუკნობი სახელი დაიმსახურეს არა მარტო ზურგში, არამედ ფრონტზეც. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში 62 ქალს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. 120 ათასი ქალი სამამულო ომის ორდენებით და მედლებით იქნა დაჯილდოებული, მათ შორის მრავალია საქართველოს შვილიც. საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის მრეწველობისა და სამხედრო ტექნიკის განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის 42 ქალს სტალინური პრემიის ლაურეატობა მიენიჭა (გაზ. „პრავდა", 1945, 8 მარტი).

ლებზე, ხოლო რესპუბლიკის მსუბუქსა და კვების მრეწველობაში წამყვან ძალას შეადგენდნენ[54].

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებლობის ქარხანაში ომის დაწყებიდან 1944 წლის აპრილისათვის 259 ქალი მივიდა სამუშაოდ, ისინი დაეუფლენ სხვადასხვა პროფესიებს და საწარმოო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ[55]. ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობაში ერთდროულად 200-ზე მეტმა ქალმა შეცვალა ფრონტზე გაწვეული ქმარი, ძმა და ამხანაგი. მათ აითვისეს შახტის მუშაობის რთული პროფესიები და ბევრი მათგანი სარეკორდო მაჩვენებლებს იძლეოდა[56].

მიწის ქვეშ მომუშავე მოწინავე სტახანოველი ქალები ნინო პერტაია, ქსენია ვეტუნევა და სხვ. საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ. მაღაროებში ქალები მუშაობდნენ მემანქანეებად, გამგორებლებად და მნგრეველებად.

ქუთაისის მსხვილ, უმთავრესად საფეიქრო, საწარმოებში ომის წლებში მომუშავეთა დიდ უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. რომელთა დიდი ნაწილი სტახანოველი და დამკვრელი იყო. აღნიშნულს ადასტურებს 1944 წლის შემდეგი მაჩვენებლები[57]. (ცხრ. 4).

ცხრილი 4

საწარმოების დასახელება	ნორმირებულ სამუშაოებე მყოფ მუშათა რაოდენობა	ამათგან ქალები	მათ შორის	
			სტახანოველი	დამკვრელი
1. აბრეშუმის კომბინატი	972	866	341	61
2 სამკერვალო ფაბრიკა.	438	384	192	6
3 მაუდის ფაბრიკა	354	246	66	40
4. ტყავფეხსაცმლის კომბინატი	93	47	25	1

1944 წლისათვის ქუთაისის საწარმოების მთლიანად ნორმირებულ სამუშაოებზე ათასობით ქალი მუშაობდა, რომელთაგან დიდი ნაწილი სტახანოველი იყო.

თინა გურეშიძე კიროვის სახ. სამკერვალო ფაბრიკაში 1941 წ. ოქტომბერში მოვიდა და ფრონტზე წასული ქმარი შეცვალა. თინა ერთ თვეში დაეუფლა კერვის საქმეს და მოწინავე გახდა. იგი გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. მაგა-

---

54 ქ. ანთიძე, ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში, სახელგამი, 1955.
55 გაზ. „კომუნისტი", 1944, 11 აპრილი.
56 გაზ. „კომუნისტი", 1942, 17 თებერვალი.
57 სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 298, ფურც. 41.

ლითად, 1944 წ. პირველი კვარტალის გეგმა 257% შეასრულა.

ლუბა კიკვიძე ამავე საწარმოში 1942 წ. იანვარში მოვიდა. მან მალე აითვისა რამდენიმე პროფესია და ოთხასოვანი გახდა. 1943 წ. კიკვიძე ახალგაზრდობის ბრიგადირად დააწინაურეს. 1944 წ. მაისიდან კი კიკვიძის კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას ფრონტული ბრიგადის საპატიო სახელწოდება მიენიჭა[58].

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის კომისარიატის სისტემაში 1945 წლის ბოლოს სულ ითვლებოდა 5 326 მუშა, მათ შორის 4 313 ქალი, რაც 81 პროცენტს შეადგენდა. მსუბუქი მრეწველობის კომისარიატის ფაბრიკა-ქარხნებში 4 526 მუშიდან 3 434 ქალი იყო. კვების მრეწველობის კომისარიატის სისტემაში შემავალ 7 431 მუშიდან 4256 ქალი იყო და სხვ.[59].

ქართველი ინჟინერ-ტექნიკოსი ქალები ომის წლებში გამოგონებებითა და რაციონალიზატორული წინადადებებით ამდიდრებდნენ ჩვენი მრეწველობის მიღწევებს. ახალგაზრდა ინჟინერმა ქალმა ნინო შავგულიძემ მუშაობა დაიწყო თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში. იგი ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა თავდაცვის პროდუქციის წარმოების ზრდის საქმეში. თავისი რაციონალიზატორული წინადადებებითა და გაუმჯობესებათა შეტანით დიდი სახელი მოიხვეჭა.

ნინო შავგულიძის ახალმა გამოგონებამ წარმოებას საშუალება მისცა თვიური გეგმა 10 დღის განმავლობაში შეესრულებინა, მიეცა დიდი ეკონომია ქარხნისათვის და გაეზარდა პროდუქციის გამოშვება. ინსტრუმენტალური საამქროს სტახანოველი მუშები ამხ. წიკლაური, ირემაძე, ჯულუხაძე და ბევრი სხვა ინჟინერ-კონსტრუქტორი ქალი შავგულიძის დახმარებით ახალ წარმატებებს აღწევდნენ. ომის წლებში მეტად შეიცვალა ავტომანქანის რიგი ნაწილების შემოზიდვა, მათზე ყოველთვიური მოთხოვნა კი ქარხანაში 12—15 ათას ცალამდე აღწევდა. საჭირო ნაწილების უქონლობის გამო ქარხნის მუშაობას დიდი საფრთხე დაემუქრა. მაგრამ იგი იხსნა ნინო შავგულიძემ. მან გამოიგონა ახალი კონსტრუქციის „შტამპი", რომელიც სამ დღეში ამზადებდა იმდენსავე პროდუქციას, რამდენსაც წინათ ერთი თვე უნდოდა. ამგვარ გამოგონებათა შედეგად ქარხანა მოწინავეთა რიგებში ჩადგა, გაიზარდა პროდუქციის გამოშვება და დიდხანს ეჭირა პირველობა შეჯიბრებაში[60].

---

[58] სამხედრო ომის არქივი. ფონდი 4, საქმე 298, ფურც. 41.
[59] ჟურნ. „ბოლშევიკი", № 12, 1945, გვ. 72.
[60] გაზ. „ზარია ვოსტოკა". 1947. 8 მარტი.

ასევე ითქმის ჭიათურის მარგანეცის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ცვლის უფროსი ინჟინერი ქალის თ. ნადირაძის სანიმუშო მუშაობის შესახებ. იგი ახალგაზრდა კადრების მომზადებას და მათ მიერ კვალიფიკაციის ამაღლებას განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა[61].

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მრავალი მოწინავე ინჟინერი ქალი მუშაობდა. მაგ., ინჟინერ ქათამაძის ცვლა ლითონის გამოდნობის დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. მეოთხე საამქრომ, სადაც ცვლის უფროსად ნინო დათიაშვილი ითვლებოდა, პირველად საბჭოთა კავშირში აითვისა ახალი შენადნობი. ინჟინერ-ქიმიკოსი თამარ არაბიძე წარმატებით მუშაობდა ქარხანაში, შესანიშნავ წარმატებებს აღწევდნენ საწარმოო გეგმების შესრულების საქმეში სტახანოველი ქალები ლუკიანოვა, კრავჩენკო და სხვ.[62].

ომის წლებში მრავალი ქალი ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოებზე დაწინაურდა. მაგალითად, თბილისის კალინინის რაიონის პარტიული ორგანიზაციების მიერ საბჭოთა, პარტიულ, სამეურნეო პასუხსაგებ სამუშაოებზე 1941—1944 წლებში დაწინაურებულ იქნა 847 მუშაკი, რომელთაგან 178 ქალი იყო[63].

საბჭოთა საქართველოს მრეწველობის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ჩვენმა კომკავშირულმა და კავშირგარეშე მუშა ახალგაზრდობამ. მათ ქალებთან ერთად ისტორიაში უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს და წარმატებით შეძლეს თავიანთ მხრებზე გადაეტანათ ძირითადი სამძიმე გმირული შრომისა ფაბრიკა-ქარხნებსა და საკოლმეურნეო წინდვრებზე, სადაც მზარდი ტემპით იჭედებოდა მტერზე გამარჯვების იარაღები.

საბჭოთა ახალგაზრდობამ დიდ სამამულო ომში წრთობისა და ბრძოლის უმკაცრესი სკოლა გაიარა და უმდიდრესი გამოცდილება დააგროვა. საბჭოთა ქვეყნის დიდი სამამულო ომის ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ის სახელოვანი გმირობა, რომელიც საბჭოთა ახალგაზრდობამ და მისმა ავანგარდმა ლენინურმა კომკავშირმა დაიმსახურა ბრძოლისა და შრომის ფრონტებზე. იგი ამჯერადაც ღირსეულად რჩებოდა პარტიის უერთგულეს და უახლოეს თანაშემწედ საბჭოთა არმიის რიგებში, კერძოდ, საქართველოდან გაიწვიეს 160 000-ზე მეტი კომკავშირელი და ათეულ ათასობით კავშირგარეშე მყოფი ახალგაზრდა. რომელთაგან მრავალმა

---

[61] გაზ. „კომუნისტი", 1942, აგვისტო.
[62] გაზ. „კომუნისტი", 1943, 7 მარტი.
[63] სამამულო ომის ისტორიის არქივი. ფონდი 5. საქმე 217. ფურც. 9.

კომკავშირელმა და კომკავშირში გაზრდილმა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო სახელი მოიპოვა.

არანაკლები გმირობა და თავდადება გვიჩვენა ზურგში დარჩენილმა ახალგაზრდობამ შრომის ფრონტზე, განსაკუთრებით დიდია მათი დამსახურება ჩვენი მრეწველობის აღმავლობის საქმეში. მუშა-ახალგაზრდები მოგვევლინენ მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. ისინი პირველნი ქმნიდნენ საფრონტო ბრიგადებს და მრავალასოვანთა მოწინავე რიგებში დგებოდნენ.

მუშათა კლასის მოწინავე ადამიანები, მაღალკვალიფიციური სტახანოველი მუშები ომის წლებში აჩაღებდნენ უდიდეს მუშაობას საწარმოებში ახლადმოსული მუშების აღზრდისა და საწარმოო კვალიფიკაციის დაუფლების საქმეში[64].

ამ პატრიოტულ წამოწყებას დასაბამი მისცა და მის ინიციატორად მოგვევლინა „ურალმაშზავოდის“ მოწინავე მუშა ტ. სპეხოვი. მის ნაწოდებას მხარი დაუჭირეს მუშათა ფართო მასებმა და მრავალათასოვანმა სტახანოველმა იკისრა შეფობა ახლადმოსულ მუშათა აღზრდის, მათ მიერ ახალ პროფესიათა სწრაფად ათვისების საქმეში.

ახლადმოსულ მუშათა ინდივიდუალური წესით აღზრდასთან ერთად, კვალიფიციური კადრების ნომენკლატურის ათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა კოლექტიური სწავლების სხვადასხვა ფორმებს. ერთ-ერთი ასეთი ფორმა სტახანოვური სკოლები იყო, სადაც სწრაფად მზადდებოდა კვალიფიციური ახალგაზრდა მუშები მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგთათვის. მაგალითად, მხოლოდ 1943 წელს საავიაციო მრეწველობის სხვადასხვა საწარმოთა სტახანოვურ სკოლებში მომზადდა 63 ათასი ახალგაზრდა მუშა, იარაღ-საჭურველთა საწარმოთათვის 43 ათასი, ურალისა და დასავლეთ ციმბირის მშენებლობისათვის — 41 ათასი და სხვ.[65].

სამამულო ომის პირველი წლიდანვე რესპუბლიკის მთელ რიგ

---

[64] ვინაიდან შრომის რეზერვების ორგანიზებული შეგროვება და გეგმაშეწონილი განაწილება სოციალისტური მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა, ამიტომ ჯერ კიდევ 1940 წ. 2 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის სახალხო კომისარიატა საბჭოსთან შეიქმნა შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო, რომელსაც უფლება მიეცა მოეწყო ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის გაწვევა (მობილიზაცია) ყოველწლიურად 800 ათასიდან 1 მილიონ ახალგაზრდამდე. ამ დადგენილების საფუძველზე ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე დიდი ღონისძიებები გატარდა, გაიხსნა სპეციალური სასწავლებლები საფაბრიკო-საქარხნო და სახელოსნო-სარკინიგზო სასწავლებლების სახით, რომლებმაც ახალგაზრდა მუშათა კადრების მომზადების, მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში დიდი როლი შეასრულეს.

[65] Г. П. Евстафьев, Социалистическое соревнование—закономерность и движущая сила экономического развития советского общества, М., 1952, გვ. 183.

საწარმოებში, შახტებსა და სარკინიგზო დეპოებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში მოეწყო მოკლევადიანი ტექნიკური კურსები საწარმოებში ახლად მოსული კადრებისაგან სხვადასხვა სახის კვალიფიკაციის მუშაკების, მეშახტეთა, ელექტროზეინკლების, ელმავალთა მემანქანეების, მონტიორების მომზადების მიზნით. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოყალიბდა ტექნიკური კურსები მემაღაროეთა, მნგრეველთა და სხვა ახალი პროფესიების ასათვისებლად[66]. 1942 წ. იანვრიდან ლენინის სახ. შახტი ტყიბულის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის კურსდამთავრებულთა ახალგაზრდა კვალიფიკაციური კადრებით შეივსო.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა საწარმოებში ახლად მოსულები ახალ პროფესიებს ითვისებდნენ და ეუფლებოდნენ ყოველგვარი კურსების გარეშე, მოწინავე კვალიფიციური მუშების დახმარებით და უშუალო ხელმძღვანელობით. მათი წრთობა უშუალოდ დაზგებთან ხდებოდა.

ქუთაისში დიდი სამამულო ომის 3 წლის მანძილზე ამ გზით მომზადდა სხვადასხვა სპეციალობის 7 078 მუშაკი[67]. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში 1941—1943 წლების მანძილზე ახლად მოსულთაგან მომზადდა: 291 ხარატი, 107 ზეინკალი, 82 მექვაბე, 16 შემდუღებელი და ა. შ. ამათგან ბევრი სტახანოველი გახდა. კიროვის სახელობის დაზგათმშენებლობის ქარხანაში ახლადმოსულმა ტ. მონასაშვილმა აითვისა ხარატის პროფესია და გეგმებს 250 პროცენტით ასრულებდა, ხოლო დ. შუაევა — 400 პროცენტით[68].

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ახალგაზრდობის მრეწველობაში ორგანიზებულად ჩაბმის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საფაბრიკო-საქარხნო და სხვადასხვა ტიპის სახელოსნო სკოლებმა. საფაბრიკო-საქარხნო სკოლებმა, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებმა 2 250 000-ზე მეტი მუშა მისცეს სსრ კავშირის მრეწველობას და ტრანსპორტს, მათ შორის მილიონი მელითონე, 400 ათასი მშენებელი, 200 ათასი მაღაროელი და. სხვ.[69].

საფაბრიკო-საქარხნო სკოლები კვალიფიციური მუშათა კადრების, ჩვენი ქვეყნის შრომის რეზერვების ნამდვილ სამკედლოდ იქცა. კერძოდ, საბჭოთა საქართველოს საქარხნო-საფაბრიკო სკოლებიდან

---

[66] გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1942. 14 იანვარი.
[67] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 833, ფურც. 1—2.
[68] გაზ. „კომუნისტი", 1944, 4 აპრილი.
[69] გაზ. „პრავდა", 1945, 7 სექტემბერი.

ომის პერიოდში მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში 26 000 კვალიფიციური მუშა მოვიდა[70], რომლებიც სამაგალითოდ იყენებდნენ მიღებულ ცოდნას და მოკლე დროში ახალ პროფესიებს ეუფლებოდნენ.

ომის წლებში შეიცვალა სწავლების პროგრამები და შემცირდა სწავლების ვადები როგორც საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, ასევე ტექნიკურ სასწავლებლებსა და კურსებზე.

მაგალითად, საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სისტემაში ომამდე ტექსწავლებისათვის თუ 2 თვე იყო განკუთვნილი, ომის პერიოდში ეს ვადა 1 თვემდე დაიყვანეს. მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ომამდე თუ 6 თვე იყო დადგენილი, ომის დროს 2—3 თვემდე შეამცირეს[71]. საფაბრიკო სკოლებში საგრძნობლად შეცვალეს სასწავლო გეგმები, ამოიღეს საერთო საგანმანათლებლო საგნები და დატოვეს მხოლოდ სპეციალური საგნები და სასწავლო პრაქტიკა, რითაც სწავლების ვადა ნაცვლად 1 წლისა 6 თვემდე იქნა დაყვანილი; ის მუშები, რომლებიც ამთავრებდნენ სკოლებს და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, აქტიურად ებმებოდნენ საწარმოო ცხოვრებაში.

1944 წლიდან რუსთავის მშენებლობის განახლებასთან დაკავშირებით, მეტალურგიული გიგანტისათვის ახალგაზრდა ადგილობრივი კადრების მომზადებამ უაღრესად ფართო ხასიათი მიიღო. ამ საქმეში ქართველ ხალხს დიდი დახმარება გაუწიეს სსრ კავშირის მოწინავე ინდუსტრიული საწარმოების მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალმა.

რუსთავის ქარხნის კორპუსების აგებამდე დაიწყო ადგილობრივი კადრების მომზადება. საქართველოდან ამ მიზნით 5 000-ზე მეტი ახალგაზრდა მივლინებულ იქნა რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ მეტალურგიულ ქარხნებში მეფოლადეების, მგლინავებისა და თუჯის მდნობელთა რთული პროფესიების შესწავლის მიზნით. ჩვენი ახალგაზრდები დიდი ენთუზიაზმით სწავლობდნენ მაკეევკას, მაგნიტოგორსკის, სტალინოსა და სხვა უმსხვილეს მეტალურგიულ სამრეწველო ცენტრთა მოწინავე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციისაგან.

ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებასთან და მუშათა კადრების მომზადებასთან იყო დაკავშირებული რესპუბლიკაში სამამულო ომის ინვალიდებისათვის სპეციალურ სასწავლებელთა ქსე-

---

[70] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1946, 23 თებერვალი.
[71] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 71, ფურც. 9.

ლის შექმნა. მაგალითად. ქ. ქუთაისში ამ ტიპის სასწავლებელში 1942 წ. ომის 204 ინვალიდი ეუფლებოდა ახალ პროფესიას, ხოლო 1943 წ. — 770[72].

ომის წლებში მხოლოდ ქ. ქუთაისში სამხედრო მოსამსახურის ოჯახთა 3 473 წევრი დაეუფლა ახალ პროფესიას და ქალაქის საწარმოებში იქნა მოწყობილი სამუშაოზე[73].

ამრიგად, 1942 წლიდან საქართველოს მრეწველობას უბრუნდებიან ფრონტებზე ნამყოფი სახელოვანი ადამიანები, რომლებიც მტერთან ბრძოლებში მძიმედ დაიჭრნენ და სამამულო ომის ინვალიდები გახდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი უიმედობას არ მისცემიან. დაეუფლნენ შესაფერ ახალ პროფესიებს, კვლავ დაუბრუნდნენ წარმოებას და მთელი ძალის დაძაბვით ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ საბჭოთა არმიისათვის[74].

ახალგაზრდობის, ქალების, მოხუცებისა და ინვალიდების ენერგიული შრომით საქართველოდან ფრონტზე წასული მუშების დაზგა არ დარჩენილა უმოქმედოდ. მაგრამ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებისათვის საკმარისი როდი იყო მრეწველობის (ასევე სოფლის მეურნეობის) ფრონტებზე წასულ მუშაკთა მხოლოდ რიცხობრივად შეცვლა. კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხს ერთ-ერთ ძირითად სამოქმედო ამოცანად იმას უსახავდა, რომ შეუნელებლად გაედიდებინა შრომის ნაყოფიერება. რომ ყ ო ე ლ ი მ უ შ ი ს შ რ ო მ ა გ ა მ ხ დ ა რ ი ყ ო უ ფ რ ო ე ფ ე ქ ტ უ რ ი, მ ა ღ ა ლ პ რ ო დ უ ქ ტ ი უ ლ ი დ ა ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი. ამას მოითხოვდა ჩვენი დიადი სამშობლოს დაცვის ინტერესები.

---

[72] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 298, ფურც. 5.

[73] იქვე, ფურც. 17—21. საქართველოს კპ(ბ) ცეკას ბიუროს დადგენილებით 1942 წლის 2 მაისიდან შეიქმნა სამამულო ომის ინვალიდთა სამუშაოებზე მოწყობი მუდმივი საქალაქო და რაიონული კომისიები, რაიაღმასკომებისა და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეების, რაიკომებისა და ქალაქკომების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების, პროფკავშირებისა და სოცუზრუნველყოფის სათანადო ორგანიზაციების ხელმძღვანელების შემადგენლობით (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12285, ფურც. 15—16).

[74] სამამულო ომის პერიოდში სსრ კავშირში მთლიანად მრეწველობისათვის მომზადებულ იქნა 12 მილიონზე მეტი ახლად მოსული მუშა, — უმთავრესად შრომითი მობილიზაციით. გარდა ამისა, ომის წლებში ჩვენს მრეწველობას 2 მილიონზე მეტი საფაბრიკო-საქარხნო სკოლადამთავრებული კვალიფიციური მუშა შეემატა.

ამ გზით გადაწყდა ომის პერიოდის ერთ-ერთი უძნელესი პრობლემა — მრეწველობის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის პრობლემა (Б. С. Тельпуховский, Великая Отечественная война Советского Союза, М., 1952, გვ. 186).

კომუნისტური პარტიის მიერ დასმული ამ უკეთილშობილესი ამოცანის გადაწყვეტისათვის საბჭოთა პატრიოტიზმით აღფრთოვანებული ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი ფრონტის დახმარების შემდგომი გაძლიერების ლოზუნგით დასაბამს აძლევს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას და სტახანოვური მოძრაობის ახალესი ფორმების მასობრივად დანერგვას. მრავლდება საფრონტო ბრიგადები, საწარმოო გეგმის შესრულების ორასოვანთა, ხუთასოვანთა და ათასოვანთა რიგები, მრავალდაზგოსნები, პროფესიათა შემთავსებლები, რაციონალიზატორები; ფართოდ ინერგება ჩქაროსნული მეთოდები, შრომის ორგანიზაციის უახლესი, ნაცადი ფორმები და ხერხები. ამგვარი პატრიოტული აღმავლობის საფუძველზე არა მარტო რიცხობრივად იქნენ შეცვლილი ფრონტებზე წასულნი, არამედ მრავალ შემთხვევაში ჩვენი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგებიდან ახლად მოსული მუშების მიერ ისეთი ბრწყინვალე გამარჯვებები იქნა მოპოვებული, რომელთა მსგავსი არ იცოდა ომამდელმა პერიოდმა.

საგანგებო ყურადღების ღირსია ახალგაზრდა მუშების პატრიოტიზმი. ომის წლებში კომკავშირელ მუშათა ინიციატივით შეუნელებლად მრავლდებოდა ახალგაზრდული საფრონტო ბრიგადები. მათმა რიცხვმა 1943 წელს ოქტომბერში მხოლოდ მრეწველობაში 35 ათასზე მეტს მიაღწია, ხოლო 1944 წლის აგვისტოში 115 ათასს აღემატებოდა, რომლებიც აერთიანებდნენ 800 ათასზე მეტ მუშა ახალგაზრდობას.

კომკავშირულ ახალგაზრდულ ბრიგადებში კ. ბარიშკინას ინიციატივით ახალი შესანიშნავი მოძრაობა აღმოცენდა. ეს იყო ცალკეულ საამქროებსა და ბრიგადებში მუშათა რიცხვის შემცირებით მიღწიათ საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ეს იყო შრომის ორგანიზაციის უახლესი მიღწევა, რამაც, მაგალითად, მარტო ურალის საწარმოებს შესაძლებლობა მისცა 100 ათასი მუშა გამოენთავისუფლებინა და მუშაობის სხვა უბანზე გამოეყენებინა.

სამამულო ომის წლებში კომკავშირელების ინიციატივით საქართველოს სამრეწველო საწარმოებში 1 279 ახალგაზრდული ბრიგადა ჩამოყალიბდა, რომელთაგან 357 ფრონტულად იწოდებოდა.

თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის მრავალდაზგოსანი მქსოველი, ორდენოსანი სტახანოველი ნადეჟდა მაღანაშვილი ომის წლებში ერთდროულად ოთხ დაზგაზე მუშაობდა „სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე, — გადმოგვცემს მაღანაშვილი, — მე კიდევ უფრო სერიოზულად მოვკიდე ხელი ჩემზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და შეუნელებელი სტახანოვური შრომის პრო-

ცესში შევძელი ქარხნისათვის აღმეხარდა და მომემზადებინა ოცზე მეტი მჭსოველი მაღალკვალიფიციური მუშა"[75].

ყოველივე აქ აღნიშნული იმას ადასტურებს, რომ „სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ქალები, ჭაბუკები და ქალიშვილები მამაცობასა და გმირობას იჩენდნენ შრომის ფრონტზე"[76].

5. მუშათა კლასის ახალი წარმატებანი გმირი ქალაქებისა და კავკასიის დაცვისათვის ბრძოლების დროს

სსრ კავშირის დიდი სამამულო ომი (დღემდე მიღებული და ოთქმის დამკვიდრებული პერიოდიზაციის მიხედვით) ოთხ ძირითად პერიოდად იყოფა:

პირველი პერიოდი მოიცავს დროს 1941 წლის ივნისიდან 1942 წლის შემოდგომამდე, სტალინგრადის მისადგომებთან საბჭოთა არმიის კონტრშეტევაზე გადასვლამდე, ე. ი. ანამდე, ვიდრე ჩვენი არმია საბოლოოდ გამოგლეჯდა მტერს ხელიდან სტრატეგიულ ინიციატივას და მოამზადებდა პირობებს დიდი სამამულო ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხისათვის.

მეორე პერიოდი იწყება 1942 წლის ბოლოსა და 1943 წლის დასაწყისიდან. როცა სტალინგრადთან მოპოვებულმა ისტორიულმა გამარჯვებამ დასაბამი მისცა ძირეული გარდატეხის პერიოდს, იგი 1943 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

მესამე პერიოდი 1944 წელს მოიცავს, ეს არის დიდი სამამულო ომის გადამწყვეტ გამარჯვებათა პერიოდი, როცა საბჭოთა არმიამ შესძლო გაეწმინდა სსრ კავშირის მიწა-წყალი ფაშისტი დამპყრობლებისაგან და წარმატებით განავითარა დიდი შეტევები ევროპის დამონებული ხალხების ფაშიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

მეოთხე და უკანასკნელი პერიოდი დიდი სამამულო ომის დამამთავრებელ პერიოდს წარმოადგენს, იგი 1944 წლის ბოლოდან დაიწყო და გაგრძელდა დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე, რაც 1945 წელს დაგვირგვინებულ იქნა ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვებით.

დიდი სამამულო ომის აქ წარმოდგენილი თვითეული პერიოდი თავისებურად გამოხატავს საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლი-

[75] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 165, ფურც. 1.
[76] ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1947, გვ. 178.

ტიკურ მდგომარეობას, მისი შეიარაღებული ძალების სიმტკიცესა და ზურგის ეკონომიკის განვითარების ძირითად ნიშანთა ყველა იმ ერთობლიობას, რამაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაწაპირობა საბჭოთა კავშირის გამარჯვება დიდ სამამულო ომში. ჩვენ შევეცდებით ამ პერიოდიზაციის მიხედვით განვიხილოთ საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელების პატრიოტული შრომითი თავდადება და მათი საბრძოლო თანამეგობრობა სსრ კავშირის მოძმე ხალხებთან დიდ სამამულო ომში.

საქართველოს მუშათა კლასი გმირი ქალაქების, კავკასიის დაცვის და მთლიანად ომის მსვლელობაში დიდ შრომით მამაცობასთან ერთად იჩენს შესანიშნავ ორგანიზატორულ უნარს რესპუბლიკის მთელი ძალების სამშობლოს დაცვისათვის ერთობლივად დარაზმვისა და შტერზე გამარჯვებისაკენ წარმართვის საქმეში. სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლებში საქართველოს მუშათა კლასი რესპუბლიკის ყველა მშრომელის მოწინავე რიგებში იდგა. იგი თავდაცვის პროდუქციის გამოშვების შეუნელებელ გადიდებასთან ერთად ყოველდღიურად ზრდიდა საკუთარ სამხედრო მომზადებას; მუშები ეუფლებოდნენ საბრძოლო იარაღს და გამოხატავდნენ სრულ მზადყოფნას მტერთან იარაღით ხელში საბრძოლველად. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ცნობილი მჭედელი, ორდენოსანი კ. ილურიძე, რომელიც ყოველ ცვლაში საწარმოო გეგმებს სისტემატურად სამმაგად ასრულებდა, ქარხნის მუშათა მთელი კოლექტივის აზრს გამოხატავდა, როცა იგი მოსკოვის დაცვის უმძიმეს დღეებში აცხადებდა:

„ჰიტლერელმა ავაზაკებმა აღმართეს თავიანთი სისხლიანი ხელები მოსკოვის დასაპყრობად, მაგრამ ისინი ვერ ელირსებიან შესვლას ჩვენ საყვარელ დედაქალაქში, რომელიც ძვირფასია რუსის, უკრაინელის, ბელორუსის, ქართველის, უზბეკისა და ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. მე ვალდებულებას ვკისრულობ დავეუფლო საბრძოლო იარაღს ისევე, როგორც ვფლობ სამჭედლო ურის და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე ჩავდგე სამშობლოს დამცველთა რიგებში“[77].

მოსკოვთან ერთად ამავე პერიოდში დიდ საფრთხეში იმყოფებოდა ლენინგრადი, სევასტოპოლი, ოდესა და სხვ. ქალაქები. საქართველოს მუშათა კლასი განუყრელად იყო დაკავშირებული ამ ქალაქების დამცველებთან.

ლენინგრადის მშრომელები, რომელთაც მთელი საბჭოთა ხალხი

[77] გაზ. „პრავდა“, 1941, 27 ოქტომბერი.

უმაგრებდა ზურგს. 900-დღიანი ბლოკადის პირობებში მტრის არტილერიისა და თვითმფრინავების ცეცხლქვეშ იცავდნენ პროლეტარული რევოლუციის აკვანს. 250 დღის განმავლობაში გრძელდებოდა სევასტოპოლის გმირული დაცვა. საბჭოთა ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა და საბჭოთა არმიის გმირობით პირველად ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვის მისადგომებთან იქნა გაქარწყლებული გერმანიის არმიის უძლეველობის ლეგენდა და მტერმა სასტიკი დამარცხება განიცადა. ჰიტლერელები ასეული კილომეტრების მოშორებით განიდევნენ მოსკოვიდან დასავლეთისაკენ. მოსკოვთან და მრავალ სხვა ქალაქთან მარცხით 1941—1942 წლის ზამთარში ჰიტლერელები პირველად კარგავენ სტრატეგიულ ინიციატივას, რომელიც საბჭოთა არმიის ხელში გადავიდა. თვით მოწინააღმდეგესაც კი არ შეეძლო დაეფარა საბჭოთა არმიის 1941—1942 წლების კონტრშეტევის დიდი ძალა. ჰიტლერული არმიის ცნობილი გენერალი და სამხედრო ისტორიკოსი კ. ტიპელსკირხი ამის შესახებ წერს, რომ საბჭოთა არმიის დარტყმის ძალა და ამ კონტრშეტევის გაქანება ისეთი იყო, რომ მნიშვნელოვანი მასშტაბით შეირყა ფრონტი და კინაღამ მივიდა იგი გამოუსწორებელ კატასტროფამდე: გერმანელ ჯარებს ელოდა ნაპოლეონის დიდი არმიის ბედიო[78].

გერმანიის „ელვისებური ომის" გეგმა პირველად მოსკოვთან ჩაიფუშა, რამაც აღფრთოვანება გამოიწვია ფაშისტების მიერ დამონებულ ხალხებში. უ. ჩერჩილი აღნიშნავდა, რომ ამ ეტაპზე გერმანიის ჯარების „ინგლისში შეჭრის ამოცანა მოიხსნა"[79].

მაგრამ 1942 წლის გაზაფხულიდან მდგომარეობა იცვლება, მტერი მთელი თავისი ძალების დაძაბვით ახერხებს სტრატეგიული ინიციატივის დროებით უკან დაბრუნებას და ანახლებს შემოტევას. მტერმა ისარგებლა მეორე ფრონტის არ არსებობით და დაიწყო ახალი დიდი შემოტევები სამხრეთისაკენ, კავკასიისა და სტალინგრადის მიმართულებით. 1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე კავკასიისა და სტალინგრადის რაიონებში გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა.

გერმანიის სახმელეთო ჯარების გენშტაბის უფროსის გენერალ გალდერის დღიურებიდან და სხვა დოკუმენტებიდან საბოლოოდ ირკვევა, რომ 1942 წლის ზაფხულის კამპანიით ფაშისტური სარდლობა მიზნად ისახავდა კავკასიისა და სტალინგრადის დაპყრობას, საბჭოთა მოტომექანიკური ნაწილების, ტანკებისა და ავიაციის ბა-

---

[78] К. Типельскирх. История второй мировой войны, Перевод с немецкого, М., 1956, გვ. 1—201.

[79] У. Черчилль, Вторая мировая война, т. III, М., 1955, გვ. 1—600.

ქოს ნავთობის გარეშე დატოვებით ლენინგრადისა და მოსკოვის აღების გაადვილებას.

ამგვარი გეგმა ჰიტლერელთა სარდლობამ შეიმუშავა „ელეისებური ომის“ ჩაშლის შემდეგ. ჰიტლერელები ამიერკავკასიაში შემოჭრას თუ შეძლებდნენ, საზღვრებზე მათ თურქეთის 26 დივიზია ელოდებოდათ შესაერთებლად. მტერი თურქეთის ამ დივიზიებზე გარკვეულ იმედებს ამყარებდა. ასეთია ისტორიული სინამდვილე, რაც ახლებურად აყენებს საკითხს კავკასიის დაცვისა და ხალხის მასების გმირული პატრიოტიზმის მნიშვნელობის გასარკვევად.

საბჭოთა სამშობლოს ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს საქართველოს მუშათა კლასი ყველა მშრომელებთან ერთად თავდადებით მუშაობდა და ყოველმხრივ ქმედით დახმარებას უწევდა საბჭოთა არმიას.

სტალინგრადისა და კავკასიის დამცველ გმირ საბჭოთა მეომრებს თბილისელი სტახანოველები საქართველოს მშრომელთა სახელით 1942 წლის ოქტომბერში სწერდნენ:

„ამ მრისხანე დღეებში ჩვენ, თბილისის მშრომელები, მთელ ჩვენს ძალღონეს ვახმართ ფრონტს, გეხმარებით თქვენ, სტალინგრადის მამაც დამცველებს, ამიერკავკასიის მისადგომებთან მტერს ლახვარს მამაცურად ჩავცემთ... თბილისის საწარმოებში დუღს საბრძოლო თავდადებული შრომა. ჩვენც ვიბრძვით სტალინგრადისათვის, ჩვენი მშობლიური კავკასიისათვის... თბილისის საწარმოებში დღითი დღე იზრდება ორასოვანთა, სამასოვანთა, ხუთასოვანთა, ათასოვანთა რიგები“[50].

საბჭოთა საქართველოდან კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში ფრონტებზე სისტემატურად იგზავნებოდნენ ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები. ისინი მიდიოდნენ მოწინავე საზებზე და აღაფრთოვანებდნენ მებრძოლებს გმირობისა და მამაცობის სულისკვეთებით. მათ თან მიჰყავდათ ახალი შევსება და საბრძოლო იარაღ-საჭურველით, სურსათითა და ტანსაცმლით დატვირთული ეშელონები.

1942 წლის მეორე ნახევარში მტერი კავკასიის მთის კალთებზე გამოიჭრა. საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხები უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის ნორმალური განვითარება სერიოზულად შეფერხდა. საბჭოთა კავშირის ცენტრალური სამრეწველო ოლქებიდან, თუ წინათ საქართველოსა და ამიერკავკასიის მრეწველობა და ტრანსპორტი შეუფერხებლად მარაგდებოდა ყოველგვარი საჭირო მოწყობილო-

[50] გაზ. „ზარია ვოსტოკა“. 1942. 6 ნოემბერი.

ბებით და ნედლეულითაც კი, შექმნილი დაძაბული ვითარების შედეგად ომის გარკვეულ პერიოდში მათი მოწოდება საგრძნობლად შეფერხდა და ნაწილობრივ შეუძლებელიც გახდა.

ეს იყო პერიოდი, როცა ჩვენი სამშობლოს სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა მეტისმეტად გართულებული იყო, როცა საქართველო და ამიერკავკასია რსფსრ-საგან სარკინიგზო ხაზით მოწყვეტილი აღმოჩნდა, ამიერკავკასიას ჩრდილოეთიდან ჰიტლერელები უტევდნენ, ხოლო სამხრეთიდან, გერმანელი ფაშისტების კარნახით, თურქი დამპყრობლები მომენტს ელოდნენ, ჯარებს აჯგუფებდნენ საზღვარზე და ემზადებოდნენ ამიერკავკასიაში შემოჭრისათვის. ამით ისინი მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ გერმანიას; საბჭოთა კავშირი ძალულებული იყო თავისი ჯარების გარკვეული ნაწილი თურქეთის საზღვრებზე ჰყოლოდა. უფრო მეტიც, თურქეთის საზღვრებიდან ამ დაძაბულ ვითარებაში საქართველოში გზავნიდნენ ჯაშუშებსა და დივერსანტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ამიერკავკასიას. თურქეთმა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები გაუხსნა გერმანიისა და მისი სატელიტების სამხედრო-საზღვაო ფლოტს. შავი ზღვა აივსო ჰიტლერელთა წყალქვეშა ნავებით, სამხედრო გემებით. რომლებიც კავკასიაში ეზიდებოდნენ საომარ მასალას და სადესანტო საოკუპაციო ჯარის ნაწილებს.

პრემიერ-მინისტრ სარაჯოღლუს ოფიციალური განცხადებები აშკარად გამოხატავდნენ თურქი დამპყრობლების ბოროტ ზრახვებს საბჭოთა ქვეყნისადმი. ამ უმძიმეს პერიოდში იგი წერდა „რუსეთის განადგურება, კავკასიისა და პირველ რიგში საქართველოს დაპყრობა წარმოადგენდა თურქეთის ძველისძველ ოცნებას, თურქიზმის უხსოვარდროინდელ გეგმას“. ცნობილია, რომ ასეთ ვითარებაში „კავკასიაში თავიანთი შეტევის უახლოეს ამოცანად ჰიტლერელები ისახავდნენ საბჭოთა ჯარების გარემოცვას და განადგურებას დონის ქვემო დინებასა და ყუბანს შორის. შემდეგ ჯარების ერთი ჯგუფით მათ განზრახული ჰქონდათ დაეკავებინათ ნოვოროსიისკისა და ტუაპსეს რაიონი, განევითარებინათ შეტევა შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და გასულიყვნენ ბათუმის რაიონში; ბეორე ჯგუფს, რომელიც შედგებოდა ძირითადად სატანკო და მოტორიზებული შენაერთებისაგან, უნდა განევითარებინა შეტევა გროზნოს, მაჰაჩყალასა და ბაქოს მიმართულებით და 25 სექტემბერს დაეკავებინა ბაქო. გარდა ამისა, გერმანელ ფაშისტთა ხელმძღვანელობა ვარაუდობდა შეტევის გაშლას კავკასიონის ქედის უღელტეხილებზე: საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ თბილისისაკენ,

ოსეთის სამხედრო გზით ქუთაისისკენ და სოხუმის სამხედრო გზით სოხუმისაკენ"[81]. მხოლოდ სტალინგრადის ისტორიულმა გამარჯვებამ ჩაშალა ჰიტლერელი და თურქი აგრესორების, ისე როგორც იაპონელი იმპერიალისტების, ბოროტი ზრახვები.

1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჰიტლერის ურდოებმა სხვადასხვა მიმართულებით რამდენიმეჯერ მოიტანეს იერიში საქართველოს საზღვრებზე. ისინი თავგანწირვით მოიწევდნენ მამისონის უღელტეხილითა და ოსეთის სამხედრო გზით ქუთაისის, სტალინირისა და გორისაკენ, კავკასიის მთავარი ქედის დასავლეთიდან — ქლუხორის, სანჩაროს და მარუხის უღელტეხილებით — სოხუმისაკენ. ჰიტლერელები მიზნად ისახავდნენ ალყაში მოექციათ საბჭოთა ჯარების ტუაფსეს დაჯგუფება და გაბატონებულიყვნენ შავ ზღვაზე (ბათუმი, ფოთი, და სხვ.).

ასეთ ვითარებაში ფაშისტი დამპყრობლები იმედს ამყარებდნენ მრავალეროვანი ამიერკავკასიის ხალხთა შორის ნაციონალური მტრობის გაღვივებაზე. საიდუმლო დოკუმენტებიდან, რომლებმაც „გერინგის მწვანე წიგნის" სახელწოდება მიიღო, ჩანს, რომ გერმანიის ფაშისტური სარდლობა განუმარტავდა თავის ხელქვეითებს: „წინააღმდეგობა ადგილობრივ მოსახლეთა (ქართველები, სომხები, თათრები და ა. შ.) და რუსებს შორის უნდა გამოვიყენოთ ჩვენ სასარგებლოდ"[82].

მაგრამ ჰიტლერელთა ასეთი ვარაუდი უნიადაგო აღმოჩნდა. სამამულო ომის დროს კიდევ უფრო განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. საბჭოთა ხალხის ურყევი მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად იქცა მრავალეროვანი ამიერკავკასიის ხალხთა 1942 წლის 23 აგვისტოს ქ. თბილისში შემდგარი ანტიფაშისტური მიტინგი. ეს იყო კავკასიის დაცვის უმძიმესი დღეები, როცა მტერი წინ მოწევდა ბაქოსა და თბილისისაკენ. მიტინგის მოწოდების საპასუხოდ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოწინავე ბუშები და ინტელიგენცია უმაგალითო პატრიოტული აღტყინებით კისრულობენ ვალდებულებებს ფრონტის დასახმარებლად. ისინი ფიცს დებენ, რომ საბრძოლო თანამეგობრობის გაზრდისა და ერთმანეთის გამოცდილებათა გაზიარებით კიდევ უფრო განამტკიცებენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას და უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან დიდი რუსი ხალხის გარშემო. კავკასიის დაცვის დღეებში „საქნავთის" მოწინავე მბურღავი დ. კოკელაძე ბაქოს მოწინავე მუშას ბა-

---

[81] Важнейшие операции Великой Отечественной войны, под. ред. П. А Жирина, М., 1956, зг. 134.

[82] „Красный флот," 1944, 6 октября.

ბაქადირ-მურადოვს სწერდა: „კიდევ უფრო განვამტკიცოთ საქართველოსა და აზერბაიჯანის მენავთობეების მეგობრობა, ვუჩვენოთ საბრძოლო მუშაობის ახალი ნიმუშები გმირი წითელი არმიის დასახმარებლად“[83].

ასევე ითქმის ერევნისა და სხვა ქალაქების მუშების შესახებ, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ თბილისის მუშებთან და საბრძოლო გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს[84].

სოციალისტური ერებისაგან შემდგარი უძლეველი სსრ კავშირი ერთსულოვნად დაირაზმა ფაშისტ დამპყობთა წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხმა პატრიოტიზმისა და მასობრივი გმირობის ჯერ არნახული მაგალითები აჩვენა სამშობლოს დაცვისათვის გმირულ ბრძოლებში.

„მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გათიშოს ამიერკავკასიის ხალხები, მოსწყვიტოს ისინი დიდ რუს ხალხს“[85], — წერდნენ თავიანთ მიმართვაში ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის მონაწილენი 1942 წლის 23 აგვისტოს, როცა ჰიტლერელები კავკასიის მისადგომებთან იყვნენ მოსული.

ამრიგად, ჰიტლერელ დამპყრობთა იმედები, რომ საბჭოთა არმიის სამხედრო წარუმატებლობის შემთხვევაში სსრ კავშირის ხალხები ერთმანეთზე ამხედრდებოდნენ, მოხდებოდა ზურგის სრული დეზორგანიზაცია და ფაშისტური არმია სულ მოკლე პერიოდში ომს გამარჯვებით დააგვირგვინებდა, მთლიანად გაქარწყლდა, კიდევ უფრო განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

სსრ კავშირის ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს მასების შემოქმედებითი ინიციატივა უმაგალითოდ გაიზარდა; მუშათა კლასის თაოსნობით დაიწყო სამაგალითო მოძრაობა — დროის მაქსიმალური ეკონომიით საფრონტო დაკვეთების ვადაზე ადრე შესრულების შესახებ, ყოველი საათი, ყოველი წუთი მეტად ძვირფასი გახდა. საფრონტო დაკვეთების შესრულებისათვის დამკვიდრდა შრომის შეგნებული, რკინის დისციპლინა.

სამხედრო ყაიდაზე ახლად გარდაქმნილი ფაბრიკა-ქარხნების მუშები სწრაფად ახერხებენ ბევრი ახალი სახის პროდუქციის წარმო-

---

[83] გაზ. „კომუნისტი“, 1942, 30 აგვისტო, სომხეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და უმაღლესი საბჭოს ორგანო.

[84] იქვე.

[85] „ამიერკავკასიის ხალხთა ფიცი“, 1942, გვ. 15.

ების რთული პროცესების ათვისებას და დღითი დღე ზრდიან მზა პროდუქციის გამოშვებას.

მაგალითად, თბილისის ზოგიერთ საწარმოში სპეცდაკვეთების პროდუქციის გეგმების შესრულება 1942 წლის აპრილის თვის პირველ ორ დეკადაში ასეთი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა:

	I დეკადა	II დეკადა
კუიბიშევის სახ. ქარხანაში	99%	101%
კალინინის სახ.	53%	94%

ეს მაჩვენებლები ტიპიურია. ისინი იმაზე მეტყველებენ, რომ თავდაცვის პროდუქციის სწრაფად ათვისებასთან ერთად საქართველოში ყოველდღიურად იზრდებოდა სპეცდაკვეთათა გეგმების შესრულება და საბჭოთა არმიისადმი ქმედითი დახმარება[86].

ყურადღების ცენტრში იდგა საწარმოების გეგმაშეწონილი, რითმული მუშაობა გრაფიკის მტკიცედ დაცვით. საწარმოო გეგმა ყოველ ოსტატსა და თვითეულ მუშამდე დაიყვანებოდა. სადღეღამისო, დეკადური, თვიური, კვარტალური და წლიური გეგმების შესრულება ცალკეული საწარმოს, მის საამქროთა, ოსტატთა და თვითეული მუშის მიერ გრაფიკის მტკიცედ დაცვის გზით. როგორც წესი რითმული გეგმაზომიერებით ხორციელდებოდა.

წარმატებით განხორციელდა რესპუბლიკის ქარხნების მუშაობის და მათ განკარგულებაში არსებული ფონდების, საჭირო მასალისა და მოწყობილობის კოოპერირება. რესპუბლიკის ძირითადი საწარმოები ომის წლებში სწორედ ამ გზით სძლევდნენ სიძნელეებს და საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებდნენ სპეციალურ დაკვეთებს.

საქართველოში ომის წლებში გადაუდებელი საჭიროებისათვის აშენდა ახალი საწარმოები, გაფართოვდა ან გარდაიქმნა ძველი საწარმოები იმ მიზნით, რომ სწრაფად განხორციელებულიყო დაზიანებული სამხედრო იარაღ-საჭურველისა და ტრანსპორტის მიმდინარე შეკეთება.

თავდაცვის კომიტეტის მითითებით 1942 წლის 21 თებერვალს საქართველოს კპ (ბ) ცეკამ თბილისის კომიტეტს დაავალა ავტომანქანების შემკეთებელი მოძრავი ბაზების შექმნა, იმ მიზნით, რომ რესპუბლიკას საკუთარი ადგილობრივი რესურსებისა და საწარმოო საშუალებების მაქსიმალურად გამოყენებით უზრუნველეყო მის განკარგულებაში არსებული ავტოტრანსპორტის შეუფერხებლად მუშაობა, მისი საწარმოო რემონტი. ამ მუშაობაში მასობრივად იქნა ჩაბმული რიგი ქარხნებისა. წინასწარ იქნა დაზუსტებული, თუ

[86] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 5. საქმე 162, ფურც. 9.

რომელ ქარხანას (მანქანების ტიპის მიხედვით) რა სახის დეტალის დამზადება ან სარემონტო სამუშაოს ჩატარება შეეძლო და სხვ. ასევე შეიქმნა სპეციალური ტექნიკური ბაზები, დიდი ამოცანები დაეკისრა საქართველოს ავტოსარემონტო ქარხანას[87].

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანასთან მოეწყო ახალი საამქროები ავტომობილთა იმ სათადარიგო ნაწილების მასობრივად წარმოების მიზნით, რომლებიც წინათ სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან შემოჰქონდათ. მხოლოდ 1942 წელს ქარხანაში ათვისებულ და გამოშვებულ იქნა 500-ზე მეტი სახელწოდების ხვადასხვა დეტალი, რომელთა ღირებულება 1,5 მილიონ მანეთს აღემატებოდა[88].

თავდაცვის ახალი იარაღების წარმოებასთან ერთად რესპუბლიკის საწარმოებში მოეწყო ფრონტებზე დაზიანებული ავტომანქანების, ქვემეხების, შაშხანების, ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევების და სხვათა შემკეთებელი საწარმოები. უჩვეულო სისწრაფით და პატრიოტული თავდადებით სრულდებოდა ყველა სახის სამხედრო სარემონტო სამუშაოები.

გაჩაღდა მასების ინიციატივა, თვითმოქმედება, ნოვატორული მოძრაობა და გამომგონებლობა სამხედრო იარაღ-საჭურველთა წარმოების, მათი შეკეთებისა და გაუმჯობესების საქმეში. მოწინავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ამ პატრიოტული საქმის ნამდვილი ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ. კავკასიის დაცვის დღეებში რესპუბლიკის მხოლოდ მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები აწვდიდნენ საბჭოთა არმიას 200-ზე მეტი სახელწოდების იარაღ-საჭურველსა და თავდაცვის დანიშნულების სხვა პროდუქციას.

1942 წლის 16 აგვისტოს, კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავდაცვის კომიტეტის მითითების საფუძველზე შექმნა მთავრობის კომისია, რომელსაც დაეკისრა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ევაკუირებულ ტვირთთაგან გამოეცალინებინა ისეთი მასალები, მოწყობილობანი და იარაღ-მანქანები, რომლებიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სამხედრო დავალებების და სპეცპროდუქტების წარმოების შემდგომი გაფართოების მიზნით. ამ

---

[87] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12247.

[88] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 67.

ლონისძიების შედეგად ევაკუირებულ ტვირთთა ნაწილი მალე იქნა ჩაყენებული ქვეყნის თავდაცვის სამსახურში და ამით რესპუბლიკის სამხედრო მრეწველობა კიდევ უფრო გაძლიერდა[59].

საბჭოთა საქართველოს მრეწველობა უფრო გაიზარდა და განმტკიცდა არა მარტო ზოგიერთი მსხვილი ევაკუირებული საწარმოს მწყობრში ჩადგომით, არამედ ამ საწარმოებთან ერთად ევაკუირებული მაღალკვალიფიციური მუშებით და საინჟინერო ტექნიკური პერსონალით. ამიტომ საქართველოს მუშათა შემადგენლობა უფრო მრავალეროვანი გახდა.

საქართველოს უმნიშვნელოვანეს საწარმოებში გაერთიანებული და ერთ ძმურ ურღვევ ოჯახად შემჭიდროებული მრავალი ერის წარმომადგენლები — ქართველები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვ. ერთი მიზნით, ერთი ფიქრითა და მისწრაფებით მოქმედებდნენ, თავდადებული შრომით უზრუნველყოფდნენ საბჭოთა სამშობლოს დაცვას და ვერაგ მტერზე გამარჯვებას. ცნობილია, რომ ომის პირველ წლებშივე საქართველოში ათეულ ათასობით საბჭოთა მოქალაქის — ქალების, ბავშვების და სხვათა გეგმაშეწონილი ევაკუაცია მოხდა. საქართველოში ევაკუირებულთა მომსახურეობისა და მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნა ევაკუირებული მოსახლეობის სამუშაოზე მოწყობის სამმართველო.

---

[59] უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა საქართველოში ევაკუირებული ყველა ტვირთის დაცვა, მოვლა-პატრონობა და ომის შემდგომ დანიშნულებისაებრ გაგზავნა ხორციელდებოდა ზუსტი და მტკიცე სახელმწიფოებრივი კონტროლის ქვეშ. ჩვენ აქ აღნიშნულის დასადასტურებლად დავასახელებთ რამდენიმე დამახასიათებელ ფაქტს. მაგალითად, საქართველოში ევაკუირებული საწარმოების დაცვისა და მოვლა-პატრონობის ორგანიზაციის შესახებ საქართველოს კპ (ბ) ცეკას ბიუროს მითითებით თბილისის მთელ რიგ საწარმოებს შესანახად გადაეცა ევაკუირებული საწარმოები. იალტის კინოსტუდიის საწარმოები გადაეცა თბილისის კინოსტუდიას, ოდესის კონვერტების წარმოება — სახელგამს, როსტოვის დგამების წარმოება ერთ-ერთ ქარხანას, ყირიმის ფეოდოსიის ლიქიორ-არაყის ქარხანა — სამტრესტი სისტემას და სხვ. სათანადო დაწესებულებების ხელმძღვანელებს მტკიცე დავალება მიეცათ ხელწერილ ქვეშ მათი სანიმუშოდ დაცვისა. (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11636, ფურც. 24).

თუ როგორი გულისყურითა და მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ომამდე რესპუბლიკებიდან საქართველოში ევაკუირებულ ყოველგვარ ტვირთს საქართველოს მშრომელები, ჩვენ აქ მხოლოდ ერთ მაგალითზე შეჩერდებით. როგორც ითქვა, ყირიმიდან საქართველოში ევაკუირებულ იქნა ძვირფასი ტვირთი — ყირიმის მეღვინეობა-მეეუნახეობის ინსტიტუტის საცდელ-საკელეე ფართობზე სხვადასხვა დროს დამზადებული ღვინო „მასანდრის“ დიდი მარაგი (106 000 დეკალიტრის ოდენობით). იგი მიღებულ იქნა თბილისში შამპანური ღვინოების ქარხანაში, სადაც 1945 წლამდე, ე. ი. უკან გაგზავნამდე, გულმოდგინედ ინახავდნენ და უვლიდნენ (გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1945, 24 ნოემბერი).

საქართველოს ტერიტორიაზე ათეულ ათასობით ევაკუირებულ მშრომელთა სამუშაოზე მოწყობა, მათთვის საბინაო პირობების შექმნა და საერთოდ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად იქცა.

ევაკუირებულთა სამუშაოზე გამოყენება ომის მძიმე წლებში ხელს უწყობდა საქართველოს რესპუბლიკას ფრონტებზე წასული მუშახელის შეცვლისა და, საერთოდ, სამრეწველო კადრების სიმცირის საფუძველზე შექმნილ სიძნელეთა დაძლევის საქმეში.

თუ სამამულო ომის წლებში ევაკუირებული და მწყობრში ჩამდგარი საწარმოების დიდი ნაწილი ომის დამთავრების შემდეგ მასიურად დაუბრუნდა თავდაპირველ ადგილსამყოფს, ასევე არ ითქმის საქართველოში ევაკუირებული იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც ომის წლებში დაიწყეს მუშაობა საქართველოს სამრეწველო საწარმოებში, აითვისეს პროფესიები და ღირსეულად შეცვალეს ფრონტებზე წასულნი. ომის წლებში საქართველოში ევაკუირებული საბჭოთა მოქალაქეების დიდი ნაწილი საქართველოს მრეწველობის კადრის მუშებად იქცნენ, შეეზარდნენ მას და საქართველო მათთვის მშობლიური მხარე გახდა[90].

დამახასიათებელია, რომ საქართველოს მუშათა კლასი ვიწრო უწყებრივი. საკუთარ საწარმოთა ინტერესებით კი არ იფარგლებოდა. არამედ საერთო სახელმწიფოებრივ, საბჭოთა სამშობლოს დაცვის ინტერესებს უმორჩილებდა მთელ თავის საქმიანობას.

სსრ კავშირის ხალხთა ცალკეული რესპუბლიკების მუშათა კლასის მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავების ნათელი გამომხატველი იყო ძმური საწარმოო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, რომელიც გაპირობებული იყო საბჭოთა სამშობლოს თავდაცვის საერთო ამოცანით. ამ მხრივ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მუშების საწარმოო ძმური თანამშრომლობა, განსაკუთრებით კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში, უმაღლეს საფეხურს აღწევს.

ბაქოს ნავთობის სამრეწველო მაღალკვალიფიციური მუშები ძმურ დახმარებას უწევდნენ საქართველოს ნავთობის საწარმოთა მუშებს. საქართველოს ქვანახშირის მუშები შეუფერხებლად ამარაგებდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის საწარმოებს, რომლებიც ომამდე დომბასიდანაც იღებდნენ ქვანახშირს, ახლა კი მხოლოდ საქართველოდან შეეძლოთ მისი მიღება. საქართველოდან სომხეთში

---

90 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი. ფონდი 14, საქმე 12320, ფურც. 160.

იკზავნებოდა კვალიფიციური მუშები, საჭირო სამრეწველო მასალა და სხვ.

ამიერკავკასიის ეკონომიკა, მისი მრეწველობა და მთელი სახალხო მეურნეობა დიდი სამამულო ომისა და, განსაკუთრებით, კავკასიის დაცვის პერიოდში, გაერთიანდა, ერთ მიზანს დაუმორჩილდა. ის მდიდარი გამოცდილება თანამშრომლობისა, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდში მოიპოვეს ამიერკავკასიის ხალხებმა, მაქსიმალურად იქნა გამოყენებული დიდი სამამულო ომის დროს.

ომის გარკვეულ პერიოდში საქართველოს ქვანახშირის საწარმოებს მთლიანად დააწვა ამიერკავკასიის საწარმოების, ტრანსპორტისა და შავი ზღვის ფლოტის ქვანახშირით უზრუნველყოფის საქმე. რესპუბლიკის ქვანახშირის შახტთა მუშებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ საპატიო ამოცანას. ქვანახშირის ამოღება 1940 წელთან შედარებით 1941 წლისათვის გაზარდეს 6.5 პროცენტით, ხოლო 1942 წლისათვის — 9,1 პროცენტით. ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოების მუშებმა მოძმე სომხეთს მიაწოდეს სპეციალური მარკის ქვანახშირი, რომელიც წინათ დონბასიდან შემოიზიდებოდა. იმისათვის რომ ქვანახშირის მიწოდების გრაფიკი არ დარღვეულიყო, მუშები ერევნელი მეგობრებისათვის ქვანახშირს ზედმეტ საათებში აწარმოებდნენ[91].

ტყიბულელი მუშები 1942 წ. 27 მაისს მოწოდებით გამოდიან და სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად გვევლინებიან სსრ კავშირის ქვანახშირისა და ფიქალის მრეწველობაში[92]. ტყიბულის ქვანახშირის საწარმოები არაერთხელ გამოსულან გამარჯვებულნი სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში. მოწინავეთა რიგებში იდგნენ კომუნისტი მეშახტე მნგრეველი შ. ფურცხვანიძე, ბრიგადირი ა. გიორგაძე და სხვ.

---

[91] ჟურნ. „დროშა", № 9. 1953.

[92] გაზ. „კომუნისტი", 1942, 27 მაისი. რესპუბლიკის ქვანახშირის ისეთი მსხვილი ბაზა, როგორიც იყო ტყიბულქვანახშირის ტრესტის წარმოება, 1941 წლის მუშაობის შედეგებით ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებდა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნებს, რომელიც მას ჰქონდა წაყენებული. 1942 წლის იანვარს ტრესტის მუშაობის გარდაქმნის საკითხი საქართველოს სახკომსაბჭოს მსჯელობის საგნად იქცა. აღინიშნა, რომ 1941 წლის ქვანახშირის ამოღების გეგმა ტრესტმა მხოლოდ 82%-ზე შეასრულა. სახკომსაბჭომ დასახა ტრესტის მუშაობის გარდაქმნის კონკრეტული გეგმა, მისი შექანიზაციისა და მუშახელით მომარაგებით გაუმჯობესების საფუძველზე. ტრესტმა რითმული მუშაობით ნახშირის სადღეღამისო ამოღება სისტემატურად უზრუნველყო 2 ათასი ტონის ოდენობით (ცნობები ჰოგვაქვს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს არქივიდან).

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში ომის წლებში აქტიურად ჩაება ბევრი დონბასელი მაღალკვალიფიციური მუშა, რის საფუძველზე განმტკიცდა რუსი, უკრაინელი და ქართველი მეშახტეების თანამეგობრობა.

საქართველოს ნავთობისა და გუმბრინის წარმოების მუშებმა ომის წლებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. 1932 წელთან შედარებით 1940 წელს საქართველოში მოპოვებულ იქნა ნავთობი 33-ჯერ მეტი, ხოლო 1943 წელს — 46-ჯერ მეტი. 1941 წელს მხოლოდ მირზაანმა 45 ათასი ტონა ნავთობი მისცა ქვეყანას.

სამამულო ომის პერიოდში სამრეწველო საწარმოების, რომლებიც სისტემატურად იზრდებოდა და ფართოვდებოდა, ნორმალურად მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ელსადგურების ენერგეტიკული ეფექტურობის შემდგომ ზრდას და ელენერგიის ხარჯვის ეკონომიას. ეს საკითხი 1942 წლის 12 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური მსჯელობის საგანი ხდება[93].

ომის წლებში რესპუბლიკის ჰიდრო და თბოელექტროსადგურები კარგად მუშაობდნენ და წარმატებით ამარაგებდნენ ელენერგიით მრეწველობასა და ტრანსპორტს. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები ჰქონდა ზაჰესს. მან 1942 წ. საწარმოო გეგმა 107,1% შეასრულა. რიონჰესმა — 101,6%. ამ ჰიდროელსადგურებმა 1943 წლისათვის კიდევ უფრო გააუმჯობესეს მუშაობა. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ისინი არა ერთხელ გამოსულან გამარჯვებული. 1943 წელს ტყვარჩელის თბოელექტროსადგურებმაც პირველი ადგილი მოიპოვა სსრ კავშირში[94].

დიდი სამამულო ომის წლებში რესპუბლიკაში დიდ წარმატებებს მიაღწია მძიმე მრეწველობის ყველა უმნიშვნელოვანესმა დარგმა. მაგ., საქართველოს ლითონდამუშავების მრეწველობა გაიზარდა 2,1-ჯერ, მანქანათმშენებლობა — 4-ჯერ. სამთო ქიმიური მრეწველობა — 2-ჯერ და ა. შ.

მსხვილი მრეწველობის პროდუქციის გამომუშავება 1942 წლისათვის ომამდელ დონეს 10%-ით სჭარბობდა. ამავე 1942 წელს საქართველოს ადგილობრივმა და საკავშირო-რესპუბლიკურმა მრეწველობამ სახელმწიფო საწარმოო გეგმა 101,2% შეასრულა[95]. კერძოდ, 1942 წლის სექტემბერში თბილისის კიროვის სახელობის ჩარხ-

---

[93] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 4, საქმე 12255, ფურც. 26—27.

[94] სამამულო ომის არქივი. ფონდი 4. საქმე 67. ფურც. 2—3.

[95] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 67, ფურც. 2.

მშენებელი ქარხნის მუშებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს, მათ პირველი ადგილი დაიკავეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში[96].

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ ჩვენი სამშობლოს უმძიმეს დღეებში წარმატებით შეასრულა მარგანეცის ამოღების 8 თვის გეგმა, ამასთანავე მაღაროელმა მუშებმა სამშობლოს მისცეს რამდენიმე მილიონი მანეთის მოგება[97].

დიდი წარმატებით მუშაობდნენ საქართველოს ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები. ამ საწარმოთა მუშები, გარდა იმისა, რომ ახერხებდნენ გეგმების წარმატებით შესრულებას, ზეგეგმით მოგებას აძლევდნენ სახელმწიფოს. მაგალითად, მათ თუ 1941 წელს 70,0 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცეს სამშობლოს, 1942 წელს იგი 74 მილიონ მანეთამდე გაზარდეს, ხოლო 1943 წელს — 88,5 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 45,8% მეტი გახდა, ვიდრე ეს იყო 1940 წლისათვის[98].

განსაკუთრებით დიდი წარმატებები ჰქონდა საქართველოს საფეიქრო მრეწველობას მთლიანად და მის ძირითად საწარმოებს. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა წლიური საწარმოო გეგმა 13 დეკემბრისათვის შეასრულა. გეგმის გადამეტებით ფაბრიკამ ქვეყანას მისცა ასეულ ათასობით მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი[99].

კავკასიის მისადგომებთან მოსული ჰიტლერელების წინააღმდეგ ბრძოლა წითელ არმიის ალპური ქვეგანაყოფები და ცალკე შენაერთთა მებრძოლები ჩაცმული იყვნენ საქართველოს სამკერვალო მრეწველობის ფაბრიკებში შეკერილი სპეციალური ტანსაცმლით[100].

საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოები პროდუქტებს ვადაზე ადრე და გეგმაზე გადაჭარბებით აძლევდნენ სამშობლოს. მაგალითად, საქჩაის ფაბრიკებმა გეგმის გადამეტებით გმაოუშვეს 550 ტონა მზა ჩაი[101].

საბჭოთა აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელები, სამრეწველო საწარმოების მუშები წარმატებით ართმევდნენ თავს ომის დიდ სიძნელეებს გმირი ქალაქებისა და კავკასიის დაცვის პერიოდში და მასობრივად ამზადებდნენ თავდაცვის პროდუქტებს

---

[96] სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 1560, საქმე 9, ფურც. 340.
[97] გაზ. „კომუნისტი", 1941, 31 აგვისტო.
[98] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 158, ფურც. 1.
[99] გაზ. „კომუნისტი", 1943, 1 იანვარი.
[100] გაზ. „ბოლშევიკი", 1945, № 3—4, გვ. 56.
[101] გაზ. „კომუნისტი", 1941, 25 დეკემბერი.

და ქმედით დახმარებას უწევდნენ საბჭოთა არმიას. მაგალითად, ბა-ტუმის მანქანათმშენებლობის და მომთუთიებელი ქარხნები, საკონ-სერვო საწარმოები და რკინიგზა დიდი წარმატებით ასრულებენ 1942 წლის გეგმებს[102]. თუმცა ეს არ ითქმის ყველა საწარმოს მიმართ.

რამდენიმე სპეციფიკურ, განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მრეწველობა. კავკასიის დაცვისათვის ბრძოლის პერიოდში მათ უაღრესად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა და უძნელდებოდათ გეგმების შესრულება. მაგალითად, სოხუმის საკონსერვო ქარხანამ 1941 წლის გეგმა თუ 108% შეასრულა, 1942 წლის გეგმის შესრულება მხოლოდ 59.7% შესძლო, სამაგიეროდ 1943 წლის გეგმა 159,1% შეასრულა[103].

საბჭოთა საქართველოს მრეწველობის წარმატებები იარაღ-საჭურველის წარმოების ზრდის საქმეში ხორციელდებოდა არა მარტო რესპუბლიკის მსხვილი, საშუალო და მცირე სიმძლავრის ფაბრიკა-ქარხნებში, არამედ თავდაცვის პროდუქციის წარმოებაზე მასობრივად გადაყვანილ სარეწაო კოოპერაციის სისტემაში გაერთიანებულ წვრილ, ნახევრად შინამრეწველურ საწარმოო გაერთიანებებშიც.

იმის ნათელსაყოფად თუ რაოდენ გარდაქმნეს მუშაობა საქართველოს წვრილმა, ნახევრად შინამრეწველურმა საწარმოებმა და-

[102] გაზ. „ბატუმსკი რაბოჩი", 1943, 25 მარტი.

[103] თუ როგორი გაელენა მოახდინა რესპუბლიკის მრეწველობაზე ჰიტლერელთა ურდოების მოსელამ კავკასიის მისადგომებთან და როგორ გაართულა გეგმების შესრულება ფრონტისპირა რაიონებში, ჩვენ აქ მაგალითისათვის აკიღებთ ქალაქ სოხუმის (სადაც ძირითადად კონცენტრირებულია აფხაზეთის მთავარი სამრეწველო საწარმონი) სამრეწველო საწარმოთა მიერ გეგმების შესრულების დინამიკას 1941, 1942 და 1943 წლების მანძილზე.

რესპუბლიკური მნიშვნელობის სოხუმის საწარმოებმა (საკონსერვო, თამბაქოს. საკონდიტრო, ტყავ-ფეხსაცმელების, თევზის. ხორეკომბინატის, ლიმონათის და სხვ.) თუ 1941 წელს წლიური საწარმოო გეგმა მთლიანად 104% შეასრულეს, 1942 წელს გეგმა მხოლოდ 84.1% ძალიან იქნა შესრულებული, ხოლო 1943 წელს ამავე საწარმოებმა წლიური საწარმოო გეგმა გადაჭარბებით (105,6%) შეასრულეს.

ასევე ითქმის აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა შესახებ. მაგალითად, თუ მათ 1940 წელს გეგმა 107,2% შეასრულეს, 1942 წელს გეგმის შესრულება 94,1% აღწევდა, ხოლო 1943 წელს 100,9% გადააჭარბა.

აფხაზეთის სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა 1941 წელს გეგმა 98,7% შეასრულეს, 1942 წელს — 65.8%. ხოლო 1943 წ. — 103,5%. სულ აფხაზეთის მრეწველობამ 1941 წელს გეგმა შეასრულა 100,7%, 1942 წ. — 78.5% ხოლო 1943 წელს მდგომარეობა საეუძველიანად შეიცვალა და გეგმა 104,1% შეასრულა (სამ. ომის არქივი, ფონდი 2, საქმე 973. ფურც. 69).

ეს ზრდა კიდევ უფრო დიდი იყო შემდგომ წლებში. მაგალითად, 1944 წლისათვის 1230,6% უდრიდა. მარტო აფხაზეთის 8000 მშრომელი „კავკასიის დაცვისათვის" მედალს იმსახურებს. (გაზ. „კომუნისტი", 1945, 4 მარტი).

მთელი ძალები წარმართეს კავკასიასთან მტრის გასანადგურებლად. ჩვენ მოვიყვანეთ ზოგი დამადასტურებელი ფაქტი საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სისტემის მუშაობიდან. როგორც ტიპიური მაგალითი. ანალოგიური ღონისძიებები იქნა გატარებული სხვა საწარმოო სისტემასა და დაწესებულებებშიც[104].

ომის დაწყების პირველსავე პერიოდში რესპუბლიკის საწარმოების ამ უბანზეც საფუძველი ჩაეყარა .სავსებით ახალ დარგებს. ისეთებს, როგორიცაა ცხენოსანთა სამხედრო ნაწილისათვის საჭირო მოწყობილობათა—უნაგირების. ნალების. აღვირების და სხვ. წარმოება. ფინური საომარი დანების, მეკავშირეებისათვის იარაღების, ყუმბარებისა და ნაღმების კორპუსების. სამიზნე ყუთების. ნაღმტყორცნების ნაწილების და სხვ. წარმოება. ასევე სამხედრო სპეცდაკვეთების შესრულებას საწარმოო კოოპერაციის სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. დაკანონდა 3 ცვლიანი მუშაობა. გადაჯგუფდა და გადაკეთდა ბევრი მანქანა-იარაღი თავდაცვის პროდუქტების დამზადებისათვის. ხოლო იქ, სადაც იარაღები და მანქანები არ ჰყოფნიდათ, მუშები ხელით წარმოებას მიმართავდნენ. ამ საშუალებებით შექმნილი თავდაცვის პროდუქციის სახეობები. რომლებიც ძირითადად ომის პერიოდში იქნა ათვისებული. რაოდენობით 265-ს აღემატებოდა[105]. სამკერვალო და სატრიკოტაჟო საწარმოები სამხედრო ტანსაცმელთა შეკერვას, რემონტს და რეცხვა-დეზინფექციას მონდომებით კიდებენ ხელს. ამ საქმეში ასევე ჩაბმულ იქნა სახლში მომუშავე დიასახლისები. ფრონტელთა ოჯახები და სხვ.

ამგვარი მუშაობის შედეგად ამიერკავკასიის ფრონტის საინტენდანტო სამმართველომ არა ერთგზის გამოუცხადა მადლობა და დააჯილდოვა წარმოების მოწინავე ხელმძღვანელები და მუშები.

ასევე თავი გამოიჩინა საქართველოს სარეწაო საბჭოს ინვალიდთა კოოპერაციის სისტემაში შემავალმა ბევრმა საწარმომ, რომლებიც გაერთიანებული იყო 113 არტელში.

ომამდე თუ ეს არტელებიც ფართო მოხმარების საგნებს ამზა-

---

[104] საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საწარმოები თუ დიდ სამამულო ომამდე უშვებდნენ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საოჯახო და სამეურნეო ფართო მოთხოვნილებათა პროდუქტებს, როგორიცაა, ვედრები. საწოლები, სახ. სამეურნეო იარაღები, ბარი, ნიჩაბი, დანა-ჩანგლები, კოვზები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სკამები და სხვა, ომის გამოცხადების დღიდან მთლიანად ფრონტის მოთხოვნით სპეცდაკვეთებზე გადადიან და სისტემატურად ამზადებენ ფრონტისათვის სამარა მასალებსა და იარაღებს (სამ ომის არქივი, ფონდი 5, საქმე 792).

[105] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 73, ფურც. 13—16.

დებდნენ, 1941 წ. სექტემბრიდან მათი უმრავლესობა ფრონტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მუშაობდა[106].

საქართველოს მუშათა კლასის ამ პატრიოტულმა თავდადებამ, კავკასიისა და გმირი ქალაქების დაცვისათვის იარაღ-საჭურველთა პროდუქციის ახალ-ახალი ასორტიმენტების ათვისება-წარმოებისა და გადიდების საქმემ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. მარტო 1942 წლის განმავლობაში საქართველოს საწარმოებმა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელი კოლექტივის დაუღალავი მუშაობის შედეგად ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო 152 სხვადასხვა სახის სპეციალური პროდუქციის წარმოება აითვისეს. 1942 წელს 1941 წელთან შედარებით სპეციალური პროდუქციის ახალი სახეები რაოდენობითაც ორჯერ გადამეტებით იქნა გამოშვებული. მრავალასოვანთა და ათასოვანთა მოძრაობის გაშლამ ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინოდ გადიდებას საქართველოს საწარმოებში[107].

ამ წარმატებათა შესახებ საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავზე გაზ. „პრავდა" წერდა: „1942 წლის შემოდგომის მრისხანე დღეებში, როდესაც გერმანელების მიერ ჩრდილო კავკასიის დაკავების გამო, ამიერკავკასიის ფრონტის მომარაგება საჭურველით და საომარი მასალით საბჭოთა კავშირის ცენტრალური ოლქებიდან გაძნელებული იყო, საქართველოს საწარმოები საბჭოთა ჯარებს აწვდიდნენ ათასათასობით ავტომატს, ათასობით ნაღმმტყორცნს, დიდძალ ნაღმს, ხელყუმბარებს და სხვა საომარ მასალას, ასობით საბრძოლო თვითმფრინავს. საქართველოს მუშებს შეუძლიათ სიამაყით გაიხსენონ, რომ მათ მიერ გამოშვებული საჭურველი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს კავკასიონის კალთებზე მტრის განადგურების საქმეს".

კავკასიის დაცვის დღეებში საქართველოში საფუძველი ეყრება თავდაცვის იარაღ-საჭურველის დიდ წარმოებას, რომელიც შემდგომ წლებში კი არ შემცირებულა, არამედ შეუნელებლად იზრდებოდა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამიერიდან „საქართველოს სსრ

---

[106] მაგ., სისტემამ იწყო წარმოება აირსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების, როგორიცაა: სადეგაზაციო აპარატები, სანიტარული ჩანთები, მესანგრეთა კარვები, იპრიტის საწინააღმდეგო კოსტუმები და სხვა. მოკლე დროში უძუალოდ ფრონტისათვის სისტემამ ძოძახადა 500 ათასი ცეცხლგამჩენი სოპარი ბოთლი სისტემამ აითვისა ავიომრეწველობისათვის საჭირო ფრიად რთული დეტალები (ბენზოკასინი, ბენზოჟილტი და სხვ.). ასევე საპნის ფხვნილის, ტუშის, ოლიფის, და სხვადასხვა საგნების სამხედრო-სანიტარული დანიშნულებისა და ხანძრის საწინააღმდეგო საშუალებათა წარმოებამ მასობრივი ხასიათი ჰქონდა (სამ. ომის ისტ. არქ., ფონდი 4, საქმე 73, ფურცელი 103—107)

[107] გაზ „კომუნისტი", სპეც. გამოშვება, 1943, თებერვალი.

მრეწველობა აწარმოებდა ნაღმმტყორცნელებს, ავტომატებს, ცეცხლმტყორცნელებს, ნაღმებს, ყუმბარებს, ვაზნებს და ა. შ. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა 1943 წლის ბოლოსათვის მოგვცეს ჯარისკაცთა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის 6 მილიონზე მეტი კომპლექტი. რესპუბლიკის ადგილობრივმა მრეწველობამ, რომელიც ძირითადად თავდაცვის პროდუქციას უშვებდა, 1943 წლის გეგმა 113 პროცენტით შეასრულა და 1942 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 24, 5 პროცენტით გაზარდა[103].

კავკასიისა და გმირი ქალაქების დაცვის პერიოდში საქართველოდან, ისე როგორც სსრ კავშირში შემავალი ყველა სხვა მოძმე რესპუბლიკიდან, ფრონტებზე შეუნელებლად მიედინებოდა ჯარის ნაწილებით, იარაღ-საჭურველით, სურსათითა და ტანსაცმლით დატვირთული ეშელონები.

ათასობით ქართველმა მეომარმა დაიმსახურა მთავრობის საპატიო ჯილდო—მედალი მოსკოვისა და სტალინგრადის, ლენინგრადისა და სევასტოპოლის დაცვისათვის. ქართველი ხალხის 120-ზე მეტ საბელოვან შვილს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ასეულ ათასობით ქართველი მეომარი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა. მედალი „კავკასიის დაცვისათვის", გარდა საბჭოთა არმიის მეომრებისა, გადაეცა საქართველოს 50 ათასზე მეტ მშრომელს, იმათ ვინც აქტიურად ეხმარებოდა ფრონტსა და მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში, მტრის განადგურებისათვის გმირულ ბრძოლაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გმირი ქალაქებისა და განსაკუთრებით კავკასიის დაცვასთან დაკავშირებით შექმნილმა ვითარებამ საქართველოსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთელი სახალხო მეურნეობა განსაკუთრებული ამოცანების წინაშე დააყენა. აუცილებელი იყო მთელი სამრეწველო შესაძლებლობის და რესურსების სრული მობილიზაცია დროის საგრძნობლად უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე ამას სხვაგვარ ვითარებაში შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი. გმირი ქალაქებისა და კავკასიის დაცვისათვის წარმოებულ სასტიკ ბრძოლებში საქართველოს მრეწველობამ გამოცდა ბრწყინვალედ დაიჭირა და შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწია. გარკვეეით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მუშათა კლასისა და მისი მრეწველობის ეს გამარჯვება სამამულო ომის მომდევნო წლებში გამრავლდა, ბევრად უფრო

---

[103] „Агитатор и пропагандист Красной Армии," № 5, 1944, გვ 46.

გაიზარდა და არ შენელებულა, რამაც ხელი შეუწყო მტერზე სრულ გამარჯვებას.

გამარჯვება, რომელიც საქართველოს მუშათა კლასმა გმირი ქალაქებისა და კავკასიის დაცვისათვის ბრძოლების პერიოდში მოიპოვა, განუყრელადაა დაკავშირებული იმ უმაგალითო შრომით მაშაცობასთან, რომელიც სსრ კავშირის მუშათა კლასის ერთობლივ პატრიოტულ შრომით გმირობაში ვლინდებოდა. მან ყველაზე უფრო ნათელი გამოხატულება სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში პოვა. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხს აქვე, კავკასიისა და გმირი ქალაქების დაცვასთან დაკავშირებით შეეეხოთ.

6. საქართველოს მუშათა კლასი სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში

შრომის ნაყოფიერებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის. ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში „დიადი თაოსნობა" წერდა, რომ „შრომის ნაყოფიერება, ეს საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად"[109].

კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულმა სსრ კავშირის მუშათა კლასმა შრომის სოციალისტური ორგანიზაციისა და სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდით დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვების საქმეში. ჯერ კიდევ კ. მარქსი შენიშნავდა, რომ „თვითონ საზოგადოებრივი კონტაქტი იწვევს შეჯიბრებას და სასიცოცხლო ენერგიის თავისებურ აღმავლობას, ცალკე პირთა ინდივიდუალური ქმედითი უნარის ზრდას"[110]. შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა დიდი გამოცდილება დააგროვა ომამდელი ხუთწლედების მანძილზე; ომის წლებში ახალ უმაგალითო წარმატებებს აღწევს სოციალისტური შეჯიბრება მისი ახალი ფორმების და შრომის უკეთესი ორგანიზაციის დანერგვის საფუძველზე. ომის უძძიმეს დღეებში, 1942 წლის საპირველმაისო დღესასწაულთან დაკავშირებით გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, მასში მილიონობით მუშების, გლეხებისა და ჰოსამსახურეთა უფართოესი მასების ჩაბმამ და ახალმა შრომითმა

---

[109] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 499.
[110] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 60.

ღმავლობამ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების საბით წარმოშვა ახალი უმაღლესი ფორმა სოციალისტური შეჯიბრებისა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი 1942 წლის საპირველმაისო ლოზუნგებით მოუწოდებდა მშრომელებს ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისაკენ. მშრომელებმა 1 და 2 მაისის დასასვენებელი დღეები საბჭოთა მთავრობის ნებართვით სამუშაო დღეებად აქციეს; მოწინავე საწარმოების მუშებმა წინასაპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებების შენარჩუნებისა და მათი შემდგომი გამრავლებისათვის შემჯამებელ კრებებზე 1942 წლის 1, 2, 3, მაისს პირველად წამოაყენეს იდეა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

კომუნისტურმა პარტიამ იმთავითვე მხარი დაუჭირა მუშების ამ შესანიშნავ ინიციატივას. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა წინადადებანი მეტალურგებისა და ავიამრეწველობის მუშებისა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

საბჭოთა პრესის მეოხებით დაიწყო ამ შესანიშნავი ინიციატივის ფართო პროპაგანდა. ინიციატივა იკისრეს კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა. პირველად 1942 წლის 7 მაისს ისინი გამოვიდნენ მოწოდებით სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. მეტალურგები მოუწოდებდნენ ყველა მშრომელს ფრონტისადმი დახმარების ყოველმხრივ გაძლიერებისაკენ[111].

1942 წ. 14 მაისს გაზეთმა „პრავდამ" მოწინავე მიუძღვნა ამ დიად წამოწყებას. სრულიად საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ სწრაფად მოიცვა მრეწველობის ყველა დარგი და მათი ცალკეული საწარმოები. იგი ასევე სწრაფად გავრცელდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგსა და ტრანსპორტზეც[112].

---

[111] ისინი წერდნენ: „Интересы обороны Родины требуют от всех трудящихся, в первую очередь от нас, металлургов, усиления помощи фронту. Мы с вами должны увеличить выплавку чугуна и стали, выпуск проката, выжиг кокса, добычу руды ... Победа над врагом куется на полях сражений и в тылу у домен, мартенов, прокатных станов, на коксовых батареях, на рудниках

Выше знамя социалистического соревнования" („Правда", 1942, V. 7).

[112] ამერიდან შეჯიბრების ორგანიზაცია, მეთოდები და აღრიცხვის ფორმები ბევრად უფრო კონკრეტული და ქმედითი ხასიათის გახდა. ცალკეულ სამრეწველო საწარმოებში შემოღებულ იქნა საჩვენებელი დაფა, სადაც აღინიშნებოდა გეგმის შესრულება, ამათგან ცალკე იყო გამოყოფილი ფრონტული ბრიგადების საჩვენებელი დაფა, საპატიო დაფა (სტახანოველების სურათებით), სადაც ასახული ყოველდღიური მაჩვენებლები ყოველთვიურად იცვლებოდა. ასევე დაწესდა სტახა-

1942 წლის ივლისიდან მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგში ყოველთვიურად ხდებოდა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება.

გარდამავალი წითელი დროშის მოპოვება და სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება თვითეული საწარმოს, საამქროსა და მუშის ყველაზე უფრო დიდ საპატიო საქმედ ითვლებოდა. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი თავგამოდებით იბრძოდა ასეთი დროშების მოპოვება-დამკვიდრებისათვის. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მასობრივად ჩაბმული საქართველოს მუშები მრავალგზის აღწევენ გამარჯვებას.

საქართველოს მუშები და ცალკე სამრეწველო საწარმოები 1942 წლის მაისშიეე ჩაება სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. დაიწყო მუშათა დიდი მორიგი პატრიოტული მოძრაობა რესპუბლიკის მრეწველობაში ახალი შრომითი აღმავლობისათვის.

ტყიბულელი მეშახტეები მეტად დიდმნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორები გახდნენ. მათი მოწოდებით საფუძველი ჩაეყარა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის ქვანახშირისა და ფიქალის მრეწველობის დარგში.

ტყიბულელ მაღაროელთა ამ პატრიოტულმა ინიციატივამ უდიდესი მხარდაჭერა პოვა მთელ საბჭოთა კავშირში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის სათბობით უზრუნველყოფის საქმეში. ტყიბულელმა მუშებმა ამ ინიციატივას 1942 წლის 27 მაისიდან მისცეს დასაბამი და სამამულო ომის მთელ მანძილზე შეუნელებელ შემოქმედებით შრომით შეჯიბრებაში არაერთგზის მოიპოვეს გამარჯვება.

ნოველთა წიგნაკები, რომლებიც ეძლეოდა იმათ, ვინც გეგმას 200%-ს ასრულებდა. შემოღებულ იქნა პირადი ანგარიშის წიგნი, სადაც იწერებოდა მუშების მიერ ზეგეგმით დამზადებული პროდუქცია, შეტანილი საბჭოთა არმიის ფონდის გასაძლიერებლად. დაწესდა საპატიო სიგელი მოწინავე მუშათა იმ კატეგორიისათვის, ვინც 6 თვის მანძილზე გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს. სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების მუშაკთა და საინჟინერო-ტექნიკურ პერსონალთათვის დაწესდა გარდამავალი დროშები და დიდი რაოდენობის ფულადი პრემიები. ეს გარდამავალი დროშები იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა, სრულიად საკავშირო პროფსაბჭოსა და სათანადო სახალხო კომისარიატისა. გარდა ამისა, შემოღებულ იქნა ადგილებზე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისათვის გარდამავალი დროშები რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური, საოლქო და სამხარეო კომიტეტების, ქალაქკომების, მინისტრთა საბჭოების, სამინისტროების და აღმასკომებისა.

სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთა და პროფსაბჭოს მიერ დამუშავებულ იქნა და პრესაში გამოქვეყნდა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობები. ყოველივე ამან შეჯიბრებას მისცა უაღრესად კონკრეტული და მიზან-

იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ გააუმჯობესეს მუშაობა და გაზარდეს პროდუქციის გამოშვება საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ, ჩვენ აქ თბილისის ცალკეული საწარმოებიდან მოვიყვანთ ზოგიერთ დამახასიათებელ მაგალითს. თბილისის სტალინის რაიონის 26-მა ძირითადმა საწარმომ 1942 წლის მაისის საწარმოო გეგმა 112,1% შეასრულა მაშინ, როცა აპრილის თვეში მათ მიერვე საწარმოო გეგმის შესრულება 104,5%-ს არ აღემატებოდა.

თბილისის კალინინის სახელობის ქარხანას, რომელიც ომის პირველსავე დღეებიდან თავდაცვის პროდუქციის წარმოებაზე იქნა გადაყვანილი, თუ აპრილის თვის გეგმა 138,1% ჰქონდა შესრულებული, მაისის თვეში გეგმა 151,1% შეასრულა, მათ შორის სპეცდაკვეთისა—189%, ხოლო 1942 წლის 6 თვის გეგმა ვადამდე ერთი თვით ადრე შეასრულა. ქარხანამ გაზარდა შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულ 5% ნაცვლად 7,8%-მდე და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება 20 პროცენტით მასალის, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ეკონომიის გზით. წარმოებაში იმ მუშების რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებდნენ გეგმებს, ყოველთვიურად მცირდებოდა. მაგალითად, 1942 წ. 1 აპრილისათვის თუ გეგმა 30 მუშამ ვერ შეასრულა, 1 მაისისათვის მათი რიცხვი 20 კაცამდე, 1 ივნისისათვის 15 კაცამდე და 1 ივლისისათვის 10 კაცამდე შემცირდა.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის საფუძველზე კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს თბილისის

სწრაფვითი ხასიათი, რაც ხელს უწყობდა მის შემდგომ განვითარებას. ამ ღონისძიებებმა გააძლიერეს სოციალისტური შეჯიბრება ყოველი საწარმოს შიგნით, მის ცალკე უბნებსა, რგოლებსა და მუშებს შორის. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაირთო და ახალ საფუძველზე განვითარდა მრავალდაზგოსანთა მოძრაობა. მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ათასოვანთა მოძრაობას, რომელსაც „ზურგში მოქმედ გვარდიელებს" უწოდებდნენ. გაძლიერდა შეჯიბრება საწარმოო გეგმების ვადაზე ადრე შესრულებისათვის და ზეგეგმით წარმოებული პროდუქციიდან საბჭოთა არმიის მთავარსარდლობის განსაკუთრებული ფონდის შექმნისათვის, რომლის ინიციატორი კუიბიშეველი მუშები იყვნენ. საბჭოთა არმიის ფონდის შექმნისათვის მოძრაობამ უაღრესად ფართო ხასიათი მიიღო. ფაბრიკა-ქარხნებსა და შახტებში შეჯიბრებაში ჩაბმული თვითეული მოწინავე მუშისათვის შემოღებულ იქნა „პირადი ანგარიშის" ფურცელი, სადაც მუშებს შეჰქონდათ ყოველთვიური შენატანი საბჭოთა არმიის ამ ფონდში. მუშების მიერ ზეგეგმით გამომუშავებული პროდუქცია საბჭოთა არმიას აძლევდა დამატებით საბრძოლო მანქანებს, ტანკებს, თვითმფრინავებს, ჯავშნოსნებს, ავტომატებს, ზარბაზნებს და ა. შ. (სამამულო ომის ისტ. არქივი, ფონდი 35, საქმე 162, ფურც. 10).

მაუდ-კამვოლის ფაბრიკისა და თბილისის კუიბიშევის სახელობის ქარხნის კოლექტივებმა[113].

ქვანახშირის, მარგანეცის, ნავთობთა და რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ყველა წამყვან დარგებში დიდი შრომითი აღმავლობა დაიწყო. კერძოდ, ნავთობის მრეწველობაში სტახანოვური მოძრაობის შეუნელებელ ზრდაზე წარმოდგენას იძლევა ცხრილი 5[114].

ცხრილი 5

წლები	1942	1943	1944	1945
სტახანოველების რაოდენობა	309	334	368	522
დამკვრელთა რაოდენობა	230	254	283	413

1942 წლის მაისიდან რესპუბლიკის მრეწველობის, მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა ხორციელდებოდა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, მასთან მზა პროდუქციის შემდგომი რაოდენობრივი ზრდა უშუალოდ იყო დაკავშირებული გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ზრდასთან. მაგალითად, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში 1942 წლის აპრილში თუ პირველი ხარისხის პროდუქცია მთლიანი პროდუქციის მხოლოდ 75,8% იყო, მაისის თვეში პირველხარისხოვანი პროდუქცია 84,8%-მდე გაიზარდა[115].

საქართველოსა და ამიერკავკასიის რკინიგზისა და სხვა სახის ტრანსპორტის მუშაობის უმთავრეს ობიექტად ამ პერიოდში კვლავ რჩებოდა ქვანახშირის, მარგანეცის, ნავთობის პროდუქტების, ხეტყისა და სახალხო მეურნეობის ბევრი სხვა დარგის ტვირთის გადაზიდვა. ამასთანავე დიდი წარმატებით სრულდებოდა სამხედრო დაკვეთები. ამ მუშაობას რკინიგზამ წარმატებით გაართვა თავი. კომპლექსური შეჯიბრების საფუძველზე რკინიგზელებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სამთამადნო საწარმოებსა და ცალკე უბნების მუშებთან. რკინიგზელები პირობას დებდნენ და ვალდებულებას კისრულობდნენ დაუყოვნებლივ გადაეზიდათ მთელი ის ქვანახშირი, მარგანეცი, ნავთობი, გუმბრინი და სხვ., რასაც მეშახტეები და ნავთობის მრეწველობის მუშები ამოიღებდნენ.

---

113 სამამულო ომის ისტ. არქივი, ფონდი 5, საქმე 162, ფურც. 11.
114 საქართველოს კპ (ბ) XIII ყრილობა, სტენოგ. ანგ., გვ. 19.
115 სამამულო ომის ისტ. არქივი, ფონდი 5, საქმე 162, ფურც. 10—11.

საქართველოს რკინიგზელთა რიგებიდან გამოჩნდნენ შესანიშ-ნავი, ინიციატივიანი რაციონალიზატორები, რომელთა მიღწევები საბჭოთა ქვეყნის ყველა რკინიგზელისათვის გახდა ცნობილი და შისაბაძი. მაგ., თბილისის უბნის მოძრაობის განყოფილების მორიგე რკინიგზელმა ს. ებრალიძემ მოაწყო ვაგონ-საათების ეკონომიის პირადი ანგარიშის წარმოება, რითაც დიდად შემცირდა ვაგონების გაცდენა. ებრალიძის ცვლამ 9 თვის მანძილზე 914 ვაგონ-საათის ეკონომია მიიღო, რაც რამდენიმე ათეული ეშელონის გამონთავისუფლებას უდრიდა[116].

საქართველოს მუშათა კლასი ფიცს დებს სტალინგრადელ გმირ მეომრებთან, რომ იგი ყოველმხრივ გააძლიერებს ფრონტისადმი დახმარებას მტერზე გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა საქართველოს მუშათა კლასმა მრავალგზის მოიპოვა მნიშვნელოვანი გამარჯვება; 1942 წლის ივლისში თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა და 190 ათასი მან. ფულადი პრემია მიიღო[117]. 1942 წლის სექტემბერში კიროვის სახ. თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი მოიპოვა, ხოლო ვ. ი. ლენინის სახ. ზაჰესის კოლექტივმა—მეორე[118]. და ა. შ.

სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში არაერთგზის ხვდათ წილად გამარჯვება საქართველოს რკინიგზელებს და სარკინიგზო მეურნეობას. მაგალითად, 1942 წლის ივნისში ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივმა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში მეორე ადგილი მოიპოვა სსრ კავშირის გზების საელმავლო დეპოებს შორის[119].

საქართველოს რკინიგზელებმა განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს 1943 წელს. ამიერკავკასიის რკინიგზელებთან ერთად მათ შეინარჩუნეს თავდაცვის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთგზის გაიმარჯვეს და პირველი პრემია დაიმკვიდრეს. ისინი სისტემატურად ასრულებდნენ ტვირთბრუნვის გეგმებს[120].

---

[116] გაზ. „კომუნისტი", 1945, 5 აგვისტო. ბათუმელი რკინიგზელის მანჯგალაძის ახალმა მეთოდმა, მატარებელთა შედგენისა და დაშლის სწრაფად ჩატარების შესახებ, გავრცელება პოვა ამიერკავკასიის რკინიგზის თითქმის ყველა სადგურზე. სამტრედიელმა მემანქანემ ამხ დ. კოხრეიძემ პირველმა აითვისა შავი ზღვის რკინიგზის უბანზე მატარებელთა სწრაფი ტარების წესები

[117] გაზ. „კომუნისტი", 1942, 15 აგვისტო.

[118] სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი, განყ. X, საქმე 16, ფურც. 340.

[119] საქართველოს კპ (ბ) XIV ყრ., სტ. ანგარ., გვ. 201.

ამიერკავკასიის რკინიგზას ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეჭირა. სსრ კავშირის გზათა შორის. მას ომის წლებში 14 თვის მანძილზე მტკიცედ ეპყრა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მან სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში არაერთგზის მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება და სამამულო ომის დასასრულს სამარადისო შესანახად მიიღო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დროშა[121]. ომის პერიოდში საქართველოს 4 რკინიგზელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, საქართველოს და ამიერკავკასიის 2747 რკინიგზელი მთავრობის ჯილდოთი—ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო 4619 კაცი—დამკვრელისა და წარჩინებულის ნიშნით.

საბჭოთა საქართველოს სამრეწველო საწარმოების მიერ საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულება და მრეწველობის პროდუქციის ზრდა უშუალოდ იყო დაკავშირებული შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან. ამის შესაბამისად ყოველწლიურად იზრდებოდა სამრეწველო საწარმოთა მოგების ანარიცხები, რაც ჩვენი ქვეყნის სამხედრო ეკონომიკის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. მაგალითად, მოგების ანარიცხების შემოსავალი ბიუჯეტში 1940 წელს თუ 204,6 მილ. მანეთს უდრიდა, 1941 წელს 260,4 მილ. მან., 1942 წელს 329,4 მილ. მან., ხოლო 1943 წელს 305,6 მილ. მანეთს მიაღწია[122].

საქართველოს მუშათა კლასის მამაცური და გმირული შრომა, პატრიოტიზმი და თავდადება ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას. საბჭოთა საქართველოს ფაბრიკებისა და ქარხნებში დამზადებული იარაღ-საჭურველი რისხვად ატყდებოდა ჰიტლერელებს.

სსრ კავშირის ეკონომიკის ზრდა და განვითარება დიდი სამამულო ომის პერიოდში ხორციელდებოდა მშრომელთა არა გაღატაკებისა და განადგურების საფუძველზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა და აქვს კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების გზით. ომის წლებში მშრომელთა

---

[120] გაზ. „კომუნისტი", 1946, 25 ივნისი. გარდამავალი წითელი დროშების რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა, დაზუსტებული მონაცემებით იგი ყოველთვიურად ხელიდან ხელში გადადიოდა, 1942 წელს მათი რიცხვი 326 უდრიდა, 1943 წელს — 605, 1944 წ. — 828, ხოლო 1945 წელს — 1041 (С. Р. Гершберг, Всесоюзное социалистическое соревнование работников промышленности, „Вопросы истории", № 5, 1955, გვ. 37.)

[121] გაზ. „კომუნისტი", 1945, 5 აგვისტო.

[122] კ. ციმაკურიძე, მოხსენება საქართველოს სსრ I ბოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესიაზე, „ბოლშევიკი", № 3, 1944, გვ. 26.

მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა ხდებოდა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ბაზაზე.

მუშათა კვალიფიკაციისა და ხელფასის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მუშათა გეგმური მომარაგება, ფართოვდებოდა დამხმარე მეურნეობისა და მუშებისათვის ინდივიდუალურ სარგებლობაში გადაცემული საბოსტნე ნაკვეთების ქსელი და წარმატებით ხორციელდებოდა ომის პერიოდისათვის დამახასიათებელ სასურსათო სიძნელეთა დაძლევა. კოლმეურნე გლეხობა ქმედით დახმარებას უწევდა მუშათა კლასს სურსათით უზრუნველყოფის საქმეში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგთა შესწავლა საფუძველს გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთებისათვის:

1. ეს შეჯიბრება წარმოადგენს საყოველთაო-სახალხო პატრიოტულ მასობრივ მოძრაობას, რომელიც უმაღლესი საფეხურია სოციალისტური შეჯიბრების განვითარების ისტორიაში.

2. სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ამასთანავე უაღრესად კონკრეტული და ღრმა პატრიოტული მოძრაობაა, რომელიც ექვემდებარება ერთ მიზანსწრაფვას—უზრუნველყოს საბჭოთა არმია ყველაფრით, რაც კი საჭიროა მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

3. ეს მოძრაობა წარმოადგენს შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის უახლეს მეთოდს და მძლავრ წყაროს შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის დიდი სამამულო ომის მძიმე პერიოდში. სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება გახდა საბჭოთა პატრიოტიზმის და შრომითი გმირობის გამოვლინების ყველაზე უფრო მასობრივ ფორმად საბჭოთა არმიის ზურგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

4. სოციალისტური შეჯიბრების ამ უახლოესი ორგანიზაციის ხასიათსა და ფორმებს განსაზღვრავდნენ ის ამოცანები, რომლებიც იდგა სახალხო მეურნეობის წინაშე დიდი სამამულო ომის შემდგომ ეტაპზე. რაც შეეხება სამამულო ომის პირველ ეტაპს, ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ ეტაპზე შრომითი გმირობის საფუძველზე განხორციელდა სახალხო მეურნეობის რეორგანიზაცია, მისი გადაადგილება და გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე, სამოქალაქო მრეწველობის მიერ თავდაცვის მზა პროდუქციის წარმოების პროცესების ათვისება და კვალიფიციური კადრების მომზადება.

5. სამამულო ომის მსვლელობაში ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ძირითადი გარდატეხა დაიწყებოდა, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე დაისვა უაღრესად რთული ამოცანა, რომელიც მოითხოვდა მრეწველობის ახალი აღმავლობისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფას. მრეწველობის მუშაკთა მიერ წამოწყებული სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც გაჩაღდა 1942 წლის მაისიდან, განაპირობებდა არა მარტო გმირი ქალაქებისა და კავკასიის დაცვის წარმატებით განხორციელებას, არამედ იგი ამასთანავე ამზადებდა მკვიდრ ნიადაგს დიდი სამამულო ომის ძირითადი გარდატეხისათვის.

საქართველოს მუშათა კლასი სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მასობრივი მონაწილეობით ომის უმძიმეს წლებში კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა სსრ კავშირში გაერთიანებული მოძმე ხალხების მუშათა კლასს.

7. საქართველოს მუშათა კლასის მიღწევები დიდი სამამულო ომის ძირეული გარდატეხის პერიოდში

საქართველოს მუშათა კლასი მასზე დაკისრებულ ისტორიულ მისიას დიდი სამამულო ომის პერიოდში მეტისმეტად რთულ და უაღრესად დაძაბულ პირობებში ახორციელებდა. საქართველო, როგორც დავრწმუნდით, არ იყო ზურგის ჩვეულებრივი რაიონი მას შემდეგ, რაც ბრძოლები კავკასიის მისადგომებზე გაჩაღდა და საქართველო ფრონტისპირა რაიონად იქცა, როცა მტერი ახერხებს გამოჭრას რესპუბლიკის ტერიტორიის ჩრდილოეთ საზღვრებზე, აძლიერებს ქალაქების, სოფლებისა და რკინიგზის კვანძების დაბომბვას, რამაც უკიდურესობამდე გაართულა რესპუბლიკის ისედაც გართულებული მდგომარეობა. ამ ეტაპზე საქართველო ზურგიც იყო და ფრონტიც, რომელსაც დიდი საშიშროება ემუქრებრდა. 1942 წელი მეტად მძიმე იყო საქართველოს მშრომელთათვის. მაგრამ რესპუბლიკა ამ მდგომარეობიდან მოკლე დროში იქნა გამოყვანილი. სტალინგრადთან მოპოვებულმა ისტორიულმა გამარჯვებებმა დასაბამი მისცეს ძირეული გარდატეხის პერიოდს, და 1943 წლიდან საქართველო თანდათანობით ღრმა ზურგი ხდება.

ახალი ვითარებით შექმნილი ხელსაყრელი პირობები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სწრაფ აღმავლობას აძლევს დასაბამს. საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მშრომელთა ფრონტული მუშაობით 1943 წელი პრწყინვალე წარმატებებით ხასიათდება.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მსვლელობაში ძირითადი გარდატეხის წელს (1942 წ. ბოლოდან 1943 წლის დასას-

რულამდე), გარდა იმისა, რომ საბჭოთა არმიის მძლავრი დარტყმებით ჰიტლერელთაგან განთავისუფლებულ იქნა დროებით ოკუპირებული საბჭოთა მიწა-წყლის თითქმის ორი მესამედი, ამასთანავე საბჭოთა ზურგში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე, ძლიერდება როგორც ფრონტისადმი დახმარება, ასევე დახმარება ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონებისადმი და იწყება მათი სწრაფი აღდგენის პროცესი.

სამამულო ომის ისტორიის მეცნიერულად გამოკვლევისათვის ამ ღირსშესანიშნავი პერიოდის სწორად გაგებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის თვით დანარჩენი პერიოდების მეცნიერულად შესწავლისათვისაც. ძირეული გარდატეხის წელი, როგორც აღინიშნა, სტალინგრადის ისტორიული გამარჯვების სახელთანაა დაკავშირებული. ცნობილია, რომ 1942 წლის 19 ნოემბერს საბჭოთა არმია სტალინგრადთან კონტრშეტევაზე გადავიდა. მან სასტიკი ბრძოლების შემდეგ შესძლო ალყაში მოექცია მტრის ძლიერი დაჯგუფება და როცა მან არ მიიღო საბჭოთა სარდლობის წინადადება იარაღის დაყრისა და ტყვედ ჩაბარების შესახებ, დაიწყო მტრის ამ უზარმაზარი დაჯგუფების განადგურება, რაც. თითქმის ერთ თვეს (1943 წ. 10 იანვრიდან 2 თებერვლამდე) გაგრძელდა. სტალინგრადის ამ ისტორიულ ბრძოლებში 330 000 ჰიტლერელი დამპყრობელი დასამარდა და დატყვევდა. ისე რომ სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო, რომლის შემდეგ გერმანელებმა ვეღარ შეძლეს წელში გამართვა-გასწორება.

გარდატეხის წელი, სხვა გამარჯვებათა შორის, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევასთანაა დაკავშირებული. 1943 წლის 12 იანვარს ლენინგრადის დამცველი გმირული საბჭოთა არმია ხანგრძლივი ბლოკადისაგან თავის დასაღწევად დიდ შეტევაზე გადავიდა რამდენიმე მიმართულებით. 6 დღის სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჰიტლერელები დამარცხდნენ. ლენინგრადი განთავისუფლდა ბლოკადისაგან. ასევე სასტიკ დამარცხებას განიცდის მტერი კავკასიის მისადგომებთან. კავკასიის დაცვა დაემთხვა სტალინგრადის ისტორიულ ბრძოლებს და მტერს შესაძლებლობა არ მეცა კავკასიის ფრონტიდან ძალების გადასროლისა სტალინგრადისაკენ[123].

---

[123] „На Кавказе советские войска сковали на долгое время крупные силы врага, поэтому в самый напряженный момент битвы под Сталинградом немецко-фашистское командование не могло усилить свою группировку в районе Сталинграда за счет сил группы армий „А" (Важнейшие операции Великой Отечественной войны, М., 1956, сз. 147—148).

1943 წლის 3 იანვარს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები "შეტევაზე გადავიდნენ. გადალახეს თერგი და გაათავისუფლეს მოზდოკი, ნალჩიკი და მინერალური წყლების რაიონი. მათ შეძლეს ჰიტლერული არმიის კავკასიის დაჯგუფების მოკვეთა როსტოვის ნაწილთაგან, დაანაწევრეს იგი ცალკე ნაწილებად და მეთოდურად შეუდგნენ მათ განადგურებას. ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შავი ზღვის დაჯგუფებამ 1943 წლის 12 თებერვალს კრასნოდარი გაათავისუფლა. გენერალ ლესელიძის მეთაურობით მოქმედმა ჯარებმა იერიშები მიიტანეს მტერზე და ნოვოროსისკიც იხსნეს. ჩრდილო კავკასია განთავისუფლდა ჰიტლერელთაგან მოკლე დროში და ბრძოლა კავკასიისათვის საბჭოთა არმიის გამარჯვებით დამთავრდა. ჰიტლერელთა იმედები ბაქოს ნავთობის, საქართველოს მარგანეცის, ქვანახშირისა და ამიერკავკასიის მთელი სიმდიდრის ხელში ჩაგდების შესახებ, საპნის ბუშტივით გაქრა.

დაიწყო ჰიტლერელთა მასობრივი განდევნა ოკუპირებულ საბჭოთა მიწა-წყლიდან, ფართოდ გაცხოველდა მზადება 1943 წლის ზაფხულის კიდევ უფრო დიდი მასშტაბის ახალი ოპერაციებისათვის.

ფაშისტური არმიის სარდლობის რწმენა, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ინგლის-ამერიკის მმართველი წრეებიც, იმის შესახებ, რომ საბჭოთა არმია ზაფხულში უუნაროა დიდი მასშტაბის შეტევების წარმოებისათვისო, გაქარწყლდა. საბჭოთა არმიამ 1943 წლის ზაფხულში უდიდესი მასშტაბის შეტევითი ოპერაციები განახორციელა, კურსკის, ორიოლის და დნეპრისათვის წარმოებულ სასტიკ ბრძოლებში დაამარცხა ფაშისტური არმიები და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მტერს.

საბჭოთა არმიის ეს ისტორიული გამარჯვებანი განუყრელად იყო დაკავშირებული მისი შეიარაღების უმაგალითო წარმატებებთან, რაც საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასის გმირული შრომით იყო მიღწეული. ომების ისტორიას არასოდეს არ ახსოვს ტექნიკის ისეთი დიდი რაოდენობით გამოყენების მაგალითი, როგორსაც ადგილი ჰქონდა 1943 წ. ზაფხულში კურსკის ბრძოლებში. აქ საბჭოთა არმიის ფრონტის ყოველ კილომეტრზე 100—150 ტანკი და 100—200 ქვემეხი მოდიოდა. შეიარაღების ასეთმა უპირატესობამ და მეომრების გმირობამ 1943 წ. ზაფხულში დასაბამი მისცა საბჭოთა არმიის დიდ შეტევებს და ისტორიულ გამარჯვებებს კურსკის, ორიოლის და ბელგოროდის ბრძოლებში. მოკლე პერიოდში განთავისუფლებულ იქნა ხარკოვი და დაიწყო ოპერაციები დონბასის, უკრაინისა და ბელორუსიის გასაწმენდად ჰიტლერელთაგან. ამრიგად, „თუ სტალინგრად-

თან ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა"[124].

1943 წელი წარმოადგენდა გარდატეხის წელს არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი ანტიფაშისტური კოალიციისათვისაც. სწორედ ამ წელს დაიწყო ფაშისტური ბლოკის დაშლა. ფაშისტური გერმანიის მთავარი მოკავშირე—იტალია, საბჭოთა ფრონტებზე სასტიკი დამარცხებისა და მოკავშირეთა დარტყმების შედეგად მწყობრიდან იქნა გამოყვანილი. 1943 წლის სექტემბერში. იტალიის უსიტყვო კაპიტულაცია მოხდა და ამიერიდან ჯერი მიდგა ფაშისტური ბლოკის სხვა მონაწილეებზე.

საბჭოთა კავშირის სწორმა საგარეო პოლიტიკამ ჩაშალა ინგლის-ამერიკის რეაქციული ელემენტების ყოველგვარი ცდა დაედოთ საიდუმლო საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან საბჭოთა მთავრობისაგან ფარულად და მოეხდინათ მისი იზოლირება.

1943 წლის ნოემბრის ბოლოს თეირანში მოწვეულ იქნა სამი დიდი მოკავშირე სახელმწიფოს მეთაურთა თათბირი, სადაც მიღებულ იქნა დეკლარაცია გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთიანი ძალებით მოქმედებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ. ასე რომ 1943 წლიდან ომი შევიდა იმ სტადიაში, როცა საქმე ეხებოდა საბჭოთა მიწა-წყლიდან ოკუპანტების მთლიანად განდევნას და ფაშისტური „ახალი წესრიგის" ლიკვიდაციას ევროპაში[125].

ძირეული გარდატეხის 1943 წელი ასევე ახალ ეტაპად იქცა საბჭოთა არმიის ზურგის განმტკიცებისა და საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

1943 წლის მანძილზე საბჭოთა ქვეყნის მრეწველობა სწრაფი ტემპებით იზრდებოდა. მაგალითად, თუჯის გამოდნობა გაიზარდა 20%, ფოლადისა—12% და ა. შ. მთლიანად მრეწველობის მზა პრო-

---

[124] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, გვ. 226.

[125] ცნობილია, რომ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა იკისრეს სამოკავშირეო ვალდებულება და პირობა დასდეს მეორე ფრონტი გაეხსნათ 1942 წელს. მაგრამ ეს ვალდებულება არ იქნა შესრულებული არც 1942 წელს და არც 1943 წელს.

ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური წრეები ყოველმხრივ აპიანურებდნენ მეორე ფრონტის გახსნას, ოცნებობდნენ იმაზე, რომ გერმანიის ფაშიზმს რაც შეიძლება მალე დაემარცხებინა საბჭოთა კავშირი. მაგრამ, როცა ეს ოცნება შეუძლებელი აღმოჩნდა და ეიმედოც, მაშინ ისინი იმ მოსაზრებას დაადგნენ, რომ უკიდურესობამდე დასუსტებულიყო საბჭოთა ქვეყანა ამ ომში. ისინი ასე მსჯელობდნენ: „ძლიერი მოკავშირე საშიშია. სჯობს სუსტი მოკავშირე გყავდეს, ვიდრე ძლიერი, ხოლო თუ მოკავშირე მაინც ძლიერდება, უნდა მიიღო ზომები მის დასასუსტებლად". მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა, ომის მსვლელობაში საბჭოთა სახელმწიფო კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა (ისტორიის ფალსიფიკატორები (ისტორიული ცნობა), თბილისი, 1944, გვ. 78—79).

დუქციის გამოშვება 1942 წელთან შედარებით 17%-ით გაიზარდა. გადიდდა შრომის ნაყოფიერება და უმაგალითოდ შემცირდა სამხედრო მზა პროდუქციის თვითღირებულება[126].

სამხედრო მრეწველობის მზა პროდუქციაზე ფასები 1942—1943 წლების მანძილზე 35 მილიარდი მანეთით იკლებს 1940 წელთან შედარებით[127]. 1942 წლის ბოლოს თვითეული ავიო გასროლ, 60%-ით, ხოლო ნაღმტყორცნის — 50%-ით უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს[128].

ამრიგად, 1942—1943 წლებში საბჭოთა კავშირის გასამხედროებული მრეწველობის პროდუქციის ზრდა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისა და შრომის უკეთესი ორგანიზაციის განუხრელი აღმავლობის შედეგად, დიდ წარმატებებს აღწევს. ამასთან სამხედრო-სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება აჭარბებდა ვერაგი მტრის განადგურების საქმეს[129].

შრომის ნაყოფიერების განუხრელად ზრდა და თვითღირებულების შემცირება უმაგალითოდ დიდ წარმატებებს აღწევდა სამხედრო მრეწველობის გადამწყვეტ დარგებში. მაგ., დაწყებული 1942 წლის ნახევრიდან, ომის 2 წლის მანძილზე, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში საერთოდ 40% გადიდდა, სატანკო მრეწველობაში კი 43%, საავიაციო მრეწველობაში—47%, იარაღ-საჭურველთა წარ-

---

[126] ასევე დიდი იყო წარმატებები სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგებში. 1943 წ. ნათესი ფართობი 6 მილიონი 400 ათასი ჰექტარით გადიდდა. გაიზარდა მოსავალი. ომით დაზარალებულ რაიონებს ზურგის რაიონებიდან 1943 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე 1 723 000 პირუტყვი გაეგზავნა. ამავე პერიოდში აღდგენილ იქნა 326 460 ბინა, 122 რკინიგზის სადგური, 3536 „კაზარმა". 1943 წ. სასწ. წლის დასაწყისს რსფსრ განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენილი იყო 23805 სკოლა, უკრაინაში 1944 წ. მუშაობდა 10 000 სკოლა, 38 უმაღ. სასწ., 90 ტექნიკუმი, 800 საავადმყოფო, 150 კინოთეატრი, 2500 კლუბი Десятая сессия Верховного Совета СССР, Стеногр. отчет, 1944, გვ. 15.

[127] Десятая сессия Верховн. Совета СССР, Стеногр. отч., М., 1944, გვ. 15.

[128] В. С. Телпуховский, Великая Отечественная война Советского Союза, 1941—1945 гг., М., 1952. გვ. 147.

[129] საესებით საწინააღმდეგო მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მეფის რუსეთში პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში, როცა სისტემატურად იზრდებოდა ფასები სამრეწველო სამხედრო დანიშნულების მზა პროდუქციაზე. მაგალითად, 1913 წლიდან 1916 წლამდე მანქანათმშენებლობის საწარმოთა სამრეწველო პროდუქციის ფასები 200-დან 954 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. ე. ი. თითქმის 5-ჯერ, — თუ 1913 წელს იარაღ-საჭურველის წარმოების ფასები 52 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა, 1916 წელს თავდაცვის საგნების მთლიანი ფასები 747 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. (А. Погребинский, Мобилизация промышленности царской России в первую мировую войну, „Вестник истории", № 8, 1948, გვ. 64), დიდად ჩამორჩენილ მეფის რუსეთში ჯერ კიდევ სუსტი იყო სამხედრო სახელმწიფო კაპიტალიზმი, ამიტომ კაპიტალისტური მსხვილი და წვრი-

მოებაში—54% და ა. შ.[130]. სამამულო ომის პერიოდში საქართველოში, ისე როგორც სსრ კავშირში გაერთიანებულ სხვა მოძმე რესპუბლიკებში, დიდი მიღწევები იქნა მოპოვებული სამხედრო მრეწველობის სწრაფი აღმავლობისათვის. სამხედრო რელსებზე გადაყვანილ საქართველოს მრეწველობაში სპეციალური, თავდაცვითი პროდუქციის გამოშვების ხვედრითი წონა ომის წლებში ყოველწლიურად განუხრელად იზრდებოდა. მაგ., საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში თუ 1941 წელს სპეცპროდუქციის ხვედრითი წონა 5,8 პროცენტი იყო, 1942 წელს 49,7 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 1943 წელს ზრდამ 55,9 პროცენტს მიაღწია[131].

დღითიდღე იზრდებოდა მზა პროდუქციის გამოშვება. მაგ., თუ 1942 წ. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს 8-ჯერ მეტი სპეცპროდუქცია, ვიდრე 1941 წელს, 1943 წელს კი—11-ჯერ მეტი[132]. დამახასიათებელია, რომ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამკერვალო საწარმოების 90 პროცენტი 1944 წლისათვის სპეცდაკვეთების შესრულებაზე მუშაობდა[133].

საქართველოს ადგილობრივმა მრეწველობამ, რომელიც ომის წლებში ძირითადად თავდაცვის პროდუქციას უშვებდა, 1943 წელს საწარმოო გეგმა შეასრულა 113 პროცენტით და 1942 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაზარდა 24,5 პროცენტით[134].

1943 წლის მეორე ნახევრიდან ჭიათურის მარგანეცის წარმოება, მარგანეცზე გაზრდილ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით, ეანთავისუფლებულ იქნა სპეცშეკვეთებისაგან და მთლიანად მარგანეცის წარმოებაზე გადაიყვანა. ამიერიდან მარგანეცის ამოღება შეუნელებლად იზრდება. ჭიათურის მუშები შეჯიბრებაში ჩაებენ ნიკო-

---

ლი მეწარმეები მაქსიმალური მოგების მისაღებად შეუნელებლად ზრდიდნენ ფასებს იარაღ-საჯურველზე. ამის შედეგი იყო ის, რომ განსხვავება სახელმწიფო საწარმოთა მიერ დამზადებულ სამხედრო პროდუქციასა და კერძო მეწარმეთა პროდუქციის ფასებს შორის უაღრესად დიდი იყო. მაგ., „3-дюймовая шрапнель расценивалась на частных заводах в 15 р. 32 коп., а на казенных—9 р. 83 коп. и. т. д.. На одних только 3 дюймовых снарядах казна переплатяла частной промышленности царской России 1094 млн. руб. (Маниковский, Боевое снабжение русской армии, Москва, 1937, გვ. 144).

[130] Г. С. Тельпуховский, Великая Отечественная война Советского Союза, М., 1952, გვ. 186.

[131] ეურნ. „ბოლშევიკი", № 3—4. 1945. გვ. 56.

[132] საქართველოს I მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესიის სტენ. ანგ.: გაზ. „კომუნისტი", 1944, 21 მარტი.

[133] ეურნ. „ბოლშევიკი", № 3—4, 1945, გვ. 56.

[134] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 158, ფურც. 1; სსრ კავშირის I მოწვევის უმაღ. საბჭ. სესიის მასალები. გაზ. „კომუნისტი", 1944, 19 თებერვალი.

პოლელ მაღაროელებთან და დიდი დახმარება გაუწიეს მათ დანგრეული მაღაროების სწრაფად აღდგენის საქმეში[135].

ჭიათურის მარგანეცის წარმოება წარმატებით ართმევდა თავს ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული ქარხნების, სატანკო, საავიაციო, საარტილერიო და სხვა საწარმოების საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეს. ჭიათურის წარმოებამ სასაქონლო პროდუქციის 1943 წლის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა[136].

დიდი სამამულო ომის ძირეული გარდატეხის პერიოდში მეტად დიდი წარმატებები მოიპოვეს საბჭოთა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა. მათ 1943 წლის მანძილზე შეძლეს 6 მილიონ კომპლექტზე მეტი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოშვება საბჭოთა არმიისათვის[137]. ასევე დიდ წარმატებას მიაღწიეს კვების მრეწველობის საწარმოებმა. მათ 1940 წელთან შედარებით ამავე პერიოდისათვის ჩაის მზა პროდუქციის გამოშვება გაადიდეს 27 პროცენტით, თამბაქოს—505 პროცენტით და სხვ. კვების მრეწველობის საწარმოებმა ამავე პერიოდში სახელმწიფოს 740 მილიონი მანეთის დაგროვება მისცეს. აითვისეს ფრონტის საჭიროებისათვის 25 ახალი სახეობა ხორცისა და რძის მრეწველობის პროდუქციის დარგთაგან და საგრძნობლად გაზარდეს ზურგისათვის საჭირო ფართო მოხმარების პროდუქციის წარმოება[138].

1943 წლამდე რამდენიმე სპეციფიკური მდგომარეობა იყო საბჭოთა აფხაზეთში. 1941—1942 წლებში აფხაზეთის ასსრ ზოგ საწარმო გეგმებს ვერ ასრულებდა. ამ ფრონტისპირა რაიონის სამრეწველო საწარმოთა მუშებს მეტად რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, განსაკუთრებით კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში. 1943 წლიდან კი საბჭოთა აფხაზეთის საწარმოთა მშრომელები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. მათ გაზარდეს ფრონტისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვება, მაგალითად. ქალაქ სოხუმის საწარმოებმა 1943 წ. გეგმა 107.4 პროცენტით შეასრულეს.

---

[135] საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის სტენ. ანგ., გაზ. „კომუნისტი". 1945, 4 აგვისტო.

[136] სსრ კავშირის I მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესიის მასალები., გაზ. „კომუნისტი", 1944, 19 თებერვალი.

[137] Очерки истории Великой Отечественной войны, 1941—1945. Изд. АН СССР, М., 1955, გვ 264.

[138] საქართველოს კვების მრეწველობამ ომის წლებში არმიას მისცა 20000 ტონა ორცხობილა, 16 000 ტონა მაკარონის ნაწარმი, 13 000 ტონამდე თამბაქო. ნახევარი მილიარდი პაპიროსი, 200 000 დეკალიტრზე მეტი ღვინო და სპირტიანი, 24 000 ტონამდე ხორცი. 2000 ტონამდე ძეხვეული, 3000 ტონაზე მეტი ცხიმეული, 18 000 ტონამდე შაქარი. 4000 ტონამდე ჩაი. 2000 ტონამდე საპონი, 25 მილიონზე მეტი ქილა ხორცისა და ბოსტნეულის კონსერვი და სხვ. ამასთანავე გაართვა თავი ზურგში მოსახლეობის ფართო მოხმარების სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეს (ტურნ. „ბოლშევიკი", № 12, 1945, გვ. 73).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავზე მთლიანად შეჯამდა სოხუმის მრეწველობის 1943 წლის შედეგები, სადაც აღინიშნა, რომ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა უმეტესობამ გეგმები გადაჭარბებით შეასრულა. გეგმები გადაჭარბებით შეასრულა საკონსერვო ქარხანამ, ტყავ-ფეხსაცმლის ფაბრიკამ, ხორც-კომბინატმა და სხვ.

ქალაქ სოხუმის საწარმოთა მოწინავე მუშებმა დაიმსახურეს მთავრობის მაღალი ჯილდოები[139].

ქვეყნის თავდაცვის სამსახურში მკვიდრად ჩამდგარი საბჭოთა საქართველოს მრეწველობის მიღწევებზე დიდი სამამული ომის გარდატეხის პერიოდში ზემოაღნიშნულთან ერთად გარკვეულ წარმოდგენას იძლევა სხვა მასალებიც.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს VIII სესიაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ საქართველოს მხოლოდ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა შეძლეს გამოეშვათ იმდენი მზა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომლითაც შეიძლებოდა 100 დივიზიის მთელი შემადგენლობის შემოსვა[140].

დიდი იყო მიღწევები საქართველოს მრეწველობის სხვა დარგშიც. რესპუბლიკის მრეწველობა წარმატებებს აღწევდა მუშათა კლასის დიდი პატრიოტული შრომის ახალი აღმავლობის გზით, სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად დანერგვის საფუძველზე. სოციალისტური შეჯიბრების ახალ-ახალ ფორმებთან ერთად ხდებოდა რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გავრცელება. მაგალითად, ქარხნის ხუთასოვანი სტახანოველი ა. ჯანიაშვილი 1942 წლის განმავლობაში გეგმებს 400—500 პროცენტით ასრულებდა და მისი რაციონალიზატორული წინადადების დანერგვა ქარხანას წლიურად 280 000 მანეთ ეკონომიას აძლევდა, 1943 წლისათვის ა. ჯანიაშვილი ვალდებულებას იღებს, რათა გაზარდოს შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით და კიდევ მეტად დაეხმაროს ქარხანას[141].

ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის მნგრეველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ხუნტუამ 1942 წელს ნგრევის შესანიშნავი რეკორდი დაამყარა[142]. 1943 წელს ნ. ხუნტუა ახალ რეკორდს ამყარებს. მან 6 სანგრევში ერთსა და იმავე დროს

---

139 სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 845, ფურც. 19—20.

140 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VIII სესიის მასალებიდან; გაზ. „კომუნისტი", 1945, 8 აგვისტო.

141 გაზ. „კომუნისტი", 1943, 1 იანვარი.

142 სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფ. 4. საქ. 845.

მუშაობით ერთ ცვლაში დღიური ნორმა 3090 პროცენტით შეასრულა[143]. დამახასიათებელია, რომ მოწინავე სტახანოველთა გამოცდილებანი სწრაფად ინერგებოდა და შეერწყმოდა საბჭოთა ხალხის მძლავრ პატრიოტიზმს, ხალხის მასების შრომით მამაცობას შრომის ნაყოფიერების ზრდისა და საბჭოთა სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებისათვის საერთო ბრძოლაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პატრიოტიზმის უკეთილშობილესი გრძნობებით აღფრთოვანებული მუშათა კლასი ზურგში, შრომის ფრონტზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში ისევე წარმატებით ჰედდა გამარჯვებას, როგორც საბჭოთა არმიის სახელოვანი მეომრები ბრძოლის ფრონტზე.

ამ პერიოდში ბევრად გაუმჯობესდა წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მეთოდები და გავრცელდა სოციალისტური შეჯიბრება საამქროებს შორის. საამქროთაშორისო შეჯიბრება უფრო აძლიერებდა ინდივიდუალურ, ბრიგადულ და პროფესიათაშორისო შეჯიბრებას. იგი ხელს უწყობდა მზა პროდუქციის ხარისხის ზრდას, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას. სათბობისა და ნედლეულის ეკონომიით ხარჯვის საქმეს.

დიდი სამამულო ომის წლებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ, მისი ახალი ფორმების წარმოქმნამ გააძლიერა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შემოქმედებითი აქტივობა, გაიზარდა მათი ინიციატივა საწარმოებში შრომის ორგანიზაციის უკეთესი გზების დასანერგად[144].

საქართველოს სამრეწველო საწარმოების უკეთესად მუშაობისათვის ამ ეტაპზე დიდი როლი შეასრულა შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივმა დათვალიერებამ, რომელიც თითქმის ყველა საწარმოში ჩატარდა და მასების ცხოველმყოფელი აქტივობის შემდგომი აღმავლობის შესანიშნავ საშუალებად გადაიქცა. მაგალითად, 1944 წლის დასაწყისში ტყიბულის საწარმოებში ჩატარდა შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი დათვალიერება, იქ გატარებულ

---

[143] ეს რეკორდი ხუნტუამ მიუძღვნა წითელი არმიის XXIV წლისთავს (გაზ. „კომუნისტი", 1942, 10 თებერვალი).

[144] „ურალმაშზავოდში" 1943 წ. ჩატარებულ შრომის საზოგადოებრივ დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო 5 ათასმა მუშამ, ინჟინერმა და ტექნიკოსმა. მათ შეაგროვეს და შეიტანეს 1500 წინადადება, რომელთაგან მიიღეს 1130. ამ წინადადებათა ნაწილის რეალიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდა 2 ათასი მუშის გადაყვანა დაუხმარედან ძირითად სამუშაოზე. 200-ზე მეტი კაცი მრავალდაზგაზე სამუშაოდ გადაეიდა, ხოლო 300 კაცმა შეითვისა ახალი პროფესიები.

იქნა ახალი ღონისძიებები, რაც წლიურად სახელმწიფოს 4—5 მილიონი მანეთის ეკონომიას აძლევდა[145].

იგივე ითქმის ჭიათურის მარგანეცის, ტყვარჩელის ქვანახშირისა და რესპუბლიკის სხვა საწარმოთა შესახებ[146].

ფრონტულად მუშაობის ბრწყინვალე მაგალითებს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები გვიჩვენებდნენ. 1943 წელს მრეწველობასა და ტრანსპორტზე 35 ათასი კომკავშირელ-ახალგაზრდული ბრიგადა იყო, 1944 წ. იანვარში—46 620, ხოლო 1 მარტისათვის — 61 000, მაისში — 70 327, აგვისტოში — 115 000 ბრიგადა. სამაგალითო მუშაობისათვის ამათგან 12 870 კომკავშირულმა ახალგაზრდულმა ბრიგადამ მიიღო წოდება — „საფრონტო"[147].

კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები საწარმოო გეგმას გადაჭარბებით ასრულებდნენ მუშახელის რიცხობრივად სიმცირის პირობებში. ამ მოძრაობის ინიციატორად მოგვეელინა მოსკოვის ბურთობ-საკისრების ქარხნის ახალგაზრდათა ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი გოგონა ეკატერინე ბარიშკინა ხელმძღვანელობდა. ამ ბრიგადაში მუშახელის რიცხვი ორმაგად შემცირდა, პროდუქციის გამოშვება კი გადიდდა[148].

ბარიშკინულ მოძრაობას მრავალი მიმბაძველი აღმოუჩნდა საქართველოში. გამრავლდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები და ნაკლები მუშახელით გეგმები გადაჭარბებით სრულდებოდა. ტყვარჩელის მაღაროების მე-8 უბანზე, სადაც უმთავრესად ახალგაზრდობა მუშაობდა, ვ. ხაბურზანიას ფრონტულმა ბრიგადამ ერთ ცვლაში სამი ნორმა შეასრულა. ფრონტულ ბრიგადებში ახლებურად იყო განაწილებული მუშახელი და ხშირად თვითეული 3—4 მუშის გეგმას ასრულებდა. ქუთაისის ერთ-ერთ ქარხანაში 11 ფრონტული ბრიგადა ითვლებოდა, სადაც გეგმით 462 მუშა უნდა ყოფი-

---

145 გაზ. „კომუნისტი", 1944, 17 მარტი.

146 მაგალითად, ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში ჩატარდა შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი შემოწმება, რომლის დროს შემოვიდა 172 რაციონალიზატორული წინადადება. ამათგან 1944 წლის თებერვლისათვის უკვე განხორციელებული იყო 75 წინადადება, ხოლო დანარჩენი განხორციელების პროცესში იყო. დანერგილ წინადადებათა შედეგად დიდძალი თანხა იქნა დაზოგილი (გაზ. „კომუნისტი", 5 მარტი).

147 Г. Н. Евстафьев, Социалистическое соревнование—закономерность и движущая сила экономического развития советского общества, М. 1956, გვ. 18 —182.

148 ბარიშკინას ბრიგადამ 1943 წ. აგვისტოში 317%, შეასრულა საწარმოო გეგმა, ხოლო დეკემბერში — 400%, ბრიგადის თვითეული წევრი ხუთ ნორმას ასრულებდა. მან მოწოდებით მიმართა მოსკოვის ყველა მუშა ახალგაზრდას მიებაძა ამ მაგალითისათვის. ბარიშკინულმა მოძრაობამ დიდი გამოხმაურება პოვა. იგი მასობრივ მოძრაობად იქცა. ბარიშკინას მეთოდით 16 ათასმა ახალგაზრდულმა ბრიგადამ იწყო მუშაობა (იქვე).

ლიყო გაერთიანებული, ფაქტიურად კი მუშაობდა 351. ე. ი. 111 მუშით ნაკლები, მიუხედავად ამისა გეგმა გადაჭარბებით სრულდებოდა. ქუთაისის აბრეშუმკომბინატს 1942 წლისათვის 217 მუშახელი აკლდა, გეგმა კი 100,2%-ით შეასრულა, მაუდის ფაბრიკას 410 მუშიდან 75 მუშა აკლდა, გეგმა კი 106,5% შეასრულა, სამკერვალო ფაბრიკას 610 მუშიდან 93 მუშა აკლდა და გეგმა 110,4% შეასრულა.[149]

მხოლოდ ორი თვის განმავლობაში კომკავშირული ახალგაზრდობის ბრიგადებიდან 500-ზე მეტი კაცი იქნა გამონთავისუფლებული და გადაყვანილი წარმოების სხვა უბნებზე. მაგალითად, გიორგი რევაზიშვილის ბრიგადა ოთხი კაცით შემცირდა, მაგრამ ყოველდღიურ დავალებას 550 პროცენტით ასრულებდა. ანტონ ილურიძის ბრიგადა ხუთი კაცით შემცირდა, გეგმებს კი 900—1000 პროცენტით ასრულებდა[150].

საქართველოს სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ათეულ ათასობით მუშები არა ერთგზის იმარჯვებენ შეჯიბრებაში სამაგალითო მაჩვენებლების მოპოვების შედეგად. ელექტრომრეწველობის, მეტალურგიის, სათბობის, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები, ამიერკავკასიის რკინიგზა და სხვ., არაერთგზის იმარჯვებენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ღირსეულად იმსახურებენ გარდამავალ წითელ დროშას და მთავრობის პირველ და მეორე პრემიას. ჩვენ აქ უმთავრესად მხოლოდ 1943 წლის მაჩვენებლებს შევეხებით.

სამამულო ომის ძირეული გარდატეხის 1943 წელს საქართველოს მრეწველობის შემდგომ განვითარებას ახასიათებდა მთელი რიგი ახალი თავისებურებანი. ამ თავისებურებათაგან შეინიშნება ერთი სპეციფიკური კანონზომიერება, რომელიც სამამულო ომის საერთო მსვლელობაში მომხდარი ძირეული გარდატეხითაა გაპირობებული.

კავკასიასა და სტალინგრადთან სასტიკად დამარცხებული ჰიტლერელი დამპყრობლების შორს დასავლეთისაკენ მასობრივად განდევნით ამიერკავკასიისა და საქართველოს სახალხო მეურნეობას. კერძოდ კი მის მრეწველობას და ტრანსპორტს, ახალი შესაძლებლობა შეექმნა. უდავოა, რომ ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონების მეურნეობის სწრაფად აღდგენა, მისი მრეწველობისა და ბუნებრივი რესურსების კვლავ ამოქმედება საქართველოს სახალხო

---

[149] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 298, ფურც. 9.
[150] გაზ. „Комсомольская правда", 1944, 8 марта.

მეურნეობას დიდად უწყობდა ხელს, რათა კიდევ უფრო მეტი სისწრაფით განვითარებინა პროდუქციის წარმოება და ფრონტისადმი უფრო მეტი ქმედითი დახმარება აღმოეჩინა.

საბჭოთა მიწა-წყლიდან ჰიტლერელების მასობრივად განდევნის დასაწყისმა, საქართველოსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან ფრონტის ათასეული კილომეტრებით დაშორებამ, მკვეთრად შეცვალა ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობა. სამამულო ომის ფრონტებზე შეცვლილი მდგომარეობის შესაბამისად, იცვლება რესპუბლიკის ამოცანებიც. 1943 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს მუშათა კლასის, ისე როგორც აღმოსავლეთის სხვა მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა, ერთ-ერთ ძირითად საბრძოლო ამოცანად იქცა ომით დაზარალებული საბჭოთა სამრეწველო რაიონების აღდგენით სამუშაოებში აქტიური მონაწილეობის მიღება და მათდამი ყოველმხრივი დახმარება.

ომით დაზარალებული რაიონებისადმი საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა მასობრივმა დახმარებამ კიდევ უფრო გააძლიერა სამრეწველო გეგმების შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა და კეთილშობილური ძმური დახმარების მაღალი შეგნებით აღაგზნო მუშები.

აღორძინების გზაზე დამდგარი ახლად განთავისუფლებული საბჭოთა რაიონების მშრომელები თავიანთი მხრივ დღითი დღე აძლიერებდნენ დახმარებას საბჭოთა არმიისადმი. ისინი ფრონტზე მიმავალი ტვირთის საერთო ნაკადში აკცევენ აღდგენის პროცესში მყოფი ქარხნებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას და ყველაფრით ეხმარებიან თავიანთ განმათავისუფლებელ საბჭოთა მეომრებს. საქართველოს მშრომელები, უწევდნენ რა დახმარებას ომით დაზარალებულ მოძმე საბჭოთა ხალხებს, ასევე მზარდი ტემპებით ამარაგებდნენ შემტევ საბჭოთა არმიას იარაღითა და სურსათით. საქართველოს მუშათა კლასმა ღირსეული წვლილი შეიტანა ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონების აღდგენის საქმეში, რითაც დააჩქარა არა მარტო სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის შემდგომი ზრდა და მისი სამხედრო ეკონომიკის კიდევ უფრო განმტკიცება, არამედ ხელი შეუწყო თვით საბჭოთა საქართველოს მრეწველობის შემდგომ აღმავლობას.

8. საქართველოს მუშათა კლასის მიღწევები სამამულო ომის გადამწყვეტ და საბოლოო გამარჯვების წლებში (1944—1945 წწ.)

საქართველოს მრეწველობა და მთლიანად სახალხო მეურნეობა, ისე როგორც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სამამულო ომის გადამწყვეტ და საბოლოო გამარჯვების წლებში ახალი აღმავლობით

ნისიათდება. ეს აღმავლობა გაპირობებული იყო საბჭოთა არმიის ამ ისტორიული გაძარჯვებებით, რომლებსაც სამამულო ომის ფრონტებზე ჰქონდა ადგილი.

გადამწყვეტი გამარჯვების 1944 წელი საბჭოთა არმიის სტრატეგიის და ტაქტიკის ნამდვილ ტრიუმფად იქცა. ამ წელს საბჭოთა არმიის ათი გამანადგურებელი დარტყმით გაწმენდილ იქნა საბჭოთა მიწა-წყალი ჰიტლერელ დამპყრობთაგან და განთავისუფლებულ იქნა რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, უნგრეთი, ხოლო 1945 წ. დასაწყისში — პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია. ჯერ კიდევ 1944 წ. შემოდგომაზე საბჭოთა არმიის შესვლით აღმოსავლეთ პრუსიაში თვით გერმანია საომარი მოქმედების ასპარეზად იქცა, რითაც ფაშისტურ რეჟიმს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა. ფაშისტური გერმანია იზოლირებული აღმოჩნდა. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის მეთაურობით მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ახლა გვერდში გერმანიის ყოფილი სატელიტები და ფაშიზმის მონობის უღელქვეშ მგმინავი ევროპის ახლადგანთავისუფლებული ხალხები ამოუდგნენ. საბჭოთა არმია, ასრულებდა რა თავის განმათავისუფლებელ მისიას ევროპის ხალხთადმი, უახლოეს ამოცანად ისახავდა ფაშისტური მხეცის საკუთარ ბუნაგშივე განადგურებას.

საბჭოთა არმიის წარმატებებმა კრიზისი შექმნა ფაშიზმის ბანაკში. ჰიტლერული ბლოკიდან გამოყვანილ იქნენ უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ფინეთი და ისინი ანტიჰიტლერულ კოალიციას შეუერთდნენ. ერთ წელიწადში საბჭოთა არმიამ 3ტრის 136 დივიზია დაამარცხა და გამოიყვანა მწყობრიდან. საბჭოთა არმიის ამ ტრიუმფალურმა გამარჯვებებმა ცხადყვეს, რომ საბჭოთა არმიას შესწევს უნარი უზრუნველყოს ფაშისტური გერმანიის სრული განადგურება და ევროპის ხალხთა განთავისუფლება მეორე ფრონტის გახსნის გარეშეც კი, ამიტომ ასეთ ვითარებაში ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები იძულებულნი გახდნენ გაეხსნათ მეორე ფრონტი[151].

---

[151] 1944 წ. 6 ივნისს ინგლის-ამერიკის ჯარების სარდლობამ დესანტი გადმოსხა ნორმანდიაში. სულ მალე, 19 აგვისტოს, საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროებზე. ტულონისა და ნიცის რაიონებში მოკავშირეებმა ჯარები გადმოსხეს. გაჩაღდა ბრძოლები იტალიაშიც. ასე გაიხსნა მეორე ფრონტი.

მოკავშირეთა ეს აქტივობა გამოწვეული იყო არა იმდენად სამოკავშირეო პირობებისადმი ერთგულებით, არამედ საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გაძარჯვებებით და დასავლეთ ევროპაში გაძლიერებული რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შიშით, რომელსაც კომუნისტური პარტია მეთაურობდა. ფაშისტური გერმანიის ამ უმძიმესი განსაცდელის დღეებში მოკავშირეთა რეაქციული ელემენტებისა და ჰიტლერელების უკანასკნელი ცდა, კაპიტულაცია მოეხდინათ მხოლოდ ინგლის-ამერიკელთა სარდლობის წინაშე და უგულველეყოთ სსრ კავშირი, ჩაიფუშა და მარცხით დამთავრდა. (Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны, т. 3, ss. 488, 674).

საბჭოთა არმიის 1944 წლის შეტევითი ოპერაციები თუ გაჯერებული იყო სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკის ახალი დიდი წარმატებით, თავის მხრივ 1944 წ. ფრონტზე მოპოვებული გამარჯვებები დიდად უწყობდა ხელს საბჭოთა სამხედრო ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას.

1944 წელს ბევრად უფრო სწრაფად იზრდება სსრ კავშირის მრეწველობა. ამ წელს ექსპლოატაციაში შევიდა აღმოსავლეთის რაიონების ისეთი გიგანტები, როგორიცაა ჩელიაბინსკის მეტალურგიული და მილსატკეცი ქარხნები, კუზნეცკის და აკტიუბინსკის ფეროშენადნობთა ქარხნები, მაგნიტოგორსკის, ზლატოუსტისა და სხვა ქარხნებში ააშენეს ახალი დომენები და მარტენები, ყირგიზეთში აიგო ფერადი და იშვიათი ლითონების გადამამუშავებელი უდიდესი კომბინატი, 1944 წლის მარტში მწყობრში ჩადგა უზბეკეთის მეტალურგიული ქარხანა და მრავალი სხვა.

გაფართოვდა ქვანახშირის წარმოება კუზნეცკის, ახალი პეჩორსკის, მოსკოვის და ყარაგანდის აუზებში, წარმატებით ხორციელდებოდა სამხრეთის მეტალურგიისა და ქვანახშირის მრეწველობის აღდგენა, დონბასის შახტების, კრამატორსკის, მაკეევკას, სტალინოს და სხვა მეტალურგიული ქარხნები თანდათანობით აღდგენილ იქნა. ისინი დღითი დღე ზრდიდნენ თავდაცვის პროდუქციის გამოშვებას. ახალი სიძლიერით გაიზარდა მუშათა შრომითი აქტივობა.

1944 წელს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო მრეწველობის მუშათა 90%, აღირიცხებოდა სულ 115 000 ფრონტული ბრიგადა, სადაც 800 000-ზე მეტი ახალგაზრდა მუშა იყო გაერთიანებული. 1944 წელს 1942 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდამ მრეწველობაში საშუალოდ 40% გადააჭარბა[152].

ამ წარმატებათა შედეგები ნათლად გამოვლინდა იმით, რომ 1944 წელს, 1943 წელთან შედარებით, თუჯის გამოდნობა 31%, გაიზარდა, ფოლადისა—29%, ნახშირის მოპოვება—31%, ელექტროენერგიის გამომუშავება—21%. მძიმე მრეწველობის მანქანათმშენებლობის საწარმოებში მზა პროდუქციის გამოშვება 30%-ით და უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო ელექტრომრეწველობის საწარმოებში—20%[153].

---

[152] В. Кузнецов, Два года всесоюзного соц. соревнования, „Правда", 1944, 8 мая.

[153] „Плановое хозяйство, № 3, 1944, გვ. 6.

უდიდესი წარმატებებით მიმდინარეობდა დაზარალებული რაიონების აღდგენა 1944—1945 წლებში. საბჭოთა სახელმწიფომ 1944 წ. თებერვალში აღდგენით სამუშაოებისათვის გაიღო 16 მილიარდი მანეთი, ხოლო 1945 წ.—20 მილიარდი მანეთი. ათასობით საწარმოების, კოლმეურნეობისა და მტს-ების, სოფლებისა და ქალაქების აღდგენა დიდი წარმატებით მიმდინარეობდა განთავისუფლებული რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, კარელია-ფინეთისა და მოლდავეთის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში.

კიდევ უფრო დიდი იყო საბჭოთა სამხედრო მრეწველობის მიღწევები ომის უკანასკნელ 1945 წელს. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში ლითონის გამოდნობა ომიანობის წლებში თუ 50%-ით გადიდდა, ომის უკანასკნელ წელს ეს ზრდა ბევრად სჭარბობდა წინა წლებს. მაგალითად, 1945 წ. თუჯის გამოდნობა 1944 წელთან შედარებით 21 პროცენტით გადიდდა, ფოლადის გამოდნობა — 15,3 პროცენტით, ნაგლინის გამოშვება — 18 პროცენტით, კოქსის გამოწვა — 19 პროცენტით, რკინის მადნის მოპოვება—38 პროცენტით და მარგანეცის მადნისა — 45 პროცენტით. ზრდის ასეთი ტემპი მოწმობს სოციალისტური ეკონომიკის უმაგალითო უპირატესობას, რომელმაც ომის განსაცდელს გაუძლო და ომის პერიოდშივე უზრუნველყო შემდგომი განვითარება[154].

1944 წელს საბჭოთა ქვეყნის სამხედრო მრეწველობის განუხრელ აღმავლობასთან ერთად სისტემატურად მცირდებოდა პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, 1944 წელს, შედარებით 1943 წელთან სატანკო მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულება 13%-ით შემცირდა, დაზგათმშენებლობაში — 9,8%, ელექტრომრეწველობაში — 9,9%, ხოლო შრომის ნაყოფიერება იმავე 1944 წელს გაიზარდა სატანკო მრეწველობაში 23,7%, საავიაციო მრეწველობაში — 11,8%, კვების მრეწველობაში — 16,6% და სხვ.

ჩვენი ძლევამოსილი საბჭოთა სამშობლოს 1944 წლის გამარჯვება ფრონტებზე და ზურგში, მისი სამხედრო ეკონომიკის სწრაფი ზრდა იმის საფუძვლად იქცა, რომ 1945 წლისათვის საბჭოთა არმიას განევითარებინა უფრო დიდი გრანდიოზული შეტევითი ოპერაციები და დაემთავრებინა ომი ჰიტლერული გერმახიისა და იმპერიალისტური იაპონიის სამხედრო ძლიერების სრული განადგურებით.

საბჭოთა არმიამ თავისი დიდი გამარჯვებებით შეძლო ჯერ კიდევ 1944 წლის შემოდგომაზე გერმანიის ტერიტორიაზე გადაეტანა

[154] გაზ. „პრავდა", 1946, 18 თებერვალი.

ნაომარი მოქმედება. აღმოსავლეთ პრუსიაში საბჭოთა ჯარების შეჭრით მტრის მიწა-წყალი ომის უშუალო ასპარეზად იქცა. პოლონეთის განთავისუფლებისა და ოდერის გადალახვის შედეგად მოკლე დროში საბჭოთა არმია პომერანიასა და ბრანდენბურგის პროვინციაში შეიჭრა. საბჭოთა არმიის გამარჯვებებმა კატეგორიულად დააყენეს საკითხი გერმანიის შემდგომი ბედის შესახებ.

1945 წლის თებერვლის დასაწყისში ყირიმში მოწვეულ იქნა სამ მოკავშირე სახელმწიფოთა მორიგი კონფერენცია. ი. სტალინის, ფ. რუზველტის და უ. ჩერჩილის მეთაურობით კონფერენციაზე შემუშავდა მოქმედებათა ერთობლივი პროგრამა ფაშისტური გერმანიის საბოლოო განადგურებისა და ომის დამნაშავეთა დასჯის, ფაშისტური პარტიის გაუქმებისა და გერმანიის მილიტარიზმის სრული ლიკვიდაციის შესახებ.

გერმანიის ფაშიზმისა და მილიტარიზმის ლიკვიდაცია ოდნავადაც არ იყო მიმართული გერმანელი ხალხისა და მისი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. კონფერენციაზე ხალხთა შორის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით გადაწყვეტილება მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

1945 წელს საბჭოთა არმიის გამარჯვებები ტრიუმფალური წინსვლით ხასიათდება. აპრილის დასაწყისში დამთავრდა გერმანიის არმიის კენიგსბერგის დაჯგუფების განადგურება. საბჭოთა ჯარებმა 9 აპრილს კენიგსბერგი (ახლა კალინინგრადი) დაიპყრეს. ფაშისტური გერმანიის დედაქალაქის ბერლინის დაცემა გარდუვალი ხდებოდა. ფაშისტური სარდლობა ამაოდ ერეკებოდა თავის უკანასკნელ რეზერვებს და უშედეგოდ ცდილობდა ბერლინის დაცვას. 25 აპრილს ბერლინი მთლიანად ალყაში აღმოჩნდა, ხოლო ელბაზე მოხდა საბჭოთა და მოკავშირე ჯარების პირველი შეხვედრა. გერმანელები დათანხმდნენ კაპიტულაციაზე ინგლის-ამერიკელთა ჯარების წინაშე, მაგრამ უარი თქვეს კაპიტულაციაზე საბჭოთა ჯარების წინაშე. ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, ხოლო მოკავშირეებს იარაღს აბარებდნენ. 20 აპრილიდან დაწყებული მძლავრი, კომბინირებული შეტევა ბერლინის აღებისათვის 2 მაისამდე გაგრძელდა. იგი დაგვირგვინდა ეგოროვისა და ქანთარიას მიერ რეიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვით. 1945 წ. 8 მაისს ფაშისტური გერმანიის არმიის სარდლობამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპილუტაციის აქტს.

საქართველოს მშრომელებს სსრ კავშირის ხალხებთან ერთად დიდად აღაფრთოვანებდა საბჭოთა არმიის ყოველი ახალი წარმატე-

ბა. ჰიტლერელებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის, აგრეთვე ევროპის ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებანი საქართველოს მუშათა კლასში ახალ დიდ შრომითს აღტყინებას იწვევდა. მუშები ახალ მორიგ ვალდებულებებს ღებულობდნენ ფრონტისათვის დასახმარებლად, დგებოდნენ სტახანოვურ ეახტზე და საწარმოო გეგმების მაღალი მაჩვენებლების შესრულებით დღითი დღე ზრდიდნენ თავდაცვის პროდუქციის გამოშვებას.

საქართველოს მუშათა კლასი საბჭოთა ქვეყნის სამხედრო ძალიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის ამ ეტაპზეც განუყრელად უდგა გვერდში სსრ კავშირის მუშათა კლასს და თავდადებით ჭედავ მტერზე გამარჯვების იარაღს.

1944—1945 წლებში, გარდა იმისა, რომ ახალი გაქანებით აზრდებოდა ქვეყნის თავდაცვის სამსახურში ჩამდგარი საქართველოს მრეწველობის პროდუქცია, შენდებოდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები და სხვ. ამასთანავე წარმატებით განახლდა 1941 წელს დროებით კონსერვირებული ინდუსტრიული მშენებლობანი.

სამამულო ომის ამ პერიოდში საბჭოთა საქართველოში მთელი რიგი ახალი ფაბრიკები და ქარხნები აშენდა. მაგალითად, მწყობრში ჩადგა თბილისის პლასტმასის ქარხანა, ქუთაისში ამუშავდა შუშა-ტარის ქარხანა, რომელიც რესპუბლიკის მძლავრი საკონსერვო მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და თავდაცვის ამოცანებით იყო ნაკარნახევი. ამავე მიზნით შედარებით მცირე მასშტაბის ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა მიმდინარეობდა ბათუმში, სოხუმში და სხვ.

1944 წლიდან ახალი ეტაპი იწყება საქართველოს მძიმე მრეწველობის სწრაფად განვითარების საქმეში. 1944 წელს განახლდა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული გიგანტის მშენებლობა რუსთავში[155], ხოლო 1945 წლის აგვისტოდან დაიწყო რესპუბლიკის მეორე გიგანტის—ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა.

სამამულო ომის მსვლელობის სწორედ ამავე ეტაპზე საქართველოში განახლდა ისეთი საწარმოების მშენებლობა როგორიცაა:

---

155 ცნობილია, რომ რუსთავის გიგანტის მშენებლობის შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით ჯერ კიდევ 1940 წელს ჩაეყარა საფუძველი ამიერკავკასიის მეტალურგიულ კომბინატს რუსთავში. მაგრამ ჰიტლერელთა ჩვენს სამშობლოზე თავდასხმის გამო მისი მშენებლობა დროებით შეჩერდა. მისი მშენებლობის განახლება მხოლოდ 1944 წლის ზაფხულიდან გახდა შესაძლებელი (ეურნ. „ბოლშევიკი", № 10—11, 1945, გვ. 31).

ხრამჰესი, ელმავალსარემონტო ქარხანა, სამხრეთ ოსეთის მძიმე მრეწველობის მომავალი ახალი კერის—ქვაისის საბადოსა და გორის საფეიქრო კომბინატის მშენებლობანი[156] და სხვ. ამგვარ ინდუსტრიულ მშენებლობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ძირითად საშუალებათა ღირებულება ერთიორად და მეტად გაიზარდა.

მეტალურგიული გიგანტისა და რესპუბლიკის სხვა ახალი მძლავრი საწარმოების მშენებლობანი, მათი ექსპლოატაციაში შესვლა უაღრესად გაზრდილ მოთხოვნებს უყენებდა საქართველოს როგორც სამრეწველო სათბობს—ქვანახშირსა და ნავთობს, ასევე ელექტრომრეწველობას. ამიტომ ჯადაუდებელ ამოცანად დაისახა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის—ტყვარჩელის, ტყიბულისა და ახალციხის შახტებში უახლოესი ორი წლის მანძილზე გაეღიდებინათ ქვანახშირის მოპოვება სამჯერ და უფრო მეტადაც კი, ე. ი. სადღეღამისო მოპოვება 1945 წელს 6500 ტონამდე უნდა ყოფილიყო აყვანილი. ეს კი მოითხოვდა ახალი მძლავრი შახტების აშენებას და მსხვილი კაპიტალდაბანდებების საფუძველზე ქვანახშირის წარმოების მექანიზაციას.

მწყობრში იწყებს ჩადგომას ახალციხის (ვალეს) ქვანახშირის ახალი (მესამე) ბაზა და რესპუბლიკის ტორფით მდიდარი ახალი საბადოების წარმოება კოლხეთში. ამავე პერიოდში დაისახა ღონისძიებები საქართველოს ნავთობის მრეწველობის საძიებო გეოლოგიურ სამუშაოთა ფართოდ გაშლის შესახებ. 1944 წელს შირაქისა და მირზაანის ნავთობის სარეწებს შეემატა ახალი მძლავრი ჭაბურღილი.

ამავე პერიოდში წარმატებით გაჩაღდა მუშაობა ელექტრომრეწველობის სწრაფი განვითარებისათვის. მდინარე ხრამზე მუშაობის განახლებასთან ერთად განახლდა სოხუმის სარაიონო ჰიდროელექტროსადგურისა და ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის დროებით შეჩერებული მშენებლობები, ახლად იქნა წამოწყებული რესპუბლიკის ბევრი რაიონული მნიშვნელობის ჰიდროელსადგურის მშენებლობა და სხვ. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს რესპუბლიკის ელექტროენერგიისა და სათბობის წარმოების შემდგომ ზრდას, რაზედაც ბევრად იყო დამოკიდებული საქართველოს მრეწველობის აღმავლობა.

ამრიგად, დიდი სამამულო ომის უკანასკნელ წლებში საქართველოში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წარიმართა მძიმე

[156] საქართველოს კპ (ბ) XVI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 232—234.

ინდუსტრიის მძლავრი განვითარება, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის აყვავებისა და საბჭოთა სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების საფუძველთა საფუძველია. ამ საპატიო ამოცანის განხორციელებისათვის საქართველოს მუშათა კლასი მოიცვა ახალმა დიდმა შრომითმა ენთუზიაზმი. ტყიბულელმა მეშახტეებმა 1944 წელს სამშობლოს მისცეს 15 500 ტონით მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1943 წელს. 1944 წელს შრომის ნაყოფიერება თვითეულ მუშახელზე საშუალოდ გაიზარდა, ქვანახშირის ნაცრიანობა კი 5,2% შემცირდა. ტყიბულელი მეშახტეები ჩაებნენ 1945 წ. საპირველმაისო შეჯიბრებებში და ვალდებულება აიღეს სამშობლოსათვის მიეცათ 10 ეშელონი ქვანახშირი გეგმის გადამეტებით[157]. ასევე დიდი წარმატებებით ხასიათდებოდა ტყვარჩელის ქვანახშირის მეშახტეთა მუშაობა.

საქართველოს ქვანახშირის შახტების მუშები ღირსეულად აღმოჩნდნენ იმ ამოცანათა სიმაღლეზე, რომლებსაც სამამულო ომის ამ ეტაპზე პარტია აყენებდა. მეშახტეების გმირული შემოქმედებითი შრომა და ბრძოლა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ქვანახშირით უზრუნველყოფისათვის სამამულო ომის გადამწყვეტ და მტერზე საბოლოო გამარჯვების წლებში ახალი მიღწევებით ხასიათდება.

სამხედრო მრეწველობის შემდგომი განუხრელი აღმავლობა დღითი დღე ზრდიდა მოთხოვნილებებს ჭიათურის მარგანეცსა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა პროდუქციაზე. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა 1945 წლის მაისის გეგმა 116 პროცენტით შეასრულა და დიდი რაოდენობის ელექტროენერგია დაზოგა. 1945 წლის პირველ ნახევარში ქარხნის კოლექტივმა კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშაობა, დაზოგა 7 200 000 კილოვატსაათი ელექტროენერგია და რაციონალიზაციის გზით 782 000 მანეთის ეკონომია მიიღო[158]. ქარხანა მის მიერ ათვისებულ 18 სახის სხვადასხვა მაღალხარისხოვან ლითონს უშვებდა დიდი რაოდენობით. ქარხანაში, პირველად საბჭოთა კავშირში, ახალი შენადნობები იქნა მიღებული ელექტროლიტური წესით ქართველი სპეციალისტების მიერ, რომლებმაც დიდი გამოყენება პოვეს ქვეყნის თავდაცვითს მრეწველობაში[159].

საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ზესტაფო-

---

[157] გაზ. „კომუნისტი", 1945, 11 თებერვალი და 20 მარტი.
[158] გაზ. „კომუნისტი", 1945, 8 ივნისი და 31 აგვისტო.
[159] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4. საქმე 077, ფურც. 1.

ნის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშები დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში სანიმუშოდ მუშაობდნენ და ქვეყანას აწვდიდნენ მაღალხარისხოვან ლითონს[160].

ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის მუშაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჭიათურის მარგანეცის მრეწველობასთან. ჭიათურის მარგანტრესტის კოლექტივმა 1945 წლის ივლისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მაღაროელებმა ერთი თვის მანძილზე სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 1264 ტონა მარგანეცი. ამავე პერიოდში სამაგალითო წარმატებას მიაღწია საქართველოსა და ამიერკავკასიის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა სამრეწველო საწარმომ — 1944 წლის მარტში სტალინის სახელობის ორთქმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას გადაეცა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა თებერვალში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

1944 წლის 27 მარტს პლეხანოვის სახელობის კლუბში შეიკრიბა ქარხნის აქტივი, სადაც მოხდა დროშის საზეიმოდ გადაცემა. ზეიმმა განსაკუთრებული სახე მიიღო, რადგან იგი დაემთხვა საბჭოთა არმიის მორიგ გამარჯვებას (რუმინეთის საზღვარზე ქ. ბელეცკის აღებას 26 მარტს) და მდინარე პრუტის გადალახვით სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრებზე მისვლას (აპრილის დასაწყისში კი საბჭოთა არმიამ საომარი მოქმედება გადაიტანა ჩვენი ქვეყნის საზღვრის იქით).

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის გმირული შრომით, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, სოხუმის, ტყიბულისა და ტყვარჩელის, სტალინირის, ზესტაფონისა და სხვა სამრეწველო რაიონების ცალკეულმა საწარმოებმა ამ ეტაპზეც განუხრელი აღმავლობით შეძლეს ფრონტის საჭიროებისათვის პროდუქციის დიდი რაოდენობით გამოშვება. მაგალითად, თბილისის საწარმოებმა 1941 წლის აგვისტოდან, ე. ი. სამამულო ომის პირველი დღეებიდან, 1945 წლის მაისამდე სამხედრო პროდუქციის გამოშვების დავალებანი 121,5 პროცენტით შეასრულეს[161]. თბილისს არ ჩამორჩებოდნენ სხვა სამრეწველო რაიონებიც.

საქართველოს მუშათა კლასი ამ ახალ წარმატებებს აღწევდა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში უფრო მასობ-

---

[160] საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობა, სტენოგრ. ანგარიში, გვ. 175.
[161] საქართველოს კპ (ბ) XIX ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 85

რივად ჩაბმის გზით, შრომის უკეთესი ორგანიზაციისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით. ომის უკანასკნელ წელს შეჯიბრებაში ჩაბმული იყო სამრეწველო მუშათა 90 პროცენტზე მეტი. რუსეთის მუშათა კლასი და მისი უმსხვილესი სამრეწველო ცენტრები კვლავაც ინიციატორებად გვევლინებიან იმ ახალი წამოწყებებისა, რომლებიც დიდ მხარდაჭერას პოულობდნენ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის რიგებში. ჩვენ აქ რამდენიმე ფაქტზე შევჩერდებით. მაგალითად, კუიბიშევის მშრომელებმა დასაბამი მისცეს პატრიოტულ ინიციატივას — ზეგეგმით დამზადებული პროდუქციიდან შეექმნათ საბჭოთა არმიის მთავარსარდლობის განსაკუთრებული ფონდი. ამ ინიციატივას მასობრივად დაუჭირეს მხარი ყველა რესპუბლიკაში. 1943 წლის ბოლოს და 1944 წელს საქართველოს მუშათა კლასმა შეძლო შეეტანა ამ ფონდში ზეგეგმით დამზადებული ათეულ ათასობით ტონა ქვანახშირი, მარგანეცი, გუმბრინი, ნავთობი, ათასობით ტონა ლითონი, ნედლეული და ათეულ ათასობით დამზადებული საბრძოლო მანქანები, იარაღები და სხვა სახის პროდუქცია.

ხაშურელმა რკინიგზელებმა 1943 წლის ზაფხულში სამუშაოდან თავისუფალ დროში იწყეს დაზიანებული ვაგონების შეკეთება-აღდგენა გეგმის გადაჭარბებით საბჭოთა ტრანსპორტისათვის საჩუქრად გადასაცემად. 1944 წლის 30 ივლისისათვის ხაშურის რკინიგზელებს უკვე გადაეცათ საჩუქრად და ექსპლოატაციაში იყო შესული 200-ზე მეტი ასეთი ვაგონი. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს საორთქლმავლო დეპოს ოსტატმა ლ. ქურდაძემ, ბრიგადირმა ნ. ობოლაძემ, ვ. გამგონაძემ და სხვ. 1944 წელსვე ხაშურელი რკინიგზელები ახალი მორიგი პატრიოტული ინიციატივის წამომწყები და ფაქტიური ორგანიზატორები გახდნენ; მათ იკისრეს უვარგისი ორთქლმავლების სრული აღდგენისა და მწყობრში ჩაყენების ვალდებულება[162].

ხაშურელი რკინიგზელების მიბაძვით სამტრედიის საავტომობილო უბნის მოწინავე ვ. ცომაიამ, ვ. კოხრეიძემ და სხვებმა დანერგეს ახალი მორიგი ინიციატივა—სამუშაოდან თავისუფალ დროს ახალი ვაგონების გაკეთება იმ დეტალებისაგან, რომლებიც საერთოდ აბორიცხული იყო საინვენტარო სიებიდან[163].

კომკავშირულ-საფრონტო ბრიგადამ დ. ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით ომის წლებში 227 ორთქლმავალი გამოუშვა გეგმის გადა-

---

[162] გაზ. „კომუნისტი", 1944, 30 ივლისი.
[163] გაზ. „კომუნისტი", 1944, 21 ივნისი.

ჭარბებით. მან ვალდებულება იკისრა 100 ცალი ხელსაწყო-იარაღის უმოკლეს ვადაში დამზადებისა და მოძმე უკრაინის რკინიგზელებისადმი გაგზავნის შესახებ[164].

იგივე ითქმის ტყიბულის ქვანახშირის შახტის პირველი საექსპლოატაციო უბნის კოლექტივის შესახებ, რომელსაც შ. შოთაძე ხელმძღვანელობდა. უბანმა 1944 წელს 4437 ტონა, ხოლო 1945 წლის 4 თვეში 2 ათასამდე ტონა ქვანახშირი მისცა სამშობლოს გეგმის გადამეტებით[165].

რუსეთის მოწინავე საწარმოების სახელმოხვეჭილი ნოვატორები უშუალო კავშირს ამყარებდნენ საქართველოს მუშებთან და ერთობლივი ძალით ზრდიდნენ მზა პროდუქციას. მაგალითად, ურალელმა ცნობილმა მბურღავმა ალექსი სემივოლოსმა შრომის ახლებური ორგანიზაციისა და ჩქაროსნული ბურღვის დანერგვის საფუძველზე 1943 წ. 9 ოქტომბერს ნახშირის მოპოვების ახალი სრულიად საკავშირო რეკორდი დაამყარა, მან ერთ ცვლაში 17,5 ნორმა შეასრულა.

სემივოლოსმა პირად წერილში მოწოდებით მიმართა ტყიბულელ მაღაროელებს 1943 წლის უკანასკნელი კვარტალის საწარმოო გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის[166].

სემივოლოსის წერილმა და მეგობრულმა რჩევამ ქვანახშირის საწარმოებში დიდი აღმავლობა გამოიწვია. გამრავლდა სემივოლოსელთა რიგები. მაგ., ტყიბულელმა მეშახტეებმა ბ. თოიძემ, დ. ქათამაძემ და სხვებმა ამ მომართვას საწარმოო გეგმების შესრულების ახალი რეკორდების დამყარებით უპასუხეს[167]. ტყვარჩელელი სახელოვანი მეშახტე, სემივოლოსური მოძრაობისა და მუშაობის მეთოდის იშვიათი ოსტატობით დამნერგი ორდენოსანი ნ. ხუნტუა 1944 წ. 10 იანვარს ახალ რეკორდს ამყარებს. მან ცვლაში ნახშირის მონგრევის ნორმა 1800 პროცენტით შეასრულა[168]. 1944 წლისათვის ტყვარჩელელებმა იკისრეს 8000 ტონა ნახშირის ზეგეგმით ვადაზე ადრე ჩაბარება სახელმწიფოსათვის[169], რაც შეტანილ იქნა საბჭოთა არმიის მთავარსარდლობის ფონდში.

ამ პერიოდშიც საქართველოს მუშათა კლასი წარმატებით განაგრძობდა მოწინავეთა გამოცდილებებისა და ნოვატორთა წამოწყებების წარმატებით დანერგვას. მაგ., სამხრეთ ურალის ერთ-ერთი

---

164 გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1944, 15 აპრილი.
165 გაზ. „კომუნისტი", 1945, 2 ივნისი.
166 გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1943, 4 დეკემბერი.
167 გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1943, 29 აგვისტო.
168 გაზ. „კომუნისტი", 1944, 16 იანვარი
169 გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1944, 4 მარტი.

სატანკო ქარხნის ახალგაზრდა ოსტატის ე. აგარკოვის წინადადებით, საწარმოო ციკლის პრინციპის საფუძველზე მოხდა ბრიგადებისა და უბნების გამსხვილება. ამით მოისპო პარალელიზმი ბრიგადების მუშაობაში და აღნიშნული ღონისძიებებით განთავისუფლდა მუშაკთა საგრძნობი ნაწილი. 1944 წ. ბოლოს და 1945 წ. დასაწყისში აგარკოვის მეთოდის გამოყენებით მხოლოდ სატანკო მრეწველობაში ოთხნახევარი თვის მანძილზე 2300 ინჟინერ-ტექნიკოსის და 4000-მდე კვალიფიციური მუშის გამონთავისუფლება მოხდა. ამ მოძრაობას, ბარიშკინულ მოძრაობასთან ერთად, ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა საქართველოში, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ფრონტული ბრიგადების რიგებიდან.

სამამულო ომის წლებში რკინიგზის ტრანსპორტზე ნოვატორული მოძრაობის ყველაზე შესანიშნავ მოვლენად იქცა ლუნინური მოძრაობა (ლუნინს ჯერ კიდევ 1942 წელს აპრილში მიენიჭა სტალინური პრემია, ხოლო 1943 წ. ნოემბერში, განსაკუთრებული დამსახურებისათვის—სოციალისტური შრომის გმირის წოდება). ამ ეტაპზე ლუნინური მოძრაობა მიჩნეულ იქნა „თანადროულობის ყველაზე ცხოველმყოფელ, უძლეველ მოძრაობად". საქართველოში ამ მოძრაობის დანერგვით დიდი სახელი მოიხვეჭეს სახელგანთქმულმა მემანქანეებმა შ. კოხრეიძემ, ა. წიკლაურმა და სხვ. ისინი ჩვენი სამშობლოს დამცველებს წარმატებით ამარაგებდნენ იარაღსაჭურველით და სურსათის მიწოდებით.

1943 წელს კოხრეიძემ დაზოგა 78 ტონა საწვავი, 30 ათასი მანეთის ეკონომია მისცა ქვეყანას და ამავე დროს ორთქლმავალი ურემონტოდ 50 ათასი კილომეტრის ნაცვლად ატარა 152 ათას კილომეტრზე, რითაც ახალი სრულიად საკავშირო რეკორდი დაამყარა. ამასთანავე მოწინავე ლუნინელები — შ. კოხრეიძე, ა. წიკლაური, მ. ყიფიანი და სხვ. დიდი მზრუნველობით ზრდიდნენ ახალგაზრდა კადრებს. 1943 წ. 5 ნოემბერს მოწინავე რკინიგზელებს — შ. კოხრეიძეს, ა. წიკლაურს, ნ. გელაძეს და გ. ჯაკნაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ისინი არ დამშვიდებულან მოპოვებული წარმატებით და სულ მალე ახალ გამარჯვებას მიაღწიეს.

ტყიბულელმა მეშახტეებმა 1944 წლის ნოემბრის თვის მაჩვენებლების მიხედვით გამარჯვება მოიპოვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიიღეს ჯილდო და გარდამავალი წითელი დროშა. 1945 წ. აპრილში ზესტაფონის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა პირველი ადგილი მოიპოვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. 1945 წლის მაისის შედეგების მიხედვით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ შეჯიბრებაში

კვლავ პირველობა მოიპოვა. ქარხნის სადნობ საამქროს მიეკუთვნ: პირველი პრემია და მან კვლავ შეინარჩუნა შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ლენინის სახელობის ზაპესის კოლექტივმა მეორედ გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1944 წლის მარტის თვის შედეგების მიხედვით.

1945 წ. აპრილში ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა მოიპოვა მაღალი საწარმოო მაჩვენებლები და სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა. მან შეინარჩუნა გარდამავალი წითელი დროშა და მიიღო პირველი პრემია 75 000 მანეთის რაოდენობით[170].

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ამწვავი საამქრო წელიწადნახევარზე მეტი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა წითელ დროშას, როგორც საბჭოთა კავშირის საორთქლმავლო დეპოს ყველაზე საუკეთესო საამქრო. ამ საამქროს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა სტახანოველი ზეინკალი შ. ხიზანიშვილი[171].

დიდი წარმატებით მიმდინარეობდა ახალი ინდუსტრიული ობიექტების მშენებლობა. მაგალითად, ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის კოლექტივმა 1944 წლის სექტემბრის გეგმა შეასრულა 128,7%, მშენებლებმა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაიკავეს მესამე ადგილი და მიიღეს ფულადი პრემია 100 000 მანეთის რაოდენობით. რუსთავის მშენებლობა საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის, რესპუბლიკის მრეწველობისა და ყველა მშრომელის საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. მეტალურგთა ახალი დიდი ქალაქის მშენებლობამ ხალხში საყოველთაო ენთუზიაზმი აღძრა. ეს ენთუზიაზმი 1944 წლიდან დაწყებული შეუნელებელი აღმავლობით იზრდებოდა ისე რომ, მას ოდნავადაც კი არ შეუფერხებია თავდაცვის მრეწველობის პროდუქციის შემდგომი ზრდა საქართველოში[172].

---

[170] გაზ. „კომუნისტი", 1945, 16 მაისი.

[171] მან მრავალი გაუმჯობესება შეიტანა ორთქლმავლის გარეცხვის სამუშაოებში, აგრეთვე სარემონტო სამუშაოებში. ხიზანიშვილმა ჯერ კიდევ ომამდე შექმნა ახალგაზრდობისაგან დამკვრელი ბრიგადა, რომელმაც სახელი გაითქვა მთელ საბჭოთა კავშირში. ომის წლებში ბრიგადა დავალებებს 200—300 პროცენტით ასრულებდა, თუმცა მუშახელი ყოველთვის აკლდა. ხიზანიშვილი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით (გაზ. „კომუნისტი", 1945, 31 აგვისტო).

[172] ადგილობრივ რესურსებზე, ნედლეულსა და ელექტროენერგიაზე მკვიდრად დამყარებული ი. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა ომის შემდეგ მალე ჩადგა მწყობრში და წარმატებით განახორციელა ის იმედები და მიზნები, რომლებისაკენაც იყო მოწოდებული ამ გიგანტის აგება (გაზ. „კომუნისტი", 1944. 27 ოქტომბერი).

საქართველოს მუშათა კლასს ომის დამთავრების შემდეგაც თავისი შრომითი აქტივობა არ შეუნელებია. 1945 წლის მაისიდან ფრონტული ბრიგადები არ დაშლილან. ისინი ომის დამთავრების შემდეგაც განაგრძობდნენ არსებობას[173]. მაგალითად, 1946 წლის თებერვალში, საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავზე რესპუბლიკაში 6500 ახალგაზრდული ბრიგადა ითვლებოდა, სადაც გაერთიანებული იყო 46500 ახალგაზრდა მუშა, მაღალი მოსავლის 2800 ახალგაზრდული რგოლი და 1000 მეტი ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადა[174].

საქართველოს მუშათა კლასის, და კერძოდ მუშა ახალგაზრდობის, აქტივობა ომის შემდეგაც კვლავ მაღალპატრიოტული შრომითი აღმავლობით, შრომის ნაყოფიერების ზრდით და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებით ხასიათდება.

1945 წლის დასაწყისშივე სახელოვანი საბჭოთა არმიის XXVII წლისთავსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავს რესპუბლიკის მშრომელები დიდი შრომითი აღმავლობის ვითარებაში შეეგებნენ. საამისო მზადება ადრე დაიწყო. განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინა ახალგაზრდობამ. გამრავლდა ფრონტული ბრიგადები და ათასოვანთა რიგები. მაგალითად, თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის სტახანოველი კომკავშირელი ს. ონიკაშვილი დღიურ დავალებას 750 პროცენტით ასრულებდა, ი. არაბიძე—759 პროცენტით, ხოლო ახალგაზრდული ბრიგადის წევრი ა. რობაქიძე—1200 პროცენტით. სტახანოველი კომკავშირელი ბიკოვა ამ დღეებში 7—8 ნორმას ასრულებდა დღიურად. მრავალი ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა თვიური გეგმა 25 თებერვლისათვის შეესრულებინა. ტყიბულის სტალინის სახელობის მეშახტეებმა ვალდებულება აიღეს თებერვალში ამოეღოთ ზეგეგმით 3000 ტონა ქვანახშირი. ანალოგიურ ახალ წამოწყებებს ჰქონდა ადგილი რესპუბლიკის საწარმოებში 1945 წ. საპირველმაისო დღესასწაულთან დაკავშირებით.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების საზეიმო დღეს მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მუშათა დიდი კოლექტივები ახალი ენერგიით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას და მგზნებარე მოწოდებით მიმართავენ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს. საქართველოს მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ მოწოდებას, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და აიღეს ვალდებულებანი წლის

---

[173] ამიერიდან ისინი ნაცვლად ფრონტულისა, ახალგაზრდათა ბრიგადად იწოდებოდნენ.

[174] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1946, 28 თებერვალი.

ბოლომდე გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოშვების შესახებ[175].

სამამულო ომის უკანასკნელ წელს ზეიმით აღინიშნა საქართველოს მთელი რიგი მსხვილი ინდუსტრიული საწარმოების მწყობრში ჩადგომის 10 წლისთავი, საგანგებოდ აღინიშნა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიღწევები. რიონჰესელებმა ზეიმით აღნიშნეს საქართველოს ენერგეტიკული გიგანტის ი. ბ. სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელსადგურის ამუშავების სახელოვანი თარიღი და ახალი ვალდებულებები იკისრეს საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ[176]. ამავე პერიოდში რესპუბლიკის საწარმოები ზეიმობდენ სტახანოვურ მოძრაობაში თავიანთი ჩაბმის 10 წლისთავს. საქართველოს ფაბრიკები და ქარხნები, მაღაროები, ელსადგურები და სარკინიგზო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი კვანძები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ და ახალი წარმატებებით აგვირგვინებენ მტერზე გამარჯვებას.

სამამულო ომის გადამწყვეტ 1944 წ. და საბოლოო გამარჯვების 1945 წელს დიდი წარმატებით გრძელდებოდა სამრეწველო მუშათა ახალგაზრდა კადრების მომზადება, მუშათა კლასის რიგების ზრდა და მისი კვალიფიკაციის ამაღლება[177].

კვალიფიციური მუშათა კადრები მზადდებოდა როგორც უშუალოდ სამრეწველო საწარმოებში, ასევე საფაბრიკო-საქარხნო და

---

[175] გაზ. „კომუნისტი", 1945, 7 ივლისი.

[176] გაზ. „კომუნისტი", 1944, 13 აგვისტო. 1945 წელს ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მე-6 საექსპლოატაციო უბნის მეშახტეები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში სტახანოვური მოძრაობის 10 წლისთავის აღსანიშნავად და გამოიწვიეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის მეოთხე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი (გაზ. „კომუნისტი", 1945. 24 ივლისი).

ტყვარჩელელ მეშახტეთა წერილმა სტახანოვური მოძრაობის 10 წლისთავის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ტყიბულელ მეშახტეთა შორის. 25 იელისს გაიმართა მიტინგები. ტყვარჩელელთა მოწოდების გასაცნობად. ყველა უბანმა და შახტმა მიიღო ტყვარჩელთა გამოწვევა და თავის მხრივ მუშებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი (გაზ. „კომუნისტი", 1945, 5 აგვისტო). სტახანოვური მოძრაობის გამოჩენილი ინიციატორები საქართველოში 1935 წელს იყვნენ ჭიათურის მარგანეცის მნგრეველი სამხარაძე, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედლები დ. ჭიკინაძე, კ. ილურიძე და დევსურაშვილი, საქვაბე საამქროს ოსტატი მ. გეწაძე და სხვ. ბევრი მათგანი სამამულო ომის დროს ახალი წარმატებით აგრძელებდა სტახანოვურ შრომას საბჭოთა არმიის გამარჯვებათა მოსაპოვებლად. მათივე მონაწილეობით თბილისის საწარმოებში, ტყიბულში, ტყვარჩელში, ზესტაფონში, ჭიათურასა და სხვა საწარმოებში დიდი აღმავლობით დაიწყო მზადება სტახანოვური მოძრაობის 10 წლისთავისათვის.

[177] მაგალითად, ბათუმის საწარმოებში 1944 წლის განმავლობაში მომზადებულ იქნა სხვადასხვა სპეციალობის 3564 მუშა (გაზ. „კომუნისტი", 1945, 16 მარტი).

ტექნიკურ სასწავლებლებში. მაგალითად, 1944 წლის განმავლობაში კიროვის სახ. ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკამ 157 მუშა მოამზადა ტექნიკური წრეების საშუალებით, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში კი 265-მდე ახლად მოსულმა მუშამ წარმატებით აითვისა სხვადასხვა სპეციალობა[178].

სამრეწველო მუშათა ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში კვლავაც დიდი მიღწევები ჰქონდა საქართველოს სახელოსნო სასწავლებლებს. მაგალითად, ომის დღეებში თბილისის მეხუთე სახელოსნო სასწავლებელმა, გარდა იმისა, რომ იგი სწრაფად და ხარისხობრივად ამზადებდა მრავალი სახის სამხედრო შეკვეთებს, აღზარდა 500-მდე კვალიფიციური მუშა. ამავე დროს ამ სასწავლებლის 105 მოსწავლე საკუთარი მკერდით იცავდა სამშობლოს. 1945 წელს სასწავლებლებში 209 მოსწავლე ეუფლებოდა სხვადასხვა სპეციალობას[179].

ასევე დიდი წარმატებები ჰქონდა თბილისის მესამე სახელოსნო სასწავლებელს, სადაც 1945 წელს 300-ზე მეტი სხვადასხვა სპეციალობის მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა მუშა მზადდებოდა[180].

ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა მუშა ახალგაზრდობის კვალიფიკაციის დაუფლებასთან ერთად მათ პოლიტიკურ და იდეურ აღზრდას. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1945 წლის ივნისში ჩატარებული საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი[181].

სამამულო ომის უკანასკნელ წლებში საქართველოში წამოწყებულ ახალ ინდუსტრიულ გიგანტებს, ბუნებრივია, სამრეწველო მუშათა მაღალკვალიფიციური კადრები ესაჭიროებოდა. ამ მიზნით 1944 წლიდანვე რუსთავში დაიწყო მეტალურგიული ქარხნისათვის საჭირო მუშათა კვალიფიციური კადრების მასობრივად მომზადება. ახალგაზრდა მუშათა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში საბჭოთა საქართველოს ძმური დახმარება გაუწია რუსეთისა და უკრაინის მუშათა კლასმა, მოსკოვის, ურალის, დონბასის, გორკის და სხვა მსხვილმა მეტალურგიულმა ქარხნებმა. იქ მიდიოდა

---

178 გაზ. „კომუნისტი", 1945, 17 იანვარი.

179 გაზ. „კომუნისტი", 1945, 27 ივლისი.

180 იქვე.

181 გაზ. „კომუნისტი", 1945, 15 ივნისი. სამამულო ომის უკანასკნელ წელს წარმოების ხელმძღვანელთა და მაღალკვალიფიციური მუშებისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შეიქმნა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი, რომელიც სისტემატურად აწყობდა მოკლევადიან კურსებს მსუბუქი მრეწველობის წარმოების მუშათა და ხელმძღვანელ მუშაკთა გადასამზადებლად. ინსტიტუტი მაღალკვალიფიციურ პედპერსონალთა კადრებით იყო დაკომპლექტებული (გაზ. „კომუნისტი", 1945, 29 მაისი).

ათასობით ქართველი ახალგაზრდა და წარმატებით ეუფლებოდა მეტალურგიული წარმოების რთულ პროფესიებს. საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში მოსამზადებლად მივლინებულ ახალგაზრდებს გულთბილად ღებულობდნენ და უდიდეს დახმარებას უწევდნენ მათ, რის შედეგადაც ისინი შესანიშნავ წარმატებებს აღწევდნენ სწავლაში. მაგალითად, მაგნიტოგორსკში 1945 წლის დასაწყისისათვის საქართველოდან ჩავიდნენ ახალგაზრდები. მათ შეითვისეს მეტალურგიული წარმოების საქმე, გაიარეს საწარმოო პრაქტიკა და 6 თვის შემდეგ წარმატებით ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები.

1944—1945 წლებში სსრ კავშირის მძლავრ მეტალურგიულ ქარხნებში, უმთავრესად დონბასსა და ურალში, საქართველოდან მივლინებული 5000-მდე ახალგაზრდა მუშა მომზადდა მარტო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის. ასევე მუშათა ახალგაზრდა კადრების მომზადება დაიწყო ქუთაისის საავტომობილო ქარხნისათვის მოსკოვში, გორკისა და სსრ კავშირის სხვა საავტომობილო ქარხნებში. ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ ძმურ დახმარებას, რაც რუსეთისა და უკრაინის მუშათა კლასმა გაუწია მის შვილებს მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

ფრონტებიდან შინ გამარჯვებით დაბრუნებული საქართველოს ათასობით სამრეწველო მუშები დიდი ხალისით უბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ ფაბრიკებს, ქარხნებს, შახტებსა და მაღაროებს; ისინი ახალი ენერგიით ებმებიან იმ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ რესპუბლიკის მრეწველობას ომის შემდგომი აღდგენითი ხუთწლედის განსახორციელებლად და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისადმი ომით მიყენებული ჭრილობის დაუყოვნებლივ მოსაშუშებლად დააკისრა.

9. ჩვენი მრეწველობის განვითარების გეზი და საერთო პირობები სამამულო ომის წლებში

ომის უმძიმეს პირობებში საქართველოს მრეწველობის განვითარების ანალიზი საფუძველს იძლევა ზოგიერთი დასკვნის გაკეთებისათვის.

პირველ ყოვლისა გარკვევით შეიძლება აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად დიდი ზარალისა[182], რომელიც განიცადა საბ-

[182] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისადმი და მოქალაქეებისადმი ომით მიყენებული მთლიანი ზარალი (სახელმწიფო ფასებში) შეადგენდა 679 მილიარდ მანეთს (Сообщение Государственной комиссии о материальном ущербе. Госполитиздат, 1945, გვ. 1—3), ხოლო მთელი ზარალი, სამხედრო ხარჯებთან ერთად, რომელიც ჰიტლერელებმა მიაყენეს ჩვენს ქვეყანას 2 ტრილიონ 569 მილიარდ მანეთს შეადგენს (ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი, თბილისი, 1957, გვ. 23).

ჭოთა ეკონომიკამ მთლიანად და განსაკუთრებით კი მრეწველობამ ომის პერიოდში, მტერმა ვერ შეძლო დაერღვია სსრ კავშირის სოციალისტური ინდუსტრიის ძირითადი საშუალებების გაფართოებული კვლავწარმოება, პირიქით, იმ არსებითი ცვლილებების საფუძველზე, რომლებიც ომის შედეგად განიცადა საბჭოთა მრეწველობის სტრუქტურამ და პროპორციამ ომამდელთან შეფარდებით, ომის წლებში სწრაფად იზრდებოდა წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონა უმთავრესად მსხვილი მრეწველობის ისეთ გადამწყვეტ დარგებში, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა. მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა და სხვ.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ომიანობის პერიოდის მშენებლობის ტემპები 5-ჯერ, 6-ჯერ და კიდევ უფრო სწრაფი იყო, ვიდრე ომის წინანდელი ხუთწლედების მშენებლობის ტემპები. ახალ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ომის წლებში შენდებოდა, ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგ., 1942 წ. აშენდა 10 315 საწარმო, 1943 წ.—10 418, ხოლო 1944 წ. 20 647[183].

ომის უკანასკნელ წლებში საბჭოთა ქვეყნის სამხედრო მრეწველობა დიდი აღმავლობით ხასიათდებოდა, ფაშისტური გერმანიისა კი კატასტროფისაკენ მიექანებოდა,—იგი 1944 წლიდან სისტემატურად იკვეცებოდა. ამას ადასტურებენ თვით გერმანიის ბურჟუაზიული ეკონომისტები; მათი გამოკვლევებით,—„1944 წელს დაიწყო სამხედრო წარმოების სწრაფი დაცემა. უკვე 1945 წლის მარტში ახლად წარმოებული პროდუქციის მიწოდება შეადგენდა 1944 წლის აგვისტოში ფრონტებზე მოხმარებული პროდუქციის მხოლოდ ⅓. სპეციალური გამოთვლები არ იყო აუცილებელი იმის დასანახავად, რომ დაახლოებით 1945 წლის ზაფხულის ბოლოსათვის ქვეითი ჯარების უზრუნველყოფა მძიმე იარაღ-საჭურველით უნდა მთლიანად შეწყვეტილიყო“[184].

მეორე მსოფლიო ომის პრობლემებზე მომუშავე გერმანელი ეკონომისტები და სამხედრო ისტორიკოსები ცდილობენ დაამცირონ სსრ კავშირის ხალხთა ღვაწლი და საბჭოთა არმიის როლი ფაშისტური გერმანიის განადგურებისა და ჰიტლერული ტირანიისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლების საქმეში. ჰიტლერული არმიის ყოფილი გენერალი კ. ტიპელსკირხი თავის ნაშრომის—„მეორე მსოფლიო ომის ისტორია“—მრავალ ადგილას უაღრესად აზვიადებს სსრ კავში-

---

[183] П. А. Белов, Вопросы экономики в современной войне, М., 1951, зд. 312.

[184] Промышленность Германии в период войны 1939—1945 гг., М., 1956, зд. 170.

რისადმი ამერიკის იარაღ-საჭურვლით დახმარების მნიშვნელობას, რომელმაც თითქოს გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა არმიის გამარჯვების საქმეში[185]. ბურუაზიული პრესის ამგვარი სიყალბე; დიდი ხანია უარყოფილია და დადასტურებულია, რომ ლენდლიზის წესით მოკავშირეების მიერ მოწოდებული სამხედროველო საქონლის ხვედრითი წონა საბჭოთა მრეწველობის პროდუქციასთან შედარებით ომის დროს მხოლოდ 4%-მდე თუ აღწევდა[186]. ასე რომ, საბჭოთა არმია მტერს ანადგურებდა სსრ კავშირის ფაბრიკა-ქარხნებში გმირი მუშათა კლასის მიერ დამზადებული იარაღ-საჭურველით, რომელიც თავისი ხარისხით ბევრად მაღლა იდგა გერმანიისაზე; იგივე ითქმის საბჭოთა სახელმწიფოს იმ ხარჯვების შესახებ, რომლებიც მან გაიღო გერმანიასა და იაპონიასთან ომის შედეგად და მასთან დაკავშირებული ოკუპაციის, უდიდესი ნგრევისა და ძარცვის გამო, რაც მრავალ ასეულ მილიარდ დოლარს აღემატება. ეს მაშინ, როცა სსრ კავშირმა ლენდლიზის წესით აშშ-გან მიიღო მხოლოდ 10,8 მილიარდი დოლარი[187].

სსრ კავშირის სამხედრო მრეწველობა ომის პერიოდში სწრაფად იზრდებოდა ჩვენი ქვეყნის შინაგანი რესურსების მაქსიმალური მობილიზაციისა და მუშათა კლასის უმაგალითო შრომითი გმირობის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით, კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან ყოველგვარი კაბალური სესხების აღების გარეშე.

სავსებით საწინააღმდეგო იყო მეფის რუსეთის მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.

ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას" ეხებოდა პირველ იმპერიალისტურ ომში რუსეთის ხარჯებს და ახასიათებდა ომს როგორც კაპიტალისტების გამდიდრების წყაროს, იგი წერდა: „ომი ახლა რუსეთს დღეში 51 მილიონ მანეთად უჯდება. ეს 51 მილიონი დღეში მეტნაწილად სამხედრო მასალის მიმწოდებლებს უვარდებათ ხელში"[188]. მეფის რუსეთი უცხოეთის კაპიტალისტური ქვეყნების უზარმაზარ კაბალურ ვალებში გაეხვია.

---

[185] К. Тинельскирх, История Второй мировой войны, М., 1956, გვ. 256.

[186] ომის წლებში აშშ დამზადებული 297 ათასი თვითმფრინავიდან და 86 ათასი ტანკიდან სსრ კავშირში მხოლოდ 14 450 თვითმფრინავი და 7 ათასი ტანკი გამოიგზავნა, რაც აღნიშნულ თვითმფრინავთა 4,9% და ტანკთა 8,1% შეადგენს („Внешняя торговля", №, 10, 1954, გვ. 11).

[187] „Вопросы экономики", № 4, 1951, გვ. 90—91.

[188] ვ. ი. ლენინი, კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას, სახელგამი, 1956, გვ. 76.

საქართველოში, როგორც მეფის რუსეთის ყოფილ კოლონიურ ქვეყანაში, იმპერიალისტური ომის შედეგად კიდევ უფრო ძლიერდებოდა მშრომელთა ჩაგვრა, ნადგურდებოდა საწარმოო ძალები და ხდებოდა ქვეყნის საერთო ეკონომიური დეგრადაცია.

სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკის სიმძლავრისა და უძლეველობის საფუძველს დიდ სამამულო ომში მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა წარმოადგენდა. საბჭოთა ხალხიოპატრიოტიზმმა, მის მიერ მოპოვებულმა ეკონომიურმა გამარჯვებამ, საბჭოთა სახელმწიფოს და მის არმიას შესაძლებლობა მისცა მოეპოვებინა მტერზე არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური გამარჯვება, არამედ ომიდან კიდევ უფრო გაძლიერებული გამოსულიყო[189].

ეკონომიურ ლიტერატურაში სამრეწველო ეკონომიური აღმავლობა ომის პერიოდში თუ მუდამ შეუძლებელ მოვლენად იყო აღიარებული, ამგვარი თეორიები გააბათილა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, მისმა გმირმა მუშათა კლასმა და ყველა მშრომელის თავდადებამ.

დიდი სამამულო ომის წლებში სსრ კავშირის აღმოსავლეთის ძირითად სამრეწველო რაიონებთან ერთად საქართველოშიც მძიმე მრეწველობის განვითარება გაფართოებული კვლავწარმოების გზით შიმდინარეობდა. რესპუბლიკაში ომის წლებში მძიმე მრეწველობის მთელი რიგი საწარმოებისა და ზოგი ახალი დარგის წარმოქმნა განხორციელდა.

საქართველოში მკვეთრად გაიზარდა ლითონგადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქცია; მაგ., ჯერ კიდევ 1943 წელს, 1941 წელთან შედარებით, საქართველოს ლითონგადამმუშავებელი მთლიანი პროდუქციის ზრდა შეადგენდა 291,4 პროცენტს[190]. 1944 — 1945 წლებში ეს ზრდა კიდევ უფრო დიდი აღმავლობით ხასიათდება. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევანი კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახალხო მეურნეობასა და კულტურულ მშენებლობაში კაპიტალური დაბანდებანი 1940 წელთან შედარებით ომის წლებში (ვიდრე 1943 წლამდე)

---

189 მეფის რუსეთის არმიის დამარცხების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი მისი ზურგის სრული დეზორგანიზაცია იყო. ამის შესახებ აშკარად იწერებოდა მაშინდელ ლეგალურ პრესაშიც ეჭ. მაგალითად, გაზეთ „სახალხო ფურცელში" ცნობილი ქართველი სამხედრო ისტორიკოსი ი. გედევანიშვილი წერდა: „ძოელი უბედურება და მარცხი, რომელიც რუსის ჯარებმა ამ ომის განმავლობაში იწვნია, სამი მეოთხედით უნდა მიეწეროს ზურგის მოუწესრიგებლობას და იშვიათ დეზორგანიზაციას და ანარქიას" (გაზ. „სახალხო ფურცელი", 1917, 20 იანვარი).

190 ი. ბ ა ჯ ა ძ ე, საქართველოს სსრ ინდუსტრიული განვითარების ტემპების შესახებ, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1947, გვ. 180.

ყოველწლიურად მცირდებოდა. მაგალითად, 1940 წელს თუ დაბანდებულ იქნა 910,9 მილიონი მან., 1942 წელს იგი შემცირდა 485,1 მილიონ მანეთამდე, 1943 წელს—603,162 ათას მანეთამდე, ხოლო 1944 წელს იგი 846,3 მილიონ მანეთამდე გაიზარდა[191].

ამ თანხის დიდი ნაწილი ამავე პერიოდში უმთავრესად რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის განვითარებაზე მოდიოდა[192]. სამრეწველო საწარმოების მიერ საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულება და მრეწველობის პროდუქციის ზრდა უშუალოდ იყო დაკავშირებული შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან. ამის შესაბამისად ყოველწლიურად იზრდებოდა სამრეწველო საწარმოთა მოგების ანარიცხები, რაც ჩვენი ქვეყნის სამხედრო ეკონომიკის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. მაგალითად, მოგების ანარიცხების შემოსავალი ბიუჯეტში 1940 წელს თუ 204,6 მილ. მანეთს უდრიდა, 1941 წელს იგი 260,4 მილ. მანეთს შეადგენდა, ხოლო 1942 წელს 329,4 მილ. მანეთს[193].

საქართველოს მრეწველობაში 1941—1945 წწ. კაპიტალდაბანდებათა შედეგად მსხვილი მრეწველობის წარმოების ძირითადი საშუალებანი, ფასეულობით გამოსახული, საგრძნობლად გაიზარდა და 1945 წელს 1940 წლის მიმართ 137,1% შეადგენდა. კერძოდ, რესპუბლიკის ლითონდამუშავების მრეწველობა გადიდდა 2,1-ჯერ (მათ შორის მანქანათმშენებლობა 4-ჯერ), ქვანახშირის მრეწველობა—დაახლოებით 2-ჯერ, სამთო-ქიმიური მრეწველობა—დაახლოებით 2-ჯერ. საშენ მასალათა წარმოება—1,8-ჯერ და ა. შ. რესპუბლიკაში 1940 წელს თუ 14 324 სამრეწველო საწარმო ითვლებოდა, მათი რიცხვი 1944 წელს 14 837-მდე გაიზარდა. მსხვილი მრეწველობის ძირითადი საშუალებანი 1940 წელს თუ 1328,9 მილ. მან. უდრიდა, 1944 წელს 1741,8 მილ. მან. გაიზარდა[194].

1945 წელს ახალ ინდუსტრიულ მშენებლობაზე გაღებული კაპიტალდაბანდებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში განხორციელებულ მთელ კაპიტალდაბანდებათა დაახლოებით 40% შეადგენდა, რაც 30,8%-ს სჭარბობდა საქართველოს მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობას 1941 წელს.

---

[191] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან; მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14. საქმე 647 (65), ფურც. 101.

[192] ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

[193] კ. ციმაკურიძე, მოხსენება საქართველოს სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, ეურნ. „ბოლშევიკი", № 3, 1944, გვ. 25.

[194] ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 647 (65), ფურც. 20.

1941—1945 წლებში ამუშავდა რამდენიმე ლითონგადამმუშავებელი მსხვილი ქარხანა და მოხდა არსებულთა გაფართოება. ამავე პერიოდში 17% გაიზარდა რესპუბლიკის ელექტროსადგურების სიმძლავრე. ეს ზრდა სამხედრო მრეწველობის გაძლიერებით იყო გაპირობებული. მძიმე მრეწველობასთან ერთად გაძლიერდა მრეწველობის სხვა დარგებიც.

მაგ.. გაიზარდა ქიმიური და საფეიქრო, კვებისა და სამშენებლო მასალების მრეწველობა. საქართველოს მრეწველობის ასეთი ზრდა და წარმატებანი ომის წლებში, 1940 წელთან შედარებით, მუშახელის ნაკლები რიცხობრივი რაოდენობის პირობებში იქნა მოპოვებული.

ომის წლებში შემცირდა მსხვილი მრეწველობის მუშათა საერთო რაოდენობა და მხოლოდ 1945 წელს აღდგა იგი, თუმცა ლითონგადამუშავების მრეწველობაში მუშათა ოდენობა მეტი იყო, ვიდრე ომამდე[195]. ომის წლებში რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში განუხრელად ხორციელდებოდა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია, უმთავრესად ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის საფუძველზე, რომელთა განხორციელება არ მოითხოვდა მსხვილ კაპიტალურ დაბანდებებს, დიდ დროს და წარმოების რაციონალიზატორული და გამომგონებლობითი მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო.

ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობაში ომის წლებში კაპიტალური დაბანდების ზრდა[196] შემდეგი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება (ცხრ. 6).

ცხრილი 6

წელი	კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობა ათას მანეთებში
1940	3617,0
1941	4861,0
1942	3129,0
1943	4365,0
1944	9837,0

კაპიტალდაბანდების ზრდის შესაბამისად მძიმე მრეწველობის ძირითად დარგებში ხორციელდებოდა როგორც ახალი მშენებლობანი, ასევე იზრდებოდა შრომის პროცესების მექანიზაცია და წარმოების უახლესი ტექნიკით შეიარაღება[197]. ამის შედეგად რესპუბ-

[195] ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.
[196] იქვე.
[197] ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

ლიკის ლითონგადამუშავების წარმოებების ძთლიანი პროდუქცია სამამულო ომის უკანასკნელ—1945 წელს ომამდელ 1940 წელთან შედარებით 151,1% გაიზარდა. მანქანათმშენებლობის მთლიანი პროდუქცია 1945 წელს 86,10%-ით სჯარბობდა 1940 წლის დონეს. შეუნელებელი ზრდით ხასიათდებოდა საქართველოს ელექტრომრეწველობა და ქვანახშირის მრეწველობა, რომლებიც სამამულო ომის უკანასკნელ 1945 წელს ბევრად მეტ პროდუქციას აძლევდნენ სამშობლოს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა საქართველოს მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგთა მუშაობა ნათლადაა ასახული საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობის რეზოლუციებში, სადაც ვკითხულობთ: „ომის წლებში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა შეინარჩუნეს სამრეწველო წარმოების მაღალი დონე“[198].

ამ დოკუმენტებში არსებითად შეჯამებულია საქართველოს მრეწველობის მთელი მუშაობა, მისი მიღწევები. აქვე აღნიშნულია საქართველოს მუშათა კლასის ის გმირული შემოქმედებითი შრომა, რაც მან ომის წლებში ესოდენ სასახელოდ გასწია.

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის რიგი რაიონებისაგან განსხვავებით, საქართველოს არ განუცდია ოკუპაცია მტრის მიერ, ომის შედეგები რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებში მაინც მწვავედ იგრძნობოდა.

ომის პერიოდში შემცირდა რესპუბლიკის მრეწველობის მთელ რიგ დარგთა მზა პროდუქციის გამოშვება, ეს შემცირება ყველაზე მეტად იგრძნობოდა საშენ მასალათა, ცემენტისა და ტყავის ფეხსაცმლების წარმოების დარგებში[199].

რესპუბლიკის მრეწველობის სამხედრო რელსებიდან სამოქალაქოზე გადაყვანის შედეგად 1945 წელი საქართველოს ლითონგადამუშავებისა და მანქანათმშენებლობის დარგთა საწარმოების შემობრუნების წელი იყო. იარაღ-საჭურველთა წარმოების თანდათან შემცირებით საგრძნობლად კლებულობს მისი პროდუქციის საერთო მოცულობა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მრეწველობის ამ დარგის პროდუქციის საერთო მოცულობა მაინც აღემატებოდა 1940 წლის დონეს. სამაგიეროდ უფრო სწრაფად იწყო განვითარება მოხმარების საგნების წარმოებამ. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი არა მარტო საქართველოს მრეწველობისათვის, არამედ მთლიანად სსრ კავშირის მრეწველობისათვისაც იყო დამახასიათებელი. იგი გამოხატავდა

---

[198] საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში. გვ. 417.
[199] Народное хозяйство Груз. ССР, Стат. сборник, Тбилиси, 1957, 42—43.

საბჭოთა სამხედრო ეკონომიკის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანის ერთგვარ მოკლევადიან გარდამავალ პერიოდს, როცა მთლიანად მრეწველობა და მისი „ა" და „ბ" ჯგუფების თანაფარდობით განვითარება შემდეგი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება (ცხრ. 7).

ცხრილი 7

	1940	1944	1945	1946	1947	1948
მთელი მრეწველობა	100	104	92	77	93	141
„ა" ჯგუფი წ. ს. წ.	100	136	112	82	101	163
„ბ" ჯგუფი მოხმარების საგანთა წარმოება	100	54	59	67	82	107

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ 1945 და 1946 წლებში განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის დონემ დაბლა დაიწია, რადგან მრეწველობის გადაყვანა მშვიდობიან რელსებზე გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და ერთგვარ დროს მოითხოვდა. სამრეწველო წარმოების ომის შემდგომი გარდაქმნა ძირითადად დამთავრდა 1946 წელს, რის შემდეგ ჩვენი მრეწველობის პროდუქციამ სწრაფი ტემპებით იწყო ზრდა და 1951 წ. ერთი ორად გადააჭარბა 1942 წლის დონეს[200].

სამამულო ომის უკანასკნელ წლებში დაიწყო სამხედრო რელსებზე მდგომი საქართველოს მრეწველობის სამოქალაქო პროდუქციის წარმოებაზე გადაყვანა. ეს პროცესი უდავოდ თავისებურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და წარმოადგენდა გარდატეხის ერთგვარ პერიოდს ჩვენი მრეწველობის განვითარების საქმეში. იარაღ-საჭურველის მწარმოებელ საწარმოთა—უმთავრესად ლითონგადამმუშავებელი, მანქანათმშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის, რკინიგზის საწარმოთა და სხვათა სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე გადაყვანით საგრძნობლად მცირდება რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია. ამიტომ დროის ამ მოკლე მონაკვეთში საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის დონე უფრო დაბალი იყო ვიდრე ომამდელი 1940 წ. დონე, უკანასკნელის მიღწევას კი გარკვეული პერიოდი დასჭირდა. საზოგადოდ, სამამულო ომის წლებში ვითარდებოდა რესპუბლიკის უმსხვილესი ინდუსტრიული საწარმოები უახლესი ტექნიკის ბაზაზე. იზრ-

[200] საანგარიშო მოხსენება საკ. კპ (ბ) XIX პარტყრილობაზე, გვ. 45—46.

დებოდა კაპიტალური დაბანდებანი და მრავლდებოდა კვალიფიციურ მუშათა რიცხვი.

მუშათა კვალიფიკაციის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მუშათა ხელფასი და გეგმიური მომარაგება, ფართოვდებოდა დამხმარე მეურნეობისა და მუშათა ინდივიდუალურ სარგებლობაში გადაცემული საბოსტნე ნაკვეთების ქსელი. წარმჯტებით ხდებოდა ომის პერიოდისათვის დამახასიათებელი სასურსათო სიძნელეთა დაძლევა. კოლმეურნე გლეხობა ქმედით დახმარებას უწევდა მუშათა კლასს სურსათით უზრუნველყოფის საქმეში. დღითი დღე მტკიცდებოდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის თანამეგობრობა.

საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო შვილები, რომლებმაც თავი ისახელეს სამამულო ომის წლებში, ომის დამთავრების შემდეგაც არ ანელებენ თავდადებულ შრომას ჩვენი დიადი სამშობლოს საბედნიეროდ და დღესაც მოწინავეთა რიგებში დგანან[201].

მაგალითად, სახელოვანი მჭედელი კ. ილურიძე ყოველდღიურ ნორმას 300—350 პროცენტით ასრულებდა. ილურიძის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა და ჯერ კიდევ 1955 წელს იგი 1960 წლის ანგარიშში უშვებდა მაღალხარისხოვან პროდუქციას. 1954 წლის განმავლობაში წარმოებაში მისი ოთხი რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა, რამაც სახელმწიფოს დიდი ეკონომია მისცა.

ასევე ითქმის ბევრი მოწინავე მუშის, კერძოდ ნოვატორ ჭუმბურიძისა და სხვათა შესახებაც. საქართველოს მოწინავე მუშების გარკვეული ნაწილი ფაბრიკა-ქარხნებიდან პარტიულ და საბჭოთა პასუხსაგებ სამუშაოებზე იქნა გადაყვანილი.

ომის წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ყურადღება ექცეოდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციას. სამეურნეო მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის მართვის საკითხები მუდამ იდგა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში. წარმოების პირობების შეცვლის შესაბამისად და მის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ფორმებიც.

სამამულო ომის პერიოდში, საბჭოთა საქართველოს მაგალითზე. ნათლად დასტურდება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების რამდენადმე განვითარება, რასაც სამშობლოს დაცვა საჭიროებდა; ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში კი ამას ბევრად უფრო დიდი ასპარეზი შეექმნა. ახალი სამრეწველო რეზერვების გამოვ-

[201] გაზ. „კომუნისტი", 1945, 3 თებერვალი.

ლინება, მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის ზრდა, რაციონალიზატორების, გამომგონებლების და ნოვატორების მუშაობა დღითი დღე აძლიერებს სამშობლოს კეთილდღეობას.

1957 წელს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გატარდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი დიდი რეორგანიზაცია.

მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული საბჭოთა ქვეყნის მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციას—სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნას საფუძვლად დაედო სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის დადგენილებათა შესაბამისად საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნით, რომელიც აერთიანებს 1000-ზე მეტ სამრეწველო საწარმოს, ახალი პერსპექტივები ისახება რესპუბლიკის მრეწველობისა და მისი ეკონომიკის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის, სამრეწველო რეზერვების გამოყენებისა, კოოპერირებისა და არსებულ სიმძლავრეთა რაციონალური გამოყენებისათვის.

თავი V

საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება და კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი საომარ ომის პერიოდში

1. ბრძოლა სოფლად შექმნილი სიძნელეების დაძლევისათვის. მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის კავშირის განმტკიცება

სამამულო ომმა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებას უაღრესად სერიოზული სიძნელენი შეუქმნა. კოლმეურნეობებიდან, მტს-ებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან არმიაში გაიგზავნა მოწინავე ადამიანები, ტრაქტორების, ავტომანქანებისა და ცოცხალი გამწევი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი. შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მათი სათადარიგო ნაწილების, სასუქებისა და საწვავის წარმოება[202].

მტერმა დროებით ხელთ იგდო საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანესი სასურსათო ბაზები—უკრაინის, დონის, ყუბანისა და სხვა რაიონების სახით, მოახერხა საბჭოთა ტერიტორიის საგრძნობი ნაწილის ოკუპირება, სადაც ომამდე 88 მილიონი საბჭოთა ადამიანი

[202] საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ, თბილისი, 1947, გვ. 6.

ცხოვრობდა. მტერმა მიიტაცა საბჭოთა კავშირის სათესი ფართობის 47%, წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ნახევარზე მეტი. ამით მტერმა ომის პირველსავე წელს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობას უაღრესად დიდი ზარალი მიაყენა.

ჰიტლერელმა დამპყრობლებმა დაანგრიეს და გაძარცვეს 2890 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, გერმანიაში გაიტაცეს 137 ათასი ტრაქტორი, 49 ათასი კომბაინი, 4 მილიონი გუთანი და ნიადაგის დასამუშავებელი სხვა სახის იარაღი, 885 სამკალი და დამხარისხებელი მანქანა, 265 სათესი და სარგავი მანქანა, დაანგრიეს სატრაქტორო ქარხნები სტალინგრადსა და ხარკოვში. მოსპეს სოფლის მეურნეობის მრავალი მანქანათმშენებელი ქარხანა და ა. შ. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, სოფლის მეურნეობის მომარაგება მანქანა-იარაღებით და მათი სათადარიგო ნაწილებით გაძნელდა და საგრძნობლად შეიკვეცა.

თუ ომით გამოწვეული ზემოაღნიშნული სიძნელეები ესოდენ დიდი იყო და სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა სოფლის მეურნეობას, სამაგიეროდ ფრონტი და ზურგი, საბჭოთა არმია და თავდაცვის სამსახურში ჩამდგარი მრეწველობა ახალ გაზრდილ მოთხოვნებს უყენებდა კოლმეურნე გლეხობას სურსათისა და სამრეწველო ნედლეულით შეუფერხებლად მომარაგების საქმეში.

ამრიგად, ომმა საბჭოთა სახელმწიფოს მთლიანად და, კერძოდ, მის საკოლმეურნეო წყობილებას უმკაცრესი გამოცდა მოუწყო. მაგრამ წარმოების სოციალისტურ საფუძველზე მკვიდრად დამყარებულმა საკოლმეურნეო წყობილებამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაუძლო ამ გამოცდას, გადალახა ომის დროის ურთულესი სიძნელენი და ნათელყო თავისი ცხოველმყოფელობა და სიცოცხლისუნარიანობა. ამ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს სსრ კავშირის აღმოსავლეთის ზურგის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

სსრ კავშირის აღმოსავლეთის რაიონების კოლმეურნე გლეხობამ დასავლეთიდან იქ ევაკუირებული მოსახლეობის დახმარებით გადალახა სიძნელენი და უდიდეს წარმატებებს მიაღწია. საკოლმეურნეო წყობილებამ, შევიწროებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიუხედავად, დაადასტურა თავისი დიდი უპირატესობა, უზრუნველყო გაფართოებული კელავწარმოება სოფლის მეურნეობის მთელ რიგ გადამწყვეტ დარგებში.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში გაფართოებული კელავწარმოების პროცესი ომის პერიოდში მრავალი მაჩვენებლებით დასტურდება. ჯერ კიდევ 1942 წელს ზურგის რაიონების კოლმეურნეო-

ბებში ნათესი ფართობი ომამდელ 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 3,7 მილიონი ჰექტარით[203]. 1943 წელს ნათესი ფართობის ზრდა, წინა 1942 წელთან შედარებით, სსრ კავშირში მთლიანად 6400 ათას ჰექტარს აღემატებოდა[204], ხოლო 1944 წელს 1943 წელთან შედარებით—16 მილიონ ჰექტარს[205]. ნათესი ფართობის ზრდასთან ერთად გაიზარდა მოსავლიანობა. 1944 წელს ქვეყანამ მიიღო მილიარდ ასი მილიონი ფუთი პურით მეტი, ვიდრე წინა 1943 წელს. მარცვლეულის მოსავლიანობასთან ერთად იზრდება ტექნიკური კულტურებიც. მაგალითად, მხოლოდ უზბეკეთმა 1944 წელს სამშობლოს 311 ათასი ტონით მეტი ბამბა მისცა, ვიდრე 1943 წელს[206]. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ამ საერთო წარმატებებში თავისი დიდი წვლილი ედო საქართველოს კოლმეურნე გლეხობას. ამ წარმატებებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობამ, ჩვენმა კოლმეურნე გლეხობამ მიაღწია მუშათა კლასთან და ჩვენი ქვეყნის ქალაქის ყველა მშრომელთან კავშირის განმტკიცების გზით, რომლის ორგანიზატორად და სულისჩამდგმელად კომუნისტური პარტია გვევლინება[207].

* * *

საბჭოთა საქართველო, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის იმ რაიონების რიგს მიეკუთვნება, რომელთა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ომის წლებში შეუფერხებლად ამარაგებდნენ არმიასა და მოსახლეობას სურსათით, ხოლო მსუბუქ მრეწველობას—ნედლეულით.

საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის როლი და პასუხისმგებლობა ამ განსაცდელის ჟამს სამშობლოს წინაშე უჩვეულოდ გაიზარდა. საქართველოს სოფლის მეურნეობას დაეკისრა:

1. მნიშვნელოვნად გაედიდებინა მარცვლეულისა და ბაღჩეულ-ბოსტნეული, კულტურების ნათესი ფართობი, გაეზარდებინა ბრძოლა უხვი სამხედრო მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი აღმავლობისათვის, მიეწოდებინა ფრონტისა და ქალაქის მოსახლეობისათვის რაც შეიძლება მეტი კვების პროდუქტები;

---

[203] „Пропагандист и агитатор," 1944, № 11, გვ. 53.
[204] Важнейшие постановления СНК СССР и ЦК ВКП (б) по сельскому хозяйству за 1942—1944, გვ. 7.
[205] „Плановое хозяйство", № 3. 1944, გვ. 8.
[206] Ученные записки Академии общественных наук при ЦК ВКП (б). № 6, 1949, გვ. 82.
[207] Н. В. Мансветов, Из истории социалистической взаимопомощи трудящихся города и деревни в годы В. О. В., Доклады и сообщения Института истории АН СССР, вып. 8, გვ 88.

2. გადამჭრელი ზომები მიეღო ჩვენი სოფლის მეურნეობის სიცოცხლისა—ჩაის, ციტრუსების, ვენახის, ტუნგოს, ხეხილისა და სხვა ძვირფასი კულტურების დაცვა-შენარჩუნებისა და მისი მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის სამამულო ომის მძიმე პირობებში, როცა გაძნელებული იყო სასუქების და ქიმიკატების შემოზიდვა;

3. მთელი ძალების მობილიზაციით და შრომის ახლებური ორგანიზაციით უზრუნველეყო მსუბუქი მრეწველობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მაღალხარისხოვანი ნედლეულით და დახმარებოდა მუშათა კლასს საბჭოთა არმიის ტანსაცმლისა და იარაღ-საჭურველის წარმოების საქმეში.

ამ საბრძოლო ამოცანების განხორციელება საქართველოს კოლმეურნე გლეხობას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა. ომმა საქართველოს სოფლის მეურნეობას, ისევე როგორც მოძმე რესპუბლიკების გლეხობას, დიდი სიძნელენი შეუქმნა. კოლმეურნეობებიდან არმიაში წავიდა შრომისუნარიანი მამაკაცების დიდი უმრავლესობა. ფრონტებზე წავიდა კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი. ესენი იყვნენ თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მერგოლურები, მოანგარიშეები, ის ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ ორგანიზაციულ-სამეურნეო მუშაობის სამაგალითო გამოცდილება. სამამულო ომის ფრონტებზე წავიდნენ სოფლის მეურნეობის მექანიზატორები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ტრაქტორისტები, მტს-ების ხელმძღვანელები და პარტიული მუშაკების დიდი ნაწილი, მრავალი ათასობით სოფლის ინტელიგენცია მასწავლებლების, ექიმების, ექთანების და სხვათა სახით. ჯან-ღონით სავსე მამაკაცები თითქმის აღარ დარჩნენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მაგრამ ისინი მოხუცებმა, ქალებმა და მოზარდებმა შესცვალეს.

სამამულო ომის ფრონტებზე წასულმა კოლმეურნეებმა ასახელეს საბჭოთა სამშობლო. ზესტაფონის რაიონის სოფ. როდინოულის არტელ „ოქტომბრის მონაპოვარის" კოლმეურნეები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი მამაცი თანასოფელელის ლევან ჩუბინიძის სახელით, რომელიც, მართალია, მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ საუკუნოდ დაიმკვიდრა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. ქართველი კოლმეურნეები სახელოვნად იბრძოდნენ სამამულო ომის ყველა ფრონტზე.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა თვითეული ოჯახიდან სამი, ხუთი, ათი და ზოგჯერ მეტი მებრძოლიც კი ფრონტზე იმყოფებოდა (მაგ.. ძმები ბარბაქაძეები). მამა და შვილები, ლები და ძმებიც კი მონაწილეობდნენ მტერთან ბრძოლებში. მაგალითად, ერთ-ერთ

ქვედანაყოფში ლანჩხუთელი მამა და შვილი გოგიჩაიშვილები ერთად იბრძოლნენ. მამამ კავკასიის მისადგომებთან 100-მდე ჰიტლერელი გაანადგურა ტყვიამფრქვევით[208], მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ ზურგში დარჩენილ კოლმეურნეთა მთელი ძალები დარაზმულ იქნა არა მარტო საბჭოთა არმიის სურსათითა და სამხედრო მრეწველობის საჭირო ნედლეულით მომარაგებისთვის, არამედ რესპუბლიკის მრეწველობის საჭირო მუშახელით უზრუნველსაყოფადაც. სოფლებიდან ქალაქში ორგანიზებულად მიედინებოდა სოფლის ახალგაზრდობა და ეუფლებოდა ახალ სამრეწველო პროფესიებს. ისინი ჩაბმულნი იყვნენ და აქტიურად მუშაობდნენ საქართველოს მთელ რიგ საწარმოებში და ამავე დროს სამამულო ომის მთელ მანძილზე კოლმეურნეობებსაც უწევდნენ აუცილებელ დახმარებას.

საქართველოს მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში კოლმეურნე გლეხობის ჩაბმის გზით ხერხდებოდა თავის დაღწევა იმ ჩამორჩენისა და გარღვევისაგან, რასაც ზოგჯერ ჰქონდა ადგილი. კოლმეურნე გლეხობის შრომითი მონაწილეობა უმთავრესად ხორციელდებოდა ქვანახშირის შახტებსა და ჭიათურის მაღაროებში, გუმბრინის, ნავთობის და მოპოვებითი მრეწველობის სხვა სახის ისეთ საწარმოებში, სადაც შესაძლებელი იყო არაკვალიფიციური ან დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის სახელდახელოდ გამოყენება.

მაგალითად, 1942 წლის 6 ივლისს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი საქართველოს გუმბრინის წარმოების გაუმჯობესების შესახებ.

ომის დაწყებამდე გუმბრინში თუ 360 კაცი მუშაობდა, პირველსავე მობილიზაციის შემდეგ დარჩა მხოლოდ 98 მუშა. ცენტრალურმა კომიტეტმა სხვა ღონისძიებათა შორის გუმბრინის წარმოების მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით დაავალა წყალტუბოს პარტრაიკომს რაიონის კოლმეურნეობებიდან 1 წლის ვადით შეერჩია გუმბრინში სამუშაოდ 120 კაცი[209].

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნისათვის საჭირო ქალცედონის საჭაპანო ტრანსპორტით მიზიდვის უზრუნველყოფის მიზნით დაევალა ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებს ყოველდღიურად 100 გაწყობილი ურემი გამოეყვანათ და ქარხანა შეუფერხებლად მოემარაგებინათ ქალცედონით[210].

---

[208] „Красный флот", № 6, 1944.

[209] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12299, ფურც. 58.

[210] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არქივი, დადგენილება № 20, გვ. 41.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მითითებით ჭიათურისა და საჩხერის რაიონებიდან ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოებაში 100 კოლმეურნე გაიგზავნა. ასევე ენგურკომბინატის მუშაობის ჩამორჩენილობის დაუყოვნებლივი ლიკვიდაციისა და წარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის მიზნით 1942 წლის მანძილზე მახლობელი კოლმეურნეობებიდან მობილიზაციის წესით საწარმოზე მიმაგრებულ იქნა 810 კოლმეურნე და 270 საჭაპანო-სატრანსპორტო ერთეული[211].

ჭიათურის საწარმოები 1944 წელს მწვავედ განიცდიდნენ მუშახელის ნაკლებობას. რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციებისა და მთავრობის ღონისძიებებით ჭიათურის საწარმოების მუშახელით უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობებიდან უმოკლეს დროში 3500 მუშა შეგროვდა და გაიგზავნა ჭიათურაში. ახლად მიღებულ მუშებს შორის ფართოდ გაიშალა იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, განხორციელდა რიგი ღონისძიებები მათი საწარმოო ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, რის შედეგადაც 1944 — 1945 წლებში თითქმის ყველა მათგანი დაეუფლა ტექნიკური ცოდნის მინიმუმს წარმოების ცალკე დარგებისა და პროფესიების მიხედვით, ხოლო 1400 მუშა გადამზადდა 3 ან 6-თვიან კურსებზე. ისინი გახდნენ კვალიფიციური ზეინკლები, მებიგეები, მბურღავები, მემანქანეები, მრეცხავები, ამფეთქებლები, მონტიორები და ა. შ.[212].

სამამულო ომის პერიოდში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიზარდა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი საბჭოთა საზოგადოებისადმი და კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირი. კოლმეურნე გლეხობამ ომით შექმნილ ურთულეს ვითარებაში უმკაცრესი სკოლა განვლო. ომით შექმნილ სიძნელეთა დაძლევისათვის ბრძოლაში გაიზარდა გლეხობის სოციალისტური შეგნება, ამაღლდა მისი იდეური დონე და მრავალმხრივ განმტკიცდა იგი.

ამ განსაცდელის ჟამს მან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ იგი სავსებით ახალი ტიპის გლეხობაა, რომლის მსგავსი არ ახსოვს ისტორიას. კოლმეურნე გლეხები სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ბედით და მზად იყვნენ გაეღოთ ყოველგვარი მსხვერპლი მტერზე გამარჯვების მოპოვებისათვის. მუშათა კლასისა და კოლმეურნე

---

211 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14. საქმე 12241. ფურცელ. 20.

212 საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიის სტენოგრ. ანგარიში, გაზ. „კომუნისტი", 1945, 4 აგვისტო.

გლეხობის ინტერესები ერთ მიზანს ემსახურებოდა. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სრულ თანამეგობრობაში გადაიზარდა.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა დიდი სამამულო ომის პერიოდში მხარში ედგა მუშათა კლასს იარაღ-საჭურველთა წარმოების ზრდის საქმეში და სისტემატურად განამტკიცებდა მასთან შეგობრობას. სოფლად დარჩენილი ქალები, მოზარდი თაობა და ხანშიშესულნი წარმატებით ახერხებენ სიძნელეების დაძლევას. ისინი ახალი პროფესიების ათვისებითა და გმირული შრომით ცვლიან სოფლებიდან ფრონტზე და ფაბრიკა-ქარხნებში წასულ ვაჟკაცებს.

სოფლად ომის შედეგად შექმნილი სიძნელეების დაძლევა-გადალახვისათვის და საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოფლისა და ქალაქის, მუშებისა და გლეხების კავშირის შემდგომ განმტკიცებას, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას და მის სისტემატურ გულისხმიერ დახმარებას რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობისადმი. სწორედ აქეთკენ იყო მიმართული რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების რიგი ღონისძიებები[213].

სამამულო ომის წლებში საქართველოს მტს-ებიდან ათასობით კვალიფიციური მუშახელი — ტრაქტორისტები, კომბაინერები, მექანიკოსები და სხვები ფრონტზე გაიწვიეს.

მტს-ების ახალგაზრდა კადრების მომზადებისათვის კომუნისტურმა პარტიამ მაქსიმალურად გამოიყენა რესპუბლიკის მთელი შესაძლებლობანი, სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებელთა კადრები, ინჟინრები, მოწინავე სტუდენტები და ტექნიკოსები. ამ მიზნით 1941 წ. ივლისში საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დასახეს ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სოფლად სამუშაოდ გაგზავნის შესახებ. მათ უნდა შეეცვალათ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეული სპეციალისტები. ამავე პერიოდში რესპუბლიკის წამყვანი რაიონების მტს-ებთან მოეწყო ტრაქტორისტთა მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები უმთავრესად ქალთათვის[214].

---

[213] მაგალითად, 1941 წ. ოქტომბერს საქ. კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის ძირითად რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში დაგზავნა საქ. კპ (ბ) ცეკას ბიუროს და სახკომსაბჭოს წევრები პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებისადმი დახმარების აღმოსაჩენად.

[214] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14. საქმე 11538, ფურც. 4—5.

მრავალწლიანი კულტურების მოვლა-პატრონობის მიზნით რაიონებში გაემგზავრნენ სპეციალისტები სუბტროპიკების, მებაღეობისა და მევენახეობის ფაკულტეტებიდან. სოფელს სისტემატურ დახმარებას უწევდნენ ტექნოლოგიის, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის სპეციალისტები.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან ფრონტებზე გაწვეული ტექნიკური კადრების შემცვლელთა მომზადებამ შესანიშნავი შედეგები მოიტანა. მაგალითად, 1941 წლის განმავლობაში 2907 ტრაქტორისტი მომზადდა, რომელთაგან 1366 ქალი იყო. 1944 წელს კი საჭირო შეიქნა კიდევ დამატებით 1500-მდე ტრაქტორისტის მომზადება, რომელთა 51%-ზე მეტს ქალი შეადგენდა. ასევე მომზადდა კომბაინერები, მექანიზატორები და სხვ.[215].

სოფლის მეურნეობის ტექნიკური კადრების მომზადების საქმეს დაუმორჩილდა რესპუბლიკის სათანადო უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები, სკოლები, შეიქმნა აგრეთვე სპეციალური კურსები[216].

ადგილებზე — რაიონებსა და სოფლებში, მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად ეწყობოდა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებისა და აგროტექნიკის საფუძვლების შემსწავლელი კურსები. მაღალკვალიფიციური ტრაქტორისტების, კომბაინერების, აგროტექნიკოსებისა და ბრიგადირების მიერ ინდივიდუალური მოწაფეობის წესით, წარმოებიდან მოუწყვეტლივ მატულობდა ახალგაზრდა კადრების მომზადება[217].

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალთა საკოლმეურნეო კადრების მასობრივად მომზადებისა და ახალ კვალიფიკაციათა დაუფლების საქმეს. შეიქმნა ტრაქტორისტ ქალთა მოსამზადებელი კურსები რესპუბლიკის მთელ რიგ მტს-ებთან. მაგალითად, გორის, აგარის, შინდისის, ახალქალაქის, ალაზნისა და ახმეტის მტს-ებთან მოწყობილ კურსებზე მსმენელებად მხოლოდ ქალები ირიცხებოდნენ.

საქართველოს სოფლის მეურნეობამ ამ გზით სულ მალე რამდენადმე აინაზღაურა ის დანაკლისი, რომელიც ომის შედეგად მან განიცადა კვალიფიციურ კადრთა მხრივ. ქალებმა წარმატებით

---

[215] გაზ. „კომუნისტი", 1942. 23 თებერვალი.

[216] საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში 1942 წ. დასაწყისისათვის 100-ზე მეტ კაცს ჰქონდა შესწავლილი ტრაქტორისტობა, ხოლო 700 კაცი სწავლას განაგრძობდა. ტექნიკუმებში ტრაქტორისტობას სწავლობდა 804, ხოლო სკოლებში 1500 კაცი (გაზ. „კომუნისტი", 1942. 23 თებერვალი).

[217] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12 320, ფურც. 256.

შეცვალეს მამაკაცები. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვემო შუხუთის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა სტახანოველმა გოგუცა ორაგველიძემ განაცხადა: „კოლმეურნეობისაგან მოუწყვეტლივ შევისწავლე ტრაქტორის მართვა, ჩემი ტრაქტორით ხვნა-თესვის გეგმას ერთიორად ვასრულებ ...სიტყვას ვიძლევი დაუღალავად ვიმუშაო საკოლმეურნეო მინდვრებზე და თუ საჭირო იქნება ტრაქტორიდან ტახკზე გადავჯდე, რათა გამანადგურებელი ლახვარი ჩავცე ჰიტლერელ ბანდიტებს"[218].

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა ომის დროის ყველა სიძნელეს და დაბრკოლებას მუშათა კლასის, მთელი ქალაქის მოსახლეობის დახმარებით და ხელმძღვანელობით სძლევდა.

ომის დაწყების დღიდანვე საქართველოს სოფლებში დიდი შრომითი აღმავლობა გაჩაღდა. სოფლად დარჩენილნი — უმთავრესად ქალები, ბავშვები და მოხუცები — თავდადებით იბრძვიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. 1941 წ. 20 ივლისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებს სახელმწიფო ვალდებულებათა და ნატურანაზღაურების ანგარიშში ჩაბარებული ჰქონდათ 10-ჯერ მეტი ხორბლეული, ვიდრე 1940 წლის ამავე რიცხვისათვის[219].

1941 წლის 10 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებათა შესახებ საბჭოთა საინფორმაციო ბიურო აღნიშნავდა:

„საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში ენერგიულად მუშაობენ საქართველოს კოლმეურნეები. მოკრეფილია 58 075 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 7 მილიონი კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან. ჩაის კრეფის უმაგალითო რეკორდი დაამყარა ენგურის კოლმეურნეობის სტახანოველმა ქიონია სარსანიამ. ამას წინათ მან 1966 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ამ დღის მთელი შემოსავალი მან თავდაცვის ფონდში შეიტანა. წელს 30 ათასი ჰექტარი მოემატა საშემოდგომო ნათესების ფართობს. საქართველო წელს 15 ათას ტონა მაღალხარისხოვან თამბაქოს მოგვცემს. ომის დაწყებიდან რესპუბლიკაში მომზადებულია 1700 ტრაქტორისტი, უმთავრესად ქალები"[220].

საქვეყნოდ აღიარებული ეს ისტორიული გამარჯვება, მოპოვებული რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხების მამაცური შრომით ომის დაწყების პირველსავე თვეებში, დღითი დღე მრავლდებოდა ომის წლებში და ახალი გამარჯვებებით ხასიათდებოდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოფლად გამრავლდა ომის

[218] გაზ. „კომუნისტი", 1941, 29 ივლისი.
[219] გაზ. „კომუნისტი", 1941, 25 ივლისი.
[220] გაზ. „კომუნისტი", 1941, 11 დეკემბერი.

დროის ნოვატორთა რიგები. მოსავლის გადიდებისათვის ბრძოლაში ახვირთდა სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ტალღები, რომლებმაც მოიცვა ათასობით მოწინავე კოლმეურნეობა და კოლმეურნე გლეხი.

ომის პერიოდში მუშათა კლასის თაოსნობით უმსხვილეს სამრეწველო საწარმოებში ჩასახული და განვითარებული სოციალისტური შეჯიბრების თითქმის ყოველი ახალი ფორმა, ყოველი ახალი ნოვატორული ინიციატივა და პატრიოტული წამოწყება, რომელიც კი ზრდიდა საბჭოთა სამშობლოს ძლიერებას, მის თავდაცვის უნარიანობას, ფართო მხარდაჭერას პოულობდა კოლმეურნე გლეხობის მხრივ.

რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობა სოფლად დასაბამს აძლევდა ორასოვანთა და ხუთასოვანთა მოძრაობას, ქმნიდა ფრონტულ ბრიგადებს, ამუშავებდა ათასობით ჰექტარ თავდაცვისა და ძმური დახმარების ნაკვეთებს და უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში ნამდვილად ფრონტული მუშაობის ნიმუშს იძლეოდა.

საქართველოში მასობრივი ხასიათი მიიღო კოლმეურნე გლეხობის მიერ საბჭოთა არმიისა და ქალაქის მოსახლეობის მოსამარაგებლად პურისა და სხვა სახის სასურსათო ფონდების შეგროვებამ. ამიტომაც „ქართველ გლეხობას კანონიერი უფლება აქვს იამაყოს საბჭოთა კავშირის თავდაცვის საერთო სახალხო ფონდში შეტანილი თავისი წვლილით“[221].

საქართველოს კოლმეურნე გლეხები მომავალი წლის ანგარიშში ზეგეგმით სახელმწიფოს აბარებდნენ ხორცს, ბოსტნეულ-ბაღჩეულს, ჩაის, მანდარინს და ყოველივე იმას, რასაც საბჭოთა საქართველოს ბარაქიანი სოფლის მეურნეობა იძლეოდა, რითაც ქმედით დახმარებას უწევდნენ საბჭოთა არმიას, მუშათა კლასსა და ქალაქის მთელ მოსახლეობას სურსათით მომარაგების საქმეში.

კოლმეურნე გლეხობამ საბჭოთა არმიაზე შეუნელებელ ზრუნვასთან ერთად გვიჩვენა ძმური და მეგობრული დახმარება მუშათა კლასისა და ქალაქის მოსახლეობისადმი. ამ მზრუნველობისა და დახმარების ერთ-ერთ საყურადღებო ფორმად იქცა სამხედრო დაკვეთებზე მომუშავე მუშებისათვის დამატებითი სასურსათო ფონდის შექმნა და ამ ფონდის გასაძლიერებლად კოლმეურნე გლეხობის შეუნელებელი ბრძოლა[222].

---

[221] გაზ. „პრავდა“, 1947, 17 აპრილი.

[222] მაგ., გურჯაანის რაიონის კოლმეურნე გლეხებმა სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა მოხდის შემდეგ მრეწველობის მუშებისა და ქალაქის მშრომელთათვის ერთდროულად შეაგროვეს და თვითღირებულების ფასებში ჩააბარეს 9955 ფუთი სასურსათო პროდუქტი, აქედან 98 ტ მარცვლეული, 7,5 ტ ხორცი, 1936 კგ

რესპუბლიკაში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კოლმეურნეობა, რომ არ გამოხმაურებოდა ამ შესანიშნავ პატრიოტულ ინიციატივას. მხოლოდ 1943 წლისათვის საქართველოს კოლმეურნე გლეხებმა, გარდა იმისა, რომ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო დამზადების გეგმები, 1000 ტონაზე მეტი მარცვლეული, 30 500 ცენტნერი ხორცი და სხვ. მომავალი 1944 წლის ანგარიშში ჩააბარეს, ამასთანავე ზეგეგმით მუშათა კლასისა და ქალაქის მშრომელთა ფონდის განმტკიცებისათვის სახელმწიფოს მტკიცე ფასებში მიჰყიდეს 552 ათას ფუთზე მეტი მარტო პური. 1944 წ. პურის ჩაბარების გეგმა 120% შეასრულეს[223].

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ უანგარო დახმარება გაუწია ომით დაზარალებული მოძმე რესპუბლიკების გლეხობას. მათ თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის მხოლოდ 1943 წ. დათესეს 5500 ჰექტარი მარცვლეული და ბოსტნეული, გადასცეს 18 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი, 300 ცხენი და წვრილფეხა პირუტყვი დიდი რაოდენობით. კოლმეურნე გლეხებმა ომის პირველ წლებში სახელმწიფოს 115 მილიონი ფუთი სოფლის მეურნეობის პროდუქტები ჩააბარეს, უდიდესი დახმარება გაუწიეს ფრონტელთა ოჯახებს და სამამულო ომის ინვალიდებს[224].

სამამულო ომის წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებით ხასიათდება. ყოველწლიურად იზრდება ნათესი ფართობი და აგროღონისძიებების გატარების საფუძველზე საშუალო მოსავლიანობა ყოველ ჰექტარზე დაახლოებით ერთნახევარჯერ გადიდდა. გაიზარდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა, შენარჩუნებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალწლიანი ნარგავები — ჩაი და ციტრუსები, ვაზი და ხეხილის ბაღები. კოლმეურნე გლეხობის გმირული შრომით ყოველწლიურად იზრდებოდა ჩაის, ვაზისა და ხეხილის მოსავლიანობა. სამრეწველო ნედლეულის დამზადება და ქმედითი დახმარება ეწეოდა როგორც საბჭოთა არმიის მებრძოლებს, ასევე სამრეწველო მუშათა კლასს. იზრდებოდა კოლმეურნეობათა ძირითადი საშუალებანი, ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდი. მეურნეობის ამგვარი აღძავ-

---

ზეთი, 10 138 კგ მზესუმზირა, 3100 კგ კარტოფილი და სხვა.

ყანდაურის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებმა და კოლმეურნე ქალებმა შეაგროვეს მრეწველობის მუშებისათვის და დანიშნულ ადგილზე მიიტანეს 1077 ფუთი სასურსათო პროდუქტი, კაპრეთისამ — 700 ფუთი, მელაანისამ — 570 ფუთი. ასევე ბოწინაველთა რიგებში იდგნენ ჯიმითის, შრომის, არაშენდას, შაშიანის, ჩალაუბნისა და ბოგდანოვსკის სასოფლო საბჭოები (სამ. ომის ისტ. არქ. ფონდი 4, საქმე 562, ფურც. 4).

[223] გაზ. „პრავდა“, 1944, 8 იანვარი.

[224] გაზ. „კომუნისტი“, 1944, 29 თებერვალი.

ლობის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ზურგში დარჩენილმა კოლმეურნე ქალებმა, მოზარდებმა და მოხუცებმა.

2. კოლმეურნე ქალთა, მოხუცთა და მოზარდთა შრომითი მამაცობა ფრონტზე წასულთა შესაცვლელად

საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ და ჯანღონით სავსე მუშაკთა ასეულ ათასობით ფრონტზე წასვლის შედეგად შექმნილ სიძნელეთა დაძლევის საქმეში კოლმეურნე ქალებმა, მოზარდ თაობასთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უმაგალითო გამარჯვება მოიპოვეს. ახალგაზრდობისა და მოხუცების მხარდამხარ „ქართველმა გლეხმა ქალებმა ომის ღღეებში თავი გამოიჩინეს როგორც საბჭოთა საშობლოს სამდვილმა პატრიოტებმა. მათ გვიჩვენეს შრომითი გმირობის ნიმუშები ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებში, ვენახებში, ხორბლისა და სიმინდის ყანებში“ [225]. საბჭოთა საქართველოს ქალებმა უჩვეულო მონდომებით იწყეს „მამაკაცთა პროფესიების“ დაუფლება, რათა ისინი წარმატებით შეეცვალათ სოფლად ყველა სახის სამუშაო უბნებზე[226].

დამახასიათებელია, რომ 1940 წელს რესპუბლიკაში თუ შრომის უნარიან კოლმეურნეთა რიცხვი 800 ათასამდე აღწევდა, 1944 წელს იგი 408 ათასამდე შემცირდა, რომელთა დიდ უმრავლესობას ქალები, მოზარდი და მოხუცები შეადგენდნენ. თუ ომამდელ 1940 წელს რესპუბლიკაში ჩაბმული იყო 403 085 კოლმეურნე მამაკაცი, 1944 წელს მათი რიცხვი 200 576-მდე შემცირდა, სამა-

---

[225] გაზ. „ვრაკვდა“. 1947. 5 აპრილი.

[226] შარმალია, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს გაჩანაგების გზაზე დამდგარი საქართველოს სოფლის მეურნეობის ნაკრების შესაჩერებლად იყო ცდები საქართველოს ქალთა შრომის მასობრივად გამოყენებისა, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამიტომ შიშილობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. „არასოღეს ქართველ ერს ასეთი ჭირი არ მოვლენია თავს... უკვე მეოთხე წელია, რაკ სისტემატურად სოფლიკ მოესაკლანიბა და სიმშილობა სუფევს“ (გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916, 14 ივლისი).

გაზეთი ამ მძიმე მდგომარეობაში მოუწოდებს ქალებს შრომისა და მამაცობისაკენ და წერს: „ბევრჯერ უხსნია ქართველ ქალს საშობლო განსაცდელისაგან, ბევრჯერ უსახელია თავი თავგანწირულობით ქართველ დედას. ღღეანდელი ღღისთანა დღე საქართველოს იშვიათად გათენებია და ქართველი ქალებისაგან ეხლა კიდევ ხელმეტ თავგანწირულებას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის არსებული მდგომარეობა და ძოძალის ობედები“.

მაგრამ ბურჟუაზიულ საქართველოში, რომელსაც სოციალური და ნაციონალური წინააღმდეგობები ღრღნიდა, გაზეთის ეს მოწოდება ვერავითარ გამოძახილს ვერ პოულობს და საკუთრივ უშედეგოდ რჩება. „ქართველი ქალები“, „ქართველი დედები“ კლასებად იყვნენ ღაყოფილებულნი. გაბატონებული კლასის ქალები შრომას ზიზღით უცქეროდნენ, ხოლო გლეხი ქალები ორმაგად ექსპლოატირებული იყვნენ. საქართველოს ბურჟუაზიული ინტელიგენციის მოწოდება „ერთიანი ნიადაგისაკენ“ უშედეგო იყო. ასეთი ნიადაგი არ არსებობდა.

ეროვნულ დიდი სისწრაფით გამრავლდა საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმულ ქალთა რიცხვი. მაგალითად, 1940 წელს მათი რიცხვი თუ 30 941 არ აღემატებოდა, 1941 წელს 337 244-მდე გადიდდა[227]. ამავე დროს გამომუშავებული შრომადღეები ომის წლებში ომამდელ 1940 წელთან შედარებით კი არ შემცირებულა, არამედ იზრდებოდა. მაგალითად, 1940 წელს გამომუშავებული იყო 130 629 ათასი შრომადღე, ხოლო 1943 წელს — 138 811 115 შრომადღემდე[228].

გამრავლდა ნოვატორ ქალთა რიგები. ქართველ ქალთაგან მთელს სსრ კავშირში გახდა ცნობილი ნოვატორი ქალების: ტრაქტორისტების ს. უსენაშვილისა და ე. ნატრიშვილის, ჭარხლის უხვი ნოსაველის ოსტატის ს. ძარიდაშვილის, მეაბრეშუმე ქალის ო. აივაზაშვილის სახელები. ომის წლებში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვეს ჩაის კრეფისა და უხვი მოსავლის ისეთმა ოსტატებმა, როგორიცაა ვ. და თ. ყუფუნიები, ქ. სარსანია, დ. ტაბიძე, ხ. კაკაბაძე და მრავალი სხვა.

კოლმეურნე ქალები მუშაობდნენ პურისა და სიმინდის ყანებში, ვენახის, ციტრუსებისა და ხეხილის ბაღებში, მეცხოველეობის ფერმებსა და სანერგე ნაკვეთებში[229]. ისინი მუშაობდნენ გუთნის დედებად, მართავდნენ ტრაქტორებს, თოხნიდნენ, ბარავდნენ, აბრუნებდნენ საკვენახე ნაკვეთს და სხვ.

საქართველოს მაგალითზეც ნათლად დასტურდება ფაქტი, რომ ომის უმძიმეს წლებში კოლმეურნე ქალი სოფლის მეურნეობაში გადამწყვეტ ძალად იქცა. რესპუბლიკის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომადღეების ნახევარზე მეტს კოლმეურნე ქალები ასრულებდნენ. განსაკუთრებით დიდი იყო ქალთა შრომა ისეთ კოლმეურნეობაში, სადაც ჩაის კულტურა ძირითად დარგად ითვლება[230].

---

[227] ცნობები აღებულია სტატისტიკური სამმართველოდან.

[228] მაგალითად, სოფ. ვარციხის „წინსვლის" სახ. კოლმეურნეობაში თუ ომამდელ 1940 წელს მთლიანად კოლწევრთა მიერ 32 580 შრომადღე იქნა გამომუშავებული, 1943 წელს ეს რიცხვი 46 969-მდე გაიზარდა. შრომადღეების ასეთი ტემპით ზრდის საქმეში გადამწყვეტი როლი ქალთა შრომას ენიჭებოდა. თუ კოლმეურნეების მიერ 1940 წ. გამომუშავებული შრომადღეების საერთო რაოდენობაში ქალთა წილი ერთ მერვედს არ აღემატებოდა, 1944 წელს იგი 54%-ს აჭარბებდა და ყოველწლიურად იზრდებოდა (პროფ. ნ. იაშვილი, სოფ. ვარციხის წინსვლის სახელობის კოლმეურნეობა. ხელნაწერი დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში).

[229] სამაუწყლო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4. საქმე 1021.

[230] მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათის კოლმეურნეობაში ქალთა შრომის გამოყენება 1945 წელს 77%-ს აღემატებოდა. თუ კოლმეურნეობაში 1910 წელს 108 მამაკაცი მუშაობდა, 1945 წელს მამაკაცთა რიცხვი (უმთავრესად მოხუცთა) 56 არ აღემატებოდა, კოლმეურნეობაში ამ დროს ქალთა მიერ გამომუშავებული

გმირ დედას მარო ნაცვლაძეს 10 შვილი ჰყავდა. მისი სამი ვაჟი და ქმარი სამამულო ომის ფრონტზე იბრძოდნენ. თვითონ კი ენერგიულად მუშაობდა კოლმეურნეობაში და ღირსეულად ზრდიდა ზურგში დარჩენილ მცირეწლოვან შვილებს[231].

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ომიანობის მთელ პერიოდში ფიზიკური შრომით შრომადღეების უდიდეს ნაწილს ქალები ასრულებდნენ. ამასთანავე ბევრს მათგანს კოლმეურნეობებში ეჭირა ხელმძღვანელი თანამდებობები, დაწყებული ბრიგადირობიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეობამდე. სამამულო ომის წლებში 70-მდე ქალი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ითვლებოდა[232]. ქალები მუშაობდნენ ფერმის გამგეებად, ბრიგადირებად, რგოლის ხელმძღვანელებად და სხვ. მაგალითად, სოფ. ქვემო ბოდბეს კოლმეურნეობაში 1943 წ. 20 ქალი მოწინავე რგოლის ხელმძღვანელი იყო[233].

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს მრავალმა კოლმეურნე ქალმა გამოავლინა ორგანიზატორული ნიჭი და ხელმძღვანელობის შესანიშნავი უნარი.

„გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების" თავმჯდომარის ოლღა ჩიგიტაშვილის დაჯილდოება ლენინის ორდენით... მჭევრმეტყველურად მოწმობს, თუ რა უდიდესი მუშაობა არის გაწეული კოლმეურნე ქალების აღსაზრდელად ხელმძღვანელ სამუშაოზე დასაწინაურებლად"[234]. ამ კოლმეურნეობაში 250-ზე მეტი ქალი მუშაობდა, რომელთაგან 200 ქალი სტახანოველის სახელს ატარებდა და კოლმეურნეობა ყველა მაჩვენებლით მუდამ მოწინავედ რჩებოდა[235].

შრომადღეები თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა მამაკაცებისას (ცნობები აღებულია კოლმეურნეობის წლიური ანგარიშიდან). მთლიანად ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც ჩაის კულტურას ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება, ქალთა შრომის გამოყენება თუ 1940 წელს 46,30%-ს არ აღემატებოდა, 1944 წელს მან 68%-ს გადააჭარბა. თუ რაიონის კოლმეურნეობებში 1940 წელს 4252 მამაკაცი შრომობდა, მათი რიცხვი 1944 წლისათვის 1741-მდე შემცირდა, მიუხედავად ამისა რაიონის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად იზრდებოდა გამომუშავებული შრომადღეების რიცხვი, მაგალითად, 1941 წელს თუ 1 258 697 შრომადღე იქნა გამომუშავებული, 1945 წელს გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა 1 408 308-მდე გაიზარდა (ცნობები აღებულია ლანჩხუთის რაიაღმასკომის მიწგანიდან, ამონაწერები დაცულია სამამულო ომის ისტორიის არქივში).

[231] გაზ. „კომუნისტი", 1945, 8 მარტი.

[232] გაზ. „კომუნისტი", 1946, 8 მარტი.

[233] კ. ნიკოლაიშვილი. სოფ. ქვემო ბოდბეს ს. ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა, გვ. 43, ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში.

[234] გაზ. „პრავდა", 1944, 8 იანვარი.

[235] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4. საქმე 179. ფურც. 3.

ომის წლებში დიდი სახელი მოიხვეჭა ჯავის რაიონის ზემო როკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქალმა, ყოფილმა მწველავმა მართა პლიევამ[236].

ასეთი მოწინავე ქალები ომის წლებში სოფლად გამრავლდნენ[237]. ასევე კოლმეურნეობებში დიდად იზრდება მოხუცთა შრომა, რომლებიც წინათ არ მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში. მაგ., გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის ორმა კოლმეურნე მოხუცმა ქალმა — ცაცუ ნებულიშვილმა და თამარ დემიანოვსკაიამ, გააცილეს თუ არა შვილები ჯარში, შინ დაბრუნებამდე შეიარეს კოლმეურნეობის კანტორაში და საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმის სურვილი განაცხადეს. მათთან ერთად ამ კოლმეურნეობაში მუშაობდა 40-ზე მეტი ღრმა მოხუცი მამაკაცი და ქალი, რომლებიც ომამდე არ მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში[238]. იგივე ითქმის სოფ. შრომის კოლმეურნეობაზე და ბევრ სხვაზე[239].

ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის სოფ. ხუცუბნის კოლმეურნეობაში ხ. ბაჯელიძე, რ. შაქარაშვილი, ხ. გოგიტიძე და სხვა მოხუცი კოლმეურნეები ყოველწლიურად ზრდიდნენ შრომადღეების გამომუშავებას და საკარმიდამო ნაკვეთების სანიმუშოდ დამუშავებასაც ახერხებდნენ. მაგ., 72 წ. მოხუცი ხ. ბაჯელიძე საკარმიდამოს ხეხილისა და ციტრუსოვანთა ნარგავებს მთლიანად თვითონ პატრონობდა და 1943 წ. კოლმეურნეობაში 400 შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული. მისი ორი ვაჟი რამაზი და რიფათი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ.

ასევე ითქმის 75 წ. მოხუც მ. ვასაძეზე, რომელმაც თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან 1944 წ. სახელმწიფოს ჩააბარა 15 ტ მანდარინი, 5 ტ ვაშლი და მსხალი[240].

---

[236] ეს კოლმეურნეობა ყველაფრით ეხმარებოდა ფრონტს. კავკასიის ღალატის დღეებში სრულ მობილიზებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო თვით მართა პლიევა კოლმეურნეთაგან შემდგარ ერთ-ერთ გამანადგურებელ ბატალიონს ხელმძღვანელობდა. მ. პლიევა სოციალისტური შრომის გმირი გახდა (სამამულო ომის არქივი, ფონდი № 5, საქმე 834, ფურც. 15—18).

[237] ქ. ანთიძე, ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში, 1956.

[238] გ. ასვანუა, ე. ხუხუბაია, მოწინავე კოლმეურნეობა. 1946, გვ. 46.

[239] ლაგოდეხის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობის საწარმოო პროცესში მოხუცთა შრომა თუ 1940 წლამდე თითქმის სრულებით არ გამოიყენებოდა, 1942 წელს მოხუცებმა გამოიმუშავეს 7700 შრომადღე, 1943 წ. — 10,960, 1944 წ. 15 191 და 1945 წ. — 14 009 შრომადღე (კ. ღოღობერიძე, მოწინავე მეთაბაქოეების კოლმეურნეობის ეკონომიკა, ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში).

[240] ა. იოსელიანი, ხუციუბნის კოლმეურნეობა, გვ. 95, ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში. ფრონტზე წასულთა შვილები და მოხუცი კოლმეურნეები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ურთიერთთან წერილებით. სოფ. საზანოდან მოხუც მ. ბუცხრიკიძის ოთხი ვაჟი სამამულო ომის ფრონტზე წავიდა. მშობლები ხშირად ღებულობდნენ წერილს შვილებისაგან. აცნობდნენ ურთიერთს ზურგისა და ფრონტის ცხოვრებას, თავიანთ მიღწევებს და გამარჯვებებს.

სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა მოზარდი თაობის, ჩვენი კომკავშირელებისა და კავშირგარეშე მყოფი ახალგაზრდობის შრომითი მამაცობა სოფლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ისინი არაერთხელ გამოსულან სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად რესპუბლიკაში და მათ მიერ შექმნილ ფრონტულ ბრიგადებს. ძმური დახმარების ნაკვეთების დამუშავების საქმეში მრავალგზის მიუღიათ სარეკორდო მოსავალი. კომკავშირელები განუყოფელად იყვნენ დაკავშირებულნი სოფლის მთელ ახალგაზრდობასთან, სათავეში ედგნენ და მტკიცედ რაზმავდნენ მათ პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად[241].

მოსწავლეები და მასწავლებლები, ისე როგორც ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა, საგაზაფხულო დასვენების ნაცვლად თავდადებით მონაწილეობდნენ სას. სამ. სამუშაოებში. იმისათვის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებელთა შრომა უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო, ისინი წინასწარ ეუფლებოდნენ აგროტექნიკურ მინიმუმს[242].

დიდი და მეტად მნიშვნელოვანი იყო რესპუბლიკის სტუდენტთა და პედპერსონალთა სისტემატური დახმარება კოლმეურნეობებისა საბჭოთა მეურნეობებისადმი. ამ საქმეში მოწინავეთა რიგებში

საჰაერო ბრძოლებში სახელგანთქმულ მშვენიერაძის მამა, 74 წელს გადაცილებული მოხუცი კოლმეურნე, ფრონტზე შვილის წარმატებებით აღფრთოვანებული, ვაჟკაცურად მუშაობდა კოლმეურნეობაში. მას ზესტაფონის რაიონის სოფ. პირველი მაისის (წინათ სოფ. საღვინე) კოლმეურნეობაში 1942 წელს 220 შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული (ზესტაფონის რაიონული გაზ. „ლენინელი", 1942. 5 მაისი და 6 სექტემბერი).

[241] მოზარდი თაობის, უმეტესად მოსწავლე ახალგაზრდობის, სასოფლო სამუშაოებზე ორგანიზებულად გამოყენების ერთგვარ ცდას საქართველოში ადგილი ჰქონდა 1 მსოფლიო ომის დროსაც. გაზეთ „სახალხო ფურცლის" 1916 წ. 13 მაისის № 566-ში, მოწაფე ვინმე მიქელი მოწოდებით მიმართავდა ტოლ-ამხანაგებს: „სოფელს მუშახელი აკლია და სწავლის დამთავრების შემდეგ ვინც სოფელი ხართ მიაშურეთ სოფლებს, რათა „ცოტა მაინც დაესმაროთ თქვენ მშობლებ-ნათესავებსო". მაგრამ ამ მოწოდებამ ვერაფითარი გამოძახილი ვერ პოვა. დიდი სამამულო ომის პერიოდში საკავშირო საწინააღმდეგო მოვლენას ჰქონდა ადგილი, საბჭოთა საქართველოში მოზარდი თაობა უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას სოფლისაღმი დახმარების გაწევის შესახებ.

[242] ქუთაისის სკოლებში ჩამოყალიბდა აგროტექნიკური წრეები უმთავრესად მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეთათვის. ისინი 1942—1943 წწ. არდადეგების პერიოდში სისტემატურად მუშაობდნენ წულუკიძის, მახარაძისა და ქუთაისის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მახარაძის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში 1943 წლის ზაფხულში ერთი თვით მიელინებული იყო 750 მოწაფე და მასწავლებელი, რომლებმაც 13 530 შრომადღე გამოიმუშავეს — მოკრიფეს 94 892 კგ ჩაის მწვანე ფოთოლი, გათოხნეს 42,6 ჰა ჩაის პლანტაცია და ჩაატარეს მრავალი სხვა სახის სამუშაოები. კარგი მუშაობისათვის მეურნეობის დირექციამ დაჯილდოვა 66 მოსწავლე და 32 მასწავლებელი (სამამულო ომის ისტორიის არქივი. ფონდი 4. საქმე 298).

იდგნენ სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტი და სხვ.

მოწაფეებისა და მოზარდი თაობის ამ შესანიშნავმა შრომითმა მამაცობამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნათელი გამოხატულება პოვა სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩამარჯვებული სკოლების დაჯილდოების შესახებ. დაჯილდოებულთა შორის არიან: საქართველოს სს რესპუბლიკის მრავალი სკოლა, მასწავლებლები, მოსწავლეები და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაკები[243].

ომის წლებში მოზარდი თაობა ცხოველმყოფელ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში. კოლმეურნე ახალგაზრდობა ყველგან მოწინავეთა რიგებში იდგა და ნოვატორული მოძრაობის ინიციატორი იყო. მისმა შრომითმა აქტივობამ და პატრიოტიზმმა ყველაზე მეტად კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში იჩინა თავი, რაც ომის დამთავრებამდე არ შენელებულა. მაგალითად, რესპუბლიკაში 1942 წლის საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდში 5800-მდე კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა მხოლოდ გუთნისდედად მუშაობდა. მათ მხოლოდ თავდაცვის და ძმური დახმარების ფონდისათვის 4500 ჰექტარი სხვადასხვა კულტურა დათესეს.

მტს-ებში მომუშავე კომკავშირელი ვაქები, კომკავშირელი ტრაქტორისტი ქალები ახალ რეკორდებს ამყარებდნენ ხვნის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და საწვავის ეკონომიის საქმეში. 1942 წ. აჭარის ხულოს რაიონის კომკავშირული ახალგაზრდობის ინიციატივით წამოწყებულ იქნა ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის ლაშქრობა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. 1943 წელს მთლიანად რესპუბლიკაში 13 ათასი ახალგაზრდა ვუთნისდედად მუშაობდა, ხოლო 600 — ტრაქტორისტად[244].

---

243 სამამულო ომის არქივი, ფონდი 5, საქმე 818, ფურც. 50.

244 „Комсомольская Правда," 1944, 8 марта. ომის გასათვალისწინებლად თუ რაოდენ დიდ ძალად იქცა კომკავშირელი ახალგაზრდობა სოფლად ომის უმძიმეს წლებში, ჩვენ აქ ერთი რაიონის მაგალითზე შეეჩერდებით. ლანჩხუთის რაიონში არსებულ 51 კოლმეურნეობასთან ჩამოყალიბებულ კომკავშირულ საკოლმეურნეო ორგანიზაციებში 1943 წელს მოქმედებდა 45 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა და 75 რგოლი. რაიონში 13 კომკავშირელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, 3—სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, 52—ბრიგადირი, 15—ფერმის გამგე და ა. შ. კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა სახის სას. სამ. სამუშაოებისა და მანქანა-იარაღების შეკეთების საქმეში.

1943 წელს გორის, ზუგდიდის, თელავისა და ქობულეთის რაიონების კომკავშირული ახალგაზრდობის ინიციატივით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება უხვი სამხედრო მოსავლის მოღებისათვის. ამ მოძრაობაში რესპუბლიკის 3 560 პირველადი ორგანიზაცია და ათეულ ათასობით კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა ჩაება. გამრავლდა ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადები, რომლებმაც კოლმეურნეობებსა და მტს-ში შეაკეთეს 500-მდე ტრაქტორი, 132 კომბაინი და 224 ათასი სხვა სას. სამ. იარაღი[245].

სამამულო ომის პერიოდში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ქალთა, მოზარდთა და მოხუცთა შრომითი მონაწილეობის ზრდის შეფარდების გასათვალისწინებლად მაგალითისათვის მოგვყავს ლაგოდეხის რაიონის მონაცემები[246] (ცხრ. 8).

ცხრილი 8

წლები	ქალი	მოხუცი	მოზარდი
1941	6802	1432	3732
1942	6820	1524	3959
1943	7209	1658	4162
1944	7172	1656	3961
1945	7298	1686	4032

ლანჩხუთის რაიონის კომკავშირელებმა შეაკეთეს 2 ტრაქტორი, 1 მისაბმელი, 15 გუთანი, 80 ურემი, 140 კავი, 100 სახნისი და ა. შ. საკოლმეურნეო სამეედლოებისათვის რაიონის ახალგაზრდების მიერ შეგროვებულ იქნა 1500 კგ რკინის ნაკრები, 800 კგ ხის ნახშირი და სხვ. მინდვრებზე ახალგაზრდობამ შეაგროვა ველურ სასარგებლო მცენარეთა ნედლეული. მასში 3343 ბავშვი მონაწილეობდა. სასუქის სახით გაიტანეს 1015 ტონა ნაკელი, 6 ტონა ნაცარი. ხვნის პერიოდში კავს მრავალი ახალგაზრდა მართავდა, მათ შორის 15 გოგონა. ბევრი მათგანი გეგმას 300% ასრულებდა. ჩამოყალიბებული იყო ახალგაზრდობის 40-მდე ფრონტული ბრიგადა.

კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შექმნილი იყო სასკოლო ბრიგადები. მათ მიერ 1943 წ. 1 ივლისამდე 60 ათასი შრომადღე იყო გამომუშავებული. მათთან ერთად რაიონში 300-მდე მასწავლებლის მიერ 9 ათასი შრომადღე იქნა გამომუშავებული. რაიონში 32 აგრომინიმუმის შემსწავლელი წრე 2 ათასამდე მსმენელს აერთიანებდა. ბავშვთა ფონდის გასაძლიერებლად რაიონში 1943 წ. 26 ჰექტარი იქნა დათესილი მხოლოდ კომკავშირელთა მიერ (სამამულო ომის არქივი. ფონდი 5, საქმე 824, ფურც. 28- 30).

ასევე დიდი იყო წარმატებანი სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობისა. 1943 წლის ბოლოს ოლქში სულ 16 342 მოწაფე სწავლობდა. ამათგან ზაფხულის პერიოდში სას. სამეურნეოებზე მონაწილეობა მიიღო 10 238 მოსწავლემ და გამოიმუშავეს 664 144 შრომადღე (სამამულო ომის არქივი, ფონდი 5, საქმე 832, ფურც. 43).

[245] სამამულო ომის არქივი, ფონდი 3, საქმე 7, ფურც. 1417.

[246] შედგენილია რაიონის კოლმეურნეობების წლიური ანგარიშების საფუძველზე (სასარგებლობ ეკონომიკის ინსტიტუტის ხელნაწერი ფონდებით).

ყველა ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ქალების შემდეგ წამყვან ძალას კოლმეურნეობებში მოზარდი თაობა წარმოადგენდა. მათთან ერთად ყოველწლიურად ზრდიდნენ შრომითს აქტივობას მოხუცი კოლმეურნეებიც.

3. ღონისძიებანი კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის შემდგომი ზრდისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის

ა. შრომის ანაზღაურების ახალი წესი და შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდება

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასისა და ქალაქის მთელი მოსახლეობის გლეხობისადმი დახმარების გაძლიერებით, ქალთა, მოხუცთა და მოზარდთა შრომითი აქტივობის ზრდით, როგორც დავრწმუნდით, წარმატებით ხორციელდებოდა რესპუბლიკის სოფლებიდან ფრონტზე წასულ კოლმეურნეთა შეცვლა, მაგრამ მომუშავეთა რაოდენობრივად შეცვლა, გადაჭარბებითაც კი, ყოველთვის როდი უზრუნველყოფდა როგორც შრომადღეების გადიდებას, ასევე სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქტიულობის ზრდას. ამიტომ სამამულო ომის წლებში ამოცანად იდგა არა მარტო ფრონტზე წასულ კოლმეურნეთა რიცხობრივად შეცვლა, არამედ თვითეული კოლმეურნის შრომის ნაყოფიერების ბევრად უფრო გადიდება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში დიდი მიღწევები იქნა მოპოვებული[247].

იმისათვის, რომ დასაბამი მიცემოდა შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებასა და სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და პირადი დაინტერესების ზრდის საფუძველზე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ომის პირველი პერიოდიდანვე. ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის დამატებითი ანაზღაურების ახალი წესის დანერგვას კოლმეურნეობებში და შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდებას.

---

[247] მაგალითად, 1943 წელს ერთი შრომის უნარიანი კოლმეურნე ამუშავებდა ორჯერ უფრო მეტ მიწას, ვიდრე ინდივიდუალური გლეხი 1913 შვიდოსანი წელს, ხოლო გამწევი ძალა სოფლის მეურნეობაში ამავე 1943 წელს გამოყენებული იყო 2,5-ჯერ უფრო ნაყოფიერად, ვიდრე 1913 წელს (ი. ბენედიქტოვი. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა ომის სამი წლის განმავლობაში, გაზ. „წინ, გამარჯვებისაკენ", 1944, 12 ოქტომბერი).

ჯერ კიდევ 1941 წ. 13 მარტს მიღებულ იქნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოწინავე კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ. ამ დადგენილების დიდი მნიშვნელობა ნათელყო 1941 წელშივე მიღებულმა სერიოზულმა ეფექტმა. ამიტომ გაზეთი „პრავდა“ 1941 წ. ბოლოს კოლმეურნეებს მოუწოდებდა: „მოწინავე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ახალმა წესმა წელს კარგი შედეგი მოიტანა და იგი აუცილებლად უნდა დავიცვათ“[248].

ამრიგად, ამ დადგენილებას ომის წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. იგი ბევრად ზრდიდა კოლმეურნეების ინიციატივას და პირად დაინტერესებას. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე საქართველოს ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა 1942 წ. მაისში დასახეს სპეციალური ღონისძიებანი[249].

ახალმა წესმა შრომის დამატებით ანაზღაურების შესახებ უაღრესად დიდი როლი შეასრულა როგორც კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების, ისევე კოლმეურნეთა შემოსავლიანობის გაზრდისა და შრომითი დაინტერესების საქმეში[250].

კერძოდ შრომის დამატებითი ანაზღაურების ახალმა წესმა ხელი შეუწყო მოწინავე კოლმეურნეთა არა მარტო შრომითი აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ზრდას, არამედ სწრაფად გაადიდა მათი შემოსავალი და პირადი დანაზოგები, რომლებიც ნებაყოფლობით შეჰქონდათ კოლმეურნე პატრიოტებს სატანკო კოლონების და საავიაციო, ესკადრილების ასაგები და წითელი არმიის გამაძლიერებელ სხვა ფონდებში.

---

[248] გაზ. „პრავდა“, 1941, 16 დეკემბერი.

[249] ეს ღონისძიება დეტალურად ითვალისწინებს საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარების რაიონულ თავისებურებებს და პერსპექტივებს, ზუსტი ციფრობრივი ანგარიშების საფუძველზე განსაზღვრავს საშუალო მოსავლიანობას (ნამატს და პროდუქტიულობას) მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორიცაა: მარცვლეული და ტექნიკური კულტურები, ბოსტნეულ-ბაღჩეული და საკვები კულტურები, მრავალწლიანი ნარგავები და მეცხოველეობა. აგრეთვე ზოგგზგზითი შესრულებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურებას (გაზ. „კომუნისტი“. 1942. 15 მაისი).

[250] მაგ., წითელწყაროს რაიონის სოფ. მირზაანის ეფანოვის სახელობის კოლმეურნეობამ შრომის დამატებითი ანაზღაურებისათვის გასცა 30 ტონა მარცვლეული, ხოლო სოფ. შრომის ჯაფარიძის სახ. კოლმეურნეობამ — 28 ტონა. ამ კოლმეურნეობაში შემავალმა ი. ბოსტოღანაშვილის ოჯახმა გამოიმუშავა 891 შრომადღე, მიიღო 7306 კგ მარცვლეული და, გარდა ამისა, დამატებითი შრომის ანაზღაურების სახით — 712 კგ მარცვლეული. პავლე თეთუაძის ოჯახმა შრომადღეებზე მიიღო 6042 კგ მარცვლეული და შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით — 589 კგ მარცვლეული (კოლმეურნეობის 1942 წლის წლიური ანგარიში, გვ. 3). გარდა მარცვლეულისა, შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით კოლმეურნეობების წევრები დიდი ოდენობით ფულს და სხვა სახის პროდუქტებს ღებულობდნენ.

ომის პერიოდში სოფლის მეურნეობის წინაშე დასმულმა ეტაპიანობულმა ამოცანებმა მოითხოვეს არა მარტო მოწინავე შეგნებულ კოლმეურნეთა მილიონიანი მასების პატრიოტული შრომითი თავდადება, არამედ საგანგებო ღონისძიებების მიღებაც იმ ელემენტების მიმართ, რომლებიც შეგნებით თუ შეუგნებლად ეფარებოდნენ რა შრომადღეების მოძველებულ მინიმუმს, თავს ირიდებდნენ კოლმეურნეობებში სისტემატურ შრომას.

კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისა და უხვი მოსავლის მისაღებად კი საჭირო გახდა კ ო ლ მ ე ურ ნ ე- თ ა თ ვ ი ს შ რ ო მ ა დ ღ ე ე ბ ი ს უ კ ვ ე მ ო ძ ვ ე ლ ე ბ უ ლ ი ს ა ვ ა ლ დ ებ უ ლ ო მ ი ნ ი მ უ მ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა, რომელიც ჯერ კიდევ 1939 წელს შემუშავდა და დაწესდა შრომისუნარიან კოლმეურნეთათვის.

სწორედ ამიტომ 1942 წ. დასაწყისს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დასახეს ღონისძიებანი კოლმეურნეებში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდების შესახებ. ამის შედეგად შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი ომიანობის დროისათვის თვითეულ შრომისუნარიან კოლმეურნესა და კოლმეურნე ქალს გაუდიდდა წელიწადში 100-დან 150-მდე რაიონების მიხედვით.

რესპუბლიკის კოლმეურნეები ძალებს არ ზოგავდნენ ამ დადგენილების განხორციელებისათვის. მაგალითად, თუ როგორ გამოეხმაურა სოფ. შრომის კოლმეურნეობა აღნიშნულ დადგენილებას, ამას ადასტურებს შემდეგი ცხრილი (ცხრ. 9)[250].

ცხრილი 9

გამომუშავებული შრომადღეები	კოლმეურნეთა მიერ	
	1940 წელი	1944 წელი
1—50	114	14
51—100	61	113
101—200	51	128
200-ზე მეტი	96	135

სოფ. შრომის კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ზრდა ომის 1944 წელს აშკარაა, იგი ტიპიური და საერთო დამახასიათებელი იყო რესპუბლიკის კოლმეურნეთათვის ომის დანარჩენ წლებში.

[250] კ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე, სოფ. შრომის კოლმეურნეობა, ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე შრომაში იქნენ ჩაბმული მოზარდებიც 12—16 წლამდე და მათთვის დაწესდა 50-შრომადღიანი სავალდებულო მინიმუმი.

შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდებასთან ერთად რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ომის წლებში რამდენჯერმე შეიცვალა და გადიდებულ იქნა უკვე მოძველებული საწარმოო ნორმები, რაც ხელს უწყობდა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის შემდგომ ამაღლებას მოსავლის გადიდებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, 1943 წლისათვის სოფ. ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ კვლავ შეცვალა 1942 წელს დაწესებული და უკვე მოძველებულად მიჩნეული ნორმები მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. ეს ცვლილება შემდეგი სახით (ცხრილი 10) წარმოგვიდგება:

ცხრილი 10

სამუშაოს დასახელება	საზომის ერთეული	შრომადღით იყო 1943 წ.	დაწესდა 1944 წელს
1 ნიადაგის მორწყვა ხელით .	მ²	200	250
2 ნერგების გამარგვლა .	მ²	300	400
3 მანდარინის კრეფა . .	კგ	300	400
4 ჩაის გადარგვა მძიმე ნიადაგზე .	მ²	250	300
5 ჩაის გადარგვა მსუბუქ ნიადაგზე .	მ²	400	500
6 ტუნკოს ნაყოფის კრეფა	კგ	400	500
7 ჩაის გასხვლა . .	მ²	700	800

ეს ციფრები კომენტარს არ საჭიროებენ[251].

ბ. ლონისძიებანი სათესი ფართობის გადიდებისათვის

სამამულო ომის წლებში უხვი მოსავლისათვის ბრძოლა რესპუბლიკის სინამდვილეში ითვალისწინებდა სათესი ფართობის გადიდებას. ომის დაწყების პირველსავე წელს გაზეთი „პრავდა“ წერდა: „საბჭოთა ქვეყანაში მოგვეპოვება სათესი ფართობის გადიდების უდიდესი შესაძლებლობანი. ჩვენი სამშობლო მდიდარია ნაყოფიერი

[251] ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. სოფ. ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, მონოგრაფია, 1945, გვ. 138—139 (ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში).

მიწებით"[252]. მართლაც შუა აზიის კოლმეურნე გლეხობამ სათესი ფართობი 1942 წ. 1940 წელთან შედარებით 23%-ით გაზარდა. შორეული აღმოსავლეთის კოლმეურნეებმა — 30%-ით, ყაზახეთის კოლმეურნეებმა—17%-ით და ა. შ.[253]. სათესი ფართობის ზრდა საქართველოში მიწების სიმცირის გამო დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მომმე რესპუბლიკათა შორის საქართველო ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რესპუბლიკად. სადაც სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწები მისი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა გამო მეტად შეზღუდულია[254].

სათესი ფართობის ზრდა სამამულო ომის წლებში საქართველოს სინამდვილეში ნიშნავდა არა ჩვეულებრივი ყამირი მიწების ათვისებას, არამედ დიდი მასშტაბის წინასწარი სამუშაოების განხორციელებას, მელიორაციული და ირიგაციული სამუშაოების ჩატარებას, უვარგისი ჯაგნარი ტყეების გაჩეხა-გაწმენდას, ახოს გატეხას და სხვ.

რესპუბლიკის მთავრობა გარკვეული გეგმით მოქმედებდა; დიდი მასშტაბის მელიორაციული და ირიგაციული სისტემების მშენებლობა, რომელიც დიდი შრომის გარდა მსხვილ კაპიტალდაბანდებასთან იყო დაკავშირებული და ეფექტის მოტანა რამდენიმე წლის შემდეგ შეეძლო, დროებით კონსერვირებულ იქნა[255]; მაგალითად, ომის დასაწყისშივე რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მიიღეს ზომები ზემო სამგორის სარწყავი სისტემის და ჰიდრო-სადგურის მშენებლობის დროებით კონსერვაციის შესახებ[256]. ასეთივე ღონისძიება იქნა მიღებული კოლხიდის დაჭაობებული რაიონების

---

[252] „პრავდა", 1941, 16 დეკემბერი.

[253] „Партийное строительство," 1945, № 9—10, გვ. 37.

[254] ნ. ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ ტერიტორიის ტიპიზაციისათვის. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1946, გვ. 85.

[255] ვ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს გლეხობას, 1957.

[256] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11561, ფურც. 8. მაგალითად, 1942 წ. ღასწყისს (29 იანვარს) საქართველოს მთავრობამ და ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა დადგენილება მიიღეს სარწყავი სისტემისა და წყალთა მეურნეობის 1942 წ. გეგმითი საქმეშაოების შესახებ: გადაწყდა საშხრეთ ოსეთის კეხვის სარწყავი სისტემის გაგრძელება, 36 ათას ჰექტარ ფართობის მოსარწყავად, დოღლაურის ველის სარწყავი სისტემისა 4500 ჰექტარის მოსარწყავად, აჯამეთის — 800 ჰექტარის, ჯიჯურაულის (ღუშეთის)—408 ჰექტარის, ღიღმის — 435 ჰექტარის, ნინოწმინდის (საგარეჯოს)—1200 ჰექტარისა, ერწო-თიანეთის ჭაობის ამოშრობით 800 ჰექტარის სათესი ფართობის ათვისება და სხვ. ამგვარი ღონისძიებებით ჯერ კიდევ 1942 წლის გაზაფხულისათვის მხოლოდ წყალთა მეურნეობის სისტემის ხაზით 14 ათასი ჰექტარი მეტად ნაყოფიერი სათესი ფართობი შეემატა რესპუბლიკას (გაზ. „კომუნისტი", 1942, 23 თებერვალი).

უმნიშვნელოვანესი უბნების მიმართ და სხვ. კოლმეურნე გლეხობის აქტიური შრომით უაღრესად დიდი ღონისძიებები იქნა განხორციელებული რესპუბლიკის სამიწათმოქმედო ორგანოებისა და წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელობით სათესი ფართობის გასადიდებლად. აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყამირი მიწების გატეხას, უპერსპექტივო ჩირგვნარი ტყეების გაკაფვას და ჯაგნართა ამოძირკვას, ასევე საძოვარი ნასვენი ადგილების სათეს ფართობად გამოყენებას და სხვ. სათესი ფართობის გადიდებისათვის ომის წლებში უდავოდ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა თესლბრუნვის სისტემის დროებით შეზღუდვა-შეჩერებას[257].

ამგვარი ღონისძიებებით 1941 წელს საქართველოში სათესი ფართობი გადიდებულ იქნა 30 ათასი ჰექტარით 1940 წელთან შედარებით, ხოლო 1942 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა 1941 წელთან შედარებით ნათესი ფართობი 53 121 ჰექტარით გაადიდეს[258]. 1943 წელს ნათესი ფართობის ზრდამ საქართველოში 110 ათას ჰექტარს მიაღწია და მოყვანილ იქნა 220 ათასი ტონით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს. 1944 წლისათვის ეს მდგომარეობა თითქმის შენარჩუნებულ იქნა[259].

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ საქართველოს სსრ-ში სათესი ფართობის ზრდაზე, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ჩვენი სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნება.

ომის დროს განსაკუთრებით გაიზარდა მარცვლეული კულტურების სათესი ფართობი. სიმინდის კულტურას საქართველოში 1940 წელს თუ 355 282 ჰექტარი ეჭირა, 1942 წლისათვის იგი გაიზარდა 382 568 ჰექტარამდე. ტექნიკური კულტურებიდან გაიზარდა თამბაქო — 20 902 ჰექტარიდან 21 039 ჰექტარამდე, მზესუმზირა — 15 459 ჰექტარიდან 17 141 ჰექტარამდე, კარტოფილის კულტურა — 24 556 ჰექტარიდან 28 849 ჰექტარამდე, ბოსტნეულის კულტურა — 24 547 ჰექტარიდან 180 505 ჰექტარამდე[260].

---

257 მაგ., 1940—1941 წწ. გორის რაიონში თუ თესლბრუნვა მოწყობილი იყო 54 კოლმეურნეობაში, ომის დროს თესლბრუნვა არ ხორციელდებოდა რაიონის არცერთ კოლმეურნეობაში (საქართველოს კპ (ბ) მე-14 ყრილობა სტენოგრ. ანგ., გვ. 96). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმმა განიხილა შაბლონური უგეგმობით სამმინდროვანი თესლბრუნვის საყოველთაოდ გამოყენების პრაქტიკა, რომელსაც ქვეყნის ამა თუ იმ რაიონის თავისებურებათა გაუთვალისწინებლობით მიმართავდნენ. ამ პრაქტიკას, გარდა იმისა რომ აშკირებდა სათეს ფართობს, არ მოჰქონდა ჯეროვანი სარგებლობა მეცხოველეობის განვითარებისათვის.

258 გაზ. „კომუნისტი", 1942, 29 აპრილი.

259 გაზ. „პრავდა", 1946, 25 თებერვალი.

260 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11595, ფურც. 4—9.

ასევე საგრძნობლად იზრდება საშუალო მოსავლიანობა ყოველ ჰექტარზე.

ომის წლებში ხდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთგვარი სტრუქტურული შეცვლა, ადგილი აქვს ზოგი ახალი დარგის განვითარებას ან ძველთა გადაჯგუფებას ცალკე ზონებისა და რაიონების მიხედვით. სსრ კავშირის ჭარხლისა და თამბაქოს კულტურის რაიონების მტრის მიერ დაპყრობის გამო, აღმოსავლეთის მთელ რიგ რაიონებსა და ოლქებში თუ პირველად ინერგება ეს კულტურები, საქართველოში საგრძნობლად იზრდება მათი ნათესი ფართობი[261].

გ. ბრძოლა მტს-ების შესაძლებლობათა და ცოცხალი გამწევი ძალის მაქსიმალური გამოყენებისათვის

ომის წლებში რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის როგორც სათესი ფართობის ზრდის, ისე მრავალწლიანი კულტურების დაცვისა და მათი მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის — მტს-ების შემდგომ განმტკიცებას. როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომის პერიოდშიც მტს-ების საშუალებით კვლავ წარმატებით ხორციელდებოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო კავშირი, იზრდებოდა შრომის ნა-

---

[261] 1941 წ. ოქტომბერს საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ღონისძიებანი დასახეს 1942 წლისათვის შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობის 1000 ჰექტარით გადიდების შესახებ ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიონებში. ფაქტიურად კი შაქრის ჭარხლის კულტურით ნათესი ფართობი 1942 წლისათვის 5506-დან 6739 ჰექტარამდე იქნა აყვანილი, ე. ი. 1233 ჰექტარით გადიდდა. (სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 67, ფურც. 8).

ნათესი ფართობის ზრდასთან ერთად ომის პირველსავე წლებში იზრდებოდა მოსავლიანობაც. საშუალოდ ეს ზრდა აღწევდა 1,5 ცენტნერიდან 2 ცენტნერამდე ჰექტარზე (სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 67, ფურც. 8). მარცვლეული კულტურების საერთო მოსავლიანობა ომამდელ 1940 წელს რესპუბლიკაში თუ უდრიდა 6 708 851 ცენტნერს, 1942 წლისათვის იგი გადიდდა 8 296 151 ცენტნერამდე, კარტოფილის — 1 457 368 ცენტნერიდან 2 018 645 ცენტნერამდე და ა. შ. ამ მიღწევების შესაბამისად, კოლმეურნე გლეხები აწვდიდნენ ფრონტს და ქვეყანას უფრო მეტ პროდუქტებს, სამრეწველო ნედლეულს და სხვ. 1942 წლისათვის საქართველოს კოლმეურნე გლეხებმა გადაკარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე. საბჭოთა არმიისა და ქალაქის მშრომელებისათვის დაახლოებულ 60 000 ტონა მარცვლეული, 24 000 ტონა კარტოფილი, 25 ათას ტონაზე მეტი მწვანილი, 205 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი, 24 000 ტონა ხორცი და ამდენივე რძის ნაწარმი, 60 000 ტონა ჩაი, დიდი ოდენობით ჭარხალი, თამბაქო, მატყლი და სხვა პროდუქტები (სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 67, ფურც. 9. Материалы Госплана СССР о работе промышленности и сельского хозяйства за 1941 и 1942 гг.).

ყოფიერება, უმსუბუქდებოდა მძიმე შრომა კოლმეურნეებს და სოფლად კვლავ ინერგებოდა აგროტექნიკის უახლესი მიღწევები.

ომის დასაწყისშივე საბჭოთა საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, ისევე როგორც სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკების მტს-ებს უაღრესად მძიმე და რთულ პირობებში უხდებოდათ მათზე დაკისრებული ამოცანების განხორციელება. მტს-ებიდან სამამულო ომის ფრონტზე დიდი რაოდენობით წავიდა კვალიფიციური მუშახელი, შემცირდა სატრაქტორო პარკები, ავტომობილთა და სხვა მანქანა-იარაღთა რიცხვი; სოფლებიდან ფრონტებზე გაიგზავნა აგრეთვე ცხენებისა და სხვა სახის ცოცხალ გამწევ ძალთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. მაგალითად, მთლიანად საბჭოთა კავშირში გამწევი ძალა კოლმეურნეობებსა და მტს-ებში 32% შემცირდა, ხოლო ავტომობილთა რიცხვი—89%[262]. ასევე საქართველოშიც საგრძნობლად მცირდება გამწევი ძალა და სოფლის მეურნეობის მექანიკური საშუალებანი. მაგალითად, მოქმედი ტრაქტორებისა და მათი სიმძლავრის დინამიკა ომამდელ 1940 წელთან შედარებით საქართველოში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (ცხრ. 11).

ცხრილი 11

	1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ
ტრაქტორთა რიცხვი მთლიანად საქართველოში .	2976	2499	2464	2364	2188	2071
მათ შორის:						
საბჭოთა მეურნეობებში .	291	195	178	197	168	153
მტს-ებში .	2393	2134	2138	2017	1889	1796
კოლმეურნეობებში .	292	170	148	150	131	122

მოყვანილი ცხრილი მრავალმხრივაა საყურადღებო. გარკვევით ჩანს, რომ მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ცალკე კოლმეურნეობებში ტრაქტორების შემცირება განსხვავებული შეფარდებით ხასიათდება[263]. თუ მთლიანად რესპუბლიკაში 1940 წ. 2976 სხვა-

[262] БСЭ, Союз Советских Социалистических республик, М., 1947, გვ. 876—877.

[263] ტრაქტორების რიცხვობრივ შემცირებაზე უფრო მეტად შემცირდა მოქმედ ტრაქტორთა საერთო სიმძლავრე, სამხედრო დანიშნულებისათვის ყველაზე უფრო მძლავრი ტრაქტორები იქნა წაყვანილი რესპუბლიკიდან (ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან).

დასხვა ტიპის ტრაქტორი აღირიცხებოდა, 1945 წელს მათი რიცხვი 2 071-მდე შემცირდა.

ომის პირველსავე წლებში მთელ რიგ მტს-ებში შეიკვეცა და ზოგან გაუქმდა სატრაქტორო პარკი, ამის შედეგად რესპუბლიკაში შემცირდა მტს-ების მიერ კოლმეურნეობებში დამუშავებული ფართობი.

სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით განხორციელებისა და სიძნელეთა დაძლევისათვის ბრძოლაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მტს-ებში პოლიტგანყოფილებების ჩამოყალიბებას[264].

სამამულო ომის წლებში, როგორც დავრწმუნდით, ტრაქტორების რაოდენობა საქართველოში საგრძნობლად შემცირდა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები კი ახალ შევსებას ვეღარ ღებულობდნენ. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი რესურსების მობილიზაციის გზით ნთელმა რიგმა მტს-ებმა შეძლეს გაეზარდათ გამომუშავების ნორმები, განემტკიცებინათ დახმარება და ეკონომიური თანამშრომლობა კოლმეურნეობებთან, გადაელახათ ომის დროის ყველა სიძნელე და უზრუნველეყოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარება გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების გზით.

სამამულო ომის წლებში მთელ რიგ კოლმეურნეობებში შემცირდა არა მარტო მტს-ების მხრივ მომსახურეობა, არამედ თვით კოლმეურნეობების საკუთრებაში მყოფი მანქანა-იარაღებისა და სხვა სახის სამეურნეო ინვენტარის რაოდენობაც. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მთლიანად საკუთარი მანქანა-იარაღების შემცირება ომის პერიოდში 1940 წელთან შედარებით შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება(ცხრ. 12)[265].

აქ მოყვანილი ციფრები იმაზე მეტყველებენ, რომ ომმა რესპუბლიკის კოლმეურნეობებისაგან მოითხოვა მანქანა-იარაღების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელთა დიდი ნაწილის აღდგენა ვეღარ მოხერხდა ომის დროს. ანალოგიური იყო მდგომარეობა მტს-ებშიაც.

მტს-ებსა და კოლმეურნეობებში მანქანა-იარაღების რიცხობრი-

---

[264] ჯერ კიდევ 1941 წლის ნოემბრის 17 პარტიამ და მთავრობამ ღონისძიებანი დასახეს საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში პოლიტგანყოფილებების მოწყობის შესახებ. ამ დადგენილების განსახორციელებლად საქართველოში საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში შეიქმნა პოლიტგანყოფილებები, რომლებიც დაკომპლექტებულ იქნა საიმედო კადრებით (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი. ფონდი 14, საქმე 11619, ფურცელი 4 — 5).

[265] ცნობები აღებულია საქართველოს სტატისტიკური სამმართველოდან.

ვად შემცირების პირობებში საგრძნობლად იზრდება ცოცხალი გამწევი ძალის როლი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში. იზრდება მუშა-პირუტყვის (ხარების, კამეჩების) გამოყენება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. მთელ რიგ კოლმეურნეობებში სათესი ფართობის საკმაოდ დიდი პროცენტის დამუშავება მუშა პირუტყვის გამოყენების გზით ხდებოდა[266]. მუშა პირუტყვის გამრაველობას და მოვლა-პატრონობას ომის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. მთელ რიგ კოლმეურნეობათა კაპიტალური დაბანდების მნიშვნელოვანი ნაწილი მუშა პირუტყვის შეძენაზე მიდიოდა[267].

ცხრილი 12

მანქანა-იარაღების დასახელება	რაოდენობა წლების მიხედვით					
	1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
ტრაქტორები . .	292	170	148	150	131	122
სატვირთო მანქანები .	1279	708	478	298	366	392
ცხენის გუთნები . .	45481	40523	44683	42989	39457	44483
კულტივატორები .	9824	9047	8159	6239	5756	5317
თივის სათიბი მანქანები .	1391	1154	1406	1083	834	811
თვითმკელი სამკელები .	498	—	189	131	121	75
სალეწი მანქანები	70	69	79	70	92	89

მიუხედავად ამისა, მთლიანად რესპუბლიკაში მათი რიცხვი ომის დროს მაინც მცირდება. საქართველოში. გამწევი ძალის (ხარების და კამეჩების) სულადობის დინამიკა (ათასობით) შემდეგი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება (ცხრ. 13).

ეს შემცირება უმეტესად პირად საკუთრებაში მყოფ ხარ-კამეჩზე მოდიოდა[268].

---

[266] ყვარლის რაიონის სოფ. ჭიკაანის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის მთლიანი ნათესი ფართობი 1944—1945 წლებში 290 ჰექტარს უდრიდა, აქედან დაახლოებით 90 ჰექტარი დამუშავდა მტს-ის მიერ, ხოლო დანარჩენი 200 ჰექტარი — მუშა პირუტყვის საშუალებით. ასეთი კოლმეურნეობები კი მრავალი იყო რესპუბლიკაში (ეურ. „ბოლშევიკი", N: 3—4, 1945. გვ. 68).

[267] მაგალითად, ადიგენის რაიონის სოფ. უდეს კოლმეურნეობამ 1941 წელს მუშა პირუტყვის შეძენაზე თუ 32 235 მან. დახარჯა, 1943 წელს ამავე მიზნით დახარჯული თანხა 135 721 მანეთს სჭარბობდა. ა. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველის სახელობის სოფ. უდეს კოლმეურნეობა (მონოგრაფია), გვ. 81 (ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში).

[268] მაგ., აბაშის რაიონში თუ 1940 წლისათვის კოლმეურნეობაში 4532 ხარი ირიცხებოდა, 1944 წ. მათი რიცხვი 5416 აღწევს. მაგრამ თუ ყოველწლიურად იზრდებოდა ხარების რიცხვი კოლმეურნეობებში, კოლწევრთა პირად საკუთრებაში მყოფი ხარების რიცხვი კი მცირდებოდა. მაგ., 1940 წ. აბაშის რაიონში კოლწევრებს პირად საკუთრებაში თუ 92 ხარი ჰყავდათ, 1941 წ. 52-მდე დავიდა, 1942

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ფრონტებზე სისტემატურად იგზავნებოდა მობილიზებული ცხენების ახალ-ახალი პარტიები და ხორციელდებოდა საბჭოთა არმიის საკავალერიო დანაყოფთა დაკომპლექტება[269].

ცხრილი 13

1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
377,2	360.1	349,1	354,6	343,0	341,3

1940 წელთან შედარებით საქართველოში ცხენების სულადობის შემცირება ომის წლებში (ათასობით) ასეთი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება (ცხრ. 14).

ცხრილი 14

1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
175,3	120,4	89,2	86,4	84,5	84,4

ცხენების სულადობის შემცირებასთან ერთად კოლმეურნეობებში მცირდებოდა გამწევი ძალა და სატრანსპორტო საშუალებანი. აქვე შეინიშნება ერთი კანონზომიერებაც. სახელდობრ ის, რომ ომის წლებში უფრო მეტად მცირდება ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფი ცხენების სულადობა, ხოლო შედარებით ნაკლებად საზოგადოებრივი (საკოლმეურნეო) მეცხენეობის დარგი. ამ უკანასკნელს ადასტურებს აქ მოყვანილი ცნობები (ათასობით)[270] (ცხრ. 15).

ამრიგად, ომის წლებში გარდა იმისა, რომ უფრო ნაკლებად შემცირდა საზოგადოებრივი მეცხენეობა, ამასთანავე 1943 წლიდან კოლმეურნეობებში იწყება ცხენების სულადობის ზრდა;

წ. — 40-მდე, 1943 წ. — 24-მდე, ხოლო 1944 წ. — 14-მდე შემცირდა (პროფ. პ. გუგუშვილის გამოუქვეყნებელი ნარკვევი — ობაშის რაიონის სოფ. ობაშისპირის კოლმეურნეობა, მონოგრაფია. ხელნაწერი დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტში. გვ. 23).

[269] მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობიდან 20 მუშა ცხენი ომის დაწყების პირველსავე დღეებში მობილიზებულ იქნა სამხედრო საჭიროებისათვის.

სოფ. ვარციხის კოლმეურნეობა „წინსვლას“ 1940 წელს თუ 17 ცხენი ჰყავდა, 1944 წლისათვის მათი რიცხვი 8-მდე დავიდა. დანარჩენი ცხენები საბჭოთა არმიას გადაეცა ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან. ცნობა მოყვანილია კ. ღოღობერიძის ნარკვევიდან—მოწინავე მეთამბაქოეობის კოლმეურნეობის ეკონომიკა და პროფ. ნ. იაშვილის ნარკვევიდან — სოფ. ვარციხის წინსელის კოლმეურნეობა. (ხელნაწერები დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში).

[270] ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

1943 წლის მაისში სსრ კავშირის საბჭოთა და პარტიული ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დასახულ იქნა სპეციალური ღონისძიება, რომელიც მობრუნების პერიოდს ქმნის და დასაბამს აძლევს მეცხენეობის აღმავლობის საქმეს საერთოდ ჩვენს ქვეყანაში.

ცხრილი 15

1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
45,1	37,8	28,2	28,7	29,6	31,8

1944 წელს საქართველოში მეცხენეობის განვითარების რესპუბლიკური გეგმა 101,8% იქნა შესრულებული, ხოლო კვიცების გამოზრდის გეგმა—125,5%; ამ დარგში დიდი წარმატებები ჰქონდა ამბროლაურის, ფოთის და დუშეთის რაიონებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აჭარის ასს რესპუბლიკას.

ასეთია მოკლედ გამწვევი ცოცხალი ძალისა და მექანიკურ საშუალებათა თანაფარდობა, მათი განვითარების პირობები რესპუბლიკაში დიდი სამამულო ომის წლებში და ამ დარგში გატარებული ღონისძიებანი. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმატებანი ომის წლებში გაპირობებული იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობათა ყველა სამეურნეო მექანიკური საშუალების ნაყოფიერი მუშაობით, რაც მოხერხებულად იყო შეხამებული მუშაპირუტყვის — ხარის, ცხენის და სხვ. მაქსიმალურად გამოყენებასთან.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მუშათა კლასის უანგარო დახმარებით საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ ომის წლებში გაზარდა არა მარტო სათესი ფართობი, არამედ გააუმჯობესა თვით ნიადაგის დამუშავების ხარისხიც და გაადიდა მოსავლიანობა. 1942 წლის შემოდგომისათვის კავკასიის მისადგომებთან ჰიტლერელ დამპყრობთა გამოსვლის გამო სერიოზულად შეფერხდა და დაიგვიანა 1942 წლის საშემოდგომო ხვნის გეგმის შესრულებამ, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა 1943 წლის უხვი მოსავლის მიღების საქმეს. მაგრამ ამ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ დროულად დაწესდა რესპუბლიკის მტს-ებსა და კოლმეურნეობებში თვითეული ტრაქტორის, ცოცხალი გამწვევი ძალის, გუთნისა და კავით ხვნა-თესვის დღიური ნორმა; სატრაქტორო პარკები გადაყვანილ იქნა 24

საათიან განუწყვეტელ მუშაობაზე, მოეწყო ღამით ხვნა-თესვის ორგანიზაცია[271].

რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. ცხენის, ხარისა და კამეჩის გარდა, ხვნა-თესვის გეგმის შესრულებისათვის ამ პერიოდში დროებით გამოიყენებოდა ძროხებიც, როგორც გამწევი ძალა (უმთავრესად ბერწი). დაწესდა გამწევი ძალით ხვნის ახალი გაზრდილი ნორმები და სხვა. ახალგაზრდა ტრაქტორისტების, მათ შორის ქალების, მტს-ის მუშებისა და კოლმეურნე გლეხების დაძაბული შრომით თესვის გეგმები გადაჭარბებით იქნა შესრულებული. რაც 1943 წ. მაღალი მოსავლის მიღების საფუძველი გახდა.

4. მუშათა კლასის გლეხობისადმი დახმარებია ახალი ეტაპი

რესპუბლიკის მტს-ებს და კოლმეურნეობებს უდიდეს დახმარებას უწევდა ქალაქის მოსახლეობა. მუშათა კლასის დახმარება გლეხობისადმი 1943 წლიდან ახალ სტადიაში შედის.

1943 წელს საბჭოთა ქვეყნის მსხვილი სამრეწველო ცენტრებიდ მოწინავე მუშებმა შესანიშნავი ინიციატივა წამოიწყეს გლეხობისადმი დახმარებისა და შეფობის გაძლიერების საქმეში უხვი მოსავლის მისაღებად.

1943 წლის გაზაფხულზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დასახმარებლად, მხოლოდ თბილისიდან გაიგზავნა 39 000 კაცი. ფაბრიკა-ქარხნებში ჩამოყალიბდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სპეციალური ბრიგადები, რომლებიც მტს-ებისა და კოლმეურნეობებისათვის მასობრივად აწარმოებდნენ სხვადასხვა იარაღ-მანქანებს, ტრაქტორებისა და კომბაინების სათადარიგო ნაწილებს.

თითქმის არც ერთი მტს-ი არ დარჩენილა. რომელზედაც შეფობა არ აეღო რესპუბლიკის რომელიმე მსხვილ საწარმოს, არ ეკისრა ახალი ვალდებულებანი და ქმედითი ხელშეწყობა არ აღმოეჩინა კოლმეურნე გლეხობისადმი.

1943 წ. დასაწყისში საქართველოს მთავრობის მითითებით რესპუბლიკის ძირითად საწარმოებში კომბაინებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დამზადების ზუსტი დავალება მიეცა 15-მდე საწარმოს.

მტს-ების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ყველა ღონისძიება ემყარებოდა საკ. კპ(ბ) ცეკას და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს

---

271 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტაქტივი. ფონდი 14, საქმე 12345, ფურც. 24 — 26.

ენობილ დირექტივას — „1943 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების, ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ“. ეს დადგენილება უმთავრეს ამოცანად აყენებდა ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდებას.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტისა და წარმოების აღმავლობისათვის რესპუბლიკის ქარხნებში ინერგება რაციონალიზატორული წინადადებები. მაგალითად, ინჟ. ნეფარიძის წინადადებით თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანამ 1944 წ. მაისში აითვისა ტრაქტორის ახალი დეტალის დამზადება, რითაც სახელმწიფოს წელიწადში 10 900 მანეთის ეკონომია მიეცა. მუშათა წინადადებებით ქარხანაში ნარჩენი რესურსებისაგან შეუდგნენ თოხის, ნალის, ლურსმნის და სხვ. საგნების მასობრივად წარმოებას.

ქარხნის მუშები ა. წულაძე, გ. ბასილაშვილი, ა. გალუსტოვი ტრაქტორების ნაწილებისა და სხვა სას. სამეურნეო ინვენტარის დამზადების საქმეში საკოლმეურნეო სოფლისადმი სანიმუშო დახმარების მაგალითის მიმცემი იყვნენ. ისინი თავისუფალ საათებში ბევრ მუშაობას ეწეოდნენ და დღიურ გეგმებს 300—350% ასრულებდნენ.

საკოლმეურნეო სოფლისადმი საშეფო დახმარებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და იგი ბევრად გასცდა მტს-ების სარემონტო და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების წარმოების ფარგლებს. ყოველი ქარხანა შეეცადა მთელი თავისი შესაძლებლობით აღმოეჩინა დახმარება გლეხობისადმი[27‡].

მუშათა კლასის დახმარებით მტს-ებში დიდი სისწრაფით გაუმჯობესდა სატრაქტორო პარკების გამოყენება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა და ორგანიზაცია. გაძლიერდა მტს-ების ხელმძღვანელი და წამყვანი როლი კოლმეურნეობებში, გაიზარდა საკოლმეურნეო მასის შრომითი აქტივობა და გადიდდა შრომადღეების გამომუშავება.

საქართველოს მტს-ების მუშათა და კოლმეურნე გლეხთა პატრიოტიზმი, მათი შრომითი მამაცობა მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა-

---

[27‡] ამ მხრივ საყურადღებოა რესპუბლიკის ქიმიური ქარხნების დახმარება კოლმეურნეობებისადმი ნარგავების მავნებლებისაგან დაცვის საქმეში. მაგალითად, თბილისის ქიმკომბინატის მუშათა კოლექტივი მასობრივად იწყებს შაბიამნის წარმოებას უახლესი მეთოდებით და ეხმარება რესპუბლიკის მევენახეობის რაიონებს (გაზ. „კომუნისტი“, 1944 წ. 2 ივნისი).

ში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ნიშნით ხორციელდებოდა[273].

ჯერ კიდევ 1942 წლის მაისიდან ფართოდ გაჩაღებული სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ინიციატორი ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი იყო, მრეწველობიდან სოფლის მეურნეობაში ვრცელდება. იგი პირველად მტს-ებში იკაფავს გზას და აქედან მოწინავე კოლმეურნეობებში ინერგება.

რიგი მტს-ები დიდ გამარჯვებას აღწევენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში[274].

სამამულო ომის უკანასკნელ წელს საქართველოში მაღალი მოსავლის 2800 ახალგაზრდული რგოლი და 1000-ზე მეტი ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადა იბრძოდა უხვი სამხედრო მოსავლისათვის, რომლებსაც მუშაობა არც ომის შემდგომ 1946 წელს შეუნელებიათ[275].

---

[273] გურჯაანის რაიონის კაპრეთის მტს-მა 1942 წ. საგაზაფხულო სამუშაოების გეგმა 164.7%-ზე შეასრულა; მოწინავე ტრაქტორისტმა მოსულიშვილმა გეგმა 400%-ზე შეასრულა და დაზოგა 1290 კილოგრამი საწვავი. ტრაქტორისტმა ქალმა ალაბ ახმედ ოღლიმ კი გეგმა 340%-ზე შეასრულა და დაზოგა 1088 კილოგრამი საწვავი (გაზ. „კომუნისტი". 1942, 16 ივნისი). ასევე შესანიშნავი წარმატებები ჰქონდა ჩაშურის, ლანჩხუთის და რესპუბლიკის სხვა რაიონთა მტს-ებს. ტრაქტორისტებს და ტრაქტორისტ ქალებს.

1943 წელს საქართველოს 34 მტს-მა დეკემბრის შუა რიცხვებისათვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოების წლიური გეგმა (გაზ. „პრავდა", 1944, 8 ივნისი; გაზ. „კომუნისტი", 1944. 11 ივნისი).

1943 წლისათვის საქართველოში ერთეული ტრაქტორის დატვირთვა 240 ჰექტარს აღემატებოდა, რაც საგრძნობლად აჭარბებდა გეგმიერ დაანგარიშებას. რესპუბლიკის მოწინავე მტს-თა შორის გამოირჩეოდა შირაქის მტს-ი. იგი სამამულო ომის წლებში გეეკლინება შესანიშნავ ორგანიზატორად.

[274] მაგ., ცხაკაიას რაიონის I მტს-ის მუშაკებმა 1943 წლის IV კვარტალში ტრაქტორების რემონტის სანიმუშოდ ჩატარებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს. 1944 წელს კი ასურეთის მტს-მა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, მან გარდამავალი წითელი დროშა და 20 ათასი მანეთის ფულადი პრემია მიიღო (გაზ. „ზარია ვოსტოკა". 1944. 20 თებერვალი).

საქართველოს მტს-ების მუშაკთა და კოლმეურნეთა საერთო წარმატებების დემონსტრაციად იქცა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული ის ბრწყინვალე გამარჯვება, რომლითაც 1944 წ. მარტში მათ შეძლეს დაეჯილდოებინათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. საქართველოს მთავრობის სასახლეში გაიმართა საზეიმო შეხვედრა და დროშის გადაცემა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ თავის დადგენილებაში აღნიშნა საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კარგი მუშაობა მეშინდერეობისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის დარგში (გაზ. „კომუნისტი", 1944, 16 მარტი).

[275] 1944 წლის იანვარში საბჭოთა მთავრობამ იმ დიდი გამარჯვებისათვის, რაც 1943 წელს იქნა მოპოვებული, მაღალი ჯილდო მიანიჭა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ასობით მოწინავე ადამიანს. ჯილდო დაიმსახურა მტს-ის მოვალეობა მუშამ. ისინი კელავაც კისრულობდნენ ახალ ვალდებულებას. რესპუბლიკის მტს-ები მოიცვა შრომითმა ახალმა აღმავლობამ. 1944 წლის იანვრის გეგმა საქართველოს მტს-ებმა ტრაქტორების რემონტის დარგში ვადაზე ადრე და საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს (გაზ. „კომუნისტი", 1944, 24 თებერვალი).

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, მისი მაშინიზაციისა და ელექტრიფიკაციის სწრაფი განვითარების ბაზაზე ომის შემდგომი პერიოდიდან ახალ მკვიდრ ნიადაგზე დადგა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა[276].

ჯერ კიდევ სამამულო ომის უკანასკნელ 1945 წელს სსრ კავშირში ელექტრიფიცირებული კოლმეურნეობების რიცხვი 3,5-ჯერ გაიზარდა 1940 წელთან შედარებით, ხოლო მანქანა-ტრაქტორთა—10-ჯერ. 1945 წლიდან, მას შემდეგ. რაც სსრ კავშირის მთავრობამ სპეციალური დადგენილება მიიღო სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის შესახებ, იწყება ნამდვილი გარდატეხის წელი. 1945 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემული სოფლის ელექტროსადგურების სიმძლავრე 5-ჯერ აღემატებოდა 1940 წელს გადაცემულთა სიმძლავრეს. სოფლის ელექტრიფიკაცია სამამულო ომის უკანასკნელ წელს მნიშვნელოვანი წარმატებით ხასიათდება. მაგალითად, 1945 წლის პირველ ნახევარში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა ბევრად აღემატებოდა ომამდელს. ამ დროისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა 1472 ელექტროსადგური, 575 ჰიდროელექტროსადგური და 897 თბოელსადგური, რომელთა საფუძველზე მოხდა 677 მანქანა-ტრაქტორთა სადგურის. 2600 კოლმეურნეობის, სოფლის მეურნეობის მრავალი სახელოსნოს და სარემონტო ქარხნების სრული ელექტრიფიცირება[277].

მეცხოველეობის დარგის რიგ სამუშაოთა ელექტრიფიცირება 4—5-ჯერ ამცირებს საჭირო მუშახელის გამოყენებას. ხოლო ძროხის წველადობას 10—15% ზრდის, ცხვრის პარსვაში მინიმუმამდე დაპყავს დანაკარგი და 5—7% ზრდის მატყლის რაოდენობას. ელექტროენერგიის ყოველი კილოვატსაათი სოფლის მეურნეობაში 3 კაცს სცვლის და ათავისუფლებს ადამიანს მძიმე ფიზიკური შრომისაგან. ომისშემდგომ ხუთწლედში საქართველოში სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია დიდი წარმატებებით ხასიათდება. მაგ.,

---

[276] სსრ კავშირის სახკომსაბჭომ 1944 წლის იანვარში მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორთა რემონტის გეგმის საუკეთესოდ შესრულებისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკას მიანიჭა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 300 000 მანეთის რაოდენობით მოწინავე მუშაკთა დასაჯილდოებლად. ახალგაზრდა ტრაქტორისტები ნამდვილად ფრონტული მუშაობის მაგალითს იძლეოდნენ. მაგ., ზესტაფონის მტს-ში ფრონტიდან დაბრუნებულმა ალ. სვანიძემ და კომკავშირელმა აკ. გიორგაძემ შესანიშნავ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს და დიდძალი საწვავი მასალაც დაზოგეს (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი". 1946. 23 თებერვალი).

[277] გაზ. „კომუნისტი", 1946, 23 იანვარი. ბ. ხ ა ს ი ა, მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის როლი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში, თბილისი, 1954.

1951 წლის 1 იანვრისათვის სულ რესპუბლიკაში 187 სასოფლო ელსადგური იყო.

ჯერ კიდევ სამამულო ომის უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სოფლის ელექტრიფიკაციის განვითარებისათვის კოლმეურნე გლეხობას დიდად დაეხმარა საქართველოს მუშათა კლასი. თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში, ინჟინერ თხინვალელის კონსტრუქციით, მოწინავე მუშათა კოლექტივის მიერ ათვისებულ იქნა პატარა ჰიდროელსადგურების მშენებლობის ჰიდრომექანიკურ მოწყობ-ლობათა მთელი კომპლექტის წარმოება. ქარხანამ 1945 დასაწყისში გამოუშვა პროპელერული ტიპის 30 ცალი 25 ცხენძალიანი, 30 ცალი 60 ცხენძალიანი და 10 ცალი 150 ცხენძალიანი ტურბინი. ჯერ კიდევ 1944 წელს 30-მდე საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელსადგური დაპროექტდა და აშენდა. გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯები შრომატევადი სამუშაოების ელექტრიფიკაციისათვის[278].

5. ზრუნვა ტექნიკური და მრავალწლიანი კულტურების მოვლა-პატრონობისა და მათი მოსავლიანობის გაზრდისათვის

საქართველოს მრავალწლიანი კულტურები ომის წლებში კვლავ რჩებოდა საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად მომმარაგებელ ბაზად არა მარტო ჩაით, ციტრუსებით, მევენახეობისა და მეხილეობის პროდუქტებით, არამედ იგი იყო ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი მნიშვნელობის მთელ რიგ საწარმოთათვის პირველხარისხოვანი ტექნიკური და სამედიცინო სამრეწველო ნედლეულის მიმწოდებელი. მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა უკრაინაში, ყირიმსა და ყუბანში ჩვენს ქვეყანას დროებით მოესპო სამრეწველო ტექნიკურ კულტურათა წარმოების შესაძლებლობა. აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველოს ამ მიმართულებითაც ახალი ამოცანები დაეკისრა. მას ჩაისა და ციტრუსოვან კულტურებთან ერთად უნდა გაედიდებინა შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს როგორც ნათესი ფართობი, ისე მოსავლიანობა. 1940 წელს ჩაის კულტურის ფართობი თუ 49 635 ჰექტარს არ აღემატებოდა, 1945 წ. იგი 51 532 ჰექტარამდე აღწევს. გაიზარდა ჩაის საშუალო მოსავლიანობა[279].

---

[278] გაზ. „კომუნისტი", 1945, 16 მარტი.

[279] მაგალითად, გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველ სრულმოსავლიან ჩაის პლანტაციაში საშუალოდ ჰექტარზე 1940 წელს მოიკრიფა 4436 კგ ჩაის მწვანე ფოთოლი, 1941 წ. — 5246 კგ. 1942 წ.—5800, ხოლო 1943 წელს—5862 კგ (გ. ასვანუა, ვ. ზუნუბაია, მოწინავე კოლმეურნეობა, 1943, გვ. 17). მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის

გამრავლდა ჩაის მაღალი მოსავლის ოსტატები, რომელთაც ახალი რეკორდი დაამყარეს. მაგ., ქ. სარსანია (ზუგდიდის რაიონის ინგირის კოლმეურნეობა) სამი წლის მანძილზე მასზე მიმაგრებული ნაკვეთის ერთ ჰექტარზე 15—25 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს იღებდა, რაც სარეკორდოდ ითვლება მსოფლიოში.

ომის წლებში რესპუბლიკა საგრძნობი გადაკარბებით ასრულებდა ჩაის დამზადების სახელმწიფო გეგმებს. საქართველოს კოლმეურნეებს, მაგ., 1943 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის მოკრეფილი და ჩაბარებული ჰქონდათ ჩაის ფაბრიკებისათვის 60 212 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ წლიური გეგმის 100,4%. ამის შემდეგაც ჩაის კრეფა არ შენელებულა[280].

1943 წელს რესპუბლიკამ სახელმწიფოს 10 ათასი ტონით მეტი მწვანე ჩაის ფოთოლი ჩააბარა, ვიდრე 1942 წელს. 1944 წლისათვის რესპუბლიკაში ჩაის კრეფისა და დამზადების გეგმა 25 დღით ადრე შესრულდა და ივლისზე ადრე სახელმწიფოს ათეულ ათასობით კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩაბარდა[281]. ასევე ითქმის 1945 წლის გეგმის შესრულების შესახებაც, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისათვის. ომის წლებში ჩაის მოსავლიანობის ზრდასთან ერთად გაუმჯობესდა მისი ტექნოლოგია და აგროლონისძიებები, მიღებულ იქნა ჩაის ახალი ქართული ჯიშები.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. ქ. ბახტაძემ გამოიყვანა მაღალმოსავლიანი ქართული ჩაის ჯიშები № 1 და № 2, ქ .ბახტაძეს სტალინური პრემია მიენიჭა.

ასევე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ახალი ფართობის დაზუსტებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის მინერალოგიის და გეოლოგიის მეცნ. დოქტორს პროფ. მ. დარასელიას სტალინური პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. სამამულო ომის წლებში საქართველოში 40 ჩაის ფაბრიკა ითვლებოდა. მათ აითვისეს მაღალხარისხოვანი ქართული ჩაის ტექნოლოგია და იწყეს „საქართველოს თაიგულის“ და „ექსტრას“ გამოშვება.

საქართველოს ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურების განვითარების ნორმალური მსვლელობა ომმა სერიოზულად შეაფერხა. 1941—1942 წლის სუსხიანმა ზამთარმა დიდად დააზიანა საქართველოს ციტრუსოვანთა პლანტაციები; გაანადგურა თითქმის

სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციებს 1940 წელს ეჭირა 175,6 ჰექტარი და ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 2750 კგ ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღეს, ხოლო 1943 წელს — 3980 კგ.

[280] გაზ. „კომუნისტი“, 1943, 8 ოქტომბერი.

[281] გაზ. „კომუნისტი“, 1945, 20 მარტი.

10 000 ჰექტარი ციტრუსოვანთა ბაღები და 1944 წ-სათვის იგი 18 514 ჰექტარამდე შემცირდა. დიდად დაზიანდა ევკალიპტთა ხეივნები.

1943 წლის ივნისში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა სპეციალურად განიხილა ციტრუსოვანი ნარგავებისა და ევკალიპტების დაცვისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებები. გადაწყვეტილება მიიღო 3—4 წლის მანძილზე მთლიანად განხორციელებულიყო აღდგენა ყინვით დაზარალებულ ციტრუსოვანთა პლანტაციებისა[282].

ციტრუსოვანთა განვითარებას 1943 წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. ახლებურად გარდაიქმნა მუშაობა სანერგეებში. საქართველოს კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს 1944 წ. სექტემბერში დამყნილი ჰქონდათ 3 867 700 ძირი ციტრუსი. და წინასწარ დამუშავებულ ფართობებზე გაჩაღდა ახალი პლანტაციების გაშენება[283].

მეტად საყურადღებო სურათს იძლევა ტექნიკური კულტურების განვითარების გზები და პირობები სამამულო ომის წლებში.

საქართველოს მეთამბაქოეობას თავისი ხვედრითი წონით და ხარისხით თუ მუდამ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირში, სამამულო ომის წლებში საქართველო თამბაქოს ძირითად მწარმოებელ რესპუბლიკად იქცა. ახალი ფართობების ათვისებით და მოსავლიანობის გაზრდით საქართველოს მშრომელებმა ამ ამოცანასაც წარმატებით გაართვეს თავი.

საქართველოს მეთამბაქოეობის მოწინავე კოლმეურნეობებში გლეხები დაეუფლნენ თამბაქოს ორი მოსავლის მიღებას წელიწადში, რაც ორმაგად მეტ შრომას მოითხოვდა[281]. გაჩაღდა თამბა-

---

[282] დიდი ზარალის, რომელიც ციტრუსოვანი პლანტაციების ამ განადგურებით შეემთხვა საქართველოს, ძირითადი მიზეზი იყო ნარგავთა შეფუთვისა და აგროტექნიკური წესების უგულებელყოფა ციტრუსოვანთა გამოსაზამთრებლად. (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12796 ფურც. 4 — 13). მაგალითად, 1942 წ. დეკემბრის დამლევს ციტრუსოვანთა ნარგავები შეფუთული იყო ოჩამჩირის რაიონში 19%, ზუგდიდის რაიონში — 20.93%, ქობულეთის რაიონში — 5,1%, ბათუმის რაიონში — 10% და ა. შ., ხოლო გაგრის, გუდაუთის, სოხუმისა და გალის რაიონებში ამ დროს დაწყებულიც კი არ იყო ციტრუსოვანთა შეფუთვა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თითქმის მასობრივად იყო დარღვეული შეფუთვის აგროტექნიკური წესები (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12348, ფურც. 17 — 18).

[283] 1945 წლის დასასრულს, ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარებისათვის ძალებს არ ზოგავდა რესპუბლიკის 16 მსხვილი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, 600-ზე მეტი კოლმეურნეობა და ათასობით კოლმეურნე გლეხობა. ამ გზით უმოკლეს პერიოდში მოხდა ლიკვიდაცია იმ ზარალისა, რაც ამ დარგმა ომის წლებში მძაფრი ყინვების გამო განიცადა.

[284] „Красный флот," 1944, 5 октября.

ქოს უხვი მოსავლის ოსტატები და სტახანოვური ნაკვეთები, კოლმეურნე პ. დოლენჯიშვილმა გაზარდა როგორც ფართობი, ისევე მოსავლიანობა. მან დაამუშავა 2 ჰექტარი ფართობი და ჰექტარზე 21,5 ცენტნერი თამბაქო მიიღო, მაშინ როცა საშუალო მოსავლიანობა 11 ცენტნერზე ნაკლები იყო კოლმეურნეობებში. სტახანოვურ ნაკვეთებზე მაღალ მოსავალს ღებულობდნენ ვ. თანდილაშვილი, დ. კოკოლაშვილი. თ. ჯაოშვილი და სხვ.[265].

საქართველოს მეთამბაქოეობის რაიონთა კოლმეურნე გლეხობის ასეთ აქტივობას და თამბაქოს მოსავლიანობის ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პერიოდში, როცა მტერმა მოახერხა უკრაინის, ყირიმისა და კრასნოდარის მხარეების ოკუპაცია, და საჭირო თამბაქოსა და მახორკის დამზადება უაღრესად შემცირდა და გართულდა. მთელი პასუხისმგებლობა საბჭოთა ქვეყნის თამბაქოთი მომარაგებისა დაეკისრა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და შუა აზიის სსრ-ებს[266].

მხოლოდ 1943 წლიდან იცვლება მდგომარეობა ამ მხრივ. ოკუპანტების საბჭოთა მიწა-წყლიდან განდევნით და უკრაინაში, დონსა და ყირიმში სახალხო მეურნეობის აღდგენასთან ერთად ფეხზე დადგა მეთამბაქოეობაც.

ამავე 1943 წლიდან საქართველოში მცირდება თამბაქოს ფართობი, მას რამდენადმე ზღუდავს ციტრუსოვანთა კულტურა და დევნის სუბტროპიკული ზონიდან. შემცირდა თამბაქოს კულტურის ფართობი აფხაზეთის, ზუგდიდის, ჩოხატაურის და ნაწილობრივ წითელწყაროს რაიონებში.

თამბაქოს ფართობის დინამიკა საქართველოში შემდეგ სურათს იძლევა[267]. (ცხრ. 16).

ცხრილი 16

წელი	1940	1941	12	1943	1944	1945	1846
ათას ჰექტრობით	20 800	20 900	20 955	20 800	15 300	15 300	15 700

მხოლოდ აფხაზეთის რაიონებში თამბაქოს ფართობი 4 000 ჰექტარით შემცირდა (თუ 1943 წ. 11 000 ჰექტარი ეპირა 1944 წელს იგი 7 000 ჰექტარამდე დავიდა). ეს ღონისძიება საქართველოში გატარდა იმ ეტაპზე, როცა სსრ კავშირის მეთამბაქოეობის რაიონები

[265] კ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე, მოწინავე მეთამბაქოეობის კოლმეურნეობის ეკონომიკა (ლაგოდეხის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობა, ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში, გვ. 80).

[266] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 68, ფურც. 3.

[267] ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

მთლიანად განთავისუფლებულ იქნენ ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან და შესაძლებელი გახდა ამ რაიონებში თამბაქოს კულტურის აღდგენა და განვითარება.

რესპუბლიკამ თამბაქოს დამზადების 1944 წლის გეგმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა, საქართველოს თამბაქოს ნედლეულის ტრესტმა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი პრემია მოიპოვა[288].

გამრავლდა ისეთი კოლმეურნეობების რიცხვი, რომლებიც ხარისხიან თამბაქოს ზეგეგმით აბარებდნენ სახელმწიფოს ათეულ ტონობით. მაგალითად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 1944 წლისათვის ჩააბარეს 515 ტონა თამბაქო.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმა, სახელმწიფოს ჩააბარა 4176 ტონა თამბაქო ანუ გეგმის 116%[289].

საქართველოს სსრ თამბაქოს ნედლეულის ტრესტმა პირველი ადგილი დაიკავა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. პირველი კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ტრესტმა კვლავ მიიღო პირველი პრემია[290].

შაქრის ჭარხლის კულტურა საქართველოში, მოძმე უკრაინელი კოლმეურნე გლეხობის დახმარებით, ომის დაწყებამდე ბევრად ადრე განვითარების მკვიდრ ნიადაგზე დადგა. გამრავლდა სპეციალისტთა კადრები, გლეხობა დაეუფლა შაქრის ჭარხლის აგროტექნიკას, აშენდა აგარის შაქრის ქარხანა და სხვ. ჰიტლერელი დამპყრობლების მიერ საბჭოთა კავშირის შაქრის ჭარხლის წარმოების ძირითადი რაიონების დროებით ოკუპაციის გამო საქართველოს, ისე როგორც აღმოსავლეთის მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნე გლეხობას, ამ მიმართულებითაც ახალი ამოცანები დაეკისრა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოში მთელი რიგი ახალი ღონისძიებები იქნა გატარებული როგორც შაქრის ჭარხლის ახალ ფართობთა ათვისების, ასევე მისი მოსავლიანობის გადიდების საქმეში[291].

---

[288] მიუხედავად იმისა, რომ 1944 წლიდან ათასობით ჰექტარით შემცირდა თამბაქოს კულტურის ფართობი საქართველოში, მოსავლიანობის გაზრდის შედეგად სახელმწიფოსადმი თამბაქოს ჩაბარება 1944 წლიდან კოლმეურნე გლეხებს არამცთუ არ შეუმცირებიათ, არამედ გაზარდეს კიდეც. მაგალითად, 1942 წ. სახელმწიფოს ჩაბარდა 10 ათას ტონაზე მეტი თამბაქო, 1945 წ. — 10237 და 1946 წელს — 11302 ტონა (ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან).

[289] გაზ. „კომუნისტი", 1944, 19 დეკემბერი.

[290] გაზ. „კომუნისტი", 1945, 12 მაისი.

[291] შაქრის ჭარხლის ნათეს ფართობთა რაოდენობა ომის წლებში ასეთი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება:

გამოვლინდა შაქრის ჭარხლის მწარმოებელი ახალი ადგილები: ბორჩალოსა და ბოლნისის რაიონების სახით. გაიზარდა ნათესი ფართობი ჭარხლის მწარმოებელი ძირითადი რაიონების (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის) კოლმეურნეობებში. ამ კულტურამ ფეხი მოიკიდა სამხრეთ ოსეთის ოლქის ზოგიერთ კოლმეურნეობაშიც[292].

1943 წლის დასასრულიდან, როცა საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებულ იქნა სსრ კავშირის შაქრის მწარმოებელი ძირითადი რაიონები, საქართველოში შაქრის ჭარხლის ფართობთა შემდგომი ზრდის საკითხი მოიხსნა.

საქართველოს შაქრისმწარმოებელი კოლმეურნე გლეხობა ომის წლებში იბრძოდა არა მარტო შაქრის ჭარხლის ახალ ფართობთა ათვისებისათვის, არამედ ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისათვისაც. გამრავლდა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის ზრდის ნოვატორთა რიგები. შეიქმნა სტახანოვური ჰექტარები, საიდანაც სარეკორდო მოსავალს ღებულობდნენ[293].

საქართველოში ჰექტარზე შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავლიანობის ზრდა ასე წარმოგვიდგება: 1940 წელს — 117 ცენტნერი, 1944 წელს — 128,5 ცენტნერი, ხოლო 1948 წელს — 132,2 ცენტნერი[294].

სამამულო ომის წლებში საქართველოს მევენახეობის დაცვა და განვითარება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული[295].

1940	წელს	5.5	ათასი ჰექტარი
1941	„	5.5	„
1942		6,5	„
1943		6,6	„
1944		5.8	„
1945	„	5,9	„

როგორც ვხედავთ, 1942—1943 წლებში შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი ზრდის მაქსიმალურ დონეს აღწევს. 1944—1945 წლებში იგი შედარებით მცირდება. მაგრამ ომამდელ (1940 წლის) დონეს მაინც ჭარბობს (ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან).

[292] მაგალითად, შაქრის ჭარხალს სამხრეთ ოსეთში თუ 1941 წელს სტალინირისა და ზნაურის რაიონებში მცირე ფართობი ეჭირა, 1944 წლისათვის ლენინგორის რაიონშიც ინერგება და მთლიანად ოლქში 400 ჰექტარს აღწევს (გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1944. 18 აპრილი).

[293] მაგალითად, ხაშურის რაიონში 1945 წელს სტახანოვური ნაკვეთი აღებული ჰქონდა 691 კოლმეურნეს და თვითეულმა ჰექტარზე საშუალოდ 400—500 ცენტნერი ჭარხალი მიიღო. მაშინ როცა 1940 წელს იგი 120 ცენტნერს არ აღემატებოდა (გაზ. „კომუნისტი", 1946, 28 მარტი).

[294] სამამულო ომის პირველსავე წლებში ტექნიკური კულტურებიდან საქართველოში სწრაფად შეწყდა არახისის წარმოება. სამაგიეროდ გაიზარდა მზესუმზირას სათესი ფართობი და მისი მოსავლიანობა. მზესუმზირას სათესი ფართობი თუ 1941 წელს 16,9 ათას ჰექტარს უდრიდა, 1945 წ. 19 ათას ჰექტარს აღწევს.

[295] 1944 წლისათვის საქართველოში მევენახეობა 80 ათას ჰექტარამდე უნდა ყოფილიყო აყვანილი. მაგრამ სინამდვილეში ომის დაწყების დღიდან კოლმეურნე გლეხობის ძირითად ამოცანად რჩებოდა ვაზის კულტურის არსებულ ფართობთა

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოში სერიოზული სიძნელენი წარმოიშვა შაბიამნითა და გოგირდით ვენახის უზრუნველყოფის საქმეში, მათი შემოზიდვის შეფერხების გამო. მაგრამ ეს დიდი სიძნელე გადაილახა მუშათა კლასის დახმარებით. ადგილობრივი რესურსების გამოვლენითა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის გზით[296].

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და კოლმეურნე გლეხობის გმირული შრომით სამამულო ომის წლებში ძირითადად მოხერხდა მევენახეობის ომამდელი მდგომარეობის რამდენადმე შენარჩუნება[297]. სამამულო ომის დამთავრების პირველსავე წლიდან ვენახის ფართობი საქართველოში ზრდას იწყებს.

მრავალწლიან ნარგავთა ფრიად მნიშვნელოვან დარგს საქართველოში მეხილეობა წარმოადგენს. ომის წლებში მეხილეობის დაცვას და მის შემდგომ განვითარებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ამის შედეგად ომის წინა 1940 წელს საქართველოში თუ მეხილეობის მთლიანი ფართი 67.960 ჰექტარს არ აღემატებოდა, 1944 წელს იგი 72,5 ათას ჰექტარამდე გაიზარდა[298].

საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ, მის მრავალწლიან ნარგავთა დაცვა-განვითარებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის აგროღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს სასუქებს. „კარგი დრენაჟი, უხვი სასუქი და მეურნეობის კარგად წარმართვა... საკვირველ შედეგებს წარმოშობს როგორც ნიადაგის გაუმჯობესების, ისე წარმოების გადიდების მხრივ. მაგრამ ყველა ეს მოითხოვს მნიშვნელოვან ხარჯებს"[299].

შენარჩუნება, რადგან ომი მევენახეობის ყველაზე დიდი მტერია. ცნობილია, რომ I იმპერიალისტური ომის დროს საქართველოში მთლიანად დაიღუპა 26 000 ჰექტარი ვაზი. ე. ი. 42%. პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოს მევენახეობის განადგურების უმთავრესი მიზეზთაგანი იყო შაბიამანისა და გოგირდის შემოზიდვის შეწყვეტა და ადგილობრივ მისი წარმოების მოუწყობლობა. ვენახები რომ არ განადგურებულიყო უშაბიამნობით, კოოპერაციული საზოგადოების დაარსება უცდიათ. მაგრამ ეს საქმე ჩარჩ-ვაჭრებს ჩაუშლიათ. ისინი ფუთ შაბიამანს 75 მანეთს აფასებდნენ, როცა წინათ იგი 3 მან და 21 კაპ. ღირდა. ამასთან შაბიამნის ფალსიფიკაციასაც ჰქონია ადგილი. (გაზ. „ცნობის ფურცელი", 1916. 6 მაისი).

[296] მაგალითად, წარმოების ნარჩენთა გამოყენების ბაზაზე თბილისში გოგირდშაბიამანის 2 ქარხანა ამუშავდა. ამავე სახის პროდუქციას ამზადებდა ბათუმის ადგილობრივი მრეწველობა და ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა სამრეწველო ნარჩენების გამოყენებით, მათ აითვისეს შაბიამნის დამზადების ახალი ტექნოლოგიური პროცესები და გაზარდეს წარმოება (გაზ. „კომუნისტი". 1945, 28 იანვარი).

[297] 1945 წლის დასაწყისს საქართველოში სულ 59 208 ჰექტარი ვაზის ფართობი იყო. მევენახეობის ძირითად რაიონებში ზრდიდნენ ყურძნის მოსავალს.

[298] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქიკი. ფონდი 14, საქმე 12830, ფურც. 41—44.

[299] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 150.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებანი განსაკუთრებული ეფექტის მომცემია მაშინ, როცა მეურნეობის განვითარებისათვის არსებობს ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. ასეთი პირობები კი ყველგან ერთნაირი როდია. კ. მარქსის აზრით „არ მოიპოვება ორი ქვეყანა, რომელიც ერთი და იმავე რაოდენობის საარსებო საშუალებებს იძლეოდეს თანაბარი სიუხვით და შრომის ერთი და იგივე რაოდენობის დახარჯვით“[300], ისევე, როგორც შრომის ერთი და იგივე რაოდენობა მდიდარ მადნებში მეტ ლითონს იძლევა, ვიდრე ღარიბში და სხვ., ასევეა სოფლის მეურნეობაშიც.

საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში ერთ-ერთი ისეთი ქვეყანაა, რომლის ბუნებრივი ხელსაყრელი პირობები და საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული მსხვილი კაპიტალური დაბანდებანი უდიდეს შესაძლებლობას და პერსპექტივებს უქმნის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდას.

ომამდელი ხუთწლედების მანძილზე, როგორც დავრწმუნდით, საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის უდიდესი ღონისძიებები გატარდა, რომელთა შედეგადაც მაქსიმალურად იქნა გამოყენებული საქართველოს ხელსაყრელი პირობები, განვითარდა ძვირფასი კულტურები და გავრცელდა იგი ისეთი მასშტაბით, რომ მართლაც „საკვირველი შედეგები წარმოიშვა“.—საქართველო უზარმაზარ ბაღს დაემსგავსა. მაგრამ სამამულო ომის პერიოდში შექმნილ სერიოზულ სიძნელეთა გამო შეიკვეცა კაპიტალდაბანდებანი და შეწყდა სასუქთა შემოზიდვა. განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა 1941—1942 წლებში, როცა დიდი ზიანი მოუვიდა სოფლის მეურნეობას.

1943 წლიდან თანდათანობით ძლიერდება როგორც კაპიტალდაბანდებანი, ასევე სასუქთა შემოზიდვა. ფართოდ მიმართავდნენ ადგილობრივი სასუქების (ნაკელის, ტორფის, წუნწუხის, კომპოტისა და სხვათა) გამოყენებას მრავალწლიან ნარგავთა დაცვა-განვითარებისათვის.

1943 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებულ მიღწევებს სსრ კავშირის მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ მაღალი შეფასება მისცეს და სოფლის მეურნეობის მრავალი მუშაკი ღირსეულად იქნა დაჯილდოებული.

---

[300] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 460 (ვსარგებლობ პირველი გამოცემით).

ამავე პერიოდში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დასახა საყურადღებო ღონისძიებანი საქართველოს სოფლის მეურნეობისადმი დახმარების გაწევის შესახებ. ამ დადგენილებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა რესპუბლიკის მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურებისადმი ომის შედეგად მიყენებული ზარალის სწრაფად აღმოფხვრის საქმეში. მან დასაბამი მისცა მათ შემდგომ განვითარებას და საერთო აღმავლობას. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე მნიშვნელოვნად გადიდდა ჩაის, ყურძნისა და თამბაქოს ნედლეულ პროდუქტთა დამზადების სახელმწიფო გეგმური ფასები. მაგალითად, ჩაის ფოთლისა და ყურძნის ფასები ერთისამად გადიდდა, თამბაქოსი კი — ერთიორად. ეს იყო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოში ამ კულტურების დაცვას და განვითარებას, განამტკიცებდა კოლმეურნეობების ფინანსურ-მატერიალურ ბაზასაც[101].

1945 წლის დასაწყისში საქართველოს მთელ რიგ რაონებსა და კოლმეურნეობებში დიდი მუშაობა ჩაღდება ქარსაცავი ზოლების, ცოცხალი ღობეებისა და სანერგეების გაშენებისა და მოვლა-პატრონობისათვის, რაც დიდად უწყობდა ხელს მრავალწლიანი კულტურების განვითარებას.

როგორც ვრწმუნდებით, საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგები ომის წლებში სიძნელეების დაძლევის გზით დაცულ იქნა, ეითარდებოდა და გარკვეულ წარმატებებს აღწევდა, ეს კი ჩვენი კოლმეურნე გლეხობის დიდი გამარჯვება იყო[102].

---

[101] მაგალითად, 1944 წლისათვის ჩაის, თამბაქოსა და ყურძნის მთელ პროდუქციაში, რაც საქართველოს კოლმეურნე გლეხობას გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა, თუ ძველი ფასებით ძიიღებდნენ 164 მილიონ მანეთს, ახალი ფასებით 400 მილიონ მანეთზე მეტს ღებულობენ, ე. ი. თითქმის სამჯერ მეტს.

საკავშირო მთავრობამ ამავე პერიოდში ზემოაღნიშნულ დადგენილებათა შესაბამისად საქართველოს ჩაის, მევენახეობის, მეთამბაქოეობისა და ციტრუსოვან კულტურათა რაიონების კოლმეურნეებისათვის, რომლებიც საკუთარი მარცვლეულით ნაკლებად იყვნენ უზრუნველყოფილი, დიდი რაოდენობით გამოსყო მარცვლეული. კოლმეურნე გლეხობას ამასთანავე სხვა სახის მრავალმხრივი დახმარება გაეწია სამრეწველო საქონლით, სასოფლო-სამეურნეო გაუმჯობესებული იარაღებისა და ხელოვნური სასუქების შემოზიდვის გზით (საქართველოს სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს 7 სესიის მასალები, გაზ. „ კომუნისტი", 1947, 17 მარტი).

[102] ომის დროს სიძნელეები სხვადასხვა ხასიათისა იყო და ერთნაირი შესაძლებლობით არ ხდებოდა მათი დაძლევა სსრ კავშირის ზურგის რაიონების, ავტონომიური ოლქებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეთა მიერ; მაგალითად, ბაშკირეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში ომის გარკვეულ წლებში შექმნილ სერიოზულ სიძნელეთა გამო შემცირდა როგორც ნათესი ფართობი, ასევე მოსავ-

რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობის წარმატებანი მრავალწლიანი კულტურების მოვლა-პატრონობის საქმეში მთელი სიცხადითაა ასახული საქართველოს კომპარტიის XIV ყრილობის რეზოლუციაში, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს სოფლის მეურნეობამ ღირსეულად ჩააბარა ომიანობის დროის გამოცდა. მრავალწლიანი კულტურები, რომლებიც ჩვენი კოლმეურნეობების ძირითად სიმდიდრეს შეადგენენ, შენარჩუნებულ იქნა, ისე რომ დიდად არ დაზარალებულან[303].

6. საზოგადოებრივი მეცხოველეობა სამამულო ომის პირობებში

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდა კოლმეურნე გლეხობას საბჭოთა არმიისა და ქალაქის მოსახლეობის მეცხოველეობის პროდუქტებით უზრუნველყოფის, ხოლო ქარხნების საჭირო ნედლეულით მომარაგების საქმეში. ზურგის რაიონების კოლმეურნეთა ერთ-ერთ გადაუდებელ საბრძოლო ამოცანად ომის პერიოდში დაისახა: „დაუღალავად გაადიდონ პირუტყვის სულადობა ფერმებში და აამაღლონ მისი პროდუქტიულობა"[304].

ამ ამოცანის განხორციელებისათვის კოლმეურნე გლეხობა ძალებს არ ზოგავდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კოლმეურნე გლეხები ომის წლებში მეცხოველეობის დარგში წარმატებებს აღწევენ სახელმწიფოსადმი ხორცის ჩაბარების მზარდი გეგმების ყოველწლიურად გადაჭარბებით შესრულებისა და წითელი არმიისადმი ნებაყოფ-

ლიანობა. სამამულო ომის გარდატეხის პერიოდიდან კი აქაც არსებითად შეიცვალა მდგომარეობა და დაიწყო ახალი აღმავლობა (**Х. Б. Кинебулатов, Колхозное крестьянство Башкирии в годы Великой Отечественной войны, М., 1954**).

ომის საილუსტრაციოდ, თუ რა ზიანი მიაყენა ომით შექმნილმა სიძნელეებმა მებამბეობის კულტურას ომის პირველ პერიოდში, შეიძლებოდა უზბეკეთის მაგალითი მოგვეყვანა. რესპუბლიკიდან კვალიფიციურ მებამბე კოლმეურნეთა ფრონტებზე წასვლამ, ავტომანქანების, ტრაქტორების, ცხენების მობილიზაციამ, სასუქის შეუზიდველობამ, საწვავის ნაკლებობამ და სხვ. სერიოზული სიძნელე შეუქმნა მებამბეობის კოლმეურნეობებს. ბამბის დამზადების გეგმები ვერ შესრულდა როგორც 1942 წელს, ასევე დიდ ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი 1943 წლისათვისაც. საჭირო შეიქნა საკ. კპ (ბ) ცეკას სპეციალური მითითება უზბეკეთის სოფლის მეურნეობაში არსებული ჩამორჩენის საღიკვიდაციოდ; უზბეკეთის კპ (ბ) ცეკამ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ საქმეთაოებზე მიაყენა 1700 კომუნისტი, 2 ათასი კომკავშირელი, ხოლო სატრაქტორო ბრიგადების განსამტკიცებლად—1500-ზე მეტი კომუნისტი და კომკავშირელი. მებამბეობის კოლმეურნეობებს სხვა საქმეთაოებიდან დაუბრუნდა კვალიფიციური მებამბე 1260 ბრიგადირი, 3370 მერგოლური და სხვ. ამ ღონისძიებებით უზბეკეთმა 1944 წ. ორჯერ მეტი ბამბა მიიღო, ვიდრე 1943 წელს. (**Агитатор и пропагандист Красной Армии, № 5, 1944, გვ. 45**).

[303] საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობა, სტენოგ. ანგარიში, გვ. 419.

[304] გაზ. „პრავდა", 1941, 24 დეკემბერი.

ლობით დახმარების ზრდის პირობებში. რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდასთან ერთად გამრავლდა მეცხოველეობის ფერმებია რაოდენობა. 1945 წელს მათი რიცხვი 10 337-მდე გაიზარდა. პირუტყვთა გამოზამთრების საქმეში ღირსშესანიშნავი წარმატება იქნა მოპოვებული. გაიზარდა საქონლის წველადობა, ნამატი და მატყლის რაოდენობა. კოლმეურნეობები და კოლმეურნე ქალები დიდი სიყვარულით უვლიდნენ საქონელს. მათ კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ რაც უფრო მეტ პირუტყვს გამოზრდიდნენ. რაც უფრო მსუქანი იქნებოდა საქონელი, მით უფრო მეტ ხორცს, ერბო-კარაქს, რძეს, მატყლს, ფეხსაცმელს და ტანსაცმელს მიიღებდნენ საბჭოთა არმიის მეომრები და ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

საქართველოს მეცხოველეობის ისეთ ტიპიურ რაიონში, როგორიც სამხრეთ ოსეთის ოლქია, სამამულო ომის სამი წლის მანძილზე საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება შემდეგი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება[305]. (ცხრ. 17).

ცხრილი 17

ცხოველთა სახეები	1941 წლის 1 იანვარს	1944 წ. 1 იანვარს	ზრდა პროცენტობით
ცხენები .	646	682	5,6%
მსხვილფეხა პირუტყვი .	36 450	40 701	11,7
თხა და ცხვარი .	68 093	119427	75.4
ღორი .	613	2114	344
ქათამი .	10174 ფრთა	18008	77
ფუტკარი .	2272 ოჯახი	3274	48,1

აბაშის რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის ზრდა ომის მძიმე წლებში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება[306] (ცხრ. 18).

ცხრილი 18

ცხოველთა სახეები	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
მსხ. რქოსანი .	6881	7408	7731	7991	8409
ღორი	3031	3005	3886	3631	3987
ცხენი	300	374	317	362	393

[305] სამამულო ომის არქივი. ფონდი 4. საქმე 278. ფურც. 1—2.
[306] პ. გუგუშვილი, აბაშის რაიონის სოფ. აბაშისპირის კოლმეურნეობა (დასახელებული მონოგრაფია). გვ. 30.

როგორც ვხედავთ, აქაც საზოგადოებრივი მეცხოველეობა საგრძნობლად იზრდება.

მთლიანად საბჭოთა საქართველოში ომის წლებში 1940 წელთან შედარებით მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის დინამიკა (ათასობით) ასეთ სურათს იძლევა (ცხრ. 19)[307].

ცხრილი 19

1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
16 123	1572,0	1452,2	1506,8	1503,2	1503,2

ამრიგად ვრწმუნდებით, რომ ომის წლებში რესპუბლიკაში მსხვილფეხა საქონელი მცირდება, ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივი (საკოლმეურნეო) მსხვილფეხა პირუტყვის სულადობას, იგი ამავე პერიოდში საგრძნობლად იზრდება. მსხვილფეხა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა რესპუბლიკაში შეადგენდა 1940 წელს 571 500 სულს, 1941 წელს — 614 ათასს, 1942 წელს — 620 ათასს, 1943 წელს — 647 700, 1944 წელს — 621 500. ხოლო 1945 წელს — 638 600 სულს. ამრიგად, ზრდა ომის ზოგიერთ წელს საგრძნობია. ომის წლებში მცირდება პროდუქტიული მესაქონლეობის წამყვანი დარგი — მეძროხეობა. რესპუბლიკაში ძროხების რაოდენობა 1940 წ. თუ უდრიდა (ათასობით) 562,2, 1945 წელს მათი რიცხვი 516,5 სულამდე შემცირდა[308].

საზოგადოებრივი მეცხოველეობა ომის წლებში უმეტესად იზრდებოდა გლეხებიდან კოლმეურნეობათა მიერ საქონლის შესყიდვის გზით და არა თვით კოლმეურნეობაში საქონლის სულადობის გადიდებით, ამიტომ იგი არ გამოხატავს მთლიანად რესპუბლიკაში პირუტყვის სულადობის ზრდას. ცნობილია, რომ ომის წლებში საქართველოში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობა 6,8% შემცირდა. ომის დროს გართულდა საქონლის საკვებით უზრუნველყოფა, გახშირდა ბერწიანობა და საქონლის დაცემის შემთხვევები.

სამამულო ომის წლებში რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა წვრილფეხა პირუტყვის შიმართ. ცხვრისა და თხის სულადობა მთლიანად რესპუბლიკაში სამამულო ომის წლებში ასეთი მაჩვენებლებით ხასიათდება (ათასობით)[309] (ცხრ. 20).

---

307 ცნობები აღებულია საქ. სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

308 ვ. კ ა ხ ე თ ე ლ ი ძ ე, საქართველოს სსრ მსხვილფეხა რქიანი მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხისათვის, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 7, გვ. 146.

309 იქვე.

ცხრილი 20

1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
2193,6	2210,4	1914,2	2056,5	2175,0

ამრიგად, წვრილფეხა პირუტყვის სულადობა მცირდება საერთოდ, მაგრამ შედარებით მაინც უმნიშვნელოდ. სავსებით განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს ჩვენ საქმე საზოგადოებრივი წვრილფეხა პირუტყვის განვითარების დარგში. მათი რიცხვის ზრდა (ათასობით) ასეთი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება[310] (ცხრ. 21).

ცხრილი 21

1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.	1946 წ.
973,5	1167,4	1104,9	1202,4	1322,1	1355,4

კოლმეურნეობაში მეცხოველეობის სულადობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ომის პირველ წლებში განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა მეღორეობამ. 1942 წელს ღორების სულადობა საქართველოში 1940 წელთან შედარებით თითქმის განახევრდა; მაგრამ ომის უკანასკნელ წელს ეს დარგიც საგრძნობლად მიუახლოვდა 1940 წ. დონეს.

საზოგადოებრივი მეფრინველეობის განვითარება ომის წლებში საყურადღებო მაჩვენებლებით ხასიათდება. ფრინველთა რიცხვი 1941 წლიდან 1945 წლამდე გაიზარდა 118,8 ათასიდან 276,0 ათასამდე. 1944 წლის დასასრულს საქართველოში მეფრინველეობის 3154 საკოლმეურნეო ფერმა ითვლებოდა. ინკუბატორთა გავრცელების საფუძველზე გამრავლდა საუკეთესო ჯიშის ქათმები. რესპუბლიკაში მეფრინველეობის შემდგომი განვითარების ამოცანებს პასუხობდა თბილისის 26 კომისრის ქარხნის მუშების მიერ ახალი ინკუბატორის ათვისება. მათ 1944 წ. გამოუშვეს წიწილების საჩეკი ახალი სისტემის ინკუბატორი, რომელიც თბებოდა წყლის საშუალებით[311].

ომის წლებში რესპუბლიკაში აღმავლობით ხასიათდებოდა მეაბრეშუმეობა, გაფართოვდა აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზაც და გაიზარდა თუთის ხეების რაოდენობაც. მაგალითად, 1941 წ. თუ ითვლებოდა 9,9 მილიონი ძირი თუთის ხე, 1945 წელს მათი რაოდენობა 13,2 მილიონამდე იქნა აყვანილი[312]. 1943 წლიდან განსაკუთ-

310 ცნობები აღებულია სტატისტიკური სამმართველოდან.
311 გაზ. „კომუნისტი", 1944, 11 ივნისი.
312 ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

რებით დიდი ყურადღება მიექცა აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გადიდებას[313].

რესპუბლიკის მეაბრეშუმეობის რაიონებში ფართოდ ინერგება აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის ზრდის „ქისტაურელთა" გამოცდილება. ამ მოძრაობის ინიციატორმა კოლმეურნე ქალმა ო. აივაზიშვილმა ჭიის გამოკვების პერიოდი 38—40 დღიდან 21—23 დღემდე შეამცირა. ამ წარმატებას მან აბრეშუმის ჭიის სადღეღამისო გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანით მიაღწია. გამოკვების პერიოდის შემცირებასთან ერთად გაადიდა მაღალხარისხოვანი პარკის მოსავლიანობა ყოველ ერთ კოლოფ თესლზე 80—100 კილოგრამამდე და მასობრივი გახადა ყოველწლიურად აბრეშუმის პარკის ორი და სამი მოსავლის მიღების პრაქტიკა.

ქისტაურელთა ეს ნოვატორული წამოწყება მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში ომის წლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რესპუბლიკაში, კერძოდ, საზოგადოებრივი მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში.

ომის წლებში მეაბრეშუმეობის დარგში დაახლოებით 160 000-მდე კოლმეურნე კომლი იყო ჩაბმული. მეაბრეშუმეობაში ჩაბმული კოლმეურნეები დახარჯული შრომადღეების საფუძველზე მტკიცედ დადგენილი ნორმებით ინაზღაურებდნენ შრომას, ბოლო ეღებოდა გათანაბრებას შრომის ანაზღაურების საქმეში, რაც ზრდიდა პირად დაინტერესებას პარკის მოსავლიანობის გადიდებაში.

ასევე აღსანიშნავია მეფუტკრეობის დარგის დიდი აღმავლობა, რასაც საქართველოში ომის პერიოდში ჰქონდა ადგილი. 1940 წელს საქართველოში მთლიანად ფუტკრის 170 ათასი ოჯახი ითვლებოდა. 1945 წელს კი მათი რიცხვი 200 ათასს სჭარბობდა. ამავე პერიოდში გამრავლდა ჩარჩოიანი სკების რიცხვი და გაიზარდა თაფლის გამოსავლიანობა.

ომის წლებში საქართველოში თუ საერთოდ დაწინაურდა მეფუტკრეობა განსაკუთრებით ეს ითქმის საკოლმეურნეო მეფუტკრეობაზე; მაგალითად, 1940 წელს თუ საქართველოს კოლმეურნეობებში აღირიცხებოდა ფუტკრის 26 900 ოჯახი, სამამულო ომის უკანასკნელ წელს ეს რიცხვი ისე გადიდდა, რომ მიაღწია 58 600-მდე, გაიზარდა თვითეული საფუტკრე ოჯახის თაფლის საშუალო გამოსავლიანობა, გამრავლდა ისეთი კოლმეურნეობები,

---

აბრეშუმის პარკის მოსავლიანობა რესპუბლიკაში 1942 წელს შემცირდა. კავკასიის ძირითადგომებთან ჰიტლერელ დამპყრობთა მოსვლამ შეაფერხა ამ დარგის განვითარება. 1943 წლიდან კი პარკის მოსავლიანობის ზრდის საქმეში კვლავ იწყება აღმავლობა (გაზ. „კომუნისტი", 1944, 19 იანვარი).

რომლებიც ყოველწლიურად ათასობით კილოგრამ საუკეთესო ხარისხის თაფლს ღებულობდნენ მეფუტკრეობიდან. თაფლის მოსავლიანობის ზრდას სამამულო ომის წლებში, როცა დიდი სიძნელეები იგრძნობოდა მოსახლეობის შაქრით მომარაგების საქმეში, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ასეთია მეცხოველეობის დარგთა განვითარების ძირითადი მაჩვენებლები დიდი სამამულო ომის პერიოდში.

მეცხოველეობის დარგში საერთოდ მოპოვებული ეს გამარჯვება საქართველოს კოლმეურნე გლეხობას ერთბაშად და ადვილად არ მოუპოვებია. ომის პერიოდის სიძნელეებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ 1942—1943 წლებში საქართველოს საზამთრო საძოვრები ჩრდილო კავკასიაში საომარი მოქმედების ასპარეზად გადაიქცა და საქართველო არამცთუ ეეღარ სარგებლობდა ამ საძოვრებით, არამედ იქიდან დიდი რაოდენობის პირუტყვი საქართველოს ტერიტორიაზე იქნა ევაკუირებული და რესპუბლიკას დაეკისრა მისი მოვლა-პატრონობა[314].

კრასნოდარის მხრიდან გამორეკილი მსხვილფეხა პირუტყვი ძირითადად დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში იქნა თავშეფარებული. საქართველოში იქნა აგრეთვე ევაკუირებული ვოროშილოვის სახელობის პირველხარისხოვანი ცხენსაშენი ქარხანა.

საქართველოს მშრომელებმა სამაგალითოდ უპატრონეს ჩრდილო კავკასიიდან და კრასნოდარის მხარედან ევაკუირებულ პირუტყვს და თავისივე ნამატით უკლებლივ დაუბრუნეს იგი უკან რესპუბლიკაში ევაკუირებულ სხვა სახის ტვირთთან ერთად[315].

ყველაზე უმძიმესი წელი რესპუბლიკის მეცხოველეობაში 1942 წელი იყო, როცა უფრო სწრაფად მცირდებოდა საქონლის სულა-

---

[314] მაგალითად, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1942 წლის შემოდგომაზე სპეციალური ღონისძიებანი დასახა ჩრდილო ოსეთიდან საქ. სსრ ტერიტორიაზე სამხედრო გზით ერთდროულად გადმორეკილი 100 000 ცხვრისა და 12 000 მსხვილფეხა საქონლის მოვლა-პატრონობის შესახებ. ევაკუირებული პირუტყვი გეგმიურად გაუნაწილდა ისეთ რაიონებს, როგორიცაა სიღნაღი, გურჯაანი, თბილისი, მცხეთა და სხვ. ევაკუირებული ძროხების დიდი ნაწილი ჩაბარდა ბაშკირეთის და სხვა რაიონთა კოლმეურნე გლეხობას. საშუალოდ 1 000 სული თვითეულ რაიონს. დაისახა ღონისძიებები, თუ როგორ ეპატრონათ და მოეფლოთ, გაემრავლებინათ და გამოეყენებინათ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ევაკუირებული პირუტყვი. (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12335, ფურც. 29—30).

[315] საქართველოს კოლმეურნე გლეხობა არა მარტო აქ ევაკუირებულ პირუტყვს უბრუნებს ომით დაზარალებულ მოძმე საბჭოთა განთავისუფლებულ რაიონებს, არამედ 1944 წელს დახმარების სახით ომიდ დაზარალებულ რაიონებს 26 ათას სულ პირუტყვს უგზავნის (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12260 ფურც. 6.).

დობა. საქართველოს მეცხოველეობის დარგის ამ უაღრესად მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანისა და საქონლის სულადობის ზრდის საქმეში არა მარტო ამ ეტაპზე, არამედ სამამულო ომის შემდგომ წლებშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წელს მიღებულ დირექტივას მეცხოველეობის შესახებ, რომელშიც მოცემული იყო მუშაობის პროგრამა საქონლის სულადობის ზრდის, საკვები ბაზის გაფართოებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. მასში დასახული იყო აგრეთვე ღონისძიებები გერმანელ-ფაშისტ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეცხოველეობის აღდგენის, პირუტყვის შეძენაში კოლმეურნეობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და სხვა. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ 1942 წლის აპრილში დასახეს ღონისძიებანი კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოზარდეულის შენარჩუნებისა და საქონლის სულადობის გადიდების შესახებ[316]. ამ დადგენილებით საქართველოს სსრ რესპუბლიკის ყოველ რაიონს, ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკას მიეცა ზუსტი და მტკიცე ვალი საქონლის სულადობის გადიდების, ნამატთა უკლებლივ შენარჩუნებისა როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა მეცხოველეობის დარგში. საქონლის სულადობის ზრდა ამ დადგენილებით გათვალისწინებული იყო როგორც კოლმეურნეობაში, ასევე კოლმეურნეთა პირად მეურნეობაში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის დარგის მუშაკთა მომზადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. მიღებულ იქნა ზომები სამამულო ომის ფრონტებზე წასულ გამოცდილ მწყემს-მეჯოგეთა საბჭოთა არმიის რიგებიდან კოლმეურნეობებში დასაბრუნებლად და სხვა. დიდი ყურადღება მიექცა საქონლის გამოზამთრებისა და გამოკვებისათვის საჭირო მარაგის მომზადებას თვით კოლმეურნეობაში. ფართოდ გაიშალა სასილოსე ორმოების მშენებლობანი და სხვა.

ომის წლებში დაბალი იყო მეცხოველეობის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია. მტს-ები ნაკლებად ეხმარებოდნენ კოლმეურნე გლეხობას როგორც საკვების დამზადებისა და მისი მოსავლიანობის ზრდის საქმეში, ასევე თვით მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისა და ელექტროფი-

---

[316] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12260, ფურც. 12 — 13.

ციის დაბალი დონის გამო, მაგრამ კოლმეურნე გლეხობის აქტივობა ამ მხრივაც განსაკუთრებითაა აღსანიშნავი.

1943 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ განიხილეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ 1943 წლიდან საქართველოში საქონლის სულადობის შემცირება კლებულობს და იწყება ახალი პერიოდი მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში[317].

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ 1943 წელს მოპოვებული ნიღწევები მეცხოველეობის განვითარების საქმეში 1944 წელს კიდევ უფრო გაამრავლა და მეცხოველეობის განვითარების სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა. 1944 წელს მეცხოველეობის განვითარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა წითელწყაროს რაიონმა და მიიღო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი დროშა[318].

1945 წლის 4 აპრილს საკავშირო სახკომსაბჭომ და საკ. კპ (ბ) ც. კ-მა დასახეს ღონისძიებანი „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ". ეს ღონისძიებანი საფუძვლად დაედო საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

*

* *

მეცხოველეობის განვითარება ომის წლებში დაკავშირებული იყო სახელმწიფოსადმი ხორცისა და რძის ნაწარმის ჩაბარების ყოველწლიურ ზრდასთან, საბჭოთა არმიისა და ქალაქის მშრომელთათვის ხორცისა და რძის ნაწარმის ფონდების შექმნისა და მათი გადიდებისათვის ბრძოლასთან. ათასობით კოლმეურნეობა მომავალი წლის ანგარიშში ავანსად სახელმწიფოს დიდი რაოდენობით აბარებდა ხორცისა და რძის ნაწარმს. მაგალითად, 1942 წ. საქართველოს

---

317 ეურნ. „ბოლშევიკი", 1945, № 3—4. გვ. 65.

318 გაზ. „კომუნისტი", 1945, 3 აპრილი. მეცხოველეობის განვითარების საქმეში 1944 წელს ასევე კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, აბაშის, ქუთაისის და ჭიათურის რაიონებს. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს სსრ რესპუბლიკის კარგი მუშაობა საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის დარგში, 1944 წ. 1 ოქტომბერს არსებული მდგომარეობის მიხედვით (ეურ. „ბოლშევიკი", № 3—4, 1945, გვ. 66).

კოლმეურნე გლეხობამ საბჭოთა არმიისა და ქალაქის მშრომელების მომარაგების ფონდში 24 ათასი ცენტნერი ხორცი, ამდენივე რძის ნაწარმი და 2 ათასი ტონა მატყლი შეიტანა[319].

საქართველოს სსრ რესპუბლიკამ 1943 წ. 20 დეკემბრისათვის 101,7% შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა[320]. 1943 წელს საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ სახელმწიფოს 1944 წლის ანგარიშში ავანსად ჩააბარა 30 428 ცენტნერი ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. 1944 წელს რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმა.

კოლმეურნეობები გადაჭარბებით ასრულებდნენ მეცხოველეობის პროდუქციის სახელმწიფო დამზადების გეგმებს. ამაზე წარმოდგენას იძლევა მრავალთაგან ზემო როკის კოლმეურნეობის მაგალითი[321] (ცხრ. 22).

ცხრილი 22

პროდუქტების სახეობა	1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.
ყველის	140%	155%	228%	286%	176%
მატყლის	104%	148%	124%	124%	132%

ადიგენის რაიონის სოფ. უდეს შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა ასევე ყოველწლიურად ზრდიდა სახელმწიფოსადმი ხორცის ჩაბარებას, მაგალითად, 1940 წ. სახელმწიფოს ჩააბარა 1622 კგ ხორცი. 1944 წ. კი — 2950 კგ-მდე. ამავე კოლმეურნეობამ 1942 წ. სავალდებულო წესით თუ 172 კგ კარაქი ჩააბარა, 1944 წ. იგი 262 კგ-მდე გაადიდა[322].

კოლმეურნეებს საქართველოს არც მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები ჩამორჩებოდნენ. მათ 1943 წელს ხორცის ჩაბარების გეგმა 133% შეასრულეს, მარცვლეულის ჩაბარებისა — 153,1%,

[319] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 68, ფურც. 5.

[320] გაზ. „კომუნისტი", 1944, 3 იანვარი.

[321] ცნობები მოყვანილია დ. აბაევის მონოგრაფიული ნარკვევიდან ზემო როკის კოლმეურნეობის შესახებ. ხელნაწერის ტექსტი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში. გვ. 58.

[322] ცნობები მოყვანილია ა. კაკაბაძის მონოგრაფიული ნარკვევიდან. სოფ. უდეს შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაზე. გვ. 80—87. ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში.

ბრინჯა ყველისა—136%, მატყლისა—133%. მარტო ელდარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 75 000 ფუთი ხორბალი[323].

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა 1944 წელს კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა, გაზარდეს საქონლის სულადობა, მისი პროდუქტიულობა და უფრო გაადიდეს დახმარება საბჭოთა სახელმწიფოსადმი[324].

მეცხოველეობის განვითარებას ომის წლებში დიდად აფერხებდა კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის მიმართ გამოყენებულ საგადასახადო პოლიტიკასა და დაგეგმვის პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებანი. ფერხდებოდა როგორც საზოგადოებრივი მეცხოველეობის, ასევე პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობის ზრდის საქმე. ეს ნაკლოვანება ახლა გამოსწორებულია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისა და საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წ. სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები პოლოს უღებენ ამ შეუსაბამობას და სახავენ სწორ პროგრამას კოლმეურნეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამებით მეცხოველეობის დარგის ახალი აღმავლობისათვის.

სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე მრავალმა მეურნემ, რომელთაც წინათ პირუტყვი არ ჰყოლიათ, ხელი მიჰყო ძროხების, დეკეულებისა და წვრილფეხა პირუტყვის შეძენას და მოშენებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას ომის წლებშიც დიდად აფერხებდა საბჭოთა ეკონომიკისათვის გაუმართლებელი არასწორი დაგეგმვა, სადაც არ ეწეოდა ანგარიში რესპუბლიკის კონკრეტულ თავისებურებებს.

1957 წ. თებერვალში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე გამახვილდა ყურადღება რესპუბლიკის სოფლის მეურ-

---

[323] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 128.

[324] სამამულო ომის წლებში საქართველოს მეცხოველეობის ტრესტში გაერთიანებული იყო 7 საბჭოთა მეურნეობა. საბჭოთა მეურნეობები ამაოგებდნენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებს საჯიშეებით და სხვ. რესპუბლიკაში 3 ცხენსაშენი ქარხანა იყო—ყულარის, მუხროვანისა და ყარაიაზის, რომლებიც ჯიშიანი ულაყებით უზრუნველყოფდნენ კოლმეურნეობების 400-ზე მეტ მსხვილ მეცხენეობის ფერმას.

ელდარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ 1945 წლის მაისში საფუძვლიანად გააუმჯობესა მუშაობა და გამარჯვებული გამოვიდა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით ელდარელებმა გარდამავალი წითელი დროშა დაიმკვიდრეს (გაზ. „კომუნისტი", 1945. 21 ივლისი).

ნეობის დაგეგმვის იმ შეუსაბამო პრინციპებზე, რომლებიც აფერხებდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას და ასევე მეცხოველეობის აღმავლობის საქმეს.

საქართველოში ამ უცნაური დაგეგმვით ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე 48,8 სული მსხვილფეხა საქონელი მოდიოდა, მაშინ, როცა საერთოდ საბჭოთა კავშირში იგი 13,8 სულს არ აღემატებოდა (ასევე იყო დაგეგმილი წვრილფეხა პირუტყვები), რეპუბლიკა კი მოკლებულია საკუთარ საკვებ ბაზას. ამიტომ კოლმეურნეობები იძულებული იყვნენ პირუტყვი სტავროპოლისა და სხვა ოლქებიდან შემოზიდული ნაყიდი საკვებით შეენახათ[335]. ეს კი, გარდა იმისა რომ ასუსტებდა კოლმეურნეობებს ფინანსურად, დიდად აფერხებდა სუბტროპიკული და ძვირფასი მრავალწლიანი ნარგავების განვითარებას. ეს ნაკლოვანებანი ახლა აღმოფხვრილია.

7. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მონაწილეობა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში

ა. კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი საბჭოთა არმიისა და ქალაქის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში

განხილული ფაქტების ანალიზის საფუძველზე დავრწმუნდით, რომ რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ომის უმძიმეს წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. მათ უზრუნველყვეს როგორც მოსავლიანობის ზრდა, ასევე მრავალწლიან ნარგავთა დაცვა და ფრონტისადმი ქმედითი დახმარება.

ეს წარმატებანი კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმის, მათი შრომითი აქტივობის შემდგომი ზრდის შედეგი იყო, რაც გამოხატულებას პოულობდა სოციალისტური შეჯიბრებისა და ნოვატორული მოძრაობის ფართოდ გაშლაში.

კოლმეურნე გლეხობა ოსტატურად იყენებდა მუშათა კლასის გამოცდილებას სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, ორასოვანთა და მრავალასოვანთა ნოვატორული მოძრაობის განვითარებით, ფრონტული ბრიგადების მოწყობის, მოსავლიანობის ზრდისა და საბჭოთა არმიისადმი დახმარების გაძლიერების საქმეში. მუშათა კლასის დახმარებით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას 1942 წლის ზაფხულიდან ეძლევა დასაბამი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, ებმებიან რა სრულიად

[335] გაზ. „კომუნისტი", 1957, 9 თებერვალი.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. კისრულობენ ახალ ვალდებულებებს. შეჯიბრებაში ერთმანეთს იწვევენ არა მარტო ცალკე კოლმეურნეები, ბრიგადები და კოლმეურნეობები. არამედ რაიონები და ოლქები, ავტონომიური რესპუბლიკები.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო და რამდენადმე სპეციფიკური ხასიათი მიიღო საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში; დაზუსტდა შეჯიბრების პირობები სოფლის მეურნეობის კულტურების ცალკე დარგებსა, ერთტიპოვან რაიონებსა და კოლმეურნეობებს შორის. თუ 1942 წელს. ფრონტებზე შექმნილი მძიმე მდგომარეობისა და კავკასიის დაცვასთან დაკავშირებულ ვითარებათა გამო, სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლას და მისი შედეგების შემოწმებას საქართველოს სინამდვილეში ახლდა ერთგვარი ჩრდილოვანი მხარეები, ეს არ ითქმის 1943 წლის შესახებ.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაობას ამ ეტაპზე საფუძვლად დაედო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული მითითება „სოფლის მეურნეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“, რომელიც შეესაბამებოდა დიდი სამამულო ომის გარდატეხის პერიოდის ხელსაყრელ პირობებს.

1943 წელს ადრე გაზაფხულიდანვე რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში. მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშრომელთა კრებებზე განიხილეს 1942 წლის სამეურნეო შედეგები და 1943 წლისათვის დასახეს ახალი ამოცანები. შეჯიბრებაში ერთმანეთს იწვევდნენ და კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობდნენ კოლმეურნეობები და ცალკე რაიონები ცალკეული დარგების მიხედვით. სუბტროპიკული კულტურების მოწინავე რაიონმა — ქობულეთმა შეიმუშავა შეჯიბრების კონკრეტული ვალდებულებები და მოწოდებით მიმართა დასავლეთ საქართველოს ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის, ჩაისა და ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გაზრდისა და მეცხოველეობის წარმატებით განვითარების მიზნით[326].

ქობულეთის ინიციატივა მოიწონა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. კოლმეურნეობები ეხმაურებოდნენ ქობულეთელებს და კისრულობდნენ ახალ ვალდებულებებს[327].

---

[326] გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1943, 10 მარტი.

[327] დასავლეთ საქართველოს რაიონებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ქობულეთელების მოწოდების საფუძველზე. ფართოდ გაჩაღდა სო-

ანალოგიური წამოწყება აღმოსავლეთ საქართველოს, უმთავრესად მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების, მოწინავე რაიონებშიც ჩაღდება. 1943 წლის დასაწყისიდანვე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ(ბ) ცეკას მითითებით შეიქმნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის 1943 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემაჯამებელი რესპუბლიკური კომისია.

შეჯიბრება ბევრად შინაარსიანი და კონკრეტული გახდა. განმტკიცდა შრომის დისციპლინა. შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების გამოყენებით გაძლიერდა შრომის ნაყოფიერების ზრდა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა 1943 წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის საქართველოში.

სოფლად სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეში მოწინავეთა რიგებში კომკავშირელები იდგნენ. 1943 წ. 3 მარტს კომკავშირელთა ინიციატივით მოწვეულ იქნა აჭარის სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა თათბირი, რომელმაც მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის კოლმეურნე ახალგაზრდობას ჩაბმულიყვნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, აჭარის კომკავშირელებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს აფხაზეთის კომკავშირული და კავშირგარეშე ახალგაზრდები.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რესპუბლიკის მთელმა ახალგაზრდობამ 1943 წელს თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ჩატარებაში[328].

ციალისტური შეჯიბრება ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს მაღალი მოსავლის მისაღებად. რაიონის ცენტრებში მოეწყო სპეციალური დაფები, რომლებზეც შეჰქონდათ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობები, უხვი მოსავლის ნოვატორები, მოწინავე რგოლებისა და ბრიგადირებისათვის დაწესდა გარდამავალი წითელი დროშები.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესამოწმებლად შეიქმნა რაიონული კომისია, რომელიც თვეში 2-ჯერ ამოწმებდა მუშაობას.

[328] გაზ. „კომუნისტი", 1944. 4 მარტი. იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ იზრდებოდა ყოველწლიურად სოფლის მეურნეობის ცალეულ დარგებსა და უბნებზე კომკავშირელების ავანგარდული როლი, მაგალითისათვის აქ მოვიყვანთ ცაგერის რაიონის კომკავშირელთა პატრიოტულ ტიპიურ საქმიანობას. 1943 წელს რაიონის კოლმეურნეობებთან არსებული 62 კომკავშირული ორგანიზაცია მთლიანად ჩაბმული იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში; 780 კომკავშირელი და 1818 კავშირგარეშე ახალგაზრდა კი ჩაება ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში. აგრომინიმუმი შეისწავლა 1500 კომკავშირელმა და კავშირგარეშე ახალგაზრდამ. საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვის პერიოდში შეიქმნა ახალგაზრდობის სარემონტო ბრიგადები, რომელთაც გაარემონტეს 4570 ცალი სხვადასხვა სახის სამეურნეო იარაღი. რემონტისათვის შეაგროვეს 2 ტონა ლითონი და 1.5 ტონა ნახშირი. ამავე წელს კომკავშირული ძალებით გაწმენდილ იქნა 300 ცენტნერი სათესი მარცვლეული. მინდვრებსა და ეენახებში გაიტანეს 4 ათასი ტონა ორგანული სასუქი და ეენახისათვის, დაამზადეს ნახევარი მილიონი ცალი ჭიგო. რაიონში ახლად გაშენებული 428 ჰექტარი ეენახიდან კომკავშირელებმა გაშე-

საქართველოს კოლმეურნეობები 1943 წლის გაზაფხულიდან ახალ ვალდებულებებს კისრულობენ ეხვი მოსავლის მოსალეებად და სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმებიან მოძმე რესპუბლიკებისა და ოლქების კოლმეურნეობებსა და კოლმეურნე გლეხებთან.

მაგალითად. 1943 წლის აპრილის დასაწყისში მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა შეჯიბრებაში ჩაება სვერდლოვის ოლქის კომშლოვსკის რაიონის „ახალი ცხოვრების" სახ. კოლმეურნეობასთან. ამავე პერიოდში მახარაძის რაიონის სოფ. ნიბურის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა შეჯიბრებაში გამოიწვია სვერდლოვის ოლქის კომიშლოვსკის რაიონის „პროლეტარსკი დოლინა" კოლმეურნეობამ[329].

1943 წლის სექტემბრიდან ურალელ კოლმეურნეობებთან შეჯიბრების ხელახლა გაშლის ინიციატორად თეთრი წყაროს რაიონის სოფ. კოდის კოლმეურნეობა გეევლინება.

საქართველოს მთელი რიგი კოლმეურნეობები სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობებთან. მაგალითად, 1944 წლის მარტში მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების კოლმეურნეობას ესტუმრა სომხეთის სსრ ოქტომბრის რაიონის სოფ. ფორქ-შაღრიარის კოლმეურნეობის დელეგაცია. კოლმეურნეებმა გაუზიარეს ერთმანეთს 1943 წლის მიღწევები და გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1944 წლისათვის. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ არა მარტო მოწინავე კოლმეურნეობები, არამედ ცალკე ბრიგადები და ნოვატორი კოლმეურნეები.

მრავალთაგან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალსოფლის კოლმეურნე ქალის. ცნობილი ნოვატორის მერგოლურ ვ. ყუფუნიას შეჯიბრება ციმბირელ კოლმეურნე ქალთან მერგოლურ, სტალინური პრემიის ლაურეატ ა. იუტკინასთან[330]. სრულიად საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო და მასობრივი ხასიათი მიიღო. საქართველოს მთელი რიგი რაიონები

ნეს 118,5 ჰექტარი და მოხნეს 2178 ჰექტარი საკოლმეურნეო ფართობი, მაშინ, როცა სულ რაიონში მოხნულ იქნა 6900 ჰექტარი. ამავე წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაწინაურეს 9 კომკავშირელი, ბრიგადირად—125, რგოლის ხელმძღვანელად — 198 და კოლმეურნეობის მოანგარიშედ — 38 კომკავშირელი (სამამულო ომის ისტორიის არქიი. ფონდი 5, საქმე 818, გვ. 28 — 29).

[329] გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1943, 29 მაისი.

[330] ვ. ყუფუნიამ ვალდებულებად იკისრა მიჩნეულ ჰექტარებზე საშუალოდ 10 700 კგ ჩის მწვანე ფოთლის შეგროვება. ა. იუტკინამ კი ყოველ მიჩნეულ საცდელ ჰექტარიდან 1500 ცენტნერი კარტოფილის მიღება საშუალოდ. ყუფუნიამ და მისმა რგოლმა გადააჭარბა აღებულ ვალდებულებებს. მაგრამ არც იუტკინა ჩამორჩა მას (გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1943, 23 დეკემბერი).

და ვათი ცალკე კოლმეურნეობები შეჯიბრებაში ებმებიან საბჭოთა ქვეყნის შორეული რაიონის კოლმეურნეობებთანაც კი.

1943 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ, მ ა ხ ა-რ ა ძ ი ს ა და ლ ა გ ო დ ე ხ ი ს რაიონებს, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა. საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ შესრულებისათვის პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსა და სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია გადაეცა თელავის, ხაშურის, აგარის, ქარელისა და აბაშის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1943 წელს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს გორის რაიონის კოლმეურნე გლეხებმა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. დიდი გამარჯვება ხვდათ წილად საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს 1944 წლის დასაწყისში; სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკის მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორების რემონტის 1944 წლის იანვრის გეგმის საუკეთესოდ შესრულებისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკას მიეკუთვნა თავდაცვის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ამრიგად, საქართველოს მტს-ები 1944 წლის დასაწყისშივე ორგზის აღწევენ დიდმნიშვნელოვან გამარჯვებას და იანვარსა და თებერვალში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას მკვიდრად ინარჩუნებენ.

1943 წელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლის საფუძველზე ბრწყინვალე წარმატებებით დაამთავრეს, მაქსიმალურად გაადიდეს ნათესი ფართობი და 1,5-ჯერ გაზარდეს მოსავლიანობა საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე, ასეულ ათასობით გაადიდეს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო დამზადების გეგმა. გაზეთმა „პრავდამ“ მოწინავე მიუძღვნა რესპუბლიკის ამ დიდ გამარჯვებას. საბჭოთა მთავრობამ საქართველოს სოფლის მეურნეობის 500-ზე მეტი მოწინავე მშრომელი დააჯილდოვა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით მრავალ მოწინავე კოლმეურნეს და კოლმეურნე ქალს ლენინის ორდენი გადაეცა.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგში 1943 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება დაემთხვა 1944 წლის საგაზაფხულო სამუშაოთა დასა-

წყისს. სოციალისტური შეჯიბრების შედეგებია შეჯამება საქართველოს სინამდვილეში თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, და მტს-ის მუშაკებისათვის გადაიქცა თავისებურ თვითანგარიშად, სადაც ახალ ვალდებულებებს კისრულობდნენ. სწავლობდნენ ნაკლოვანებებს და გულდასმით სახავდნენ ახალ ამოცანებს.

1944 წლის ადრე გაზაფხულიდანვე საქართველოში უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ინიციატორად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ლაგოდეხელი სოფლის მეურნეობის მოწინავეები გვევლინებიან, დასავლეთ საქართველოს რაიონებში კი — მახარაძის რაიონის კოლმეურნეები. ლაგოდეხისა და მახარაძის რაიონის მოწინავეებმა აიღეს ახალი ვალდებულებანი გამარჯვების მაღალი მოსავლის მისაღებად და მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა არც ერთი რაიონი და თითქმის არც ერთი კოლმეურნეობა, რომ ლაგოდეხისა და მახარაძის კოლმეურნეთა ამ ინიციატივას არ გამოხმაურებოდა.

1944 წელს გორის რაიონის კოლმეურნეებმა გაიმარჯვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მიიღეს უხვი მოსავალი და წარმატებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების გეგმა. მათ მიეკუთვნათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 100 ათასი მანეთის რაოდენობით[331]. დროშის ჩაბარებისას სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი და მოწოდებით მიმართეს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კოლმეურნეს 1945 წელს უხვი მოსავლის მოყვანისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად.

1945 წლის გაზაფხულიდან კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და ორგანიზებულობით იწყება ბრძოლა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის, ინერგება სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები კოლმეურნეობებში. მრავლდება ფრონტული ბრიგადები, სტახანოვური ნაკვეთები და სხვ. საბჭოთა არმიის ისტორიული გამარჯვებანი ფრონტებზე ახალი შემოქმედებითი ენერგიით აღაგზნებდნენ ზურგის ყველა მშრომელს, ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხებს. ისინი ზრდიან მარცვლეულის მოსავლიანობას, მეცხოველეობის სულადობას და პროდუქტიულობას.

---

[331] გაზ. „კომუნისტი", 1945, 23 მარტი.

საილუსტრაციოდ აქ რამდენიმე მაგალითზე შევჩერდებით, გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორებმა, სიმინდის მყარი სარეკორდო მოსავლის გამოჩენილმა ოსტატებმა ქ. ქვაჩახიამ და ნ. შონიამ დიდი პოპულარობა მოიხეიქეს მთელს სსრ კავშირში. ქვაჩახიას ბრიგადამ 1943 წელს თვითეული ჰექტარის საშუალო მოსავალი გაზარდა 23 ცენტნერამდე, ხოლო სტახანოვური ჰექტარიდან აიღო 624 ფუთი სიმინდი. მან 1944 წელს სიმინდის მოსავალი კიდევ უფრო გაადიდა, სტახანოვური ნაკვეთიდან მიიღო 681 ფუთი.

საქართველოს კპ(ბ) გალის რაიკომის ბიურომ 1944 წლის 5 იანვარს მიიღო დადგენილება, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობაში კიდევ უფრო ფართოდ ყოფილიყო დანერგილი ქვაჩახიას მეთოდები.

ქვაჩახიას გამოცდილება ყველაზე უკეთ აითვისა და განავითარა სამამულო ომის ფრონტიდან დაბრუნებულმა, გალის რაიონის სოფ. ქვემო ბაღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გ. რიგვავამ. მან 1944 წელს ჰექტარზე მიიღო 111 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 1945 წელს — 151,2 ცენტნერი. რიგვავა სოციალისტური შრომის გმირი გახდა. იგი ომის შემდეგაც ზრდიდა მოსავლიანობას. 1949 წელს გაუსწრო თავის მასწავლებელ ქ. ქვაჩახიას და სიმინდის მოსავლის ახალი რეკორდი დაამყარა. რიგვავამ თავისი ბრიგადის მთელი ფართობის (40 ჰექტრამდე) თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 102 ცენტნერი, ხოლო მასზე მიმაგრებული ყოველი ჰექტარიდან — 228 ცენტნერი[332]. ამით რიგავამ სიმინდის მოსავლის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

სამამულო ომის მოწინავე ნოვატორი კოლმეურნეები ომის დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, კვლავ რჩებიან მოწინავეებად და 1954 წ. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატები ხდებიან.

მაგალითად, სოციალისტური შრომის გმირმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ქ. ქვაჩახიამ 1948 წ. 6 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 136 ცენტნერი, ხოლო 1950 წელს 182 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა[333].

ომის დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა და 1954 წ. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის აქტიური მონაწილენი გახდნენ ქისტაურელი კოლმეურნე

---

332 გაზ. „კომუნისტი", 1954, 30 მარტი.

333 Всесоюзная сельскохозяйственная выставка; Павильон Грузинской ССР, Москва, 1954, გვ. 61—62.

მეაბრეშუმე ქალი ნოვატორი, სტალინური პრემიის ლაურეატი ო. ავაზაშვილი. ნატანებელი კოლმეურნე ჩაის მკრეფავი ქალი. სოციალისტური შრომის გმირი დ. ტაკიძე. ოქუმელი კოლმეურნე ქალი, სოციალისტური შრომის გმირი ბულსკირია და სხვა მრავალი[334].

საქართველოში თითქმის ყველასათვის ცნობილია ჩაის კრეფის ნოვატორი ქალები: ქ. სარსანია, ე. ქანთარია, ა. ყიფიანაძე და სხვ., რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს სამამულო ომის პერიოდში და დღესაც წარმატებით ინარჩუნებენ მოწინავეთა საპატიო ადგილს. მრავალი მათგანი უმაღლესი საბჭოს დეპუტატადაა არჩეული. ისინი კვლავ შრომით მამაცობას იჩენენ, ბრიგადომებით უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს ახალგაზრდობას და ზრდიან ახალგაზრდა კადრებს[335].

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული საქართველოს კოლმეურნე გლეხობის ესოდენ დიდი შრომითი აქტივობა და პატრიოტიზმი ომის ძნელ პერიოდში კარგად აისახა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა დამზადების სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებასა და საბჭოთა არმიისა და ქალაქის მოსახლეობისადმი ყოველმხრივი უანგარო დახმარების სისტემატურად გაძლიერების უკეთილშობილეს საქმეებში.

ბ. ბრძოლა სახელმწიფო დამზადებათა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის

საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკები ყველა სახის პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებას ომის წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მათ 1941 წელს გადაჭარბებით შეასრულეს სას. სამ. პროდუქტების ყველა სახის დამზადების გეგმა. 1941 წელს 1940 წელთან შედარებით კოლმეურნეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს ბევრად მეტი ჩაი, ყურძენი, თამბაქო, აბრეშუმის პარკი და სხვ.[336]. მართალია, კავკასიის დაცვის მძიმე პირობებმა 1942 წ. საგრძნობლად შეაფერხა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროზე და ხარისხოვნად შესრულება, შეამცირა მოსავლიანობაც, მაგრამ მიუხედავად ამისა კოლმეურნე გლეხობა არაფერს არ ზოგავდა სახელმწიფო დამზადების გეგმის კეთილსინდისიერად და დროზე შესრულებისათვის.

---

[334] Всесоюзная сельскохозяйственная выставка, Павильон Грузинской ССР, Москва, 1954, გვ. 25, 77, 93.

[335] გაზ. „კომუნისტი", 1954, 12 ივნისი.

[336] გაზ. „კომუნისტი", 1942, 23 თებერვალი.

ჯერ კიდევ 1942 წელს მოწინავე კოლმეურნეებმა ახალ პატრიოტულ წამოწყებას მისცეს დასაბამი. ეს იყო 1942 წლის მოსავლიდან სახელმწიფო სავალდებულო გეგმის შესრულების შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გარდამეტის სახელმწიფოსადმი ავანსად, 1943 წლის ანგარიშში, ჩაბარება. ამ წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოში, მაგალითად, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობამ 1942 წლის მოსავლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 1943 წლის ანგარიშში ათას ფუთობით ხორბალი, ქერი, მზესუმზირა და სხვ.[337] წითელიწყარო, რა თქმა უნდა, გამონაკლისს არ წარმოადგენდა. რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობა აქტიურად ჩაება ამ წამოწყებაში. საქართველოს კოლმეურნე გლეხები სახელმწიფოს მომავალი წლის ანგარიშში ზეგეგმით ამარაგებდნენ ხორცით, ბოსტნეულ-ბაღჩეულით, ჩაით, მანდარინით და ყოველივე იმით, რასაც საბჭოთა საქართველოს ბარაქიანი სოფლის მეურნეობა იძლევა, ამით ქმედით დახმარებას უწევდნენ საბჭოთა არმიას, მუშათა კლასს და ქალაქის მთელ მოსახლეობას სურსათით მომარაგების საქმეში. მაგალითად, 1943 წ. საქართველოს კოლმეურნეებმა, 1944 წლის გეგმის ანგარიშში სახელმწიფოს ავანსად მისცეს 1000 ტონაზე მეტი მარტო მარცვლეული[338] და 30 428 ცენტნერი ხორცი[339].

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია 1943 წელს. გაზეთი „პრავდა" თავის მოწინავეში წერდა: „ჩვენმა ქვეყანამ 1943 წელს მიიღო იმდენი პური, რამდენიც არასოდეს არ მიუღია". საქართველოს კოლმეურნეებმა, გარდა იმისა, რომ კეთილსინდისიერად შეასრულეს სავალდებულო ჩაბარების გეგმა, სახელმწიფოს მიყიდეს დამატებით 552 ათასი ფუთი პური[340].

საქართველოს კოლმეურნეები ამავე პერიოდში ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ფრონტს, დაზარალებულთა რაიონებს და ფრონტელთა ოჯახებს. მარტო თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის 1943 წელს რესპუბლიკაში დაითესა 5500 ჰექტარი მარცვლეული, ბოსტნეული და კარტოფილი. მათ ამ ფონდში შეიტანეს 1150 ტონაზე მეტი პური, 18 000 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 5000 სული ცხვარი და თხა, 3000 სული ღორი და 300 ცხენი[341].

---

[337] წითელწყაროს რაიონის არქივი, ფონდი დამზადების რაირწმუნებულისა, საქმე 123, ფურცელ. 15.

[338] გაზ. „პრავდა", 1944, 8 იანვარი.

[339] სსრ კავშირის I მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესიის მასალებიდან, გაზ. „კომუნისტი", 1944, 19 თებერვალი.

[340] გაზ. „პრავდა", 1944, 8 იანვარი.

[341] გაზ. „კომუნისტი", 1944, 29 თებერვალი.

ბხოლოდ ფრონტელთა ოჯახებისათვის 1943 წელს გამოყოფილი იყო 7 ათასზე მეტი ჰექტარი ფართობი — ინდივიდუალური ბოსტნებისათვის. შეგროვილ იქნა 2800 ტონაზე მეტი მარცვლეული. ერბო, კარაქი, ყველი, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები, მათ დაურიგდა 1000-მდე სული პირუტყვი[342] და სხვ.

1943 წელს კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმ. 60 578 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მისცეს სახელმწიფოს, ე. ი. 10 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1940 წელს; ამავე პერიოდში მსხვილფეხა პირუტყვთა სულადობა გაზარდეს 120 ათასი სულით, ცხვრებისა და თხების—500 ათასი სულით[343]. ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1943 წლის დასასრულს 116 პროცენტით შესრულდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 412 მილიონზე მეტი მანდარინი და ფორთოხალი. ქალაქ მოსკოვის მშრომელებს ერთდროულად გაეგზავნათ 72 998 ათასი, ხოლო ლენინგრადისას 16 5515 ათასი ცალი მანდარინი და ფორთოხალი[344].

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული აგრეთვე 1944 წელს. საქართველოს კოლმეურნეებმა პურის ჩაბარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა 119.9% შეასრულეს, ხოლო ციტრუსოვანთა დამზადების გეგმა — 103,9%, თამბაქოს ჩაბარებისა — 117,3%, წარმატებით შესრულდა ყურძნისა და სხვა პროდუქტების ჩაბარების გეგმა[345]. დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული ხორცისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების დარგში. ხორცის დამზადების გეგმა 1944 წელს საქართველოში შესრულებულ იქნა 114.9%, რძისა — 103,8%, ბრინზა ყველისა — 138,1%, მატყლისა—112,7% და სხვ[346].

საქართველოს სს რესპუბლიკამ 1945 წლის პირველ კვარტალში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყველა სახის დამზადებათა გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. რესპუბლიკის ბევრ მოწინავე რაიონს მიეკუთვნა პრემია და საგანგებოდ აღინიშნა მათი კარგი მუშაობა[347].

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც 4000-ზე მეტ კოლექტიურ მეურნეობასა და 75 საბჭოთა მეურნეობაში იყვნენ გაერთიანებულნი, სახელმწიფოს ჩააბარეს 115 მი-

---

342 გაზ. „კომუნისტი", 1943, 29 თებერვალი.
343 გაზ. „კომუნისტი", 1944, 25 თებერვალი.
344 გაზ. „კომუნისტი", 1944, 3 იანვარი.
345 გაზ. „კომუნისტი", 1945, 25 თებერვალი.
346 გაზ. „კომუნისტი", 1945, 4 ოქტომბერი.
347 გაზ. „კომუნისტი", 1945, 28 აპრილი.

ლიონ ფუთამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი და მაღალხარისხოვანი სამრეწველო ნედლეული, რითაც თავისი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საერთო საქმეში.

ამასთანავე საქართველოს კოლმეურნეებმა პირადი დანაზოგებიდან შეაგროვეს და სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნის" და თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგებ ფონდში შეიტანეს 269 მილიონი მანეთი.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ ჯერ კიდევ 1944 წლის დასაწყისში ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა საქართველოს სოფლის მეურნეობის 525 მოწინავე მუშაკი. სამამულო ომის I-ლ და II ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდნენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს 1944 წელს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებაში. ათასობით კოლმეურნემ მიიღო საბჭოთა მთავრობის ორდენები და მედლები.

ომის წლებში მთელი რიგი პროდუქტების დამზადების წესსა და კოლმეურნეებისადმი ფულადი ანაზღაურების საქმეში გატარდა არსებითი მნიშვნელობის ცვლილებები, მიმართული იქითკენ, რომ კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შემდგომი ზრდის საფუძველზე სავსებით უზრუნველყოფილი გამხდარიყო სას. სამეურნეო პროდუქტთა დამზადების სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულება.

კოლმეურნე გლეხები დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ ოდნავადაც არ მიცემიან თვითდამშვიდებას. ისინი საბჭოთა ქვეყნის მტერზე გამარჯვებით შექმნილ ახალ ხელსაყრელ ვითარებას მაქსიმალურად იყენებენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის ომით მიყენებული ზარალის დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად. კოლმეურნეები ახალი ენერგიით აჩაღებენ ბრძოლას როგორც მარცვლეულის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის, ასევე დამზადების სახელმწიფო გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ამ მიმართულებით საქართველოს კოლმეურნე გლეხებმა, კერძოდ, მარცვლეულის მოსავლიანობის ზრდის საქმეში 1946 წელს, ამის შესახებ გარკვეითაა აღნიშნული „პრავდის" მოწინავეში, სადაც ეკითხულობთ: „მარცვლეულის საერთო მოსავალმა 50 000 ტონით გადააჭარბა 1945 წლის მოსავალს"[348].

ასეთია საქართველოს კოლმეურნე გლეხობის და მთლიანად

[348] გაზ. „პრავდა", 1947, 17 მაისი.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პატრიოტიზმი სამამულო ომის პერიოდში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის ივნისის პლენუმმა მიიღო ისტორიული დადგენილება საკალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასების და პირობების შესახებ; ეს დადგენილება სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ახალი სწრაფი აღმავლობის შესაბამისია. „დამზადებისა და ფასების სწორი პოლიტიკა, — აღნიშნავდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — სახალხო მეურნეობის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების. საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიური ბერკეტია.“

8. გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დიდი სამამულო ომის პერიოდში

ა. წარმოების ძირითად საშუალებათა და განუყოფელი ფონდების ზრდა

ცნობილია, რომ ომები აჩანაგებდნენ სოფლის მეურნეობას, ანადგურებდნენ საწარმოო ძალებსა და უშუალო მწარმოებელთ. უკიდურესობამდე ქვეითდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა; ამიტომ სოფელი ვერ იჩენდა უნარს მოსადმი წამოყენებული გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში. ამ ფაქტს კარგად ადასტურებენ მეფის რუსეთის დროინდელი ომების გაკვეთილები. მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა საფუძველზე ჩვენ აღნიშნულის საწინააღმდეგო სურათი გვეხატება დიდი სამამულო ომის პერიოდში სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში. მაგალითად, საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის ფაქტიური ვითარების შესწავლას ჩვენ იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდშიაც როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარება მიმდინარეობდა გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების გზით.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის დამადასტურებელია დაგროვების მაღალი დონე, ე. ი. წარმოების ძირითად საშუალებათა და განუყოფელი ფონდების ზრდა, რომელიც კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის საერთო აღმავლობის ბაზაზე ხორციელდება.

სამამულო ომის წლებში საქართველოს კოლმეურნეობების წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულების ზრდა 1940 წელთან შედარებით შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (ცხრ. 23).

ძირითადი საშუალებები (ათას მანეთობით)[349].

ცხრილი 23

1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
809 481,1	909 570,5	1 020 074,9	1 204 526	1 397 765	1 589 234,7

განუყოფელი ფონდების ზრდა კი (ათას მანეთობით) რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შემდეგ სურათს იძლევა: (ცხრ. 24).

ცხრილი 24

1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
688 692,8	792 056,0	988 185,7	1 312 099,9	1 613 944.8	1 829 630,3

წარმოების ძირითადი საშუალებები და განუყოფელი ფონდები აღებულ პერიოდში რესპუბლიკის თვითეულ კოლმეურნეობაში საგრძნობი ზრდით ხასიათდება[350].

ომის წლებში თვალსაჩინოდ გადიდდა მოსავლიანობა და განმტკიცდა კოლმეურნეობათა ეკონომიკა, გაძლიერდა საზოგადოებრივი მეურნეობა, კოლმეურნეთა შემოსავლიანობა და საბჭოთა არმიის სურსათით მომარაგება. მაგალითად, 1943 წელს საქართველოში მოყვანილ იქნა 220 ათასი ტონით მეტი სხვადასხვა მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს; თუ 1940 წელს ასად მივიჩნევთ, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1943 წელს მოსავლიანობის ზრდა შემდეგი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება:

მარცვლოვანი და ცერცვოვანი კულტურები	116,05
შემოდგომის ხორბალი	155,17
სიმინდი	128,88
კარტოფილი	117,04.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა მხოლოდ საბჭოთა არმიისა და თავდაცვის ფონდში ათეულ ათასობით ცენტნერი სოფლის

---

349 ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

350 ა. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს გლეხობას, თბილისი, 1957, გვ. 163.

ეურნეობის პროდუქტი შეიტანეს. გარდა ამისა, მარცვლეულის ნეთლიანი პროდუქციის დიდ ნაწილს კოლმეურნეობები აბარებდნენ სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარების, კონტრაქტაციისა. მტს-ების ნატურანაზღაურებისა და სახელმწიფო შესყიდვის წესით. რესპუბლიკის მშრომელებმა თავდაცვის ფონდში (ნაღდ ფულად და სესხზე ხელის მოწერით) 3 170 მილიონი მანეთი შეიტანეს.

არტელის წესდებით გათვალისწინებული სხვადასხვა ფონდების (სათესლე, პირუტყვის გამოკვების, ინვალიდთა დახმარების, საბავშვო ბაგებისა და სხვ.) საჭიროებისათვის გამოიყენებოდა მარცვლეულის 28%.

მარცვლეული პროდუქციის ძირითადი ნაწილი, საშუალოდ 54%-ზე მეტი, ნაწილდებოდა არტელის წევრებს შორის შრომადღეების ანაზღაურებისათვის. გარკვეული ნაწილი კი საკოლმეურნეო ბაზარზე იყიდებოდა.

ბ. კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ზრდა, ნატურალური და ფულადი ანაზღაურების გადიდება

სამამულო ომის პერიოდში რესპუბლიკის კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის საფუძველზე არ მცირდებოდა შრომადღეებზე განაწილებული მარცვლეულის, ცერცვოვანის (პარკოსანის), კარტოფილისა და სხვათა რაოდენობა, იგი წლების მიხედვით (ცენტნერობით) ასეთი მაჩვენებლებით ხასიათდება: (ცხრ. 25)[351].

ცხრილი 25

დასახელება	1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.
მარცვლეული	2411197,9	3 064 133	2 751 418	2 754 069	2 406 319	2 570 538
ცერცვოვანი .	30 146,1	35 571	33 624	40 745	62 537	—
კარტოფილი . .	10 547,8	235 230	302 704	352 713	259 466	246 429

ზემოაღნიშნულიდან დასტურდება, რომ ომის წლებში კოლმეურნე გლეხების თავდადებულმა ბრძოლამ უხვი სამხედრო მოსავლისათვის, კერძოდ, მარცვლეული მეურნეობის დარგში, გარკვეულ შედეგებს მიაღწია. მათ მეტ-ნაკლებად შეძლეს გაეზარდათ შრომადღეების ღირებულება ფრონტისადმი დახმარების გაძლიერების დროს.

კიდევ უფრო შესანიშნავი იყო შრომადღეების ღირებულების ზრდა ისეთ დარგებში, როგორიცაა ჩაის, სუბტროპიკული და ტექ-

351 ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

ნიკური კულტურების, მევენახეობის, მეხილეობისა და მეცხოველეობის დარგები, სადაც სწრაფად იმატა ფულადმა შემოსავალმა.

სამამულო ომის პერიოდში კოლმეურნეობათა ფულად შემოსავლიანობაში მეტად დიდი წილი ედო საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდულ პროდუქტთაგან მიღებულ თანხებს[352]. ამ გზით მიღებული ფულადი შემოსავლის მაღალი ხვედრითი წონა იმის შედეგი იყო, რომ „ფართო მოხმარების საგნებით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის შეკვეცამ და მოსახლეობის მოთხოვნის გადიდებამ საკოლმეურნეო ბაზარზე გამოიწვიეს მკვეთრი აწევა ბაზრის ფასებისა, რომლებიც ცალკეულ პერიოდში ომამდელ ფასებს 10—15 ჯერ აღემატებოდა“[353]. რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდებოდა შემოსავლის გადასახადიც. რაც სახელმწიფო ბიუჯეტის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. მაგალითად, 1943 წლიდან შემოღებულ იქნა კოლმეურნეობის წევრთა დასაბეგრი შემოსავლიანობის გადიდებული ნორმები, რომლებიც უახლოვდებოდნენ საკოლმეურნეო ბაზარზე პროდუქტების რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალს[354].

ომის უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად გადიდდა კაპიტალდაბანდებანი. მაგ. 1940 წელს სოფლის მეურნეობაში 216.6 მილ. მან. იქნა დაბანდებული, 1944 წელს კი იგი 318 მილ. მანეთამდე იზრდება. სამამულო ომის წლებში გამრავლდა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. ისეთებისაც, რომელთა მხოლოდ ფულადი შემოსავალი ხშირად 10 მილიონსაც კი აღემატებოდა. მაგ., თუ 1940 წ. რესპუბლიკაში 48 მილიონერი კოლმეურნეობა ითვლებოდა, 1945 წელს მათი რიცხვი 180-მდე გაიზარდა. მთელ რიგ მოწინავე კოლმეურნეობებში ცალკე ბრიგადებიც კი

---

[352] მაგალითად, შ. რუსთაველის სახ. სოფ. ვალეს კოლმეურნეთა მიერ საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდული პროდუქციის თანხა კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავლის 50%-ს აღემატებოდა. შემოსავლის მეორე წყაროდ წარმოგვიდგება არასასოფლო-სამეურნეო შემოსავალი დამხმარე საწარმოთაგან. სახელმწიფოსა და დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის პროდუქციის ჩაბარებით მიღებული ფულადი შემოსავალი მცირე იყო — 1944 წელს 10%-ი არ აღემატებოდა. აღნიშნულ კოლმეურნეობაში ფულადი შემოსავალი 1939 წ. უდრიდა 165 902 მან. 1941 წ. — 375 473 მან., 1942 წ.—867 042 მან., 1914 წ.—1 192 321 მან. თუმცა ამავე პერიოდში პროდუქციის ზრდა ნატურით ასეთ ზრდას არ უჩვენებდა (ა. კაკაბაძე — ნარკვევი უდეს კოლმეურნეობის შესახებ).

[353] **Постановление Совета Министров СССР и ЦК ВПК (б) о проведении денежной реформы и отмене карточек на продовольственные и промышленные товары.**

[354] კოლმეურნეთა პირადი და დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი, ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასების აწევის შედეგად. უჩვეულო სისწრაფით გადიდდა. ამის შესაბამისად ცვლილება ხდება სოფლის მეურნეობის გადასახადებში. მაგ., 1943 და 1944 წწ. შემოსავლიანობის ნორმები ომამდელ 1940 წლის დონესთან შედარებით 3 — 4-ჯერ გადიდდა (კანონი სოფლის მეურნეობის გადასახადის შესახებ (1939 წლის 1 სექტემბერი) და სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს 1943 წ. 3 ივლისის ბრძანებულება).

მილიონერები გახდნენ. საგრძნობლად გაიზარდა ერთეულ კოლმეურ-ნეთა შემოსავალიც[355].

გ. კოლმეურნეობებში შრომის უკეთესი ორგანიზაციის დანერგვისათვის ბრძოლა

სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში გაფართოებული კვლავ-წარმოების პროცესი გულისხმობს არა მარტო წარმოების საშუ-ალებათა და მატერიალური დოვლათის, არამედ ასევე თვით სო-ციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა გაფართოებულ კვლავ-წარმოებას. ამიტომ შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ომის წლებში გარკვეული ყურადღება ექცეოდა კოლმეურნეობებ-ში შრომის უფრო მოწინავე სოციალისტური ფორმებია დანერგ-ვა-განმტკიცებას, რომელიც ასევე ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების ზრდას.

კოლექტიური შრომის ორგანიზაციის სანიმუშოდ დაყენება საწარმოო მუდმივი ბრიგადების გაძლიერების და სანარღო სისტე-მის განმტკიცების საფუძველზე, ყოველგვარი გაუპიროვნების ლიკ-ვიდაცია, სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, ნოვატორების გამ-რავლება, მათ გამოცდილებათა მასობრივად დანერგვა და შრომის დისციპლინის განმტკიცება კოლმეურნეობებში, შრომის ორგანიზა-ციის უმნიშვნელოვანეს საკითხებს წარმოადგენდა.

მაღალი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში კოლმეურნე გლე-ხობის გულისყური იქეთკენ იყო მიმართული, რომ დროულად და სათანადო ხარისხით შეესრულებინათ გათვალისწინებული სამუ-შაოები. ამის გამო მუშათა კლასის გამოცდილებანი და ახალი წამოწყებანი შრომის უკეთესი ორგანიზაციისა და სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეში, ფართო მხარდაჭერას პოულობდა კოლმეურნე გლეხობის მხრივ და აღაგზნებდა მასში პატრიოტიზმს. კერძოდ, პროფესიათა შეთავსება რესპუბლიკის მრავალდარგოვან კოლმეურნეობებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ომამდე ესა თუ ის ბრიგადა ან მისი რიგითი წევრი, მაგალითად, ჩაის, თამბაქოს, ან ციტრუსთა მეურნეობის დარგში თუ იყო დაოსტატებული, ომის დროს ხშირი იყო შემთხვევა, როცა მოწინავენი - რამდენიმე

---

[355] მაგალითად, 1943 წელს ისეთ მეურნეობათა ხვედრითი წონა, რომელთა შე-მოსავალი 2000 მან. არ აღემატებოდა თუ 73,7%-ი უდრიდა, ასეთთა რიცხვი 1945 წ. 15,8%-მდე შემცირდა. იმ მეურნეობათა ხვედრითი წონა, რომელთა შემოსავა-ლი იმავე 1943 წ. 4 ათას მან. უდრიდა, შეადგენდა 24. 7%-ს. ხოლო 1945 წლისათ-ვის 6000-დან 8000 მან-მდე და მეტი შემოსავლის მქონე მეურნეობათა ხვედრითი წონა 32%-ს აღემატებოდა (ა. კაკაბაძე. საქართველოს სსრ ფინანსები დიდი სა-მამულო ომის წლებში. ეკ. ინსტ. შრომები, ტ. V, გვ. 261).

დარგს ან ორს მაინც ეუფლებოდნენ. ამ გზით ადვილად ხერხდებოდა ფრონტზე წასულ მაღალკვალიფიციურ კოლმეურნეთა შეცვლა. ომის წლებში არა მარტო იზრდებოდა გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა, არამედ მისი დიდი ნაწილი გამოიყენებოდა (იხარჯებოდა) ახლებურად, კოლმეურნეობათა წინაშე დასმული ამოცანებისადმი შესაბამისად.

ომის წლებში კოლმეურნეები კვლავინდებურად ბრიგადებსა და რგოლებში იყვნენ გაერთიანებულნი. ამ ბრიგადებისა და რგოლების ფუნქციები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან არა მარტო მეურნეობათა სხვადასხვა დარგების მიხედვით, არამედ თვით ამ დარგებთან ბრიგადების დამოკიდებულების მიხედვითაც. მაგალითად, მრავალწლიანი ნარგავების, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების უკეთ მოვლისათვის ომის წლებში მეტად გავრცელდა პრაქტიკა მუდმივი საწარმოო ბრიგადების შექმნისა და მეურნეობის ამ ცალკე დარგებზე მათი მიმაგრების შესახებ. რაც შეეხება თვით ბრიგადებსა და რგოლებში გაერთიანებულ კოლმეურნეთა შემადგენლობას, ომის წლებში იგი არ იყო მყარი და ხშირი ცვალებადობით ხასიათდებოდა, — კერძოდ, მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ვარციხის წინსვლის სახ. კოლმეურნეობაში ბრიგადების, რგოლებისა და მათში განაწილებულ კოლწევრთა დინამიკა ასეთი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება[356] (ცხრ. 26).

ცხრილი 26.

წლები	ბრიგადების რაოდენობა	რგოლთა რაოდენობა	კოლწევრთა რაოდენობა	ირიცხ. საშუალოდ		მიეცა შრომის დამატებითი ანაზღაურება
				ერთ ბრიგადაში	ერთ რგოლში	
1940	7	15	389	55,4	26	—
1942	8	16	520	65	32	ერთ კაცს
1943	10	32	393	39	12	16 კაცს
1944	9	31	360	40	12	15 კაცს

კოლმეურნეობის სხვა მონაცემებიც ადასტურებენ, რომ 1943 წელს ბრიგადების რიცხობრივი ზრდით და რგოლების რიცხვის გაორკეცებით კოლმეურნეობაში შრომის უკეთესი ორგანიზაცია მყარდება.

სამამულო ომის პერიოდში ბრიგადებზე ბევრად გახდა დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების ზრდა; მაგ., ფოთის რაიონის

[356] ნ. იაშვილი, სოფ. ვარციხის წინსვლის სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 43 (ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში).

სოფ. საბაჟოს ბრიგადირმა ივანე რიჟამაძემ იესე მოაწყო შრომის ორგანიზაცია თავის ბრიგადაში, რომ ბრიგადის თვითეული წევრი $1^1/_2$—2 ნორმას ასრულებდა[357]. ამავე მიზანს ემსახურებოდა ომის წლებში შექმნილი ფრონტული ბრიგადები. სტახანოვური ნაკვეთები, ახალგაზრდული რგოლები და სატრაქტორო ბრიგადები[358].

განსაკუთრებით დიდი ეფექტი მოგვცა სანარდო სისტემით ნაკვეთების ინდივიდუალურად მიმაგრების პრაქტიკამ და მასთან დაკავშირებულმა აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებამ. რომლის საფუძველზეც გამრავლდა ნოვატორთა და სარეკორდო მოსავლის მიღების ოსტატთა რიგები.

დ. რესპუბლიკის ზოგიერთი სოფლიდან მოსახლეობის ადგილგადანაცვლებისა და ახლად დასახლების ღონისძიებათა განხორციელება

სამამულო ომის პერიოდში რესპუბლიკის სოფლებსა და კოლმეურნეობებში ჩვენ საქმე გვაქვს როგორც მოსახლეობის, ასევე კომლთა რიცხვის ცვლილებებთან, მათ ადგილგადანაცვლებასთან სოფლიდან ქალაქად, ასევე ქალაქიდან სოფლად და კოლმეურნე გლეხობის ჯგუფურ გადასახლებებთან ერთი (უმეტესად მთიანი) რაიონიდან მეორე, მეურნეობისათვის უფრო ხელსაყრელ ბარის ნაყოფიერ რაიონებში.

სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ეს ადგილგადანაცვლება უშუალოდ იყო დაკავშირებული მშრომელთა ინტერესებთან და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების ამოცანებთან.

გარდა ამისა, კოლმეურნე გლეხობა, უმეტესად ახალგაზრდობა, სოფლებიდან ქალაქად მიდიოდა, ეუფლებოდა წარმოებას და მუშათა რიგებს ავსებდა, მათ ასევე მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მშობლიურ სოფლებთან.

სამამულო ომის პერიოდში შენიშნულ ამ კანონზომიერებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების ერთ-ერთ ფორმას, მუშათა კლასის გლეხობაზე ხელმძღვანელობის განმტკიცებისა და კადრების მომზადების საშუალებას.

მაგალითად, ზესტაფონის რაიონის სოფ. არგვეთის კოლმეურნეობაში 1940—1944 წწ. მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა როგორც კომლთა რიცხვი, ასევე მოსახლეობის რაოდენობაც.

---

357 სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 389, ფურც. 1.

358 მაგალითად, სამამულო ომის უკანასკნელ წელს საქართველოს კოლმეურნეობებში 2 800 ახალგაზრდული რგოლი და ათასზე მეტი ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადა იბრძოდა უხვი მოსავლისათვის (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1945, 23 თებერვალი).

1940 წელს სახეზე მყოფ კომლთა რიცხვი კოლმეურნეობაში თუ 244-ს უდრიდა, 1943 წელს იგი 204-მდე შემცირდა, ხოლო იმავე პერიოდში სახეზე მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 1082 სულიდან 876 სულამდე დავიდა[359].

კომლთა და მოსახლეობის რაოდენობის რიცხობრივად ესოდენ საგრძნობი შემცირების მიზეზი არ ყოფილა მხოლოდ კოლმეურნეგლეხობის ფრონტზე წასვლა, ამის მიზეზი იყო ისიც, რომ სოფლის მცხოვრებთა ნაწილი სამრეწველო საწარმოებში გადავიდა და ომის წლებში მუშათა კლასის რიგებს შეემატა.

შეინიშნებოდა საწინააღმდეგო პროცესიც. როცა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები, ხელმოკლე დედები და მოხუცები, რომელთაც წინათაც ჰქონდათ კავშირი სოფელთან, ომის წლებში სოფელს უბრუნდებიან და ებმებიან საკოლმეურნეო შრომაში. პირველივე მობილიზაციით სამამულო ომში გაიწვიეს კვალიფიციურ კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის შეცვლა ძნელდებოდა ან შეუძლებელი იყო; ამიტომ ომის პროცესშივე გატარდა ღონისძიება ასეთების ადგილზე დასაბრუნებლად. კერძოდ, ეს ითქმის მეცხოველეობის დარგის სპეციალისტებზე[360].

აღნიშნულ ცვლილებათა მიუხედავად, რომლებსაც სამამულო ომის პერიოდში სოფლად ჰქონდა ადგილი მკვიდრი მოსახლეობის ადგილგადანაცვლების სახით, საქართველოს კოლმეურნეობათა რიცხობრივ რაოდენობას არსებითი ცვლილება არ განუცდია; რესპუბლიკის კოლმეურნეობათა რიცხვი ომამდელ 1940 წელს უდრიდა 4256, 1941 წელს — 4138, 1942 წელს — 4137, 1943 წელს—4146, 1944 წელს—4041 და 1945 წელის კი 4064 აღწევდა, ხოლო მათში გაერთიანებულ კოლმეურნეთა რიცხვი თუ 1940 წ. 476 ათასს უდრიდა, 1945 წ. იგი 457 ათასამდე შემცირდა[361].

---

[359] ი. ბ ა ჯ ა ძ ე, სოფ. არგვეთის კოლმეურნეობა, გვ. 35 — 36, ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში.

[360] თელავის რაიონის სოფ. ლაფანყურის „შრომის დროშის" სახელობის კოლმეურნეობაში 1941 წ. მამაკაცთა რიცხვი 1940 წელთან შედარებით 183-დან 110-მდე შემცირდა, მაგრამ შემდეგში (1943 — 1944 წწ.) მამაკაცთა რიცხვი 110-დან 141-მდე მატულობს. მამაკაცთა რიცხობრივი ზრდის მიზეზი ის იყო, რომ მოზარდები სრულწლოვანები გახდნენ, ხოლო კოლმეურნეთა ნაწილი, ვინც მეცხოველეობის სპეციალისტი იყო, ჯარიდან დაბრუნდა (გ. გველესიანი, სოფ. ლაფანყურის კოლმეურნეობა, გვ. 70, ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში).

[361] როგორც ეხედავთ, ომის წლებში კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა რიცხობრივ უმნიშვნელო შემცირებასთან გვაქვს საქმე; მაგრამ ეს შემცირება არ ვულისხმობდა კოლმეურნეობის გაუქმებას და ლიკვიდაციას. შემცირება ხდებოდა კოლმეურნეობების გაერთიანებების გზით. ასეთი გაერთიანება ნაკარნახევი იყო ბუშახელისა და წარმოების საშუალებების შემცირებით. ომის წლებში კოლექტივიზაციის პროცენტი ომამდელ 1940 წ. შედარებით 1945 წლისათვის 94.8%-დან გაიზარდა 97,2-მდე, ხოლო სათესი ფართობი—99%-დან 99,3%-მდე. თუ 1940 წ. ყოველ ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ 184 ჰექტარი სათესი ფართი მოდიოდა, 1945 წელს იგი 195 ჰექტარამდე გაიზარდა.

საბჭოთა მთავრობა ყოველმხრივ ეხმარებოდა ადგილგადანაცვლებულ გლეხობას[362], აძლევდა ტრანსპორტს მოძრავი პირადი ქონების გადასატანად, ახალ ადგილებში უშენებდა ბინებს და ხარჯის 50% სახელმწიფო ფარავდა, გაყავდათ გზები, წყალსადენები, ეძლეოდათ გრძელვადიანი კრედიტები სას. სამ. იარაღების, ძროხებისა და სხვათა შესაძენად. ახლად ჩასახლებულები თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო გადასახადებისა და სას. სამ. პროდუქტების ჩაბარებისაგან 3 წლის ვადით[363]. აი, რაოდენ დიდი იყო ეს დახმარება.

პირველი ნაბიჯები კოლმეურნეთა გადასაადგილებლად გადადგმულ იქნა ომის დასაწყისშივე, ამის შემდეგ პერიოდულად რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების საფუძველზე ორგანიზებულდებოდა საქართველოს მცირემიწიანი, უმთავრესად, მთის (ჭიათურის, ონის, სვანეთის, დუშეთის, ამბროლაურის, გეგეჭკორის) რაიონების მწირი ადგილებიდან გლეხობის ოჯახთა გადაყვანა-ჩასახლება თეთრი წყაროს, დმანისის, მესხეთის, მარნეულის რაიონების სოფლებში[364].

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად საქართველოს სამხრეთის, ასევე აფხაზეთის რაიონების მთელი რიგი გატიალებული სოფლები განახლდა. ბევრად უფრო მაღალი სამეწადმოქმედო კულტურის მქონე ახლად ჩამოსახლებულმა კოლმეურნე გლეხობამ სახე შეუცვალა ჩამორჩენილ, ზოგჯერ ერთობ გაპარტახებულ სოფლებს და მის მეურნეობას. მოკლე პერიოდში აღდგა თურქი დამპყრობლების მიერ დიდი ხნის წინათ საქართველოს მდიდარ რაიონებში ხელაღებით მოსპობილი ძვირფასი მცენარეული და ცხოველური სამყარო. პარტახი ადგილები ვენახის, ხეხილისა და

---

[362] მართალია, ამგვარი მოელენები რესპუბლიკის გლეხობის ცხოვრებაში წინათაც იყო. მაგ., საბჭოთა საქართველოში მელიორაციულ და ირიგაციულ დიდ მშენებლობათა შედეგად, კერძოდ ტირიფონის არხის აშენებისა და კოლხეთის დაჭაობებული ადგილების ამოშრობის შემდეგ ამ ნაყოფიერ ადგილებში გადმოსახლდა ათასობით გლეხური მეურნეობა და აღმოცენდა მოწინავე კოლმეურნეობები. სამამულო ომის წლებში კი მას უფრო ორგანიზებული ხასიათი მიეცა. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1942 წელს საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან მოეწყო კოლმეურნეობათა გადასახლება-დასახლების განყოფილება (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს არქივი, 1942, 10 იანვარი. № 52 დადგენილება, გვ. 77).

[363] კოლმეურნე მკვიდრი მოსახლეობის ახალ ადგილებზე გადასახლება სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან ხარჯებთან იყო დაკავშირებული, და იგი (ეს გადასახლება) გლეხობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის შემდგომ აღმაღლობასთან იყო დაკავშირებული. მართლაც, უნაყოფო მწირი რაიონებიდან ახალ ნაყოფიერ ადგილებზე ჩასახლებული კოლმეურნენი მოკლე დროში გაძლიერდნენ ამ ხელშეწყობის საფუძველზე და ზოგი იმათგანი შეძლებულები გახდნენ.

[364] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი. ფონდი 14, საქმე 11602, ფურც. 19 — 22.

ციტრუსოვანთა პლანტაციებით გაშენდა, მიწური და ბანიანი სახლები ქართულმა ოდებმა შესცვალეს, გაყვანილ იქნა კეთილმოწყობილი გზები და წყალსადენები. ამ რაიონებში ჯიშიანი პირუტყვებისა და ხარისხოვან მარცვლეულთა თესლის შეტანით, აგროტექნიკური ღონისძიებების დანერგვით, საბჭოთა მთავრობის დახმარებითა და ახლად ჩასახლებული კოლმეურნე გლეხობის შრომითი მამაცობით უაღრესად პროგრესულ-კულტურულ წინაწყებებს ეყრება საფუძველი,—ამ გზით დაიწყო დიდი განახლება და ახალი აღორძინება საქართველოს სამხრეთის ჩამორჩენილი რაიონებისა.

* * *

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ 1943 წელს დიდი მიღწევები მოიპოვა. ეს წელი იყო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მთელი ძალების მაქსიმალურად დაძაბვის და ყველაზე უფრო მეტი ეფექტიანობის მომცემი[266].

1943 წელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1944 წელთან შედარებით სტრუქტურული განვითარების თვალსაზრისითაც კი რამდენადმე განსხვავებული იყო. 1943 წელს მარცვლეული კულტურები, ასევე თამბაქოს ნათესი ფართობი და მოსავლიანობა ყოველ ჰექტარზე საშუალოდ თავისი განვითარების მაქსიმალურ დონეს აღწევს, ამ ეტაპზე უფრო მეტად მოითხოვდა ამას საბჭოთა სამშობლოს დაცვის ინტერესები. 1944 წლიდან კი მდგომარეობა ამ მიმართულებით მტრის მიერ ოკუპირებულ საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებასთან დაკავშირებით, რამდენადმე იცვლება: ამ-ერიდან რესპუბლიკის სინამდვილეში ყურადღების ცენტრში დგას არა მარცვლეული და ტექნიკური კულტურების განვითარება, არამედ მრავალწლიან ნარგავთა და ციტრუსოვანი კულტურების მოვლა-პატრონობა და მისი შემდგომი განვითარება.

1944 წელს საბჭოთა ქვეყნის სოფლის მეურნეობა დიდი მიღწევებით შეხვდა. მტრის მიერ წინათ ოკუპირებული საბჭოთა რაიონების აღდგენის საფუძველზე დიდი სისწრაფით გაიზარდა ნათესი ფართობი. მაგალითად, 1944 წელს ნათესი ფართობი 1943 წელთან შედარებით მხოლოდ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ საბჭოთა რაიონებში 12 მილიონი ჰექტარით და უფრო მეტად გაიზარ-

---

[266] 1944 წ. რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა ნაწილობრივ შემცირდა 1943 წელთან შედარებით. შემცირდა შრომადღეების საშუალო გამომუშავებაც. ეს ფაქტი იმის შედეგი იყო, რომ კოლმეურნეობათა ზოგმა ხელმძღვანელმა 1944 წ. ვერ შეძლო შეენარჩუნებინა შრომითი რესურსების ისეთი ინტენსივობით გამოყენება, როგორც ამას 1943 წელს ჰქონდა ადგილი.

და[367]. საგრძნობლად გაფართოვდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელი და მუშაობის მოცულობაც. მაგალითად, 1944 წელს მათ მიერ შესრულებული სამუშაოები 23%-ით აღემატებოდა 1943 წელს შესრულებულ სამუშაოებს; ასევე გამრავლდა პირუტყვის სულადობა საკოლმეურნეო ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მაგალითად, კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი საქონელი—9%-ით, თხები და ცხვრები — 3%-ით, ღორები — 8%-ით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი საქონელი—12%-ით, ცხვარი —14%-ით, ღორი —56%-ით იზრდება და ა. შ.[368].

სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1944 წელს სსრ კავშირის კოლმეურნე გლეხობამ არა მარტო გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო ვალდებულებანი, არამედ ზეგეგმით ათეულ მილიონობით ფუთი მარცვლეული შეიტანა საბჭოთა არმიის ფონდში. მაგალითად, უკრაინის კოლმეურნე გლეხობამ საბჭოთა არმიის ფონდში 15 მილიონი ფუთი, ბელორუსიამ — 3 მილიონი ფუთი პური შეიტანა და ა. შ. სულ 1944 წელს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 11 მილიარდი ფუთით მეტი პური, ვიდრე 1943 წელს[369].

ამრიგად, ასეთ პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში თუ 1943 წელს მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების დარგს დიდი ყურადღება ექცეოდა, 1944 წელს იგი შედარებით ნელდება და, როგორც დავრწმუნდით, კოლმეურნეები ამიერიდან მრავალწლიანი კულტურების და ციტრუსოვანთა ბაღების განვითარებას, მათ მოვლა-პატრონობას მეტ ყურადღებას აქცევენ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი სამამულო ომის პერიოდში, როგორც ვრწმუნდებით. დიდია. ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ა, ე ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ ა ნ მ ო ი პ ო ვ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ი ს ტ ე მ ი ს უ დ ი დ ე ს ი უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე, თ ო რ ე მ კ ა რ გ ა დ ა ა ც ნ ო ბ ი ლ ი, რ ო მ პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ო ფ ლ ი ო ომ ის დ რ ო ს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი, კ ე რ ძ ო მ ე ს ა კ უ თ რ უ ლ ი გ ლ ე ხ უ რ ი ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ა მ დ ე მ ი ი ყ ვ ა ნ ა ო მ მ ა, მ ი წ ე ბ ი დ ა უ მ უ შ ა ვ ე ბ ე ლ ი რ ჩ ე ბ ო დ ა, მ ო ს ა ვ ლ ი ა ნ ო ბ ა კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ უ ლ ა დ შ ე მ ც ი რ დ ა. მ ო ს პ ო ბ ი ს გ ზ ა ს დ ა ა დ გ ა მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა და ზ ურ გ ში დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა შ ი მ შ ი ლ ო ბ დ ა.

---

[367] ი. ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ო ვ ი, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა ომის სამი წლის განმავლობაში, გაზ. „წინ საშობლოსათვის", 1944, 12 ოქტომბერი.

[368] „Большевик", № 7—8, 1945, გვ. 11.

[369] გაზ. „იზვესტია", 1946, 30 იანვარი.

დიდი სამამულო ომის სამი წლის მანძილზე საქართველოს სსრ-ში 113 ათასი ჰექტარით გადიდდა მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი და ერთნახევარჯერ გაიზარდა მოსავლიანობა თვითეულ ჰექტარზე. მოპოვებულ იქნა საგრძნობი მიღწევები საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის გადიდების საქმეში მაგალითად. ცხვრისა და თხის სულადობა 500 ათასი სულით გადიდდა. ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა — 120 ათას სულამდე. წარმატებით იქნა დაცული მრავალწლიანი ნარგავები და განვითარდა ტექნიკური კულტურები. გადიდდა მათი მოსავლიანობა და აგროტექნიკა. აღნიშნულის საფუძველზე ომიანობის პერიოდის მთელ მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები ყოველთვის ვადამდე ადრე და გადაჭარბებით ასრულებდნენ სახელმწიფოს ყველა დავალებას საბჭოთა ქვეყნის სურსათით და სამრეწველო ნედლეულით მომარაგების საქმეში. მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 115 მილიონ ფუთამდე სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სამრეწველო ნედლეული ერთდროულად და დახმარება გაუწიეს ომით დაზარალებული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების კოლმეურნეობებს. გაზ. „პრავდა", განაზოგადებდა რა აღნიშნულს. წერდა:

„ქართველ გლეხობას კანონიერი უფლება აქვს იამაყოს საბჭოთა კავშირის თავდაცვის საერთო სახალხო ფონდში შეტანილი თავისი წვლილით"[370].

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა აიშენეს ახალი კეთილმოწყობილი კლუბები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, აბანოები, სასპორტო მოედნები და გაიყვანეს ელექტრონის, რადიოს და ტელეფონის ხაზები, საბჭოთა მეურნეობათა დიდი უმრავლესობა ელექტროფიცირებულ იქნა.

ყოველივე აქ აღნიშნული ფაქტები და მათი ანალიზი იმის დამადასტურებელია, რომ „საქართველოს სოფლის მეურნეობა ომიანობის მკაცრ წლებშიც კი ზრდით აღინიშნებოდა"[371].

თ ა ვ ი VI

კულტურული მშენებლობა საქართველოში სამამულო ომის პერიოდში

დიდი სამამულო ომის პერიოდში სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად გრძელდებოდა კულტურული მშენებლობა,

[370] გაზ. „პრავდა", 1947, 17 აპრილი.
[371] იქვე.

ვითარდებოდა მეცნიერება და ხელოვნება. წარმატებით მზადდებოდა მაღალკვალიფიციური კადრები.

ომმა, მართალია, არსებითად შესკვალა კულტურული მშენებლობის როგორც გეზი, ასევე მისი ხასიათი და აიძულა ჩვენი ქვეყნის კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები თავიანთი მუშაობა სამშობლოს დაცვის ამოცანებისადმი დაექვემდებარებინათ. მაგრამ მისი საერთო განვითარების შეჩერება ჰტერმა ვერ შეძლო.

საქართველოს სოციალისტური კულტურის მოღვაწეები, ქართველი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, თეატრისა და კინოს მუშაკები, ბოწინავე ტექნიკური ინტელიგენცია, სამედიცინო პერსონალი, უმაღლეს სასწავლებელთა და სკოლების პედპერსონალი, სტუდენტობა და მოსწავლეები ჩვენი სამშობლოს ამ დიდი განსაცდელის ჟამს მტკიცედ ირაზმებიან კომუნისტური პარტიის გარშემო და დაძაბული შემოქმედებითი შრომით ზურგში და ფრონტებზე თავდადებით იბრძვიან თავიანთი სოციალისტური სამშობლოსათვის.

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია სამშობლოს დაცვის სამსახურში

საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა უმთავრეს 'შტაბს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია წარმოადგენს, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი როლი შეასრულა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა დასარაზმავად ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ.

სამშობლოს დაცვისა და მშობლიური ხალხის სამსახურისათვის ბრძოლაში უდიდესი ტრადიციების მქონე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, მისი ფილიალები, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიები ერთსულოვნად აღდგნენ საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. საბჭოთა მეცნიერები მოწოდებით მიმართავენ მსოფლიოს კულტურის პროგრესულ მოღვაწეებს იბრძოლონ საკაცობრიო კულტურის გადასარჩენად ფაშისტ ბარბაროსთა დარბევისაგან[372].

---

[372] ამ მოწოდებაში ნათქვამია: „ფაშიზმი კულტურისა და მეცნიერების უბოროტესი მტერია, ფაშიზმი პერმანენტული ომია". ეს ისტორიული მოწოდება მთავრდება სიტყვებით: „ყველამ, ვისთვისაც კი ძვირფასია ათასწლეულების კულტურული მემკვიდრეობა, ვისაც წმიდათა წმიდად მიაჩნია მეცნიერებისა და ჰუმანიზმის მაღალი იდეები, მთელი ძალები უნდა მოახმაროს იმას, რომ საშიში მტერი მოსპობილ იქნას" (გაზ. „კომუნისტი", 1941, ივლისი).

საბჭოთა მეცნიერების უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას ის წარმოადგენს, რომ იგი განუყრელადაა დაკავშირებული მასებთან და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგთან. თეორიისა და პრაქტიკის, მეცნიერებისა და წარმოების ერთიანობა არის საბჭოთა მეცნიერების ის უმნიშვნელოვანესი უპირატესობა, რომლის საფუძველზე ხორციელდება ჩვენი საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარება და წინსვლა. მეცნიერება და წარმოება, თეორია და პრაქტიკა არასოდეს არ ყოფილა ურთერთთან ისე მჭიდროდ დაკავშირებული და მოცემული მთლიანობაში, როგორც ამას დიდი სამამულო ომის პერიოდში ჰქონდა ადგილი. ომის პერიოდში სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები და მათი მუშაკები განუყრელად დაუკავშირდნენ თავდაცვითს სამრეწველო საწარმოებს, სტრატეგიული ნედლეულის, სათბობისა და ენერგეტიკის წარმოების ძირითად ბაზებს[373].

მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უდიდეს დახმარებას უწევდნენ საბჭოთა არმიას. ისინი შეუნელებლად აუმჯობესებდნენ სამხედრო ტექნიკას. ტანკების, ავიაციისა და არტილერიის საწარმოებში საბჭოთა მეცნიერების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მუშა-რაციონალიზატორების კოლექტიური შრომით სწრაფად ვითარდებოდა სამხედრო ტექნიკა. მასობრივად გამოიყენებოდა ადგილობრივი რესურსები და წარმატებით ხორციელდებოდა ყოველი ახალი მონაპოვრის სამრეწველო მასშტაბით დანერგვა.

საბჭოთა მათემატიკოსების, ფიზიკოსების და ინჟინერ-ტექნიკოსების მიერ დამუშავდა მთელი რიგი ახალი თავდაცვითი პრობლემები, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ძლიერებასა და დამოუკიდებლობას განამტკიცებდნენ.

ომის წლებში დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ საბჭოთა მედიცინის, ფიზიოლოგიისა და ფარმაკოქიმიის დარგთა მეცნიერი მუშაკები. მიგნებულ იქნა დაჭრილ მეომართა მკურნალობის უახლესი ეფექტური მეთოდები, აღმოჩენილ იქნა ახალი პრეპარატები. რომელთა საშუალებით დიდად შემცირდა ავადმყოფ და-

---

[373] მართლაც დაუყოვნებლივ, ჯერ კიდევ 1941 წლის აგვისტოდან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ კომაროვის ხელმძღვანელობით 60-მდე ცენტრალური და ადგილობრივი სამეცნიერო დაწესებულების 800-ზე მეტი მეცნიერ მუშაკისაგან შემდგარი ექსპედიციები მუშაობას შეუდგა ურალის ბუნებრივი რესურსების გამოვლინებისა და ქვეყნის თავდაცვის სამსახურში ჩაყენების მიზნით, რაც უდიდესი წარმატებით დაგვირგვინდა. მოკლე დროში ურალი საბჭოთა არმიის ერ-ერთ უმძლავრეს არსენალად იქცა. ამაში საბჭოთა მეცნიერებას თავისი წვლილი აქვს შეტანილი.

დაჭრილ მებრძოლთა სიკვდილიანობა და იხვალიდთა რიცხვი დაჭრილ საბჭოთა მეომართა და ოფიცერთა დიდი უმრავლესობა განიკურნა ჰოსპიტლებში და კვლავ დაუბრუნდა ფრონტსა და სახალხო მეურნეობას. დაჭრილი მეომრების ასე დიდი რაოდენობით მწყობრში ჩადგომა ისტორიამ არ იცის. ფაშისტური გერმანია დაჭრილთა ნახევარსაც კი ვერ უბრუნებდა მწყობრს.

აკადემიკოსების: ნ. ბურდენკოს, ა. ბოგომოლეცის, ი. ჯანელიძის, ი. ბერიტაშვილის, ი. ქუთათელაძის და სხვა საბჭოთა მეცნიერების ჰიერ ახლებურად წყდებოდა ქირურგიის, თერაპიის, ნეეროპათალოგიისა და სამედიცინო მეცნიერების ყველა დარგის რთული პრობლემები და ახალი პრეპარატების გამოყენების საკითხი. წარმატებით ხორციელდებოდა ბრძოლა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ, ზრუნვა მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად.

სამამულო ომმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას (პრეზიდენტი — აკად. ნ. მუსხელიშვილი) მისი არსებობის მეოთხე თვის თავზე მოუსწრო. ომმა მოითხოვა ამ ახლად დაარსებული სამეცნიერო ცენტრის მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა, მთელი ძალების ქვეყნის თავდაცვის ამოცანებისადმი დამორჩილება. და უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა აკადემიამ წარმატებით გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სწრაფად გარდაქმნა თავისი მუშაობა სამამულო ომის მოთხოვნების შესაბამისად, მთლიანად ჩადგა სოციალისტური სამშობლოს სამსახურში და ყოველგვარ დახმარებას უწევდა საბჭოთა არმიასა და ზურგს, სადაც იქედებოდა მტერზე გამარჯვება.

ქართველი გამოჩენილი მეცნიერები — აკადემიკოსები და პროფესორები — სამამულო ომის დასაწყისშივე აქვეყნებენ მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევებს, რომლებიც ნიღაბს გლეჯდა ფაშიზმის იდეოლოგიას და პრაქტიკას, მოუწოდებდა მასებს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ[374].

---

[374] მაგალითად, 1941 წ. სექტემბერში გამოქვეყნდა აკად. ნ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს, გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს და პ რ ო ფ. ლ. გ ო კ ი ე ლ ი ს წერილები—ფაშიზმი მეცნიერების მტერია (გაზ. „კომუნისტი", 1941. 4 სექტემბერი, № 209): აკად. ი. ბ ე რ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ს სტატია—მთელი მეცნიერულ-პრაქტიკული მუშაობა ფრონტის ინტერესებს დაუქვემდებაროთ („კომუნისტი", 1942, 1 იანვარი); აკად. ა. თ ვ ა ლ ჩ რ ე ლ ი ძ ე — მოვსპოთ ფაშისტი ბარბაროსები, (გაზ. „კომუნისტი", 1941, 19 ივლისი); აკად. გ. ხ ა ჯ ა პ ა რ ი ძ ე — გერმანელი ინტერვენტები საქართველოში 1918 წელს, გაზ. „კომუნისტი", 1941. 12 ივლისი; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა — მშობლიური ისტორიის გმირული ფურცლები, გაზ. „კომუნისტი". 1941, 25 ივლისი; გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი — საქართველოს მეცნიერები სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე, „კომუნისტი", 1942, 7 ნოემბერი. ასევე მგზნებარე პატრიოტული წერილებით გამოდიან აკადემიკოსები: ვ. კ უ პ რ ა ძ ე, ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. დ. უ ზ ნ ა ძ ე ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი და სხვ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია 1941 წლის 28—31 აგვისტოს რიცხვებში უკვე იმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ომის ყაიდაზე გარდაქმნას[375].

სამამულო ომის დასაწყისშივე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა თავდაცვითი მუშაობის ხელშემწყობი მუდმივმოქმედი კომისია პრეზიდენტ ნ. მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით.

მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბდა აგრეთვე საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო აკად. ა. თვალჭრელიძის თავმჯდომარეობით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოვლინებისა და სამრეწველო მასშტაბით მათი გამოყენების საქმეს[376]. ეს საბჭო აერთიანებდა და ფაქტიურად ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებების თავდაცვითს მუშაობას და მეცნიერული აღმოჩენების წარმოებაში დანერგვის პრაქტიკულად განხორციელების საქმეს.

აღნიშნული კომისია და საბჭო, ახდენდნენ რა აკადემიის ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კორდინირებას, უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული ამერკავკასიის ფრონტის სარდლობასთან და წარმატებით ართმევდნენ თავს დიდი მნიშვნელობის თავდაცვითი ამოცანების გადაწყვეტას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში 1941 წ. ნოემბერში შედგა ქ. თბილისის მეცნიერ მუშაკთა საერთო საქალაქო თათბირი, რომელმაც განიხილა სამეცნიერო-ტექნიკური ღონისძიებები საბჭოთა არმიისადმი დახმარების გაძლიერების შესახებ ადგილობრივი რესურსების შესწავლა-გამოვლინებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების წარმოებაში ფართოდ დანერგვის გზით. თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები და მეცნიერებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს[377].

---

[375] შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური კომისია, რომელიც სათავეში ჩაუდგა გამომგონებლურ და რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში დანერგვის საქმეს (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14. საქმე 12299, ფურც. 4 — 5).

[376] მაგ., საბჭოს წინადადებით. სხვათა შორის, ადგილობრივი ნედლეულიდან მოეწყო გოგირდის, შაბიამნისა და სხვა ქიმიკატების საწარმოები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ რესპუბლიკის მეეენახეობისა და მრავალწლიანი ნარგავების დაცვა-პატრონობისათვის (სამამულო ომის არქივი, ფონდი 6, საქმე 268, ფურც. 17).

[377] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ომის დასაწყისშივე დაარსებული რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭოს თავმჯდომარე აკად. ა. თვალჭრელიძე 1941 წ. 17 ოქტომბერს აღნიშნავდა: „საქართველოს წიალი მარგანეცის, ცემენტის ნედლეულის, მათეთრებელი თიხის ვებერთელა მარაგით, ვერცხლისწყლის, სურმის, მოლიბდენისა და სხვ. მეტალების ახლადაღმოჩენილი საბა-

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთელი კოლექტივის შემოქმედებითი აზრი ომის წლებში იქითკენ იყო მიმართული, რომ დახმარებოდა სამშობლოს, საბჭოთა არმიას, ჩვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს, მთელ სოციალისტურ სამშობლოს, რათა მიეღოთ მეტი ლითონი, სათბობი, პური, ხორცი, ტყავი, მატყლი, რძის ნაწარმი, ბოსტნეული და ა. შ. საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და მშრომელების უზრუნველსაყოფად.

სამამულო ომის პერიოდში დიდი წარმატებებით ხორციელდებოდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა, ისახებოდა ამ სიმდიდრეთა გამოყენების ეფექტური გზები სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის[378].

სამამულო ომის წლებში წარმოებისა და მეცნიერების კავშირი განმტკიცდა და ახალ საფეხურზე იქნა აყვანილი. რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერი მუშაკები, აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები და ასისტენტები უშუალოდ ჩაებენ სამრეწველო საწარმოთა პრაქტიკულ შემოქმედებითს მუშაობაში და უდიდესი დახმარება გაუწიეს მუშათა კლასს მრეწველობის სამხედრო რელსებზე გადაყვანისა და თავდაცვის პროდუქციის გამოშვების სისტემატურად გადიდებისათვის ბრძოლაში, ათასობით სტუდენტი, ახალგაზრდა აქტიურად ჩაება რესპუბლიკის ქვანახშირის, მარგანეცისა, ნავთობთა, ლითონგადამუშავების, მსუბუქი და კვების სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში. ისინი გვერდში ამოუდგნენ მუშათა კლასს მასზე დაკისრებული საპატიო ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. ომის წლებში საქართველოში განვითარდა ტექ-

---

დოებით, საქართველოს მცენარეული სამყაროს ტექნიკურად ძვირფასი წარმომადგენლები — ყველაფერი უნდა გამოყენებულ იქნეს დიადი მიზნისათვის. საქართველოს სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა გარდაქმნეს თავიანთი პროგრამები, საქართველოს მეცნიერი მუშაკები, მთელი საბჭოთა კავშირისა და აგრეთვე ამერიკისა და ინგლისის მეცნიერებთან ერთად, მთელ თავიანთ ძალღონეს დაძაბავენ, რომ მოაახლოვონ (დაჩქარონ) გამხეცებული ფაშიზმის გარდუვალი დაღუპვა. დაამსხვრიონ მონობის ჯაჭვი" (გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1941. 17 ოქტომბერი).

[378] მაგალითად, რესპუბლიკის წიაღისეულ სიმდიდრეთა — ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მადნეულთა. სათბობისა და სხვათა გამოკვლევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის საკელევი-სამეცნიერო დაწესებულებების გადაუდებელ ამოცანად იქცა. სამამულო ომის პერიოდში გეოლოგიური ძიებითი მუშაობის გაშლის საფუძველზე აღმოჩენილ და შესწავლილ იქნა დიდი რაოდენობის წიაღისეული სიმდიდრენი, ზოგი მათგანის მარაგი დიდად გაიზარდა: მაგ., ქვანახშირისა — 129%-ით, ტყვიის—9-ჯერ, სპილენძისა—ხუთჯერ და სხვ. აღმოჩენილ იქნა სტრატეგიული მნიშვნელობის იშვიათ მადნეულთა მთელი რიგი საბადოები, რომელთა დიდი ნაწილის ექსპლოატაცია ომის წლებშივე დაიწყო (მაგ., ვოლფრამი, მოლიბდენი და სხვ.).

ნიკური მეცნიერების ბევრი ახალი დარგი და მომზადდა კვალიფიციური კადრები, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს მუშათა კლასს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაიხსნა ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილება, რომელშიც გაერთიანდა ტექნიკის ოთხი ისეთი წამყვანი დარგი, როგორიცაა: ელექტროტექნიკა, მანქანათმშენებლობა და ლითონის ტექნოლოგია, სამთამადნო წარმოება, ტრანსპორტისა და მიმოსვლის საშუალებანი. მეცნიერების ამ დარგთა მუშაკები, ჩადგნენ რა უშუალოდ ქვეყნის თავდაცვის სამსახურში, თავიანთ მუშაობაში დიდ ადგილს უთმობდნენ ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონების აღდგენის საქმეს.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტები და ორგანიზაციები ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოწინავე მუშების მხარდამხარ უაღრესად დიდმნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ მარგანეცის და ფეროშენადნობთა, ქვანახშირისა და ნავთობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის. მსუბუქი და კვების მრეწველობის სამხედრო რელსებზე გადაყვანისა და მათი მუშაობის სწრაფი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მუშათა კლასი ყველა თავისი მიღწევებით ბევრადაა დავალებული სამრეწველო-ტექნიკური ინტელიგენციისაგან, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და ოსტატებისაგან, რომლებიც მთელი თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით განუყრელად იყვნენ დაკავშირებული ფაბრიკა-ქარხნებთან და გვერდში ედგნენ მუშებს. ისინი იყვნენ როგორც მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის, ასევე თავდაცვის პროდუქციის შეუნელებლად ზრდის ნამდვილი ორგანიზატორები და ნოვატორები.

მეცნიერ მუშაკთა კოლექტივის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის უმსხვილეს საწარმოებში — მეტალურგიისა და ნავთობის, მარგანეცისა და ქვანახშირის, მანქანათმშენებლობისა და მთელ რიგ უშუალოდ სამხედრო დაკვეთებზე მომუშავე ფაბრიკა-ქარხნებში ისეთი სამუშაოების დანერგვა და შესრულება, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო და თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდათ[379].

---

[379] მაგალითად, ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანასთან აიგო ახალი ტიპის ღუმელი და ცალკე საამქრო, რომელიც დეფიციტურ ნაწარმს კარბორუნას ადგილობრივ ამზადებდა. დაინერგა და ათვისებულ იქნა ნავთობთა ნარჩენების გამოყენების ახალი ეფექტური მეთოდი; 26 კომისრის სახ. ქარხანაში ბარიტი და ბრინჯაო იაფი ადგილობრივი მასალით შეიცვალა. პროფესორმა წულუკიძემ დაამუშავა ნახშირის მოპოვების წესი ჰიდრავლიკური მეთოდით, რომელიც დიდი ეფექტურობით ხასიათდება და ბევრად ზრდის მოპოვებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის მუშაკები დიდი მნიშვნელობის თავდაცვით მუშაობას ეწეოდნენ ნაღმტყორცნთა ახალი ტიპების, თვითმფრინავების ძნელ პირობებში მართვის წესებისა და მეთოდების გამოსარკვევად. აგრეთვე შეტად ნაყო-

1942 წლის 25 თებერვალს შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მესამე სამეცნიერო სესია. მოხსენება აკადემიის არსებობის ერთი წლის მუშაობის შედეგების შესახებ გააკეთა აკად. ნ. მესხელიშვილმა. მან ნათელყო აკადემიის მთელი სამეცნიერო მუშაობის გარდაქმნა ქვეყნის თავდაცვის ინტერესების საფუძველზე, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი სამრეწველო რესურსების მაქსიმალურად გამოვლინება და ჩაყენება ქვეყნის თავდაცვის სამსახურში ხორციელდებოდა სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობით. წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის, ტექნიკური კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავების დაცვა-განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდის საქმეში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში გაერთიანებული ინსტიტუტები და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები სამამულო ომის პერიოდში მუშაობდნენ მარცვლეულის სათესი ფართობის გასადიდებლად, მიწის ახალი ფონდების გამოვლენა-ათვისებისა და რესპუბლიკის მიწის ფონდების რაციონალურად გამოყენებაზე. სამეცნიერო დაწესებულებები ქმედით დახმარებას უწევდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მსხვილ სამრეწველო საწარმოებსა და ახალ მშენებლობებს, დამხმარე მეურნეობებს ნიადაგის დამუშავებისა და აგროწესების გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასელექციო სადგურმა თავისი ორი დასაყრდენი პუნქტითა და სიღნაღის ფილიალით დიდი მუშაობა ჩაატარა მაღალხარისხოვან მარცვლეულთა ჯიშების შერჩევა-გამოყვანასა და მათი გადაადგილების საქმეში: მაგ., **თავთუხი** და **დოლის-პური** — აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებისათვის, **ძილისურა** — ახალქალაქის პლატოსათვის, ხოლო **დიკა** — აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონებისათვის. აჯამეთის საცდელ სადგურში გამოყვანილ იქნა სიმინდის ახალი ჯიშები, აგროტექნიკურ ღონისძიებათა საფუძველზე ცდები ჩატარდა დასავლეთ საქართველოში საშემოდგომო ხორბლეულის დანერგვისათვის, ადგილობრივ სასუქად მდინარის ლამის გამოყე-

---

ფიერ მუშაობას ეწეოდა თბილისის ობსერვატორიისა და მისი სადგურების მეცნიერ მუშაკთა მძლავრი კოლექტივი. სამამულო ომის დღეებში მყინვარწვერის მეტეოროლოგიური სადგურის ბაზაზე (შეიქმნა 1938 წ.) ჩამოყალიბდა ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური ობსერვატორია. ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომელთა მეტეოროლოგიური პროგნოზები და დასკვნები ხელს უწყობდა კავკასიის დამცველებს მტრის განადგურებისათვის ბრძოლაში (გაზ. „კომუნისტი", 1945, 1 სექტემბერი).

ნების ეფექტურობაზე და სხვ. კოლმეურნეობებს (გაცვლის წესით) მიეცათ საუკეთესო სათესლე და გაეწიათ სხვა სახის დახმარება[380].

სართიჭალის ჯიშთა გამოცდის პუნქტმა გამოიყვანა სიმინდი, რომელიც მოსავალს ივლისში იძლეოდა. ეს ჯიში პუნქტმა გაავრცელა მთელ რიგ კოლმეურნეობებში. პუნქტი ამასთანავე ავრცელებდა კოლმეურნეობებში მოწინავე აგროტექნიკის სხვა სახის მიღწევებსაც[381].

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დახმარებით და ახალი აგროწესების შემოღებით რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სარეკორდო მოსავალს ღებულობდნენ. მაგალითად, საქართველოს ჯიშთა გამოცდის პუნქტის მეცნიერი თანამშრომელი ტ. თოდრაძე თავის წერილში — „როგორ მიიღეს ჰექტარზე საშუალოდ 180 ფუთი პური" — აღწერს საგარეჯოს რაიონის სართიჭალის ჯიშთა გამოცდის პუნქტის გამოცდილებას და მისი გამოყენების საფუძველზე კოლმეურნეობის მიღწევებს[382]. კურდღელაურელმა კოლმეურნე მახათელაშვილმა გამოიყვანა ახალი ჯიშის დატოტვილი ხორბალი და საგრძნობლად გაზარდა მოსავლიანობა[383].

ომის წლებში საქართველოს მეცხოველეობის დაცვა-განვითარებისათვის ბრძოლაში ფრიად საპატიო როლი დაეკისრა მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივს.

ომი მესაქონლეობის უდიდესი მტერია. მაგალითად, პირველ მსოფლიო ომის დროს, როცა ზოოვეტერინარია დიდად ჩამორჩებოდა საქართველოში, საქონლის ჭირის გავრცელების შედეგად პირუტყვის სულადობა კატასტროფულად შემცირდა. მხოლოდ 1916 წელს ქუთაისის გუბერნიაში პირუტყვის სიკვდილიანობა 30% აღემატებოდა. ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი თბილისისა და სოხუმის მაზრებში. სამამულო ომის წლებში თუ ანალოგიურ მდგომარეობას არ ჰქონდა ადგილი, ამაში დამსახურება ჩვენს საკოლმეურნეო წყობილებასა და მეცნიერებს მიუძღვით. პირუტყვის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლას რესპუბლიკის სამეწარმოქმედო ორგანოები, ზოოტექნიკური და ვეტერინალური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი და მკურნალი ექიმები ედგნენ სათავეში. ხშირად იმართებოდა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც მუშავდებოდა პირუტყვთა ჯიშის გაუმჯობესების, მათი საკვე-

---

380 სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 6, საქმე 268, ფურც. 29—30.
381 გაზ. „კომუნისტი", 1945, 22 მაისი.
382 გაზ. „კომუნისტი", 1945, 18 აგვისტო.
383 გ. მახათელაშვილს სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ბი ბაზების გაფართოებისა და პირუტყვთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები და მეთოდები.

სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და ინსტიტუტებში სერიოზული მუშაობა ჩატარდა საქართველოს მრავალწლიანი ძვირფასი კულტურების — ციტრუსოვანთა, ხეხილის, ვენახისა და სხვ. მავნებელთაგან დაცვისა და დაავადებათა სალიკვიდაციოდ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მთელი რიგი სამეცნიერო სესიები მიეძღვნა მარცვლეულ, ტექნიკურ, სუბტროპიკულ და სხვა მრავალწლიან ნარგავთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს. ჩვენი პრესის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა სტატიები მცენარეთა დაცვის საკითხებზე და სხვ.[384]. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად მიღებული დასკვნები წარმატებით ინერგებოდა პრაქტიკაში[385].

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი დიდ ღონისძიებებს ატარებდა ომის წლებში მევენახეობის დაცვისა და მისი მოსავლიანობის გაუმჯობესებისათვის[386].

---

[384] გაზ. „კომუნისტი", 1943, 14 აპრილი.

[385] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობდა სოფლის მეურნეობის კულტურების — მარცვლეულის, ციტრუსების, მრავალწლიანი ნარგავებისა და ტყის დაცვისათვის; სწავლობდა მათ დაავადებას და იმუშავებდა მეთოდებსა და ღონისძიებებს მავნებელთა წინააღმდეგ, ნერგავდა პრაქტიკულ წინადადებებს, რასაც სასურველი შედეგები მოჰქონდა.

სასუქებისა და მრავალწლიან მცენარეთა შესაწავლი საშუალებების მწარმოებელი ორგანიზაციების და რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ ომის მძიმე წლებში ძვირფასი მრავალწლიანი კულტურები წარმატებით იქნა დაცული და მათი ფართობი არამცთუ არ შემცირებულა. არამედ გადიდდა კიდეც. მაგალითად, სამამულო ომის წლებში მესხეთის რაიონებსა და აჭარაში ფართოდ იკიდებს ფეხს მევენახეობის კულტურა. საქართველოს სამხრეთის რაიონებში ახლად ჩასახლებულ კოლმეურნე გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა მევენახეობაში, ენერგიულად კიდებს ხელს მესხეთში მევენახეობის განვითარების საქმეს, რაც შეტად სასურველ შედეგებს იძლევა (გაზ. „კომუნისტი", 1945, ივნისი). ამ საქმეშიც მათ დიდ დახმარებას უწევდნენ მეცნიერები.

[386] ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა ომის წლებში შეისწავლა ქართლ-კახეთის ისტორიულად ცნობილი მევენახეობა-ჭეღვინეობის მიკრორაიონები, დიდ მუშაობას ეწეოდა საქარის საცდელი სადგური დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშების შესწავლისა და იმერეთის ღვინის ტიპების დაყენების გაუმჯობესებული წესების კოლმეურნეობებში დანერგვისათვის (სამამულო ომის არქივი, ფონდი 6, საქმე 268, ფურც. 28—29). საქართველოში ეხილეობის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხარისხოვანი ხეხილის ნამყენი სანერგეების მომცემ საბჭოთა მეურნეობებს. სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გრძელდებოდა ნაკეეთების გამოყოფა ახალ ნერგთა გასაშენებლად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფ. სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი ენერგიულ მუშაობას ეწეოდა ხეხილის ხარისხოვანი ჯიშების გამოყვანის, მათი სელექციის, მაღალმთიან რაიონებში ხეხილის მიჩურინული ჯიშების დანერგვისათვის. ასევე აღსანიშნავია ბებნისის, გორისა და სხვა სანერგეების ნაყოფიერი მუშაობა[387].

სამამულო ომის პერიოდში დიდ მუშაობას განაგრძობდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სოფ. ანასეულში დაარსდა ჯერ კიდევ 1930 წელს.

მეცნიერებათა დოქტორის ქ. ბახტაძის მიერ გამოყვანილ იქნა საუკეთესო ხარისხის ქართული ჩაი № 1 და № 2. რომლებიც მაღალი მოსავლიანობით, ფოთლის კარგი ხარისხითა და ყინვის ამტანობით ხასიათდება. ქ. ბახტაძეს სტალინური პრემიის ლაურეატობა მიენიჭა.

ომის წლებში, როგორც აღინიშნა, პატრიოტულ მუშაობას ეწეოდნენ რესპუბლიკის ვეტერინარიისა და ზოოტექნიკური დარგის სპეციალისტები და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები მეცხოველეობის დარგის დაცვა-განვითარებისა და პირუტყვის ახალი ჯიშების გამოყვანის, საკვები ბაზის განმტკიცებისა და პროდუქტიულობის შემდგომი ზრდის საქმეში.

* * *

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივმა აკად. ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით ომის წლებში სამაგალითოდ გარდაქმნა მუშაობა და გარკვეული წვლილი შეიტანა მტერზე გამარჯვების საერთო საქმეში.

ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები დაკავშირებული იყვნენ ჰოსპიტლებთან, სამხედრო-სამკურნალო ობიექტებთან და იკვლევდნენ იმ დაავადებათა და ჭრილობების სწრაფად განკურნების ხერხებს, რომლებმაც ომიანობის პირობებში იჩინეს თავი და მანამდე ნაკლებად იყო შესწავლილი. მათ მიერ შესწავლილ იქნა ისეთი მოვლენები, როგორიცაა კონტუზია და თავის ტვინის ჭრილობები, ნერვ-კუნთოვანი აპარატის დაზიანებისა და ჭრილობის ტკივილე-

---

[387] სამამულო ომის უკანასკნელ 1945 წ. დაარსდა რესპუბლიკური კანტორა „ხეხილსანერგე", რომელსაც ხუთი სანერგე განყოფილება ჰქონდა — ახალციხის, თბილისის, ბათუმის, წითელწყაროს და ცხაკაიას რაიონებში, სადაც მასობრივად იწყეს ხარისხოვანი ხეხილის ნამყენების გამოყვანა და გავრცელება.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობის უმდიდრესი ტრადიციები მეხილეობის დარგში ხელს უწყობდა მიჩურინელ კოლმეურნეთა რიგების ზრდას.

ბის დაყუჩების ფიზიოლოგიური საშუალებანი. ეფეთქების ტალღის გავლენა ორგანიზმზე და სხვ. მათი მიღწევები ფართოდ ინერგებოდა პრაქტიკაში და გამოიყენებოდა მკურნალი ექიმების მიერ. ინსტიტუტის თანამშრომლებმა ჯერ კიდევ 1941 წლის ნოემბრიდან თბილისის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მოაწყვეს ელექტრო-დიაგნოსტიკის კაბინეტი, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა დაჭრილებს მათზე ქირურგიული ოპერაციების უახლესი მეთოდებით ჩატარების საქმეში. ამავე დროს ინსტიტუტმა რიგ ჰოსპიტლებში კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია გახსნა და სპეციალური დანიშნულების დიდი სამუშაო შეასრულა.

გაზ. „Труд"-ის 1944 წ. 7 ოქტომბრის № 239 დაბეჭდილია მწერალი ქალის მარიეტა შაგინიანის სტატია: „Наука в Грузии", სადაც დახასიათებულია აკად. ი. ბერიტაშვილისა და მისი მოწაფეების ეს მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობა ომის წლებში. იგი წერს:

„საბჭოთა ფიზიოლოგიამ ომის დღეებში თბილისში კიდევ ერთი მტკიცე ნაბიჯი გადადგა ომის შესაცნობად, რაც ითვლებოდა მიუწვდომლად, — ღრმად შეიხედა ყველაზე უფრო სრულყოფილი ცოცხალი არსების — ადამიანის — თავის ქალაში".

ბერიტაშვილსა და მისი სკოლის ელექტროენცეფალოგრაფიული მეთოდებით ჰოსპიტლებში თავის ტვინის ქირურგიული მკურნალობის დიდი ეფექტიანობის შესახებ მწერალი დასძენს: „თვითონ ბერიტაშვილი ლაპარაკობს, რომ „ლიტერატურა ამ საკითხის შესახებ... ახლანდელ ომამდე არ არსებობდა".

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად ჩამოყალიბებული სამეცნიერო დაწესებულებების მთელი სამეცნიერო მუშაობა და ცალკეულ მეცნიერ თანამშრომელთა საკვლევი თემები, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ომის მოთხოვნებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ისეთმა სამეცნიერო დაწესებულებებმაც კი, როგორიცაა ენის, ფსიქოლოგიის, ისტორიისა და სხვ. ინსტიტუტები, რომელთა საქმიანობას ერთი შეხედვით ომის მოთხოვნებთან თითქოს ნაკლებად შეიძლებოდა ჰქონოდა კავშირი, აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა სამშობლოს თავდაცვის განმტკიცების საერთო საქმეში. ამ ინსტიტუტებში დამუშავებული მეცნიერული პრობლემები პასუხობდნენ როგორც დაავადებული საბჭოთა მეომრების ეფექტური მკურნალობის, ასევე მათი საბრძოლო ნებისყოფის განმტკიცებისა და პატრიოტულად აღზრდის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს. მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტში ომის წლებში ლოგოპეთიის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერ თანამშრომელთა მთელი საქმიანობა საქართვე-

ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავდაცვის ამოცანებთან. ომში კონტუზირებულთა მეტყველებისა და სმენის ფუნქციების აღდგენის მკურნალობის საქმეს ემსახურებოდა 10-ზე მეტი დამუშავებული თეორიული თემა[388], რომელთა საფუძველზე მიღებულ იქნა პრაქტიკული შედეგები და მრავალი კონტუზირებული მებრძოლი მოკლე დროში დაუბრუნდა საბჭოთა არმიას სავსებით გამოჯანსაღებული. გარდა ამისა, ინსტიტუტში ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა ანტიფაშისტური მეცნიერულ-პოპულარული ბროშურების გამოცემის, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნისა და მასებში საჯარო ლექცია-მოხსენების მოწყობის გზით. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა: არნ. ჩიქობავამ, ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, გ. წერეთელმა და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ნაყოფიერი მუშაობა ომის ფსიქოლოგიის თემატიკის პრობლემებზე, რომელსაც ისინი აკად. დ. უზნაძის ხელმძღვანელობით ახორციელებდნენ. პროფ. ა. ბოკორიშვილის, რ. ნათაძის, ზ. ხოჯავას, ვ. ფრანგიშვილის, ბ. ხაჭაპურიძის და სხვ. ქართველი ფსიქოლოგების მიერ ომის წლებში დამუშავდა ისეთი თემები, რომლებიც ანზოგადებდნენ სამამულო ომის გმირობისა და თავდადების დამახასიათებელ ფაქტებს, საომარი სიტუაციის, მებრძოლის ნებისყოფისა და სხვა საკითხებს. სპეციალურად სწავლობდნენ როგორც პანიკის პრობლემას და მისი თავიდან აცილების გზებს, ასევე ომში დაჭრილი ან კონტუზირებული მეომრის გამოჯანმრთელების საშუალებებს. ინსტიტუტის მთელი კოლექტივის საქმიანობა იქითკენ იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ ჰოსპიტლებთან და კვლევის შედეგად მიღებული თეორიული დასკვნების დანერგვით დახმარებოდნენ და რჩევა მიეცათ ექიმებისათვის დაავადებულთა ფსიქიკური თავისებურებების შესწავლისა და მათი განკურნების საქმეში.

ფსიქოლოგთა ნაყოფიერ მუშაობაზე ომის წლებში ისაც მეტყველებს, რომ სათანადო სამხედრო ორგანიზაციების მიერ აწ განსვენებულ პროფ. დ. უზნაძეს და მის თანამშრომლებს სპეცია-

---

[388] მაგ., „ენათმოშლილობის ტიპოლოგია", „ენათმოშლილობისა და მეტყველების აღდგენის პროცესი", „სმენისა და მეტყველების ურთიერთობის საკითხები", „კონტუზირებულთა სმენის აპარატი და მისი კავშირი მეტყველების მოშლილობასთან" და სხვ. (სამამულო ომის არქივი, ფონდი 6, საქმე 268, ფურც. 10; საქმე 755, ფურც. 51).

ლური ბრძანებულებით მადლობა გამოეცხადათ"[389]. ქართველმა ფსიქოლოგებმა ომის წლებში გამოაქვეყნეს რიგი ნაშრომები, მაგალითად, პროფ. დ. უზნაძემ გამოაქვეყნა ნარკვევი „ზოგი რამ ფაშიზმის „თეორიიდან"[390] და სხვ.

სამამულო ომის წლებში ხალხის მასების უფართოეს ფენებში გაღვივებული საბჭოთა პატრიოტიზმის საფუძველზე. სადაც „ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები"[391], განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი საბჭოთა ხალხების გმირული ისტორიისადმი, მათი კულტურის. არმიისა და ფლოტის ისტორიისადმი. 1941 წლის 7 ნოემბერს საბჭოთა არმიის პარადზე ი. ბ. სტალინი მებრძოლებს მიმართავდა „ომი რომელსაც თქვენ ეწევით, არის განმათავისუფლებელი ომი. სამართლიანი ომი, დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიადი წინაპრების ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე, დაე გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა"[392].

სსრ კავშირის ხალხთა გმირული ტრადიციების პროპაგანდა, მათი ეროვნული გმირების პოპულარიზაცია კიდევ უფრო მეტად აღაგზნებდა საბჭოთა ხალხს სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლებში. ომის წლებში დაწესდა გმირი წინაპრების სახელობის საბრძოლო ორდენები და სხვ. საბჭოთა ხალხის გმირული ისტორიული ტრადიციების მეცნიერულად შესწავლისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში უდიდესი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა ისტორიკოსებსა და მწერლებს. ახლებურად დაისვა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მთელი რიგი საკითხები, ამასთანავე გრძელდებოდა ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და უცხოეთის წინაშე ქედმოხრილობის მავნე შეხედულებებთან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმის გამოკვლევას, რაც ისტორიულად აკავშირებდა სსრ კავშირის ხალხებს უცხო დამპყრობლების, ცარიზმისა და მემამულურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლებში. ყურადღება გამახვილდა დიდი რუსი ხალხის ისტორიული მისიის შესწავლისა და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ერთ ურღვევ გმირ ოჯახად დარაზმვის საკითხებისადმი, ვინაიდან რუსეთის ცენ-

---

[389] სამამულო ომის არქივი, ფონდი 6, საქმე 268, ფურც. 12—13, საქმე 735, ფურც. 4—5.

[390] უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXII, 1942.

[391] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, სსრ კავშირის სამამულო ომის შესახებ, გვ. 178.

[392] იქვე, გვ. 44.

ტრალიზებული სახელმწიფო თავისი წარმოშობის დასაწყისშივე. გახდა „მიზიდულობის ცენტრი და დასაყრდენი მოძმე ხალხებისათვის, რომლებიც იბრძოდნენ უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ“[393]. როცა სოციალისტურ სამშობლოს მტრის თავდასხმით სერიოზული საფრთხე დაემუქრა, გმირმა რუსმა ხალხმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ იგი სსრ კავშირის ხალხთა შორის მთავარი ხელმძღვანელი ძალაა.

რუსეთის ხალხის გმირული ისტორიისა და საბრძოლო ტრადიციების მეცნიერული შესწავლა და პროპაგანდა კი არ უპირისპირდებოდა სსრ კავშირის სხვა ხალხების გმირული ისტორიული ტრადიციების პროპაგანდას, არამედ გულისხმობდა მას და ორთავე წარმატებით ხორციელდებოდა საბჭოთა ისტორიკოსთა საერთო ძალებით. მ. ი. კალინინი ისტორიკოსებს მოაგონებდა:

„ჩვენი ადამიანების ეროვნული სიამაყე და პატრიოტიზმი საბრძოლო საქმედ უნდა ვაქციოთ. ყოველ ხალხს თავისი ეროვნული გმირები ჰყავს. დაე, უფრო გამრავლდნენ ისინი. ახლა ომია, და იგი, როგორც ცნობილია, გმირებს წარმოშობს“. ამიტომ მ. ი. კალინინი აქვე ასეთ მითითებას იძლეოდა „აღზარდეთ ჩვენს ხალხში საბჭოთა პატრიოტიზმი, ეროვნული სიამაყე, მოაგონეთ ყოველ მებრძოლს მისი ხალხის გმირული ტრადიციები, მისი მშვენიერი ეპოსი, ლიტერატურა, დიდი ადამიანები, სარდლები და მხედართმთავრები, ხალხის მასების განთავისუფლებისათვის მებრძოლნი“[394].

სამამულო ომის წლებში დიდი ინტერესით შეისწავლებოდა სსრ კავშირის ხალხთა პატრიოტიზმი და ხორციელდებოდა გმირულ ტრადიციათა ფართო პროპაგანდა. სახელოვანი ისტორიული წარსულისა და ეროვნული გმირების დიადი საქმეების პოპულარიზაცია სამამულო ომის ფრონტზე და ზურგში გმირებს წარმოშობდა დამრავლებდა.

ვ. ი. ლენინი „ერის მჩაგვრელი უღლის წინააღმდეგ“ ომს მუდამ სამართლიანად და განმათავისუფლებელ ომად მიიჩნევდა[395].

ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გადახდილ სამართლიან ომებში მრავალი ეროვნული გმირი წარმოუშვია და თავდაცვის შესანიშნავი ორგანიზაცია შეუმუშავებია.

ქართველი ხალხის გმირული ისტორიული ტრადიციების. მისი სახალხო გმირებისა და მხედართუფროსების საგმირო საქმეების

---

[393] თეზისები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ, სახელგამი, 1954, გვ. 7.

[394] მ. ი. კ ა ლ ი ნ ი ნ ი, ერთიანი მებრძოლი ოჯახი, 1943, გვ. 5.

[395] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 49.

პოპულარიზაციისათვის სამამულო ომის წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ქართველი ისტორიკოსები, მწერლები, მხატვრები, რესპუბლიკის კინოსტუდიის კოლექტივი და თეატრალური მოღვაწეები. ქართული კულტურის ამ მძლავრ კოლექტივთა ერთობლივი და კოორდინირებული ნაყოფიერი მუშაობით არქივებსა და მუზეუმებში, არქეოლოგიური გათხრებითა და ეთნოგრაფიული საველე ექსპედიციებით, ახლად მიკვლეული მასალებისა და არსებულთა გამოყენებით დაიწერა საყურადღებო გამოკვლევები. რომანები და მოთხრობები, გამოქვეყნდა მეცნიერულ-პოპულარული სტატიები და ბროშურები.

კინოსტუდიებში ეკრანზე განსახიერდა ახალი დადგმები, რომლებშიც რელიეფურად აისახა ქართველი ხალხის გმირული ისტორია, ეროვნული გმირებისა და მხედართმთავრების მგზნებარე ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. გაცოცხლდა ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, თეიმურაზ პირველის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეორის, პეტრე ბაგრატიონის, გენერალ ანდრონიკაშვილისა და სხვათა გმირული სახეები.

მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი ქმნის სამეცნიერო-პოპულარულ სერიას—„ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ" და „წითელარმიელის ბიბლიოთეკას".

ამ სერიათა პოპულარულ ნარკვევებში გამომზეურდა რომაელთა[396] და სპარსელთა[397], არაბთა, მონღოლ-თათართა და თურქ-სელჯუკების[397], ჩინგიზ-ხანის[398], თემურ-ლენგის[399], შაჰ-აბასისა და აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ისტორიული ბრძოლების გმირული ეპიზოდები.

დაიწერა ცალკე სტატიები, ბროშურები და გამოვლინებულ იქნა ისტორიული დოკუმენტები სამშობლოს თავდაცვისათვის რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის გმირული წარსულიდან რუსეთ-ოსმალეთის პირველ ომში, რუსეთის 1812 წლის სამამულო ომისა და კავკასიის ომების ისტორიიდან[400].

პროფ. გ. ხაჟაპურიძემ ქართველი ხალხის გმირული წარსულის ისტორიული სურათის დახატვა სცადა პოპულარულ ნაშ-

---

396 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. მშობლიური ისტორიის გმირული ფურცლები, გაზ. „კომუნისტი", 1941, 18 სექტემბერი.

397 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, დავით აღმაშენებელი, 1942.

398 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, თათართა ბატონობის ხანა, 1941.

399 ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თათართა შემოსევები საქართველოში, 1943.

400 ამ სერიიდან ი. ანთელავა და ა. იოსელიანი აქვეყნებენ ნარკვევს. მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გენ. ანდრონიკაშვილი, 1943; დ. გ კ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, გენერალ პეტრე ბაგრატიონის ისტორიული წერილი; ივ. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, კრწანისის ბრძოლა, ჟურნ. „მნათობი" № 9—11, 1943. იბეჭდება ს. კაკაბაძის, ე. დონდუას, შ. მესხიას, ო. სოსელიას და სხვათა წერილები.

რომში „ქართველი ხალხი თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“ (1942 წლის გამოცემა), რომელიც დიდი ტირაჟით გავრცელდა. პროფ. შ. ჩხეტიამ და პროფ. პ. გუგუშვილმა გამოაქვეყნეს სტატიები, ნარკვევები და დოკუმენტები თემაზე — გერმანელი ინტერვენტების თარეშის ისტორიიდან საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს, რომელთაც უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა; სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკის შესახებ და სხვ.

სამამულო ომის უმძიმეს პირობებშიც კი ნაყოფიერ მუშაობას აგრძელებდნენ ქართველი ეკონომისტები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები და ფოლკლორისტები[401] გამოიცა პროფ. ბ. კუფტინის კაპიტალური ნაშრომი[402], „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხა პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით[403], პროფ. პ. გუგუშვილმა გამოაქვეყნა „კ. მარქსი ქართველ საზოგადოებრიობასა და პუბლიცისტიკაში“ და სხვ.

სამამულო ომის წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ხალხთა გმირული წარსულის შესწავლასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოკავშირე რესპუბლიკებისა და საერთოდ სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის შესწავლას.

ქართველმა ისტორიკოსებმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. მათ 1943 წელს გამოსცეს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (წიგნი I), სადაც აისახა ქართველი ხალხის ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე[404].

ომის წლებშივე გამახვილდა ყურადღება საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდისა და სამამულო ომის ისტორიის შესასწავლად. ამ მიზნით 1943 წლის 16 თებერვალს საქართველოს კპ(ბ) ცეკას ბიურომ საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით დადგენილება მიიღო საკ. კპ (ბ) ცეკასთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან სამამულო ომის ისტორიის მასალების შემგროვებელი სექციის ჩამოყალიბების შესახებ.

---

[401] ქართველმა ეთნოგრაფებმა და ფოლკლორისტებმა—გ. ჩიტაიამ, ა. რობაქიძემ, რ. ხარაძემ, მ. ჩიქოვანმა და სხვ. გამოაქვეყნეს ნარკვევები; დაბეჭდეს ბროშურები ეროვნულ გმირებზე ს. მაკალათიამ, ქ. სიხარულიძემ, აწ განსვენებულმა ლ. ბოკორიშვილმა და სხვ.

[402] Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалетии, Опыт р одинания пимятников, Тбилиси, 1941.

[403] გამოსცა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიამ 1942 წელს.

[404] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, წ. 1, რომელმაც თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს. დაწესებულებებს, სამხედრო და სამეცნიერო ორგანიზაციებს, რედაქციებს და სხვ. სათანადო ინსტრუქციის საფუძველზე სექციისადმი ქმედითი დახმარების აღმოჩენა საჭირო მასალების შეკაგროვებლად დიდ სამამულო ომში საბჭოთა საქართველოს მშრომელების მონაწილეობის შესახებ[105]. ამ მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისრა პროფ. გ. ხაჭაპურიძეს.

ომის წლებში მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა და მისმა მეცნიერმა თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს ათასზე მეტი ნაშრომი, გამოსცეს 150-მდე სახელწოდების წიგნი, რომელთა შორის მთელი რიგი კაპიტალური მონოგრაფიული ნაშრომებია. ასევე სისტემატურად იცემოდა ინსტიტუტების პერიოდული ორგანოები[106].

მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების ფართო მასებში გამოტანის ერთ-ერთ საშუალებად, ბეჭდურ პროდუქციასთან ერთად, იყენებდა გაერთიანებული სამეცნიერო საჯარო სესიების პერიოდულად მოწყობის პრაქტიკას. ომის წლებში მოეწყო ამ განყოფილების ოთხი სამეცნიერო სესია, სადაც ათეულობით მეცნიერული მოხსენება იქნა გამოტანილი.

ქართველი ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ლიტერატორები, ფსიქოლოგები და ფილოსოფოსები ფართო აუდიტორიების წინაშე გამოდიოდნენ პოპულარული და თეორიული მნიშვნელობის საჯარო მოხსენებებით ისტორიული და თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე; აქვეყნებდნენ პოპულარულ-მეცნიერულ ბროშურებს, ბეჭდავდნენ ჟურნალებსა და გაზეთებში ფართო მასებისათვის გასაგებ საყურადღებო სტატიებსა და წერილებს, რითაც ნიღაბს

---

[105] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 14, საქმე 12373, ფურც. 4. სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისიის ბაზაზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში 1950 წლიდან ყალიბდება საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილება.

[106] მაგ., სამამულო ომის სამი წლის მანძილზე მარტო აკადემიის „მოამბეში" 343 სახელწოდების მეცნიერული წერილი გამოქვეყნდა, ინსტიტუტების შრომებში — 326 სახელწოდების შრომა, სხვა ორგანოებში — 106 და ა. შ. სამეცნიერო შრომები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე.

ომის პერიოდშიც ღირსეულად ფასდებოდა ჩვენი საამაყო მეცნიერთა ღვაწლმოსილი მემკვიდრეობა. 1943 წლის ნოემბერში გამოჩენილი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტს მიეკუთვნა აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის სახელი (გაზ. „კომუნისტი", 1943, 18 ნოემბერი), ხოლო 1944 წლის ოქტომბერში პროფ. ა. მ. რაზმაძის სახელი მიეკუთვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტს.

ხდიდნენ ფაშიზმის რასული თეორიის არსს და ნერგავდნენ სიყვარულისა და თავგანწირვის გრძნობებს სოციალისტური სამშობლოსადმი. მაგრამ ომის ყაიდაზე სამეცნიერო დაწესებულებების გარდაქმნა ოდნავადაც არ ნიშნავდა ამა თუ იმ ინსტიტუტის ძირითადი ამოცანებიდან გადახვევას და იმ მეცნიერულ-თეორიული ამოცანების დავიწყებას, რისთვისაც იგი მოწოდებული იყო.

ომის დასაწყისშივე, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში საფუძვლიანად იქნა შეცვლილი სამეცნიერო-კვლევითი გეგმები იმ თვალსაზრისით, რათა მიახლოებოდა საკვლევი თემატიკა ქვეყნის თავდაცვის საჭიროებებს. ამ მიზნით ზოგი თემა ამოღებულ ან გადატანილ იქნა და თავდაცვის თემებით შეიცვალა, მაგრამ გარდა იმისა, რომ ეს ღონისძიებანი მეტ-ნაკლებად შეეხებოდნენ ცალკეულ, უმეტესად ტექნიკურ ინსტიტუტებს, თავიანთი პროფილისა და ხასიათის მიხედვით, — აკადემიის ძირითადი ინსტიტუტები გეგმაზომიერი პროპორციულობით უთავსებდნენ ერთმანეთს თავდაცვისა და წმინდა თეორიულ-მეცნიერულ კვლევითს მუშაობას. მათი ნაყოფიერი თეორიულ-კვლევითი მუშაობის შედეგები, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში თავის გამოხატულებას პოულობდა პრაქტიკულ წინადადებებში, რომლებიც წარმოებაში ინერგებოდა და გარკვეულ ეფექტს აძლევდა ჩვენს ქვეყანას.

ამრიგად, დადასტურებულია, *რომ მეცნიერული კვლევა-ძიება და წარმოება, თეორია და პრაქტიკა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სინამდვილეში მანამდე ისე მჭიდროდ არასოდეს არ ყოფილა დაკავშირებული ერთმანეთთან, როგორც ამას დიდი სამამულო ომის დროს ჰქონდა ადგილი.*

სწორედ თეორიისა და პრაქტიკის ამ არაჩვეულებრივად მჭიდრო კავშირის შედეგია ის, რომ სამამულო ომის პერიოდში სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ საწარმოო ძალების განვითარება: გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული წინადადებების მასობრივად დანერგვით მილიონობით თანხები დაიზოგა და განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის სამხედრო ეკონომიკა, მისი თავდაცვისუნარიანობა.

საქართველოს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში გაერთიანებული მეცნიერები და მთელი პერსონალი აქტიურად მონაწილეობდნენ ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონების აღდგენაში. ისინი მთელ თავიანთ ცოდნას, გამოცდილებას და პირად დანაზო-

გებსაც კი არ იშურებდნენ ამ კეთილშობილური და დიდად პუშანური პატრიოტული წამოწყებისათვის[407].

* * *

სამამულო ომის წლებში საბჭოთა მეცნიერება ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო განვითარდა, გამდიდრდა ახალი აღმოჩენებითა და დიდი მეცნიერული შედეგებით, ამ პერიოდში შეიქმნა სამედიცინო და პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიები. განსაკუთრებით დიდი ღონისძიებები გატარდა ნაციონალურ რესპუბლიკებში ახალი მძლავრი სამეცნიერო დაწესებულებების შექმნისა და გაძლიერებისათვის. 1943 წელს ჩამოყალიბდა უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემია. შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დასავლეთ ციმბირის ფილიალი, ხოლო 1945 წლის პირველ ნახევარში დაარსებულ იქნა მეცნიერებათა აკადემიები აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკებში.

სამამულო ომის წლებში საქართველოში არ შენელებულა სამეცნიერო დაწესებულებების ზრდა, მათი ორგანიზაციული განმტკიცება. ომის წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ახლად ჩამოყალიბდა ეკონომიკისა და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტები, ხოლო რიგი სექტორები და საცდელი სადგური დამოუკიდებელ სამეცნიერო ინსტიტუტებად და მსხვილ საკვლევო დაწესებულებებად გადაკეთდა. ასეთები იყო: ფსიქოლოგიის სექტორი, ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი და მცენარეთა დაცვის სადგური.

1942 წლის მარტში მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის ცალკე განყოფილება, რომელიც 8 სამეცნიერო დაწესებულებას აერთიანებდა.

ომის უკანასკნელ წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შეემატა ისეთი ახალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, როგორიცაა მეტალურგიული, სატყეო და გეოგრაფიის ინსტიტუტები. სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აკადემიის სისტემაში იქნა შეყვანილი, რითაც მყვიდრი ნიადაგი მოამზადა ოლქში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფართოდ გაშლის

[407] სამამულო ომის უკანასკნელ პერიოდში, როცა დღის წესრიგში დაისვა რესპუბლიკის თითქმის მთელი სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის შეძობრუნება და სამხედრო რელსებიდან სამშვალაქოზე გადაყვანა, რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და მთელი ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის წინაშე უაღრესად დიდი და საპატიო ამოცანები დაისვა. საქართველოს ინტელიგენციამ ამ ეტაპზეც წარმატებით შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

თვის. სამამულო ომის უკანასკნელ წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია 40-მდე ინსტიტუტსა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებას აერთიანებდა, სადაც თავს იყრიდნენ რესპუბლიკის ყველაზე უფრო გამოჩენილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ომის წლებში საქართველოში გაიზარდა ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერთა რიგები, რომლებმაც თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით, მხცოვანი სახელმოხვეჭილი მეცნიერების ხელმძღვანელობით წინ წასწიეს საბჭოთა მეცნიერების ყველა დარგი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებაში. ამათგან საუკეთესოებს სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭათ.

ომის წლებში შეუნელებლად გრძელდებოდა მეცნიერ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. მაგალითად, სამამულო ომის სამი წლის მანძილზე, მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთა მიერ დაცულ იქნა 72 დისერტაციაზე მეტი, მათ შორის 9—მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამი წლისთავზე, 1944 წლის თებერვალში ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები, დამატებით არჩეულ იქნა 15 ნამდვილ წევრად, ხოლო 13—წევრ-კორესპონდენტად.

საბჭოთა მეცნიერების პატრიოტიზმი და ერთგულება ღირსეულად დააფასეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. ბევრი მეცნიერი სამამულო ომის პერიოდში დაჯილდოვდა მთავრობის ორდენებით, სტალინური პრემიის ლაურეატებისა და სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდებით.

სტალინური პრემიების მინიჭება პირველად სამამულო ომის წინ მოხდა, მეორე და მესამეჯერ პრემიების მინიჭება სამამულო ომის დროს განხორციელდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს და სახელმოხვეჭილ ქირურგს, სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტს, სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის ნამდვილ წევრს იუსტ. ჯანელიძეს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

ამრიგად, გერმანელმა დამპყრობლებმა ომის წლებში არამცთუ ვერ შესწყვიტეს საბჭოთა მეცნიერების განვითარება და შემოქმედებითი შრომა, არამედ, პირიქით, სამამულო ომის კეთილშობილურმა მიზნებმა აღაფრთოვანა საბჭოთა მეცნიერები ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და მისი კულტურისა და ეკონომიკის განვითარებისათვის.

2. უმაღლესი სასწავლებლები

ომმა მკვეთრი მობრუნება გამოიწვია საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობაში. უმაღლესი სასწავლებლების ძთელი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საბჭოთა სამშობლოს დაცვის ამოცანებს დაუკავშირდა. სამშობლოს პირველი მოწოდებისთანავე სტუდენტთა და მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფრონტზე წავიდა. ზურგში დარჩენილები კი შეუნელებლივ მუშაობდნენ და საკუთარი რიგებიდან ამზადებდნენ რეზერვებს საბჭოთა არმიისათვის და სპეციალისტებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის.

უმაღლეს სასწავლებელთა დიდი ნაწილის მუშაობა მათი ევაკუაციის, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ნაწილის ფრონტზე წასვლის, ლაბორატორიებთა და სასწავლო დამხმარე მოწყობილობებით უზრუნველყოფის გაუარესების გამო. მეტისმეტად გართულდა და შეფერხდა. ფაშისტმა დამპყრობლებმა უმაღლეს სასწავლებლებს უდიდესი ზიანი მიაყენეს, მათ მიერ დაინგრა და აოხრდა 334 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 233 000 სტუდენტი სწავლობდა.

სამამულო ომის პირველ პერიოდში საქართველოში ჩამოდიან და რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობენ ნაყოფიერ მუშაობას ჰიტლერელების მიერ დროებით ოკუპირებული საბჭოთა რაიონების ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერი მუშაკები და ათასობით სტუდენტი. აქ ჩამოსული სტუდენტობა და პედპერსონალი ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით და გულთბილობით იქნა მიღებული. მათთვის რესპუბლიკის მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლის ცალკეულ ფაკულტეტებზე რუსულ ენაზე ახალი სექტორები ჩამოყალიბდა და არსებული გაფართოვდა. მიეცათ მათ საცხოვრებელი ბინები და სხვ.[408].

სამამულო ომის პირველ პერიოდში მოძმე რესპუბლიკებიდან საქართველოში ევაკუირებული მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან ერთად დროებით ჩამოსული სტუდენტობა და პედპერსონალის ნაწილი საქართველოში დარჩა ომის დამთავრებამდე. ხოლო ბევრი მათგანი ომის შემდეგაც აგრძელებს მუშაობას საქართველოში.

სამამულო ომის პერიოდში ქართველმა ინტელიგენციამ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღალი შეგნება გამოიჩინა და კიდევ უფრო განამტკიცა მეგობრობა სსრ კავშირში გაერთიანებული მოძმე ხალხების გონებრივი შრომის წარმომადგენლებთან.

---

[408] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმ 11, ფურც. 27.

ომის შედეგად შექმნილი სერიოზული სიძნელეების მიუხედავად, საბჭოთა უმაღლესმა სასწავლებლებმა, ისე როგორც სახალხო მეურნეობისა და კულტურის დანარჩენმა დარგებმა, ურთულეს საომარ პირობებში შეინარჩუნეს უმაღლეს სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სტუდენტობისა და პროფესურის ძირითადი კონტინგენტი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებმა ომის წლებში დაძლიეს ყოველგვარი სიძნელენი და თავდადებული შრომით ახალ წარმატებებს მიაღწიეს. ამით გააქარწყლეს მტრის ზრახვები, რომ იგი საბჭოთა ქვეყანას ომის დასაწყისიდანვე აიძულებდა, რათა დაეხურა უმაღლესი სასწავლებლები და დაკარგვოდა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების შესაძლებლობა. საბჭოთა არმია და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა ომის წლებში სისტემატურად ღებულობდა უმაღლესი განათლების სპეციალისტებს ექიმების, ინჟინრების, აგრონომებისა და სხვათა სახით.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დასაწყისიდანვე საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა გარდაქმნეს მუშაობა სამშობლოს დაცვის დიადი ამოცანების შესაბამისად. უმაღლეს სასწავლებლების ფაკულტეტებმა და კათედრებმა, გააგრძელეს რა დაძაბული მუშაობა ზურგში, თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა მთლიანად ახალ საომარ პირობებს შეუფარდეს. უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, სტალინირში, თელავში, გორსა და ზუგდიდში ერთმა ფიქრმა მოიცვა, ერთიანმა ძალამ გააერთიანა. მათ მთელი მუშაობა წარმართეს კომუნისტური პარტიის მიერ დაკისრებულ დიად ამოცანათა განსახორციელებლად: რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, მათ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბჭოთა არმიისათვის რეზერვების მომზადების მიზნით სამხედრო სწავლებამ, ფიზკულტურულმა აღზრდამ და გამანადგურებელ ბატალიონთა რაზმების მომზადებამ. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებიდან საბჭოთა არმია სისტემატურად ღებულობდა ახალ და ახალ კარგად მომზადებულ შევსებას, რომლთაგან ბევრმა ასახელა სამშობლო და გმირის სახელიც დაიმსახურა.

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების სანიმუშოდ შესრულებისათვის ბრძოლა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მოხერხებულად იყო შეთავსებული საბჭოთა არმიისათვის რეზერვების მომზადებასთან. სამხედრო და ფიზმომზადე-

ბის კათედრების მიერ სისტემატურად მზადდებოდა სნაიპერები. მეტყვიამფრქვევეები, ტანკგამანადგურებლები, ქიმინსტრუქტორები, უუმბარმტყორცნელები, ხელჩართული ბრძოლის ოსტატები. რადისტები, ტელეფონისტები და სხვ. სტუდენტობა სისტემატურად მონაწილეობდა მასობრივ გასამხედროებულ შეჯიბრებებსა და სპორტულ ლაშქრობებში.

სამხედრო საქმის შესწავლის საქმეში ასევე დიდ ინტერესს იჩენდა უმაღლესი სასწავლებლების პედპერსონალი. ისინი ერთიანდებოდნენ გამანადგურებელ ბატალიონებში და გულმოდგინედ ეუფლებოდნენ სამხედრო ტექნიკას. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საბჭოთა ახალგაზრდები მეცნიერებასთან ერთად საფუძვლიანად დაეუფლნენ სამხედრო საქმეს, მოიპოვეს სამხედრო წოდებები და საბჭოთა ოფიცრები გახდნენ. ფრონტებზე ისინი მაქსიმალურად იყენებდნენ სამხედრო ცოდნას და მტრის განადგურებისათვის ბრძოლებში მრავალმა მათგანმა ისახელა თავი. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს მჭიდრო წერილობითი კავშირი ჰქონდათ დამყარებული ფრონტებზე წასულ ბევრ თავის აღმზრდელთან. უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები ამაყობდნენ და მათ დიდ სიხარულს ჰგვრიდა ის, რომ ბევრი სწავლის ფრიადოსანი სტუდენტი და მოწინავე მეცნიერი მუშაკი ფაშისტებთან ბრძოლებში დიდ ვაჟკაცობას იჩენდა.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლობა ომის დაწყებიდანვე უშუალოდ ებმებიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წინაშე კომუნისტური პარტიის მიერ დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში. ისინი მუშებისა და კოლმეურნე გლეხების მხარდამხარ შრომობენ სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად. 1941 წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 508-მდე სტუდენტი გაემგზავრა ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების, მარცვლეულის, მეხილეობისა და მეცხოველეობის დარგების მოვლა-პატრონობისა და ფრონტზე წასული კვალიფიციური სპეციალისტების შესაცვლელად. ამ ინსტიტუტის 50-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი უშუალოდ მუშაობდა მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან არდადეგების პერიოდში პროფ. გ. წულუკიძე, დოც. პ. ჯიქია და სამთო ფაკულტეტის ბევრი მოწინავე სტუდენტი ტყვარჩელში გაემგზავრა. მათ შახტის ინჟინერ-ტექნიკოსებსა და

მოწინავე სტახანოველ მუშებთან თანამშრომლობით ბევრი ახალი ტექნიკური გაუმჯობესებანი დანერგეს და გაზარდეს ქვანახშირის ამოღება.

3. ი. ლენინის სახ. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსი კურსის სტუდენტები რკინიგზისა და სხვა სახის ტრანსპორტის პასუხსაგებ სამუშაოებზე გაემგზავრნენ. 1942 წლის ზაფხულში, არდადაგების დროს 350-მდე სტუდენტი გამოყენებული იყო მემანქანეების და ელექტროტექნიკოსების თანამდებობებზე. ისინი მონაწილეობდნენ გზებისა და ხიდების მშენებლობაში და ა. შ.

ქუთაისის პედინსტიტუტის 300 სტუდენტი და 20 მასწავლებელი 1944 წლის ზაფხულში სამუშაოდ გაემგზავრნენ წულუკიძის რაიონში ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ერთი თვით, სადაც 105 000 კვ. ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს, გათოხნეს 15 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. წინა წელს სტუდენტობა ასევე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც 21 000 შრომადღე გამოიმუშავეს[409].

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობის და პედპერსონალის მაღალი შეგნება და შემოქმედებითი შრომა ყველაზე უფრო რელიეფურად გამოვლინდა კავკასიის დაცვის უმძიმეს დღეებში, როცა ფაშისტები კავკასიის ხალხებს დამონებით ემუქრებოდნენ. ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლების მიერ თბილისში ჩატარებულ ანტიფაშისტურ მიტინგზე აღებული ვალდებულება ჩვენმა ინტელიგენციამ ღირსეულად შეასრულა. საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ათასობით სტუდენტი და პედპერსონალი გმირულად იბრძოდა და იცავდა გმირ ქალაქებს — მოსკოვს, სტალინგრადს, ლენინგრადს, სევასტოპოლსა და სხვ.[410].

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივის ძირითად ამოცანად სამამულო ომის წლებში კვლავ რჩებოდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და მაღალხარისხოვანი შრომებით მეცნიერების ცალკეულ დარგთა წინწაწევა. ომის წლებში საქართველოში იყო ისეთი ინსტიტუტები,

[409] სამამულო ომის ისტორიის არქივი. ფონდი 4. საქმე 11, ფურც. 7.

[410] რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტობამ და პედპერსონალმა, როცა მტერი საქართველოს საზღვრებზე მოიქცა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს თავდაცვითი სიმაგრეების მშენებლობაზე, უღელტეხილების გამაგრებისა და, მტრის დივერსიული ჯგუფების წინააღმდეგ გამანადგურებელი ბატალიონების საბრძოლო ოპერაციებში.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის სტუდენტობამ და პედპერსონალმა 1942 წელს მხოლოდ ქ. ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებსა და ქალაქის გასამაგრებელ სამუშაოებზე 18 000 შრომადღე გამოიმუშავეს.

რომლებიც ომამდელ წლებთან შედარებით ზრდიდნენ ინსტიტუტში მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს და სასწავლო პროგრამებში ცვლილებების შეტანით ხშირად გათვალისწინებულ ვადაზე ადრე ამთავრებინებდნენ უმაღლესი სასწავლებლის მთლიან კურსს ჩვენს სტუდენტობას. ასეთ ღონისძიებებს განსაკუთრებით მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელს საბჭოთა არმია და სახალხო მეურნეობა სასწრაფო გადაუდებელ მოთხოვნებს უყენებდა. პირველ ყოვლისა ეს შეეხება რესპუბლიკის სამედიცინო ინსტიტუტებსა და უმაღლეს საინჟინრო-ტექნიკურ სასწავლებლებს.

რესპუბლიკის სამედიცინო ინსტიტუტებმა ომის დროს გააძლიერეს სპეციალისტების მომზადება და სულ 3734 მედიცინის მუშაკი გამოუშვეს. მათ შორის 3390 ექიმი, 344 ფარმაცევტი და სხვ. საქართველოდან განთავისუფლებულ რაიონებში 500-მდე ექიმი იქნა გაგზავნილი[411]. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმა ომის პერიოდში 2500 ექიმი და 2000 საშუალო მედპერსონალი გადაამზადა[412].

ომის მძვინვარე წლებში აგრონომების, ვეტექიმების, ზოოტექნიკოსების, მეტყევე ინჟინრებისა და მელიორატორების მომზადება კვლავ წარმატებით გრძელდებოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებში.

სამამულო ომის წლებში საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და ინსტიტუტებში დიდი წარმატებით გააძლიერეს მუშაობა კადრების მომზადებისა და მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მომზადდა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში ასობით ასპირანტი, რომელთა დიდმა უმრავლესობამ წარმატებით დაიცვეს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

საბჭოთა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა მიერ სპეციალისტების გამოშვება 1941—1945 წლებში ნათლად მეტყველებს იმ წარმატებებზე, რასაც კადრების მომზადების საქმეში ჰქონდა ადგილი. რესპუბლიკაში ომის პერიოდში სულ გამოშვებული იყო 13 910 უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი.

სამამულო ომის პერიოდში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების გამოშვებასთან ერთად ყოველწლიურად მრავლდებოდა რიცხვი საშუალო ტექნიკური განათლების მქონე მუშაკებისა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის თავდაცვისა და გასაზღვროებული სახალხო მეურნეობის სამუშაოებში. აღნიშნულ პე-

---

[411] ლ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი. საექიმო კადრები საქართველოში დიდი სამამულო ომის შემდეგ. თბილისი, ნაწ. I, 1958, გვ. 42.

[412] საქართველოს სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მასალები. გაზ. „კომუნისტი", 1944, 18 და 19 მარტი.

რიოდში სულ მომზადდა 22 710 საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი. ომის შემდგომ 1946 სასწავლო წელს ამ ტიპის 126 სასწავლებელში 25 552 მოსწავლე ითვლებოდა, ე. ი. ზრდა არ შენელებულა.

ასეთია სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა საქართველოში უმაღლესი კვალიფიკაციისა და საშუალო ტექნიკური (სპეციალური) განათლების მქონე მუშაკთა მომზადების სურათი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ომის პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა მუშა-მოსამსახურემ და მოსწავლე ახალგაზრდობამ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა პედპერსონალის დახმარებით წარმოებისაგან მოუწყვეტლივ გულმოდგინედ მოჰკიდეს ხელი ტექნიკური, აგრონომიული და ზოოვეტერინარული ცოდნის მინიმუმის დაუფლების საქმეს[413].

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლობა თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას კარგად ათავსებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან. უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო პროგრამები, კათედრებისა და ლაბორატორიების კვლევითი მუშაობა საფუძვლიანად გარდაიქმნა, ბევრ შემთხვევაში შეიცვალა კვლევის ობიექტები, სამეცნიერო გეგმები და თემატიკა. დიდი ადგილი დაეთმო სტუდენტობისა და პედპერსონალის სამხედრო-თავდაცვითი სწავლებისა და საბრძოლო მომზადების საქმეს. შემოღებულ იქნა რიგი ახალი საგნები, ზოგიერთი საგნის სასწავლო საათების შემცირებისა ან სრულიად ამოღების გზით. უმაღლეს სასწავლებელთა სათანადო კათედრების წამყვანი მეცნიერების კვლევითი მუშაობა თავდაცვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს დაუქვემდებარდა. სასოფლო-სხმეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის, მემცენარეობის, მექანიზაციისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კათედრები დიდი მნიშვნელობის სამეცნიერო კვლევით და პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდნენ; ისინი ენერგიულად იბრძოდნენ ომის წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის.

იგივე ითქმის სახელმწიფო უნივერსიტეტის. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და განსაკუთრებით ტექნიკური უმაღლესი სასწავლებ-

---

[413] 1942 წლის თებერვლისათვის. მაგ., აგრომინიმუმს სათანადოდ დაეუფლა 837 მოსამსახურე და 20 380 მოსწავლე ახალგაზრდა. ამავე დროისათვის აგროზოოვეტმინიმუმის დაუფლების საქმეში ჩაბმული იყო 20 533 მოსამსახურე და 41 ათასზე მეტი მოსწავლე. მხოლოდ 1941 წლის მანძილზე რესპუბლიკაში 2907 ტრაქტორისტი მომზადდა, რომელთაგან 1366 ქალი იყო (ცნობები აღებულია რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოდან).

ლების, მათი კათედრებისა და ლაბორატორიების ნაყოფიერ მუშაობაზე, როგორც კადრების მომზადების, ასევე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ახლებურად წარმართვის მხრივ.

უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკისა და ქიმიის კათედრებმა და ლაბორატორიებმა აიღეს რიგი სპეციალური დავალებები, რომლებიც ფრონტისა და ზურგის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა. ისინი ამზადებდნენ ცეცხლწამკიდ ბალონებს, ქიმიური თავდაცვისათვის საჭირო საგნებს და სხვ. ასევე ენერგიულად მუშაობდნენ გასამხედროებული მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის საჭირო ადგილობრივი რესურსების შესწავლა-გამოვლინებისა და მათი წარმოებებში დანერგვის ამოცანათა გადასაწყვეტად.

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრები დიდი მასშტაბის სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას აჩაღებენ ომის წლებში როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. ისინი ყოველთვის გვერდში ედგნენ პარტიულ ორგანიზაციებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვის საქმეში.

სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში პერიოდულად ქვეყნდებოდა სამეცნიერო შრომები, რომლებიც ეხმაურებოდნენ ომის დროის ყველაზე უფრო აქტუალურ საკითხებს. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა პედპერსონალი ენერგიულად ზრუნავდა საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ბევრმა მათგანმა წარმატებით დაიცვა მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ომის წლებში სისტემატურად ტარდებოდა როგორც პედპერსონალის, ასევე სტუდენტობის სამეცნიერო კონფერენციები, სადაც ხდებოდა შეჯამება და აზრთა გაცვლა მეცნიერების სხვადასხვა დარგის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისა და მოპოვებულ შედეგთა პრაქტიკულად გამოყენების შესახებ[414].

სამამულო ომის უკანასკნელი წლისათვის თუ უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი რესპუბლიკაში რამდენადმე შემცირდა, სამაგიეროდ სტუდენტების რიცხვი მეტი იყო ვიდრე ომამდე. 1940—1941 სასწავლო წელს საქართველოს 21 უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა რიცხვი 21 100 არ აღემატებოდა. 1945 წ. საქართველოში 20 უმაღლესი სასწავლებელი ითვლებოდა, სადაც 22 670 სტუდენტი სწავლობდა და მუშაობდა 2372 პროფესორ-მასწავლებელი[415].

---

414 სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 1000.

415 ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

სამამულო ომის უკანასკნელ, განსაკუთრებით 1945—1946 წლებში რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს დაუბრუნდნენ ფრონტზე წასული სტუდენტები. რომლებმაც პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე და ომის დამთავრების შემდეგ ახალი ენერგიით გააგრძელეს სწავლა.

სსრ კავშირის მთავრობამ 1946 წ. 6 მარტს მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ. დიდი სახსრები იქნა გაღებული და განმტკიცდა უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბაზა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფართოდ გაიშალა კრიტიკა და თვითკრიტიკა. აზრთა ბრძოლა და სამეცნიერო დისკუსიები ფილოსოფიის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერების, პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერებათა სხვა დარგებში. ბრძოლა გამოეცხადა ე. წ. „არაკრეული რეჟიმს", რომელიც ბოჭავდა მეცნიერებათა ცალკე დარგების განვითარებას, ნერგავდა საბჭოთა მეცნიერებისათვის უცხო, მონოპოლიურ, კასტურ ტენდენციებს და გზას უხშობდა ნიჭიერ საბჭოთა ახალგაზრდობას[116].

3. სახალხო განათლება

ომმა უდიდესი ზიანი მიაყენა ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს, საბჭოთა სკოლას და სახალხო განათლებას მთლიანად. ფაშისტ დამპყრობლების მიერ ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში დანგრეულ და გაძარცულ იქნა 82 ათასი საშუალო და დაწყებითი სკოლა, რომლებშიც ომამდე 15 მილიონამდე ბავშვი სწავლობდა. ომის პერიოდში საბჭოთა ბავშვების მნიშვნელოვან ნაწილს დროებით მოესპოთ სწავლის განგრძობის შესაძლებლობა. უდედმამოდ და ხელმოკლედ დარჩენილი ბავშვების დიდი ნაწილი სკოლებს ჩაშოშორდა. ისინი მუშაობაში ჩაებნენ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ამ ბავშვთა ერთი ნაწილი წარმოებიდან მოუწყვეტლივ აგრძელებდა სწავლას. მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში დარჩენილი ასეულ ათასობით ბავშვები კი საუნებით

---

[116] ომის შემდეგ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ერთგვარი რეორგანიზაცია ჩატარდა. შემცირდა უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი. მაგ., 1948 წ. სტომატოლოგიური და ფარმაცევტული ინსტიტუტები სამედიცინო ინსტიტუტთან გაერთიანდნენ როგორც ცალკე ფაკულტეტები.

1948 წელსვე თბილისში დაარსდა უცხო ენათა ინსტიტუტი, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი რუსულ ჰეიინსტიტუტად გადაკეთდა და სხვ.

პოწყდნენ სკოლებს: ვაჟები და გოგონები, რომელთაც ომამდე ქალაქ-დათ დამთავრებული დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლები, სწავლას ვეღარ აგრძელებდნენ ოკუპაციის წლებში და რჩებოდნენ სათანადო განათლების მიღების გარეშე.

ოკუპაციისა და ევაკუაციის ურთულეს პირობებში და, საერთოდ, ომის პერიოდში სერიოზულად შეფერხდა საყოველთაო-საალდებულო დაწყებითი სწავლების (შემოღებულ იქნა საკ. კპ(ბ) XVI ყრილობის დადგენილების საფუძველზე 1930 წ. 25 ივლისიდან). შვიდწლიანი სწავლებისა (შემოღებულ იქნა 1934 წლიდან საკ. კპ (ბ) XVII პარტყრილობის დადგენილების საფუძველზე) და საშუალო განათლების განხორციელება ქალაქის სკოლების ფარგლებში (შემოღებულ იქნა საკავშირო კპ(ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, იხ. სკკპ რეზოლუციებში. ტ. III, გვ. 94, 302 და 504), ამასთანავე გაიზარდა განთესვა თვით სკოლებიდან მოწაფეთა კონტინგენტისა. მასწავლებელთა და მაღალი კლასების მოსწავლეების მნიშვნელოვანი ნაწილი ფრონტებზე წავიდა.

მიუხედავად სერიოზული სიძნელეებისა, რომლებიც შეიქმნა ომის წლებში, შენარჩუნებულ იქნა სკოლებში მოწაფეთა ძირითადი კონტინგენტი. პედპერსონალთა კადრები და მუშაობა სასწავლებლებში არსებითად ომის ყაიდაზე გარდაიქმნა. მოსწავლეთა აღზრდა და მათ მიერ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება, რესპუბლიკის სკოლების მთელი საქმიანობა მტერზე გამარჯვების საპატიო ამოცანებს დაუკავშირდა. მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი და მაღალი კლასის მოსწავლეები, რომელთაც კი შეეძლოთ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის თავდაცვაში, ფრონტზე წავიდნენ. ბევრმა მათგანმა მტერთან ბრძოლაში დიდი სახელი მოიხვეჭა. მაგ., მასწავლებელი კ. ტყაბლაძე, გ. ბუაჩიძე და სხვები საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ[417].

ზურგში დარჩენილი მოსწავლე ახალგაზრდობა თავისი სწავლითა და ფიზკულტურული მუშაობის საფუძვლიანად გაძლიერებით ამზადებდა რეზერვებს საბჭოთა არმიისათვის. სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა სპორტუ-

---

[417] ფრონტზე წასული მასწავლებლები ორგანიზებულად იქნენ შეცვლილი ქალი მასწავლებლების მიერ ისე, რომ სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობაზე ამას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია (სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 1023, ფურც. 2). სავსებით საწინააღმდეგო იყო მდგომარეობა საქართველოში 1-ლი მსოფლიო ომის პერიოდში, ამის შესახებ გაზ. „სახალხო ფურცელში" ეკითხულობდა: „1916 წლის შემოდგომიდან ბევრი სოფელი დარჩა უმასწავლებლოდ. მამაკაცები სულ ომში წავიდნენ. ზოგიერთ სოფელში მათ მაგიერ ჯერ არავინ დაუნიშნავთ" (გაზ. „სახალხო ფურცელი", 1917, 6 იანვარი).

ლი მოედნებისა და დარბაზების მოწყობა-გამოყენებას, სპორტული ინვენტარის დამზადებას. მაგალითად, 1944 წელს საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სკოლებისათვის 10 700 სხვადასხვა ტიპის სპორტული ინვენტარი დაამზადეს, მოაწყვეს 70 სპორტული, 613 კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი[418]. სკოლებში ფიზკულტურული სწავლების გაღრმავებასთან ერთად გაიზარდა მოოხოვნა ამ საგნის მასწავლებლებზე. მაგალითად, რესპუბლიკის სკოლებს 1943—1944 წელს 481 ფიზაღზრდის ხელმძღვანელი აკლდა[419].

სისტემატურად ტარდებოდა სპორტული ღონისძიებანი ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთსა და სპორტის სხვადასხვა სახეებში, ტარდებოდა აგრეთვე კომკავშირულ-პროფკავშირული კროსი და სხვ. ყველა ეს ღონისძიება ერთ დიად მიზანს ემსახურებოდა — მოემზადებინა ღირსეული რეზერვები საბჭოთა არმიისათვის, რათა პირველი დაძახებისთანავე იარაღით დაეცვათ საბჭოთა სამშობლო.

ომის წლებში თვით ძირითადი საგნების სასწავლო გეგმები და მათი სწავლებაც ახლებურად გარდაიქმნა, იგი მჭიდროდ დაუკავშირდა თავდაცვის ამოცანებს.

მაგალითად, მშობლიური ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება მოწაფეებში საბჭოთა პატრიოტიზმის უსპეტაკეს გრძნობებს აღვივებდა. ამ მიზნით სკოლებში ფართოდ ხდებოდა სამშობლოსათვის თავდადებულთა გმირული ტრადიციების პროპაგანდა და მისი დაკავშირება დიდი სამამულო ომის ამბებთან.

ფიზიკა-მათემატიკის, გეომეტრიის და ბუნებისმეტყველების სწავლებაც კი, მოსწავლეთა ველად გაყვანა, გარემოს გაცნობა, გეოდეზიისა და ტოპოგრაფიის უმარტივესი ინსტრუმენტების პრაქ-

---

[418] 1941 წ. შემოდგომიდან საქართველოში უფროსი კლასებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთათვის საგრძნობლად გადიდდა ფიზკულტურული მომზადებისათვის საჭირო საათები. წინამდელ მოსწავლეთა მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. შერჩეულ იქნა საგნის მასწავლებლები, მოეწყო მათი მოსამზადებელი სპეციალური კურსები და სხვ. ამავე ღონისძიებებთან იყო დაკავშირებული ქალ-ვაჟთა განცალკევებით სწავლების შემოღება, რაც აადვილებდა ვაჟთა შორის ფიზკულტურული სწავლების. უკეთ დაყენებას.

გაძლიერდა სასპორტო მუშაობა. მაგალითად, 1941—1942 სასწავლო წელს სასპორტო მასობრივ მუშაობაში 69 ათასი მოსწავლე მონაწილეობდა. 1942—1943 წლებში რესპუბლიკაში 36 სასპორტო სკოლა ითელებოდა, სადაც 9 ათასამდე მოსწავლე იყო. 1943—1944 წელს საქართველოში კიდევ დამატებით იქნა გახსნილი 19 სასპორტო სკოლა (ჟურნ. „ბოლშევიკი", 1943, № 9, გვ. 47—48).

[419] საქართველოს ალკკ XVI ყრილობის ანგარიშიდან, გაზ. „კომუნისტი", 1945, 27 თებერვალი.

ტიკულად გამოყენება და საერთოდ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება სკოლებში თავდაცვის ამოცანებთან იყო დაკავშირებული იმგვარად, რომ სწავლისადმი ზიანი არ მიეყენებინა. ამასთანავე დამახასიათებელია ისიც, რომ ომის უაღრესად მკაცრ წლებში ძირითადად შენარჩუნებულ იქნა სკოლების ქსელი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ძირითადი კონტინგენტი. მაგალითად, ომამდელ 1940 წელს რესპუბლიკაში 4511 სკოლა, 30 723 მასწავლებელი და 740,6 ათასი მოსწავლე ითვლებოდა[420], 1943—1944 სასწავლო წელს სკოლების რაოდენობა 4125-მდე შემცირდა, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი—595 200-მდე. მაგრამ ასეთი მდგომარეობა მალე იცვლება. 1945—1946 სასწ. წელს საქართველოში უკვე 4637 საერთო საგანმანათლებლო სკოლა ითვლებოდა, სადაც 40 850-მდე მასწავლებელი ასწავლიდა.

მთელი რიგი სკოლები ჰოსპიტლებად გადაკეთდა, ამიტომ ოქმნილი სკოლების დიდი ნაწილი სამამულო ომის წლებში მრავალცვლიანი გახდა. სკოლების ჰოსპიტლებად დროებით გადაკეთებით, მართალია, მეცირდებოდა სკოლების რიცხვი, მაგრამ ამ მიზეზით მოწაფეობა, მრავალცვლიანი სწავლების გაფართოების გზით, არ რჩებოდა სკოლის გარეთ. მიუხედავად ამისა, ომმა უარყოფითი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა აღზრდაზე, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების ნორმალურ მსვლელობაზე. 1942—1943 სასწავლო წელს საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა განთესვა. სასკოლო ასაკის ბავშვთა საყოველთაო-სავალდებულო სწავლება დიდად შეფერხდა. რესპუბლიკის გეგმა ამ მიმართულებით მხოლოდ 75%-ზე შესრულდა. 696 426 მოსწავლის ნაცვლად 520 343 მოსწავლე იყო ჩაბმული საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაში. კიდევ უფრო მეტ ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი ცალკეულ რაიონებში. მაგალითად, აჭარისა და ბოგდანოვკის რაიონებში იგი 71% არ აღემატებოდა, ხოლო ქართლის რაიონებში 73%-ზე უდრიდა. 1943 წელი გარდატეხის წელი იყო რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად მისი კულტურისა და, კერძოდ, სკოლების მუშაობის აღმავლობის საქმეში[421].

სტალინგრადის ისტორიული გამარჯვებისა და კავკასიის მისადგომებთან მტრის განადგურების შემდეგ სასკოლო აღმზრდელობი-

---

420 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს I მოწ. 12 სესიის მასალებიდან, გაზ. „კომუნისტი", 1945, 17 მარტი.

421 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი. ფონდი 14, საქმე 12846, უფრც. 3.

თი მუშაობის გაუმჯობესების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. 1942—1943 სასწავლო წელთან შედარებით 1943—1944 სასწავლო წელს საქართველოში საგრძნობლად გადიდდა სკოლებში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი და შემცირდა სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა რაოდენობა, თანდათანობით ბოლო ეღებოდა სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლის გარეშე დარჩენას[422].

1943 წლის სექტემბერში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დირექტივის საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ ღონისძიება დასახა შვიდი წლის ასაკს ბავშვთა სასწავლებლებში მიღების შესახებ. ამ ღონისძიებით 14 წლის ასაკში ამთავრებდა ბავშვი 7-წლიან სკოლას და ვინც მოისურვებდა შესაძლებლობა ეძლეოდა სწავლა განეგრძო. მათ აგრეთვე შეეძლოთ ადრევე დაემთავრებინა საქარხნო-საფაბრიკო და შრომის რეზერვების სხვა ტიპის სკოლა, ადრე ჩაბმულიყო წარმოებაში როგორც კვალიფიციური მუშაკი და სამშობლოსათვის მეტი სარგებლობა მოეტანა.

ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობისათვის საღამოს სკოლების მოწყობის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წ. 15 ივნისისა და 1944 წ. 6 ივლისის ღონისძიებათა საფუძველზე აღმოცენდა და გამრავლდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის (უმთავრესად, საღამოს) სკოლები; ამ ტიპის სკოლები საქართველოში 1940 წლისათვის 260 არ აღემატებოდა, სადაც 26 ათასამდე მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობა სწავლობდა. 1944—1945 სასწავლო წლის დასაწყისისათვის კი მათი რიცხვი 495-მდე გაიზარდა, რომლებშიც 39 ათასზე მეტი მოსწავლე იყო. 1945—1946 სასწავლო წელს ამ ტიპის სკოლების რიცხვი 796-მდე გაიზარდა[423]. ამათ რიცხვში არ შედის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები, სადაც 1946 წელს 5 ათასზე მეტი მუშა ახალგაზრდა სწავლობდა[424].

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ სამამულო ომის გარკვეულ ეტაპზე აღნიშნული ტიპის სკოლების მოწყობა და მათში მოსწავლეთა კონტინგენტის ასე სწრაფად ზრდა იყო ნათელი გამო-

---

[422] სამამულო ომის 1-ლ პერიოდში, ორი სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოს სკოლებს მოსწავლეთა შემადგენლობის თუ 29%-ი ჩამოშორდა. სამამულო ომის შემდგომ პერიოდში მდგომარეობა ამ მხრივ არსებითად იცვლება. 1944—1945 სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებში 667 700 მოსწავლე ირიცხებოდა ე. ი. 1943 წელთან შედარებით ათეულ ათასობით მოსწავლით მეტი. ეს იყო დიდი ნაბიჯი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის ცხოვრებაში გასატარებლად (ჟურნ. „ბოლშევიკი", 1943, № 9. გვ. 4).

[423] **Народное хозяйство Груз. ССР. Стат сборн., Тбилиси, 1957,** გვ. 195.

[424] გაზ. „კომუნისტი", 1945, 27 თებერვალი.

ხატულება იმისა, რომ კომუნისტური პარტია იჩენდა უდიდეს ძზრუნველობას მუშათა და კოლმეურნე ახალგაზრდებისადმი, რომ-ლებიც ომის წლებში გარკვეული პირობების გამო დროებით მოწ-ყდნენ სკოლებს და წავიდნენ სამუშაოდ ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლ-მეურნეობებში.

სამამულო ომის წარმატებით დამთავრებისთანავე განსაკუთრე-ბით დიდი ყურადღება მიექცა საყოველთაო-სავალდებულო სწავ-ლებას, დაისახა ღონისძიებები სკოლების რემონტის, განთესილთა აღრიცხვისა და სწავლებაში ჩაბმის, მასწავლებელთა გადამზადების და სხვათა შესახებ. მითითება მიეცა აგრეთვე სათანადო ოგანოებს უმოკლეს ვადაში აღერიცხათ უპატრონო მოწაფეები და დასმარე-ბოდნენ მათ მატერიალურად. 400 ახლად დანიშნული მასწავლებ-ლისათვის ჯერ კიდეე 1943 წ. ზაფხულში მოეწყო გადასამზადებელი კურსები. დაჩქარდა სახელმძღვანელოების გამოცემა და ა. შ.[425].

ომის მძიმე წლებშიც კი არ შენელებულა კომუნისტური პარტიის ზრუნვა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯო-ბესებლად. 1943 წ. 11 აგვისტოს საბჭოთა მთავრობამ დასახა ღონის-ძიებანი „მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკებისათვის ხელფა-სის მომატების შესახებ", რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სა-მამულო ომის დასასრულს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლების მშენებლობას. სასწავლო კაბინეტებით, ლაბორატორიე-ბითა და ხელსაწყოებით მათ მომარაგებას. 1945 წელს გაგრაში, გუ-დაუთასა და ოჩამჩირეში გაიხსნა პედაგოგიური სასწავლებლები. 1944 წელს 25 ახალი სკოლა აშენდა საქართველოში. დამთავრდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ქიმიის კორპუსის მშენებლო-ბა და სხვ.

სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებ-ლებსა და ყველა ტიპის სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რუსული ენის საფუძვლიანად დაუფლების საქმეს. გადიდდა საათების რიცხვი და ახალი ღონისძიებები დაისახა რუსული ენის კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად. საგრძ-ნობლად გადიდდა მისაღები კონტიგენტის რიცხვი სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პედინსტიტუ-ტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე. ჩამოყალიბ-და რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებანი ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და გორის პედინსტიტუტებში.

---

[425] გაზ. „კომუნისტი", 1945, 27 თებერვალი.

სამამულო ომის უკანასკნელი წლებისა და ომის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის სკოლებში გატარდა მთელი რიგი რეფორმები,—დაწესდა სკოლების შინაგანაწესი, შემოღებულ იქნა გამოცდები სიმწიფის ატესტატის გაცემასთან დაკავშირებით, ყველაზე უფრო მოწინავე მოსწავლეთათვის დაწესდა ოქროსა და ვერცხლის მედლები. ამ ღონიძიებათა გატარებამ საფუძვლიანად გარდაქმნა სკოლების სახე, განამტკიცა სასწავლო დისციპლინა, გაზარდა მასწავლებლის ავტორიტეტი და მოსწავლეთა აკადემიური მომზადების დონე. ყველაფერი ეს ერთად აღებული იყო სისტემა ღონისძიებებისა, შემუშავებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომლებიც ყველა იმ უარყოფით გავლენათა შედეგების ლიკვიდაციას ახდენდნენ, რაც ომმა ჩვენს სკოლებს მიაყენა საერთოდ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ 1940 წელს რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი მთლიანად თუ 740,6 ათასს უდრიდა, 1945 წ. იგი საგრძნობლად შემცირდა. შესაბამის პერიოდში შემცირდა სკოლების რიცხვი 4511-დან 4114-მდე[426]. როგორც ვრწმუნდებით ომმა დიდი ზიანი მიაყენა სწავლა-აღზრდის საქმეს. სამშობლოს ამ განსაცდელის დღეებში რესპუბლიკის სკოლების მუშაობა როდი იფარგლებოდა მხოლოდ სასწავლო აღპზრდელობითი მუშაობით. მასწავლებლები და მოწაფეები ფართო მონაწილეობას ღებულობდნენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. სისტემატურად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მაღალი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში. ისინი აგროვებდნენ ჯართს, სამკურნალო მცენარეებს, საჩუქრებს უგზავნიდნენ ფრონტელებს, შეფობას უწევდნენ ჰოსპიტლებს და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს. ხოლო ომით დაზარალებულ მოძმე რაიონების სკოლებსა და მოსწავლეებს სურსათით, სასწავლო ნივთებით და წიგნებით ეხმარებოდნენ.

მოსწავლეები და მასწავლებლები სისტემატურად აგროვებდნენ თანხებს სამხედრო იარაღების მშენებლობათა ფონდის გასამლიერებლად, აწყობდნენ კონცერტებს, წარმოდგენებს, დახმარების კვირეულს დაჭრილთათვის და სხვ.[427].

---

[426] **Народное хозяйство Груз. ССР (Стат. сборник), Тбилиси, 1957, გვ. 187—188.**

[427] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 11. სამამულო ომის პირველ პერიოდშივე მოსწავლეებმა შეაგროვეს 1000 ტონაზე მეტი შაი და 70 ტონაზე მეტი ფერადი ლითონის ჯართი და ჩაბარეს სახელმწიფოს. მხოლოდ 1942 წელს შეაგროვეს 150 ტონაზე მეტი სამკურნალო მცენარეები. 1941—1942 წლებში შეაგროვეს და გაუგზავნეს საბჭოთა ჯმირ მებრძოლებს 11000 ცალი თბილი ტანსაცმელი, 70 000-მდე წყვილი წინდა, 20 000 წყვილი ხელთათმანი, 5000 ქუდი.

სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის სკოლებთან ჩამოყალიბდა ფრონტელთა შვილების დამხმარე კომიტეტები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ ფრონტელთა ოჯახებს; ასევე სკოლებში ჩამოყალიბდა ტექნიკური და აგროწრეები, სადაც უფროსი კლასის მოწაფეობა ტექნიკურ და აგრომინიმუმს სწავლობდა. ისინი დახმარებას უწევდნენ კოლმეურნეობებს და სამრეწველო საწარმოებს. მაგალითად, 1943 წლის დეკემბერში ქ. ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში ყოველდღიურად 250-მდე მოსწავლე მუშაობდა[428].

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქართველოს სკოლების 87 ათასმა მოწაფემ 1941 წ. გამოიმუშავა 1,5 მილიონი შრომადღე, 1942 წ. 100 ათასმა მოსწავლემ და 7 ათასმა მასწავლებელმა—6 მილიონი შრომადღე, ხოლო 1943 წ. 112 ათასმა მოსწავლემ და 8 ათასმა მასწავლებელმა—8 მილ. შრომადღე[429]. სამამულო ომის წლებში თავდადებული შრომისა და მამაცობისათვის მთავრობის მიერ რესპუბლიკის მრავალი მასწავლებელი და მოწაფე იქნა დაჯილდოებული.

4. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები

ომის წლებში საფუძვლიანად გარდაიქმნა საბჭოთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა. ეს დაწესებულებები დიდ დახმარებას უწევდნენ კომუნისტურ პარტიას სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის უკეთ დაყენების საქმეში.

რესპუბლიკაში სამამულო ომის პერიოდში მოქმედებდა: 1650 მასობრივი ბიბლიოთეკა, მათ შორის სოფლად—1393. საკლუბო დაწესებულება—1400, მათ შორის სოფლად—659; სოფლად მოქმედებდა 659 ქოხ-სამკითხველო. გარდა ამისა, რესპუბლიკაში მთლიანად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა 36 მუზეუმი.

კლუბებში, მუზეუმებში, სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებში ყველგან ეწყობოდა გამოფენები, მიძღვნილი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომისადმი და სისტემატურად იმართებოდა საუბრები და მოხსენებები: კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებები უალრე-

---

18 000 წყვილი თეთრეული, 80 ტონაზე მეტი ხილეული, აგრეთვე თამბაქო, ყველი, კვერცხი, რვეული, ფანქარი და სხვა ნიეთები. მოსწავლეებმა ხელი შეუწყვეს სამხედრო სესხის გავრცელებას. მათ ამავე პერიოდში ხელი მოაწერეს მეორე სამხედრო სესხზე 7 მილიონ მანეთის რაოდენობით (ჟურნ. „ბოლშევიკი", 1943, № 9, გვ. 38—39).

[428] სამ. ომის ისტ. არქივი. ფ. 4. საქ. 1004.

[429] ჟურნ. „ბოლშევიკი", 1943, № 9, გვ. 39.

ნად დიდ დახმარებას უწევდნენ რესპუბლიკის პროპაგანდისტებს და აგიტატორებს[430].

საქართველოს მთელი რიგი ბიბლიოთეკები და მუზეუმები ომის წლებში შეივსო ძვირფასი ექსპონატებით. მათში შეიქმნა ახალი განყოფილებანი, კოლექციათა კატალოგები, გამოიცა შრომები, ბროშურები, მომზადდა ხელნაწერთა აღწერილობანი და სხვ.

კ. მარქსის სახ. საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა, გარდა ომისა, რომ სისტემატურად აწყობდა გამოფენებს და მკითხველთა კონფერენციებს, შეუნელებლად ადიდებდა წიგნების ფონდებს ახალი გამოცემებით. ბიბლიოთეკის მუშაკთა კოლექტიკი ნაყოფიერად მუშაობდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და ლიტერატურული წყაროების მეცნიერული ბიბლიოგრაფიების შედგენა-პუბლიკაციაზე. ისინი ქმედითს დახმარებას უწევდნენ აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ბიბლიოთეკებს თავიანთ გამოცდილებათა გაზიარების გზით.

შესამჩნევად გაიზარდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ფონდები ომის წლებში საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული კოლექციებით და ასევე საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ქართული განძეულებით. საქართველოს მუზეუმი მსოფლიო მნიშვნელობის უნიკუმებს აერთიანებს, რომლებიც ქართველი ხალხის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენენ. ომის წლებშიც ამ მუზეუმის ათასობით მნახველი ჩამოდიოდა საქართველოში. მაგალითად, 1944 წლის მაისში თბილისს ჩამოსული აკადემიკოსი ე. ტარლე ესტუმრა საქართველოს მუზეუმს და შთაბეჭდილებათა წიგნში შემდეგი ჩაწერა:

„საჭირო რომ ყოფილიყო კიდევ რაიმე მტკიცება რომ ქართველი ხალხი ერთ-ერთი უძველესი, დიდი ხალხთაგანია, მაშინ ის მუზეუმი, რომელიც მე დღეს აღფრთოვანებით დავათვალიერე, ამის საუკეთესო დამადასტურებელი იქნებოდა. უფაქიზესი ოსტატური ნამუშევრები და ისიც რა დროს?—ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე საუკუნეებისა. მე არას ვამბობ არქეოლოგიურ

[430] ფაშისტი დამპყრობლები მათ მიერ ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში მეთოდურად სპობდნენ და ანადგურებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კულტურის ძეგლებს და უნიკუმებს. ისინი აბუჩად იგდებდნენ საბჭოთა ხალხის ეროვნულ გრძნობებს და სიამაყეს. მათ მიწასთან გაასწორეს იასნაია პოლიანაში სახლ-მუზეუმი, სადაც ცხოვრობდა გენიალური ლ. ტოლსტოი და ქმნიდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს, ასევე მოექცნენ ჩეხოვის სახლს ტაგანროგში, ივანე ბედი ეწვია რუსი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის სახლ-მუზეუმს ქ. კლინში, რიმსკი-კორსაკოვის სახლს ტიხვინში და მრავალ სხვებს; ფაშისტებმა დაანგრიეს ტარას შევჩენკოს ძეგლი უკრაინაში, მოსპეს ძველი ისტორიული ძეგლები, გაძარცვეს და გაანადგურეს მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული შადრევნები, სასახლეები, საშეცნიერო და კულტურული დაწესებულებები ლენინგრადის გარეუბნებში.

გათხრათა შესანიშნავ შედეგებზე. რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის წინანდელ მეორე ათასეულ წელთა ხანას ეკუთვნიან. ყველაზე მნიშვნელოვან შთაბეჭდილებას ახდენენ არა მარტო სამუზეუმო, არამედ ხელნაწერთა განძეულობანიც---პალიმფსესტები, ხელნაწერთა მხატვრული შემკობილობა, შედარებით უფრო ახლო ეპოქამდე, როდესაც ქართველები და რუსები ერთად იცავდნენ საქართველოს უჯრედურ თავდასხმათაგან (ისევე, როგორც ერთად დაიცვეს მათ ახლა იგი თბილისისაკენ მოლაშქრე უაჩაღთა ურდოებისაგან). სახელი და დიდება ქართულ მეცნიერებას, რომელმაც შექმნა ეს მუზეუმი ე. ტარლე".

მუზეუმის მეცნიერი მუშაკები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფრონტზე წავიდა, ომის წლებში განაგრძობდნენ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას. ისინი წარმატებით იცავდნენ სამუზეუმო ფონდებს და აქვეყნებდნენ მეცნიერულ შრომებს. ასევე წარმატებით მუშაობდნენ ქართული ხელნაწერების აღწერილობათა საპუბლიკაციოდ მომზადებისათვის და სხვ.[131].

სამამულო ომის უკანასკნელ 1945 წელს რესპუბლიკის მუზეუმებს ახალი დიდი განძი შეეძატა. რაც შედეგად მოჰყვა ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ჩვენი ქვეყნის გაგამარჯვებას. ქართველ ხალხს დაუბრუნდა მენშევიკების მიერ 1921 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ გაზიდული დიდი ეროვნული სიმდიდრე. ჩამოტანილ იქნა ქართული ხელნაწერი უნიკალური ძეგლები. არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის შედევრები, ნუმიზმატიკის დიდი კოლექციები, წიგნები და სურათები, ქსოვილები და ოქრომჭედლობის უძვირფასესი საგნები[132].

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველო ითვლება მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ძეგლებით ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ რესპუბლიკად. არქიტექტურისა და კულტურის ძეგლების დაცვას სამამულო ომის უმძიმეს პირობებშიც კი ექცეოდა ჯე-

---

[131] ცნობილია, რომ კავკასიის დაცვის ლენებში, როცა საფრთხე დაემუქრა საქართველოს, საქ. მუზეუმში დაცული ხელნაწერები და სხვა ეროვნული ფონდები სპეციალურად აგებულ მიწისქვეშა საცავებში იქნა გადატანილი და იქ ინახებოდა, ვიდრე მტერი ჯერ იქნა განდევნილი კავკასიასა და სტალინგრადის მისადგომებთან.

[132] გაზ. „კომუნისტი". 1945 წ. 18 აგვისტო. მაგ.. 10 000-მდე მონეტა, საბჭოლოვანი ოსტატების ბეჭა და ბეშქენ ოპიზარების ოქრომჭედლობის კლასიკური ნიმუშები; ჩამოტანილ იქნა „ვეფხისტყაოსნის" უძველესი ხელნაწერები, X საუკუნის პიმნოგრაფის მიქელ მოდრეკილის საკალმბლები (ნოტები) და ბევრი სხვა. 1945 წ. 15 აგვისტოს საქ. მუზეუმში ძეხდა ახლად ჩამოტანილ ეროვნულ განძეულთა საზეიმო დათვალიერება.

როვანი ყურადღება და თითქმის არ შეწყვეტილა ძველი ქართული არქიტექტურული ნაგებობების შეკეთება[433]. ამასთან დამახასიათებელია, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებები წარმატებით აგრძელებდნენ ამ ისტორიული ძეგლების შესწავლას.

5. გამომცემლობა, პრესა და რადიო

საბჭოთა პრესა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, აღრმავებდა და ზრდიდა რა მასების პოლიტიკურ აქტივობას, მათ დარაზმულობას და ორგანიზებულობას, გეეელინება ერთ-ერთ ყველაზე უფრო მახვილ იარაღად მტრის განადგურებისათვის ბრძოლაში. ომის წლებში საბჭოთა პრესის საუკეთესო, მებრძოლი ტრადიციები კიდევ უფრო განვითარდა. იგი უფრო მაღალიდეური, უფრო მახვილი და უფრო მიმზიდველი გახდა. ჩვენი ქვეყნის მშრომელები პრესის საშუალებით ეცნობოდნენ საბჭოთა არმიის გმირობას ფრონტებზე და მშრომელთა პატრიოტულ თავდადებას ზურგში, საბჭოთა სამშობლოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას.

„პრავდა", „იზვესტია", „კომსომოლსკაია პრავდა" და სხვა გაზეთები ახლებურად მუშაობის მაგალითს აძლევდნენ რესპუბლიკური პრესისა და გამომცემლობის მუშაკებს.

საქართველოს რესპუბლიკური, საოლქო და სარაიონო, უწყებრივი და საქარხნო-საფაბრიკო გაზეთები მებრძოლ ორგანოებად იქცნენ. „კომუნისტი", „ზარია ვოსტოკა", „ახალგაზრდა კომუნისტი" და სხვა გაზეთები მებრძოლთა მოწინავე რიგებში იდგნენ.

სამამულო ომის პერიოდში შეიქმნა ნაციონალური დივიზიები. ასეთი ნაწილებისათვის გაზეთები იცემოდა მშობლიურ ენაზე. ქართულ დივიზიებსა და სხვა ნაწილებში მყოფი ქართველი მებრძოლებისათვის დაიწყო ქართული მრავალტირაჟიანი გაზეთების გამოცემა. საფრონტო ქართული გაზეთების გამოსაცემად სტამბის კვალიფიციური მუშაკები და საჭირო ტექნიკური მოწყობილობანი საქართველოდან ფრონტზე იქნა გაგზავნილი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ გაზეთების სისტემატურ გამოცემას.

ომმა დიდი გავლენა იქონია რესპუბლიკის პრესაზე, საგრძნობლად შეამცირა როგორც მისი რაოდენობა და ტირაჟი, ასევე ფორმატები, გააუარესა ტექნიკური ბაზა და თვით ქაღალდის ხარისხიც.

საქართველოს სსრ გაზეთების რაოდენობა და ტირაჟი 1941—1945 წლებში ასეთი დინამიკით ხასიათდება (ცხრ. 27)[434].

---

[433] მაგალითად, 1941 წელს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 8 ობიექტს.
[434] ცნობები აღებულია სტატისტიკური სამმართველოდან.

წლები	რესპუბ-ლიკური		ავტონომ. რესპ. და სა-ოლქო		საქალა-ქო		სარაი-ონო		ძირე-ული		ს უ ლ	
	სახელწ. რაოდ.	ტი-ტრაჟი	სახელწ. რაოდ.	ტი-ტრაჟი	სახელწ. რაოდ.	ტი-ტრაჟი	სახელწ. რაოდ.	ტი-ტრაჟი	სახელწ. რაოდ.	ტი-ტრაჟი	სახელწ. რაოდ.	ტი-ტრაჟი
1941	12	827 116	10	163 559	2	55 736	70	133 018	17	7354	111	1186783
1942	8	610 688	7	149 606	3	39 846	70	100 137	—	—	98	900 277
1943	8	466 489	7	27 654	3	28 285	69	69 537	1	—	98	586 265
1944	8	471 726	7	99 178	2	284 175	71	70 843	5	1184	93	927 106
1945	9	477 334	7	98 326	2	28 899	68	76 845	6	2132	92	683 536

მოყვანილი ციფრები იმაზე მეტყველებენ, რომ შემცირება განიცადა რესპუბლიკურმა და ავტონომიური ერთეულების გაზეთებმა. სარაიონო გაზეთების სახელწოდებებს კი (თუმცა მათი ტირაჟი და ფორმატი თითქმის განახევრდა) საგრძნობი შემცირება არ განუცდიათ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ომამდელ დროსთან შედარებით გაზეთების ტირაჟი საერთოდ რესპუბლიკაში თითქმის ნახევრდება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დიდად შემცირდა (ხშირად განახევრდა) გაზეთების ფორმატი და გვერდები, შემცირების სურათი ნათლად წარმოგვიდგება[435].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართული საფრონტო პრე-

[435] ომის წლებში რესპუბლიკის წითელ ჯარის, თავდაცვა-ავიაქიმის, ფიზკულტურისა და სხვ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები უშვებენ ერთდროულ გაზეთებს. „კომუნისტისა" და გაზ. „ზარია ეოსტოკას" რედაქციები ომის პირველსავე პერიოდში აქვეყნებენ დოკუმენტალურ კრებულებს ყველაზე ოორო გამოჩენილ მეომრებზე, მათი საბრძოლო დამსახურების პოპულარიზაციის მიზნით. გაზ. „კომუნისტი" ომის დასაწყისიდანვე პერიოდულად (კვირაში ორჯერ) აქვეყნებდა მრავალტირაჟიან „საბაბიტაციო ფურცელს", ხოლო გაზ. „ზარია ეოსტოკა" ანალოგიურ „აგიტლისტოვკას", რომლებიც აქტიალობითა და იდეურობით მეტად პოპულარული გახდნენ და სიყვარული დაიმსახურეს მკითხველთა ეართო მასებში.

ასევე ითქმის საქართველოს მწერალთა კავშირის ორკვირეული დიდი ფორმატის მხატვრულ-ლიტერატურული გაზეთის „ლახვარის" შესახებ. ჩვენი მკითხველები აღტაცებით ელოდებოდნენ „ლახვარის" ყოველი მორიგი ნომრის გამოსვლას. საბრძოლო მოწოდებისამებრ ეღერდა რამდენადმე მოგვიანებით დაარსებული ჭლაკატი: „ხიშტით და კალმით", სადაც ქართველი მწერლების მხატვრული სიტყვით და რესპუბლიკის მსატვართა ყალმით რელიეფურად იხატებოდა საბჭოთა არმიის გმირობანი და ტრიუმფალური წინსვლა.

სა, რომელიც უშუალოდ პასუხობდა სამშობლოს დაცვის ამოცანებს და ქართველ მეომართა საყვარელ ორგანოდ იქცა. ომის წლებში ნაციონალურ დივიზიებსა და პოლკებში, აგრეთვე საბჭოთა არმიის სხვა ისეთ ნაწილებში, სადაც სხვადასხვა ეროვნებათა შვილები იყვნენ, გარდა იმისა, რომ მათ ფრონტებზე ეგზავნებოდათ თავიანთი რესპუბლიკური გაზეთები, და ჰქონდათ საერთო საფრონტო რუსული გაზეთი,— არარუს მებრძოლთათვის გამოდიოდა გაზეთები, ფურცლები და პლაკატები მშობლიურ ენაზე. სადაც შუქდებოდა ნაწილის საბრძოლო მომზადებისა და მტრის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების შესანიშნავი ეპიზოდები. ომის წლებში ქართულ ენაზე. ისე როგორც სხვა მოძმე ხალხების ენებზე. გამოდიოდა მთელი რიგი საფრონტო გაზეთები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სერიოზული ღონისძიებები გატარდა ამისთვის, რომ საფრონტო ქართული გაზეთების რედაქციები დროულად დაკომპლექტებულიყო კვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებით და შექმნილიყო გაზეთის ვამოსაცემი ტექნიკური ბაზა. სწორედ ამ ღონისძიებათა შედეგი იყო ის, რომ სამხრეთის ფრონტზე მოქმედი № 224. 392 და 414 ქართული დივიზიებისათვის გამოდიოდა მრავალტირაჟიანი ქართული საფრონტო გაზეთები[136].

ქართული საფრონტო გაზეთების, ისევე როგორც ზოგიერთი რუსული გაზეთის რედაქციის ხელმძღვანელი მუშაკები, ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური მუშები უმეტესად საქართველოდან ფრონტზე წასულთაგან და საქართველოს პოლიგრაფმრეწველობის მუშებით იყო დაკომპლექტებული. რედაქციებიდან და საწარმოებიდან ფრონტზე იქნა გადასროლილი არა მარტო საბეჭდი დაზგები და მანქანები, არამედ კვალიფიციური ასოთამწყობნი, მბეჭდავები, კორექტორები და რედაქტორები.

---

[136] ქართული დივიზიების საფრონტო გაზეთების კომპლექტთა დიდი ნაწილი დაცულია სამამული ომის არქივში. ესენია: 411 ასაპის დივიზიის გაზეთი „სამშობლოს დამცველი" (1942 – 1945 წლები) და „სამშობლოსათვის" (1945 წ.); 224 დივიზიის გაზეთი „მედგარი შეტევა" (1942 წ.); 392 დივიზიის გაზეთი „წინ გამარჯვებისაკენ" (1942, 1945 წწ.) და ჩრდილო კავკასიის ფრონტის ქართული ნაწილების გაზეთები: „სამშობლოს ღირსებისათვის" (1942 წ.), „წინ სამშობლოსათვის" (1943 1944 წწ.), „სამშობლოს სადარაჯოზე" (1943 წ.), „სამშობლოსათვის" (1943 წ.) და სხვ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქივში დაცულია აქ აღნიშნულთა კომპლექტები. მაგრამ აქ დასახელებული სახელწოდებებით არ ამოიწურება საფრონტო ქართული გაზეთების რიცხვი, რომლებიც ომის სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ფრონტზე გამოიცემოდა: მაგალითად, ქართული გაზეთი გამოდიოდა ლენინგრადის მიმართულებით მებრძოლ საბჭოთა არმიაში და სხვაგანაც. საბოლოოდ, ამ გაზეთების მთლიანად შეკრებვა დღემდე ვერ მოხერხდა.

ომმა სერიოზული მოთხოვნები წაუყენა რესპუბლიკის საგამომცემლო დაწესებულებებს—საქართველოს და მასში შემავალ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ოლქის სახელმწიფო გამომცემლობებს.

ომის წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თავდაცვითი ლიტერატურის გამოცემას, შეიქმნა ცალკე სექტორები და განყოფილებები, რომლებიც სამხედრო თავდაცვითი ლიტერატურის გამოცემებით სერიოზულ დახმარებას უწევდნენ ჩვენი ქვეყნის როგორც ზურგის მშრომელებს, ისე ფრონტელებს. სისტემატურად გამოდიოდა ჟურნალები: „ბოლშევიკი", „მნათობი", „ნიანგი" და სხვ.[137].

ომის წლებში რესპუბლიკაში 521 სახელწოდების თავდაცვითი ნიშვნელობის წიგნი იქნა გამოცემული 2,5 მილიონამდე ტირაჟით. სამამულო ომის პერიოდში გამოცემული წიგნების პროდუქცია ყურადღებას იპყრობს თავისი მრავალფეროვნებით და მაღალიდეურობით, რაც ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და მისი მაღალი კულტურის მაჩვენებელია.

ომის წლებში ქართველი მწერლობის ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომა, მათი პატრიოტიზმი ნათლად აისახა მხატვრულ ლიტერატურაში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა სახალხო მეურნეობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშრომელთა ჯანმრთელობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის საჭირო წიგნების გამოცემას[138].

მიუხედავად ამ წარმატებებისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამამუ-

---

[137] რესპუბლიკის გამომცემლობები პერიოდულად და ცალკე სერიებად აქვეყნებენ საყურადღებო კრებულებს, დოკუმენტებს და მასალებს ომის თემატიკაზე. გაზ. „კომუნისტის" რედაქციამ სერიებად გამოსცა ხუთი წიგნი: „სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი", რომელშიც ერთგვარად ასახულია სამამულო ომის ქართველი გმირი მეომრების საბრძოლო გზა. ანალოგიური სერიები გამოაქვეყნა გაზ. „ზარია ვოსტოკას" რედაქციამ.

საქართველოს წიგნთა პალატამ გამოსცა ბიბლიოგრაფიული საძიებელი „ქართველი მეომრები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში" ორ დიდ წიგნად (სამ ნაწილად), სადაც შეტანილია საბჭოთა პრესაში მოხსენიებული ქართველი გამოჩენილი მეომრების სრული ბიბლიოგრაფია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტმა, როგორც აღინიშნა, დაარსა ცალკე სერია „წითელარმიელის ბიბლიოთეკა" და გამოსცა რიგი ბროშურები.

[138] რესპუბლიკაში სამამულო ომის პერიოდში მშრომელთა ჯანდაცვის თემატიკაზე 68 სახელწოდების წიგნი იქნა გამოცემული 334 200 ტირაჟით. აღებულ პერიოდში სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო განმტკიცების საქმეს უწყობდა ხელს 420 სახელწოდების გამოცემული წიგნი 528 100 ტირაჟით. სამამულო ომის უშუალო სამსახურში მდგომი ჩვენი მეცნიერება დღითი დღე ვითარდებოდა და იზრდებოდა მისი ბეჭდური პროდუქცია. მარტო ენათმეცნიერების დარგში გამოიცა 201 სახელწოდების ნაშრომი 2 433 506 ტირაჟით.

სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის საგამომცემლო დაწესებულებები

ლო ომმა დიდი სიძნელეები შეუქმნა რესპუბლიკის საგამომცემლო ორგანოებს, მის გამომცემლობათა ბაზას და ქაღალდით მომარაგების საქმეს. ამის შედეგი იყო ის, რომ ომის წლებში დიდად შემცირდა როგორც გამოცემულ წიგნთა სახელწოდებების რაოდენობა და ტირაჟი, ასევე ნაბეჭდ ფურცელთა რაოდენობა.

საქართველოს სსრ სტატისტ. სამმართველოს მასალების მიხედვით 1940—1945 წლებში წიგნის პროდუქციის გამოცემის დინამიკა საქართველოში შემდეგი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება (ცხრილი 28).

ცხრილი 28

წლების დასახელება	სახელწოდებათა რაოდენობა	ტირაჟი (ათასობით)	ნაბეჭდ ფურცელთა რაოდენობა ათასობით)
1940	1630	5918,0	387560
1942	968	3243,0	300200
1943	622	1947,4	77320
1944	423	2689,0	94720
1945	482	2689,0	158570

აქ მოყვანილი ცნობები ადასტურებს, რომ ომამდელ 1940 წელთან შედარებით 1944 წლამდე ყოველწლიურად მცირდება როგორც გამოცემულ წიგნთა, ასევე ტირაჟისა და ნაბეჭდ ფურცელთა რაოდენობა და მხოლოდ 1945 წლიდან იწყება აღმავლობა.

სამამულო ომის უკანასკნელ 1945 წლიდან წიგნის პროდუქციის გამოცემის საქმეში საქართველოში დაწყებული აღმავლობა მიმართული იყო იმ ჩამორჩენათა სალიკვიდაციოდ, რასაც ამ დარგში ომის მძიმე წლებში ჰქონდა ადგილი. მიუხედავად ამისა, 1948 წლისათვის რესპუბლიკის ბეჭდვითი პროდუქცია სახელწოდებების მხრივ ჯერ კიდევ ვერ უთანაბრდებოდა ომამდელი 1940 წლის დონეს. თუმცა ტირაჟის მხრივ უკვე საგრძნობლად სჭარბობდა.

საბჭოთა რადიოს როლი განსაკუთრებით აღსანიშნავია მასების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის, პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის უფართოეს მასებამდე დაყვანის საქმეში. რადიოს საშუალებით კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ იყო დაკავშირებული მილიონობით მასებთან. განუმარტავდა და აცნობდა მათ ფრონ-

---

[1] ბელადერს აკვირებდნენ იმისათვის, რომ. არ შეფერხებულიყო სკოლების ნორმალური მუშაობა და მომარაგებული ყოფილიყვნენ ისინი სახელმძღვანელოებით. ყველა ამან ომის წლებში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა 353 სახელწოდების სახელმძღვანელოების დიდი ტირაჟით გამოცემაში (ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან).

ტისა და ზურგის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს და თავისუფლებისმოყვარე მსოფლიოს ხალხების ბრძოლას ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ.

სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ქსელის საერთო ზრდასთან ერთად განსაკუთრებით გადიდდა რადიო ქსელი. ბევრ ფაბრიკა-ქარხანაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა რადიო გადაცემის ცალკე კვანძები. ასევე რესპუბლიკის რაიონებისა და სოფლების რადიოფიცირება ხელს უწყობდა მოსახლეობის არა მარტო კულტურულ მომსახურეობას, არამედ მათი საწარმოო კულტურის ზრდას, აძლიერებდა მასების შემოქმედებითს აქტივობას და ერთსულოვნებას მტერზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

6. ქართული ლიტერატურა და ხელოვნება ძვეუნის თავდაცვის სამსახურში

დიდი სამამულო ომი წარმოადგენდა საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების უდიდეს გამოცდას. ომის დროს საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება გვევლინებოდა დიდ სულიერ ძალად, რომელიც ქმედით დახმარებას უწევდა საბჭოთა ხალხებს, აღაფრთოვანებდა მათ მტრის განადგურებისათვის საბრძოლველად.

ქართული ლიტერატურა და ხელოვნება ერთ-ერთი მოწინავე და მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობის მქონე ლიტერატურად და ხელოვნებად ითვლება. თავისი მხატვრული ოსტატობით და ღრმა იდეურობით მას მუდამ ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს სსრ კავშირში. დიდი სამამულო ომის დროს ქართული ლიტერატურა და ხელოვნება ინარჩუნებს აღნიშნულ ღირსებას, იგი კიდევ უფრო ვითარდება, იდეურად მდიდრდება ხალხის მასებში საბჭოთა პატრიოტიზმის აღმავლობასთან ერთად. დამახასიათებელია, რომ პატრიოტული მგზნებარებითა და გმირული სულისკვეთებით ქართულ მწერლობა თუ მუდამ გამოირჩეოდა მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე, საბჭოთა ეპოქაში და, კერძოდ, სამამულო ომის პერიოდში იგი უფრო მდიდრდება ახალი შინაარსით და ყოველისმომცველი ხდება.

დიდი ტრადიციების მქონე მოწინავე რუსული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა არა მარტო რუსი ხალხის ცნობიერებაში, არამედ მშობლიური გახდა სსრ კავშირის ყველა ხალხისათვისაც, უდიდეს გავლენას ახდენდა მოძმე საბჭოთა ხალხების ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. იგი უაღრესად

დიდ როლს ასრულებდა როგორც ფრონტისა და ზურგის განმტკიცებისათვის ბრძოლებში, ასევე სსრ კავშირის მომავალ რესპუბლიკების ლიტერატურისა და ხელოვნების ორგანიზაციების მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის და მთელი ძალების წარსამართავად მტრის გასანადგურებლად.

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საგრძნობი ნაწილი ფრონტზე წავიდა. ქართველი მწერლები, არტისტები და მხატვრები ღირსეულად იბრძოდნენ ფრონტზე, მუშაობდნენ პოლიტხელებად, სამხედრო კორესპონდენტებად, კინოოპერატორებად და სხვ. მაგ., მწერლები დ. შენგელაია, ა. გომიაშვილი, შ. ამისულაშვილი, რ. მარგიანი წითელარმიული გაზეთების თანამშრომლებად მუშაობდნენ, ი. ნონეშვილი, პ. აბრამია, კ. ბობოხიძე და ბევრი სხვა საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგნენ. ფრონტზე მიდიან მწერლები,—კ. ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, ს. ისიანი, გ. ნაფეტვარიძე, ს. ახვლედიანი, მ. გელოვანი, ლ. ასათიანი, ნ. აგიაშვილი და ბევრი სხვა.

რესპუბლიკის მხოლოდ თეატრებიდან სამამულო ომის ფრონტზე წავიდა 458 ახალგაზრდა არტისტი და თეატრის სხვა მუშაკი. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ოსტატები, რომლებიც ზურგში დარჩნენ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ფრონტელ მეომრებთან. ისინი სისტემატურად მიემგზავრებოდნენ ფრონტზე, ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რათა დახმარებოდნენ მათ, უშუალოდ განეცადათ ბრძოლის ველისა და შრომის ფრონტის ვითარება და უფრო ცხოველად და დამაჯერებლად აესახათ იგი თავიანთ შემოქმედებაში.

ქართველი პოეტები: გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ირ. აბაშიძე, რ. გვეტაძე, ალ. აბაშელი, ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, გრ. აბაშიძე, ა. მირცხულავა, ი. ნონეშვილი, დ. გაჩეჩილაძე, ილ. მოსაშვილი და სხვები მხატვრული ოსტატობით ასახავდნენ იმ პატრიოტიზმს და მგზნებარებას, რასაც საბჭოთა საქართველოს მშრომელები იჩენდნენ სამამულო ომის დაწყების დღიდანვე. აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისელ პოეტთა ლექსები საბრძოლო მოწოდებასავით აჟღერდა.

ომის დაწყების პირველსავე დღეებში მაღალი პატრიოტული ლექსებით მოუწოდებდა ხალხს მტრის განადგურებისაკენ ი. გრიშაშვილს „სამშობლო და გამარჯვება", გ. ტაბიძის „მშობლიურო ჩემო მიწავ". ა. მირცხულავამ მფრინავ წურწუმიას მიუძღვნა ლექსი „ზღვის არწივი", ს. ჩიქოვანმა დაწერა „გამარჯვება" და სხვ. ასე დაიწყო ახალი დიდმნიშვნელოვანი პერიოდი ქართული ლიტერა-

ტურის ისტორიაში, რომელიც მთლიანად ქვეყნის თავდაცვას პასუხობდა.

ქართველი პოეტები თოფითა და კალმით ებრძოდნენ მტერს.

ახალგაზრდა პოეტი შ. იოსელიანი, რომელმაც თავი შესწირა სამშობლოს, ფრონტზე წასვლის წინ წერდა:

და მეც მიედივარ. მტერო ტიალო.
მიედივარ რისხვით, ვით ქარიშხალი,
რომ შენ გულ-ღვიძლში დავატრიალო
საკაძის და ერეკლეს ხმალი.

ფრონტზე დაწერილი მათი ლექსები აღსავსეა ჯანსაღი პატრიოტიზმით. პოეტი ვლადიმერ უბილავა, ლექსში — „გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა“ — წერდა:

რა ვარ. ბრძოლაში თუ დავვარდები.
მტერს შემოსეულს თუ არ დავხვდები:
ვერ გამითელონ ბაღში ვარდები,
ვერ დამიჩრდილონ მთების კალთები.

ბრძოლაში დაღუპულ ქართველ პოეტთა ლექსებში სამშობლოს სიყვარული დიდი პოეტური პათოსითაა გადმოცემული[439]. თბილისის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგის ტრიბუნიდან იარაღასხმულ საბჭოთა მებრძოლებს პოეტი ი. ნონეშვილი მოუწოდებდა:

ქართლის დიდება დავიცვათ.
კრემლის ნათელი ლამპარი.
ჩვენი შშობლების სახელი.
ჩვენი ბავშვების აკვანი.

ფრონტზე წასული ქართველი ქალების საგმირო საქმეები კარგად დახატა პოეტმა კ. კალაძემ ლექსში „ქართველი ქალი“. პოეტის თქმით, ფრონტზე წასულ ქართველ ქალს „ია-ვარდით მოქარგული“ საზაფხულო კაბა სამხედრო ფორმით შეუცვლია და „ვეფხისტყაოსნის“ მაგიერ შაშხანა აუღია ხელში.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების საგმირო საქმეები ფრონტზე პოეტურ სახეებში გააცოცხლეს და უკვდავყვეს ჩვენმა სახელოვანმა პოეტებმა: ირ. აბაშიძემ „კაპიტანი ბუხაიძე“, გ. ლეონიძემ „არ დაიდარდო დედაო“, დ. გაჩეჩილაძემ „უკვდავების ძახილი“, ს. ჩიქოვანმა „ვინა სთქვა“, ა. მირცხულავამ „ყაზბეგი“ და სხვ.[440].

---

[439] ფრონტზე დაღუპული ნიჭერი ახალგაზრდა პოეტების ვლადიმერ უბილავას და მირზა გელოვანის რჩეული ნაწერები. 1956 წელს გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“.

[440] ს. ჭ ი ლ ა ი ა, ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა, თბ., 1954.

ვერაგი მტრის წინაშე ქედუხრელობა, გმირობა, რომელიც უდიდესი განსაცდელის ჟამს მებრძოლმა პირტახიამ გამოიჩინა, შთამაგონებელ ძალად იქცა ქართული პოეზიისათვის. პირტახიას გმირობაზე ლექსები დაწერეს ს. ჩიქოვანმა, გ. ლეონიძემ და სხვ.

პოეტმა გრ. აბაშიძემ თავის პოემაში—„ძლევის ქედი"—დიდი მსატვრული ოსტატობით ასახა კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეა. მან მრავალ სხვა ქართველ პოეტთან და პროზაიკოსთან ერთად უჩვენა ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო მეგობრობა და დიდი რუსი ხალხის როლი კავკასიის დაცვის საქმეში.

რუსი საბჭოთა მწერალი ნ. ტიხონოვი წერდა: „ქართველი ხალხის შვილები ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად იბრძვიან ყველგან, სადაც ამას თხოულობს გარემოება.

ისინი იცავდნენ სტალინგრადს, მათ გაიარეს ვოლგიდან დნესტრამდე, იბრძოდნენ ყირიმში და ლენინგრადის კედლებთან. პელორუსიის ტყეებში და კარპატების მთის მისადგომებთან"[441].

ქართველ მწერლებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამყარებული ძეომრებთან. ქართველი მწერლები სისტემატურად მიდიოდნენ ფრონტზე, ხვდებოდნენ მებრძოლებს ფრონტის წინა ხაზებზე და თავიანთი ლექსებით, მოხსენებებით, საუბრებითა და მხატვრული შემოქმედებითი საღამოების გამართვით მებრძოლთა საყოველთაო სიყვარულს იმსახურებდნენ. მოქმედი არმიის ნაწილებში 1942 წლის დასაწყისში გაემგზავრა ქართველ მწერალთა ბრიგადა ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის, ა. მაშაშვილის, ილ. მოსაშვილის და სხვათა შემადგენლობით. ამ დროისათვის სამხედრო ნაწილებში უკვე 600-ზე მეტი მოხსენება და შეხვედრა-საღამოები ჰქონდათ ჩატარებული მწერლებს[442].

ქართველი პოეტები თავიანთი შემოქმედებით აღვივებდნენ საბჭოთა ხალხის სიძულვილს და ზიზღს მტრისადმი, ისინი ოსტატურად ამხელდნენ ფაშიზმის მტარვალობას და კაცთმოძულეობას.

ქართველი პოეტები თავიანთ შემოქმედებაში ფართოდ ასახავდნენ ფრონტისა და ზურგის ერთიანობას. ფრონტისა და ზურგის მტკიცე კავშირი კარგად გამოხატა ალ. აბაშელმა ლექსში „დედა და შვილი". ფრონტისა და ზურგის საგმირო საქმეები დიდი პოეტური ძალით აღიბეჭდა აგრეთვე შ. აფხაიძის, ვ. გაბესკირიას, ვ. ჟურულის, კ. ჯიჯინაძის, მ. მრევლიშვილის, კ. ბობოხიძის, დ. გულიას, ბ. შინქუბას, ნ. მალაზონიასა და სხვ. შემოქმედებაში.

---

[441] „Литература и искусство," 1944, 13 мая.
[442] გაზ. „კომუნისტი", 1942, 1 თებერვალი.

სამამულო ომის პერიოდის ქართულ საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებთა შორის. სადაც ოსტატურადაა ასახული გმირის ქეშმარიტი უკვდავება, დასახელებულ უნდა იქნას დ. გაჩეჩილაძის „უკვდავების ძახილი", ილ. მოსაშვილის „მისი წერილი", რ. გვეტაძისა და სხვათა მხატვრული ქმნილებანი.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შემოქმედებით შრომასა და გმირულ ბრძოლაში ყალიბდებოდა ქართველი ხალხის კულტურა, მისი ეროვნული თვისებები. ხშირმა ომებმა ვერ გააუბრალოეს და ვერ შელახეს ხალხის ფაქიზი მორალური თვისებები. მტერთან უსასტიკეს ბრძოლებში სიმკაცრესთან ერთად ხალხმა შეინარჩუნა რაინდობის, სიყვარულისა და მეგობრობის უკეთილშობილესი გრძნობები და მათი ამსახველი დიდი მწერლობა.

ამ ფაქტის შესახებ გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში" ანა ანტონოვსკაია და ბ. ჩორნი შემდეგს წერდნენ:

„საუკუნოვანი ბრძოლები სჭედდნენ ქართულ ეროვნულ ხასიათს. სამი გრძნობა აყალიბებდა მას—სიმამაცე, სიყვარული და მეგობრობა, რომლებსაც ასეთი აღმაფრენით უმღერდა შოთა რუსთაველის გენია. საფიქრებელი იყო მარად მტრულს გარემოცვასა და მუდმივ ხმალამოწვდილ მდგომარეობაში ყოფნას თითქოს უნდა მძვინვარე გაეხადა ქართველთა ხასიათი, მაგრამ ქართველი ხალხის გული და გონება მტრისადმი სიძულვილსა და შეურიგებლობასთან ერთად მეგობრებისადმი მუდამ ამოურწყავ სიყვარულს გრძნობდა"[443].

ქართული ლიტერატურა მისთვის დამახასიათებელი ოსტატობითა და სიმახვილით ისტორიულად მუდამ ასახავდა ხალხის ბრძოლას სამშობლოს დასაცავად, ამიტომ იგი უაღრესად მდიდარია სახელოვანი საბრძოლო პატრიოტული ტრადიციებით.

პოეტმა გრ. აბაშიძემ ეს მომენტი კარგად გამოსახა, როცა წარსულის გმირებს შემდეგი სიტყვებით გადასძახა:

ჩვენს სულში ლაღი არწივი ბუდობს,
გვერჩის გული და არ ვართ ჯაბანი,
დასავლეთიდან წამოსულ ურდოს
ჩვენ ვხვდებით, როგორც მამაპაპანი.

დიდ სამამულო ომში გამარჯვებული და შინ დაბრუნებული მეომარი ამაყად წარდგება გმირ მამა-პაპათა წინაშე. ეს მომენტი ოსტატურადაა გადმოცემული გ. შატბერაშვილის ლექსში: „მამა-პაპათა საფლავზე":

---

[443] „Литература и искусство", № 20, 1944.

პაპებს ვახარეთ... ყიჟინით
სასაფლაოზე გავედით.
ჩავძახეთ, ავახმიანეთ,
დადუმებული შავეთი.
გაიგეთ, ბერიკაცებო,
მამულს სწვევია დიდება,
ვაშად მოვედით,
ბებერ ძვლებს
ელდის არ შეეშინდება,
ადექით, წამოიხედეთ,
ეს ვისი ლანდი დაგხარით?
დაიჩოქეთ და მოხადეთ
მამა-პაპური თაღარი,
ვაჟკაცი დაბრუნებულა,
თქვენი ფესვების ნაყარი,
ბრძოლებში გამარჯვებული
და თქვენი ნაამაყარი.

სიმონ ჩიქოვანის შესანიშნავი პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე" ისტორიულ მასალებზეა აგებული; პოემაში მაღალმხატვრული ოსტატობითა და ღრმა იდეურობითაა გააზრებული ქართველი კლასიკოსის დ. გურამიშვილის ცხოვრება, რომელშიაც სიმბოლიურად აისახა რუსი. უკრაინელი და ქართველი ხალხების უანგარო მეგობრობის ისტორიული ფესვები. პოემა ჰიმნივით ჟღერს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაზე. იგი რელიეფურად ასახავს წარსულს და კარგად ეხმაურება აწმყოს, ნათელყოფს სსრ კავშირის ხალხებთან ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობას. ს. ჩიქოვანის ამ შესანიშნავ პოემას პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭა. საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ქართული პოეზია ახალი შინაარსით გამდიდრდა, დაწინაურდა, განვითარდა და იდეურად გაიზარდა.

ქართველმა პროზაიკოსებმა ასევე დიდი შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღეს. ქართველმა მწერლებმა სამამულო ომის წლებში შექმნეს შესანიშნავი ნაწარმოებები. ლეო ქიაჩელმა ომის თემატიკაზე გამოაქვეყნა რამდენიმე საყურადღებო მოთხრობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი რომანი „მთის კაცი". მიძღვნილი კავკასიის დაცვისადმი. მასში კარგადაა წარმოდგენილი ფრონტისა და ზურგის ერთიანობა. შ. დადიანის მოთხრობა „თამბაქო" გადმოგვცემს რუსი და ქართველი ქალების თავგადასავალის შესანიშნავ ეპიზოდებს, მოგვითხრობს თუ როგორი სტუმართმოყ-

ვარეობით ხვდება ქართველი ქალი დე-სი ევაკუირებულ რუს ქალს ლუდმილას, ისინი უზიარებენ ურთიერთს თავიანთ განცდებს და მოუთხრობენ თუ რა თავგანწირვით იბრძვიან ფრონტზე რუსი და ქართველი ვაჟკაცები მტრის შესამუსრად.

სამამულო ომის მონაწილე ქართველმა მწერლებმა კ. ლორთქიფანიძემ — „როგორ მოკვდა მოხუცი მუბადური", გ. ნატროშვილმა— „დასავლეთის ფრონტზე" და სხვებმა უშუალოდ ფრონტზე მიღებულ შთაბეჭდილებათა გადმოცემით გაამდიდრეს ჩვენი მწერლობა. სამამულო ომის უაღრესად აქტუალურ და ცხოველმყოფელ მოვლენებს ეხმაურებიან რ. გვეტაძის, დ. შენგელაიას, ა. ბელიაშვილის, ს. კლდიაშვილის, ს. სულიაშვილის, ს. თავაძის და სხვათა მოთხრობები და ნოველები. დ. შენგელაიას „წითელი ყაყაჩოს" ძირითად იდეას საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობა ასულდგმულებს. ა. ბელიაშვილის რომანი „უღელტეხილი" ასახავს კავკასიის მისადგომებთან გაჩაღებულ ბრძოლებს. ავტორმა კავკასიის დაცვაში ქართველი ხალხის მონაწილეობის მაგალითზე, მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ოსტატობით წარმოგვიდგინა ზურგისა და ფრონტის ერთიანობის დიადი ძალა.

ქართული ისტორიული რომანის ოსტატებმა კ. გამსახურდიამ, ა. ქუთათელმა, ა. ბელიაშვილმა და სხვ. სამამულო ომის წლებში დაწერეს რიგი ნაწარმოებები, რომლებიც კარგად ეხმაურებოდნენ ფრონტის ამბებს და ხალხთა დიად მეგობრობას. კ. გამსახურდიამ 1942 წელს გამოაქვეყნა „დავით აღმაშენებლის" პირველი წიგნი. ომის წლებში გამოვიდა ა. ქუთათელის რომანის—„პირისპირ" მესამე წიგნი. ა. ბელიაშვილმა დაწერა ისტორიული რომანი „ცხოვრება ბესიკ გაბაშვილისა". რომანის იდეა გაჟღენთილია რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობით და ნაჩვენებია, თუ როგორ დაეხმარა რუსეთი საქართველოს თავისი განვითარებისა და წინსვლის გზაზე.

ომის ვითარებაში ფრონტული ცხოვრების ამსახველი მხატვრული ნარკვევებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა გ. ნატროშვილის „ფურცლები დღიურიდან" და წიგნი „დასავლეთის ფრონტზე", ს. ჩიქოვანის „ქართველები ბრძოლის ველზე", კ. ლორთქიფანიძისა და ილ. მოსაშვილის ნარკვევების კრებული „ჩვენ ვნახეთ ისინი" და სხვ. ომის პერიოდის შემოქმედება ა. გომიაშვილის, შ. ამისულაშვილის, ი. ნონეშვილის, რ. მარგიანის და სხვათა, რომლებიც მტერს პირისპირ ებრძოდნენ, ფრონტული განცდების მძაფრი შთაბეჭდილებებითაა გაჟღენთილი. ასეთივე განცდები იგრძნობა შ. დადიანის,

რ. ქორქიას და სხვათა მიერ ომის თემატიკაზე დაწერილ საინტერესო ნარკვევებსა და ნოველებში.

ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა სამამულო ომის წლებში ოსტატურად ასახეს საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე გმირ მშრომელთა მამაცობა, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ქართველმა მგოსნებმა მაღალხმიერად უმღერეს საბჭოთა ხალხის მამაცობასა და გამარჯვებას[444].

ქართველმა დრამატურგებმა ომის წლებში მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს და ქმედითი დახმარება გაუწიეს ახალი ამოცანების წინაშე მდგომ ქართულ თეატრს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ს. კლდიაშვილის „ომის ხევი", გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა", ლ. გოთუას ისტორიული დრამა „მეფე ერეკლე", კ. კალაძის „ერთი ღამის კომედია", გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ" და სხვ. ომის წლებში განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა დრამატურგი გ. მდივანი, მისი პიესები „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ", „მოსკოვის ცის ქვეშ" და „პარტიზანები" პასუხობდნენ თანადროულობას თავისი აქტუალობით, ამიტომ დიდხანს წარმატებით იდგმებოდა მრავალ თეატრში. სამამულო ომის პერიოდში დაიწერა

---

444 ქართველმა მწერლებმა ომის წლებში ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცეს მთელი რიგი სხვადასხვა სახელწოდების კრებულები, ასევე პერიოდულად გამოდიოდა სპეციალური გაზეთები და ცალკეულ ავტორთა წიგნები, მიძღვნილი სამამულო ომისადმი. მაგალითად, 1942 წლის დასაწყისში გამოვიდა რუსულად და ქართულად ლექსების კრებული „გამარჯვების სიმღერები". აფხაზეთის პოეტებმა ჯერ კიდევ 1941 წელს გამოაქვეყნეს ლექსების კრებული „За родину", კრებულები გამოაქვეყნეს აგრეთვე აჭარის, ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის პოეტებმა და პროზაიკოსებმა. 1946 წელს რუსულად გამოვიდა ქართველ პროზაიკოსთა ნაწარმოებების დიდი კრებული, მიძღვნილი სამამულო ომისადმი და სხვ.

ომის წლებში სისტემატურად იცემოდა ცალკე მხატვრული კრებულები. ჟურნალი „მნათობი" და გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება" ნამდვილ მებრძოლ ორგანოებად იქცა. მათში ნათლად აისახა ფრონტისა და ზურგის უმნიშვნელოვანესი მოვლენები.

ომის წლებში უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდნენ ქუთაისელი, ბათუმელი, სოხუმელი და სტალინირელი მწერლები. მაგალითად, ბათუმელ მწერალთა ჯგუფმა ნ. ბალაზონიას, კ. რუსიძის, პ. რურუას, პ. ლორიას, შ. იოსელიანისა და სხვათა მონაწილეობით 1941 წ. გამოსცა ლექსების კრებული „ბრძოლა გამარჯვებამდე", ხოლო 1943 წ. — ლექსებისა და მოთხრობების კრებული „ჩვენ გავიმარჯვებთ!" ქუთაისელმა მწერლებმა: დ. თომაშვილის, შ. ჩარკვიანის, გ. გიასელის, ს. ისიანის, ვ. გუგუშვილის, გ. იმედაძის და სხვათა მონაწილეობით გამოსცეს კრებული „სამშობლოს ვიცავთ გმირულად", ერთდროული გაზეთები „სამშობლოსათვის" და „გამარჯვებისათვის" (სამ. ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 1, ფურც. 38).

1944 წელს აფხაზეთში გამოიცა კრებული **Отражение Великой Отечественной войны в абхазском фольклоре—художественной литературе, გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1944, 25 იანვარი.**

შესანიშნავი პიესები ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან, რომლებიც ოსტატურად ეხმარებოდნენ აწმყოს. ასეთები იყო ვ. დარასელის „კიკვიძე", ა. სამსონიას „ბაგრატიონი", სადაც ავტორებმა დახატეს რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანაძიგობრობის შესანიშნავი სურათები. მ. ჯაფარიძის ისტორიულმა პიესამ „ქამთაბერის ასული" მაყურებელთა დიდი სიყვარული დაიმსახურა. დიდი წარმატება ხვდა ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირებს". ეს პიესამ სხვა ისტორიულ დრამებთან ერთად სტალინური პრემია დაიმსახურა.

ომის წლებში დაიწერა ვ. გაბესკირიას „ქეთევან წამებული", ი. ვაკელის „თამარ მეფე", პ. კაკაბაძის „ვახტანგ გორგასალი", ასევე ვ. ლეონიძის „გიორგი ბრწყინვალე" და სხვა, სადაც ასახულია ქართველი ხალხის გმირული წარსული.

სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ესოდენ დიდ შემოქმედებითს მუშაობასთან ერთად ქართველი მწერლები მუშებისა და გლეხების მხარდამხარ ეედდნენ მტერზე გამარჯვებას. საქართველოს მწერალთა კავშირისა და მასში შემავალი საქალაქო, რესპუბლიკური და საოლქო კავშირების გამგეობათა ხელმძღვანელობით და მწერალთა აქტიური მონაწილეობით ქალაქებსა და სოფლებში ომის დასაწყისიდანვე სისტემატურად ეწყობოდა ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები. მწერლები გამოდიოდნენ კლუბებში, თეატრებში, სკოლებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში და თავიანთი მხატვრული შემოქმედებით, შინაარსიანი მოხსენებებით და საუბრებით დიდ დახმარებას უწევდნენ მასებს.

1944 წლის მაისში, საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში, დიდი ზეიმით ჩატარდა ქართული ლიტერატურის და ხელოვნების საღამოები, რომლებიც მომძე ხალხების ლიტერატურასთან მეგობრობის დემონსტრაციად იქცა. საღამოები მიმდინარეობდა სსრ კავშირის მწერალთა კლუბსა და კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, რომლებსაც დედაქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრი წარმომადგენელი ესწრებოდა.

საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ტიხონოვმა თავის შესავალ სიტყვაში მკაფიოდ დაახასიათა ქართული ლიტერატურის სერიოზული მიღწევები სამამულო ომის წლებში. შეეხო ქართველი მეომრების გმირობას ფრონტზე და აღნიშნა, რომ „მათი გმირობა ასახულია მგზნებარე ლექსებში, ხორცშესხმულია მკაფიო ლიტერატურულ სახეებში, რომლებიც შექმნეს საქართველოს მწერლებმა [445]. ტიხონოვმა გაზეთ „პრავდაში" რამდენადმე

[445] გაზ. „კომუნისტი", 1944, 16 მაისი.

შეაჯამა ქართული ლიტერატურის წარმატებები ომის წლებში. იგი თავის წერილში: „საბრძოლო ძმობა“ აღნიშნავდა: „ჩვენ, რუსი მწერლები და პოეტები, ვგრძნობდით და ვგრძნობთ ჩვენს საბრძოლო ძმობას ქართველ პოეტებსა და მწერლებთან, ამიტომაც ვიბრძვით მხარდამხარ და ჩვენი სიტყვა, ჩვენი ლექსი სამშობლოს სამსახურში დავაყენეთ... საქართველო შრომობს ფრონტისათვის და მისი შრომითი გმირობა ერწყმის საბჭოთა კავშირის ხალხთა საერთო ღონისძიებებს საბოლოო გამარჯვების მოახლოების საქმეში... ქართული ლექსები უმღერიან გმირობას ფრონტზე და გმირობას ზურგში, ქართველ პოეტთა ლექსებში ცოცხლობს პატრიოტიზმი, ცოცხლობს ახალი კეთილშობილური გრძნობა საბჭოთა ჰუმანიზმისა, რომელიც ძლევამოსილად ებრძვის ფაშიზმის შავ, კაცთმოძულე იდეოლოგიას“[446].

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა ლიტერატურამ ომის წლებში დიდი დახმარება გაუწია კომუნისტურ პარტიას. მან შეძლო ეჩვენებინა საბჭოთა ადამიანი მისთვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებებით, საბჭოთა პატრიოტიზმის, საკუთარი ძალისადმი ღრმა რწმენის, მტრისადმი სიძულვილისა და ბრძოლებში დიადი გამარჯვების მოპოვების შეურყეველი სულისკვეთებით, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებისათვის გერმანელი ფაშისტებისა და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ომში.

სამამულო ომის ფრონტებზე მტერთან გააფთრებულ ბრძოლებში ბევრი ახალგაზრდა ტალანტი დაიღუპა, მათ შორის დაუვიწყარია ქართველი პოეტები მირზა გელოვანი, სევერიან ისიანი, შალვა იოსელიანი, სანდრო ჟღენტი, დავით პატატიშვილი, ვ. უბილავა, გ. ნაფეტვარიძე, ალ. სულავა და სხვ.

სამამულო ომის წლებში ქართულ საბჭოთა მწერლობას შეემატა ახალი თაობა ნიჭიერი ახალგაზრდობისა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მტერთან პირისპირ ბრძოლებში მონაწილეობდა. ასეთებია თ. ჯანგულაშვილი, ო. ჭელიძე, მ. ლებანიძე, ვ. გორგანელი, ხ. ბერულავა, მ. ქვლივიძე და სხვ. გაიზარდა ახალი თაობა მწერლებისა აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში. ომის წლებში ვითარდებოდა და წინ მიდიოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულად შესწავლა მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით.

სამამულო ომის წლებში კვლავ გრძელდებოდა რუსული და უცხოური მწერლობის საუკეთესო ქმნილებათა ქართულად თარგმ-

[446] გაზ. „პრავდა“, 1944, 14 მაისი.

ნა. მრავალთაგან აქ შეიძლება დასახელებულ იქნას ალ. კორნეიჩუკის პიესა „ფრონტი“, ნ. ტიხონოვის ლექსი „სამი სადღეგრძელო“ და მრავალი სხვ. ითარგმნებოდა მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის მწერლების საუკეთესო ნიმუშები. 1944 წ. „მნათობის“ № 1—2 ფურცლებზე დაიბეჭდა ს. ავჩიანის „სომხური ლიტერატურა სამამულო ომის პერიოდში“. ითარგმნებოდა აგრეთვე უცხოელი მწერლების ნაწარმოებები და ა. შ.

ომის პერიოდში გამრავლდა სახალხო მთქმელები. ქართული ფოლკლორი გამდიდრდა პატრიოტული ახალი საგმირო ლექსებით, რომლებიც სამუდამოდ დარჩება ხალხურ შემოქმედებათა მდიდარ საუნჯეში[447].

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ახალი პერიოდი დაიწყო როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ასევე ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს ისტორიულმა დადგენილებამ ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა ლიტერატურის, მთელ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, პროგრესული ლიტერატურის განვითარების მართებული გზით წარმართვის საქმეში.

საბჭოთა ხელოვნებამ ომის მძიმე წლებში კიდევ უფრო განავითარა თავისი საუკეთესო ტრადიციები. იგი უფრო დაუახლოვდა მასებს და გამდიდრდა იდეურად. ხელოვნების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ბევრად გაიზარდა. რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებმა თავიანთი პატრიოტული თავდადებით ომის წლებში ძლიეს ყოველგვარი სიძნელენი, შექმნეს მაღალი მხატვრული სახეები, მოიპოვეს შემოქმედებითი გამარჯვება და ქმედითი დახმარება გაუწიეს საბჭოთა არმიასა და მშრომელებს. სამამულო ომის წლებში ჩვენი თეატრალური სპექტაკლები, მხატვრული, მუსიკალური და კინოხელოვნების ნაწარმოებები აღრმავებდნენ ხალხის მასების პატრიოტულ აღმავლობას, სიძულვილს მტრისადმი და უსაზღვრო სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი.

კომუნისტური პარტიის მოწოდების საფუძველზე, ქართული ხელოვნების სახელმოხვეჭილი წარმომადგენლები — მოქანდაკე

---

[447] მეომარ მელექსეთა ნაწარმოებები, გარდა იმისა, რომ სისტემატურად იბეჭდებოდა რესპუბლიკურსა და საფრონტო ქართულ გაზეთებში, 1948 წელს გამოცემულ იქნა ცალკე კრებულის სახით „იერიშები“ (ქართველ მებრძოლთა ლექსები), შედგენილი ლ. ბარამიას ნ. ჩახვაშვილის, ც. ალანდაძის, ი. ნოხუშვილის, ე. დარასელის, ა. კოკილაშვილის მიერ ალ. გომიაშვილის რედაქციით, თბილისი, საბლიტგამი, 1948. გვ. 286.

ი. ნიკოლაძე, მხატვარი მ. თოლაძე, არტისტები: ა. ხორავა, ვ. ანჯაფარიძე, ა. ვასაძე და სხვ., ქართველი კომპოზიტორები: დ. არაყიშვილი, შ. აზმაიფარაშვილი, გ. კილაძე, შ. მშველიძე და სხვ. — თავიანთი საქმით და სიტყვით ანტიფაშისტურ მიტინგებზე, სტატიებსა და წერილებში ომის დასაწყისიდანვე სათავეში ჩაუდგნენ ქართული მხატვრობის თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების მძლავრი კოლექტივის დიდ პატრიოტულ აღმავლობას და მთელ თავიანთ შემოქმედებით შრომას მთლიანად სამშობლოს დაცვის ამოცანებს უქვემდებარებდნენ.

რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა ყველაზე უფრო მძლავრ კოლექტივს და მის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს თეატრალური ხელოვნება და მისი მუშაკები შეადგენენ. ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე საქართველოს მოქმედი 48 თეატრიდან 458-ზე მეტი ახალგაზრდა მოწინავე მუშაკი ფრონტზე წავიდა[446].

ჩვენი დრამატურგებისა და თეატრის მუშაკთა თანამშრომლობით ომის ყაიდაზე გარდაქმნილი ქართული თეატრები თავიანთი ახალი შესანიშნავი დადგმებით ოსტატურად პასუხობდნენ საბჭოთა სამშობლოს დაცვის დიად ამოცანებს.

ქართული თეატრის რეპერტუარს ომის წლებში შეადგენდა ქართული ორიგინალური და ნათარგმნი პიესები, რომლებიც პასუხობდნენ ქვეყნის თავდაცვის ამოცანებს, ასეთები იყო: გ. მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, „მოსკოვის ცის ქვეშ“, „პარტიზანები“; ს. კლდიაშვილის პიესები; ა. სამსონიას „ბაგრატიონი“, ბ. გამრეკელის „გრიგალი“, ა. ეოგანაშვილის „რუხი მგელი“; ვ. დარასელის „კოკვიძე“; ლ. გოთუას „უძლეველნი“ და „მეფე ერეკლე“; ი. ვაკელის „დიდი მოურავი“; ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“ და სხვ.

გარდა ამისა, ქართული თეატრის სცენებზე დიდი წარმატებით იდგმებოდა რუსულიდან თარგმნილი ისეთი პიესები, როგორიცაა: ვ. როკის „ინჟინერი სერგეევი“, კ. სიმონოვის „რუსი ადამიანები“ და სხვ. სამამულო ომის ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის თეატრებში დადგმული 280 პიესიდან 220 საბჭოთა ავტორისა იყო, რომელთაგან 76 სამამულო ომის თემაზე იყო დაწერილი. ამათგან 23 ქართველ დრამატურგებს ეკუთვნოდათ.

ომის წლებში რესპუბლიკის თეატრებისათვის კარგი მაგალითის მიმცემად კვლავ რჩებოდნენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის

---

[447] სამამულო ომის არქივი. ფონდი 4, საქმე 10. ფურც. 7.

სახელობის თეატრები[449]. თეატრთა კოლექტივები დიდ მუშაობას ეწეოდნენ საბჭოთა არმიის მებრძოლების მომსახურეობისათვის. მზადდებოდა სპეციალური საკონცერტო პროგრამები, საესტრადო ნომრები.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა 1944 წლის მაისამდე შესძლო თავისი მხატვრული ბრიგადებით 490 სპექტაკლი და კონცერტი ჩაეტარებინა (აქედან 330 სამხედრო ნაწილებში და 160 ჰოსპიტალში). თეატრის კოლექტივმა თავდაცვის ფონდში მნიშვნელოვანი თანხა შეიტანა, დაეხმარა ფრონტელთა ოჯახებს და სხვ.

რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების მუშაკები, გაერთიანებულნი 45 ბრიგადაში, სისტემატურად ემსახურებოდნენ ამიერკავკასიის ფრონტს და შავი ზღვის ფლოტს. ბრიგადებში მონაწილეობდნენ გამოჩენილი არტისტები: ა. ხორავა, შ. ღამბაშიძე, თ. ჭავჭავაძე, მ. თარხნიშვილი, გ. სალარაძე, ს. ჯაფარიძე, ა. ფოცხვერაშვილი და მრავალი სხვა. ამ ბრიგადების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა რუსეთიდან საქართველოში ევაკუირებული ბევრი გამოჩენილი არტისტი. ხელოვნების მუშაკები სისტემატურად აწყობდნენ კონცერტებს საბჭოთა არმიის მოქმედ ნაწილებში სადაც დიდი გულთბილობით ხვდებოდნენ მათ.

საბჭოთა არმიის ნაწილებიდან და ფრონტებიდან შავი და ბალტიის ზღვის ფლოტის მეთაურებისა და მებრძოლებისაგან საქართველოში გამოგზავნილია უღრმესი მადლობით აღსავსე წერილები. სადაც გადმოცემულია ქართველი არტისტების დიდი საქმეები, მათი საბრძოლო საშეჯო პატრიოტული მოღვაწეობა.

ხელოვნების მუშაკები არა მარტო ფრონტის. არამედ ზურგის

---

[449] რუსთაველის თეატრის მუშაკების საგრძნობი ნაწილი საბჭოთა არმიის ნაწილებში იარაღით ხელში იცავდა სოციალისტურ სამშობლოს. ზურგში დარჩენილთაგან ჩამოყალიბდა ბრიგადები, რომელნიც სამამულო ომის მკაცრი წლების ბანძილზე მომსახურეობას უწევდნენ ჩვენი არმიის ნაწილებს არა მარტო ზურგში, არამედ უშუალოდ ფრონტზე.

რუსთაველის თეატრში ამ პერიოდში დაიდგა ახალი სპექტაკლები, რომელთაგან დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი დიდი მნიშვნელობა. ზოგი მათგანი სტალინური პრემიებით აღინიშნა. ვ. სოლოვიოვის „დიდ ხელმწიფეში“ ივანე მეოთხის, ვასილ შუისკის და ბორის გოდუნოვის მაღალი მხატვრული სახეების შექმნა რუსთაველის თეატრის სერიოზულ მიღწევად რჩება. ასევე ითქმის ამ თეატრში დადგეული დ. ერისთავის „სამშობლოს“, ს. შაწილიშვილის „კრწანისის გმირების“, „ხევისბერი გორსა“; ა. რეტშეევსკისა და ს. კაცის „ოლეკო დუნდიჩის“, ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ და სხვა სპექტაკლების შესახებ, რომლებიც რუსთაველის თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამაგალითო მიღწევად რჩება ომის წლებში განსახიერებული ისეთი სპექტაკლები, როგორიცაა: „გიორგი საკაძე“ უ. ჩხეიძისა, „გრიგალი“ ბ. გამრეკელისა, „პარტიზანები“ გ. მდივნისა, „მელოდე“ კ. სიმონოვისა, „ბაგრატიონი“ ა. სამსონიასი, „ფიქრის გორა“ გ. შატბერაშვილისა, ლ. გოთეას „უძლეველნი“ და სხვ.

მშრომელებსაც დიდ სამსახურს უწევდნენ. თესვისა და მოსავლის აღების კამპანიებს პერიოდში ისინი მიდიოდნენ სოფლებში, მაგალითად, რესპუბლიკის 26-მა რაიონულმა თეატრმა მხოლოდ 1942 წელს 650-ზე მეტი სპექტაკლი დადგა, ხოლო 1943 წელს — ორჯერ მეტი. 1941—1943 წლებში საქართველოს ხელოვნების მუშაკთა ძალებით მოეწყო 21 200 საშეფო კონცერტი. აქედან სამხედრო ნაწილებში—12 500-მდე, ჰოსპიტლებში—8 400-მდე და ა. შ., ხოლო მთლიანად სამამულო ომის წლებში ჩატარებული ასეთი კონცერტებისა და სპექტაკლების რიცხვი 28 ათასამდე აღწევს[450].

საქართველოს არტისტები მიემგზავრებოდნენ სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში, ყირიმში, ლენინგრადში, მოსკოვში და სხვ. სადაც დიდი წარმატებებით სარგებლობდნენ.

თბილისის გრიბოედოვის თეატრის მსახიობები 2 თვით სოჭაში გაემგზავრნენ და მომსახურეობას უწევდნენ როგორც მოსახლეობას, ასევე საბჭოთა არმიის ნაწილებს. პარტიამ მაღალი შეფასება მისცა ხელოვნების მუშაკთა ასეთ პატრიოტულ მოღვაწეობას. საბჭოთა მთავრობამ მხოლოდ მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ 600-მდე, ხოლო „შრომითი მამაცობისათვის“ ხელოვნების 700 მუშაკი დააჯილდოვა.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს თეატრების რიცხვი უმნიშვნელოდ შემცირდა. მაგალითად, 1940 წელს თუ რესპუბლიკაში 48 თეატრი ითვლებოდა, 1943 წელს მათი რიცხვი 42-მდე დადის, მაგრამ სამამულო ომის უკანასკნელ წელს იგი 46-მდე იზრდება[451]. მათ შორის ომის წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა 3 სომხური, 1 აფხაზური და 1 ოსური თეატრი, მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები. რესპუბლიკის თეატრების უმრავლესობამ, ყოველმხრივ ეხმარებოდა რა საბჭოთა არმიას, შეძლო იმგვარად მოეწყო თავისი მუშაობა და ფინანსური ბაზა, რომ უარი ეთქვა სახელმწიფო დოტაციაზე. ამის შედეგად 29 რაიონული თეატრიდან, რომლებიც დოტაციებზე იმყოფებოდა, 1943 წელს 24 უკვე უდოტაციოდ მუშაობდა, და თუ 1940 წელს ისინი 9490 ათას მანეთს ხარჯავდნენ, 1943 წელს ეს თანხა დაყვანილ იქნა 2 760 ათას მანეთამდე. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა იყო რესპუბლიკის დედაქალაქის თეატრებშიც[452]. ამ ეკონომიისა და დანაზოგების გზითაც ხელოვნების მუშაკებს თავიანთი წვლილი შეჰქონდათ

---

450 სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 10, ფურ. 15.
451 სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 10, ფურც. 11.
452 გაზ. „ზარია ვოსტოკა“. 1944, 13 მაისი.

საბჭოთა არმიის შეიარაღებისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვის ძლიერების განმტკიცების საქმეში.

სამამულო ომის პერიოდში კარგად მუშაობდნენ საქართველოს რუსული, სომხური, ოსური და აფხაზური თეატრები. მათ მიერ განხორციელებულ ახალ დადგმებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდათ. ისინი ააშკარავებდნენ მტრის სახეს და ზრდიდნენ სიძულვილს მისადმი. მოუწოდებდნენ საბჭოთა მებრძოლებს ფაშისტ-დამპყრობთა განადგურებისაკენ. ამგვარი ხასიათის დადგმათა რიგს პირველ ყოვლისა უნდა მიეკუთვნოს თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივის მიერ ომის დასაწყისშივე დადგმული ანტიფაშისტური სპექტაკლი „პროფესორი მამლოკი“ და სხვ. ომის პერიოდში ნაყოფიერად მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ქართული თეატრის ისტორიის შესწავლის მიზნით. აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღები და სხვ.[453].

საბჭოთა ხალხების პატრიოტიზმი, მათი გმირული ბრძოლა და შრომა სამშობლოს დასაცავად ვრცლად აისახა მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში და დიდად გაფართოვდა კომპოზიტორთა შემოქმედებითი ასპარეზი[454].

ომის წლებში ქართველი კომპოზიტორების მიერ გამდიდრდა თბილისის ოპერის თეატრის რეპერტუარი მთელი რიგი ორიგინალური მუსიკალური ნიმუშებით. ქართული და რუსული კლასიკური ოპერების ძველ დადგმებთან ერთად ომის წლებში რესპუბლიკის საოპერო თეატრი ახალ დადგმებსაც აბორციელებდა.

დიდმნიშვნელოვან მუსიკალურ ნაწარმოებთა ფონდში შევიდა სამამულო ომის პერიოდში ქართველი კომპოზიტორების ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: დ. არაყიშვილის მეორე სიმფონია. შ. აზმაიფარაშვილის სიმფონიური პოემა „ქართლი“, ი. გოკიელის ოპ. „პატარა კახი“, ა. ანდრიაშვილის ოპ. „კაკო ყაჩაღი“, ა. ბალანჩივაძის „პირველი სიმფონია“. შ. მშველიძის „სიმფონია № 1“. ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე შ. თაქთაქიშვილი, დ. ნარიმანიძე, ვ. ცაგარეიშვილი, თ. შაქერიაშვილი, მ. მაჭავარიანი და სხვ.

---

453 გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1945, 14 იანვარი.

454 ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს სსრ ხელოვნების საქმეთა სამმართველოში შედგა კომპოზიტორთა და მწერალთა თათბირი ახალი საბრძოლო სიმღერების დაწერის საკითხებზე. ტექსტის დაწერა იკისრეს თათბირის მონაწილე პოეტებმა გ. ლეონიძემ, ა. მაშაშვილმა, ი. მოსაშვილმა, ირ. აბაშიძემ, გ. ტაბიძემ, გ. ქუჩიშვილმა და სხვ. ქართველი პოეტები აქეყნებდნენ ლაშქრულ საბრძოლო ლექსებს, ხდებოდა მიკვლევა ძველი ხალხური გმირული სიმღერებისა, რომელთა საფუძველზე შეიქმნა ახალი მუსიკალური ნაწარმოებები.

1941—1943 წლის მანძილზე ქართველმა კომპოზიტორებმა შექმნეს ნაწარმოებები: გმირული თემატიკის ხალხურ სიმღერებზე—68, სამხედრო ლაშქრული სიმღერებისა და ცეკვის მუსიკალური ნაწარმოები საბჭოთა არმიისათვის — 10, სიმფონიური ნაწარმოები — 14, საოპერო და საბალეტო ქმნილებები, ოპერეტები და სხვ. მათ მიერ დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებები შესასრულებლად გადაეცა საბჭოთა არმიის ნაწილებს: 15 — ჩრდილო კავკასიის ფრონტს, 15 — ყირიმის ფრონტს, 12 — შავი ზღვის ფლოტს, 36 — ქართულ დივიზიებს და საბჭოთა არმიის საოლქო სახლებს. ამავე პერიოდში გამოიცა მასობრივი სიმღერების 5 კრებული და სხვ.[465]. დიდ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ქართული მუსიკალური ხელოვნების მუშაკებმა თავიანთი სამხედრო საშეფო მხატვრული ბრიგადებით უდიდესი სამსახური გაუწიეს სამშობლოს, მის დამცველ საბჭოთა არმიას. ისინი სისტემატურად მიდიოდნენ ფრონტებზე, ყაზარმებსა და ჰოსპიტლებში დაჭრილებთან და სამობილიზაციო პუნქტებში, აწყობდნენ საშეფო კონცერტებს, წარმოდგენებს და მხატვრულ შემოქმედებით შეხვედრებს (მხოლოდ საქართველოს ფილარმონიის არტისტებმა ომის დროს 6 000 საესტრადო კონცერტი მოაწყვეს).

მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში 1944 წ. 17 მაისიდან დაიწყო ქართული მუსიკალური კულტურის საღამოები, რომლებიც 25 მაისამდე გაგრძელდა. აქ დემონსტრირებულ იქნა ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, შ. მშველიძის, ა. ბალანჩივაძის, გ. კილაძის და სხვა ქართველი კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებები, რომელთაც ასრულებდნენ ქართული ვოკალური ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები — პ. ამირანაშვილი, დ. გამრეკელი, დ. ბადრიძე, ბ. კრავეიშვილი, მ. ნაკაშიძე, ნ. ხარაძე და სხვ. ქართული მუსიკალური ხელოვნების დეკადამ 1944 წელს მოსკოვში მაღალი შეფასება მიიღო.

ხალხთა მეგობრობის ნამდვილ დემონსტრაციად იქცა ამიერკავკასიის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მუსიკის დეკადა, რომელიც 1944 წლის დეკემბერში დიდი საზეიმო განწყობილებით ჩატარდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში. დეკადაში ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მუსიკალური ხელოვნების ოსტატები, ხალხური ცეკვებისა და სიმღერების შესანიშნავი წარმომადგენლები ქ. თბილისში შეხვდნენ ერთმანეთს, რათა

---

[465] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 10, ფურც. 16—17.

ბულწრფელად გაეზიარებინათ საკუთარი მიღწევები. დამახასიათებელია, რომ დეკადამ ფართო მასების დიდი ყურადღება და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

სომეხი ხალხის მუსიკალური ფოლკლორითა და ხალხური ცეკვებით მოხიბლული სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი აღტაცებით წერდა: „მოძმე სომეხი ხალხის მუსიკალური ფოლკლორი ღირსია ყოველგვარი ყურადღებისა. განსაკუთრებით კარგია ხალხური ცეკვები, რომლებსაც შეიძლება დაუსრულებლივ უცქიროს კაცმა“.

სამამულო ომის პერიოდში ქართული მუსიკალური ხელოვნება კიდევ უფრო გამდიდრდა, მომზადდა ნიჭიერი კადრები, გამოვლინდნენ მუსიკის ახალგაზრდა ტალანტები და ოსტატები.

ომის განმავლობაში ქართველმა კომპოზიტორებმა შექმნეს ბევრი ახალი მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც შეიდნენ და დამკვიდრდნენ ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურში. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში შეიქმნა 160-მდე სამხედრო-სალაშქრო სიმღერა, 4 საბალეტო და საოპერო ნაწარმოები, 14 სიმფონიური ნაწარმოები და სხვ.[456].

გადამწყვეტი გამარჯვების 1944 წელს საბჭოთა ხალხი შეხვდა სსრ კავშირის სახელმწიფო ახალი ჰიმნით (ბრძანებულება ნაცვლად „ინტერნაციონალისა“ ახალი ჰიმნის მიღების შესახებ გამოვიდა 1943 წ. 21 დეკემბერს. ხოლო მისი საყოველთაო შესრულება დაიწყო 1944 წ. 16 მარტიდან, ტექსტი ს. მიხალკოვისა და ელ-რეგისტანისა, მუსიკა ა. ალექსანდროვისა). ჰიმნში ნათლად აისახა საბჭოთა ხალხების მეგობრობა, თავისუფლება და პატრიოტიზმი, ლენინიზმის იდეების დიადი გამარჯვება და ზეიმი. ასევე ქართველი კომპოზიტორებისა და პოეტების თანაშრომლობით შეიქმნა ქართული ნაციონალური სახელმწიფო ჰიმნი, რომლის ავტორად ითვლება კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი (ტექსტი ა. აბაშელისა და გრ. აბაშიძისა).

საბჭოთა მხატვრები ომის წლებში დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ. ქართველი მხატვრები საშეფო მუშაობას აჩალებენ ამიერკავკასიის ფრონტის ნაწილებში. ისინი მხატვრულად აფორმებდნენ წვევამდელთა საგიტაციო და შესაკრებ პუნქტებს, წითელი არმიის სახლებს, სადგურებსა და ჰოსპიტლებს. ხატავენ პლაკატებს, ლოზუნგებს, კარიკატურებს, სურათებს და აფორმებენ კედლის გაზეთებს. დამახასიათებელია, რომ ახალგაზრ-

---

456 საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის მასალები. ფაზ. „კომუნისტი“. 1945. 4 აგვისტო.

და ქართველი მხატვრები: დ. და რ. თავაძეები, გ. ჯაფარიძე, ა. კოპალიანი და ბევრი სხვები ფრონტზე წავიდნენ. ქართველ მხატვართა დიდმა კოლექტივმა ახლებურად გარდაქმნა და თავდაცვის ინტერესებს დაუქვემდებარა მთელი თავისი შემოქმედებითი მუშაობა. ომის წლებში საქართველოს დედაქალაქში მოეწყო მხატვართა შემოქმედების სამი დიდი გამოფენა, პირველი გამოფენა—„ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის" — თითქმის მთლიანად ისტორიულ-გმირულ თემატიკას მიეძღვნა. ამ გამოფენამ მხატვართა შემოქმედებაში ფრიად საპატიო ადგილი დაიკავა. აქ წარმოდგა ქართველი ხალხის გმირული ისტორიის დიდებული ფურცლები. გამოფენაში მონაწილეობდა 52 მხატვარი და 8 მოქანდაკე; ორდენოსანმა მხატვარმა ელ. ახვლედიანმა შექმნა მხატვრული ტილო „ძმები ხერხეულიეები", მხატვარმა ს. მაისაშვილმა „გ. სააკაძე სპარსელებთან ბრძოლაში". მხატვარმა შ. მაყაშვილმა „სპარსელების განდევნა თბილისიდან", თ. აბაკელიამ შექმნა გრაფიკული ნაწარმოები „თბილისის დაცვა XVII საუკუნეში" და სხვ. ეს ისტორიული მნიშვნელობის ნაწარმოებები კარგად ეხმაურებოდნენ თანადროულობას და აღაგზნებდნენ საბჭოთა ხალხებს სამშობლოს დაცვისათვის.

1942 წელს თბილისში მოეწყო მორიგი გამოფენა თემაზე: „გერმანელ ფაშისტთა მხეცობა და საბჭოთა ხალხის ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ". ამ გამოფენის მოწყობაში მონაწილეობდნენ მხატვრები როგორც საქართველოდან, ისე აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, ჩრდილო კავკასიიდან და კრასნოდარიდან. ქართველმა მხატვრებმა და სკულპტორებმა, ისევე როგორც მოძმე რესპუბლიკების მხატვრებმა, შექმნეს მთელი რიგი უკვდავი ტილოები და სკულპტურული ნაწარმოებები, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ი. ნიკოლაძის სკულპტურული ძეგლები გენერლების ლესელიძისა და ჩანჩიბაძის, თ. აბაკელიას „შურს ვიძიებთ", „კავკასიის დაცვა", „დაჭრილი პარტიზანი" და სხვა ქმნილებანი. დიდად შთამაგონებელი მაღალმხატვრული ოსტატობითაა შესრულებული ი. თოიძის „ზოია კოსმოდემიანსკაია", „დედასამშობლო გვიხმობს", „ფაშისტთა მხეცობა", „გმირულად დაღუპული დორეულის პორტრეტი", „გახოკიძის პორტრეტი", მ. თოიძის „წერილი ფრონტიდან", უ. ჯაფარიძის „დაჭრილის მოწოდება", ვ. თოფურიძის „პარტიზანი", ს. ნადარეიშვილის „გმირის დაბრუნება". კ. სანაძის „მედიცინის და" და მრავალი სხვა.

საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა ფაშიზმის განადგურებისათვის მკაფიოდ აისახა ლ. გუდიაშვილის ისეთ ნაწარმოებებში, როგო

რიცაა „მოძალადე“, „ფაშიზმის დიდსულოვნება“, „საზიზღარი ქვეწარმავალნი“, „აგრესორის ულტიმატუმი“, „ჰიტლერის ფანტაზიის კოსმიური გაფრენა“ და სხვ. სამამულო ომის წლებში თბილისში დაიდგა შ. რუსთაველის ძეგლი (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი) და ი. ბ. სტალინის მონუმენტი სანაპიროზე (მოქანდაკე ს. კაკაბაძე).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავზე საქართველოში მოეწყო მესამე გამოფენა თემაზე „საბჭოთა ხალხის დიდი განმათავისუფლებელი ომი გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ“, სადაც მკაფიოდ აისახა სამამულო ომის გარდატეხის პერიოდთან დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებანი.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობდა ვეფხვაძის, ციმაკურიძისა და წერეთლის: „უკან დახეული ფაშისტები ხვრეტენ მშვიდობიან მოსახლეობას“; გ. გიორგაძის, ა. გიგოლაშვილისა და ბ. რომანოვსკის: „საბჭოთა კავალერისტები სტალინგრადთან მუსრს ავლებენ ფაშისტებს“; ა. ქუთათელაძისა და დ. ნადარეიშვილის: „ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიზანების მიერ გერმანელთა შტაბის განადგურება“ და მრავალი სხვა.

ქართველი მხატვრები სამამულო ომის პერიოდში ფრონტის ამბებთან ერთად თავიანთ შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ზურგის საგმირო საქმეებს. მშრომელთა თავდადებას მტერზე გამარჯვებისათვის. ეს კარგად იყო ასახული იმ გამოფენებზე, რომლებიც ომის წლებში ეწყობოდა.

სამამულო ომის პერიოდში ნაყოფიერად მუშაობდა რესპუბლიკის **კინოხელოვნება**. ომის წლებში (1944 წლის მაისამდე) თბილისის კინოსტუდიამ გამოუშვა 15 მხატვრული და დოკუმენტური კინოფილმი. ასობით მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური კინოჟურნალი და ქრონიკა, რომლებიც საბჭოთა ხალხის გმირობას და შრომას ასახავდნენ.

თბილისის კინოსტუდიამ გმირ შავზღველებზე გამოუშვა ორი საინტერესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი: „ფრონტი ზღვაზე“ და „შავზღველთა ვახტი“. ფილმი უჩვენებს საბჭოთა მეზღვაურებისა და მეთაურთა საგმირო საქმეებს. კინოფილმები „პარტიზანი“, „რკინის ჯვარი“, „ბაკურ ბეგი“ და სხვ. ასახავენ ჩვენი პარტიზანების გმირული ბრძოლების ეპიზოდებს.

თბილისის კინოსტუდიის გამოშვებებიდან დიდი სახელი მოიხვეჭა ისეთმა პატრიოტულმა ფილმებმა, როგორიცაა „გიორგი საკაძე“ (რეჟისორი მ. ჭიაურელი), „ჯურღაის ფარი“ (რეჟისორი ს. დოლიძე და დ. რონდელი). ამ ფილმებმა სტალინური პრემია დაიმსახურეს.

დ. ზასლავსკი გაზეთ „პრავდაში“ (1944 წ. 16 აპრილი) აქვეყნებს სტატიას „პოემა დიდ ქართველ მხედართმთავარზე“, სადაც წერს: „სააკაძის სახე შევიდა ჩვენი დიდი წინაპრების იმ მამაც სახეთა გალერეაში, რომლებიც გვინათებენ საუკუნეთა სიღრმიდან, გვაკავშირებენ ისტორიულ სინამდვილესთან... ჩვენს თვალწინ ახლებურად დგება ნათელი სახე დიდი ქართველი მხედართმთავრისა. იგი ბელადია, რომელიც სულიერად ენათესავება ალექსანდრე ნეველს, დიმიტრი პოჟარსკის. სუვოროვს, კუტუზოვს, ბაგრატიონს“. კინოსტუდიის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ისტორიული პატრიოტული ფილმის „დავით გურამიშვილი“ გამოშვება, სადაც კარგადაა ნაჩვენები რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვები.

ფართო ხასიათი მიიღო შემოქმედებითმა თანამშრომლობამ საქართველოში ევაკუირებული მოძმე რესპუბლიკების კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან.

ომის უმძიმეს წლებში საქართველოში ევაკუირებული იყვნენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ხელოვნების მუშაკთა გამოჩენილი წარმომადგენლები. საქართველოს ესტუმრნენ: მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის 50 მუშაკი ნემიროვიჩ-დანჩენკოს ხელმძღვანელობით, საბჭოთა მუსიკის 46 მოღვაწე პროფ. გოლდენვეიზერის მეთაურობით. ლენინგრადის კომედიის თეატრის კოლექტივი, კიევისა და ხარკოვის ოპერის ისეთი სახელმოხვეჭილი არტისტები, როგორიცაა კიპარენკო-დამანსკი, გრიშკო-ლოზინსკი, ბეჟოვი, სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი შტეინმანი და სხვ.. მხოლოდ ესტრადისა და ფილარმონიის ჩამოსულ არტისტთა რიცხვი 314 კაცს აღემატებოდა. საქართველოში ჩამოვიდნენ აგრეთვე მოსკოვის „მხატვრის“ თეატრის მუშაკები კაჩალოვი, მოსკვინი და სხვები, რომლებიც ომის წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ.

საქართველოში მოძმე რესპუბლიკებიდან ომის დროს ჩამოსული ხელოვნების მოღვაწენი შემდეგში მადლობით აღსავსე გრძნობით უბრუნდებიან თავიანთ თეატრებს და გულმხურვალედ გამოხატავდნენ იმ გულთბილ შეხვედრას და ზრუნვას, რაც ომის დღეებში ქართველმა ხალხმა გამოიჩინა მათდამი — მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების მოღვაწეთადმი. საქართველოში სტუმრად ჩამოსულთა ეს აზრი და გრძნობა კარგად გამოხატა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნემიროვიჩ-დანჩენკომ თავის მადლობით აღსავსე წერილში, სადაც ვკითხულობთ: „მადლობა დახმარების აღმოჩენისათვის, ჭეშმარიტი სტუმართმოყვარეობისათვის, ყურადღებისათვის“[457].

---

[457] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 242, ფურც. 1—2.

დამახასიათებელია ისიც, რომ სამამულო ომის პერიოდში მოძმე რესპუბლიკებიდან საქართველოში ევაკუირებულმა კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგის რიგმა მუშაკებმა გადაწყვიტეს ომის დამთავრების შემდეგაც დარჩენილიყვნენ საბჭოთა საქართველოში. საქართველო მათ შეიყვარეს იმდენად, რომ იგი მართლაც მშობლიური და განუყრელი გახდა ბევრი მათგანისათვის. ომის დროს საქართველოში ჩამოსული კულტურის მოღვაწენი დღესაც ცხოვრობენ აქ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ქართული ეროვნული კულტურის მოღვაწეთა მხარდამხარ სოციალისტური სამშობლოსათვის.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს ი ძ ლ ე ვ ა დ ა ვ ა ს კ ვ ნ ა თ, რომ საბჭოთა კავშირის სამამულო ომის პერიოდში საქართველოში ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა განუხრელად ვითარდებოდა. საქართველოს კულტურისა და მეცნიერების ფრონტის მრავალათასიანი მუშაკები უდიდეს დახმარებას უწევდნენ არა მარტო საბჭოთა არმიას და ფრონტს, არამედ მტკიცედ იყვნენ დაკავშირებულნი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასთან — ფაბრიკა-ქარხნებთან, კოლმეურნეობებთან, მტს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებთან[158]. ისინი, ი. ბ. სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, პირდაპირ ხელმძღვანელ დახმარებას უწევდნენ მუშებსა და გლეხებს წარმოების გაშლისა და წითელი არმიის საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში[159].

საქართველოს ინტელიგენციამ, მუშებთან და გლეხებთან მჭიდრო თანამშრომლობით, დიდი რუსი ხალხის ინტელიგენციის მხარდამხარ პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და ღირსეული წვლილი შეიტანა ვერაგ მტერზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მოპოვების საერთო საქმეში.

---

158 სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე. საიუბილეო კრებული, 1957.

159 ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ. გვ. 153.

მანყოფილება მეოთხე

ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა სსრ ქავშირის ხალხებთან დიდ სამამულო ომში

თავი VII

ქართველი მეომრების მამაცობა და გმირობა დიდ სამამულო ომში

ქართველ ხალხს დიდ რუს ხალხთან, და კერძოდ კავკასიის მოძმე ხალხებთან, უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლო თანამეგობრობის დიდი ტრადიციები მოეპოვება. სამამულო ომის პერიოდში შეუდარებლად გაღრმავდა ეს ტრადიციები და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის თავისუფალ ხალხთა ერთობლივ, გმირულ ბრძოლებში თვისობრივად ახალი გახდა.

სამამულო ომის ფრონტზე ქართველი მეომრები საბჭოთა არმიის სხვადასხვა ნაწილებში იყვნენ გაერთიანებულნი. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა კი პირისპირ ბრძოლებში გასტეხეს და დაამარცხეს ფაშისტური არმია, გასწმინდეს საბჭოთა მიწა-წყალი ოკუპანტებისაგან, იხსნეს ევროპის ჩაგრული ხალხები ჰიტლერელთა მონობის უღლისაგან და ბერლინში, რაიხსტაგზე, გამარჯვების დიადი დროშა ააფრიალეს.

1. ცოტა რამ წარსულიდან

გმირული საბჭოთა არმია შეიქმნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხელმძღვანელობით. გამოკვლეულია, რომ გამარჯვებული პროლეტარიატის არმიის ორგანიზაციის შესახებ კ. მარქსს და ფ. ენგელსს დასრულებული მოძღვრება არ მოუციათ და თავიანთი მოღვაწეობის ეპოქაში არც შეეძლოთ მოეცათ[1].

[1] ისინი მხოლოდ გაკვრით ეხებიან ამ საკითხს. მაგ., იხ. ფ. ენგელსის რჩეული სამხედრო ნაწერები, ტ. I, გვ. 28.

მარქსი და ენგელსი სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში მოღვაწეობდნენ. ისინი თავიანთ მოძღვრებას ომის, ზავისა და რევოლუციის შესახებ ქმნიდნენ იმ პერიოდში. როცა კაპიტალიზმი არ იყო შესული თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ ფაზაში. იმპერიალიზმის ფაზაში. როცა ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების კანონი და დღის წესრიგში არ იდგა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება. ამიტომ მარქსი და ენგელსი თავის დროზე ვარაუდობდნენ, რომ სოციალიზმის გამარჯვება მოხდებოდა ერთდროულად კაპიტალისტურ ქვეყნებში; ამდენად სოციალისტური სახელმწიფოს დაცვის საკითხი კაპიტალისტური მტრული გარემოცვისაგან მათთან საერთოდ არც იდგა. ამავე გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ მათ არ შეეძლოთ შეექმნათ მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს არმიისა და ომის წარმოების წესის. მისი სამხედრო მეცნიერების შესახებ.

ამ დიდი ისტორიული მისიის შესრულება წილად ხვდა ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ს. მან იმპერიალიზმის ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა, რომ „ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში"[2].

სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა რა თავდაპირველად მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში და შეიქმნა რა მტრული კაპიტალისტური გარემოცვა, საბჭოთა სამშობლოს დაცვის ინტერესები მოითხოვდნენ არა მარტო ძველი არმიის განადგურებას, არამედ ახალი ტიპის რეგულარული საბჭოთა არმიის შექმნასაც.

ვ. ი. ლენინი გადაჭრით მოითხოვდა რეგულარული მძლავრი არმიის შექმნას როგორც რუსეთის ცენტრალურ რაიონებში, ასევე ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკებში. ლენინი მიუთითებდა:

„ბატონებულმა კლასმა, პროლეტარიატმა, თუკი მას სურს ბატონობა და იბატონებს, უნდა დაამტკიცოს ეს თავისი სამხედრო ორგანიზაციითაც".[3]

ისტორიაში საზოგადოდ დიდ როლს ასრულებს ძალდატანება. პროლეტარიატის პროგრესულ-რევოლუციური მისიის შესრულებისათვის განმათავისუფლებელ ომებში ძალდატანების ძირითადი საშუალება მისი შეიარაღებული ძალებია.

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 417.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 29, გვ. 160—167.

პროლეტარიატის რევოლუციური არმია ვ. ი. ლენინის განსახღვრით „საჭიროა, იმიტომ, რომ მხოლოდ ძალით შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს დიადი ისტორიული საკითხები, ხოლო ძალის ორგანიზაცია თანამედროვე ბრძოლაში არის სამხედრო ორგანიზაცია".[4]

1918 წლის თებერვალში შეიქმნა რეგულარული წითელი არმია. რევოლუციური წითელი გვარდია იქცა ამ არმიის მადუღაბებელ ბირთვად.

წითელმა არმიამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩაანადგურა ინტერვენტები და კონტრრევოლუციური თეთრგვარდიული ბანდები, ყოველმხრივ დაეხმარა ამიერკავკასიის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის რევოლუციურ ბრძოლებში და სხვ.

ვ. ი. ლენინი წითელი არმიის რეგულარული ნაწილების მშენებლობის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ნაციონალური ნაწილების შექმნას.

ეს იყო სავსებით ახალი და ყოველად უმაგალითო მოვლენა რუსეთის ხალხთა ისტორიაში. ცნობილია, რომ მეფის წყობილების დროს თურქმენებს, უზბეკებს, ყაზახებს, ყირგიზებს და სხვებს არმიაში არ იწვევდნენ, მეფის მთავრობა არ ენდობოდა მათ და არ სურდა სამხედრო საქმე შეესწავლებინა მათთვის[5].

ვ. ი. ლენინი სისტემატურად ზრუნავდა წითელი არმიის ქართული ნაციონალური ნაწილების შექმნის, გაძლიერების და მისთვის საჭირო მეთაურთა ახალი კადრების მომზადებისათვის.

1922 წ. 13 თებერვალს ვ. ი. ლენინი ს. ორჯონიკიძეს სწერდა: „რადაც უნდა დაჯდეს დაუყონებლივ უნდა გავადიდოთ და გავაძლიეროთ საქართველოს წითელი არმია".[6]

ვ. ი. ლენინის ამ მითითებათა განხორციელების საფუძველზე გაძლიერდა წითელი არმიის ქართული ნაწილები. ცნობილია, რომ მასში აღზრდილი მრავალი მეთაური დიდი სამამულო ომის გამოჩენილი გენერალი გახდა. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ გენერლების კ. ლესელიძის, ვ. მეკავანაძის. ი. რაზმაძის. პ. ჩანჩიბაძის. გ. ჯინჭარაძის და სხვათა სახელები.

ქართველ ხალხს უცხო დამპყრობლებთან ბრძოლის დიდი ტრადიციები მოეპოვება. ქართველი ხალხი სსრ კავშირში გაერთიანებულ მომძე ხალხთა შორის ერთ-ერთი უძველესი კულტურისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდი წარსულის მქონე ხალხია.

---

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 383.
[5] მ. ი. კალინინი, ერთიანი მებრძოლი ოჯახი, 1943, გვ. 5.
[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 226.

საკუთარი ტერიტორია, ეროვნული კულტურა და დედაენა მან დაიცვა უამრავი დამპყრობთა წინააღმდეგ უთანასწორო ომებში. ამგვარი ომები თითქოს ქუდბედად დაჰყვა ქართველ ხალხს, მაგრამ მტარვალებმა ვერ გასტეხეს მისი ნებისყოფა; პირიქით, ამ ომებში (მართალია, აუნაზღაურებელი მსხვერპლის ფასად) ხალხმა შეძლო დაეგროვებინა დიდი გამოცდილება და შეექმნა სამშობლოს დაცვისათვის დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის დიდებული ტრადიციები. სამშობლოსათვის თავდადებულნი მუდამ ხალხის სიყვარულს იმსახურებდნენ, მათ ვაჟკაცობაზე ითხზვებოდა ოდები, იწერებოდა ისტორია[7].

სამშობლოს დაცვისათვის თავდადებულთადმი დიდი სიყვარული და მათ ნამოქმედართა უკვდავყოფა ხალხის მასებში აღრმავებდა გმირულ ტრადიციებს და შეუნელებლად უწყობდა ხელს პატრიოტული შეგნების გაძლიერებას.

საქართველოს გეოგრაფიულ-ისტორიული პირობები მოითხოვდა სახელმწიფოს ქვეყნის თავდაცვისათვის ჰყოლოდა გაწვრთნილი სახმელეთო, კერძოდ სამთო და მეციხოვნეთა, მძლავრი ლაშქარი, ასევე საზღვაო ფლოტი. ისტორიული წყაროებითა და ქართული ფოლკლორით ნათლად დასტურდება, რომ ქართველური ტომები განთქმული მეზღვაურები იყვნენ. რუსი მოგზაურის დაკვირვებით „Лазы—акробаты морского дела. Сильнейшие, ловкие, смелые, превосходные пловцы, они как бы созданы для занятий своей опасной профессии и являются в ней незаменимыми“[8].

ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო ძლიერების ხანაში ზღვაზე ბატონობისათვის ბრძოლა კარგადაა ასახული როგორც ქართულ ფოლკლორში, ასევე ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში.[9]

---

[7] საკმარისია მოვიგონოთ კახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, დიმიტრი თავდადებულის, გიორგი საკაძის, ცხრა ძმა ხერხეულიძეთა, ხუდია ბორჩალოელის, მაია წუნდელის, ერეკლე მეორისა და სხვათა სახელები, მანგლისდიდგორის, ასპინძის, კრწანისის და მრავალ დიდ ბრძოლათა აურაცხელ გმირთა მარად დაუვიწყარი მამაცობა.

[8] ციტატი მომყავს შ. დადიანის „Военные моряки—грузины“-დან (გახ. „Красный флот“, 1946, 27 თებერვალი). ცნობილია, რომ ლაზები დღესაც სახელგანთქმულ მეზღვაურებად რჩებიან.

[9] ერთი ფშაური ლეგენდა გვაუწყებს „თამარის ხმალს ვეღარაკის ფარმა ვერ გაუძლო, ყველას უნდა ქედი მოეხარა იმის დიდების წინაშე და ეძლია ხარჯი... მარტო ზღვა იყო თავისუფალი და ჯერ კიდევ არ უხრიდა თავს. მაგრამ ისიც ძალე მოდრიკა თამარმა. უბრძანა ქარს, მოატანინა ზღვის პირზედ ჩალა-ბზე, თივა-ფიჩხი, გადააყრევინა ზღვაში და დაასხა ნავთი. ზღვამ თივა ზევით მოიგდო: მერე მოაკიდებინა (ეცხლი... შესწუხდა ზღვა, შაიძრა თავით ბოლომდე... გამოუგზავნა ქაცი თამარს — ოღონდ ნუ დამწვავ და რაც გინდა ის ხარჯი გამომართვეო. თამარმა შეიწყალა ზღვის თხოვნა“ (ქ. სიხარულიძე. თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, თბილისი, 1943, გვ. 8).

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების, საბჭოთა კავშირის გმირ მეზღვაურთა (წყალქვეშა ნავის კაპიტანის ი. იოსელიანის, მეზღვაურ ა. კანანაძის. საზღვაო ავიაციის მფრინავ ა. წურწუმიას, სევასტოპოლის ეპოპეის გმირების ნ. ადამიას, ა. გეგეშიძის, მ. გახოკიძისა და ბევრ სხვათა) მარად სახსოვარი საგმირო საქმეები დიდ სამამულო ომში, რომლებიც საბჭოთა პატრიოტიზმის ყოვლისშემძლეობის შედეგია. შესანიშნავად ეხმაურებიან ქართველი ხალხის გმირულ ისტორიულ ტრადიციებს; უდავოა „საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები"[10].

იგივე ითქმის სამთო ომის იმ მდიდარ ტრადიციებზე. რაც ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე დაუგროვებია; ისინი სავსებით ახალ ვითარებაში და ახალ საფუძველზე გამოვლინდა კავკასიის დაცვის მძაფრ დღეებში, როცა საბჭოთა არმიის რიგებში გაერთიანებული ქართველი ხალხის საამაყო შვილებიც. — საბჭოთა კავშირის გმირების —ვ. კანკავას ვ. ლურსმანიშვილის, ა. პირმისაშვილის, მ. ბუხაიძის, სახელოვანი გენერლების კ. ლესელიძის. გ. უუფარაძის. გ. ყურაშვილის, ი. სილაგაძის, მ. ღლონტისა და სხვათა გმირული ბრძოლები კავკასიის მთებში საქვეყნოდ გახდა ცნობილი.

ქართველი ალპინისტური გასამხედროებული სპორტული დანაყოფები, მთამსვლელი მოხალისეები, — სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის კოლმეურნე გლეხები. პირისპირ ებრძოდნენ და სპობდნენ კავკასიის მიუვალ ადგილებში შემოჭრილ უცხო დამპყრობლებს. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავარსარდლობამ ამიერკავკასიის ჯარების იმ ნაწილების მეთაურობა, რომლებიც იცავდნენ კავკასიის მთავარ გადასასვლელს, დააკისრა სამთო არტილერიის ცნობილ სპეციალისტს გენერალ-ლეიტენანტ კ. ლესელიძეს[11].

გერმანელი მწერალი ჰუგო ჰუპერტი თავის შესანიშნავ ლექსში „შეუდრეკელი ხალხი" ქართველი ხალხის საამაყო შვილის ქანთარიას საგმირო საქმეებს დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის გმირული ტრადიციებითაც ხსნის. იგი წერს:

ბოროტსა სძლია... ქანთარია, ქართველი კაცი,
დღეს შრომაშიაც პირველია, რისხვა მტარვალთა,

---

[10] ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, სახელგამი, 1947, გვ. 178.

[11] Важнейшие операции Великой Отечественной войны, под ред. П. А. Жилина, М. 1956, стр. 142, 147, 151.

მშობლიურ კერას დაუბრუნდა მებრძოლი მკაცრი.
რაიხსტაგზე რომ გამარჯვების დროშა აღმართა.
მე ქანთარია მომეგება ნათელი სახით,
ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა ვაჟკაცურ მკერდზე...

მასში შევიცან ისტორია ქართველი ხალხის
ქართველი ხალხის გამარჯვება თავგასულ მტერზე.

უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხი იბრძოდა მოძმე ხალხებთან საბრძოლო მშვიდრო კავშირის გზით. ამ მხრივ საყურადღებოა, მაგალითად, ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა თურქ-სელჯუკიანთა წინააღმდეგ, რომელსაც დავით აღმაშენებელი მეთაურობდა. ეს ტრადიცია შემდეგშიაც გრძელდებოდა. აკადემიკოს მანანდიანის დასაბუთებით: „Лишь при царице Тамаре (1184—1213) Армения была окончательно избавлена от власти селджукских эмиратов, что способствовало восстановлению хозяйства страны и развитию торговли и ремесел в городах“[12].

არანაკლებ დიდი მნიშვნელობისა იყო საქართველოს სამეფოს გამათავისუფლებელი როლი ამავე პერიოდში მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის გამოხსნისა და მასთან მეგობრობის განმტკიცების საქმეში. დამახასიათებელია, რომ მოძმე სომხეთის და აზერბაიჯანის ხალხების ბრძოლას თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ წარმართავდა ფეოდალური საქართველოს მძლავრი სამეფო ხელისუფლება.[13]

უფრო მოგვიანებით, XIII საუკუნეში, ფეოდალური საქართველოს კიდევ უფრო ბევრად გაძლიერებულ სამხედრო ძალებს რუსი ხალხის დიდ სამხედრო ძალებთან ერთად მოუხდათ დიდი პროგრესულ-ისტორიული მისიის შესრულება, რომელსაც კაცობრიობის ისტორია ვერ დაივიწყებს. უდავოა, რომ რუსმა და ქართველმა ხალხმა, შეაკავა რა საკუთარი მკერდით მონღოლი დამპყრობლები, „არ მიუშვეს ისინი ევროპამდე, გადაიქცნენ ევროპისათვის დამფარველ კედლად და თავის თავზე მიიღეს შეტევის ყველა სიმძიმე და არა მარტო მონღოლებისაგან იხსნეს ევროპა, არამედ ფრანგებისა და ნაპოლეონისაგანაც“[14]. ცნობილია, რომ ნაპოლეონის წინააღ-

[12] Я. Л. Манандян, О торговле и городах Армении, Ереван. 1954. გვ. 263—264, а также журнал „Советское Востоковедение,“ № 5, М., 1956, გვ. 134, Рецензия А. К. Ашрафяна.

[13] И. П. Петрушевский, Совместная борьба народов Закавказья против иноземных захватчиков в XI—XII вв., „Известия Азербайджанского ФАН, № 8, 1942, გვ. 24—25.

[14] Н. Г. Чернышевский, Сочинения, т. II, 1928, გვ. 44.

მდეგ რუსი ხალხის მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები.

საქართველოს სამეფო თავისი ძლიერების პერიოდიდან აქტიურ პოლიტიკას ეწეოდა კავკასიის ხალხთა გაერთიანებისათვის უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენადმე იმორჩილებდა იმიერკავკასიის ველურ ტომებს — ყივჩაყებისა და სხვათა სახით, ელტვოდა რუსეთთან ახლო კავშირის დამყარება-დამეზობლებას და საბოლოოდ ზურგს აქცევდა გახრწნა-დაქვეითების გზაზე დამდგარ ბიზანტიას. დავით აღმაშენებლისა და თამარის გეზი ამ მიმართულებით ფრიად დიდი და საგულისხმოა. ეს იყო პროგრესული გზა კავკასიის ხალხთა გაერთიანებისა, ამ ხალხთა ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებისათვის, რომლის დიდმა შედეგებმა მართლაც ნათლად იჩინა თავი ჯერ კიდევ თურქ-სელჯუკიანთა წინააღმდეგ ბრძოლების დროიდან. მაგრამ უცხო ბარბაროსული ძალების მონღოლ-თათართა შემოსევების შემდეგ ეს ისტორიული ტრადიცია სათანადო განხორციელებას ვერ პოულობს, თუმცა იდეა კავკასიის ხალხთა გაერთიანებისა არასოდეს არ ჩამკვდარა[15].

საუკუნოვან უთანასწორო ბრძოლებნახადი ქართველი ხალხი რუსეთთან საბრძოლო კავშირს ამყარებს. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს უერთდება. ფეოდალურ საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრებასთან ერთად ქვეყნის თავდაცვის ქართული ორგანიზაცია უფრო მოწინავემ, რუსულმა შესცვალა.

სამშობლოს დაცვისათვის გმირული ბრძოლების უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართველი ხალხი რუსი მეომრების მხარდამხარ ვაჟკაცურად იცავს არა მარტო საქართველოს და კავკასიის ხალხებს თურქი და ირანელი აგრესორებისაგან, არამედ ასეთივე თავდადებით იბრძვის იგი რუსეთის მიწა-წყლის უცხო დამპყრობთაგან დასაცავად. აქ აღნიშნულს ნათლად ადასტურებს რუსი და ქართველი ხალხების ერთობლივი საბრძოლო თანამეგობრობა კავკასიის ომებსა და ევროპელი აგრესორების წინააღმდეგ წარმოებულ ომებში.

1812 წელს რუსეთს „უძლეველი" ნაპოლეონის ურდოები შემოესია. რუს ხალხს მტერმა უდიდესი უბედურება მოუტანა. რუსი ხალხის ეს განსაცდელი ძმურად გაიზიარა ქართველმა ხალხმა, მისმა მოწინავე შვილებმა. მრავალი ქართველი მხედარი და მხედართუფროსი თავდადებით ებრძოდა ნაპოლეონის არმიას. უდიდესი სახელი მოიხვეჭა რუსეთის არმიის გამოჩენილმა მხედართუფროსმა პეტრე ბაგრატიონმა ბოროდინოსთან ბრძოლაში, მგოსანი და სარდალი ალ.

---

[15] ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი", № 11, 1957. გვ. 189. (რეცენზია პროფ. ი. ცინცაძის წიგნზე).

ჭაეჭავაძე გამარჯვებული რუსეთის არმიას 1814 წელს პარიზში შეჰყვა[16]. რუსეთმა იხსნა ევროპა ფრანგ დამპყრობთა უღლისაგან.

რუსეთის გავლენის გზით საქართველოსა და კავკასიის ხალხებმა საბოლოოდ მოიცილეს უღელი ირანისა და ოსმალეთისა, რომლებიც კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დასაბუთებით „...ფეოდალიზმის ყველაზე დაბალ და ბარბაროსულ სტადიაზე იდგნენ". ასევე მსოფლიო მეურნეობისაგან განზე მდგომი საქართველოს და მთელი კავკასიის ხალხთა ეკონომიკა რუსეთის გავლენით მოწინავე კაპიტალისტური ურთიერთობის გზით მიმავალი ეკონომიური ცხოვრების ფერხულში ებმება. კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში განაპირობა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესის დამთავრება და წარმოშვა ყველაზე უფრო პროგრესული საზოგადოებრივი ძალა სამრეწველო მუშათა კლასის სახით. გზა გაეხსნა ახალ და დიად განმათავისუფლებელ იდეებს. რასაკვირველია, აქვე შეუძლებელია გვერდშევლა ლენინური თეზისია იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის განვითარების ამ პროგრესულ მხარეს საქართველოშიაც თან ახლდა მისი ბნელი მხარეები.

აღმოსავლეთში ამგვარი გავლენის პროგრესულობის მეცნიერული ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ რეაქციული ცარიზმის ომები კავკასიაში, თუ მიზნად ისახავდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის განმტკიცებას და ამდენად უსამართლო და დაპყრობითი ომები იყო, იგივე ომები თავისი ობიექტური შედეგებით, ანთავისუფლებდა რა ოსმალთაგან მიტაცებულ ადგილებს და სხვ., პროგრესულ განმათავისუფლებელიცაა. ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა შეგნებული რუსეთის არმიის ეს განმათავისუფლებელი მისია კავკასიაში და იგი მთელი თავისი შესაძლებლობით ეხმარებოდა მას. ხალხი იბრძოდა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ და იცავდა სამშობლოს. მაგრამ ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში ხალხის მასებსა და სამშობლოს შორის დგანან გაბატონებული კლასები და მათივე ინტერესების დამცველი სახელმწიფო აპარატი რეაქციული შეიარაღებული ძალებით; ეს ძალები ყოველ მხრივ ეწინააღმდეგებიან ხალხის ინტერესებისა და სამშობლოს სიყვარულის შერწყმას, ცდილობენ უხეშად ჩაახშონ ქვეყნის მოწინავე შვილების ჭეშმარიტად პატრიოტული მისწრაფებანი.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლის კ. მარქსის დასაბუთებით, კაპიტალის უღელში მყოფ პროლეტარიატს არა აქვს და არც

---

[16] რუსეთის პირველ სამამულო ომში მონაწილე ქართველ მხედართა სია და სათი საგმირო საქმეების მოკლე აღწერა პირველად გამოაქვეყნა ს. ცომაიამ. ჟურნ. „განათლება", № 1, 1915.

შეიძლება ჰქონდეა სამშობლო. იგი მას ბრძოლით უნდა მოეპოვებინა, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით პირველად განხორციელდა კაცობრიობის ისტორიაში.

•

* *

ამიერიდან სოციალისტური სამშობლოს დაცვა ყოველგვარი ჩაგვრისაგან განთავისუფლებული საბჭოთა ადამიანის წმიდათა წმიდა მოვალეობად იქცა. ქართველი ხალხის დიდი მეომრული გამოცდილება, დაგროვილი გმირული ტრადიციები, სამშობლოს დაცვისათვის გადახდილ ისტორიულ ბრძოლებში. მისი საუკუნოვანი საბრძოლო მეგობრობა რუს ხალხთან და სხვ., სავსებით ახალი შინაარსითა და თვისობრივობით. მასობრივ გმირულ პატრიოტულ თავდადებაში გამოვლინდა და მძლავრად იჩინა თავი საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. „ქართველმა მეომრებმა კიდევ უფრო განადიდეს წინაპართა საბრძოლო ტრადიციები, სამამულო ომის პირველი დღიდანვე ისინი მამაცურად იბრძოდნენ ყველა ფრონტზე", — აღნიშნავდა საბჭოთა კავშირის მარშალი თ. ი. ტოლბუხინი.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა არმიის რიგებში გაერთიანებულმა ქართველმა მეომრებმა ასახელეს სამშობლო.

2. მარადსახსოვარი გმირული საბრძოლო ეპიზოდები

სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან იარაღასხმული ასეულ ათასობით ქართველი მეომრები მამაცურად იბრძოდნენ ყველა ფრონტზე. არ არსებობდა ჯარის არც ერთი სახეობა, სადაც მათ ღირსეულად არ მოეხადოთ ვალი სამშობლოს წინაშე. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, როცა ოჯახიდან მამა და შვილები, ძმები და ძმები ფრონტზე იბრძოდნენ.

საქართველოში ვის არ სმენია ცხრა ძმა ხერხეულიძეთა თავდადება მარაბდის ისტორიულ ბრძოლაში. ეს ტრადიცია გაამდიდრეს ქართველებმა დიდ სამამულო ომში. აბესაძეების ოჯახის 17 ძმიდან 14 სამამულო ომის ფრონტებზე სოციალისტურ სამშობლოს იცავდა. კოლმეურნე ლურსმანაშვილის ოჯახიდან 6 ძმა მამაცურად ებრძოდა მტერს, რომელთაგან 4 დაიღუპა, ერთი ინვალიდი გახდა. ხოლო მეექვსე ძმამ—ვლადიმერმა, ხელჩართულ ბრძოლებში კავკასიის მისადგომებთან ათეულობით ჰიტლერელი მოსპო და საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება დაიმსახურა.

ხვარბეთელი კოლმეურნის, მოხუც ნ. ლესელიძის ოჯახმა 4 სახელოვანი ფრონტელი პატრიოტი მისცა სამშობლოს. უფროსი ძმა

კ. ლესელიძე საბჭოთა არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი გახდა, ხოლო პოდპოლკოვნიკ ვ. ლესელიძეს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ლანჩხუთელი მამა და შვილი გოგიჩაიშვილები ერთ დანაყოფში იბრძოდნენ, მათ ასახელეს სამშობლო. ასეთი მაგალითები უამრავია.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ქართველმა მეომრებმა, ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა, ჩვენმა საამაყო არტილერისტებმა და ტანკისტებმა, მფრინავებმა და მეზღვაურებმა, ალპინისტ-მეთხილამურეებმა, მესანგრეებმა და მეკავშირეებმა თავი გამოიჩინეს როგორც ფრონტებზე ურთულეს გმირულ ოპერაციებში, ისე პარტიზანულ უთანასწორო მრავალ ბრძოლაში (უკრაინაში, ბელორუსიასა და ყირიმში, აგრეთვე ჰოლანდიაში, საფრანგეთსა და იტალიაში).

ვაჟკაცობა და გმირული თავდადება, რომელსაც ქართველი ხალხი სამშობლოს დასაცავად ამეღავნებდა წარსულში, ახალი შინაარსით გამოვლინდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, როგორც გმირი ქალაქებისა და კავკასიის დაცვის, ისე ევროპის ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისა და ბერლინის აღებისათვის ისტორიულ ბრძოლებში. ეს საბჭოთა მთავრობის მაღალი ჯილდოებითაც კარგადაა დადასტურებული. ათეულ ათასობით ქართველი მეომარი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. ამათგან ას ოცზე მეტს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა[17].

საქართველომ საბჭოთა არმიას, — მარშალ თ.ი. ტოლბუხინის სიტყვებით რომ ვთქვათ, — მისცა საბჭოთა გენერალიტეტის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები. როგორებიც არიან: გენერალ-პოლკოვნიკები კ. ნ. ლესელიძე და პ. გ. ჩანჩიბაძე, გენერალ-ლეიტენანტი ვ. პ. მეაანაძე, ვ. ნ. ჯანჯღავა, მ. გ. მიქელაძე, ნ. ი. კალაძე,

---

[17] ათეულ ათასობით ქართველ მეომარს მკერდს უმშვენებს სსრ კავშირის ყველა სახის ორდენები და მედლები. მრავალმა მიიღო მოკავშირე სახელმწიფოთა ჯილდოები.

სამამულო ომის ფრონტებზე მამაცობისა და თავდადებისათვის მთავრობის მიერ დაჯილდოებულ იქნა მილიონობით საბჭოთა მეომარი. დაჯილდოებულთაგან ეროვნების მიხედვით, რუსებზე მოდის 6179976, უკრაინელებზე — 1710766, ბელორუსებზე — 311105, აზერბაიჯანელებზე — 36180, ქართველებზე — 49106, სომხებზე — 66802, თურქმენებზე — 14923, უზბეკებზე — 80013, ტაჯიკებზე — 13997, ყაზახებზე — 96638, ყირგიზებზე — 15449, კარელიელებზე — 7899, ბაშკირებზე — 29900, ლიტველებზე — 6133, ლატვიელებზე — 11133, ესტონელებზე — 114889, თათრებზე — 179886, ებრაელებზე — 160772, მორდვინებზე — 57320, ჩუვაშებზე — 53506, ბურიატებზე — 6053, მარელებზე — 16253. **В. Галкин, Возникновение и развитие социалистических наций в СССР, 1952, გვ. 58—59.** ცნობა ქართველების შესახებ არასრულია, მასში სრულებით არ შედის საბრძოლო მედლები, რომლითაც ათეულ ათასობით ქართველი იქნა დაჯილდოებული, ამდენად იგი დაზუსტებას მოითხოვს.

ე. გ. კობერიძე, მ. ვ. ლონტი, გ. ი. ყუფარაძე და გ. გ. ყურაშვილი, ავიაციის გენერალი ვ. ვ. ნანეიშვილი, ე. ზ. ტატანაშვილი, შ. ლ. ჭანკოტაძე და სხვები.

საბჭოთა ქართველმა მეომრებმა დიდების შარავანდედით შეძოსეს მამა-პაპათა გმირული ტრადიციები. სახელოვანი ჯარისკაცების გიორგი მაისურაძისა და ვლადიმერ ფაჩულიას გმირობა თაობებისათვის თქმულებად დარჩება. მოძალებულ მტერთან სასტიკ ბრძოლაში ისინი საკუთარი სხეულით გადაეფარნენ და ჩაახშეს მტრის ტყვიამფრქვევთა ამბრაზურები, გაიმეორეს რა ალექსანდრე მატროსოვის ლეგენდარული გმირობა. გზა გაუხსნეს საბჭოთა მეომრებს მტერზე ძლევამოსილი იერიშისათვის.

მარად დაუვიწყარი დარჩება კომკავშირელების ლავრენტი ავალიანისა და შოთა გამცემლიძის გმირობა. ისინი მსგავსად ოდინცოვისა, ციბულკოსა და კრასნოსელცოვისა უთანასწორო ბრძოლაში, მას შემდეგ რაც დაამსხვრიეს მტრის რამდენიმე ტანკი, ყუმბარებით მტრის მოძალებულ ტანკქვეშ შეავარდნენ, ააფეთქეს იგი და საკუთარი სხეულით გზა გადაუღობეს მტერს. მფრინავი ვანო გაბუნია მტერთან სასტიკსა და უთანასწორო ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაიღუპა და სამარადისო დიდება მოუპოვა სამშობლოს. ავიაციის გენერალ-მაიორი, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი ივანე კოჟედუბი, გაბუნიას გმირულად დაღუპვის შესახებ გვაუწყებს:

„არასოდეს არ დამავიწყდება ჩემი საუკეთესო მეგობრის — ქართველ ვანო გაბუნიას გმირობა. 1943 წლის გაზაფხულზე, ვალუიკზე მტრის ავიაციის დიდი თავდასხმის მოგერიების დროს, გაბუნიამ ჰაერში გატარნა გერმანული თვითმფრინავი და გმირის სიკვდილით დაიღუპა, მტერი კი ობიექტთან არ მიუშვა“[18].

მტრის ხელში ჩავარდნილი ჯარისკაცის გრიგოლ სხულუხიას ნებისყოფა და ვაჟკაცობა მტერმა ვერავითარი ღონისძიებით ვერ გატეხა. იგი უსასტიკესად, ინკვიზიციურად აწამეს, მაგრამ სხულუხიამ არამცთუ არ გასცა სამხედრო საიდუმლოება, არამედ მტრის წინაშე ბოლომდე ქედუხრელად იდგა და წამებით სიკვდილი არჩია.

სამამულო ომში მებრძოლთა ურთიერთდახმარებისა და თავგანწირვის ჰუმანური კეთილშობილება ეხმარებოდა საბჭოთა მეომრებს მტერზე გამარჯვების მოპოვებისათვის ბრძოლებში.

რუსთაველის გმირებივით ქართველმა მეომრებმა ფრონტზე გვიჩვენეს თანამებრძოლ მეგობართათვის თავგანწირვის არაერთი უკვდავი მაგალითი. ხშირად თვითონ იღუპებოდნენ, რათა ამხანაგის სიცოცხლე ეხსნათ. აი, ერთი ასეთი ეპიზოდიც: ბაქსანის ხეობაში

[18] გაზ. „კომუნისტი“, 1954, 19 მაისი.

ბრიოლებში მძიმედ დაჭრილ სერჟანტ ჟორჟოლაძის ცეცხლის ხაზიდან ადიდებული მდინარის მეორე ნაპირზე გადმოყვანა მებრძოლმა მეგრელიშვილმა იკისრა. მან საოცარი ვაჟკაცური ' ამტანობით შეძლო მისი გამოყვანა და გადარჩენა, მაგრამ თვითონ კი მტრის ტყვიით სიცოცხლეს გამოესალმა.[19]

დიდ ყურადღებას იპყრობს ფრონტელი მეგობრების — ლატვიელ ერნესტ ლანგესა და ქართველ ვ. თოდრიას წერილები. ლანგე სწერს: „შეუძლებელია დაგავიწყდეს კაცი, რომელმაც საცოცხლე შეგინარჩუნა. ბრიოლის ველზე შენ პირველმა შემისვეე ჭრილობა გაჩაღებული სროლის დროს, შეტევაზე მიმავალ ამხანაგებთან რომ მიეშურებოდი, შესძელი მარხილი მოგენახა და ზურგში გამგზავნე. შენს მზრუნველობას უნდა ვუმადლოდე, რომ ცოცხალი დავრჩი"[20]. ასევე ითქმის რუს, უკრაინელ, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა მოძმე ხალხთა შვილებთან ქართველი მეომრების დიად მეგობრობაზე. ასეთი მაგალითები უამრავია. ისინი იმაზე მეტყველებენ, რომ ფრონტმა და ბრძოლების სისასტიკემ ოდნავადაც ვერ ჩაკლა საბჭოთა მეომრებში მეგობრისათვის რაინდული თავდადების, სიყვარულისა და დახმარების წმიდათაწმიდა გრძნობები. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. განმათავისუფლებელი ომი მეომართა რიგებში გმირობასთან ერთად მაღალ კეთილშობილებასა და მეგობრობის დიად მორალურ თვისებებსაც ზრდიდა. სწორედ ამაში იყო და არის საბჭოთა არმიის ძლიერების ერთ-ერთი დაუშრეტელი წყარო.

ვინც შეეცდება დიდ სამამულო ომში ქართველი მეომრების მონაწილეობის, მათი ბრძოლების შესწავლასა და თანამედროვე სამხედრო მეცნიერების სინათლეზე გააზრებას, ვინც შეეცდება გაიხადოს ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგნად, შეუძლებელია იგი ამ გზაზე ასცდეს მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზს. წინამდებარე ნარკვევში ჩვენ, როგორც სამხედრო საქმის არასპეციალისტი, ასეთ მიზანს შეუძლებელია ვისახავდეთ. მისი განხორციელება მომავლის საქმეა და სამხედრო საქმის ცოდნას მოითხოვს, თუმცა ასეთ სპეციალისტთათვისაც. ჩვენის აზრით, რაკი გასათვალისწინებელია ის ფაქტიური ვითარება, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში არ არსებობდა დამოუკიდებელი ქართული, ისე როგორც სხვა ეროვნებათა ნაციონალური არმიები და მათი ცალკე დამოუკიდებელი სარდლობა, ამ ამოცანის შესრულება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მართალია, ომის გარკვეულ ეტაპზე უა-

---

[19] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი I, საქმე 267, ფურც. 14.
[20] გაზ. „კომუნისტი", 1948, 19 მაისი.

ლიბდება ქართული, ისე როგორც სხვა ნაციონალური დივიზიები, რომლებმაც მნიშვნელოვანი, რამდენადმე დამოუკიდებელი როლი და ცალკე ოპერაციები შეასრულეს ჩრდილო კავკასიის, ყირიმისა და სხვა ფრონტებზე, მაგრამ, ვფიქრობ, ეს გარემოება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ დიდ სამამულო ომში ქართველი მეომრების მონაწილეობა ამ დივიზიების საბრძოლო ოპერაციებით იქნეს შემოფარგლული. ეს არ იქნება სწორი იმიტომ, რომ სინამდვილეში არ არსებობდა დიდი სამამულო ომის არცერთი ფრონტი და სამხედრო დანაყოფი, რომელიმე სახეობა ჯარებისა ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში, სადაც ქართველ მეომრებს სსრ კავშირის მოძმე ხალხების შვილებთან ერთად თავდადებით არ ებრძოლათ სამშობლოს დასაცავად. ქართველი ხალხის შვილების მამაცობა და გმირობა ფრონტზე, ვინაიდან საბჭოთა არმიის დიად ერთობლივ გმირულ ბრძოლებშია შერწყმული და ჩაქსოვილი, ჩვენც უმართებულოდ (უფრო სწორად ხელოვნურად) მიგვაჩნია მისი ცალკე, გამოთიშვით შესწავლა. წინამდებარე ნაშრომში რაკი ჩვენ სავსებით გარკვეული კონკრეტული მიზანდასახულება გვამოქმედებს, ბუნებრივია, საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლების ისტორიიდან მხოლოდ ის მომენტები (და ისიც ეპიზოდურად) გვაინტერესებს, რომლებიც წარმოაჩენენ ქართველ მებრძოლთა პატრიოტიზმს და სამაგალითო გმირობას სამამულო ომის ცალკეულ ეტაპებზე, მის სხვადასხვა ფრონტებზე. ასეთი თავდადება კი ყველაზე უფრო რელიეფურად ქართველმა მეომრებმა გამოავლინეს როგორც გმირი ქალაქებისა და კავკასიის დაცვაში, ასევე საბჭოთა მიწა-წყლიდან და ევროპის ჩაგრული ქვეყნებიდან ფაშისტ ოკუპანტების განდევნისათვის ბრძოლებში, პარტიზანულ ომებსა და ბერლინის აღებისათვის ისტორიულ ბრძოლებში"[1].

---

[1] ამ ნაშრომის სათანადო ადგილას ჩვენ განვიხილეთ ზოგიერთი იმ ქართველი მეომრის საბრძოლო გმირული ეპიზოდები, რომელთაც ვაჟკაცურად გადაუღობეს გზა მტერს ომის დაწყების პირველსავე დღეებში. ეს იყო პერიოდი, როცა მოულოდნელი თავდასხმით შექმნილ ხელსაყრელ პირობებს ოსტატურად იყენებდნენ ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით შეიარაღებული და ხახგრძლივ ბრძოლებში გამოწრთობილი ჰიტლერელი ოკუპანტები, ხოლო საბჭოთა არმია მძიმე ბრძოლებით იხევდა უკან და თავგანწირვით იგერიებდა გააფთრებული მტრის მოძალეობას; დიდი სამამულო ომის ისტორიაში ეს იყო უაღრესად ძნელი, ჩვენი სამშობლოს უდიდესი განსაცდელის დღეები: საბჭოთა გმირმა არმიამ, რომლის რიგებში გაერთიანებული იყვნენ ქართველი მეომრები, ნამდვილი პატრიოტული თავდადება გვიჩვენა. ჩვენ ამ საკითხს აქ აღარ დავუბრუნდებით. მაგალითისათვის მხოლოდ ორ ეპიზოდზე მივუთითებთ. 1941 წ. 26 ივლისის „იზვესტია"-ში გამოქვეყნდა პოლიტხელ ნ. საპფიროვის წერილი, სადაც კაპიტან წიტიაშვილის გმირობას ასე წარმოგვიდგენს: „...ჯავშნიანი მანქანები გამოჩნდნენ. წიტიაშვილმა ისინი ახლოს შიუშვა, შემდეგ კი მებრძოლებმა მანქანებს ხელყუმბარები დააყარეს". ძლიერ მტერთან უთანასწორო ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. „მთელი ბრძოლის მანძილ-

*

* *

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში ქალაქებმა — მოსკოვმა, ლენინგრადმა, სტალინგრადმა, ოდესამ და სევასტოპოლმა გმირი ქალაქების მაღალი წოდება დაიმსახურეს. ამ ქალაქების მისადგომებთან გაჩაღებულ ისტორიულ ბრძოლებში გმირი საბჭოთა არმიის მეომრებმა — რუსებმა და უკრაინელებმა, ბალტიისპირეთის, შუააზიისა და ამიერკავკასიის ხალხთა შვილებმა პირისპირ ბრძოლებში დაამარცხეს და მოსპეს ფაშისტური არმიის ბევრი რჩეული დივიზია.

სამამულო ომის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქის მოსკოვის გმირულ დაცვას. პირველივე წარმატებებით თავბრუდახვეული ფაშისტი ოკუპანტები საქვეყნოდ იუწყებოდნენ, რომ 1941 წ. 7 ნოემბერს მოსკოვში შევიდოდნენ და სსრ კავშირზე გამარჯვებას წითელ მოედანზე იზეიმებდნენ. მტრის ეს ვერაგული ზრახვები სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ჰიტლერელებმა სასტიკი მარცხი განიცადეს მოსკოვთან. მოსკოვის მისადგომებთან დაიწყო მათი განადგურება. მოსკოვთან გერმანელი ფაშისტების გეგმების ჩაშლა წარმოადგენდა მათს პირველ დიდ დამარცხებას მეორე მსოფლიო ომში. ამ დამარცხებამ სამუდამოდ გაჰფანტა ჰიტლერელების მიერ შექმნილი ლეგენდა გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ.

მოსკოვს იცავდა მთელი საბჭოთა ხალხი. მოსკოვის დამცველ გმირ 28 პამფილოველთა შორის, რუს მეომრებთან ერთად, სსრ კავშირის სხვა ხალხთა შვილებიც იყვნენ[22]. დამახასიათებელია მოსკოვის დაცვის მონაწილე მებრძოლის მიხეილ ხუცაშვილის სიტყვები: „მე საქართველოში დავიბადე, განა მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისი მხარე არ უყვარდეს? არა, ასეთი ადამიანი არ მოიპოვება, მაგრამ ყოველ ჩვენთაგანს შეგნებული აქვს ის თუ სად იმყოფება ჩვენი სამშობლოს გული. ჩვენი სამშობლოს გული დიდ ქალაქში, მოსკოვშია".

ზე კაპიტანი წიტიაშვილი მებრძოლების წინ იყო. როდესაც ბატალიონი მოწინააღმდეგეს მიუახლოვდა, კაპიტანი პირველი წამოდგა ხიშტით კვეთებისათვის". მსგავსი მაგალითები უამრავია. რომლებიც ომის პირველსავე დღეებში იჩენენ თავს. ბატარეის მეთაურის იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილის გმირობის შესახებ ვიტებსკისათვის ბრძოლებში გენერალ-ლეიტენანტი ერემენკო წერს: „Изумительный пример подлинного героизма и преданности Родине показал в боях под Витебском командир батареи Яков Джугашвили. В ожесточенном бою он до последнего снаряда не оставлял своего боевого поста, уничтожая врага", („Красная Звезда," 1941, 15).

[22] 28 გვარდიელმა გზა გადაეღობა მოსკოვის მისასვლელებთან მტრის 50 ტანკს. მათ მტრის ტანკები მოსპეს. თვითონაც გმირთა სიკვდილით დაიღუპნენ, მაგრამ მტერს წინსვლისათვის გზა გადაუკეთეს.

მოსკოვის გმირულ დაცვაში თავდადებით მონაწილეობდნენ ქართველი მეომრები და მხედართუფროსები. საქართველოდან საბჭოთა კავშირის დედაქალაქის დასაცავად გაიგზავნა მამაცი მეომრებით დაკომპლექტებული ჯავშნოსანი მატარებელი, რომელსაც მაიორი ჯახიევი მეთაურობდა.

„მამაცურად ანადგურებდა გერმანელებს მოსკოვთან მაიორ ჯახიევის ჯავშნიანი მატარებელი. მოწინააღმდეგის არა ერთი საცეცხლე წერტი, არა ერთი შეუვალი ძელმიწურა შემუსრა მან თავისი ცეცხლით. ჯავშნიანი მატარებლის შემადგენლობაში ქართველები სპარობდნენ. ჯავშნიანი მატარებლის უფროსი მაიორი ჯახიევი, მეზენიტე კ. გაბუნია, მემიზნეები ქადეიშვილი, ღარიბაშვილი, კვაპანტირაძე, მნათობაშვილი, გელაძე და სხვ. — ყველა ესენი. ქართველი ხალხის საამაყო შვილები, მოსკოვის დამცველები არიან.“[23] ასევე ჯავშნოსანი მატარებლის გმირი მემანქანის შალვა წიქარიშვილის ლეგენდარულ ვაჟკაცობას როსტოვისათვის ბრძოლებში ხალხი არ დაივიწყებს.

მოსკოვის დაცვისათვის ბრძოლებში სამარადისო დიდება მოიპოვა სახელოვანმა მფრინავმა ფარჯიკიამ, „...ქართველი მფრინავი ვანო ფარჯიკია, რომელმაც გერმანელების თვითმფრინავი ჩამოაგდო, იცავდა დედაქალაქს ჰაერიდან“[24].

1941 წლის ნოემბრისა და დეკემბრის სასტიკ ბრძოლებში სახელოვანი მფრინავის გ. ჩიტაიშვილის საავიაციო შენაერთებს არაერთხელ უკუუქცევიათ მოსკოვზე მომართული მტრის საჰაერო ძალების იერიშები.

მტრის ავიაციის თავდასხმებისაგან მოსკოვს გმირულად იცავდა საზენიტო არტილერიის 193-ე სახელოვანი პოლკი მ. კიკნაძის მეთაურობით. პოლკი სანიმუშო საბრძოლო დამსახურებისათვის გვარდიულად გადაკეთდა. მისმა მებრძოლებმა მტრის ათობით თვითმფრინავი ჩამოაგდეს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ პოლკის მეთაურ მ. კიკნაძეს თავისი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის მაღალი ჯილდო გადაეცა.

მოსკოვს გმირულად იცავდა 107-ე მოტომსროლელთა დივიზია, რომლის მეთაურად სახელოვანი პოლკოვნიკი, შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკი პ. ჩანჩიბაძე ითვლებოდა. ეს დივიზია ბრძოლებს.

---

[23] სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი 3, განყოფილება 10, საქმე 6, ფურც. 181 – 182.
[24] იქვე. ფონდი 3. საქმე 16, ფურც. 181 - 195.

აწარმოებდა მოსკოვის დაცვის უმნიშვნელოვანეს ფრონტებზე. 1941 წლის ნოემბერში დივიზიის მებრძოლები საოცარი ვაჟკაცობით ახერხებდნენ მტრის ბევრად ჭარბი ძალების შეკავებას. ხოლო დეკემბერში შეტევაზე გადასული დივიზიის მებრძოლები ღრმად შეიჭრნენ მტრის ზურგში და გამანადგურებელი დარტყმები აგებეს მას. დივიზია, რომელსაც პ. ჩანჩიბაძე მეთაურობდა, გარდაიქმნა გვარდიულად, ხოლო გენერალ პ. ჩანჩიბაძეს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. მოსკოვის დაცვისათვის ბრძოლებში სამშობლო ასახელა ქართველი ხალხის ღირსეულმა შვილმა გენერალმა კ. ლესელიძემ.

1941 წლის ოქტომბრის ბოლოს გერმანელთა მეორე სატანკო არმია გუდერიანის სარდლობით მოსკოვის სამხრეთით, ტულის მიმართულებით გამოიჭრა. რომელთა შეკავება და უკუქცევა პოლკოვნიკ კ. ლესელიძის მეთაურობით მოქმედ საარტილერიო ნაწილებს დაეკისრა; მათ სანიმუშოდ შეასრულეს მთავარსარდლობის დავალება, სასტიკად დაამარცხეს მტრის სატანკო კოლონები და გაანადგურეს ფაშისტ ოკუპანტთა ერთ-ერთი დიდი დაჯგუფება. ტულის ბრძოლებში კ. ლესელიძემ სარდლის შესანიშნავ ნიჭთან ერთად გამოიჩინა მისაბაძი პირადი ვაჟკაცობაც. მას მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება და დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით. მოსკოვის დაცვისათვის თავდადებით იბრძოდა საბჭოთა კავშირის გმირი ი. ციციშვილი, პოდპოლკოვნიკ პ. ჩხობაძის მებრძოლები, მეტყვიამფრქვევე კაკულია და ათასობით ქართველი რიგითი მებრძოლი და მეთაური, თ. გვენეტაძის საარტილერიო დივიზიონი და საბჭოთა კავშირის გმირის გ. ალფაიძის არტილერისტები; ტანკისტები შამილ დალაქიშვილი და მიხეილ ჯანველიძეშვილი, გვარდიელი მფრინავი შ. სარაული, სერჟანტი დ. ნეფარიძე და მრავალი სხვა. ათასობით ქართველ მეომარს მთავრობის სხვა ჯილდოებთან ერთად მკერდს უმშვენებს მედალი „მოსკოვის დაცვისათვის".

1941 წლის აგვისტოში ჰიტლერელი ოკუპანტები ლენინგრადის მისადგომებს აღწევენ. ლენინგრადის მშრომელებმა საბჭოთა არმიის მხარდამხარ იარაღით გადაუღობეს გზა ორმოცი დივიზიისაგან შემდგარ ფაშისტურ არმიას. მტრის საავიაციო და სატანკო დივიზიები, მოტომექანიზირებული ნაწილები, საზღვაო ფლოტი და არტილერია 6 000 ქვემეხით ყოველდღიურად ათასობით ტონა ყუმბარას აყრიდა ლენინგრადს, მაგრამ საბჭოთა ადამიანების ნებისყოფა ვერ გასტეხეს. 1941 წლის სექტემბერში მტრის ჭარბმა ძალებმა მოახერხეს ალყაში მოექციათ ქ. ლენინგრადი. 900 დღე-ღამის განმავლობაში მტრის

მიერ გარშემორტყმული. საალყო მდგომარეობაში მყოფი ლენინგრადი უმაგალითო გმირული ამტანობით უმკლავდებოდა მტრის თავდასხმებს. საბჭოთა არმიამ მამაც ლენინგრადელებთან ერთად გასტეხა მტრის წინააღმდეგობა და გაარღვია ლენინგრადის ბლოკადა. მტრის მიერ ასე ხანგრძლივად ალყაშემორტყმული ლენინგრადის გმირულ დაცვაში მონაწილეობდნენ და მოწინავეთა რიგებში იდგნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებიც. ლენინგრადის დამცველმა ქართველმა მეომრებმა, და მეთაურებმა ასახელეს სამშობლო. გმირულ ბრძოლებში სახელი მოიხვეჭა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. მჟავანაძემ. გ. ჯინჭარაძემ. ვ. ხუბულურმა, პოდპოლკოვნიკებმა მელქაძემ. ნადირაძემ, ბარბაქაძემ. შ. ბედუქაძემ და ბევრმა სხვამ.

ლენინგრადის სახალხო ლაშქარში თავგანწირვით იბრძოდნენ ვ. წილოსანი და მისი შვილი იგორი. მამა კიროვის სახ. ქარხნის მექანიკოსი იყო, შვილი კი—ელექტროტექნიკური მუშაკის სტუდენტი. მათ მშვიდობიანი პროფესია დატოვეს და იარაღით ხელში იცავდნენ სახელოვან ლენინგრადს[25]. საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გვარდიის კაპიტანი ა. გურგენიძე მუსრს ავლებდა მტერს ბალტიის ზღვაზე, სადაც 20-მდე გემი ჩაძირა. უმცროსი სერჟანტი, კომკავშირელი არტილერისტი კ. ჭუბაბრია ლენინგრადის მისადგომებთან ვაჟკაცურად აკავებდა ოკუპანტებს. მისი სახელი მეტად პოპულარული გახდა როგორც სამხედრო დანაყოფში, ასევე მთელს ქალაქში.

სახელმოხვეჭილ არტილერისტ კ. ჭუბაბრიას ქვეგანაყოფს ერთხელ ლენინგრადის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა დელეგაცია ესტუმრა და პირადად მას გადასცა წითელგვარდიელ მაქსიმოვის სამოქალაქო ომის ისტორიულ ბრძოლებში გამოტარებული საველე ჩანთა, რომელშიაც ლენინგრადელ მუშებს ჩაედოთ მეგობრული ბარათი სურათით. ისინი სწერდნენ: „გიგზავნით ღია ბარათს იმ ქალაქის სურათებით, რომელსაც თქვენ იცავთ. მაგრად გართმევთ ხელს". ჭუბაბრია საპასუხო ბარათში მუშებს სწერდა: „ვფიცავ, საკუთარი მკერდით დავიცვა თქვენი და ჩვენი ლენინგრადი"[26].

ლენინგრადს იცავდნენ სახელოვანი ქართველი მფრინავები გიორგი დორეული და მიხეილ მაჩაბელი; მფრინავ დორეულს და მის ეკიპაჟს ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სწერდა:

---

[25] გაზ. „კომუნისტის" დამატება — „წინ ჩვენი გამარჯვებისათვის", № 24, 1941.

[26] გაზ. „კომუნისტი", 1941. 16 ოქტომბერი.

„საბჭოთა ესტონეთის ხალხი აღფრთოვანებით და დიდი მადლობის გრძნობით ისმენს ცნობებს სახელოვან მფრინავთა საგმირო საქმეებზე... ვაჟკაცობა და ოსტატობა. რასაც თქვენ იჩენთ, მოწმობს შესანიშნავ საბრძოლო თვისებებს... ურტყით მტერს ულმობლად. მოსპეთ იგი ყველგან, სადაც არ უნდა გამოჩნდეს“.[27] საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი ბატურინი წერდა: „სახელი და დიდება მამაც შევარდენ მაჩაბელს. ფაშისტებთან ბრძოლა ისე უნდა, როგორც მაჩაბელი იბრძვის“.

ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში ქალაქს იცავდა აგრეთვე მფრინავი დავით ჯაბიძე. მან და მისმა რაზმმა ერთ-ერთ საჰაერო ბრძოლაში მტრის ხუთი თვითმფრინავი ჩამოაგდო, დანარჩენები კი აიძულა უკუქცეულიყვნენ. დ. ჯაბიძის მამაცობა ღირსეულად დააფასა სამშობლომ. მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ქართველი მეომრების მამაცობა და თავდადება მასობრივი ხასიათის გახდა ყირიმისა და გმირი ქალაქების: სტალინგრადის, სევასტოპოლისა და ოდესის დაცვისათვის ისტორიულ ბრძოლებში. ყირიმსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე გაბატონებისათვის გერმანელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სევასტოპოლისა და ოდესის ოკუპაციას. ფაშისტი ოკუპანტები სევასტოპოლის დაპყრობისათვის ბრძოლას ჯერ კიდევ 1941 წ. ნოემბრიდან იწყებენ. 250 დღე-ღამე უმკლავდებოდნენ სევასტოპოლის დამცველები მტრის ბევრად ჭარბ ძალებს. ოდესის დაცვის მრისხანე დღეებში საბჭოთა არმიის მხარდამხარ თავგანწირვით იბრძოდნენ მუშები და მუშა ქალები, გმირი ქალაქის მთელი მოსახლეობა. ყირიმში, ოდესასა და სევასტოპოლში რამდენიმე ქართული დივიზია და ათეული ათასობით ქართველი მეომრები იბრძოდნენ. ქერჩის ნახევარკუნძულზე გადასხმულ იქნა ქართველი მეომრებისაგან დაკომპლექტებული დიდი სადესანტო ნაწილები: მართალია, ბევრი მათგანი გმირის სიკვდილით დაიღუპა მტერთან უთანასწორო ბრძოლებში. მაგრამ მრავალმა ქართველმა მეომარმა აქ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ბრძოლებში შური იძია მტერზე და სამარადისო დიდება მოუპოვა სამშობლოს.

საზღვაო ავიაციის მფრინავის კაპიტან ა. წურწუმიას და წყალქვეშა ნავის კაპიტან ი. იოსელიანის გასაოცარი გმირობა თაობებს გადაეცემა. წურწუმიამ სასწაულებრივი გმირობა გამოიჩინა ოდესისათვის სასტიკ ბრძოლებში. იგი ანადგურებდა მტრის სამხედრო გემებს შავ ზღვაზე. მუსრს ავლებდა ჰიტლერელ ოკუპანტებს ზღვაზე

---

[27] გაზ. „კომსომოლსკაია პრავდა“, 1941, 3 სექტემბერი.

და ჰაერში, აფეთქებდა მის სამხედრო საწყობებსა და სხვ. ერთ-ერთი გაფრენის დროს წურწუმიამ, რომელსაც თან 6 ბომბდამშენი მიჰყავდა, პლოეშტში ნავთობის ორი ქარხანა და 200 000 ტონიანი რეზერვუარი ააფეთქა. მტერთან უთანასწორო ბრძოლებში გმირულად დაღუპულ წურწუმიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება სიკვდილის შემდეგ მიენიჭა. შავი ზღვის ფლოტის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით წურწუმიას სახელს ატარებს ერთ-ერთი ავიაესკადრილიის პოლკი. წურწუმიასთან ერთად ვაჟკაცურად იბრძოდა შტურმანი გიორგი ჯაბადარი, რომლის ანგარიშზე 200 საბძოლო გაფრენა აღირიცხა. გმირულად დაღუპულ წურწუმიას და ჯაბადარის გვარები მუდამ იხსენიება ესკადრილიის პირად შემადგენლობათა სიებში.

„დიდად პოპულარული საზღვაო მფრინავ ყუმბარმშენის ალექსანდრე წურწუმიას სახელი, აგრეთვე მისი გმირული საქმეები უკვე ლეგენდად გადაიქცა, — ამბობს წურწუმიას თანამებრძოლი ლ. პურნიკი. — შავი ზღვის ფლოტში არ მოიპოვება არც ერთი მფრინავი, არც ერთი შტურმანი ან მსროლელი, რომელიც პირადად ან ამხანაგის ნაამბობით არ იცნობდეს ქართველი ხალხის ფრთოსანი შვილის სახელს“[28]. ყირიმისა და სევასტოპოლისათვის ბრძოლებში პირველად ქართველმა მეომრებმა — მფრინავმა ალ. წურწუმიამ, ირტილერისტმა ვ. ხარაზიამ, ქვეითმა მ. გახოკიძემ და სხვ. მოიპოვეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, წყალქვეშა ნავის უფროსი მეზღვაური ი. იოსელიანი შავ ზღვაში შემოჭრილ გერმანელ მეკობრეებს თავზარდამცემ რისხვად ატყდებოდა. მან მტრის 16 გემი, დატვირთული ქვემეხებით, ტანკებითა და დიდძალი საომარი მასალით, ჩაძირა. მის ანგარიშზე 1944 წლის დასაწყისისათვის ჩაძირულ გემებთან ერთად უკვე 10 000 მოკლული ფაშისტი იყო.[29]

ი. იოსელიანმა მარად სახსოვარი ფურცლები ჩაწერა ყირიმისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლების ისტორიაში. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ი. იოსელიანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. სევასტოპოლისათვის ბრძოლებში ასახელა სამშობლო შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარის ზემდეგმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ნ. ადამიამ. სახელოვანმა სნაიპერმა ნ. ადამიამ ასობით ჰიტლერელი მოსპო და დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება.[30] გაზ. „პრავ-

---

[28] გაზ. „კომუნისტი“, 1944, 9 თებერვალი.
[29] გაზ. „კომუნისტი“, 1946, 15 იანვარი.
[30] შ. დ ა ვ ი ა ნ ი, **Военные моряки Грузии**, (გაზ. „კრასნი ფლოტ“, 1946, 27 თებერვალ).

და“ ნ. ადამიასთვის გმირის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით წერდა: „მამაცი საბჭოთა პატრიოტი, სევასტოპოლის გმირული დაცვის მთელი 250 დღის განმავლობაში საზღვაო ქვეითი ჯარის რიგებში იბრძოდა. დეკემბრის ბრძოლათა დღეებში, როცა მისი ხელქვეითები მწყობრიდან იქნენ გამოყვანილნი, იგი თვითონ მიუწვა ტყვიამფრქვევს და ერთ ბრძოლაში 50 ფაშისტი მოსპო. ივნისის დღეებში ამხ. ნ. ადამიამ... პირადად დააზიანა მტრის ტანკი და გაჟლიტა 200 ფაშისტი“[31].

სევასტოპოლის მისადგომებთან სასტიკ ბრძოლებში პოლიტხელი მ. გახოკიძე სამაგალითო ვაჟკაცობით იბრძოდა, მან და მისმა ხელქვეითებმა ‘ხელჩართულ ბრძოლებში ასეულობით ოკუპანტი მოსპეს. გახოკიძემ ღირსეულად დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. ყირიმში იბრძოდა 224-ე, 388-ე, 414-ე ანაპის ‘ჭართული დივიზიები. გმირი ქალაქების — ოდესისა და სევასტოპოლის დაცვისათვის ბრძოლებში სხვა ქართველ მეომრებთან ერთად საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ სახელოვან მებრძოლებს: ა. გეგეშიძეს, ა. გურგენიძეს, გ. სხულუხიას და ა. ‘ანანაძეს, რომელთა საგმირო საქმეები, სხვა სახელოვან მეომრებთან ერთად, მისაბაძი გახდა. მათ შესახებ ამეტყველდა საბჭოთა პრესა და რადიო“[32].

სამუდამოდ დაუვიწყარი დარჩება ყირიმისათვის უთანასწორო ბრძოლებში მძიმედ დაჭრილ და ტყვეობაში ჩავარდნილ გ. სხულუხიას გმირობა და ვაჟკაცობა. იგი წამებული გმირის სიკვდილით დაიღუპა, ისე რომ ქედი არ მოიხარა მტრის წინაშე და ბოლომდე დაიცვა სამხედრო საიდუმლოება. ქართველი მეზღვაურები დიდი თავდადებით იცავდნენ სსრ კავშირის საზღვრებს. გმირობისა და თავდადებისათვის 356 ქართველი მეზღვაური მთავრობის მაღალ ჯილდოებს იმსახურებს, ხოლო იმათგან 6 საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. ქართველ მეზღვაურთა პატრიოტული, გმირული საბრძოლო ეპიზოდები უამრავია. ისინი იმაზე მეტყველებენ, რომ დიდი სამამლო ომის ფრონტებზე ქართველმა მეომრებმა კიდევ უფრო გაამ-

---

[31] გაზ. „პრავდა“, 1942, 26 ივლისი.

[32] მაგ., გაზ. „იზვესტია“ ასეთ დახასიათებას აძლევდა გეგეშიძის გმირობას: „საზღვაო ქვეითი ბატალიონის მეთაურმა არკადი გეგეშიძემ ნამდვილი გმირობა გამოიჩინა. იგი მომთხოვნი იყო თავის მიმართაც და ხელქვეითებისადმი. ძას არა ერთხელ უკუუქცევია მტრის იერიში. არა ერთხელ გადასულა კონტრშეტევაზე. აღმოფრენით იბრძოდნენ სევასტოპოლელები. რომელთა შორის კაპიტანი გეგეშიძე პირველთაგანი იყო. მისმა ბატალიონმა არა ერთი ათასი ფაშისტი გაანადგურა, არა ერთხელ შეხვედრია იგი სოკვდილს და სიკვდილი იხვედა ძის წინაშე. სახელი და დიდება გმირს. ისეთებით, როგორიც გეგეშიძეა, ძლიერია ჩვენი არმია, ჩვენი ფლოტი“ (გაზ. „იზვესტია“, 1942, 24 ოქტომბერი).

ირავლეს წინაპართა საბრძოლო ტრადიციები და თავიანთი რიგებიდან წარმოშვეს საბჭოთა სამშობლოს დაცვისათვის თავდადებულნი. ყირიმისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ქართველმა მეომრებმა დიდი სახელი მოიხვეჭეს გენერალ პ. ჩანჩიბაძის მეთაურობით. ამ მიდამოებში იბრძოდა 414-ე ქართული დივიზია. ამ დივიზიის მებრძოლთაგან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ: ა. კანკავას, გ. სამხარაძეს, ვ. ესებუას, პ. წიქარაძეს, კ. კოჩიევს, ს. ჩხაიძეს და სხვ.

ქართველი ხალხის შვილების გმირობამ და მამაცობამ განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი სტალინგრადისა და კავკასიის დაცვის უმძაფრეს ბრძოლებში[13].

1942 წლის ზაფხულში ფაშისტური სარდლობა, სარგებლობს რა მეორე ფრონტის არარსებობით, მიზნად ისახავს კავკასიის დაპყრობას, მისი ნავთობისა და მარგანეცის, დონის, ყუბანისა და ჩრდილო კავკასიის უმდიდრესი რაიონების ხელში ჩაგდებას. ამ მტარვალური ჩრახვების განხორციელებისათვის ჰიტლერელები საჭიროდ თვლიან განავითარონ შეტევები სტალინგრადის მიმართულებით და გადმოვიდნენ ვოლგაზე.

მართლაც მტერმა მოახერხა და დიდი ძალებით შემოიჭრა სამხრეთში; ჩრდილო კავკასიას, ყირიმს და შავი ზღვისპირეთს, სტალინგრადსა და ამიერკავკასიას მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა. ფაშისტთა სარდლობის ვარაუდით სტალინგრადისა და ამიერკავკასიის დაპყრობა 1942 წლის შემოდგომის დასაწყისს უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გმირობით მტრის ვერაგული გეგმები ჩაიფუშა. 1942 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში საბჭოთა არმიამ შეძლო აღეკვეთა მტრის წინსვლა; ამიერიდან სტალინგრადთან და კავკასიის მისადგომებთან მიჯაჭვულ იქნა ფაშისტური არმიის უზარმაზარი ძალები, სადაც გაჩაღდა კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო მასშტაბის სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლებიც საბჭოთა არმიის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სტალინგრადთან მოპოვებულმა გამარჯვებამ,

---

[13] წერილში „საბჭოთა საქართველო ომის დღეებში" ვკითხულობთ „როდესაც გერმანელი მეკატმატეები გარს შემოერტყნენ ნაომმტყორცნელ გრიგოლ ესართიას, საქართველოს სსრ ადიგენის რაიონის მკვიდრს, გაისმა ძახილი: „რუსო, დაგვნებდი!" ესართია არ დაიბნა. მან უპასუხა გერმანელებს: „არც რუსები, არც ქართველები ტყვედ არ ნებდებიან". და განაგრძო სროლა. მან აიძულა გერმანელები გაქცეულიყვნენ. ესართიას შეასრულა საბრძოლო დავალება. ასეთი გმირობისათვის იგი ორდენით დაჯილდოვეს" (გაზ. „კრასნაია ზვეზდა", 1942, 7 ივნისი).

სადაც მოსპობილ და დატყვევებულ იქნა ასეულ ათასობით ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცრობა, სამამულო ომის მსვლელობაში დასაბამი მისცა ძირეულ გარდატეხას, რაც დაგვირგვინდა ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით.

მტერი ვიდრე სტალინგრადისა და კავკასიისაკენ მოახერხებდა გამოჭრას, საბჭოთა არმიამ სასტიკი ბრძოლებით გადაუჭრა მას გზა ხარკოვისა და ვორონეჟის რაიონებში. ამ უთანასწორო სისხლისმღერელ ბრძოლებში ბევრი ქართველი მეომარი მონაწილეობდა, რომელთაც თავი დასდეს სამშობლოსათვის. ხარკოვთან იბრძოდა გენერალ-მაიორი გ. ყურაშვილი და მისი ნაწილი. სატანკო ნაწილი, რომელსაც კაპიტანი ბორის გიორგის ძე სტურუა მეთაურობდა, გმირულად იბრძოდა ვორონეჟის მისადგომებთან. ბ. სტურუა და მისი მებრძოლები ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ მტრის ჭარბ ძალებს. ისინი გაბედულად შეიჭრნენ მტრის ზურგში თავიანთი ტანკებით და დიდი ზიანი მიაყენეს გათავხედებულ ოკუპანტებს.

მას შემდეგ კი, რაც მტერი გამოიჭრა სტალინგრადისა და კავკასიის მისადგომებთან, საბჭოთა მეომრებმა მთელი სამხრეთი მტრისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადააქციეს. ქართველი მეომრები თავდადებით იბრძოდნენ რუსებისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა შვილების მხარდამხარ. სტალინგრადის დამცველ სახელგანთქმულ დივიზიაში, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი როდიმცევი მეთაურობდა, ბევრმა ქართველმა მეომარმა ისახელა თავი. დივიზიის პირადი შემადგენლობა აღფრთოვანებული იყო მსროლელი ჩიტაიშვილის, შიმანსკისა და ოლეიშკინის გმირობით, რომლებმაც უმაგალითო მამაცობით მოიგერიეს მტრის 20 ტანკის შემოტევა.

დიდ სამამულო ომში მრავალმა მებრძოლმა ისახელა თავი მტრის ტანკებთან ბრძოლებში, მაგრამ ისეთი ამტანობა და ვაჟკაცობა, რაც გამოიჩინა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის მემიზნე წიკლაურმა მტრის ტანკების შეკავებისა და მათი განადგურებისათვის უთანასწორო ბრძოლაში, იშვიათ მოვლენად დარჩება ომების ისტორიაში.

სტალინგრადის ბრძოლებში დიდი სახელი მოიხვეჭა პოდპოლკოვნიკმა მ. დიასამიძემ. მისი პოლკი საოცარ გმირობას იჩენდა. ოსტატურად უმკლავდებოდა მანშტეინის არმიის ავანგარდს, რომელიც ცდილობდა ფელდმარშალ პაულიუსის გარემოცული დაჯგუფების გამოხსნას. დიასამიძემ დეპეშა მიიღო საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლისაგან. სადაც აღნიშნულია: „ვამაყობ თქვენი

შეუპოვარი ბრძოლით! არც ერთი ნაბიჯი უკან. ი. ბ. სტალინი". მ. დიასამიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა[34].

სტალინგრადის დაცვის მონაწილე პროფ. დ. გვრიტიშვილი თავის ბროშურაში „ქართველი სტალინგრადელები" გადმოგვცემს ქართველ თანამებრძოლთა გმირულ თავდადებას სტალინგრადისათვის[35]. ამ ისტორიულ ბრძოლებში გმირობისა და მამაცობის მარად უკვნობი სახელი მოიხვეჭეს ქართველმა მფრინავებმა. გვარდიის მაიორმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ჰ. ბენდელიანმა სულ 460 საბრძოლო გაფრენა მოახდინა და მოსპო მტრის თვითმფრინავები, ასჯერ დაესხა თავს მტრის ჯარებს და აეროდრომებს. მან პირადად 12 და ჯგუფთან ერთად 13 მტრის თვითმფრინავი ჩამოაგდო. ნ. აბრამიშვილის საგმირო საქმეებიც ოქროს ასოებით ჩაიწერება სამამულო ომის დიდ მატიანეში. სტალინგრადის დაცვაში ჯარების მართვის ნამდვილი ოსტატობა და პირადი გმირობა გვიჩვენეს საბჭოთა კავშირის გმირებმა — ავიაციის გენერალ-მაიორმა ე. ნანეიშვილმა, პოდპოლკ. მ. დიასამიძემ, გენერალ-პოლკოვნიკმა პ. ჩანჩიბაძემ, ასევე ნ. თავართქილაძემ, კალაძემ და სხვ. ჩვენ აქ ორიოდე აიტყვით შეეხებით ლენინის ორდენოსან გვარდიულ დივიზიის. სადაც მრავალი ქართველი მებრძოლი ირიცხებოდა. საბრძოლო წარმატებებს, მოპოვებულს ნ. თავართქილაძის მეთაურობით. ამ დივიზიამ პირისპირ ბრძოლებში გაანადგურა მტრის დიდი ძალები და მხოლოდ ნადავლის სახით ხელთ იგდო თვითმფრინავი — 193. ტანკი — 186. ქვეშეხი — 586. უამრავი ჭურვი. ავტომანქანები, ვაგონები და სხვ. ამ სახელოვანი დივიზიის 9 000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

---

[34] სტალინგრადის მისადგომებთან პოლკოვნიკ მიხეილ დიასამიძის ლეგენდარული გმირობის შესახებ ცნობილი რუსი მწერალი ნიკოლოზ ტიხონოვი 1943 წელს წერდა:

„ეპოსის ხმები ვერცხლის საყვირივით ყღერს. ქართველი ხალხის შვილი დიასამიძე ებრძვის გერმანელთა ურდოებს როგორც შავ ქაჯებს. ბრძოლის ოსტატები იყვნენ ძველი ქართული ეპოსის გმირები, მაგრამ დიასამიძე როდი ჩამოუვარდება მათ. მას ხომ არ ეხება სიტყვები ჭაღარა წარსულის უსახელო მგოსნისა, სათქვამი ამირანზე. რომელმაც მტრის შემოსევისას წამოიძახა:

„მოელენ და მეც აქ დავხვდები
ამ ჩემის გორდა ხმალითა,
სულ ყველას თავებს დავაკრი,
მარტო ვეყოფი ომითა".

მკვდარ გზად გადააქცია დიასამიძემ გერმანელთა ბატალიონების გზა. ცეცხლმოკიდებული ტანკებით გააშუქა იგი, როგორც ჩირაღდნები..." (გაზ. „იზვესტია", 1943, 1 იანვარი).

[35] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი სტალინგრადელები, გვ. 5.

სტალინგრადში „პავლოვის სახლის“ გმირ დამცველთა შორის მონაწილეობდნენ მოსიაშვილი, სტეფანაშვილი და აფხაზი სუკბა.

სტალინგრადის გმირული დაცვა, რომელიც 162 დღე-ღამის განმავლობაში გაგრძელდა, 1943 წლის 2 თებერვალს საბჭოთა არმიის ისტორიული გამარჯვებით დამთავრდა და ამიერიდან ქალაქ-ფრონტი ერთბაშად ღრმა ზურგად იქცა.

გამორკვეულია, რომ ამ ისტორიულ ბრძოლებში მამაკაცებთან მხარდამხარ გმირულად იბრძოდა ათეულ ათასობით ქართველი ქალი.

სტალინგრადის გმირული დაცვის ერთდროულად საბჭოთა არმია სისხლისმღვრელ ბრძოლებს ეწეოდა კავკასიის მისადგომებთან მოსულ ჰიტლერელ ოკუპანტთა შესაკავებლად. 1942 წლის ივლისის ბოლოს ფაშისტური არმიის საგანგებოდ გაწვრთნილი სამთო დივიზიები, სატანკო და საავიაციო ნაწილები ფელდმარშალ ლისტის სარდლობით (შემდეგში იგი გენერალ-პოლკოვნიკმა კლეისტმა შეცვალა) კავკასიის მისადგომებისაკენ გამოიჭრნენ. მოკლე დროში გაარღვიეს ფრონტი, დაიპყრეს ჩრდილო კავკასიის უმნიშვნელოვანესი რაიონები; კავკასიის მრავალეროვან ხალხებს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, მათი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და საბჭოთა პატრიოტიზმი დიდ სამამულო ომში, საერთოდ და კავკასიის დაცვის დღეებში კერძოდ, იქცა უდიდეს მატერიალურ ძალად საბჭოთა სამშობლოს დაცვის საქმეში. მტრის წინააღმდეგ კავკასიის დაცვისათვის დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ იბრძოდნენ სსრ კავშირის ხალხები; მართალია, ფაშისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ამიერკავკასიის ხალხებში გაეღვივებინათ ნაციონალური შუღლი, გაეთიშათ და დაენაწილებინათ ისინი, მაგრამ სინამდვილეში საკუთარი ამის საწინააღმდეგო რამ მოხდა. მტერს არ აღმოაჩნდა და არც შეიძლებოდა ყოლოდა ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლო გაეთიშა ამიერკავკასიის ხალხები, მოეწყვიტა ისინი დიდი რუსი ხალხისაგან და დაერღვია სსრ კავშირის ხალხთა ძმური ოჯახი. ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს ამიერკავკასიის ხალხებმა მონოლითური ერთსულოვნება და ცხოველმყოფელი პატრიოტიზმი გამოავლინეს. საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მოკლე დროში გაფორმდა ნაციონალური დივიზიები, რომლებმაც სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს ვერაგ მტრებთან ბრძოლებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კავკასიის დაცვაში.

საქართველოში გაფორმებულმა 414, 224, 392-ე და 388-ე ქართული დივიზიების მებრძოლებმა უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს მტერთან ბრძოლებში. მაგალითად, ქ. გორში გაფორმებული 392-ე დივიზია

1942 წლის აგვისტოში ჩაება ჩრდილო კავკასიის ბრძოლებში. ხოლო უფრო ადრე ქ. ქუთაისში გაფორმებული 388-ე დივიზია. რომლის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ (მათ შორის იყო ამ სტრიქონების ავტორიც). 1941 წლის ნოემბრიდან სევასტოპოლის გმირულ დაცვაში მონაწილეობდა. ქართული დივიზიები იბრძოდნენ ქერჩის და ტამანის ნახევარკუნძულის, სევასტოპოლის, ანაპისა და ნოვოროსისკის განთავისუფლებისათვის.

392-ე ქართული დივიზიის, რომელსაც გენერალ-მაიორი ყუფარაძე ბრძანებლობდა, მებრძოლების გმირობას ჩრდილო კავკასიაში, მდინარე ურვანისა და ბაქსანის ხეობებში, დოდუშკინოს რაიონში. ხარაჩორისა და იალბუზის მთიანეთში არასოდეს არ დაივიწყებს შთამომავლობა. ამ დივიზიაში იბრძოდნენ და სახელოვნად დაეცნენ ბრძოლის ველზე ლეგენდარული გმირები — კაპიტანი მ. ბუხაიძე და საბჭოთა კავშირის გმირი პოლიტხელი ვ. კანკავა. ამავე დივიზიის მებრძოლებმა საბჭოთა კავშირის გმირებმა ვ. ლურსმანაშვილმა და ა. პირმისაშვილმა ასახელეს სამშობლო.[36] დიდი მამაცობა გამოიჩინა საბჭოთა კავშირის გმირმა ნ. გოგიჩაიშვილმა კავკასიისათვის ბრძოლებში. კავკასიისათვის ბრძოლებში მონაწილეობდნენ

---

[36] ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტხელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებული ვ. კანკავა მტრის ტანკების მოძალეობას სამი დღის განმავლობაში უმკლავდებოდა: მან მტრის ტანკების განადგურებით იხსნა დივიზიის ქვეგანაყოფი და საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მოპოვებით უკვდავყო თავისი სახელი. ამავე დივიზიის კაპიტანი მ. ბუხაიძე გმირულად დაიღუპა სოფ. პრავოურვანსკაიას განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მისი ბრძოლებისა და ვაჟკაცურად დაღუპვის შესახებ მოგვითხრობს დივიზიის საფრონტო გაზეთი: „შეტევაზე გადასულ კაპიტან ბუხაიძის დანაყოფის მებრძოლების წინსვლას ვერ აჩერებდნენ მტრის ვერც ყუმბარები. ვერც ნაღმები. ვერც მეავტომატეთა ძლიერი ცეცხლი. ბუხაიძის პირადი მაგალითით წაქეზებული ძიბრძოლები გრიგალისებურ ცეცხლს აყრიდნენ მოწინააღმდეგეს და ბრძოლით მიიწევდნენ წინ. ცეცხლის ნინა ხაზზე გაფთრებულ ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა ბუხაიძე, მაგრამ წუთითაც არ შეუწყვეტია თავისი საბრძოლო მოქმედება. მძიმე ტკივილების მომენტშიც კი... გმირმა ძალა მოიკრიბა, ვეფხვივით ზეზე წამოვარდა. — „მეც თქვენთან ვარ ძმებო. წინ. სამშობლოსათვის“, — ვაჟკაცურად შესძახა მან და მებრძოლები ეერიშზე გადაეიდნენ; მაგრამ მუხანათი მტრის ნაღმის ნამსხვრევებმა მას გულთან ერთად პარტიული ბილეთიც გაუხვრიტა. „წინ, სამშობლოსათვის“, მხოლოდ ეს იყო კაპიტან ბუხაიძის უკანასკნელი მოძწოდებელი, გამბედაობისა და იმედის მომცემი სიტყვები. ბუხაიძის მებრძოლებმა სოფელი ფაშისტებისაგან გაათავისუფლეს, ხოლო კაპიტან ბუხაიძის საფლავზე მხედრული ფიცი ღასდეს“. (დივიზიის საფრონტო გაზეთი „წინ გამარჯვებისაკენ“, 1942, 24 სექტემბერი).

კაპიტან ბუხაიძის საბრძოლო ანდერძი პოეტმა ი. აბაშიძემ მხატვრული ხერით ასე წარმოგვიდგინა:

> ....და ვუბარებ ყოველ ქართველს
> მისი წმინდა ვალი არი,
> მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას
> ღერბენტი და დარიალი“.

(ბუხაიძე განისვენებს ძმაოა სასაფლაზე სოფ. ფსიხოდში).

საქართველოში დაკომპლექტებული 242-ე, 351-ე და 276-ე დივიზიები.

ამ ბრძოლებში გერმანელების ზარალი აუნაზღაურებელი იყო. საბჭოთა კავშირის გმირ ალ. პირმისაშვილის არტილერიის ყუმბარით აქ მოკლულ იქნა მტრის 23-ე სატანკო დივიზიის გენერალი ფონ მაკი და მისი თანმხლები ფაშისტი ოფიცრები. პირმისაშვილის ბატარეამ კავკასიის მისადგომებთან გაანადგურა 188-ე ფაშისტი, 6 ტანკი, 80 ქვემეხი და ნაღმმტყორცნი. ააფეთქა გერმანელთა შტაბი, ათობით სიმაგრე და ბლინდაჟები. ასეთი თავგანწირული ბრძოლებით ქართული დივიზიის მებრძოლებმა სანიმუშოდ შეასრულეს სარდლობის დავალება და მტკიცედ შეინარჩუნეს ჩეგემისა და ბაქსანის თავდაცვის ხაზი.

სისხლისმღვრელ ბრძოლებში მტერმა მოახერხა 392-ე ქართული დივიზია მოეწყვიტა 37-ე არმიისაგან. მიუხედავად ამისა, დივიზიის მებრძოლებმა გენ. ყუფარაძის სარდლობით ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი საბრძოლო ხაზი, გაათავისუფლეს ყაბარდო-ბალყარეთის მთელი რიგი რაიონები და დასახლებული პუნქტები: პრიშიბსკაია, კოტლარევსკაია, მაისკოე, სლავიანსკაია და სხვ. მას შემდეგ რაც დივიზიას მტრის ალყაში მოქცევა დაემუქრა, ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის ბრძანებით 1942 წლის ნოემბერში დივიზიის მებრძოლებმა უძნელეს პირობებში შეძლეს გადმოეყვანათ დაჭრილი მებრძოლები, გამოეტანათ მებრძოლთა საომარი ქონება. 12 ტონა მოლიბდენი და გადმოერეკათ 28 ათასი სული რქოსანი საქონელი. დივიზიამ ეს გადმოსვლა შეძლო კავკასიონის მთის 3 798 მეტრიან სიმაღლის გადმოლახვით, უგზო და მიუვალ თოვლიან ადგილებში[37].

კავკასიის დაცვისათვის გმირულ ბრძოლებში დიდი მხედართმთავრული ნიჭი და სამხედრო ოსტატობა გამოიჩინა სამთო ბრძოლებში გამოცდილმა სარდალმა გენერალმა კ. ლესელიძემ და მისმა 46-ე არმიამ, რომლის გმირმა მებრძოლებმა გზა გადაუღობეს ქლუხორის, სანჩაროს და დასავლეთ კავკასიის მთავარი ქედის სხვა გადასასვლელებზე გამოჭრილ კლეისტის სპეციალურად გაწვრთნილ სამთო ალპურ ნაწილებს და უკუაქციეს პირისპირ ბრძოლებში დამარცხებული მტერი.[38] ქართველი ალპინისტების სპეციალური ნაწილების მიერ იალბუზზე და სხვა მწვერვალებზე გამაგრებული მტრის რაზმები

---

[37] სამამულო ომის არქივი, ფონდი I, საქმე 267.

[38] **Важнейшие операции Великой Отечественной войны, под редакцией полк. П. А. Жилина, М., 1956, стр. 142—153.**

განადგურებულ იქნა. კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში ასახელა საბჭოთა 46-ე არმიის შტაბის უფროსმა გ. მიქელაძემ და კორპუსის შტაბის უფროსმა მ. ღლონტმა[39].

კავკასიის მთავარი ქედის გადასასვლელების დაცვისათვის ბრძოლებში დიდი სახელი მოიხვეჭა ახლად გაფორმებულმა სამთო მსროლელთა დივიზიამ, რომლის მეთაურადაც პოლკოვნიკი ყურაშვილი (ახლა გენერალ-მაიორი) დაინიშნა. დივიზიის მებრძოლებს გვერდში უდგნენ სვანეთის მშრომელები. რომელთაც შესანიშნავად იციან სამთო ბილიკები. ისინი საბჭოთა მეომრების საიმედო მძღოლებს წარმოადგენდნენ. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ დივიზიამ ხალხის დახმარებით მოკლე დროში შეძლო მთავარი ქედის რიგი გადასასვლელების გაწმენდა მტრისაგან და ბაქსანის ხეობაში გამაგრება. საერთო წარმატებათა საფუძველზე კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში დადგა გადამწყვეტი მომენტი. დაიწყო მზადება დიდი შეტევისათვის. საბჭოთა არმიის მთავარსარდლობის ბრძანებით 1942 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები საერთო შეტევაზე გადადიან. ყოველგვარი ცდა ჰიტლერელებისა კუმა-ზალკასთან შეეჩერებინათ საბჭოთა არმიის წინსვლა და შეტევა ჩაეფუშათ, უშედეგო გამოდგა. თერგისა და არდონის მიდამოებში გაჩაღებულ მძაფრ ბრძოლებში ჰიტლერელები ფასტიკად მარცხდებიან. ასევე მარცხით მთავრდება ჰიტლერელთა თავგანწირული ცდა მინერალური წყლების შენარჩუნებისა და ყველა ღონისძიებით იქ გამაგრებისა.

შეტევაზე გადასული ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შემადგენლობაში იბრძოდა ქართული მსროლელთა დივიზია, რომელსაც ბატალიონი მეთაურობდა. დივიზიამ მოწინააღმდეგის ფრონტი გააღწია 30 კილომეტრის მანძილზე. რამდენიმე ადგილს უმძიმეს პირობებში გადალახა თერგი და ზამთრისა და უგზოობის ცუდ პირობებში არ შეუნელებია მტრის დევნა. დივიზიის მებრძოლებმა წარმატებით შეაასრულეს თავიანთი პატრიოტული ვალი.

მსროლელთა დივიზიამ, რომელსაც სერგეკოვი (დივიზიის კომისარი ო. მუსერიძე) მეთაურობდა, ამ საერთო შეტევის პერიოდში ბრძოლებით გაითქვა სახელი ორჯონიკიძის, აზოვისა და ჩერკასკის ბრძოლებში. ამ დივიზიის მებრძოლთა უმრავლესობას კი ქართველები შეადგენდნენ. მტერთან ბრძოლებში დიდი სახელი მოიხვეჭეს ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ფრონ-

---

[39] მ. ქ ო ჩ ი ა შ ვ ი ლ ი. გერმანელ ფაშისტთა დამარცხების განადგურება. ისტ. ინსტ. შრომები, ტ. I, გვ. 148.

ტის ჯარებში გაერთიანებულმა ქართულმა ნაწილებმა. იანი გმირულად მონაწილეობდნენ 1943 წლის დიდ შეტევითს ოპერაციებში. რომელთა შედეგადაც განთავისუფლებულ იქნა ქალაქები: ნალჩიკი (4 იანვარს). ნოვოჩერკასკი (13 თებერვალს). რომლის ქუჩებშიც ერთ-ერთი პირველთაგანი გენერალ-მაიორ ბ. გ. ჩანჩიბაიის ნაწილები შეიჭრნენ.

გმირულ ბრძოლებში დიდი სახელი გაითქვა სერჟანტმა ნ. გოგიჩაიშვილმა. იგი თავისი ტყვიამფრქვევით მუსრს ავლებდა უკან დახეულ მტერს. ნ. გოგიჩაიშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მტერთან სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჩრდილო კავკასიის განთავისუფლებისათვის სამშობლო ასახელა ანაპის სახელობის წითელდროშოვანმა 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ. რომელიც 1942 წლის მარტში გაფორმდა ქალაქ ბუინაკსკში. დივიზიამ შესანიშნავი წრთობით და გმირული ბრძოლებით განვლო კავკასიიდან სევასტოპოლამდე და 1944 წ. 9 მაისს ბრძოლებით შეიჭრა ქალაქის ქუჩებში; მან დიდი როლი შეასრულა ტამანის ნახევარკუნძულის. ანაპისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. მამაცმა მებრძოლებმა დივიზიას სამუდამოდ დაუმკვიდრეს ანაპის სახელი. ხოლო დივიზიის ორ პოლკს სევასტოპოლის სახელი. ანაპისა (22 სექტემბერი) და ტამანის ნახევარკუნძულის (9 ოქტომბერი) განთავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლებში უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებაში მოხსენიებული არიან გენერალ-ლეიტენანტ კ. ლესელიძისა და გენერალ-მაიორ გ. ყურაშვილის მეთაურობით მოქმედი ნაწილებიც მებრძოლ ქართველთა მამაცობა.

ჩრდილო კავკასიის დაცვისათვის ბრძოლა 15 თვეს გაგრძელდა. იგი სამხედრო ხელოვნებაში მუდამ დარჩება მთის უმძიმეს პირობებში შეტევითი და თავდაცვითი ბრძოლების ურთულეს კომპლექსად. სადაც სახმელეთო ჯარებთან ერთად მოქმედებდა სამხედრო-საზღვაო ფლოტი. საავიაციო და პარტიზანული შენაერთები და საბჭოთა არმიის მხარდამხარ იბრძოდა საქართველოს და კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა, გაერთიანებული გამანადგურებელ ბატალიონებსა და ალპინისტურ რაზმებში; ისინი იყვნენ გზამაღლები საბჭოთა არმიისა და მასთან ერთად იზიარებდნენ ომის ყველა სიძნელეს და სისასტიკეს[10].

---

[10] კავკასიის დაცვისადმი მიძღვნილი ა. ს. ზავიალოვას და ტ. ე. ალიევის სპეციალური ნარკვევის **„Оборона Кавказа в 1942—1943 гг."** სერიოზული ნაკლი. ჩვენი აზრით, ისაა, რომ კავკასიის დაცვას ავტორები განიხილავენ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობისაგან ამოწყვეტილ და კავკასიის დაცვაში ხალხის მასების მონაწილეობას ხელოვნებით უგულებელყოფენ. აპრიგად. ზურვისა და ფრონტის ერთიანობა აქ საკუთარი დაინტერესებელია.

1943 წლის 10 მაისს საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა გმირი ქალაქი სევასტოპოლი და მთლიანად გაწმინდა ყირიმი ფაშისტოკუპანტებისაგან. უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებაში ამ ოპერაციებთან დაკავშირებით მოხსენიებულია გენერალ-ლეიტენანტ ჩანჩიბაძის ჯარების საბრძოლო წარმატებანი. დივიზიის მებრძოლებმა ცხოველმყოფელი მონაწილეობა მიიღეს ქერჩის განთავისუფლებაში. ჯერ კიდევ 1943 წელს არმიამ, რომელსაც გენ. კ. ლესელიძე მეთაურობდა, გაწმინდა ყუბანი, შავი ზღვის ფლოტთან კოორდინირებული ბრძოლებით, ძლიერი დარტყმებით განთავისუფლებულ იქნა ნოვოროსიისკი (16 სექტემბერს) და იგი პირველი გამაგრდა ტამანის პლაცდარმზე. ამრიგად, ბრძოლა კავკასიისათვის გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ ისტორიულ ბრძოლებში ათასობით ქართველმა მეომარმა ასახელა სამშობლო, ბევრმა მათგანმა კი გმირის სახელი მოიხვეჭა. კავკასია იხსნა საბჭოთა არმიის ისტორიულმა გამარჯვებამ სტალინგრადში. კავკასიას იცავდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით[41].

სსრ კავშირის ხალხთა საბრძოლო დიად თანამეგობრობას გამოხატავს ი. ერენბურგის სიტყვები: „მოსკოვს იცავდა არტილერისტი გენერალი ლესელიძე, სევასტოპოლისათვის ბრძოლაში თავი ისახელა მიხეილ გახოკიძემ; ძველ რუსულ ქალაქ რჟევის ველებთან ქართველმა ჩანჩიბაძემ ბრძანება გასცა: „მკვდრები დაასაფლავეთ, ცოცხლებო, წინ!“ ახლა კავკასიისათვის იბრძვიან რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და უზბეკები“ (И. Эренбург, „Война“, 1943—, გვ. 218).

1942 წლის 22 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით დაწესდა მედლები: „ლენინგრადის დაცვისათვის“, „სევასტოპოლის დაცვისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“, შემდეგ „ოდესის დაცვისათვის“, ხოლო 1944 წლის 1 მაისიდან „მოსკოვის დაცვისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“. ძლევამოსილი საბჭოთა არმიის რიგებში გაერთიანებული ათეულ ათასობით ქართველი მეომარი დაჯილდოვდა ლენინგრადის, სევასტოპოლის, სტალინგრადის, ოდესისა და მოსკოვის დაცვის მედლებით. მრავალი რუსი, უკრაინელი, შუა აზიისა და ამიერკავკასიის ხალხთა შვილების თავდადებასა და გმირობაზე კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში ყველაზე ნათლად მეტყველებს მთავრობის საპატიო ჯილდო, „კავკასიის დაცვისათვის“, რაც მათ მიიღეს. მაგალითად, მხოლოდ ბუ-

---

[41] М. И. Барамия, Участие грузинского народа в борьбе за оборону Кавказа (Автореферат, Тб., 1955).

ბარის ოლქიდან 105 მებრძოლს, ხოლო უზბეკეთიდან 2974 მეომარს გადაეცა მედალი „კავკასიის დაცვისათვის“[42].

კავკასიის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ რუსი, უკრაინელი და სხვა მოძმე ხალხთა შვილების სამაგალითო გმირობას, რაც მათ კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში გამოიჩინეს. უკვდავია ნათელი ხსოვნა პ. ბარაბაშევისა, მან კავკასიის დაცვის გადამწყვეტ დღეებში საკუთარი სხეულით დაფარა მტრის ტყვიამფრქვევის ამბრაზურა და გზა გაუხსნა თანამებრძოლებს შეტევისათვის. მთელი საბჭოთა ხალხი იცნობს კავკასიის დამცველ უკრაინელ ვაჟკაცებს—საბჭოთა კავშირის გმირებს: კაპიტან ნაზარენკოს, გვარდიის ლეიტენანტ პ. რუდენკოს, მფრინავ ბორის და დიმიტრი გლინკებს. ქართველი და ამიერკავკასიის სხვა ხალხები პატივისცემით იგონებენ ძმებ დიმიტრი და ივანე ოსტაპენკოების გმირობას, რომლებმაც 1942 წლის 7 ნოემბერს კავკასიის მისადგომებთან მტრის 20 ტანკი მოსპეს[43].

ქართველი მეომრები თავის მხრივ კიდევ მეტი გმირული თავდადებით იბრძოდნენ მოძმე უკრაინის, რუსეთისა და ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის განთავისუფლებისათვის.

ჩვენ ზემოთ შევჩერდით ქართული დივიზიებისა და მეომრების ცალკეულ საბრძოლო მომენტებზე ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის განთავისუფლებისათვის. ცნობილია, რომ უკრაინის განთავისუფლებისათვის მებრძოლ მე-18 არმიას სარდლობდა სამამულო ომის სახელოვანი გმირი გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე. უკრაინის განთავისუფლებისათვის გმირულად იბრძოდნენ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები მფრინავი ა. წურწუმია, ჭ. ბენდელიანი და ი. ჯინჭარაძე, გვარდიული კორპუსი საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ ჩანჩიბაძის მეთაურობით და სხვა. უკრაინაში კოვპაკის ლეგენდარულ პარტიზანულ დივიზიაში გმირის უჭკნობი სახელი მოიხვეჭა დ. ბაქრაძემ.[44]

საბჭოთა კავშირის გმირმა ა. ტერელაძემ უდიდესი მამაცობა გამოიჩინა ჯერ კიდევ 1943 წლის ივლისის ბრძოლებში კურსკის შვერილზე ჰიტლერელთა სასტიკი შემოტევის უკუსაქცევად. ბაგრამ

---

[42] Т. Джураев, Трудящиеся Бухарской области в борьбе за победу. Автореферат, გვ. 17. მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ გარდა საბჭოთა არმიის მეომრებისა, გადაეცა საქართველოს 50 ათას-ზე მეტ მშრომელს, იმათ, ვინც აქტიურად ეხმარებოდა ფრონტს და მონაწილეობდა სამხედრო ნაწილებთან ერთად მტრის განადგურებისათვის ბრძოლებში.

[43] გაზ. „პრავდა უკრაინი“, 1945, 28 იანვარი.

[44] ს. კოვპაკი დ. ბაქრაძის შესახებ წერს: „ჩვენმა მებრძოლებმა ხელად შეიყვარეს იგი... მოეწონათ მამაცი ქართველი კაცი. მოეწონათ იგი მისი გოლიათური ძალის გამო“. (С. Ковпак, От Путивля до Карпат).

ის თავდადება და ვაჟკაცობა. რაც ა. ტერელაძემ და მისმა თანა-ბებრძოლებმა დნეპრის გადალახვისას გამოიჩინეს იშვიათი მოვლენაა. მათ გერმანელთა 22 კონტრიერიში მოიგერიეს და მოსპეს მტრის 51-ე მოტობატალიონი და ასობით ჯარისკაცი. პირადად ტერელაძემ დნეპრის ოპერაციის დროს 126 ჰიტლერელი მოსპო. ბევრმა ქართველმა მეომარმა ასახელა სამშობლო კურსკისა და ორიოლის, უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლებისათვის, ვისლისა და ოდერის გადალახვისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლებში.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი უკრაინის უმაღლესი საბჭოს VI სესიაზე ჯერ კიდევ ომის მსვლელობის პერიოდში, ეხებოდა რა სსრ კავშირის ხალხების გმირულ ბრძოლას უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ასახელებდა რამდენიმე ქართველს, რომელთაც მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მხოლოდ დნეპრის გადალახვისათვის ბრძოლებში 17 ქართველ მეომარს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ესენი იყვნენ კ. ტყაბლაძე. გ. ბახტაძე. ვ. ბეროშვილი, ს. ასლამაზაშვილი, გ. ბუაჩიძე. გ. ბილანიშვილი. ი. ციციშვილი, ი. გვანცელაძე, გ. გოცირიძე, ბ. სორდია, ვ. გუბელაძე, ს. კოზანოვი, ა. ტერელაძე, გ. შენგელია. გ. რაზმაძე. ნ. ურუშაძე. ლ. ჩუბინიძე. ყირიმის, ოდესის, სევასტოპოლისა და უკრაინის მიწა-წყლის სხვა ნაწილთა განთავისუფლებისათვის ბრძოლებში 40-მა ქართველმა მეომარმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მოიპოვა.

მახარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნე გლეხობის წარმოებაში უკრაინელი მოძმე კოლმეურნეებისადმი მოყვანილია სოფ. შრომის კოლმეურნეთა გვარები, რომლებმაც უკრაინისათვის ბრძოლებში გმირობისა და ვაჟკაცობის დიდი სახელი მოიხვეჭეს. ესენია: მაიორი, ორგზის ორდენოსანი დ. მეგრელიშვილი. კაპიტანი ო. გორდელაძე. ი. გაგუა, ლეიტენანტი ვ. გოგიძე და სხვ.

ქართველი მეომრები და პარტიზანული რაზმები თავდადებით იბრძოდნენ მოძმე ბელორუსიის განთავისუფლებისათვის. მრავალმა ქართველმა თავი დადო კურსკისა და ორიოლის გადამწყვეტ ბრძოლებში.

სამამულო ომის ფრონტებზე გმირული თავდადებით იბრძოდნენ ოსი და აფხაზი ხალხების სახელოვანი შვილები. საბჭოთა კავშირის გმირის, არტილერიის დივიზიონის უფროსი ლეიტენანტის ვ. ხარაზიას თავდადებას არასოდეს არ დაივიწყებს სამშობლო. იგი ხარკოვის მისადგომებთან დიდი ხნის განმავლობაში უმკლავდებოდა მტერს თავისი ნაწილით. რომელმაც მტრის 30 ტანკი გაანადგურა.

პირადად ხარაზიამ მოსპო მტრის 7 ტანკი და მრავალი ოკუპანტი გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ თვითონაც დაეცა გმირის სიკვდილით. საბჭოთა კავშირის გმირები ე. კოკოსკირია, რ. ბარციცი და სხვ. აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილებია. ოსი ხალხის საამაყო შვილებია: სლანოვი, ა. ხარებოვი, რომლებიც მოსკოვა იცავდნენ; ბეთელ კავშირში სახელი მოიხვეჭა გენერალ-პოლკოვნიკ ი. პლიევის ჯარების მამაცობამ. ოსი ხალხის სხვა 7-მდე სახელოვან შვილებთან ერთად, მფრინავმა ს. კობლოვმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა. მფრინავი შ. კოზაევი სტალინგრადთან საჰაერო ბრძოლებში გმირის სიკვდილით დაიღუპა.

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს პირველი აქარელი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის, უმცროსი ლეიტენანტის ჯინჭარაძის მამაცობას. მისმა საბრძოლო თვითმფრინავმა 92 გაფრენით მოსპო მტრის 82 ავტომანქანა. 27 ტანკი, 7 თვითმფრინავი, 880 ჯარისკაცი და ოფიცერი[45].

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. კალინინმა პირადი წერილი მიწერა საბჭოთა კავშირის გმირის ჯინჭარაძის დედას (სოფ. მახინჯაური) ფატი ბოლქვაძეს. სადაც ვკითხულობთ: „პატივცემულო ფატი მამედის ასულო! საბჭოთა სამხედრო სარდლობის ცნობით, თქვენი ვაჟი, უმცროსი ლეიტენანტი ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძე საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში დაიღუპა მამაცთა სიკვდილით. საგმირო საქმეებისათვის, რაც თქვენმა ვაჟმა ჩაიდინა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წ. 4 თებერვალს მიანიჭა მას წარჩინების უმაღლესი ხარისხი — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. გიგზავნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელს თქვენი ვაჟისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. რათა შეინახოთ იგი, როგორც მოგონება თქვენს გმირ შვილზე, რომლის გმირობას არასოდეს არ დაივიწყებს ჩვენი ხალხი[46].

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის განმათავისუფლებელმა მისიამ საბჭოთა ხალხში გმირები წარმოშვა არამარტო მოქმედი არმიის რიგებში და გასამხედროებული სახალხო მეურნეობის შრომის ფრონტზე. არამედ მტრის ზურგშიც, მტრის მიერ ოკუპირებულ საბჭოთა მიწა-წყალზე და მის გარეთაც. ვაჟკაცურად იბრძოდნენ ქართველები ბელორუსიასა და უკრაინაში, ყირიმში, კავკასიასა

[45] გაზ. „კომუნისტი". 1944, 18 მარტი.
[46] გაზ. „კომუნისტი". 1944, 7 აპრილი.

და სხვაგან.| განსაკუთრებით გამოიჩინა თავი და ასახელა სამშობლო საბჭოთა კავშირის გმირმა დ. ბაქრაძემ, რომელიც მ. მეკოკიშვილთან, ი. ჟორჟოლიანთან და სხვა ქართველ პარტიზანებთან ერთად იბრძოდა უკრაინაში ს. კოვპაკის მეთაურობით მოქმედ სახელგანთქმულ პარტიზანულ დივიზიაში, როგორც პირველი პოლკის მეთაური[47].

ყირიმში სახელი გაითქვეს კომკავშირელმა გოგონამ ზოია რუხაძემ და პ. გვალიამ სხვა პარტიზანებთან ერთად. ბელორუსიაში პარტიზანულ ბრძოლებში სახელი გაითქვა ცნობილი სპორტსმენის დ. იოსელიანის რაზმმა. პარტიზანებმა გააჩაღეს „რელსებზე ომი", რომლის შედეგადაც მტრის ეშელონები გზაშივე ნადგურდებოდა და ფრონტამდე ვერ აღწევდა.

ფართო ხასიათი მიიღო პარტიზანულმა მოძრაობამ ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში. პარტიზანთა რიგებს ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში უერთდებოდნენ და ზოგჯერ სათავეში უდგებოდენ ტყვედ ჩავარდნილი ის საბჭოთა მეომრებიც, რომლებმაც შეძლეს გაქცეოდნენ ფაშისტთა ჯოჯოხეთურ ტყვეობას. ქართველი პარტიზანები იბრძოდნენ იტალიასა და საფრანგეთში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ალბანეთში, ჰოლანდიასა და პოლონეთში.

სამუდამოდ დაუვიწყარი დარჩება ჰოლანდიაში კუნძულ ტექსელზე ქართველი პარტიზანების გმირული აჯანყება, რომელსაც კაპიტანი შ. ლოლაძე, ს. გუჯაბიძე, ე. არტემიძე და სხვ. მეთაურობდნენ. ვერაგ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული 500-ზე მეტი ქართველი პარტიზანი ძმათა სასაფლაოში განისვენებს კუნძულ ტექსელზე. მათ ოთხი ათასზე მეტ ჰიტლერელს მოუსპეს სიცოცხლე[48]. ქართველები იტალიაში მონაწილეობდნენ მუსოლინის შეპყრობასა და დასჯაში. ქართველმა პარტიზანებმა განსაკუთრებით დიდი სახელი მოიხვეჭეს საფრანგეთში, მათ გაათავისუფ-

---

[47] საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძე საქართველოს კომკავშირის XVI ყრილობაზე თავის გამოსვლაში ამბობდა: „ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომლებიც კოვპაკის რაზმებში ვიბრძოდით, უკრაინის ყოველი მტკაველი მიწა ისევე შვირფასი და საყვარელი იყო, როგორც ჩვენი მშობლიური საქართველო,.. მტრის ღრმა ზურგში გავიარე 23 ათასი კილომეტრი. ჩემმა პოლკმა გაანადგურა ხუთი ათასზე მეტი ოკუპანტი, მოსპო მტრის 67 ტანკი. 19 ქვემეხი, 300 აეტომანქანა, გზიდან გადაგდო 9 ეშელონი, დავლად ჩაიგდო 8 სარკინიგზო ეშელონი, მათგან 3 ტანკებით დატვირთული. იასონ ჟორჟოლიანსა და ვანო რეხვიაშვილს ტყუილად არ უწოდეს რაზმში „ფაშისტთა რისხვა"... სიტყვა „ქართველი" ჩვენს რაზმში მამაცობისა და გულადობის სინონიმი იყო".

[48] მ. ქ ო ჩ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში (აჯანყება კუნძულ ტექსელზე), თბილისი, 1948.

ლეს ოკუპანტებისაგან რიგი დაბა-ქალაქებისა და ფრანგების სიყვარული დაიმსახურეს.

ქართველი ხალხის ბევრი სახელოვანი შვილი განისვენებს ბრძოლის თვალუწვდენელ ველებზე მიმოფანტულ ძმათა სასაფლაოებში. რომლებსაც ხშირად შეხვდებით ვოლგისპირეთიდან ელბამდე და კავკასიისა და შავი ზღვის ნაპირებიდან ბარენცის ზღვამდე. დნეპრის ნაპირას, ამაღლებულ გორაკზე, მოთავსებულია საბჭოთა კავშირის გმირის, 19 წლის ჭაბუკის ტერელაძის საფლავი. მისმა ამხანაგებმა გმირის საფლავს ქვა დაადვეს მარტივი წარწერით: **„Тут покоится герой-грузин, боровшийся за свободу украинской земли“.**

იქვე განისვენებენ დნეპრის ოპერაციების დროს დაღუპული ჯინჭარაძე და ლ. ჩუბინიძე, რომელთაც სიკვდილის შემდეგ მიენიჭათ გმირის წოდება. უკრაინის მიწამვე მიიბარა საბჭოთა კავშირის გმირები ვ. ჩიქოვანი, ბ. სორდია, ასევე ბ. ფარჯიკია და სხვ.[49].

საბჭოთა კავშირის გმირი ნ. გოგიჩაიშვილი დაკრძალულია კიევში „დიდების პარკში“.

ასეულში ყოველ საღამოს შემოწმებისას მებრძოლთა შორის ღრმა პატივისცემით ამოიკითხავდნენ „რიგით მებრძოლს გიორგი მაისურაძეს“ . და მისი მეგობარი, ბელორუსი გალანჩოვი პასუხობდა: „დაიღუპა გმირის სიკვდილით საბჭოთა ბელორუსიისათვის“[50]. გმირის სიკვდილით დაღუპული ბევრი ქართველი მეომარი, რომელთა ლეგენდარული საგმირო საქმეები ჯერ კიდევ შეუსწავლელია, განისვენებს მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, ოდესის, სევასტოპოლის, კავკასიის მისადგომებთან და სხვ., ბევრი ქართველი მეომარი გმირულად დაიღუპა უცხოეთში და პარტიზანულ ომებში.

შეუძლებელია ადამიანმა სიამაყის გრძნობასთან ერთად აუღელვებლად წაიკითხოს წერილები, რომელთაც ფრონტიდან უგზავნიდნენ მებრძოლები გმირულად დაღუპულის მშობლებს[51].

---

[49] **А. Шервашидзе, Великое содружество украинского и грузинского народов, Батуми, 83. 44.**

[50] სამამულო ომის არქივი, ფონდი პირობითი, № 077, ფურც. 35.

[51] აღმოსავლეთ პრუსიაში გმირის სიკვდილით დაღუპულ შოთა გამცემლიძის მშობლებს იმ ნაწილის ჯარისკაცები და მეთაურები, სადაც შოთა ირიცხებოდა, სწერდნენ: „აქ იბრძოდა და გმირულად დაეცა თქვენი შვილი, რომელმაც სახელოვანი გზა განვლო ორშიდან კენიგსბერგის მისადგომებამდე. იგი მუდამ მოწინავეთა რიგებში იბრძოდა, იბრძოდა იქ, სადაც ყველაზე უფრო დაძაბული მდგომარეობა იყო... მტრის ტანკები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. გადამწყვეტ მომენტში თქვენმა შვილმა თავი შესწირა სამშობლოს, გრანატების კონით შოთა შევარდა მტრის ტანკის ქვეშ და თავისი სიცოცხლის ფასად ააფეთქა იგი. ამან საშუალება მოგვცა მტერი უკუგვექცია... საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს შოთა გამცემლიძის, ქართველი ხალხის ამ სახელოვანი შვილის — თავდადებას... ვადლობას გიძღვნით ასეთი შვილის აღზრდისათვის“ (გაზ. „კომუნისტი“, 1945,

საქართველოს მშრომელები წვიდად ინახავენ სამამულო ომის გმირთა ხსოვნას. თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობაზე გაკრულია მარმარილოს დაფა, რომელზეც ამოკვეთილია: „აქ მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად (VIII—1938, 1—1942 წწ.) და ჯარების სარდლად (1 — 1947. 1 — 1949 წწ.) ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი და მშენებელი, დიდი სამამულო ომის სახელმოხვეჭილი გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი (1894—1949)".

უკვდავყოფილია ხსოვნა გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძისა. — კ. ლესელიძის სახელი ეწოდა თბილისის ერთ-ერთ ცნიშვნელოვან მაგისტრალს. ქალაქის სკვერში დადგმულია გენერალ ლესელიძის ძეგლი. გმირულად დაღუპული გ. სხულუხიას სახელი ეწოდა კოლმეურნეობას, სადაც ის წინათ თავმჯდომარედ ითვლებოდა.

თბილისში, ლენინის რაიონში, ერთ-ერთი ქუჩა ატარებს უშიშარი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელს, მისივე სახელი მიეკუთვნა თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას და ჩოხატაურის რაიონის სოფელ გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს. თბილისის 30-ე სკოლაში ნახავთ მეომარი ტანკისტის, ამ სკოლის აღზრდილის, საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის პორტრეტს. ფართო პოპულარობით სარგებლობს საქართველოში სიმღერა ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან კავკასიის დაცვის ერთ-ერთ გმირ კაპიტან მიხეილ ბუხაიძეზე; უკრაინაში ქ. ჩერკასკი განთავისუფლებისათვის გმირულად დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ჩიქოვანის სახელი ეწოდა ქ. ჩერკასკის ერთ-ერთ მაგისტრალურ ქუჩას. ვაკის სასაფლაოზე ბიუსტებით უკვდავყოფილია გენერლების ყუფარაძისა და ი. რაზმაძის, აგრეთვე სახელოვანი მებრძოლების ბ. სტურუასა და მრავალ სხვათა სახელები. ქანდაკებანი, ფერწერის ტილოები, მუსიკალური ნაწარმოებები, სახალხო პოეტთა და მთქმელთა ლექსები აღადგენენ დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველ გმირთა სახეებს და მოგვაგონებენ მათს სახელოვან საქმეებს.

---

29 მარტი). საბჭოთა კავშირის გმირი ლ. ჩუბინიძე დნეპრის გადალახვისათვის დაიღუპა, პოდპოლკოვნიკი ულიანოვი გმირის მამას ვარლამს, აუწყებდა რა საყვარელი შვილის მიერ გაღახდილ გმირულ ბრძოლებს, სწერდა:

„მარადიული დიდება საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. ჩუბინიძეს. სამშობლო არასოდეს არ დავიწყებს მის ნათელ სახელს. მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება დიდი სამამულო ომის ისტორიაში. თქვენი შვილი მთელი სამხედრო პატივით დასაფლავებულია კიევის ოლქის სოფ. ჩერნინში".

* * *

1944 წელი საბჭოთა არმიის გადამწყვეტი გამარჯვების წელი იყო. საბჭოთა არმიის ათ გამანადგურებელ დარტყმაში — ლენინგრადთან და ნოვგოროდთან, უკრაინის მიწა-წყალზე, ყირიმში, ოდესასთან, კარელიაში, ბელორუსიაში, დასავლეთ უკრაინაში, მოლდავეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში, ბალტიისპირეთსა, იმპერიალისტურ ომში ჰიტლერელი ოკუპანტების განადგურებისათვის სხვა ბრძოლებში—ცხოველ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველი მეომრები. საბჭოთა არმიის ამ ისტორიულ გამარჯვებათა შედეგად სსრ კავშირის ტერიტორიის დიდი ნაწილი გაწმენდილ იქნა ოკუპანტებისაგან და ჯერ კიდევ 1944 წ. აპრილიდან საბჭოთა არმიის საომარი მოქმედებანი მტრის ტერიტორიაზე იქნა გადატანილი.

მტრის ტერიტორიაზე შეჭრილ საბჭოთა მეომრებს აღარ უმაგრდებოდათ არც ბუნებრივი და არც ხელოვნური დაბრკოლებანი. საბჭოთა ტანკისტები, მფრინავები და არტილერისტები მძლავრი დარტყმებით სპობდნენ მტრის ყოველგვარ წინააღმდეგობას.

ამიერიდან, საბჭოთა არმიის რიგებში გაერთიანებული ქართველი მეომრები იბრძოდნენ ევროპის ჩაგრული ხალხების ხსნისათვის და მიიწევდნენ წინ ფაშისტური მხეცის საკუთარ ბუნაგში განადგურებისათვის. ისინი გმირულად აგრძელებდნენ ბრძოლას ვისლასა და ოდერის გადალახვისათვის, უნგრეთის განთავისუფლებისათვის, აღმოსავლეთ პრუსიის, ვენისა და ბერლინის აღებისათვის. საბჭოთა არმიას უერთდებოდნენ და საერთო მტრის წინააღმდეგ ღირსეულად იბრძოდნენ პოლონეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის და სხვათა სახალხო განმათავისუფლებელი არმიები.

1944 წლის 6 ივნისს ინგლის-ამერიკელთა სარდლობამ დესანტი გადასხა ნორმანდიაში (ჩრდილო საფრანგეთში). 1944 წ. აგვისტოს მდინარე სენისა და ლუარის სანაპიროებზე, ტულონისა და ნიცის რაიონებში მოკავშირეებმა ჯარები გადმოსხეს. გაჩაღდა ბრძოლები იტალიაშიც. ასე გაიხსნა მეორე ფრონტი ევროპაში.

ჯერ კიდევ 1943 წლის 10 ოქტომბერს იტალიის შეიარაღებულ ომს უცხადებს გერმანიას. ფაშისტურ გერმანიას ზედიზედ ჩამოშორდნენ და უპირისპირდებიან სხვა სატელიტებიც. მაგრამ მოკავშირეთა ეს აქტივობა, მათ მიერ მეორე ფრონტის გახსნა, გამოწვეული იყო არა სამოკავშირო პირობებისადმი ერთგულებით, არამედ საბჭოთა არმიის ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებებისა და დასავლეთ ევროპაში გაძლიერებული განმათავისუფლებელი მოძრაობის შიშით, რომელსაც კომუნისტური პარტია მეთაურობდა. ფაშისტური გერმანიის ამ განსაცდელის ჟამს მოკავშირეთა რეაქ-

ციული ელემენტებისა და ჰიტლერელების ყოველგვარი ცდა, რომ უკანასკნელთ კაპიტულაცია მოეხდინათ მხოლოდ ინგლის-ამერიკელთა სარდლობის წინაშე და იზოლირების გზით უგულებელეყოთ სსრ კავშირი, ჩაიფუშა და მარცხით დამთავრდა.

გერმანიის სახელმწიფო საზღვრების გადალახვისათვის პირველსავე ბრძოლებში თავი ისახელეს საბჭოთა კავშირის გმირმა კაპიტანმა ა. ბიბილაშვილმა და მაიორმა ი. ლეფსვერიძემ პირადი მამაცობითა და მათი მეთაურობით მოქმედი ნაწილების ოსტატური ხელმძღვანელობით. გერმანიის ტერიტორიაზე სასტიკ ბრძოლებში თავი გასწირა საბჭოთა კავშირის გმირმა შ. გამცემლიძემ. იგი ხელყუმბარით შეუვარდა ქვეშ მტრის ტანკს, ააფეთქა ტანკი და გზა გაუხსნა საბჭოთა მეომრებს. შ. გამცემლიძეს, დიდების ორდენის კავალერს, სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ქართველი ხალხის უშიშარმა შვილმა, საბჭოთა კავშირის გმირმა გ. მაისურაძემ, მატროსოვის მსგავსად, მტრის ტყვიამფრქვევის ამბრაზურა ჩაახშო თავისი ტანით და გზა გაუხსნა საბჭოთა მეომრებს.

ქართველმა მეომრებმა თავი ისახელეს გერმანიის მიერ დამონებული პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და სხვათა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ავსტრიის დედაქალაქ ვენის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირობა გამოიჩინეს კ. ჯახუას მეთაურობით მოქმედმა ნაწილებმა. მდინარე ვისლის გადალახვისას და დანციგის ციხე-სიმაგრისათვის ბრძოლებში ასახელა სამშობლო საბჭოთა კავშირის გმირმა, ვ. ლესელიძემ და მისი მეთაურობით მოქმედმა ბატალიონმა. უფროსი ლეიტენანტის ს. გურეშიძის მებრძოლებმა განვლეს გმირული გზა ვოლგის ნაპირებიდან მდ. შპრეემდე და ბერლინში შეავიდნენ. საბჭოთა კავშირის გმირმა სნაიპერმა ვ. კვაჭანტირაძემ სმოლენსკიდან ბერლინამდე სასტიკ ბრძოლებში 535 ფაშისტი მოსპო.

ქალაქის და სიმაგრის პოზნანის განთავისუფლებისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლებში მრავალმა ქართველმა მეომარმა და მეთაურმა ისახელა თავი. უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებაში მოხსენებული არიან ე. კობერიძის ჯარისკაცები. ბელგრადის განთავისუფლების და ბერლინის აღებისათვის ბრძოლებში ასახელა სამშობლო ავიაციის გენერალ-მაიორმა ე. ტატანაშვილმა. საბჭოთა კავშირის გმირმა მფრინავმა, გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა გ. თვაურმა დიდი სახელი მოიხვეჭა მტერთან

უთანასწორო ბრძოლებში, მრავალგზის ასახელეს სამშობლო საბჭოთა კავშირის გმირების გენერალ-მაიორების ვ. ჯანჯღავასა და ე. კობერიძის, პოდბოლკოვნიკ გ. ალფაიძის, მფრინავ მაიორ დ. თავაძის, კაპიტან ა. ბიბილაშვილისა და სხვა ქართველ მეთაურთა ჯარის ნაწილებმა. გმირული ბრძოლებით წინ მიმავალმა საბჭოთა ჯარებმა „1944 წლის ზამთარში მტრის მსხვილი დაჯგუფებანი გაანადგურეს პოლონეთში, აღმოსავლეთ პრუსიაში, სილეზიაში და ისინი ბერლინის მისადგომებთან აღმოჩნდნენ", სადაც ახალი საგმირო საქმეებით გაამდიდრეს ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორია[52].

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა საბჭოთა ქვეყანასთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებით. მართალია, ჯერ კიდევ 1942 წელს იკისრეს დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის ვალდებულება, მაგრამ იმის გამო. რომ ეს სამოკავშირო დაპირება ყოველგვარი საბაბით ჰიანურდებოდა, საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს, თავიანთ მხრებზე მოუხდათ გადატანა ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლის მთელი ძირითადი სიმძიმეებისა.[53]

ისტორიული გამარჯვების შედეგად სტალინგრადთან და კავკასიასთან, ბელგოროდთან, კურსკთან და სხვა, როცა ცხადი გახდა. რომ საბჭოთა არმიას მარტო შეეძლო გაენადგურებინა ფაშისტური გერმანია და ეხსნა ევროპის დამონებული ხალხები, მხოლოდ ამის შემდეგ 1944 წლის ივნისში ინგლის-ამერიკის მაშინდელმა მესვეურებმა მოისურვეს მეორე ფრონტის გახსნა და გადასხვეს თავიანთი ჯარები საფრანგეთში. მაგრამ იმის გამო, რომ ინგლის-ამერიკის სარდლობა ახლაც უფრო მეტად ბალკანეთის ქვეყნებში შეღწევისათვის იღწვოდა, ვიდრე გერმანიაზე დასავლეთიდან მძლავრი დარტყმებისა და ახალი ფრონტით შეტევისათვის, 1944 წლის დეკემბერში დიდი საშიშროება შეექმნა ინგლის-ამერიკის მხედრობას არდენის რაიონში. გერმანელები შედარებით მცირე ძალებით სრული განადგურებით დაემუქრნენ მოკავშირეების ჯარებს.

ინგლისის მაშინდელმა პრემიერმა უ. ჩერჩილმა შექმნილი მდგომარეობიდან თავდაღწევის მიზნით, რათა არ განმეორებულიყო დიუნკერკის ტრაგედია, შეშფოთებული წერილი გამოუგზავნა

---

[52] Штурм Берлина. М., 1948, გვ. 7—8.

[53] განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს. რომ საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში მუდამ პირნათლად ასრულებდა სამოკავშირეო ხელშეკრულებებსა და ყველა ვალდებულებას; ამ უდაო ფაქტს არ უარყოფდა თვით ჩერჩილიც კი, იგი აღნიშნავდა: „Союз Советских Социалистических республик никогда не нарушал ни обязательств, ни договоров" (Переписка председателя Совета Министров СССР с президентами США и премьер-министром Великобритании во время Великой Отечественной войны 1941—1945 гг. М., 1957, т. 1, გვ. 89).

საბჭოთა მთავარსარდლობას სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად.

1945 წ. 6 იანვარს უ. ჩერჩილი ი. სტალინს სწერდა:

„შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ, რომ რუსები ძლიერ შეტევაზე გადავლენ ვისლის ფრონტზე, ან სადმე სხვაგან, იანვრის განმავლობაში“.[54]

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმიას ახლადდამთავრებული ჰქონდა ზამთრის დიდი შეტევითი ბრძოლები, ხოლო ფრონტებზე მეტად არახელსაყრელი ამინდი იყო, 1945 წლის 7 იანვარს ი. სტალინი უ. ჩერჩილს პასუხობდა:

„ჩვენ ვემზადებით შეტევისათვის, მაგრამ ამინდი ვერ უწყობს ახლა ხელს ჩვენ შეტევას. ითვალისწინებს რა მოკავშირეთა მდგომარეობას დასავლეთის ფრონტზე, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა გადაწყვიტა გაძლიერებული ტემპით დაასრულოს სამზადისი და მიუხედავად უამინდობისა დაიწყოს ძლიერი შეტევითი მოქმედება გერმანელების წინააღმდეგ მთელ ცენტრალურ ფრონტზე არა უგვიანეს 1945 წლის იანვრის მეორე ნახევრისა“[55].

დანიშნულ ვადაზე რამდენიმე დღით ადრე — 1945 წლის 12 იანვარს დაიწყო დიდი შეტევები საბჭოთა ჯარებისა ბალტიკიდან ვიდრე კარპატებამდე: ჰიტლერელები იძულებულნი გახდნენ არდენიდან აღმოსავლეთში გადმოსულიყვნენ. შეტევაზე გადასულმა საბჭოთა არმიამ იხსნა მოკავშირეთა არმიები განადგურებისაგან.

ი. ბ. სტალინისადმი გაგზავნილ მადლობით აღსავსე წერილში, რომელიც 1945 წ. 17 იანვრით თარიღდება, უ. ჩერჩილი წერდა: „მთავრობის სახელით და მთელი სულით და გულით მინდა მადლობა გიძღვნათ და მოვილოცოთ იმ გიგანტური შეტევის გამო, რომელიც თქვენ დაიწყეთ აღმოსავლეთის ფრონტზე“.[56]

საბჭოთა არმიის ამ გმირული შეტევებით გაოცებული უ. ჩერჩილი 1945 წ. 23 თებერვალს თავის მისალმებაში ი. ბ. სტალინს სწერდა: „წითელი არმია თავის 27-ე წლისთავს დღესასწაულობს ტრიუმფით, რომელმაც მის მოკავშირეთა უსაზღვრო აღტაცება გამოიწვია და რომელმაც გადაწყვიტა გერმანიის მილიტარიზმის ბედი. მომავალი თაობები სცნობენ თავიანთ მოვალეობას წითელი არმიის წინაშე ასევე უსიტყვოდ, როგორც ჩვენ, რომელთაც იქამდე მოვაღწიეთ, რომ ამ დიდებულ გამარჯვებათა მოწმენი გავხდით“[57].

---

[54] Переписка председателя Совета Министров СССР с президентами США и премьер-министром Великобритании по время Великой Отечественной войны 1941—1945 г.г., М., 1957, გვ. 298.

[55] იქვე, გვ. 299.

[56] იქვე, გვ. 303.

ასეთია ისტორიული ფაქტები. რომელთა გაბათილებას ამაოდ ცდილობენ მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფალსიფიკატორები იმპერიალიზმის ბანაკიდან.

საბჭოთა არმია გმირული ბრძოლებით ბერლინს უახლოვდებოდა.

ბერლინის გზაზე ბუნებრივ და ხელოვნურ უამრავ დაბრკოლებათა შორის, რომლებიც აფერხებდნენ საბჭოთა არმიის წინსვლას, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მდინარე ოდერის გადალახვის საქმეს. სხვა საბჭოთა მეომრების მხარდამხარ ოდერი პირველად გადალახეს კაპიტან გ. ლესელიძის, გვარდიის ლეიტენანტ ვ. ბარნაბიშვილის ქვედანაყოფებმა და გენერალ ვ. ჯანჯღავას ნაწილებმა. მათ შეილეა სისხლისმღვრელ ბრძოლებში ხელთ ეგდოთ პლაცდარმი ოდერის მარჯვენა ნაპირზე და გზა გაეხსნათ ბელორუსიის ჯარების ახალი შეტევებისათვის. 23 აპრილს საბჭოთა არმიის ნაწილები ბერლინში შეიჭრნენ. უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებაში მოხსენებულნი არიან ბაჩაკაშვილის ტანკისტები და სხვ.

ბერლინის ქუჩებში რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. გმირმა საბჭოთა მეომრებმა 27 აპრილს ქალაქის 606 კვარტალი აიღეს და ბრძოლა ბერლინის ცენტრალურ უბნებში გადაიტანეს. შეუპოვარი ბრძოლებით განვლო სტალინგრადიდან და კავკასიიდან ბერლინამდე და ბერლინის აღებისათვის ბრძოლებში საბჭოთა სხვა მეომრების მხარდამხარ ყველავ ასახელა სამშობლო მრავალმა ქართველმა მეომარმა. მეთაურმა, გენერალმა და საბჭოთა კავშირის გმირმა; ამათგან გამოირჩეოდა ე. კობერიძე. ავიაციის გენერალ-მაიორი ე. ტატანაშვილი. გენერალ-მაიორი ი. რაზმაძე და ნ. კალაძე, საბჭოთა კავშირის გმირები გ. ალფაიძე. კ. ცუცქირიძე. დ. თავაძე. შ. შურღაია. ა. ბიბილაშვილი. კ. მებაღიშვილი, ო. ჩეჩელაშვილი და სხვ.[56] 1945 წლის 29 და 30 აპრილს სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქის ცენტრში რაიხსტაგის ხელში ჩასაგდებად. 30 აპრილს 14 საათზე და 25 წუთზე მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ გამარჯვების დროშა აღმართეს რაიხსტაგზე.[56] 30 აპრილს დღის მეორე ნახევარში

---

[56] ნ. ჩ ე ი შ ვ ი ლ ი. მასალები ქართველი მეომრების მონაწილეობისა ბერლინის აღებისათვის ბრძოლაში, 1951. მ. ქანთარიას გმირობით აღფრთოვანებული ერთ ნაწილის თანამებრძოლები გმირის მშობლებისადმი მისალოკ ბარათში წერდნენ: „გამარჯვების დროშა მძიმე ბრძოლების ურთიერეს მომენტში რაიხსტაგის გუმბათზე თქვენმა შვილმა მელიტონ ქანთარიამ აღმართა. ჩვენ ვამაყობთ გმირი მებრძოლი ამხანაგით, მიიღეთ გულითადი მადლობა მებრძოლებისა და მეთაურთა შემადგენლობისაგან თქვენ და მთელმა ქართველმა ხალხმა ასეთი ძმაკაცი და თავადადებული შვილის გამოზრდისათვის“ (გ. ცაგარელი. მტრის ბუნაგში. 1946. გვ. 32—34).

ქალაქში ხმები გავრცელდა ჰიტლერმა თავი მოიკლაო. ჰიტლერი ეაქრა.

გმირი საბჭოთა არმიის მხარდამხარ ქართველი მეომრები კელავაც ბრძოლით მიიწევდნენ წინ, ვიდრე მდინარე ელბაზე არ მოხდებოდა შეხვედრა საბჭოთა ქვეყნის მოკავშირე ამერიკის ჯარებთან. მრავალთაგან აქ აღსანიშნავია გვარდიის მაიორ კ. უკლებას სამხედრო ნაწილების მიღწევა მდ. ელბამდე და საზეიმო მეომრულ ვითარებაში მათი შეხვედრა ამერიკელ მოკავშირეებთან. ფაშისტური გერმანია დამარცხდა, 1945 წ. 8 მაისს 18 საათზე და 30 წუთზე იგი იძულებული გახდა უსიტყვო კაპიტულაცია მოეხდინა.

ფაშისტური გერმანიის დამარცხებისა და მისი უსიტყვო კაპიტულაციის შემდეგ ქართველი მეომრები საბჭოთა არმიის რიგებში აქტიურად აგრძელებდნენ ბრძოლას იაპონელ აგრესორთაგან მანჯურიის, ჩრდილო კორეის, სამხრეთ სახალინისა და კურილიის კუნძულების განთავისუფლებისათვის; საბჭოთა მთავარსარდლობის ბრძანებაში 1945 წლის 23 აგვისტოს მოხსენებული არიან ბაჯელიძის ჯარები. კეზეკაძის არტილერისტები და კაპიტან კაპანაძის მეზღვაურები, მათი სახელოვანი ბრძოლები იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

1945 წ. 9 ივნისს გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლების — „ბელგრადის განთავისუფლებისათვის," „პრაღის განთავისუფლებისათვის", „ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის" — დაწესების შესახებ.

1945 წ. 9 მაისს გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941 — 1945 წლების დიდ სამამულო ომში" მედალის დაწესების შესახებ.

საბჭოთა არმიაში მოქმედ მილიონობით მებრძოლებთან ერთად ათეულ ათასობით ქართველი მეომარის მკერდსაც ამშვენებს მტერზე ისტორიულ გამარჯვებათა ეს მარად სახსოვარი მედლები მრავალ ორდენებთან ერთად. საბჭოთა არმიის დიდ გამარჯვებებთან დაკავშირებით გამოცემულ უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებებში 96-ჯერ აღინიშნა იმ ჯარების თვალსაჩინო სამხედრო ოპერაციები, რომელთაც სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტზე 30 ქართველი გენერალი წარმართავდა. საქართველოს სსრ შვილებიდან მაშაცთა შორის უმამაცეს 120 მეომარს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა*.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფა-

---

* პერსონალური სია გმირებისა იხ. ღანართში.

სება მისცა ქართველი მეომრების გმირობას სამამულო ომის ფრონტებზე. რესპუბლიკის მშრომელებისადმი გამოგზავნილ მოლოცვაში საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავზე აღნიშნულია: „გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში უნარიანი საბრძოლო მოქმედებისა და გმირობისათვის ათიათასობით ქართველი მეომარი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით".

წინამდებარე ნაშრომში ამათგან, სამწუხაროდ, ნაწილის დასახელება მოხერხდა. ბევრი მეომრის საგმირო საქმეები, უდავოა, მომავალში გაირკვევა. ახლა კი იძულებული ვხდებით ეს ქვეთავი დავამთავროთ იულიუს ფუჩიკის სიტყვებით:

„იმათ, ვინც ეს დრო განიცადა ერთ რასმე ვთხოვ: არ დაივიწყოთ!... მოთმინებით შეაგროვეთ ცნობები მათზე. ვინც იცავდა სამშობლოს... დაიმახსოვრეთ: ეს გმირები არ ყოფილან უსახელო. ისინი იყვნენ ადამიანები. რომელთაც საკუთარი სახელი, სახე, თავისი მწუხარება, იმედები ქონდათ და იმათგან ყველაზე უფრო შეუმჩნეველის წამება იყო არა ნაკლები, ვიდრე წამება იმისა, ვისი სახელიც ისტორიაში შევა"[59].

3. ბრძოლა საბჭოთა არმიის რეზერვების მომზადებისათვის, მისი ფორმები და ორგანიზაცია

საბჭოთა საქართველოდან დიდი სამამულო ომის დასაწყისშივე პირველსავე მობილიზაციით ასეულ ათასობით მშრომელი საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა. მათ შორის ერთდროულად რესპუბლიკიდან ფრონტზე წავიდა 13 650-მდე მოხალისე. რესპუბლიკის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებიდან 52 ათასამდე კომუნისტი (მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი) და 60 000 კომკავშირელი ფრონტზე მიდის. ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან ფრონტზე წავიდა მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი.

ომის დაწყებისთანავე კომუნისტური პარტიისა და თავდაცვის კომიტეტის მითითებათა საფუძველზე, საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებში, მასობრივად გაიშალა დიდი მასშტაბის მუშაობა საბჭოთა არმიისათვის მაღალკვალიფიციური რეზერვების მომზადებისა და მოსახლეობის საყოველთაო სამხედრო სავალდებულო ცოდნის დაუფლებისათვის.

---

[59] იულიუს ფუჩიკი, ჩეხოსლოვაკიის სახალხო გმირი, ეწამა ფაშისტების საპატიმროს ჯურღმულებში.

საბჭოთა არმიისათვის კვალიფიციური სათადარიგო ნაწილების მომზადება სამამულო ომის წლებში, როგორც წესი, წარმატებით ხორციელდებოდა ჩვენი ქვეყნის სამხედრო სპეციალურ სასწავლებლებში, სამხედრო-საზღვაო ფლოტებსა, ავიაციის, არტილერიისა და ტანკისტთა კადრების მოსამზადებელ სასწავლებლებში და სხვა სახის სამხედრო სკოლების მოკლევადიან კურსებზე. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ამიტომ სამშობლოს დაცვის ინტერესები ამ მიმართულებითაც დიდ ამოცანებს აკისრებდა ზურგს. საბჭოთა ზურგში პარტიული, სამხედრო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ენერგიულად მუშაობდნენ საბჭოთა არმიის რეზერვების მომზადებისათვის. ამ მიზნით ჩამოყალიბდა სახალხო მოლაშქრეთა რაზმები, შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები, საჰაერო, ქიმიური, სახანძრო და სანიტარული დაცვის რაზმები და სხვა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამამულო ომის წლებში რესპუბლიკაში დიდი ღონისძიებები განხორციელდა სამრეწველო საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დაწესებულებებსა და სასწავლებლებში წარმოებიდან მოუწყვეტლივ მშრომელთა მიერ თავდაცვითი და სამხედრო ცოდნის მასობრივად დაუფლებისათვის. ამ გზით შეუსელებლივ მზადდებოდა საბჭოთა არმიის კვალიფიციური რეზერვები, რომლებიც საჭიროებისამებრ დაუყოვნებლივ იგზავნებოდნენ ფრონტზე. ბევრმა მათგანმა თავისი საბრძოლო მომზადებითა და მეომრული ოსტატობით ასახელა სამშობლო.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საბჭოთა არმიისათვის კვალიფიციური რეზერვების მომზადების ორგანიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულეს: საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატებმა. თავდაცვა-ავიაქიმის და წითელი ჯვრის ორგანიზაციებმა, კომკავშირულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო განყოფილებებთან ერთად.

საბჭოთა არმიის რეზერვების მომზადების საქმეს დაუქვემდებარა თავისი მუშაობის დიდი ნაწილი რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა. ტექნიკუმებმა და სხვა ტიპის ყველა სკოლამ. ამ მიზნით სათანადო ცვლილებები იქნა შეტანილი სასწავლო პროგრამებსა და გეგმებში.

რესპუბლიკის მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობა, სტუდენტობა ჩვენი კომკავშირელები წარმოებიდან მოუწყვეტლივ ოსტატურად ათავსებდნენ საწარმოო და სამხედრო სწავლებას. მაგალითად, ზესტაფონის რაიონის სოფელ სეირის

ფრიადოსანი მოსწავლე რ. გველესიანი რაიონული გაზეთის რედაქციას სწერდა: „ფრიადოსნულ სწავლებასთან ერთად, მე ღრმად დავეუფლე სამხედრო საქმეს. მთელ თავისუფალ დროს მაქსიმალურად ვიყენებდი ამისათვის. ჩემი მამა და ერთი ძმა ამჟამად ფრონტზე არიან. მოუთმენლად მოველი გაწვევის დღეს. მინდა მეც ჩემი წვლილი შევიტანო სამამულო ომის გმირულ ისტორიაში".[60]

საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია შრომით გმირობასთან ერთად დიდი ენტუზიაზმით ჰკიდებენ ხელს სამხედრო საქმის შესწავლას. ისინი ებმებიან „საყოველთაო სამხედრო სწავლებაში," თავდაცვა-ავიაქიმის და წითელი ჯვრის სპეციალიზაციებში. ერთიანდებიან გამანადგურებელ ბატალიონებში, სწავლობენ მიზანში სროლას. ფრენოსნობას, ცხენოსნობას, კავშირგაბმულობას, ზღვაოსნობას. ტანკებთან ბრძოლას და სხვა. სწავლება მაქსიმალურად იყო დაახლოებული ომის პირობებთან, რადგან შეგნებული ჰქონდათ. რომ სწავლებაზე დაღვრილი მეტი ოფლი თავდებია ბრძოლის ველზე სისხლის დაზოგვისა.

1941 წლის ივლისში სსრ კავშირის მთავრობის ღონისძიებების საფუძველზე შეიქმნა რესპუბლიკის სოფლებში, ქალაქებსა და დაბებში თვითდაცვის ჯგუფები, რომლებიც დაუკავშირდნენ ადგილობრივ საჰაერო თავდაცვის შტაბებს. გარდა ამისა, მასობრივად ყალიბდება საგანგებო ქიმიური სწავლების ჯგუფები. ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებათა გამოყენების, თავშესაფრის, აირწინაღისა და სხვათა გამოყენების წესების შესწავლასთან ერთად ასწავლიდნენ მოსახლეობას „როგორ შეებრძოლოთ ცეცხლგამჩენ ყუმბარას", „როგორ უზრუნველვყოთ საცხოვრებელი სახლის შუქშესიღბვა", „როგორ მოვიქცეთ საჰაერო განგაშის დროს" და სხვა სახის საშიშროებებთან ბრძოლის დროს და ა. შ.

საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები ამზადებდნენ საბჭოთა არმიისათვის ახალ-ახალ რეზერვებს, მებრძოლებს. უმცროს მეთაურებს, კავალერისტებს, მეტყვიამფრქვეველებს. ტანკის გამანადგურებლებს, სნაიპერებს, მეზღვაურებს და მეკავშირეებს. ამავე დროს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს დაეკისრათ მთელი მოსახლეობის მომზადება საჰაერო ქიმიური თავდაცვის ნორმების ჩასაბარებლად და სხვ.

მართალია, ჩვენი ქვეყნის საჰაერო და ქიმიური თავდაცვა ხორციელდებოდა საბჭოთა არმიის ნაწილებით, მისი საავიაციო ძალებით. მაგრამ ეს არ კმაროდა; საჰაერო ქიმიური თავდაცვისათვის მზად უნდა

---

[60] გაზ. „ლენინელი", 1942, 25 მაისი.

ყოფილიყო მთელი მოსახლეობა. რესპუბლიკის ყველა ქალაქი და სოფელი, საწარმოო-დაწესებულება, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მობინადრე და სხვ.[61].

რესპუბლიკაში გამრავლდა საჰაერო-ქიმთავდაცვის ენტუზიასტთა და აქტივისტთა რიგები და გაჩაღდა შეჯიბრება მათ შორის; ამ საქმეში მასობრივად ჩაებენ დიასახლისები და ზურგის არაორგანიზებული მოსახლეობის ყველა ფენა. ისინი იცავდნენ ჩვენს ქალაქებს, სოფლებს, ფაბრიკებს, ქარხნებს და კოლმეურნეობებს მტრის საჰაერო თავდასხმისაგან. თავდაცვა-ავიაქიმის ფუნქციები, როლი და მნიშვნელობა არაჩვეულებრივად გაიზარდა. განმტკიცდა და გაიზარდა მისი ორგანიზაცია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ლენინური კომკავშირის აქტივობა და დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა არმიისათვის კვალიფიციური რეზერვების მომზადების საქმეში.[62]

სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტისათვის კვალიფიციური რეზერვების მომზადების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რესპუბლიკურმა და რაიონულმა სამხედრო კომისარიატებმა, სასკოლო და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. მასობრივი ხასიათი მიიღო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სამხედრო საქმის დაუფლებამ, მზადდებოდა სპეციალური ნაწილები მეთხილამურეების, ალპინისტების, მთასვლელი ინსტრუქტორების, ხელჩართული ბრძოლის ოსტატებისა; მაღალი კლასის მოსწავლეთა შორის გაჩაღდა მუშაობა „მზად ვარ ბრძოლისა და თავდაცვისათვის“ ნორმების ჩასაბარებლად. მაგალითად, ქ. თბილისში მხოლოდ 1941 — 1943 წლებში 44 ათასზე მეტი ნიშნოსანი მომზადდა.

ფიზკულტურული ორგანიზაციის მიერ სისტემატურად ეწყობოდა სამხედრო სპარტაკიადები, მასობრივი სპორტული შეჯიბრებები, რომლებშიაც მხოლოდ სპორტული ორგანიზაციების ინიციატივით 1942 წ. მონაწილეობა მიიღო 160 ათასზე მეტმა კაცმა.

საქართველოს ბევრმა სპორტსმენმა ფრონტზე გმირის საპატიო წოდება დაიმსახურა, მაგ., მსოფლიო რეკორდსმენი დ. იოსელიანი ლენინის ორდენით და პარტიზანის პირველი ხარისხის მედლით დააჯილდოვეს, ხოლო მოვიდავე თენგიზ ჯაფარიძე, არქიტექტორი

---

[61] 1942 წლის 1 იანვრისათვის მომზადებულ იქნა ქიმ. ინსტრუქტორები და თვითდაცვის ჯგუფების მეთაურთა შემადგენლობა მეტად დიდი რაოდენობით. აგრეთვე თვითდაცვის ჯგუფები როგორც საცხოვრებელი სახლებისათვის, ისე უბნებისათვის თანახმად დებულებისა (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12206, ფურც. 15).

[62] გაზ. „კომუნისტი“, 1944, 16 ივნისი.

გიმნასტი ი. ციცეშვილი, დ. ბაქრაძე საბჭოთა კავშირის გმირის მაღალ წოდებას იმსახურებენ[63].

სახელოვანი მთამსვლელი მეთხილამურე ოფიცრები: ა. გვალია, ლ. ფანჯაკიძე, ნ. მიქაბერიძე, გ. ნარიმანიძე და შ. ასათიანი კავკასიის გმირული დაცვის დღეებში ხელმძღვანელობდნენ სპეციალურ სამთო ნაწილებს, სამთო მსროლელ რაზმებს, წვრთნიდნენ და წინ უძღოდნენ წითელი არმიის მებრძოლებს და იარაღით ხელში იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ.

„სამთო-მსროლელი რაზმის უფროსი ლეიტენანტი შ. ასათიანი რვა თვეს დარჩა თავის რაზმთან ერთად კავკასიონის ქედზე. წელამდე თოვლში, შედედებულ ნისლსა და საშინელ ქარბუქში 2-ჯერ გადალახა მან უღელტეხილი". სპორტული ორგანიზაციების დახმარებით მოეწყო სამთო ალპინისტური რაზმების მოსამზადებელი ჯგუფები. მომზადდნენ მთამსვლელი ინსტრუქტორები; ქართველი ცნობილი მთამსვლელების მძღოლი-მეთაურების დახმარებით შეიქმნა და მომზადდა მთამსვლელთა გაწვრთნილი რაზმები და ნაწილები. მესტიის რაიონში სვანმა მთამსვლელებმა შექმნეს პარტიზანული რაზმები, რომლების მოწინავეთა რიგებში იდგნენ სპორტის ოსტატები, სახელგანთქმული ალპინისტები გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, სამი ძმა კაზალიკაშვილები, გ. ზურაბიანი, გ. და მ. ჯაფარიძეები, ონიანი, გვალია, ასათიანი და სხვა. ბექნუ ხერგიანი პირველი ავიდა იალბუზზე და იქ დაბანაკებულ გერმანელთა დროშა მოგლიჯა. სპორტის ოსტატი ალექსანდრა ჯაფარიძე, სახელოვნად ასრულებდა ფრონტის დავალებას ავიაციის მოქმედებისათვის ამინდის პროგნოზის გასარკვევად. დოც. ი. ასლანიშვილი თავის მდიდარ სპორტულ და სამედიცინო ცოდნას მტერზე გამარჯვების საქმეს ახმარდა. მოკლედ, არ ყოფილა სახეობა ჯარისა, რომელშიც ქართველ მთასვლელებს არ ჰყოლოდათ თავიანთი წარმომადგენელი. გრ. გიორგობიანი ქიმიურ დანაყოფს ხელმძღვანელობდა, ცაცა ღლონტი, ბორის ანთელიძე — თავის სადოსტაქრო ხელოვნებით დაჭრილ მებრძოლებს ეხმარებოდნენ, მაიორი ნ. ჭელიძე — დანაყოფის საბრძოლო მომზადებას ხელმძღვანელობდა, ლეიტენანტი ლევან მარუაშვილი — უღელტეხილთა აღწერას და სამხედრო-გეოგრაფიულ აღწერილობათა შედგენის საქმეს მესვეურობდა. ლევან არზუმანოვი კინო აპარატით

---

[63] ი. ასლანიშვილი, ო. გიგინეიშვილი, დ. ფურცელაძე, მთამსვლელობა საქართველოში. თბილისი, 1954, გვ. 76.

ხელში მისდევდა ჯარს. მის მიერ გადაღებულ ქრონიკებში ალიბეკ-და კავკასიისათვის ბრძოლის შესანიშნავი ეპიზოდები"[4].

კავკასიის დაცვისათვის ქართველ მთამსვლელებთან ერთად იბრძოდნენ რუსი სპორტსმენები, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები, მათ შორის ა. გუსევი, ა. ვერელოვი, გ. კარაევი და ბევრი სხვა. ქართველმა მთამსვლელებმა 1943 წლიდან ომის დამთავრებამდე განაახლეს სპორტული მთამსვლელობა და მთელი რიგი ასვლები მოაწყვეს როგორც სსრ კავშირში, ისე უცხოეთშიც კი.

ომის წლებში საქართველოში ათეულათასობით ნიშნოსანი ფიზკულტურელი მომზადდა, გამრავლდა სპორტული ბაზები, მოედნები, დარბაზები, გაძლიერდა მათი მოწყობა და გამართვა ახალი ტექნიკური მიღწევებით.

სამამულო ომის დასასრულს საქართველოში 2342 ფიზკულტურული კოლექტივი მოქმედებდა და ტანვარჯიშის, კრივის, კალათბურთის, ჭიდაობის, ფეხბურთის, მძლეოსნობისა და ფრენბურთის სექციებში ჩაბმული იყო 90 ათასამდე ფიზკულტურელი[65].

რესპუბლიკის სპორტის 102 ოსტატიდან 23 დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება ჰქონდა. საქართველოს უკვე მრავალი მსოფლიო რეკორდსმენი ჰყავდა. ფიზკულტურელები საბჭოთა არმიის საიმედო რეზერვს წარმოადგენდნენ.

ასევე აღსანიშნავია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მნიშვნელოვანი ღვაწლი საბჭოთა არმიის დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა მოვლა-პატრონობისათვის და ათასობით მოწყალების დის მომზადების საქმეში, რომელთა დიდი ნაწილი ფრონტზე წავიდა და ვაკაცურად იცავდა მებრძოლთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

რამდენადმე სპეციფიკური იყო საქართველოს რემედასელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის ფუნქციები და ამოცანები ომის წლებში. მართალია, ეგი მხოლოდ არ იყო მოწოდებული საბჭოთა არმიისათვის რეზერვების მომზადების საქმიანობისაკენ, მაგრამ მთელი თავისი პატრიოტული მოქმედებით, რესპუბლიკის პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად თავისი საშეფო მუშაობით და სხვა ყოველმხრივ ხელს უწყობდა და ეხმარებოდა საბჭოთა არმიას.[66]

---

[64] კ. ჯავრიშვილი, ქართველი მთასელები კავკასიის ბრძოლაში, თბილისი, 1945, გვ. 19—20.

[65] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 773, ფურც. 3.

[66] რემედასელებმა 15 მილიონი მანეთის თბილი ტანსაცმელი გაუგზავნეს ჩვენს მებრძოლებს, თაღდაცვის ფონდში 8 მილიონი მანეთი შეიტანეს. მხოლოდ

საბჭოთა არმიის კავალიფიციური რეზერვების მომზადებისა და საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსროლილი მტრის დივერსიული რაზმების მოსპობის საქმეში უაღრესად დიდი როლი შეასრულეს გამანადგურებელმა ბატალიონებმა, რომლებიც მასობრივად ჩამოყალიბდნენ რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში.

გამანადგურებელი ბატალიონების ჩამოყალიბებას საქართველოში 1941 წ. ივნისიდან შეუდგნენ. მათ დაეკისრათ მტრის აარაშუტისტებისა და დივერსანტების წინააღმდეგ ბრძოლა და მასში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმის ორგანიზაცია. ბატალიონებში გაერთიანდნენ ზურგში დარჩენილი ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიანი მამაკაცები, რომლებიც წარმოებიდან მოუწყვეტლივ ეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს. გამანადგურებელი ბატალიონები გადიოდნენ საბრძოლო მომზადების მკაცრ სკოლას და ისინი საბჭოთა არმიას მაღალკვალიფიციურ რეზერვებს უმზადებდნენ. გამანადგურებელ ბატალიონთა აქტივობა, მათი საბრძოლო მზადყოფნა და დამსახურება, ყველაზე უფრო კარგად გამოვლინდა კავკასიის დაცვის პერიოდში.

კავკასიის მისადგომებთან მოსული ფაშისტი დამპყრობლები, საქართველოში სხამდნენ დივერსიულ სადესანტო რაზმებს საბჭოთა არმიის ზურგის დაშლის მიზნით. ცნობილია, რომ საბჭოთა არმიის ზურგის გახრწნა და მისი დეზორგანიზაცია დაკისრებული ჰქონდა ფაშისტების ე. წ. „მე-5 კოლონას", მაგრამ მტრის ზრახვები სამარცხვინოდ ჩაიფუშა, საბჭოთა ხალხის რევოლუციური სიფხიზლის ყოველმხრივ განმტკიცების საფუძველზე.

გამანადგურებელი ბატალიონების რაზმების მიერ რესპუბლიკის ტყეებსა და მთიან ადგილებში, სოფლებში, დაბებისა და ქალაქების გარეუბნებში, მკვიდრი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით შეპყრობილ იქნენ დივერსანტები და ჯაშუშები. დივერსანტების გადმოსხმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა თურქეთის საზღვრებიდან და ჩრდილო კავკასიის ფრონტისპირა ზონიდან.

გამანადგურებელი ბატალიონების ბრძოლას ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ კავკასიის დაცვის საქმეში გარკვეული მნიშ-

---

რემედასის რესპუბლიკურმა ცენტრალურმა კომიტეტმა 70 ათასი მანეთის ხილი, ღვინო და სხვა საჩუქრები გაუგზავნა გმირ ფრონტელებს. რემედასელებმა დიდი მეშაობა ჩაატარეს ჰოსპიტლებში დაჭრილ მეომრებთან, უდიდმამოდ დარჩენილ ევაკუირებულ ბავშვთა აღზრდა-პატრონობისა და ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების საქმეში. სამამულო ომის სამი წლის მანძილზე საქართველოს რემედასის 1329 ახალი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა და მის წევრთა რიცხვი 188 867 კაცით გაიზარდა (გაზ. „კომუნისტი", 1944, 17 მარტი).

ვნელობა ენიჭება, ეს იყო ზერგში დარჩენილ მშრომელთა პატრიოტიზმის ერთ-ერთი შესანიშნავი გამოხატულება.

კომუნისტური პარტიისა და სამხედრო ორგანიზაციების ინიციატივით გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდაუთში, აღლერში, სოჭაში, სამხრეთ ოსეთისა და სვანეთის რაიონებში, თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და სხვაგან გამანადგურებელი ბატალიონებისაგან შეიქმნა საგანგებო, ნახევრად უაზარმულ მდგომარეობაში მყოფი ნაწილები, რომლებიც წარმოადგენდენ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების საომედო რეზერვებს და თანამებრძოლებს ჰიტლერული დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.[67]

საქართველოს მოსახლეობის შეუნელებელ ზრუნვაზე საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სწავლებისა და საბჭოთა არმიისათვის რეზერვების მომზადების საქმეში ნათლად მეტყველებს ეროი საყურადღებო წერილი, სადაც ვკითხულობთ:

„...ქვეყანა უდიდეს სამხედრო ბანაკად იქცა. სახალხო ლაშქრის ბატალიონები, გამანადგურებელი რაზმები, საყოველთაო სწავლების ქვედანაყოფები აესებდნენ ქუჩებს. ყოველ საღამოს, სამუშაო დღის შემდეგ, გვიან ღამემდე სამწყობრო მეცადინეობას გადიოდნენ მომავალი მებრძოლები. ხალხი სწავლობდა ბრძოლას... მახსოვს საქართველოს საყოველთაო სწავლების პირველი ქვედანაყოფები... ისინი შექმნილი იყვნენ ყველა სოფელში, ქარხნებში, დაწესებულებებში...“[68]

საბჭოთა საქართველო ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა იყო სსრ კავშირში საბჭოთა არმიისათვის მაღალკვალიფიციური რეზერვების მომზადებისა და ფრონტებზე მათი ორგანიზებულად გაგზავნის საქმეში.

რესპუბლიკის სამხედრო რაიონული კომისარიატებიდან და ცალკეული საწარმოო დაწესებულებებიდან ფრონტზე წარგზავნილი საბჭოთა არმიის კვალიფიციური რეზერვები ღირსეულად ატარებდნენ სამშობლოს დამცველის საპატიო სახელს და სანიმუშო მეომრული თვისებების გამოვლენით სამხედრო დანაყოფის საყოველთაო სიყვარულს და ღრმა პატივისცემას იმსახურებდნენ.[69]

---

[67] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 2, საქმე 772.

[68] **В. Дарасели, Сыны солнечной Грузии, გაზ. „Военное обучение“, 1945, 18 სექტემბერი.**

[69] მაგალითად, ზესტაფონის რაიონიდან ფრონტზე გაგზავნილ საუკეთესო მებრძოლთა: ვ. ქათამაძის (სოფ. ილმიდან), აკ. კუბლაშვილის, ჭილაშვილის (სოფ. არგვეთიდან) და სხვათა მომზადებით კმაყოფილმა ნაწილის მეთაურმა ამხ. ზუბრილოვმა მადლობა გამოუცხადა ზესტაფონის სამხედრო კომისარიატის მუშაკებს, რომლებიც ფრონტს კარგ კადრებს აწვდიდნენ (გაზ. „ლენინელი“, 1942, 28 ნოემ-

რესპუბლიკის მთელი. რიგი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ღებულობდნენ მადლობით აღსავსე წერილებს ფრონტიდან, საიდანაც გებულობდნენ სასიამოვნო ამბებს თავიანთი ამხანაგების სამაგალითო საგმირო მოქმედებაზე.

კავკასიის დამცველ საბჭოთა არმიის მებრძოლების დიდ ნაწილს დაწყებითი სამხედრო მომზადება ზურგში ჰქონდათ მიღებული: რესპუბლიკის ზურგი ამ დროს საბჭოთა არმიის რეზერვების ერთ-ერთ უდიდეს სამკედლოდ გადაიქცა და ფრონტს შეეზარდა. მაგალითად, გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევის სასწავლო პუნქტმა კავკასიის დამცველებს საჩუქრებთან ერთად გაუგზავნა ახალი შევსება სწავლადამთავრებულ ფრიადოსან კომკავშირელთა ჯგუფის სახით. რომლებიც გვარდიულ ნაწილში ჩაირიცხნენ. სამხედრო ნაწილიდან სოფელში გამოგზავნილ გულთბილ წერილში მეომრები იუწყებოდნენ: „მადლობა თქვენ. ძვირფასო ამხანაგებო. საჩუქრებისათვის. რაც მთავარია ახალი შევსებისათვის. თქვენი გამოგზავნილი მებრძოლები უახლოეს მომავალში გვარდიელები გახდებიან“.[70]

წყალტუბოს რაიონის სამხედრო კომისარიატთან არსებულ სასწავლო პუნქტში წინასწარი მომზადება მიიღო მსროლელმა ვლადიმერ გვენცაძემ, რომელმაც დნეპრის გადალახვისას გმირის წოდება მოიპოვა. ასეთი ფაქტები უამრავია.

1942 წლის დასაწყისიდან. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც კავკასიას საფრთხე დაემუქრა. საბჭოთა არმიის რეზერვებისა და საერთოდ სამხედრო რესურსების მობილიზაციის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა.

1942 წლის გაზაფხულიდან ახალი რეზერვებისა და მოსახლეობის ქიმიური დაცვისათვის მომზადებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვისა და მათი ადგილგადანაცვლების საკითხს. გაძლიერდა კონტროლი რაიონების სამხედრო კომისარიატების მუშაკთა და საწარმოო დაწე-

---

ბერი). ჭიათურის რაიონის სოფ. პერევისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ ასეთი წერილი მიიღო იმ სამხედრო დანაყოფისაგან, სადაც მათი კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე სერჟანტი ნ. კუპატაძე მსახურობდა: „მადლობა თქვენს კოლმეურნეობას ასეთი თავდადებული ადამიანის აღზრდისა და წითელი არმიის რიგებში გამოგზავნისათვის“. საპასუხო წერილში კოლმეურნეები აღნიშნავდნენ: „ამხ. ნიკოლოზი ჩვენი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი იყო და თავისი დაუღალავი შრომით იგი აქაც მაღალი ნდობით სარგებლობდა მშრომელებს შორის... ამხ. ნიკოლოზის დამსახურების საპასუხოდ ჩვენ კოლმეურნეებმა პირობა დავდეთ განსაკუთრებით გავაძლიეროთ შრომითი ტემპები ზურგიდან ფრონტის გამაგრებისათვის“.

[70] გაზ. „Военное обучение“, 1946, 18 სექტემბერი.

სებულებებისადმი. მოხდა დაჯავშნულთა და საერთოდ საქხედროვალდებულთა დოკუმენტების ხელახალი შემოწმება, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.[71]

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მთელი ეს მუშაობა, საბჭოთა არმიის რეზერვების მომზადებისა, სამხედრო აღრიცხვის გაუმჯობესებისა და სხვა, რომელიც ხორციელდებოდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, არსებითად წარიმართებოდა საქართველოს სსრ რესპუბლიკურ და რაიონულ სამხედრო კომისარიატებთან მჭიდრო თანამშრომლობით და სამხედრო ორგანიზაციების ოპერატიული ხელმძღვანელობის გზით. რესპუბლიკის რაიონული სამხედრო კომისარიატები ადგილებზე მჭიდროდ იყენენ დაკავშირებული საწარმოო-დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან.

რესპუბლიკის სამხედრო ორგანიზაციების სამაგალითო აქტივობამ და ორგანიზებულობამ ამ მიმართულებით ყველაზე უფრო კარგად იჩინა თავი კავკასიის დაცვის დღეებში, როცა საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხებს დიდი საფრთხე დაემუქრა. ამ დროს სამხედრო ორგანიზაციები რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი მასშტაბით მუშაობას ახორციელებდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მითითებათა საფუძველზე ნაციონალური დივიზიების დაკვრითი წესით ფორმირებისა და უაღრესად მოკლე პერიოდში მათი საბრძოლო სრულ წესრიგში მოყვანის საქმეში. მართლაც, ამ დაძაბულ ვითარებაში საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა მოძმე რესპუბლიკებში — აზერბაიჯანსა და სომხეთში ხდება ფორმირება მთელი რიგი ნაციონალური დივიზიებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიის დაცვის, ჩრდილო კავკასიის, ყირიმისა და უკრაინის განთავისუფლების საქმეში. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა ქართული დივიზიები № 224, 388, 392 და 414. 1942 წლის 25 აგვისტოდან იქმნება 46-ე არმია, რომელსაც კავკასიის დაცვაში სერიოზული პასუხისმგებლობა დაეკისრა. ამ არმიამ გენერალ კ. ლესელიძის სარდლობით გაამართლა პარტიის ნდობა.

---

[71] გამოვლინდა ერთეული შემთხვევა სამხედრო ვალდებულის უკანონოდ დაჯავშნისა (მაგ., ჭიათურაში სასადილოს გამგე, როგორც მაღაროელი. ხოლო თბილისის მაუდის ფაბრიკის შოფერი როგორც ზეინკალი). ასევე იყო ნაკლოვანებანი სამედიცინო კომისიების მუშაობაშიც, რაც ხელს უწყობდა ადამიანთა სამხედრო რესურსების გაფლანგვას. ეს ნაკლოვანებანი მხილებულ იქნა რესპუბლიკური საათანადო ორგანიზაციების თათბირზე და დაისახა ღონისძიებანი მის აღმოსაფხვრელად. (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12206).

1942 წლის 24 აგვისტოს ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის დადგენილებით გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, სამტრედიაში, ზესტაფონში, ხაშურში, გორში, შავი ზღვის მთელ სანაპიროზე და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ადგილებში[72].

1942 წლის სექტემბრიდან, როცა კიდევ უფრო გართულდა კავკასიის დაცვა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი, ამიერკავკასიის სამხედრო ფრონტად გარდაიქმნა, ხოლო ქ. სოხუმში, ბათუმსა და ფოთში თავდაცვის კომიტეტები ჩამოყალიბდა. კავკასიის დაცვისათვის ხდება საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელთა მთელი ძალების მობილიზება. სამხედრო რეზერვების მასობრივად მზადებამ საქართველოში, ისე როგორც ამიერკავკასიის სხვა მოძმე რესპუბლიკებში, კავკასიის დაცვის დღეებში უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ფრონტებზე იბრძოდა რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის საკმაოდ დიდი პროცენტი. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავი შესწირა სამშობლოს. დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში საბჭოთა საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უაღრესად დიდ მუშაობას ეწეოდნენ საბჭოთა არმიის რეზერვების მომზადებისათვის და ყოველმხრივ განამტკიცებდნენ საბჭოთა არმიისა და სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

4. ბრძოლა ზურგისა და ფრონტის ერთიანობის განმტკიცებისათვის

სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე აღმოცენებული და განვითარებული ჩვენი ქვეყნის ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა მთელი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი, ფრონტისა და ზურგის ერთიანობის მკვიდრი საფუძველი გახდნენ. ეს კი საბჭოთა ხალხის გამარჯვების ერთ-ერთ გადამწყვეტ წყაროდ გვევლინება დიდ სამამულო ომში.

საბჭოთა ხალხის ერთობლივმა ბრძოლამ სამშობლოს დაცვისათვის განუყრელად დააკავშირა ერთმანეთთან ფრონტი და ზურგი. საბჭოთა არმიის მებრძოლები და ზურგის ყველა მშრომელი ერთიან ძალად დაირაზმენ, ერთი ფიქრითა და ზრახვებით განიმსჭვალენ. პარტიული ორგანიზაციები ფრონტზე და ზურგში წარმართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ მასების ამ ერთი მიზნისათვის ისტორიულ ბრძოლებს.

---

[72] სამამულო ომის არქივი. ფონდი 2, საქმე 973, ფურცელ. 149.

პარტია სამამულო ომის პერიოდში ეძებდა და თვით მასებშივე პოულობდა ზურგისა და ფრონტის ერთიანობის გამომხატველ ახალ-ახალ ყველაზე უფრო მოწინავე ფორმებს და მთელი თავისი ორგანიზატორული მუშაობით ნერგავდა და ხელს უწყობდა მათ მასობრივად გავრცელებას.

მასების შემოქმედებითი ინიციატივა ფრონტისა და ზურგის ერთიანობის განმტკიცების საქმეში უაღრესად მრავალმხრივი იყო. იგი მრავლდებოდა და ახალ-ახალ პატრიოტულ წამოწყებებში ელინდებოდა სამამულო ომის ცალკეული ეტაპებისა და ჩვენი ქვეყნის ცვალებადი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად.

ზურგის მშრომელების საყოველთაო სახალხო მზრუნველობა საბჭოთა არმიისადმი, მისი შეიარაღების, ტანისამოსისა და სასურსათო ბაზის განმტკიცებისათვის, ფრონტელთა ოჯახებისა და სამამულო ომის ინვალიდებისა და დაჭრილი მეომრებისადმი, ისე როგორც ომით დაზარალებულ საბჭოთა რაიონებისადმი, დღითი დღე განამტკიცებდა საბჭოთა არმიის საბრძოლო სულისკვეთებას და საბჭოთა ხალხთა თანამეგობრობას.

ზურგისა და ფრონტის ერთიანობა მთელი თავისი ცხოველმყოფელობით გამოხატულებას პოულობდა ზურგის მშრომელთა და ფრონტელ მებრძოლთა ცოცხალ ურთიერთობაში, მათ მჭიდრო კავშირში, უშუალო შეხვედრებში, ახალი ამოცანების გაზიარებაში, ახალ ვალდებულებათა აღებაში და მისი განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში. ამ გზებით რესპუბლიკის საწარმოო-დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ ფრონტთან და ცხოვრობდნენ ფრონტის ინტერესებით. საქართველოდან ფრონტზე სისტემატურად იგზავნებოდა ეშელონები სადღესასწაულო და სხვა სახის საჩუქრებით, ფრონტზე მიდიოდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა მუშაკები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეთა. მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა დელეგატები; რესპუბლიკის მშრომელები ფაბრიკა-ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან ფრონტელ მეგობრებს უგზავნიდნენ კოლექტიურ მიმართვებს, მგზნებარე წერილებს და კისრულობდნენ ვალდებულებებს ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად. ასევე ფრონტიდან საქართველოში სისტემატურად მოდიოდა მებრძოლთა მადლობით აღსავსე მომართვები და კოლექტიური წერილები. ჩამოდიოდნენ საბჭოთა არმიის მებრძოლთა დელეგაციები და სხვ.

საბჭოთა არმიის ყოველი ახალი გამარჯვება მშრომელების მიერ ფრონტისადმი დახმარების ახალ ვალდებულებათა აღებით

აღინიშნებოდა. საქართველოს მშრომელები ამგვარი ღონისძიებ-ებით განუყრელად იყვნენ დაკავშირებული ფრონტელებთან. გმირ-ქალაქების, კავკასიის, ყირიმისა და სხვათა გმირ დამცველებთან. არ არსებობდა საბჭოთა ჯარების არც ერთი სახეობა და არც ერთი ფრონტი, სადაც ბრძოლებში მონაწილეობა არ მიეღოთ ქართველ მეომრებს სსრ კავშირის მომბმე ხალხებთან ერთად.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ფრონტისა და ზურგის ერ-თიანობა მთელი თავისი ცხოველმყოფელობით საბჭოთა საქართველოს და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სინამდვილეში არასოდეს ისე ძლიერი და ყოველისმომცველი არ ყოფილა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სტალინგრადისა და კავკასიის დაცვის გმირულ დღეებში.

1942 წლის ზაფხულამდე. ვიდრე ჰიტლერელებმა სტალინგრადისა და კავკასიის ხელში ჩაგდების მიზნით არ გააჩალეს დიდი მასშტაბის ახალი შემოტევები, საქართველო და ამიერკავკასია ღრმა ზურგად ითვლებოდა. ამიერკავკასიის ხალხთა შვილები სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად კავკასიიდან ასეულ კილომეტრებით დაშორებულ ფრონტებზე ანადგურებდნენ საბჭოთა მიწა-წყალზე შემოჭრილ ფაშისტ დამპყრობლებს. მაგრამ 1942 წლის ზაფხულიდან. ფაშისტური არმიის კავკასიის მისადგომებთან მოსვლის შემდეგ. როცა საქართველო ფრონტისპირა რესპუბლიკად იქცა, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საქართველო ფრონტიც იყო და ზურგიც. ფრონტისა და ზურგის ერთიანობა ახალ სტადიაში შევიდა.

ჰიტლერელებმა 1942 წლის ზაფხულში ბრძოლები რამდენიმე მიმართულებით გააჩაღეს. პირველი იყო ნოვოროსიისკისა და ტუაპსეს მიმართულება. აქ მტერი ცდილობდა საქართველოს ზღვისპირა ნავსადგურებში გაბატონებას, სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტების, სარკინიგზო კვანძების ხელში ჩაგდებას. და შეტევის განვითარებას როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპყრობისათვის. მეორე მიმართულება იყო ჩრდილო კავკასიიდან კავკასიის მთავარი ქედის მოლა და კასპიის ზღვაზე გასვლით ბაქოს დაპყრობა. ფაშისტებს ასევე ამოქმედებდათ კავკასიის ზეკარების ხელში ჩაგდების მიზანი. როგორიცაა: ქლუხორი. მარუხი, მამისონი, დარიალი და სხვა გადასასვლელები. გერმანელები მაშინ საქვეყნოდ იუწყებოდნენ, რომ 1942 წ. 25 სექტემბრისათვის ნავთობს ბაქოდან ბათუმის გზით გაიტანდნენ. კავკასიას შავ ღრუბლად ჩამოაწვა მომაკვდინებელი საფრთხე. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავარსარდლობამ გაუკეთეს ღრმა ანალიზი შექმნილ მდგომარეობას და მიღებულ იქნა ყველა ზომა ჰიტლერელთა განადგურებისათვის კავკასიის მისადგომებთან.

მთავარსარდლობის ბრძანებით ჩრდილო კავკასიის ფრონტზე გაიგზავნა ნაციონალური ნაწილები: აზერბაიჯანული, ქართული და სომხური დივიზიები, რომლებმაც თავიანთი უფროსი ძმების — რუსი მეომრების — მხარდამხარ გმირობისა და მამაცობის მაგალითი გვიჩვენეს. ხალხი და არმია, ზურგი და ფრონტი გაერთიანდა და თავგანწირვით შეება მტერს კავკასიის მისადგომებთან. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა და მისმა არმიამ ამიერკავკასია მტრისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ აქციეს. თუ როგორი ერთსულოვნებით შემჭიდროვდა ამიერკავკასიის ხალხები ამ განსაცდელის ჟამს, ეს ნათლად ჩანს 1942 წ. 23 აგვისტოს თბილისში გამართული ამიერკავკასიის ხალხთა მიტინგის მიმართვიდან, სადაც აღნიშნულია:

„დიდია ამიერკავკასიის მშრომელთა მონაპოვარი, მაგრამ ყველაზე დიდი და ძვირფასია ჩვენი მთავარი მონაპოვარი: უმტკიცესი, ურღვევი მეგობრობა, რომელიც სუფევს ამიერკავკასიის ხალხთა შორის...

მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გათიშოს ამიერკავკასიის ხალხები, მოწყვიტოს ისინი დიდ რუს ხალხს... აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ამაყი, თავისუფლების მოყვარე ხალხები არასოდეს არ დაიჩოქებენ გონებაჩლუნგი და უტიფარი ჯალათის წინაშე“.

ამიერკავკასიის ხალხთა ამ დიდი განსაცდელის ჟამს რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი და დამრაზმელი როლი განუზომლად იზრდება. კავკასიის დაცვის უმნიშვნელოვანეს უბნებსა და რაიონებში გაიგზავნენ სპეციალური რწმუნებულები, რომელთაც დაევალათ ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზება, დახმარება სამხედრო ნაწილებისადმი და ქმედითი ხელშეწყობა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობის საქმეში; ამ დაძაბულ დღეებში თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, ბათუმის, ტყიბულისა და ტყვარჩელის სამრეწველო საწარმონი, მთელი საქართველოს მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, ქალი, კაცი და მოზარდი სამშობლოს დასაცავად აღსდგა ისეთი თავდადებით და ერთსულოვნებით, რომლის მსგავსი არ ახსოვს მრავალსაუკუნოვან საქართველოს ისტორიას.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კავკასიის ხალხები ერთ უძლეველ ძალად დაირაზმნენ. საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მთელი კავკასიის ხალხები, უმაგალითო ერთსულოვნებით გაერთიანდნენ, მაშინ, როცა ჰიტლერელები დიდ იმედებს ამყარებდნენ მრავალეროვან კავკასიაში ნაციონალურ უთანხმოებებზე.

სამამულო ომის ამ ეტაპზე, კერძოდ კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში, საქართველოს პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკების დიდი ნაწილი დაგზავნილ იქნა ფრონტის პასუხსაგებ უბნებზე მთებში, გადასასვლელებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილების გასამაგრებლად. რესპუბლიკის პასუხისმგებელ მუშაკების მეორე ნაწილი კი გაიგზავნა სოფლებსა და ქალაქებში ფრონტის შეუფერხებლად მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით[73].

მთელი ცხოველმყოფლობით აყღერდა დიდი ილიას სიტყვები. „ხალხი აზვირთდა. ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, — და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება! დიდია ხალხი, რომ ეს გრძნობა წინ წარუძღვება“.

იარაღ-საჭურველისა და პროდუქტების მიწოდებას კავკასიის დამცველთა მოსამარაგებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა და ტრანსპორტის ყველა საშუალება — რკინიგზა, ავტომანქანები, ავიაცია, სამხედრო და თვეზსაჭერი გემები, ურმები, ცხენები და სახელურებიც კი. თვითეული სახე და საშუალება აქ დასახელებული ტრანსპორტისა მაქსიმალურად იყო შეფარდებული ადგილობრივ საგზაო პირობებსა და სხვა საშუალებებთან. ხშირი იყო შემთხვევა, როცა სამხედრო ტვირთს და პროდუქტებს უგზო და ძნელად მისადგომ ადგილებში ცხენები ზურგით ეზიდებოდნენ[74].

განსაკუთრებით აღსანიშნავია რესპუბლიკის მშრომელების მონაწილეობა თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაში. სიმაგრეების მშენებლობა მიმდინარეობდა სახელმწიფოებრივი და სამხედრო-სტრატეგიული ერთიანი გეგმის მიხედვით სათანადო სპეციალისტების უშუალო ხელმძღვანელობით. სიმაგრეები თავისი ხასიათით ორგვარი მნიშვნელობისა იყო:

---

[73] ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან, 1957.

[74] კავკასიის მთის კალთებზე განლაგებული საბჭოთა არმიის ნაწილების იარაღ-საჭურველით, ტანსაცმლით, სურსათით და სხვა საშუალებებით შეუფერხებლად მომარაგების მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა საგანგებო სატრანსპორტო დანაყოფები და ცალკე გაერთიანებები. მაგალითად, 1942 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთში ჩამოყალიბებულ იქნა სატრანსპორტო სპეციალური ასეულები; ამ ნაწილებისათვის რესპუბლიკაში დამატებით ჩატარდა მობილიზაცია ცხენების, სახედრების და საპაპანო ტრანსპორტის სხვა საშუალებებისა, საგანგებოდ შეკეთდა და ახლად გაკეთდა ურმები, კეხ-უნაგრები, მობილიზებულ იქნა ნალბანდები, დურგლები და სხვა ხელოსნები, დამზადდა ყოველგვარი საჭირო მოწყობილობანი სოხუმში, ტყვარჩელში, ოჩამჩირეში, გუდაუთში, ასევე რესპუბლიკის მრავალ სხვა რაიონებსა და სოფლებში (სამამულო ომის ისტ. არქივი, ფონდი 2, საქმე 722, ფურც. 787).

პირველი რიგის სიმაგრეების მშენებლობა კავკასიის ყველა უღელტეხილისა და გადასავალი კარების მიუვალ სიმაგრედ გადაქცევას ისახავდა მიზნად საჭირო ნაგებობების მოწყობით, მისასვლელი გზებისა და ხიდების მშენებლობათა და მასთან დაკავშირებით სხვა სახის სამუშაოების ჩატარებით. აქვე გათვალისწინებული იყო ზღვისპირეთის სტრატეგიული უბნების დაცვა და გამაგრება.

მეორე რიგის სიმაგრეები ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო, რომლებიც გამოიყენებოდა ისეთ შემთხვევაში, თუ მტერი მოახერხებდა და შემოიჭრებოდა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

აფხაზეთის, სვანეთის, ყაზბეგის, სამხრეთ ოსეთისა და კავკასიის მთიანეთის მკვიდრი გლეხობის დახმარებით იკაფავდა გზას საბჭოთა არმია თოფლიან მთებში. კავკასიის მთის ადგილობრივი მკვიდრი ხალხები საბჭოთა არმიის მხარდამხარ იბრძოდნენ იარაღით, ისინი იყვნენ შეთხილამურეები, მეგზურები, სნაიპერები, მთამსვლელები და სხვა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დასახლებული რაიონების გლეხები.

კოლმეურნე გლეხობასთან ერთად თავდაცვითი სიმაგრეების, აეროდრომებისა და ხიდების მშენებლობებზე ცხოველმყოფელ მონაწილეობას ღებულობდა ქალაქის მოსახლეობა. მუშები და ინტელიგენცია; განსაკუთრებით აღსანიშნავია საინჟინერო ტექნიკური მუშაკების პატრიოტიზმი და შემოქმედებითი ინიციატივა.

როგორც აღინიშნა კავკასიის დაცვის პერიოდშივე საქართველოს ტერიტორიაზე გაფორმებულ იქნა დივიზიები. რომლებიც გმირულად იბრძოდნენ კავკასიის დაცვისათვის.

საქართველოში გაფორმებულ და ასევე ჩრდილო კავკასიასა და ყირიმში წარგზავნილ დივიზიებთან, ისე როგორც კავკასიის დამცველ ჯარებთან. მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული რესპუბლიკის მშრომელები.

აღნიშნული ფაქტები და მათი ანალიზი ადასტურებს. რომ მრავსანე 1942 წლის დღეებში, როცა მტერი ამიერკავკასიის მისადგომებზე იმყოფებოდა, საქართველოს მშრომელების მთელი ღონისძიება მიმართული იყო. ერთი მიზნისაკენ — დახმარებოდა წითელ არმიას. შეეჩერებინა თავაწყვეტილ გერმანელ დამპყრობთა ურდოები.

საქართველოს მშრომელები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი არა მარტო კავკასიის ფრონტის ჯარებთან. არამედ, შეიძლება ითქვას. არ არსებობდა ფრონტი და არმია, რომელთანაც გარკვეული სახის კავშირი არ ჰქონდათ რესპუბლიკის მშრომელებს სამამულო ომის პერიოდში; არ არსებობდა ფრონტი. რომელსაც არ მიეღო

რესპუბლიკის მშრომელებთაგან საჩუქრები და ქართველი ხალხის აღმაფრთოვანებელი მისალმებანი.

საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მშრომელები იჩენდნენ შეუნელებელ მზრუნველობას საბჭოთა არმიის მეომრებისადმი და განამტკიცებდნენ ზურგისა და ფრონტის ერთიანობას. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ეს მზრუნველობა ფრონტისა და ზურგის ერთიანობისათვის ყველაზე უფრო რელიეფურად გამოვლინდა კავკასიის დაცვის პერიოდში. როცა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ფორმირებული დივიზიები, პოლკები და ბატალიონები, სახალხო მოლაშქრეებთან ერთად სსრ კავშირის მოძმე ხალხების შვილების მხარდამხარ მწყობრში ჩადგნენ და თავგანწირვით იცავდნენ მშობლიურ კავკასიას.

1943 წლის დასაწყისიდან ფრონტისა და ზურგის ერთიანობის განმტკიცების საქმეში თავი იჩინა ახალმა, საყურადღებო მოვლენამ. ეს იყო ფრონტებიდან მებრძოლთა დელეგაციების ჩამოსვლა და მათი უშუალოდ შეხვედრა ზურგის მშრომელებთან ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ზურგისა და ფრონტის ერთიანობის და ამიერკავკასიის ხალხთა ძმური მეგობრობის შესანიშნავ დემონსტრაციად გადაიქცა 1943 წლის აპრილში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ჩამოსული სტალინგრადის დამცველი გვარდიულ შენაერთთა დელეგაცია, რომელსაც გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე მეთაურობდა. ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი და თბილისში ჩამოვიდა ანაპის 414-ე მსროლელი ქართული დივიზიის დელეგაცია და ა. შ.; დელეგაციებისა და მშრომელების შეხვედრები სახალხო ზეიმს წარმოადგენდა, მებრძოლები და მშრომელები უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებებს მტერზე გამარჯვებისათვის გმირულ ბრძოლაში.

ზურგისა და ფრონტის ერთიანობის განმტკიცების საქმეში სამამულო ომის ყველა ეტაპზე განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა ინდივიდუალური და კოლექტიური წერილები ზურგიდან ფრონტზე მებრძოლთადმი და მებრძოლებისაგან — ზურგის მშრომელებისადმი.

საბჭოთა არმიის მებრძოლები და მეთაურები საქართველოდან ღებულობდნენ პატრიოტულ, მშობლიურ, თბილი გრძნობით აღსავსე ბარათებს, და მათთან ერთად სხვადასხვა საჩუქრებს. რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია ამ გზით განუყრელად იყვნენ დაკავშირებული გმირი ქალაქებისა და კავკასიის

დამცველებთან, საბჭოთა არმიის ყველა ფრონტთან და მათ ცალკეულ ნაწილებთან[75].

ფრონტისა და ზურგის ურთიერთობის ამსახველი წერილები მრავალრიცხოვანია. იმათგან ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ 1943 წლის მაისში გამოქვეყნებულ ქართველ მებრძოლთა წერილს საქართველოს მშრომელებისადმი, რომელსაც 2031 წარჩინებული მეომარი აწერდა ხელს. ეს წერილი დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო რესპუბლიკის ცხოვრებაში. მასში მოკლედ გადმოსცემენ ქართველი მეომრების საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-მაიორ ნანეიშვილის, მფრინავ წურწუმიას, მეზღვაურ გეგეშიძის, ადამიას, დიასამიძის და სხვათა გმირობაზე, ქართველი გენერლების — ლესელიძის, თავართქილაძის, მეკავანაძის, ყუფარაძისა და სხვა მხედართუფროსთა მიერ ჯარების მართვის ოსტატობაზე. ქართველი მეომრები აღფრთოვანებული იყვნენ ქართველი ხალხის დიდი მზრუნველობით საბჭოთა არმიის შეიარაღებისა და სასურსათო რეზერვების განსამტკიცებლად: ისინი სწერდნენ: „თქვენ მიერ გამოგზავნილი ამანათები მშობლიურ სითბოს განგვაცდევინებს და გვაგრძნობინებს ჩვენდამი საბჭოთა ოჯახის მზრუნველობას“. მეომრები მგზნებარედ მოუწოდებდნენ საქართველოს მშრომელებს, რათა კიდევ უფრო ნაყოფიერი გაეხადათ შრომა და კიდევ უფრო მეტად დახმარებოდნენ საბჭოთა არმიას. „დაე, მაღაროებში, ქარხნებში, ყანებში, ზვრებსა და პლანტაციებში შეუნელებლად სწარმოებდეს მუშაობა, რათა საქართველოს ხვავიანი კალთა კიდევ უფრო დოვლათიანი გახდეს და მეტი წვლილი შეიტანოს ჩვენი მტრის განადგურების საყოველთაო-სახალხო საქმეში. მეტი სიმდიდრე მოგროვდეს ჩვენი მამულის საკეთილდღეოდ, ჩვენი გამარჯვების მოსაპოვებლად“[76].

ქართველი მებრძოლების წერილმა დიდი გამოძახილი პოვა მშრომელთა შორის. გაზეთმა „პრავდამ“ მოწინავე წერილი მიუძღვნა ამ დოკუმენტს, სადაც ეკითხულობთ:

---

[75] მაგალითად, ჩოხატაურელმა გოგონებმა ასეთი წერილი მისწერეს მებრძოლებს: „საყვარელო უცნობო ძმებო! ჩვენ, ისე როგორც თქვენ ფრონტზე, ზურგში დაუღალავად ვმუშაობთ და გეხმარებით რითაც კი შეგვიძლია. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ გევმეს ერთი სამად შეეასრულებთ“. ლანჩხუთის მშრომელების დახმარებათა და მგზნებარე მოწოდების საპასუხოდ გამოგზავნილ წერილში მებრძოლები წერდნენ: „ჩვენ გადაეწყვიტეთ სოციალისტური შეჯიბრება გამოვაცხადოთ ერთმანეთს შორის ვინ მეტ ფრიცს გამოასალმებს სიცოცხლეს და ჩვენც შევლებთ საკისარ ვალდებულებათა შესრულებას“, — სწერდნენ გვარდიული დანაყოფის მებრძოლები ლანჩხუთის მშრომელებს (გაზ. „დამკვრელი კოლმეურნე“, 1944, 1 იანვარი).

[76] ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებს, 1943.

„შესანიშნავ წერილს უგზავნიან ქართველი მებრძოლები თავის ხალხს. საქართველოს მშრომელებს. წერილი, რომელიც დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება, აღგვაფრთოვანებს არა მარტო თავისი პატრიოტული აღტყინების ძალით, არა მარტო თავისი საბრძოლო აღგზნებით, არა მარტო საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებით. მასში მოკლედ და ძლიერად არის გადმოცემული წმინდა მეგობრობა, რომელმაც დიდი ხანია შეაერთა ქართველი და რუსი ხალხები ურღვევი ძმური კავშირით“.[77]

ქართველი მეომრები თუ ასეთ პატაკს აძლევენ რესპუბლიკის მშრომელებს თავიანთ სახელოვან საბრძოლო წარმატებებზე, საქართველოს მშრომელები ამ წერილს მასობრივ მიტინგებზე იხილავდნენ და ქართველ მებრძოლთა მოწოდების საპასუხოდ ებმებოდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კისრულობდნენ ახალ ვალდებულებებს და კიდევ უფრო აძლიერებდნენ ფრონტისადმი დახმარებას.

საქართველოს მუშებისა და გლეხების მორიგი შრომითი თავდადება და ახალი ქმედითი დახმარების აღმოჩენა საბჭოთა არმიისადმი აღაფრთოვანებდა გმირობისათვის და სიამაყის გრძნობით აღავსებდა საბჭოთა მეომრებს. ეს ფაქტი კარგადაა ასახული გვარდიის უფროსი ლეიტენანტის შ. აბრამიშვილის მიერ ფრონტიდან გამოგზავნილ წერილში. „მე და ჩემმა ამხანაგებმა გულთბილი გრძნობით წავიკითხეთ გაზეთ „პრავდაში“ ელენე კონონენკოს წერილი „თბილისი“, სადაც ნათქვამია იმ უდიდეს დახმარებაზე, რასაც ქართველი ხალხი უწევს ფრონტს საწარმოებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე თავდადებული შრომით. ყოველივე ეს გვმატებს ენერგიას მტერთან საბრძოლველად“.

ზესტაფონის რაიონის სოფ. როდინოულის კოლმეურნეობა „ოქტომბრის მონაპოვარს“ 1943 წ. მოუვიდა თავისი თანასოფლელის, საბჭოთა კავშირის გმირის ლევან ჩუბინიძის წერილი:

„ძვირფასო ძმებო, დებო, ბიძებო და მეგობრებო! ძლიერ მახარებს ის მიღწევები, რომლებიც აქვს როდინოულის კოლმეურნეობას, მახარებს, რომ იგი თავდადებით შრომობს და გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს.

მოგიწოდებთ, რაც შეიძლება მეტი დახმარება გაუწიოთ ფრონტს, რაც შემეხება მე, ვასრულებ პარტიისა და სამშობლოს დავალებას, ვიბრძვი და ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკან არ დავიხევ არავითარ შემთხვევაში. უკვე რამდენიმე

---

[77] გაზ. „პრავდა“, 1943, 16 მაისი.

ასეული ფაშისტი გავანადგურე და შემდეგმიც მრავალს გავანადგურებ. ჩვენ მივდივართ წინ"[78].

ქართველი მეომრები დიდ ინტერესს იჩენენ რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებისა და წარმატებებისადმი. კაპიტანი ივანე გაბრიელის ძე დემეტრაშვილი (თეთრი წყაროს რაიონის სოფელ დიდი თონეთის მკვიდრი) გაზ. „პრავდიდან" შეიტყობს, რომ რაიონის მშრომელებმა მიიღეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ამ ფაქტით აღფრთოვანებული დემეტრაშვილი ფრონტიდან რაიონის მშრომელებს სწერდა:

„მართალია. წერის დრო ცოტაა, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ მივულოცო ჩემი რაიონის მშრომელებს მათი უდიდესი წარმატებანი... გადაეცით მათ, რომ ჩვენ კვლავაც მედგრად ვიბრძოლებთ მტრის საბოლოო განადგურებამდე"[79].

სამამულო ომის ფრონტზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ტარდებოდა არარუსი ეროვნების მებრძოლთა შორის მათი ინტერნაციონალური აღზრდისა და რუსული ენის დაუფლებისათვის.[80]

არარუსი ეროვნების მებრძოლები სისტემატურად ღებულობდნენ ფრონტზე ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს მშობლიურ ენაზე. საქართველოდან დიდი რაოდენობით აგზავნიდნენ ფრონტზე ქართულ გაზეთებს, ჟურნალებსა და ბროშურებს.

საბჭოთა არმიის ქართველ მებრძოლებში დიდ სიხარულს იწვევდა ქართულ ენაზე გაზეთებისა და ლიტერატურის მიღება. მაგალითად, თუ რა აღფრთოვანება გამოუწვევია ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის მებრძოლ წითელ არმიელ ი. ლურსმანაშვილში ქართულ ენაზე ბროშურების მიღებას, გვარწმუნებს მისივე სიტყვები: „ერთხელ სანგარში ვიჯექი, ამ დროს მოიტანეს ახალი ლიტერატურა მებრძოლებისათვის. ბროშურაში თვალი მოვკარი

---

[78] გაზ. „ლენინელი", 1943, ნოემბერი. ლ. ვ. ჩუბინიძე კიევის განთავისუფლებისას, დნეპრის გადალახვის დროს მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა. იგი დაასაფლავეს სოფ. ჩერნინოში. სკოლის ახლოს და აუგეს ძეგლი.

[79] გაზ. „კომუნისტი", 1945, 14 იანვარი.

[80] მ. კ ა ლ ი ნ ი ნ ი. ეხებოდა რა არარუსი ეროვნების მებრძოლთა შორის საგიტაციო მუშაობის ფორმებს, აღნიშნავდა: „პირველ ხანებში არარუსი ეროვნების მებრძოლთა რუსული ენის ცოდნა, რა თქმა უნდა, საკმაოდ შეზღუდული იქნება და აზროვნებითაც. ცხადია, ისინი მშობლიურ ენაზე აზროვნებენ და ამიტომ, თუ თქვენ მოგესურვათ მებრძოლებს რაიმე გადასცეთ ისე, რომ მათზე იმოქმედოთ, გადახვალთ მშობლიურ ენაზე და თქვენი მსმენელები უკეთ იგრძნობენ იმას, რასაც მათ ეტყვით. მშობლიური ენა გულის სიღრმემდე დასწვდება მათ და თქვენი აზრის ელფერს გადასცემს... ძალიან კარგია, რომ ჩვენი აგიტატორები შერჩეული არიან იმავე ეროვნებათა ადამიანებისაგან, რომლებსაც მებრძოლებიც ეკუთვნიან" (მ. კალინინი. კომუნისტური აღზრდის შესახებ, 1953. გვ. 239—240).

ამხანაგ სტალინის მოხსენებას და ბრძანებებს, ქართულ ენაზე გამოცემულს, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა"[51].

რესპუბლიკის მშრომელები, ფრონტზე წარგზავნილ თავის შვილებთან სამამულო ომის ყველა პერიოდში მუდამ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და ამ კავშირის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა წერილობითი კავშირი იყო. ამ წერილებში, მათი თარიღების შესაბამისად, ცხადად აღიბეჭდებოდა ჩვენი ქვეყნის მებრძოლთა სულიერი სიმტკიცე ომის მსვლელობის მთელ პერიოდში, ოპტიმიზმი და მტრისადმი საყოველთაო-სახალხო შეურისძიებათა გრძნობა, მზადყოფნა იმისათვის, რომ ყოველგვარი მსხვერპლის გაღებით დაეცვათ სამშობლო. ეს რწმენა და გადაწყვეტილება ერთნაირი სიმტკიცით ასულდგმულებდა როგორც ფრონტის მებრძოლებს, ასევე ზურგის მშრომელებს სამამულო ომის ყველა ეტაპზე. ამ გარემოებამ კი განსაკუთრებული როლი შეასრულა დიდი სამამულო ომის გარდატეხის პერიოდის მომზადებისა და საბჭოთა არმიის შეტევების განვითარებისათვის. ზურგისა და ფრონტის ერთიანობაც ამ პერიოდიდან ახალ ეტაპზე ადის და ახალ შინაარს იძენს, რაც ასახვას პოულობს როგორც ფრონტზე მებრძოლებისადმი, ასევე ფრონტიდან ზურგში გამოგზავნილ წერილებში.

მშობლიური საქართველოდან ათასზე მეტი კილომეტრით დაშორებული ქართველი მებრძოლები, რომლებიც ერეკებოდნენ მტერს დასავლეთისაკენ, წერილებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ზურგის მშრომელებთან და მოუთხრობდნენ მათ თავიანთ საბრძოლო წარმატებებზე. 1945 წლის საახალწლო მისალოც ბარათში საქართველოს მშრომელებისადმი ზემდეგი ერასტი გიგინეიშვილი აღმოსავლეთ პრუსიიდან იწერებოდა: „ახალ წელს, 1942 წელს, ვხვდებოდით მოსკოვისათვის ბრძოლების ქარცეცხლში. ახლა 1945 წელს შევხვდით მტრის ტერიტორიაზე. ის მეომრები, რომლებიც მოსკოვს იცავდნენ, ახლა გერმანიის ტერიტორიაზე იბრძვიან".

გვარდიის მაიორი გ. ივანიშვილი, აბარებდა რა ანგარიშს საქართველოს მშრომელებს, წერდა:

„მე მივიღე მონაწილეობა ბრძოლებში მოსკოვთან, სტალინგრადთან, კავკასიის მისადგომებზე, ბრძოლებით გავიარე საბჭოთა უკრაინა, გადავლახე კარპატის მთები და ახლა ჩეხოსლოვაკიაში ვარ. ვიბრძვი, როგორც შეეფერება საბჭოთა ოფიცერს".[52]

საბჭოთა მებრძოლების ეს შესანიშნავი წარმატებანი ფრონტზე

---

[51] გაზ. „კომუნისტი", 1945. 14 იანვარი.

[52] აღებულია გაზ. „კომუნისტის" საარქივო გამოუქვეყნებელი მასალებიდან.

ხელს უწყობდა დიდ შრომით აღმავლობას საქართველოს მშრომელებს შორის, ზრდიდა დახმარებას ფრონტისადმი და ამრავლებდა სოციალისტური შრომის გმირებს.

ჭიათურის რაიონის სოფელ წირქვალის კოლმეურნეობა „შრომის" მოწინავე მოხუცი კოლმეურნე ივანე იოსების ძე ჩიტაძე ქვეგანაყოფის მებრძოლებს, სერჟანტებს და ოფიცრებს სწერდა:

„ამ რამდენიმე დღის წინათ მივიღე თქვენი წერილი, რომლითაც მატყობინებთ, რომ ჩემი შვილი ალექსანდრე ჩიტაძე მაღალი სამხედრო ოსტატობისათვის საუკეთესო ავტორიტეტით სარგებლობს თქვენს შორის. მე, 70 წლის მოხუცი, აღმაფრთოვანა ამ ამბავმა და ახალი ძალა შემმატა საკოლმეურნეო ბარაქიან მინდვრებზე შრომისათვის. მედგრად იბრძოლეთ, შვილებო, მამაცურად ურტყით მტერს საბოლოო განადგურებამდე".[33]

ომის მსვლელობაში ფრონტისა და ზურგის ერთიანობის უაღრესად საყურადღებო ფორმად იქცა სახელდახელო მიტინგები, რომლებიც სისტემატურად იმართებოდა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ისტორიული მნიშვნელობის გმირულ მოვლენებთან დაკავშირებით.

საქართველოს მშრომელები სახელდახელოდ გამართულ საზეიმო მიტინგებზე, ეცნობოდნენ რა საბჭოთა არმიის ისტორიულ გამარჯვებებს, ახალ ვალდებულებებს კისრულობდნენ ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად;

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ზურგისა და ფრონტის ერთიანობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უაღრესად ფართო ხასიათის მოძრაობად იქცა. იგი ღრმავდებოდა და ვითარდებოდა სამამულო ომის ეტაპების შესაბამისად და წარმოადგენდა ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა ქვეყნის გამარჯვების ერთ-ერთ გადამწყვეტ წყაროს.

---

[33] აღებულია გაზ. „კომუნისტის" საარქივო გამოუქვეყნებელი მასალებიდან.

განყოფილება მეხუთე

საყოველთაო-სახალხო ზრუნვა საბჭოთა არმიისა და ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონებისადმი

თ ა ვ ი VIII

რესპუბლიკის მშრომელების ზრუნვა საბჭოთა არმიის შეიარაღების გაძლიერებისათვის

1. თანხების ნებაყოფლობითი შეგროვება თავდაცვის განმტკიცებისათვის

სამშობლოს დაცვის კეთილშობილური იდეით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი, მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, ჩვენი ქვეყნის ყველაზე უმძიმეს დღეებში ბევრ დიდ პატრიოტულ მოძრაობას აძლევენ დასაბამს. იგი გამოხატულებას პოულობს მშრომელთა პირადი დანაზოგებით საბჭოთა არმიის შეიარაღების განსამტკიცებლად თანხების მასობრივად შეგროვებაში. დამახასიათებელია, რომ მშრომელთა დანაზოგი მანეთებით მეტად მოკლე დროში დამზადდა და საბჭოთა არმიას გადაეცა სატანკო კოლონების, ავიაესკადრილიების, ჯავშნოსანი მატარებლის, სატორპედო კატარღების, წყალქვეშა ნავებისა და სხვა სახის მრისხანე იარაღების დიდი რაოდენობა.

რუსეთის მოწინავე მუშებისა და კოლმეურნე გლეხობის ინიციატივით წამოწყებულმა ამ სამაგალითო მოძრაობამ დიდი გამოძახილი პოვა საქართველოს, ისე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკების, მშრომელთა შორის. საქართველოს მუშები. კოლმეურნე გლეხები და ინტელიგენცია, კომკავშირელები და პიონერები, მედიცინისა და პრესის მუშაკები, ფიზკულტურული და სარეწაო კოოპერაციის, პროფკავშირული და რემედასის ორგანიზაციები მასობრივად იწყებენ თანხების შეგროვებას სატანკო კოლონების, საავიაციო ესკადრილიების, წყალქვეშა ნავებისა და სხვა სახის იარაღსაშურველთა შესაქმნელად. რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეები თა-

ვანთი ხელფასიდან და გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციიდან. ხოლო კოლმეურნე გლეხობა გამომუშავებული შრომადღეებისა და საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლიდან ქმნიან ფულად ფონდებს უახლესი ტიპის იარაღების ასაგებად საბჭოთა არმიისათვის. ამ დიდმა წამოწყებამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უაღრესად მასობრივი ხასიათი მიიღო. მოკლე დროში რესპუბლიკაში შეგროვდა დიდძალი თანხები და სასწოაფო დაკვეთით საბჭოთა ქარხნებში აშენდა თვითმფრინავთა ესკადრილიებისა და ტანკების მძლავრი კოლონები, რომლებიც დაუყოვნებლივ მიედინებოდნენ ფრონტებზე.

რესპუბლიკის მშრომელთა დანაზოგებით შეიქმნა საბრძოლო თვითმფრინავთა დიდი ესკადრილია „საბჭოთა საქართველოს“ სახელწოდებით. კოლმეურნე გლეხებმა შექმნეს სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნე“. სვანეთის მშრომელებმა—წყალქვეშა ნავი „საბჭოთა სვანეთი“. მედმუშაკებმა — თვითმფრინავთა ესკადრილია „საქართველოს მედიცინის მუშაკები“. რესპუბლიკის ცალკეული ორგანიზაციების ინიციატივითა და მუშაკთა პირადი დანაზოგებით აშენდა საბრძოლო თვითმფრინავი „საბჭოთა კავშირის გმირის ალ. წურწუმიას სახელობისა“. „ზდრავნიცა აბხაზიი“ და სხვა. კერძოდ, აქ აღსანიშნავია ის დიდი აქტივობა, რომელიც გამოიჩინეს ამ მიმართულებით საქართველოს ახალგაზრდებმა. საკუთარი დანაზოგებით მათ ააგეს ავიოესკადრილია „საქართველოს კომკავშირი“ და „საქართველოს ფიზკულტურელი“, სატორპედო კატარღების დივიზიონი „აფხაზეთის კომკავშირელი“ და თვითმფრინავთა რგოლი „აჭარის ფიზკულტურელი“. მათვე აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობასთან ერთად სატანკო კოლონის „კოლმეურნე ახალგაზრდობისა“ და „ნორჩი პიონერის“ მშენებლობის ფონდის შექმნაში.

რესპუბლიკის მშრომელები ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ ისეთ საკავშირო წამოწყებებში, როგორიც იყო საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის „ვსევობუჩის“, სატანკო კოლონის „პრომკოოპერატორ სსრკ“, „პრესის მუშაკის“. „რემედასის სახელობის თვითმფრინავების“, „ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის სატანკო კოლონის“ და სხვათა მშენებლობები.

სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნე“ ასაგებ ფონდში ზუგდიდის რაიონის გლეხებმა შეიტანეს 2 მილიონი მანეთი. მრავალ კოლმეურნეობას, სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნეს“ გასაძლიერებელ ფონდში 1 მილიონზე მეტი თანხა შეაქვს ნაღდ ან-

ანგარიშზე და სამართლიანად იმსახურებენ საბჭოთა არმიის მადლობას. რესპუბლიკაში გამრავლდა ისეთ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც „ქართველ კოლმეურნეს“ ფონდში პირადი დანაზოგებიდან ნაღდად შეეტანათ 100 ათასი მანეთიდან 500 ათას მანეთამდე. მაგ., აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი ჯგუბურიამ პირადი დანაზოგიდან შეიტანა 300 ათასი მანეთი[1], ხოლო წალკის რაიონის სოფელ კუშჩის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნახევარი მილიონი მანეთი[2].

ამ გზით სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნეს“ ასაგებად რესპუბლიკაში შეგროვდა ასეულ მილიონობით თანხა. ამასთანავე სატანკო კოლონისათვის სახსრების შეგროვების ერთდროულად საქართველოს კოლმეურნეებმა სახელმწიფოს ზეგეგმითი თავიანთი გარდამეტიდან სამხედრო ობიექტების მუშებისა და ქალაქის მოსახლეობისათვის მტკიცე ფასებში ჩააბარეს 248 ათასი ფუთი სასურსათო პროდუქტები[3].

საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია საბჭოთა არმიის 25 წლისთავსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 22 წლისთავს შეხვდნენ ფრონტისადმი დახმარების ახალი ინიციატივით—თავიანთი პირადი დანაზოგებით ააგონ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“.

თვითმფრინავების ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობის ფონდის შეგროვებაში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ყველა მშრომელი. ამ ფონდში თანხები შეიტანეს მუშებმა და კოლმეურნეებმა, მეცნიერებმა და კულტურის მუშაკებმა.[4]

საქართველოს მშრომელებმა უმოკლეს ვადაში საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობის ფონდში შეიტანეს 162 200 ათასი მანეთი, რომელიც გადაიგზავნა დანიშნულებისამებრ. თვითმფრინავთა საბრძოლო ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“ 1943 წლის 23 მარტს უკვე საბძოლო ვახტზე იმყოფებოდნენ.[5]

---

[1] მ. ასანია, ვ. ზუხბაია, მოწინავე კოლმეურნეობა, 1946, გვ. 51.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1943, 10 იანვარი.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1943, 10 ივნისი.

[4] იმდენად მგზნებარე იყო მასების ეს ინიციატივა, რომ მარტო ერთი დღის განმავლობაში (1943 წ. 18 იანვარს) ქალაქ თბილისში მშრომელებმა შეაგროვეს 3 131 ათასი მანეთი, ქ. ქუთაისში — 1 300 ათასი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 3035 ათასი, გორის რაიონში — 2010 ათასი, წითელწყაროს რაიონში — 1030 ათასი, წალკის რაიონში — 900 ათასი მანეთი და სხვ.

[5] გაზ. „კომუნისტი“, 1943, 23 მარტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ახალგაზრდობის აქტივობა ავიოესკადრილიის „საქართველოს კომკავშირის“, „საქართველოს ფიზკულტურელის“, სატანკო კოლონის „კოლმეურნე ახალგაზრდას“ და „ნორჩი პიონერის“ მშენებლობის ფონდების შექმნის საქმეში[6].

1941 წლის ოქტომბერში სოხუმის ტყავკომბინატის, ნავსადგურის და აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის კომკავშირელების ინიციატივით დაიწყო სახსრების შეგროვება სატორპედო კატარღის „აფხაზეთის კომკავშირელი“ დივიზიონის ასაგები ფონდისა[7].

აფხაზეთის ახალგაზრდობას არც აჭარის კომკავშირელები ჩამორჩენენ. აჭარის ახალგაზრდობამ საკუთარი დანაზოგებით ააგო საბრძოლო თვითმფრინავთა რგოლი „აჭარის ფიზკულტურელი“, რომელიც 1944 წ. 25 ნოემბრიდან სამხედრო ნაწილს გადაეცა და საბრძოლო მწყობრში ჩადგა.[8]

საქართველოს ფიზკულტურელთა ინიციატივითა და მონაწილეობით შეგროვებული თანხებით აშენდა ახალი ავიოესკადრილია „საქართველოს ფიზკულტურელი“. ამ ფონდის განსამტკიცებლად მხოლოდ ქუთაისის ახალგაზრდობამ ერთდროულად შეიტანა 60 ათასი მანეთი[9].

1944 წლის თებერვლიდან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ინიციატივით საქართველოში დაიწყო კიეველ გმირ ფეხბურთელთა, რომლებიც მოწამებრივად დაეცნენ მტერთან ბრძოლაში, ძეგლის და მათი სახელობის ავიოესკადრილიის ასაგებად ფონდების შეგროვება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს კომკავშირელ მოსწავლე ახალგაზრდობის და პიონერების აქტივობა სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ ასაგებად თანხების შეგროვების საქმეში. პირველად ასეთი მოძრაობა დაიწყო კუიბიშევის ოლქის სურსკოეს რაიონის არასრული საშუალო სკოლის მოწაფის თამარ

---

[6] კერძოდ, ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონის კომკავშირელებმა შეაგროვეს 89169 მანეთი, ამავე რაიონის სოფ. ბორითის საშუალო სკოლის VII კლასის მოწაფემ კომკავშირელმა უშანგი ბარბაქაძემ ავიოესკადრილიის „საქართველოს კომკავშირის“ ასაგებ ფონდში შეიტანა 12 ათასი მანეთი (სამამულო ომის ისტორიის ფონდი № 55, საქმე 81, ფურც. 47). ზემო სვანეთის (მესტიის) რაიონის კომკავშირელებმა ერთდროულად შეაგროვეს და შეიტანეს 64 ათასი მანეთი. ასევე მოიქცა სხვა რაიონების ახალგაზრდობაც.

[7] აფხაზეთის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მიერ 1942 წ. 20 თებერვლისათვის 573 ათასი მანეთი იყო შეგროვილი (გაზ. „Советская Абхазия“, 1942, 23 თებერვალი).

[8] გაზ. „კომუნისტი“, 1944, 26 ნოემბერი.

[9] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 5, საქმე 816, ფურც. 52.

ფროლოვას ინიციატივით. ამ ინიციატივამ მხურვალე გამოხმაურება პოვა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაში, მაგალითად, გურჯაანის რაიონში რამდენიმე დღეში შეგროვდა 195 ათასი მანეთი[11]. გურჯაანს საქართველოს არც სხვა რაიონების პიონერ-მოსწავლეები ჩამორჩნენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გარკვევით დავასკვნათ, რომ საქართველოს კომკავშირელები, კავშირგარეშე ახალგაზრდობა და პიონერული ასაკის ნორჩი თაობა, ასეულ ათასობით მოსწავლეები სოფლად და ქალაქად ენერგიულად ზრუნავდნენ საბჭოთა არმიის შეიარაღებისათვის.

დასასრულს, უნდა შევჩერდეთ რესპუბლიკის ცალკე რაიონების უწყებათა და საწარმოო-დაწესებულებათა მშრომელების კერძო ხასიათის ინიციატივაზე, პირადი დანაზოგებით საბჭოთა არმიისათვის ცალკეული მრისხანე საბრძოლო მანქანების მშენებლობის საქმეში.

ზემო სვანეთის მშრომელებმა საკუთარი თანხებით ააგეს წყალქვეშა ნავი „საბჭოთა სვანეთი" და თხოვნით მიმართეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობას, რათა წყალქვეშა ნავი „საბჭოთა სვანეთი" გადასცემოდა იმ ნაწილს, სადაც მათი სახელგანთქმული თანამემამულე, საბჭოთა კავშირის გმირი, პირველი სვანი მეზღვაური, იაროსლავ იოსელიანი მსახურობდა. ასეც მოხდა. სარდლობის ბრძანებით წყალქვეშა ნავის „საბჭოთა სვანეთის" მეთაურად საბჭოთა კავშირის გმირი იოსელიანი დაინიშნა[11], რომელმაც ბრწყინვალედ გაამართლა ხალხის ნდობა.[12]

საბჭოთა კავშირის გმირის ალ. წურწუმიას სახელობის საბრძოლო თვითმფრინავის აშენებისათვის სახსრების შეგროვება ანალოგიური ხასიათის პატრიოტული ინიციატივა იყო, რომელსაც სათავეში პირველად აფხაზეთის მშრომელები ჩაუდგნენ. გარდა ამისა, აფხაზეთის მედმუშაკების ინიციატივითა და დანაზოგით აშენდა საბრძოლო თვითმფრინავი „ზღვრავნიცა აფხაზი". 1943 წ. 13 აპრილს უმაღლესი მთავარსარდალი მადლობას უცხადებს ჰოსპიტლის ხელმძღვანელებს დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლებისა და მეთაურების მიერ 120 ათასი მანეთის შეგროვების გამო ტანკების — „საკაძის", „ბაგრატიონისა" და „ორჯონიკიძის" ასაგებად[13].

---

[10] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 298, ფ. 84.
[11] გაზ. „კომუნისტი", 1945, 17 მარტი.
[12] Макс Зингер, Подводник с высоких гор, Сухуми, 1948.
[13] სამამულო ომის არქივი, საქმე 845, ფურც. 26.

აფხაზეთის ასსრ სამხედრო კომისარიატმა რაისამხედრო კომისარიატების, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მებრძოლთა დანაყოფებისა და ფრონტელ მეთაურთა ოჯახების ინიციატივით შეაგროვეს 39 583 მანეთი ფულად და 997 459 მანეთის სახელმწიფო სესხის ობლიგაცია და შეიტანეს ფონდში, რითაც მათ საბჭოთა არმიის მადლობა დაიმსახურეს[14].

საქართველოში 1944 წლიდან დიდი პატრიოტული აღმავლობით დაიწყო კამპანია საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიის „საქართველოს მედიცინის მუშაკების“ მშენებლობის ფონდის შესაგროვებლად.

საქართველოს სამედიცინო დარგის მუშაკებმა მოკლე დროში შეაგროვეს ორი მილიონი მანეთი და გადასცეს თავდაცვის კომიტეტს საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის — „საქართველოს მედიცინის მუშაკების“ ასაგებად.[15]

აქვე უნდა აღინიშნოს რესპუბლიკის პრესის მუშაკთა მონაწილეობა სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის“ მშენებლობის ფონდის გაძლიერების საქმეში[16].

რესპუბლიკის სარეწაო კოპერაციის მუშაკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სატანკო კოლონის „სსრკ პრომკოოპერატორის“ მშენებლობის ფონდის გაძლიერებაში.[17] ასევე ითქმის რესპუბლიკის რემედასელთა აქტიურ მონაწილეობაზე რემედასის სახელობის ავიოესკადრილიის მშენებლობის ფონდის შექმნაში. მაგალითად, გურჯაანის რაიონის რემედასელებმა ამ ფონდში 70 ათასი მანეთი შეიტანეს.[18] განსაკუთრებით დიდი იყო აქტივობა ამ მიმართულებით საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის და პროფკავშირული ორგანიზაციების წევრთა და ხელმძღვანელი მუშაკებისა, ისე როგორც მრეწ-

---

[14] გაზ. „Советская Абхазия“, 1944, 8 სექტემბერი.

[15] საბრძოლო ესკადრილიის „საქართველოს მედიცინის მუშაკების“ ასაშენებლად ფონდების შეგროვებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჯანმრთელობის რესპუბლიკური და რაიონული ორგანოები, სამეცნიერო-კვლევითი სამედიცინო დაწესებულებები. საავადმყოფოები, ჰოსპიტლები და ჰოსპიტლებში სამკურნალოდ მყოფი დაჭრილი მეომრებიც კი. მაგ., წითელწყაროს რაიონის ჯანდაცვის განყოფილების თანამშრომლებმა შეაგროვეს 62605 მანეთის ობლიგაცია და 25494 მანეთი გამოუყენებელ შეებულებათა საკომპენსაციოდ კუთვნილი თანხიდან (გაზ. „კომუნისტი“, 1944, 18 ოქტომბერი).

[16] მარტო აბაშის რაიონის გაზეთის „საბჭოთა სოფლის“ და რადიოგადაცემის მუშაკებმა სატანკო კოლონა „პრესის მუშაკის“ ასაგებად შეაგროვეს 70 ათასი მანეთი ფულად და 115 ათასი მანეთის სახ. სესხ. ობლიგაციები (გაზ. „კომუნისტი“. 1944. 27 ოქტომბერი).

[17] სოხუმის პირველი მაისის სახელობის სარეწაო არტელის მუშაკებმა ერთდროულად შეიტანეს 44624 მანეთი ფულად. 33695 მან. სახ. სესხის ობლიგაცია და 21680 მან. გამოუყენებელი შეებულების საკომპენსაციოდ კუთვნილი თანხებიდან და დაიმსახურეს საბჭოთა არმიის მთავარსარდლის მადლობა („Сов. Абхазия“, 1944, 11 ნოემბერი).

[18] ერთდროული გაზეთი „საქართველოს რემედასელი“, 1946, 26 აპრილი.

ველობისა და ტრანსპორტის მოწინავე მუშებისა. ცნობილია, რომ საქართველოდან მოსკოვის დაცვაში მონაწილეობდა თბილისში გაფორმებული და მტრის რისხვად წარგზავნილი ჯავშნიანი მატარებელი, მთელი მისი მამაცი პირადი შემადგენლობითურთ[19].

მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად საბჭოთა პატრიოტიზმის უკეთილშობილესმა გრძნობებმა მოიცვეს ხალხის უფართოესი მასები. შეუძლებელია აუღელვებლად მოისმინო ამბავი მოხუცი ლამისყანელი კოლმეურნის დავით გარაყანიძის პატრიოტული ინიციატივის შესახებ. დავით გარაყანიძემ ფრონტზე მყოფ შვილს, ტანკისტ ვალერიანს თავისი დანაზოგით ტანკი უყიდა. ტანკისტი ვალერიან გარაყანიძე მუხანათ მტრებს მამის ნაყიდი ტანკით უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოდა[20].

ასეთია საერთოდ ის პატრიოტული თავდადება, რომელსაც საქართველოს მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, მოხუცები და ახალგაზრდები იჩენდნენ საბჭოთა არმიის შეიარაღების განმტკიცებისათვის. რესპუბლიკის მშრომელთა დანაზოგებით აგებული იარაღების საზეიმო გადაცემისას სამხედრო დანაყოფების წარმომადგენლები ფიცს დებდნენ, რომ ამ იარაღებით დაუნდობლად გაანადგურებდნენ საბჭოთა მიწა-წყალზე შემოჭრილ ოკუპანტებს. ისინი ღირსეულად ანაღდებდნენ თავიანთ დანაპირებს.

2. ზრუნვა თავდაცვის ფონდების შექმნისათვის

საბჭოთა არმია და ხალხი ომის წლებში ბევრად უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს. საბჭოთა ხალხი თავის არმიას ამარაგებდა სამხედრო ტექნიკასთან ერთად სურსათ-სანოვაგით. მშრომელები ამასთანავე პირადი დანაზოგებიდან ქმნიდნენ თავდაცვის სხვადასხვა ფონდებს და საჩუქრებს უგზავნიდნენ სამშობლოს დამცველებს. საქართველოს მშრომელებმა სსრ კავშირის ხალხებთან ერთად ამ მიმართულებითაც ისახელეს თავი და დიდი დახმარება გაუწიეს მშობლიურ საბჭოთა არმიას.

საბჭოთა არმიის ფონდების გასაძლიერებლად მშრომელებს ნებაყოფლობით შეჰქონდათ ნაღდი ფული, ძვირფასეულობა და ობლიგაციები. ფრონტებზე საჩუქრად აგზავნიდნენ თბილ ტანსაცმელს და პროდუქტებს. საბჭოთა არმიისათვის პურის ფონდების გასაძლიერებლად ზეგეგმით თესავდნენ თავდაცვის ჰექტარებს. სახელმწიფოს ასევე ზეგეგმით მტკიცე ფასებში აბარებდნენ სასურსათო პროდუქტებს და სხვ.

---

[19] გაზ. „კომუნისტი", 1941. 18 დეკემბერი.
[20] ჟურნ. „დროშა", № 9, 1955, გვ. 14.

დიდი სამამულო ომის დაწყებიდან ფრონტისადმი დახმარების მრავალფეროვანი ფორმები და სახეობანი შემუშავდა. ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასთან ერთად თავი ისახელა მილიონობით კოლმეურნე გლეხმა. საქართველოს კოლმეურნე გლეხობა ცხოველმყოფელი აქტივობით გამოეხმაურა ინიციატივას „თავდაცვის საკოლმეურნეო ჰექტრების გამოყოფის შესახებ"[21].

რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეებს უშუალოდ შეჰქონდათ მარცვლეული თავდაცვის ფონდში, მაგ., 1941 წლის 1 სექტემბრისათვის ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში საქართველოს 19 რაიონის კოლმეურნეებს ჩაბარებული ჰქონდათ 503 ტონა მარცვლეული[22].

თავდაცვის საკოლმეურნეო ჰექტარები გამოყოფილ იქნა როგორც მარცვლეულისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულის მწარმოებელ კოლმეურნეობებში, ისე მეცხოველეობის, ტექნიკური და ციტრუსოვანი კულტურების რაიონებში. ასეთი ჰექტარები საქართველოს კოლმეურნეობებში დღითიდღე იზრდებოდა და ახალ-ახალ ფართობებს და დარგებს იჭერდა. კოლმეურნეობები და ცალკე რაიონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ როგორც თავდაცვის ჰექტარების მეტი რაოდენობით დათესვის, ასევე თვითოეული ჰექტარიდან უხვი მოსავლის მიღებისათვის. 1941 წელსვე, მაგალითად, ასპინძის რაიონში ამ ფონდისათვის საშემოდგომო კულტურები დაითესა 110 ჰექტარზე, ლაგოდეხის რაიონში — 145 ჰექტარზე, ახალციხის რაიონში — 153 ჰექტარზე. თავდაცვის საკოლმეურნეო ჰექტარები დაითესა აგრეთვე სიღნაღის, გურჯაანის, ადიგენის, წითელწყაროს, თელავის, ყვარლის, დუშეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისისა და სხვა რაიონებში[23]. სამამულო ომის მომდევნო წლებში თავდაცვის საკოლმეურნეო ჰექტრები ყოველწლიურად მზარდ მაჩვენებლებს იძლეოდა. მაგალითად, 1942 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ამ მიზნით ზეგეგმით 53000 ჰექტარზე მეტი ფართობი დათესეს მარცვლეულისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებით[24], ხოლო 1943 წელს იგი 55 ათას ჰექტარამდე გაადიდეს[25].

---

[21] საქართველოში ამ საქმის ინიციატორად ასპინძელი კოლმეურნეები გამოდიან. 1941 წ. აგვისტოში სოფელ საროს კოლმეურნეობა „წითელი საროს" წევრებმა წამოაყენეს წინადადება: კოლმეურნეობებში შემოდგომაზე გეგმის გადამეტებით თავდაცვის ჰექტარების დათესვის შესახებ. საროს კოლმეურნეობის ამ ინიციატივის საფუძველზე ასპინძის რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობამ მასობრივად აიღო ვალდებულება თავდაცვის ფონდისათვის დათესონ საშემოდგომო ხორბალი არა ნაკლებ 64 ჰექტარისა. მათვე იკისრეს თავდაცვის თვითეული ჰექტარის საშუალო მოსავალის გადიდება რამდენიმე ცენტნერით.

[22] გაზ. „კომუნისტი", 1941, 5 სექტემბერი.

[23] გაზ. „კომუნისტი", 1942, 16 იანვარი.

[24] გაზ. „კომუნისტი", 1942, 16 ივნისი.

[25] გაზ. „კომუნისტი", 1944, 22 თებერვალი.

1943 წელს საქართველოს კოლმეურნეებმა, შეასრულეს ოა პურის ჩაბარების გეგმა, სახელმწიფოს 550 ათასი ფუთი მარცვლეული მიყიდეს. თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდში ჩააბარეს დიდი რაოდენობით პური და 9 ათასი სული პირუტყვი. ომის წლებში საქართველოს კოლმეურნეებმა სახელმწიფოს სულ 11.5 მილიონი ფუთი პროდუქტი და ნედლეული შესძინეს. საბჭოთა საქართველოდან განუწყვეტლივ მიედინებოდა ეშელონები ფრონტისა და ომით დაზარალებული რაიონების დასახმარებლად.

თავდაცვის ფონდს გარკვეულ პერიოდში ცალკე გამოეყო „წითელი არმიის პურის ფონდი", რომლის ლიმიტირებას გეგმიური ხასიათი მიეცა და დაყვანილ იქნა თვითეულ კოლმეურნეობამდე (საშუალოდ თვითეულ კოლმეურნეობას 100-დან 350 ცენტნერამდე მარცვლეული შეჰქონდა ამ ფონდში ყოველწლიურად).

მასობრივი გახდა ფრონტელთა ოჯახებისადმი ზრუნვა, რესპუბლიკის მშრომელებმა მათ ინდივიდუალური საბოსტნე ნაკვეთები გამოუყვეს 7 ათასი ჰექტარის ოდენობით. მშრომელებმა მათთვის ასევე შეაგროვეს და გადასცეს 3 ათასამდე ტონა მარცვლეული, ერბო, კარაქი, ყველი და სხვა პროდუქტები. ფრონტელთა ოჯახებს მხოლოდ 1943 წელს 1000-მდე სული პირუტყვი დაურიგდა[26]. ამ მხრივ უფრო დიდი ნაბიჯი გადაიდგა 1944—1945 წლებში. ამრიგად, რესპუბლიკის მშრომელები იბრძოდნენ თავდაცვის ფონდებისა და საბჭოთა არმიის სასურსათო ბაზის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, ისინი ყოველდღიურად ზრუნავდნენ ფრონტელთა ოჯახებზე. მათ ჯანმრთელობასა და გამოკვებაზე.

დახმარების იმ სხვადასხვა ფორმებიდან, რომლებსაც საქართველოს მშრომელები მიმართავდნენ საბჭოთა არმიისადმი დახმარების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის მებრძოლთათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვების საქმეს.

საბჭოთა არმიისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება დაიწყო ომის პირველსავე წელს და გრძელდებოდა სამამულო ომის სრულ გამარჯვებამდე. საქართველოს მშრომელები სისტემატურად უგზავნიდნენ საბჭოთა მეომრებს თბილ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, თეთრეულს, ხელთათმანებს, წინდებს, ქუდებსა და სხვ. თბილი ტანსაცმლის შეგროვება საბჭოთა მებრძოლებისათვის რესპუბლიკაში 1941 წლის სექტემბრიდან უკვე საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა.

---

[26] გაზ. „კომუნისტი", 1944, 29 თებერვალი.

საქართველოს მუშები, გლეხები, ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდები მთელი თავიანთი სახსრებითა და შესაძლებლობით აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა არმიის თბილი ტანსაცმლით უზრუნველყოფის საერთო პატრიოტულ მოძრაობაში. მეტად აქტიურად გამოეხმაურა მას კოლმეურნე გლეხობა[27].

რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან, ფაბრიკა-ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან ფრონტებზე განუწყვეტლივ მიედინებოდა ეშელონები, დატვირთული მშრომელთა სადღესასწაულო საჩუქრებით. საქართველოში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანა ამ საქმეში და რითაც კი შეეძლო არ მიელოცა ფრონტელი მებრძოლებისათვის ახალი წელი, 1 მაისი, 7 ნოემბერი, წითელი არმიის დღე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების თარიღი და სხვ. საჩუქრებთან ერთად ფრონტზე უგზავნიდნენ სიყვარულით აღსავსე გულთბილ წერილებს, მოუთხრობდნენ ზურგში გაჩაღებულ გმირულ შრომაზე და მოუწოდებდნენ ფრონტზე ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ. საჩუქრები ეგზავნებოდათ მოსკოვის, ლენინგრადის, კუიბიშევისა და სხვა ქალაქების მშრომელებსაც.

მხოლოდ 1942 წელს საქართველოდან საბჭოთა მეომრებს ფრონტებზე გაეგზავნათ 175 ვაგონი სხვადასხვა სახის სახალხო საჩუქარი. საჩუქრები იგზავნებოდა ფრონტის ყველა მიმართულებით.

მტრის ძალების დამარცხება საბჭოთა არმიის მიერ უდიდეს აღფრთოვანებას იწვევდა საქართველოს მშრომელებში. ეს გამარჯვებანი ყოველთვის აღინიშნებოდა ახალი საწარმოო აღმავლობით, მასობრივი სოცშეჯიბრებითა და საბჭოთა გმირი არმიისადმი მორიგი საჩუქრების გაგზავნით. 1942 წელს მხოლოდ საბჭოთა არმიისა და

---

[27] მაგ., წითელწყაროს რაიონის მშრომელებმა 1941 წლის ნოემბრის დასაწყისისათვის უკვე დაამზადეს 4355 წყვილი მატყლის წინდა, 1375 წყვილი მატყლის ხელთათმანი, 42 წყვილი ქერთუკი, 143 მატყლის ჟილეტი, 163 წყვილი ქეჩის ჩექმა, 100 წყვილი თბილი საცვალი. დიდი რაოდენობის საზამთრო ქუდები და სხვ.

ზემო სვანეთის მშრომელებს ამავე პერიოდისათვის საბჭოთა არმიის მებრძოლთათვის შეგროვილი ჰქონდათ 808 ცალი ცხვრის ტყავი, 177 კილოგრამი მატყლი, 154 ხელთათმანი და მრავალი სხვა სახის თბილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი (გაზ. „კომუნისტი", 1941, 4 ნოემბერი). რაიონებს შორის შეჯიბრება გაჩაღდა. — ცალკე სოფლები და კოლმეურნეობები ერთმანეთს ეცილებოდნენ ეინ უფრო მეტად გამოიჩენდა თავს საბჭოთა არმიისათვის საჭირო თბილი ტანისამოსის გადაცემის საქმეში 1941 წლიდანვე სვანმა ქალებმა მესტიელი ქალების ინიციატივით დაიწყეს ოდეკოლონი მატყლით შალის ქსოვა საბჭოთა მებრძოლებისათვის. მათ მიბაძეს სოფ. სეტის, სოფ. ლენჯერისა და სვანეთის სხვა სოფლების ქალებმა, რომლებმაც მოქსოვეს რამდენიმე ასეული მეტრი მაღალხარისხოვანი შალი და გაუგზავნეს საბჭოთა მებრძოლებს საჩუქრად (გაზ. „კომუნისტი", 1941, 27 ნოემბერი).

სამხედრო საზღვაო ფლოტის დღესთან დაკავშირებით საქართველოს მშრომელებმა ფრონტზე ორი ეშელონი (60 ვაგონი) ძვირფასი საჩუქრები გაგზავნეს[27].

აღსანიშნავია აგრეთვე ის წვლილი, რაც საქართველოს მშრომელებმა შეიტანეს თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად ფულისა და ძვირფასეულთა სახით. საბჭოთა ადამიანებმა ომის დასაწყისიდანვე ნებაყოფლობით იწყეს ფულადი სახსრებისა და ძვირფასეულთა — ოქროს, ვერცხლის, პლატინის და სხვათა შეტანა თავდაცვის ფონდის განმტკიცებისათვის. იმდენად მასობრივი იყო ეს პატრიოტული წამოწყება, რომ მასში საბჭოთა მშრომელებთან ერთად მონაწილეობდნენ კულტის მსახურებიც კი[28]. საქართველოს მშრომელებს თავდაცვის ფონდში 1942 წლის 15 თებერვლისათვის უკვე შეტანილი ჰქონდათ 45 მილიონი მანეთი ნაღდ ფულად, 47 284 ათასი მანეთის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები და დიდი რაოდენობის პლატინა, ოქრო-ვერცხლი და ასევე უცხოური ვალუტა. მასების ეს ინიციატივა ყოველწლიურად ღრმავდებოდა.

ფართო ხასიათი მიიღო აგრეთვე ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების გავრცელებამ. 1941 წლის ბოლოს საბჭოთა მთავრობამ ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცების მიზნით გამოუშვა ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები 1 მილიარდ 300 მილიონი მანეთის რაოდენობით[29]. ასევე გამოშვებულ იქნა მეორე ლატარიის ბილეთები 2 მილიარდი მანეთის, მესამე ლატარიის — 3 700 მილიონი მანეთისა და მეოთხე ლატარიის ბილეთები — უფრო მეტი თანხის რაოდენობით.

საქართველოს მშრომელების მიერ ფულისა და ნივთების ოთხი ლატარიის ბილეთების რეალიზაციის თანხამ 350 მილიონ მანეთზე მეტს მიაღწია.

დიდი სამამულო ომის პერიოდში სახელმწიფო სამხედრო სესხების პირდაპირი დანიშნულება იყო ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება. კარგად ჰქონდათ რა ყოველივე ეს შეგნებული საბჭოთა ადამიანებს, ისინი უმაგალითო პატრიოტული ერთსულოვნებით აწერდნენ ხელს სახელმწიფო სამხედრო სესხზე.

იმის გასათვალისწინებლად თუ როგორი შეუნელებელი წარმატებით ვრცელდებოდა საქართველოს სსრ მშრომელთა შორის

---

[27] გაზ. „კომუნისტი", 1942. 21 თებერვალი.
[28] გაზ. „კომუნისტი", 1943. 3 თებერვალი.
[29] გაზ. „კომუნისტი", 1942, 14 აპრილი.

აღნიშნული სესხები სამამულო ომის ყოველ წელს, აღვნიშნავთ, რომ პირველი სამხედრო სესხის ობლიგაცია გეგმით თუ უნდა გავრცელებულიყო 291 მილიონი მანეთის. ფაქტიურად გავრცელდა 313,599 ათასი მანეთის. მეორე სესხის ობლიგაცია (1943 წ.) გეგმით უნდა გავრცელებულიყო 314 მილიონი მანეთის, ფაქტიურად გავრცელდა 458 მილიონ 310 ათასი მანეთის, მესამე (1944 წ.) სესხის— 683 მილიონ 576 ათას მანეთის, ე. ი. გეგმის 125,5%. მეოთხე (1945 წ.) სესხის ობლიგაციების გავრცელების გეგმა საქართველოში 107% შესრულდა[30]. რესპუბლიკის მშრომელების მიერ ომის პერიოდში ნებაყოფლობით შეტანილი თანხების რაოდენობა მთლიანად თავდაცვის ფონდის განმტკიცებისათვის (სესხების ჩათვლით) 3 მილიარდ 170 მილიონ მანეთს აღემატებოდა.

3. შეფობა სამშობლოს დამცველთა ოჯახებზე. დაბრილი და ავადმყოფი მეომრებისა და დაობლებული ბავშვებისადმი

> „ყოველგვარი დახმარება წითელარმიელებისათვის ზურგში გაწეული, დაუყოვნებლივ იწვევს წითელი არმიის გაძლიერებას, მათი სულისკვეთების განმტკიცებას ავადმყოფთა რიცხვის შემცირებას და შეტევითი უნარის გადიდებას."[31]

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ასრულებდა რა ლენინის ამ მითითებას, ფრონტის გაძლიერებისათვის ყოველდღიურ ზრუნვასთან ერთად შეუნელებელ დახმარებას უწევდა ფრონტელთა ოჯახებს.

ძლევამოსილ საბჭოთა არმიას განმათავისუფლებელ ბრძოლებში დიდად აღაფრთოვანებდა ის მშობლიური მზრუნველობა და დახმარება. რასაც ხალხი და სახელმწიფო უწევდა გმირ საბჭოთა მეომრებს, მათ შვილებს, ცოლებსა და მოხუც მშობლებს.

---

[30] სამხედრო სესხზე ხელის მოწერისას მეტად დიდი იყო კოლმეურნე გლეხების პატრიოტიზმი. მაგ., თელავის რაიონის სოფ. ომალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ტოროშაშვილმა მესამე სამხედრო სესხზე ხელი მოაწერა 310 ათასი მანეთის ოღენობით (გაზ. „კომუნისტი". 1944. 5 მაისი). ყვარლის მტს-ის კომბაინერმა ვარდანაშვილმა სახელმწიფოს სესხად მისცა 260 ათასი მანეთი. ზესტაფონის რაიონის ცხრაწყაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გოცაძემ 200 ათასი მან. და სხვ. საქართველოს კოლმეურნე გლეხები, აწერდნენ რა ხელს სახელმწიფო სამხედრო სესხების დიდ თანხებზე.. ხშირ შემთხვევაში , თანხები შეაჭონდათ ნაღდ ანგარიშზე. მაგ., ზესტაფონის რაიონის კოლმეურნემ მექი ელენტმა ნაღდ ანგარიშზე შეიძინა მესამე სამხედრო სესხის ობლიგაციები 100 ათასი მან. რაოდენობით (გაზ. „კომუნისტი", 1944, 10 მაისი).

ამავე რაიონის კოლმეურნე სამუელ ბოკორიშვილმა ნაღდ ანგარიშზე შეიძინა მესამე სამხედრო სესხის ობლიგაციები 100 ათასი მან. რაოდენობით (გაზ. „კომუნისტი", 1944, 10 მაისი). კოლმეურნე რაფიელ სალუქვაძემ ნაღდ ანგარიშზე შეიძინა მესამე სამხედრო სესხის ობლიგაციები 100 ათასი მან. რაოდენობით (გაზ. „კომუნისტი". 1944, 10 მაისი) და სხვ.

[31] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31. გვ. 377.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე საბჭოთა მთავრობის მზრუნველობამ თავისი გამოხატულება კანონმდებლობით დადგენილებებშიც პოვა. მრავალთაგან განსაკუთრებით საყურადღებო, შემდეგი:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1941 წლის 26 ივნისს გამოსცა ბრძანებულება: „სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი ომის დროს დახმარების დანიშვნისა და მისი გადახდის წესების შესახებ". ასევე გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების მოწყობის შესახებ" და სხვ.

გარდა აღნიშნულისა, საბჭოთა მთავრობის მზრუნველობა გამოხატულებას პოულობდა ფრონტელთა ოჯახებისადმი ფულადი თანხებით, სასურსათო პროდუქტებით, ტანსაცმელით, დახმარებაში, სასოფლო-სამეურნეო გადასახადებზე შეღავათისა და სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებისაგან განთავისუფლებაში, ფრონტელთა შვილების სწავლის ფულისაგან განთავისუფლებასა და ფრონტელთა ოჯახებისათვის ბინის ქირაზე შეღავათების დაწესებაში. აქ დასახელებული თვითეული სახის შეღავათი ასეული მილიონობით თანხას უდრიდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა სახელმწიფო სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს აძლევდა ერთდროულ ფულად დახმარებას, უნიშნავდა გაძლიერებულ პენსიებს და ეხმარებოდა როგორც სურსათ-სანოვაგითა და სათბობით, ასევე სამრეწველო პროდუქტებით[32].

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი ზრუნვის გაძლიერების მიზნით სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან სათანადო განყოფილებანი ჰქონდა. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე ზრუნვამ მეტად ორგანიზებული ხასიათი მიიღო. იგი მრავალმხრივი, ოპერატული და ქმედითი გახდა[33].

---

[32] გაზ. „კომუნისტი". 1943, 25 თებერვალი. მაგალითად, 1941—1942 წლებში საქართველოს სსრ ფრონტელთა ოჯახებს მიეცა ფულადი დახმარება 300 მილიონი მანეთის ოდენობით, ხოლო მთლიანად სამამულო ომის პერიოდში საქართველოში რიგით და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის ფრონტელთა ოჯახებზე გაცემულია 819 მილიონი მანეთი სახელმწიფო დახმარებისა და 57 მილიონი მანეთი პენსიების სახით (გაზ. „კომუნისტი". 1946, 13 თებერვალი).

[33] რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში 1943 წლიდან მასობრივად ჩამოყალიბდა ფრონტელთა ოჯახების დამხმარე კომისიები. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, საქალაქო

რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრთა მიერ როგორც ახალი საწარმოო კვალიფიკაციის მიღების, ისე სამუშაოზე მოწყობის საქმეს[34].

ფრონტელთა ოჯახებზე ერთნაირად ზრუნავდნენ როგორც სოფლად, ასევე ქალაქად. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ სახელმწიფო საკალდებულო ჩაბარებებისაგან 150 ათასამდე ფრონტელის ოჯახი მთლიანად განთავისუფლებულ იქნა[35].

რესპუბლიკის კოლმეურნეობები ეხმარებოდნენ ფრონტელთა ოჯახებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ორპროცენტიანი ფონდიდან, საკოლმეურნეო ურთიერთდამხმარე სალაროებიდან და სხვ.

კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებული საყოფაცხოვრებო ბრიგადების მთელი საქმიანობაც სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი საერთო მზრუნველობის ნიშნით წარიმართებოდა.

ამრიგად, საბჭოთა საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო შეუნელებლივ ზრუნავდნენ სამშობლოს დამცველთა ოჯახებზე და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სამშობლოს დამცველები მტკიცედ ყოფილიყვნენ დარწმუნებულნი თავიანთი ოჯახებისადმი სახელმწიფოებრივ და საყოველთაო-სახალხო მზრუნველობაში.

სამშობლოს დამცველთა ოჯახების სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქში მცხოვრებ ფრონტელთა ოჯახებისათვის საბოსტნე ნაკვეთების გადაცემას და მის დამუშავებაში მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას, ისევე როგორც კოლმეურნე ფრონტელთა ოჯახთადმი დახმარებას საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების საქმეში. საბჭოთა მთავრობის დადგენილების საფუძველზე პარტიული, საბჭოთა,

---

და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეები, სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, ქარხკომებისა და ადგილკომების თავმჯდომარეები პირადად ხელმძღვანელობდნენ ფრონტელთა ოჯახებისადმი ზრუნვისა და დახმარების საერთო საქმეს. სისტემატურად ეწყობოდა თათბირები ფრონტელთა ოჯახების მდგომარეობის საკითხებზე და სხვ.

[34] მხოლოდ 1943—1944 წლებში საქართველოს სსრ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებების მიერ სხვადასხვა სამუშაოზე მოწყობილ იქნა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის 27 748 წევრი, ხოლო 1945 წლისათვის მათი რიცხვი 33 589 კაცამდე გაიზარდა (გაზ. „კომუნისტი". 1946. 13 თებერვალი).

[35] გაზ. „კომუნისტი", 1945, 25 აგვისტო.

პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ადგილებზე ფრონტელთა ოჯახებმა მასობრივად მიიღეს საბოსტნე ნაკვეთები[38]. ფრონტელთა ოჯახებს ეწეოდათ სხვა სახის დახმარებებიც. მაგალითად, რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებმა 1943—1945 წლებში ნედლეულის ეკონომიისა და წარმოების ნარჩენების რაციონალური დამუშავებით, სამუშაო დროის შემჭიდროებითა და ღამასვენებელი დღეების გამოყენებით სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის ზეგეგმით 32 835 ცალი ტანსაცმელი, 47 610 წყვილი ფეხსაცმელი, 43 889 მეტრი შალის ქსოვილი, 125 345 კგ საპონი და სხვა სახის პროდუქცია გამოუშვეს და ფრონტელთა ოჯახებს გადასცეს (გაზ. „კომუნისტი", 1946, 13 თებერვალი).

1945 წ. სამხედრო მოსამსახურეთა 47 417 ოჯახს გაეწია დახმარება ინდივიდუალური საბოსტნე ნაკვეთის დამუშავებაში და 11 661 ოჯახს კი უფასოდ მიეცა თესლი.

სამშობლოს დამცველთა ოჯახებისადმი ზრუნვის საქმეში მოწინავეთა რიგებში იდგა საქართველოს ინტელიგენცია: მეცნიერები, უმაღლესი სასწავლებლების და სკოლების პედაგოგიური, სტუდენტობა და მოწაფეობა, ხელოვნების მუშაკები და სხვ.

საქართველოს პროფესიული კავშირის, კომკავშირის, რემედასისა და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები თავიანთ მიერ შეგროვებული მილიონობით თანხებით, ტონობით სასურსათო და სამრეწველო პროდუქტებით ეხმარებოდნენ ფრონტელთა ოჯახებს. ისინი სათავეში უდგნენ მშრომელთა ყოველ ახალ ინიციატივას ამ მიმართულებით.

რესპუბლიკის ხელოვნების დარგის მუშაკთა მიერ სისტემატურად იმართებოდა კონცერტები, რომელთა მთელი შემოსავალი ფრონტელთა ოჯახების სასარგებლოდ ირიცხებოდა. მათ არც რემედასელები ჩამორჩნენ. მაგალითად, 1943 წლის შემოდგომაზე გურჯაანის რაიონის რემედასის ორგანიზაციის წევრებმა დათესეს 13 ჰექტარი ხორბალი და მთელი მოსავალი ფრონტელთა ოჯახებს გაუნაწილეს. საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და

---

[38] 1943 წელს რესპუბლიკაში 18 ათასმა ფრონტელთა ოჯახმა მიიღო 2000 ჰექტარი მიწის ფართობი ინდივიდუალური მებოსტნეობისათვის, მათვე მიეცათ სათესლე 20 ათას კილოგრამამდე მარცვლეული და ამ ფართობთა დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობებმა. მაგალითად, ერთ-ერთი კვირეულის ჩატარების შედეგად რესპუბლიკაში 1958 ფრონტელთა ოჯახს დაუხნეს საკარმიდამო ფართობები და სხვა სახის დახმარებაც გაუწიეს. ფრონტელთა ოჯახებზე ზრუნვისა და, კერძოდ, მათი საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების საქმეში მოწინავე ადგილი ეჭირა სოფლის ახალგაზრდობას, კომკავშირელებს და კავშირგარეშე ახალგაზრდებს.

ინტელიგენცია ფრონტელთა ოჯახებისადმი ზრუნვას მშობლიურ ღვიძლ საქმედ თვლიდნენ[37].

რესპუბლიკის მშრომელების ამ ზრუნვის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა სამამულო ომის პერიოდში ჩატარებული ფრონტელთა ოჯახების დახმარების კვირეულები და ამ კვირეულთა შედეგები.

საქართველოში სულ ოთხი კვირეული ჩატარდა. პირველად ასეთი კვირეული 1942 წლის ოქტომბრის ბოლოს მოეწყო. 1943 წელს ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად კვირეული ორჯერ ჩატარდა, ერთი — წლის დასაწყისში (1 — 7 თებერვალი). და მეორე — წლის ბოლოს (10—18 ნოემბერი). ფრონტელთა ოჯახებზე ზრუნვამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს[38].

1943 წ. 1-დან 7 თებერვლამდე ჩატარებული ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების კვირეულის შედეგად საქართველოს სსრ-ში, არსებული ცნობებით, დახმარება გაეწია 52 ათას ფრონტელის ოჯახს[39]. სამამულო ომის პერიოდში სამხედრო მომსახურეთა 50 440 ოჯახს გაუუმჯობესდა საბინაო პირობები. მათ შორის 5 578 ოჯახს მიეცა ახალი ბინა, 751 ოჯახს კი აუშენეს ცალკე სახლი.[40]

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ფრონტელთა ოჯახებზე ზრუნვამ საქართველოში საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო, ხოლო ამ დახმარების უამრავ ფორმებსა და სახეობებში გამოვლინდა მასების უდიდესი პატრიოტიზმი. სამშობ-

---

[37] მაგ., ფოთის სატყეო და სატყეო-სამრეწველო მეურნეობიდან ჯარში გაწვეულ 47 თანამშრომლის ოჯახები დაწესებულებების დანარჩენ თანამშრომელთა სისტემატურ მზრუნველობას გრძნობდნენ — ამ ოჯახებს გამოუყვეს საბოსტნე ფართობები, მოუხნეს და დაუთესეს უფასოდ, უზრუნველყვეს შეშით ზამთრისათვის, გადმოუზიდეს მოსავალი, 12 ოჯახი უზრუნველყვეს ტანსაცმლით, უფასოდ მისცეს 380 კგ სიმინდი და სხვ. (სამ. ომის ისტ. არქივი, ფონდი 4, საქმე 145, გვ. 2). თბილისის კალინინის სახელობის რაიონის ფრონტზე წასული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს 1943 წლამდე 940 ოთახი მიეცათ, შეუკეთდათ 217 ბინა და სხვ.

[38] მაგ., ქობულეთის რაიონის მშრომელებმა ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად შეაგროვეს 755 კუბომეტრი შეშა, 7365 მანეთი ფულად, 8140 კილოგრამი სიმინდი, ბრინჯი და სხვა სასურსათო პროდუქტები (გაზ. „კომუნისტი", 1943, 26 თებერვალი).

ოთხი დღის განმავლობაში ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად შეაგროვეს 16 422 კილოგრამი ხორბალი, 155 კილოგრამი ქერი, 2345 კილოგრამი ზეთი, 122 კილოგრამი ყველი და სხვ. (გაზ. „კომუნისტი", 1943, 14 თებერვალი).

[39] გაზ. „კომუნისტი", 1943, 25 თებერვალი. თეთრი წყაროს რაიონში შეიქმნა 45 თემურელთა რაზმი, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ ფრონტელთა ოჯახებს საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების, შეშის დამზადებისა და სასურსათო პროდუქტების შეგროვების სახით.

[40] გაზ. „კომუნისტი", 1956, 13 თებერვალი.

ლოს დამცველთა ოჯახებისადმი ზრუნვამ ყველაზე უფრო ნათელი გამოხატულება მათი შვილების ჯანმრთელობის დაცვისა და საყოფაცხოვრებო პირობებზე მზრუნველობაში ეპოვა. ამ მხრივ დიდ აქტივობას იჩენდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებანი ადგილებზე[41].

რესპუბლიკის მრავალმა მოწინავე სამრეწველო საწარმოს მუშამ სამშობლოს დამცველთა ბავშვებისათვის 1943—1945 წლებში ზეგეგმით თავისუფალ საათებში დაამზადეს 160 ათასი ცალი ტანსაცმელი, 30 ათასი წყვილი წინდა, 21 ათასი წყვილი ფეხსაცმელი და სხვა საგნები[42].

მშრომელებმა განსაკუთრებით დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების მოვლა-პატრონობის საქმეში. ომის წლებში მრავალი ბავშვი აიყვანეს შვილად. ამასთანავე 39 საბავშვო სახლში 4 400-მდე ობოლი აღსაზრდელი იყო გაერთიანებული, სადაც ისინი იზრდებოდნენ, იძენდნენ ცოდნას და მშობლიური მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი[43].

ხანგრძლივმა სისხლისმღვრელმა ომმა დიდი მსხვერპლი მოითხოვა საბჭოთა ადამიანებისაგან. მრავალი ბავშვი დაობლდა, უდედმამოდ დარჩა. მაგრამ საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით და საბჭოთა ხალხის დახმარებით დაობლებული ბავშვები ობლობას ნაკლებად გრძნობდნენ. ჯერ კიდევ 1942 წლის თებერვალში საქართველო-

---

[41] მათი ინიციატივით სამამულო ომის სამი უკანასკნელი წლის მანძილზე სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა, ბანაკებსა და მოედნებზე სამხედრო მოსამსახურეთა 144 ათასზე მეტი ბავშვი იმყოფებოდა. რესპუბლიკაში 3500 სუსტი ბავშვისათვის მოეწყო სპეციალური სანატორიუმები გაძლიერებული კვებით. (გაზ. „კომუნისტი", 1946, 13 თებერვალი).

ამასთანავე სკოლებში ფრონტელთა 2000 ბავშვზე მეტი უზრუნველყოფილი იყო უფასო საუზმით, სახელმძღვანელოებითა და რვეულებით. ხელმოკლე ფრონტელთა ოჯახების ბავშვებს ერთდროულად მიეცა 723 603 მანეთი დახმარება. ფრონტელთა ოჯახთადმი სისტემატურად დასახმარებლად რაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში შეიქმნა როგორც ფულადი ფონდი, ასევე პროდუქტებისა და ტანსაცმლის საგანგებო ერთგვარი მარაგები. სამშობლოს დამცველთა შვილებისადმი რესპუბლიკის ცალკეულ კუთხესა და რაიონებში მშრომელების ზრუნვა მთელი რიგი სპეციფიკურობით ხასიათდებოდა. მაგ., ქ. ქუთაისის, წყალტუბოს, ლანჩხუთის, ცხაკაიას, მახარაძის, თელავის, ორჯონიკიძის, ზუგდიდის, შცხეთის რაიონებში სამხედრო მოსამსახურეთა ხელმოკლე ბავშვებს, წარჩინებულ მოსწავლეებს, სტიპენდიები ენიშნებოდათ და ზოგიერთ მათგანს უფასოდ ეძლეოდა ულუფა და სხვ., (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1946, 13 თებერვალი).

[42] გაზ. „კომუნისტი", 1946, 13 თებერვალი.

[43] გაზ. „კომუნისტი", 1946, 13 თებერვალი. დამახასიათებელია, რომ ომიანობის პერიოდში ბავშვთა აღზრდის საკითხებიც კი მტერზე გამარჯვების მოპოვების საერთო ინტერესებს პასუხობდა.

ში ჩატარდა საგანგებო თათბირები ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად. თათბირებზე მონაწილე სკოლების დირექტორები, მილიციის განყოფილებათა უფროსები, რაიონული განათლებისა და ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეები და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები ქმედით ღონისძიებებს სახავენ. მშრომელთა ფართო მასების აქტივობით უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები საყოველთაო-სახალხო მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი.

რესპუბლიკის ბევრ სამრეწველო საწარმოთა, საკოლმეურნეო მინდვრებისა და კულტურის ფრონტის მოწინავე მუშაკებს, პირადი დანაზოგიდან თანხები და პროდუქტები შეჰქონდათ უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა ფონდში[44].

ფრონტელთა შვილებისა და უდედმამოდ დარჩენილი ბავშვებისათვის დახმარების საქმეში თავი ისახელა საქართველოს კომკავშირულმა ახალგაზრდობამ დახმარების მთელი რიგი კვირეულის მოწყობით[45]. ასევე დიდ მზრუნველობას იჩენდნენ განათლებისა და ჯანმრთელობის ორგანიზაციები[46].

4. საქართველოს მშრომელთა საშეფო მუშაობა ჰოსპიტლებში

დაჭრილ მეომრებზე მშობლიური ზრუნვის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებად იქცა რესპუბლიკის პარტიული, სამეურნეო, საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ შეფობის

---

[44] ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველმა ზ. ოთინაშვილმა ერთ დღეს 350 მან. გამოიმუშავა, ხოლო ხაშურის დეპოს მჭედელმა ბეჟან კალმახელიძემ 570 მანეთი და ორივემ ეს გამომუშავება ბავშვთა დახმარების ფონდში შეიტანა (ერთდროული გაზ. „საქართველოს რემედასელი", 1946, 26 აპრილი). ბავშვებზე დიდად ზრუნავდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მაგალითად, 1944—45 წლებში ობოლ ბავშვთა დახმარების ფონდში საქართველოს რემედასის კომიტეტმა 2 მილიონი მანეთი შეიტანა. მანვე შეფობა გაუწია 5 საბავშვო სახლს (გაზ. „საქართველოს რემედასელი", 1946. 26 აპრილი). საქართველოს რემედასის ორგანიზაცია ასევე მზრუნველობას იჩენდა და შეფობას უწევდა ფაშისტი ოკუპანტებისაგან ახლად განთავისუფლებულ საბჭოთა ბავშვებს. მაგალითად, საშეფო ქალაქების — ქლუხორის, კისლოვოდსკის და სტავროპოლის საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა ფონდში 200 ათასი მანეთი შეიტანა (გაზ. „საქართველოს რემედასელი", 1946, 20 აპრილი).

[45] სამხედრო ოჯახთა დახმარების კომკავშირული კვირეულის ჩატარების შედეგად ცაგერის რაიონის კომკავშირელთა მიერ დახმარება გაეწია 200 ოჯახს 4 ტონა სიმინდით, 0,5 ტონა ლობიოთი, 345 კუბომეტრი შეშით, 12 ოჯახს შეურეშონტეს საცხოვრებელი ბინა. ამავე წელს ობოლად დარჩენილ ბავშვთა დასახმარებლად შეაგროვეს და გადარიცხეს 600 ათასი მანეთი. ამასთანავე დაამუშავეს კომკავშირული ნაკვეთი და მიღებული 5 ტონა სიმინდი განაწილდა ფრონტელთა და უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე.

[46] მაგ., 1941 წლიდან 1943 წლამდე (ჩათვლით) ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილების მიერ პატრონატის წესით აყვანილ იქნა 37 ბავშვი. მისივე

ებლება საქართველოში ჩამოყალიბებულ მრავალრიცხოვან ჰოსპიტ-ლებზე, იქ მყოფ დაჭრილ და ავადმყოფ მეომრებზე.

კოლმეურნეობები და საწარმოო-დაწესებულებები, იღებდნენ რა შეფობას ჰოსპიტლებზე, სისტემატურად ზრუნავდნენ ავადმყოფი და დაჭრილი მეომრების მოვლა-პატრონობისათვის.

ომის პირველ პერიოდში ევაკოჰოსპიტლები სამხედრო უწყებას ექვემდებარებოდნენ, ადგილობრივი საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები კი ნაკლებად ერეოდნენ მათ მუშაობაში. დაჭრილთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას მხოლოდ არმიის პოლიტმუშაკები ეწეოდნენ. ხოლო საზოგადოებრიობა ამ მუშაობაში ნაკლებად მონაწილეობდა. სრულიად სხვაგვარი მდგომარეობა იქმნება 1942 წლის 28 ივნისიდან, როცა ევაკოჰოსპიტლები სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის სისტემიდან გადაყვანილ იქნა რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა და მათი ორგანოების განკარგულებაში. ამიერიდან ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაეკისრა პასუხისმგებლობა ჰოსპიტლების როგორც მატერიალური უზრუნველყოფის, ასევე დაჭრილთა სამკურნალო მომსახურეობისა და მათ შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დაყენების საქმეში. ფართოდ იქნა ჩაბმული ჰოსპიტლების მუშაობაში პარტიული და კომკავშირული. პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების — თავდაცვა-ავიაქიმის, წითელი ჯვრის, რემედასისა და სხვათა აქტივი.

დაჭრილთათვის მასობრივად ეწყობოდა საღამო-წარმოდგენები, ლექციები, კინოსურათები, საუბრები, გაზეთების კოლექტიური კითხვა. სააგიტაციო მუშაობაში ჩაბმული იყვნენ ექიმები. ექთანები და სხვ. ჰოსპიტლებში დაჭრილ მეომრებს ზეპირი და თვალსაჩინო აგიტღონისძიებებით აცნობდნენ საბჭოთა არმიის გმირულ ბრძოლებს ფრონტებზე და მასების შრომით წარმატებებს ზურგში —ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საწარმოებისა და დაწესებულებების შეფობა ჰოსპიტლებზე მასობრივ მოვლენად იქცა. მშრომელებს დაჭრილთათვის მიჰქონდათ გასართობი მუსიკალური ინსტრუმენტები, ლიტერატურა, ახალი გაზეთები, საახალწლო და სადღესასწაულო საჩუქრები.

დიდ მზრუნველობას იჩენენ ჰოსპიტლებისადმი მუშები და კოლმეურნეები, პედაგოგები და მოსწავლეები. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ჰოსპიტლების კეთილმოწყობისა და მატერიალური

დასტურით გაშვილებულ იქნა 9 ბავშვი. საბავშვო სახლებში მოთავსებულ იქნა 25 უდედმამო ბავშვი. საბავშვო სახლებში მოთავსებულ ბავშვთაგან 14 ფრონტზე დაღუპულის შვილი იყო (სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 29, ფურც. 8).

უზრუნველყოფის საქმეში. ამ მიზნით წითელი ჯვრის პირველადმა ორგანიზაციებმა საწარმოებში, დაწესებულებებსა და სკოლებში ჩამოაყალიბეს „სანიტარული ჯგუფები“, რომელთა წევრები მორიგეობდნენ მძიმედ დაჭრილ მეომრებთან, უკითხავდნენ მათ გაზეთებს, უწერდნენ წერილებს შინ გასაგზავნად, ატარებდნენ დაჭრილთადმი დახმარების კამპანიებს და სხვ.

საქართველოს სსრ ხელოვნების დარგის ორგანიზაციების მუშაკებმა საკუთარი ძალებით ჰოსპიტლებში ჩაატარეს 10 ათასზე მეტი კულტურული საშეფო ღონისძიება (საღამო-წარმოდგენები, კონცერტები და სხვ.), აქედან 3 ათასამდე—უშუალოდ ავადმყოფ და დაჭრილ მეომრებთან.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მუშაკებმა თავიანთ საშეფო ევაკოჰოსპიტალს 200 ტონა ქვანახშირი და 150 კუბომეტრი შეშა მიუზიდეს. ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა მათ მიერ შეფად აყვანილ ჰოსპიტალს შეუკეთა სადეზინფექციო კამერა, მისცა საზეინკლო იარაღების კომპლექტები და ავადმყოფებს მიუტანა სხვადასხვა სახის საჩუქრები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლმეურნე გლეხების და ცალკე კოლმეურნეობების ენერგიული საშეფო დახმარება ჰოსპიტლებისადმი. მაგალითად, ბორჩალოელმა კოლმეურნეებმა შეფად აყვანილ № 1418 ევაკოჰოსპიტალს საჩუქრად მისცეს რამდენიმე ცენტნერი ხორცი, ყველი, ხილი, თამბაქო, დაუთესეს 11,5 ჰექტარი ბოსტნეული[47].

დახმარება კოლმეურნეობების მიერ შეფად აყვანილ ჰოსპიტლებისადმი არ ატარებდა კამპანიურ და შემთხვევით ხასიათს. 1945 წლის 15-დან 22 თებერვლამდე საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში ჩატარდა დაჭრილ მებრძოლთა და ოფიცერთა დახმარების კვირეული. ამ კვირეულის შედეგად დაგროვილი დიდი რაოდენობით პროდუქტები, ლიტერატურა, თეთრეული, ნივთები და თანხები მთლიანად გადაეცა ჰოსპიტლებს.

ჰოსპიტლებში საშეფო მუშაობის ერთ-ერთ სერიოზულ უბანს წარმოადგენდა საქართველოს სამეცნიერო და პედაგოგიური დაწესებულებების მიერ დაჭრილ მებრძოლებთან ჩატარებული სალექციო მუშაობა. ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები, აგიტატორები და პროპაგანდისტები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ჰოსპიტლებთან და დიდი მნიშვნელობის პროპაგანდის-

[47] XV лет народного здравоохранения в Грузинской ССР, თბილისი, 1946.

ტულ-აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდნენ დაჭრილ მებრძოლებთან. ამ მხრივ თავი გამოიჩინა საქართველოს მწერალთა კავშირმა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს სსრ მეც. აკადემიამ, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სამხრეთ ოსეთის პედინსტიტუტების ლექტორებმა და სტუდენტობამ.

გარდა ამისა, დაჭრილ მებრძოლებს დახმარებას უწევდნენ ცალკე უწყებები და დაწესებულებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომკავშირული თაობის ახალგაზრდობისა და მოზარდთა აქტივობა, რომელიც მათ გამოიჩინეს დაჭრილი მებრძოლების დახმარების საქმეში.

საქართველოს რემედასის ორგანიზაციებმა ომის პერიოდში საშეფო მუშაობა სანიმუშოდ დააყენეს. მათ შეფად აყვანილ 28 ჰოსპიტალს ომის წლებში, გარდა კულტურული მომსახურეობისა, 5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საჩუქრები (ნივთები და პროდუქტები) გადასცეს დაჭრილებისათვის. აქტივისტი ქალები ღამეს უთევდნენ მძიმე დაჭრილებს, უწერდნენ წერილებს მახლობელთათვის და ხშირად საკუთარი ოჯახიდან უზიდავდნენ გემრიელ კერძებს[48].

საშეფო მუშაობამ ომის წლებში მეტად ფართო ხასიათი მიიღო. რესპუბლიკის მშრომელები შეფობას უწევდნენ ოკუპირებულ მოძმე რესპუბლიკებს ომით მიყენებული ჭრილობის მოსაშუშებლად; შეფობას უწევდა მუშათა კლასი გლეხობას, მტს-ებსა და კოლმეურნეებს საჭირო მანქანა-იარაღების მიწოდებისა და შეკეთების საქმეში.

თავი IX

დახმარება ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონებისადმი და ხალხთა მეგობრობის შეთდგომი განმტკიცება

1. მზრუნველობა ევაკუირებული მოსახლეობისადმი

სამამულო ომის პირველსავე პერიოდში საბჭოთა ტერიტორიაზე მტრის დიდი ძალების შემოჭრის გამო, ჩვენი ქვეყნის დასავლეთის რაიონებიდან აღმოსავლეთის ზურგის რაიონებისაკენ დაიძრა ევაკუირებული მოსახლეობის უზარმაზარი ტალღა. მილიონობით საბჭოთა ადამიანებისა და ცალკე ოჯახების ევაკუირებისა და ახალ საცხოვრებელ ადგილზე მათი კეთილმოწყობის ეს დიდი პროცესი ხორციელდებოდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ზურგის რაიონების მშრომელთა დახმარებით.

---

[48] გაეაძლიეროთ საშეფო მუშაობა, თბილისი, 1916. გვ. 4. (საქართველოს რემედასის ერთდროული გაჭოცემა).

ჯერ კიდევ 1941 წლის ბოლოს „პრავდის“ მოწინავე ჩვენი ქვეყნის ზურგის მშრომელებს მოუწოდებდა: „ზურგის რაიონების მკვიდრმა მოსახლეობამ ყოველგვარი მზრუნველობა და ყურადღება უნდა გამოიჩინოს ევაკუირებული მოსახლეობისადმი, მშობლიურ თბილ სახლად უნდა გადააქციონ მისთვის ახალი საცხოვრებელი ადგილები“[49].

ომის წლებში საქართველოში შემოდიოდა ევაკუირებული მოსახლეობა დიდი რაოდენობით. ოკუპირებული სამხრეთის, შავი და აზოვის ზღვების სანაპირო ქალაქებიდან, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილო კავკასიის სამრეწველო რაიონებიდან ევაკუირებულ ქარხნებს თან ჩამოყვა ათასობით კვალიფიციური მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი თავიანთი ოჯახების შემადგენლობით. საქართველოს მუშათა კლასის ცხოველმყოფელი მონაწილეობით სწრაფად ხდება ამ ქარხნების აღდგენა და მწყობრში ჩადგომა ისევე, როგორც ამ ქარხნებთან ერთად საქართველოში ჩამოსული ათასობით მუშათა ოჯახების მიღება და დაბინავება. ასევე ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის ოკუპაციის შედეგად, საქართველოსაკენ დაიძრა ევაკუირებულთა დიდი ტალღა. ევაკუირებულები საქართველოში მოდიოდნენ ყველა სახის ტრანსპორტით. იმის გასათვალისწინებლად თუ რამდენად მასობრივი იყო ლტოლვილთა ეს მოძალება, ჩვენ აქ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ აფხაზეთის სინამდვილიდან. 1942 წლიდან 1943 წლის 16 აპრილამდე მხოლოდ სოხუმში ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუირებული იყო 1768 კაცი[50]. აფხაზეთმა მიიღო აზოვისა და კრასნოდარის მხარის მეთევზეთა ფლოტი 78 ერთეულითა და 3 ათასი კაცის შემადგენლობით. სოხუმის თევზის ქარხანამ მეტად დიდი დახმარება გაუწია ევაკუირებულებს[51].

საქართველოს ტერიტორიაზე დროდადრო იმყოფებოდა საბჭოთა არმიისა და ფლოტის დიდი დანაყოფები. მაგ., 1942 წლის აგვისტოში ქ. სევასტოპოლიდან საქართველოში (აფხაზეთში) გადმოდის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო საბჭო, შტაბი და ყველა ცენტრალური დაწესებულება. მათ გადაეცათ გულრიფშში ლენინის სახ. სანატორიუმი, სინოპის ყველა დასასვენებელი სახლი, ახლო კოლმეურნეობებისა და ქალაქის მოსახლეობის ბინების ნაწილი მომსახურე პერსონალთათვის[52].

---

[49] გაზ. „პრავდა“. 1941. 18 დეკემბერი.
[50] სამამულო ომის ისტორიის არქივი. ფონდი 2, საქმე 973, ფურც. 152.
[51] იქვე. ფურც. 154.
[52] იქვე. ფურც. 150.

ევაკუირებულთა მიღებისა და მოწყობისათვის საქართველოში შეიქმნა სათანადო ორგანოები.

1941 წლის 23 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ყალიბდება საქართველოს ტერიტორიაზე ევაკუირებულთა დახმარების მუდმივი კომისია, სპეციალური საევაკუაციო სამმართველო და მის რწმუნებულთა რაიონული სათანადო დაწესებულებანი[53]. 1942 წ. 21 ნოემბერს შეიქმნა საქართველოში ევაკუირებული ოჯახების დაბინავების მთავრობის კომისია[54].

ევაკუირებულთათვის მოკლე დროში გამოყოფილ იქნა ბინები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, თელავში, დუშეთში, ლაგოდეხში და სხვ.[55]. ეს ბინები ნაწილდებოდა უმეტესად აღრიცხვაზე აყვანილ იმ ევაკუირებულ ოჯახებზე, რომლებიც ამა თუ იმ საწარმოს ევაკუაციასთან ერთად მოხვდნენ საქართველოში[56].

1942 წლის 5 იანვრიდან უქმდება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საევაკუაციო მუდმივი კომისია და ყალიბდება საქართველოს სსრ ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუირებული მოსახლეობისა და სამხედრო პირთა ოჯახების საევაკუაციო საქმის რწმუნებულთა საბჭო[57].

რესპუბლიკაში უაღრესად დიდი მუშაობა ტარდებოდა ევაკუირებულთა მიღებისა და მათი სათანადოდ დაბინავება-განლაგების მიზნით. სადგურებსა და ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებსა და გზატკეცილთა შესაყარზე მოეწყო სპეციალური ევაკოპუნქტები, რომლებიც მომსახურეობას უწევდენ ჩრდილო კავკასიიდან, ყირიმიდან, კრასნოდარის მხარიდან და სხვა მეზობელი რაიონებიდან საქართველოში ათეულ-ათასობით ევაკუირებულთ. ევაკოპუნქტები კეთილმოწყობილ თავშესაფარ დროებით კუთხედ იქცა ევაკუირებულთათვის, სადაც დიდ საგიტაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად, ევაკუირებულები უზრუნველყოფილი იყვნენ კვებით და ეძლეოდათ აგრეთვე ფულადი დახმარება[58].

მაგალითად, ქ. ქუთაისში თავშეფარებულ ევაკუირებულთა დინამიკა ასეთი სახით წარმოგვიდგება[59] (ცხრ. 28).

---

[53] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ჰარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11602, ფურც. 1.
[54] იქვე, ფონდი 14, საქმე 11616, ფურც. 3.
[55] იქვე, ფონდი 14, საქმე 11664, ფურც. 2—20.
[56] იქვე, ფონდი 14, საქმე 11619, ფურც. 5—13.
[57] იქვე, ფონდი 14, საქმე 12217, ფურც. 5.
[58] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 1013, ფურც. 4.
[59] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 298, გვ. 95.

წლების დასახელება	ევაკუირებული ოჯახები	სულ ევაკუირებული ქალი და კაცი
1941	401	763
1942	793	1636
1943	121	565
1944	96	247
სულ:	1411 ოჯახი	3211 კაცი.

იმავე ქ. ქუთაისში ევაკუირებულთა შრომით საქმიანობაში ჩაბმა ასეთ სურათს გვაძლევს:[60]

1941	წელს	203	ევაკუირებული
1942	„	432	„
1943	„	454	„
1944	„	93	

ევაკუირებული მოსახლეობისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას და მზრუნველობას იჩენდა ადგილობრივი ხელისუფლება ბინით, საკვებით და სამუშაო ადგილით მათი უზრუნველყოფის საქმეში.

ევაკუირებულთა ლტოლვა საქართველოს სსრ-ში განსაკუთრებით გაძლიერდა 1942 წლის ზაფხულში, როცა მტერი ჩრდილო კავკასიაში შემოიჭრა. ამიტომ საქართველოს ცენტრალურ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და რკინიგზის საკვანძო სადგურებში ევაკუირებულთა მიმღები და მოვლა-პატრონობის სასტუმრო პუნქტებიც კი შეიქმნა.[61] ფაშისტურ ჯოჯოხეთს გამოქცეული ევაკუირებული მოსახლეობა მოილტვოდა საქართველოში საზღვაო და სახმელეთო გზებით — გემებით, მატარებლებით, ავტომანქანებით, ურ-

[60] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4. საქმე 298, გვ. 95.

[61] მაგ., 1942 წლის აგვისტოში ქ. ქუთაისის რკინიგზის სადგურზე მოეწყო სპეციალური ევაკოპუნქტი ჩრდილო კავკასიიდან, ყირიმიდან და კრასნოდარის მხრიდან (აფსაზეთის გზით) ევაკუირებულ მოქალაქეთა ტრანზიტით გაგზავნისათვის თბილისსა და სხვა ადგილებში. ამ პუნქტში 1942 წლის აგვისტოდან 1943 წლის იანვრამდე გატარდა 9735 კაცი (სამამულო ომის არქივი, ფონდი 4. საქმე 298, გვ. 95).

ებით, ცხენებითა და ფეხითაც კი. მაგალითად, 1942 წლის მანძილზე გაგრის რაიონულმა ნავსადგურმა კრასნოდარის მხრიდან 11 750 ევაკუირებული გადმოიყვანა და გაგზავნა დანიშნულ ადგილას[62].

საქართველოს მშრომელები სიყვარულით ეგებებოდნენ ევაკუირებულთ. „სოფელში ხმა დაირხა: ევაკუირებულები მოდიანო. ყველას უნდოდა ენახა ისინი. მალე 35 ევაკუირებული ოჯახი ჩამოვიდა სოფელ საბაჟოს ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში. სულ ქალები და ბავშვები. ისინი მალე წაიყვანეს ოჯახებში. ჩამოსულები შრომისმოყვარულნი აღმოჩნდნენ და მუშაობა დაიწყეს კოლმეურნეობაში... ნატალია კოვალენკოს და ვარია ბანკინას სახლებიც კი აუშენეს. იასონ არჯანიამ ნახევარი ოდა დაუთმო თავის სტუმარს"[63].

სამრეწველო საწარმოების მოწყობილობათა და ქალაქის მოსახლეობასთან ერთად საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან, უკრაინიდან ევაკუირებულ იქნა ცალკე კოლმეურნეობები, კოლმეურნე ქალები, ბავშვები და მოხუცები, რომლებიც გულთბილად იქნენ მიღებული და რომლებსაც ყოველმხრივი დახმარება გაეწიათ. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობას ეწვია უკრაინის ხერსონის ოლქის გენიჩევსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. ეს ორი კოლმეურნეობა მრავალი წლის განმავლობაში ერთიმეორეს ეჯიბრებოდა. ომის მძიმე წლებში კი ქართველები დაეხმარნენ უკრაინელებს, რომლებიც ფრონტზე დაკრძალნი ჩამოვიდნენ სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, როგორც საკუთარ ოჯახში და გამოჯამრთელების შემდეგ ფრონტს დაუბრუნდნენ[64].

რესპუბლიკის მშრომელთა ევაკუირებულ მოსახლეობაზე ზრუნვას ნათლად ადასტურებს ისიც, რომ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის სოხუმისა და სხვა ქალაქების მშრომელებმა ევაკუირებულნი თავიანთი ოჯახებით საკუთარ ბინებში ძმურად მიიღეს, გამოუყვეს ოთახები და მათთან ერთად იზიარებდნენ მტრის შემოსევით გამოწვეულ საერთო უბედურებას. საქართველოში არ დარჩენილა არცერთი ქალაქი და დაბა, თითქმის არც ერთი სოფელი, რომ ასეთი მზრუნველობით და ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით არ მიეღოთ ევაკუირებული ოჯახების ახალ-ახალი პარტიები.

---

[62] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 5, საქმე 722.
[63] გაზ. „კომუნისტი", 1945, 6 თებერვალი, რ. ქორქიას ნარკვევიდან.
[64] Очерки развития народного хозяйства Украинской ССР, 1954, зд. 442.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მშრომელთა მზრუნველობა ევაკუირებულ ბავშვებზე. მტრის მიერ ოკუპირებული საბჭოთა მიწა-წყლიდან საქართველოში დიდი რაოდენობით ევაკუირებულ იქნა ნორჩი თაობა. საქართველოს მშრომელებმა ომის შედეგად უდედმამოდ დარჩენილ და ევაკუირებულ ბავშვებზე ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმედ მიიჩნიეს.

საქართველოში ევაკუირებულ მოსახლეობას თან ჩამოყვნენ ბავშვები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უდედმამო და უპატრონო იყო. მათი სწავლა-აღზრდა და მოვლა-პატრონობა რესპუბლიკის განათლების მუშაკების ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად გადაიქცა. მხოლოდ 1941—1943 წლებში მარტო ქართულ სკოლებთან დამატებით 50-მდე კლასი იქნა გახსნილი ევაკუირებული ბავშვებისათვის.

ევაკუირებულ ბავშვთათვის საქართველოს განათლების სამინისტრომ რესპუბლიკაში (ოლქებსა და რაიონებში) სპეციალური ლონისძიებები გაატარა მათთვის სკოლების გახსნისა და მშობლიურ ენებზე სწავლების ორგანიზაციისათვის. გამრავლდა ჯგუფები და რიგი ახალი სკოლები გაიხსნა, სადაც სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე.

ომის წლებში უდედმამოდ ევაკუირებულ ბავშვთა დიდი ნაწილი საქართველოში მოქმედ 45-მდე საბავშვო სახლში იზრდებოდა. იმის ნათელსაყოფად თუ როგორ მზრუნველობას იჩენდნენ საქართველოს მშრომელები ევაკუირებული ბავშვებისადმი, ჩვენ აქ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: დიდი სამამულო ომის დროს საქართველოში ევაკუირებული უდედმამო გოგონა მარია დემენტიევა წერილში, რომელიც ქ. ფსკოვში დაბრუნების შემდეგ 1946 წ. 24 მარტს გამოგზავნა, წერდა: „ფაშისტმა ჯალათებმა ჩვენი ქვეყნის ათეულ ათასობით ბავშვთან ერთად მეც დამირბიეს მშობლიური კერა, დამიხოცეს მშობლები და ბედის ანაბარა დამაგდეს. მე ბედმა მარგუნა მოვსულიყავი მზიურ საქართველოში... საქართველოში დავამთავრე ტექნიკუმი, მივიღე სპეციალური განათლება, აქვე ლენინური კომკავშირის წევრი გავხდი. მადლობის გრძნობით აღსავსე გულით დავტოვე მშობლიური საქართველო და გავეშურე გერმანელი ფაშისტებისაგან დანგრეული ფსკოვისაკენ. ახლა მე უკვე ვეწევი დამოუკიდებელ შრომას“.[65]

ევაკუირებული ბავშვების ყოველმხრივ უზრუნველსაყოფად

[65] გაზ. „საქართველოს რემედასელი“, 1946, 26 აპრილი.

დიდ საშეფო მუშაობას ეწეოდნენ კომკავშირული, პროფკავშირული, რემედასის, განათლებისა და ჯანმრთელობის ორგანიზაციები[ფ].

საბჭოთა მთავრობა ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ევაკუირებულ ბავშვებს. მაგ., 1943 წ. ზაფხულზე 20 ათასი ფრონტელის შვილი ისვენებდა ბავშვთა სანატორიუმებსა და გამაჯანსაღებელ სახლებში. ეწეოდათ დახმარება სურსათით, სახელმძღვანელო წიგნებითა და ტანსაცმლით.

საქართველოს სსრ მთავრობის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად საქართველოს მოსახლეობის ესოდენ გულთბილი მზრუნველობის შედეგად, ათასობით ევაკუირებული ოჯახები, უდედმამო ბავშვები მოელილ-ნაპატრონები დაუბრუნდნენ თავიანთ თავდაპირველ საცხოვრებელ კერას, ანდა მათი ნაწილი ომის შემდეგაც სამუდამოდ დარჩა საქართველოში.

2. ძმური დახმარება ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონებისადმი

დიდი სამამულო ომის მსვლელობაში მომხდარი ძირეული გარდატეხის შემდეგ საბჭოთა არმიის ახალ-ახალი გამარჯვებები ყოველდღიურად იზრდებოდა მტრის ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონთა რიცხვი. ბრძოლაში დაფარცხებული მტერი უკან იხევდა დასავლეთისაკენ და ზედიზედ სტოვებდა ქალაქებსა და სოფლებს, სარკინიგზო კვანძებს და სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს.

ჰიტლერელმა დამპყრობლებმა უდიდესი უბედურება მოუტანეს საბჭოთა ხალხს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და კულტურას. მათ მწყობრიდან გამოიყვანეს 37 მეტალურგიული ქარხანა, მოსპეს და დაანგრიეს 62 ბრძმედი. 213 მარტენის ღუმელი, 248 საგლინავი ჩარხი. ჰიტლერელების მიერ ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე ომამდე 88 მილიონი კაცი, ე. ი. ჩვენი სამშობლოს მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობდა. ამ რაიონების სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ღირებულება წელიწადში 41 მილიარდ მანეთს აღწევდა. მტრის მიერ ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში

[ფ] მაგ., ხულოს რაიონის სოფ. ალმეს ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის კომკავშირელებმა 1943 წელს ევაკუირებული ბავშვებისათვის დათესეს 0.5 ჰექტ. სიმინდი და 0.5 ჰექტარი კარტოფილი.

1945 წელს გერმანელი ოკუპანტების მიერ დაზარალებულ ბავშვთა ოჯახმარებლად აჭარის ახალგაზრდობას უნდა დათესა 50 ჰექტარი, ფაქტიურად დათესა 79 ჰექტარი (გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1943. 24 მარტი და 1945. 30 ოქტომბერი).

71 მილიონი ჰექტარი ნათესი ფართობი და 109 მილიონი სული პირუტყვი იყო, ხოლო რკინიგზის ლიანდაგის სიგრძე 122 ათას კილომეტრს აღწევდა[67].

გერმანელმა ოკუპანტებმა დაანგრიეს 1710 ქალაქი და 70 ათასზე მეტი სოფელი. სახლკარი მოუსპეს 25 მილიონამდე ადამიანს. მოსპეს 32 ათასამდე სამრეწველო საწარმო, 84 ათასი სკოლა, დაანგრიეს და გაძარცვეს 98 ათასი კოლმეურნეობა. ჰიტლერელების მიერ საბჭოთა კავშირის მოსახლეობისადმი მიყენებული საერთო ზარალი შეადგენს ეზარმაზარ თანხებს[68].

ჰიტლერელებმა უკანდახევისას, მართალია, „უდაბნოს ზონად" აქციეს ოკუპირებული საბჭოთა რაიონები, მაგრამ 1943 წელი ასევე გარდატეხის წელი იყო ომით დაზარალებულ საბჭოთა რაიონების აღდგენის საქმეშიც. ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ საბჭოთა რაიონებში სახალხო მეურნეობის აღსადგენად ომის შემდგომ წლებშიც საბჭოთა მთავრობამ 75 მილიარდი მანეთი დაუბანდა. გარდა ამისა, რომ დაზარალებულ რაიონებს მასობრივად უბრუნდებოდათ ომის პირველ პერიოდში ღრმა ზურგში ევაკუირებული საწარმოები და სხვა სახის ყოველგვარი ქონება, ზურგის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იკისრეს შეფობა და ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს დაზარალებულ რაიონებს.

1943 წ. 21 აგვისტოს გამოქვეყნდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება: „გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ".

ამ დადგენილებამ დიდი პატრიოტული აღტყინება გამოიწვია

---

[67] ჰიტლერელების ყოველგვარი ცდა გამოეყენებინათ ოკუპირებული საბჭოთა ძიწა-წყლის დოვლათი და იქ დარჩენილი საბჭოთა ადამიანები თავიანთი მტარვალური მიზნებისათვის, მარცხით დამთავრდა. ამიტომ ისინი ხელაღებით ძარცვავდნენ ჩვენს ქვეყანას. საბჭოთა მთავრობის 1942 წ. 27 აპრილის ნოტაში ჩვენ ამის შესახებ ეკითხულობთ: „სამრეწველო საწარმოთა უდიდესი ნაწილი ოკუპირებულ რაიონებში არ მოქმედებს. ამ საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილს ოკუპანტები აძლევენ გერმანიის კაპიტალისტურ ფირმებს, რომლებიც, ამგვარად, ითვისებენ საბჭოთა ხალხის საკუთრებას, მაგრამ ჩვეულებრივ მათ უნარი არ შესწევთ ამოქმედონ ეს საწარმოები". **Внешняя политика Советского союза в период Отечественной войны, т. I, М., 1946, გვ. 240.** მუშები და გლეხები მტრის ზურგში საბოტაჟს აწყობდნენ, აფეთქებდნენ და ანგრევდნენ ჰიტლერელთა ყოველგვარ სამეურნეო წამოწყებას. აძლიერებდნენ პარტიზანულ ბრძოლებს.

[68] ცნობილია, რომ საბჭოთა არმიის მიერ გამანადგურებელი დარტყმებით უკან დახეულმა მტერმა მთლიანად მოსპო და „უდაბნოს ზონად", გადააქცია ოკუპირებული საბჭოთა რაიონები (გაზ. „პრავდა", 1945, 13 სექტემბერი)

ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების ყველა მშრომელში. მათი მოქმედების დევიზად იქცა:—„ყოველმხრივ დაეხმაროთ ფაშისტ-დამპყრობთაგან განთავისუფლებულ დაზარალებულ რაიონებს".

საქართველოს მშრომელებმა არაფერი დაზოგეს იმისათვის, რათა დახმარებოდნენ დაზარალებულ ახლად გამოხსნილ რაიონებს. გაუგზავნეს მათ დიდი რაოდენობით ვაგონები და ორთქლმავლები, დაზგები და დანადგარები, ფაბრიკა-ქარხნების ყოველგვარი მოწყობილობა, სურსათი, პური, ღვინო, ხილი, ჩაი, თამბაქო, მეცხოველეობის პროდუქტები, ათასობით სული პირუტყვი და ყველაფერი, რაც კი საბჭოთა საქართველოში იწარმოება.

საქართველოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური კადრები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები უშუალოდ მონაწილეობდნენ მტრის მიერ დანგრეული ქალაქების, შახტების, რკინიგზებისა და ფაბრიკა-ქარხნების აღდგენითს სამუშაოებზე.

საქართველოს მრეწველობის არც ერთი საწარმო და საამქრო, არც ერთი მუშა, კოლმეურნე და კულტურის მუშაკი არ დარჩენილა, რომ გარკვეული სახის წვლილი არ შეეტანა, ამ საყოველთაო სახალხო საქმეში. ისინი ეხმარებოდნენ მოძმე რუსეთისა და უკრაინის, ჩრდილო კავკასიისა და ყირიმის მშრომელებს დიდი მასშტაბის აღდგენითს სამუშაოებში. მაგალითად, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა სტალინგრადელებს გაუგზავნა ორთქლმავლები. თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშათა კოლექტივმა სტალინგრადის რკინიგზის კვანძს გაუგზავნა საორთქმავლო პარკის სხვადასხვა დეტალები. სტალინგრადში მივლინებულ იქნა სპეციალისტთა ბრიგადები. ბრიგადების დაბრუნებისთანავე ქარხნის კოლექტივი შეუდგა ჩარხების დამზადებას. 1943 წლის აგვისტოში სტალინგრადში გაიგზავნა დამზადებული მოწყობილობა და სპეციალისტები, რომლებიც დაუღალავად იღვწოდნენ სტალინგრადის აღდგენისათვის[69].

გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეულ ქალაქ ნოვოროსიისკის აღსადგენად საქართველოდან გაემგზავრნენ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ბრიგადები, რომლებმაც თან წაიღეს საჭირო სამშენებლო მასალა, ინსტრუმენტები, მოწყობილობა და სხვ. ეს ბრიგადები დაკომპლექტდა და გაფორმდა სოხუმში[70].

ჰიათურის მაღაროელებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებული ნიკოპოლელი მაღაროელებისათვის შეაგროვეს

---

[69] გაზ. „კომუნისტი", 1943, 11 აგვისტო.
[70] გაზ. „კომუნისტი", 1943, 21 ნოემბერი.

დიდძალი დახმარება. საყელავი მანქანები. ურიები და ნიკოპოლის მარგანეცის მაღაროების აღდგენისათვის სხვა საჭირო მოწყობილობებთან ერთად ეშელონით გაგზავნეს დანიშნულ ადგილზე[71].

ასევე ცხოველმყოფელი და უანგარო იყო საქართველოს ქვანახშირის მუშების დახმარება მოძმე უკრაინის დონბასელი მეშახტეებისადმი. მხოლოდ აჭარის კომკავშირელმა ახალგაზრდობამ შეძლო გაეგზავნა დონბასელებისათვის 17 987 სხვადასხვა ინსტრუმენტალური მოწყობილობა, 28 პნევმატური ჩაქუჩი, დიდძალი ტექნიკური და სხვა სახის ლიტერატურა. მოწყობილობანი კაბინეტებისათვის და სხვ.[72].

საქართველოდან დონბასში გაგზავნილმა მუშა ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის აღდგენაში. საქართველოს ახალგაზრდა მუშების ამ რაზმს, დონბასის აღდგენაში მონაწილე სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ახალგაზრდა მუშათა რაზმებს შორის პირველი ადგილი ეპირა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ორი თვის განმავლობაში ინარჩუნებდა თავდაცვის კომიტეტის გარდამავალ დროშას[73].

განსაკუთრებით დიდი თავდადება და შრომითი მამაცობა გამოიჩინეს საქართველოს რკინიგზელებმა უკრაინის, ჩრდილო კავკასიის და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციაში შემავალ სამხრეთის სხვა რაიონებში პიტლერელების მიერ დანგრეული სარკინიგზო მეურნეობის აღდგენითს სამუშაოებში. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ შეფობა აიღო ომით დაზარალებულ ხარკოვის ორთქლმავალსარემონტო ქარხანაზე და დიდი დახმარება გაუწია მას აღდგენის საქმეში.

თბილისის დეპოს კოლექტივმა სტალინგრადის საორთქლმაველო დეპოს 529 სხვადასხვა სახის საჭირო იარაღ-მოწყობილობა, 12 ორთქლმავალი და მრავალი ვაგონი გაუგზავნა[74]. ეს კოლექტივი დაეხმარა მოძმე უკრაინის რკინიგზელებს ნიკონი-დნეპროვსკის სარკინიგზო კვანძის უმოკლეს პერიოდში აღდგენის საქმეში. 1944 წ. 10 აპრილს თბილისელ დეპოელებს ჩრდილო დონში უკვე გაგზავნილი ჰქონდათ 64 ორთქლმავალი: მათ გამოუშვეს ორთქლმავალშემკეთებელი მატარებელი, რომელიც მოამარაგეს ყოველგვარი საჭირო მასალით, დააკომპლექტეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და

---

[71] გაზ. „კომუნისტი". 1944. 15 თებერვალი.
[72] გაზ. „ზარია ვოსტოკა". 1944, 13 თებერვალი.
[73] გაზ. „კომსომოლსკაია პრავდა". 1944. 8 მარტი.
[74] გაზ. „ზარია ვოსტოკა". 1944, 25 და 27 იანვარი.

დაუყოვნებლივ გააგზავნეს განთავისუფლებულ საბჭოთა რაიონებში დანგრეული სარკინიგზო მეურნეობის აღსადგენად. ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონებისადმი დახმარების ფორმებს შორის ყურადღებას იპყრობს ხაშურელ რკინიგზელთა წამოწყება. ხაშურელმა მუშებმა ზეგეგმით, თავისუფალ საათებში ხელი მიჰყვეს დანგრეული ნადაელი ვაგონების მასობრივად შეკეთებას და დაზარალებული რაიონებისადმი გადაცემას. მაგალითად, 1944 წლის ივლისის ბოლოს მათ 120-ზე მეტი ასეთი ვაგონი გადასცეს საჩუქრად[75].

ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული მოძმე უკრაინის და ჩრდილო კავკასიის საწარმოები შეჯიბრებაში ებმებოდნენ საქართველოს მარგანეცის, რკინიგზის და სხვა სახის საწარმოებთან, რესპუბლიკის მშრომელები მთლიანად კისრულობდნენ ცალკე სამრეწველო ობიექტების აღდგენას. მაგალითად, ხრამჰესმშენის კოლექტივმა ცხოველმყოფელი მონაწილეობა მიიღო ჩრდილო კავკასიის ყველაზე უმსხვილესი ბაქსანის ჰიდროელსადგურის აღდგენითს სამუშაოებში. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერელთა მიერ ეს შესანიშნავი სადგური აფეთქებული და საძირკვლამდე დანგრეული იყო, წარმატებით იქნა აღდგენილი მოკლე დროში.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშები აქტიურად დაეხმარნენ ზაპოროჟიელ მუშებს ფეროსენადნობთა ქარხნის აღდგენითს სამუშაოებში. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებლობის ქარხნის მუშები დიდად დაეხმარნენ სტალინგრადელებს, მაიკოპის ფრუნზეს სახელობის ქარხნის აღდგენის საქმეში. აგარის ქარხნის მუშებმა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინეს უკრაინისა და ყუბანის შაქრის ქარხნის მუშებს აღდგენითს სამუშაოებში.

საქართველოდან უკრაინაში 1944 წლის ივნისში ერთდროულად გაიგზავნა დიდი რაოდენობის დაზგები, ტრაქტორები, გუთნები, კომბაინის მოტორები, თესლეული, რამდენიმე ასეული სული პიროტეხვი, 1150 ტონაზე მეტი პური, ეფექტურებით იკვებებოდა ხილი, ღვინო, ჩაი, თამბაქო, და სხვ. ეს იყო ერთ-ერთი მორიგი საჩუქარი და დახმარება ომით დაზარალებული მოძმე უკრაინელი ხალხისადმი საქართველოს მშრომელთაგან[76]. უკრაინის მშრომელები დიდად აფასებდნენ ქართველი ხალხის ამ ძმურ დახმარებას. ამის შესახებ გაზეთი „რადიანსკაია უკრაინის" 1944 წ. 15 მაისის მოწინავე წერილში „უკრაინა-საქართველო" ეკითხულობთ: „ამჟამად საქართველოს მშრომელები ჭეშმარიტად კეთილშობილურ საქმეს

---

[75] ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან, 1957, გვ. 107.

[76] გაზ. „კომუნისტი", 1944, 22 ივნისი.

აკეთებენ, ამხანაგურ დახმარებას რომ გეიწევენ საბჭოთა უკრაინის აღდგენაში.

. თბილისის ქარხნების მუშები, ქართველი რკინიგზელები, ტყვარჩელ-ქვანახშირის მეშახტეები მანქანებითა და მოწყობილობით ეხმარებიან დონბასის მეშახტეებს. მთელი საქართველო დიდ ძმურ მზრუნველობას იჩენს იმ ოლქების მშრომელთადმი, რომელნიც დაზარალდნენ გერმანელი არამზადებისაგან"[77].

დიდ აღდგენითს მუშაობაში საბჭოთა ხალხის ამგვარი სამაგალითო დახმარების შედეგად უკრაინის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. „ორი წლის განმავლობაში უკრაინის ტერიტორიაზე აღდგენილი და მოქმედებაში შეყვანილ იქნა 123 ძირითადი შახტი (ომამდე მოქმედი 306 შახტიდან) და 506 საშუალო და მცირე შახტი; ქვანახშირის საშუალო დღიურმა მოპოვებამ მიაღწია ომამდელი წარმოების 38,5%-ს".[78]

სამრეწველო პროდუქციის ზრდის ახალ წყაროდ 1944 წლიდან იქცა ახლად აღდგენილი მრეწველობა, ქვანახშირის ასობით შახტი, ათასობით დომენისა და მარტენის ღუმელები. მძლავრი ელექტროსადგურების მწყობრში ჩადგომით 1944 წლისათვის განთავისუფლებული საბჭოთა რაიონების მრეწველობა 1943 წელთან შედარებით 3-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

ამავე პერიოდში დიდ წარმატებას აღწევს სოფლის მეურნეობა, რომლის ნათესი ფართობი 16 მილიონი ჰექტარით დიდდება 1943 წელთან შედარებით. საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ომით დაზარალებულ მოძმე რესპუბლიკებს და ოლქებს. მათ თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდთათვის მხოლოდ 1943 წ. დათესეს 5 500 ჰექტარი მარცვლეული და ბოსტნეული. და მიღებულ მოსავალთან ერთად გადასცეს 9 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი, 300 ცხენი და დიდი რაოდენობის ნვრილფეხა პირუტყვი. ხოლო 1944 წელს გაგზავნილ ასეთ პირუტყვეყვთა რიცხვი 26 ათასს სჭარბობდა. კოლმეურნე გლეხებმა ომის

---

[77] „Радянська Україна", 1944, 15 მაისი.

[78] П. С. Хрущев, Итоги первого года восстановительных работ на Украине и наши очередные задачи, Киев, 1946, გვ. 10. ომით დაზარალებული რაიონები თანდათანობით აღდგა და დაიწყო აღმავლობის პროცესი. საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებულ მხოლოდ რსფსრ რაიონებს 1943 წლის ბოლოს, გადაეცა 14,5 ათასი ტრაქტორი, 8 ათასზე მეტი გუთანი, 35 ათასი სათესი მანქანა და 1 მილიონზე მეტი პირუტყვი. გაეგზავნა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ამავე პერიოდში უკრაინამ მიიღო 4752 ტრაქტორი, 1550 სატრაქტორო გუთანი. 1944 წლის 1 იანვრისათვის განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენილი იყო 575 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 969 მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნო, მრავალი სარემონტო ქარხანა და სხვა.

წლებში სახელმწიფოს ასეულ მილიონ ფუთამდე სოფლის მეურ-ნეობის პროდუქტები ჩააბარეს, მათ უდიდესი დახმარება გაუწიეს ფრონტელთა ოჯახებს და სამამულო ომის ინვალიდებს.

დიდი წარმატებით მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის აღდგენა. 1944 წ. ომით დაზარალებულმა, ახლად განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ ღონის-ძიებათა საფუძველზე შეძლეს აღედგინათ სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგები და საგრძნობლად გაედიდებინათ მო-სავლიანობა. 1944 წ. მოძმე უკრაინამ შეძლო ნათესი ფართობის 65%-მდე აყვანა ომამდელ დონესთან შედარებით. უკრაინელმა კოლმეურნეებმა 1944 წელს საბჭოთა არმიის ფონდში შეიტანეს 15 მილიონი ფუთი პური, ბელორუსიის კოლმეურნეობებმა — 3 მილი-ონი და სხვა. სულ 1944 წლისათვის ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეო-ბებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 1,1 მილიარდი ფუთით მეტი პური, ვიდრე 1943 წელს. წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. ამიტომ იყო, რომ 1944 წ. ნოემბერში ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: უკან მოვიტო-ვეთ სოფლის მეურნეობის აღდგენის ყველაზე ძნელი პერიოდი.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და-წესებულებების, სკოლების, თეატრების, ბიბლიოთეკების, საბავშვო ბაღების და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების აღდგენას და გაძ-ლიერებას. ამ მიზნით დაწყებული ყოველგვარი სახალხო პატრი-ოტული ინიციატივა დიდ მხარდაჭერას პოულობდა საქართველოს მშრომელთა უფართოესი ფენებისაგან. ომით დაზარალებული რაი-ონებისათვის გროვდებოდა ფულადი ფონდები, იგზავნებოდა კულ-ტურისა და ჯანდაცვის მუშაკები და სხვ.[78].

საქართველოს მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენტებმა სხვა რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად ფართო მონაწილეობა მიიღეს სახსრების შეგროვებაში გმირი ქალაქების აღსადგენად. მა-გალითად, სტალინგრადის აღსადგენ ფონდში საქართველოს მშრო-

---

[78] მაგ., განთავისუფლებულ რაიონებში თეატრებისა და საბავშვო დაწესებუ-ლებების აღდგენის ფონდში ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრი კოლექტივმა ერთდროულად 11830 მან. შეიტანა, ქუთაისის სკოლებმა ქ. დონის როსტოვის სკოლებს გაუგზავნეს 45 ამანათი, 11 800 ცალი სასწავლო ნივთები, ხო-ლო ქალაქის საბავშვო ბაღებმა 31 სახის 573 ცალი სათამაშო და 1220 ცალი სხვადასხვა სახელწოდების წიგნი ბიბლიოთეკების აღდგენისათვის. სულ ქუთაი-სიდან მათ გაეგზავნათ 13 188 ცალი წიგნი და სხვ. ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა: როსტოველებს გაუგზავნა 298 ათასი მანეთის მზა პროდუქცია. ქუთაისელმა კოო-პერაციულელებმა მასობრივად შეაგროვეს დიდი რაოდენობის ტანსაცმელი, ფეხსაც-მელი, თეთრეული, წიგნები, საბავშვო სათამაშოები და გაუგზავნეს განთავისუფ-

ველებმა შეიტანეს 2 მილიონ 300 ათასზე მეტი მანეთი[80]. განთავისუფლებული საბჭოთა რაიონების მოსახლეობა დიდად საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას. საქართველოს მედპერსონალთა კოლექტივი და ფარმაკოქიმიური მოღვაწეობა ყველაფერს აკეთებდა ამისათვის. საქართველოს სსრ ჯანსახკომმა უკრაინის სსრ ჯანსახკომის განკარგულებაში სამუშაოდ გაგზავნა მრავალი ექიმი, მთელი კომპლექტი პოლიკლინიკისა ექიმებითა და ექიმის თანაშემწეთა შემადგენლობით, ინვენტარით, მოწყობილობითა და მედიკამენტებით[81].

დაზარალებული რაიონების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღსადგენად საქართველოდან იგზავნებოდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ჯერ კიდევ 1943 წ. 23 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა სპეციალური ღონისძიებები, რათა ორგანიზებული წესით ეკაბრუნებინათ განთავისუფლებულ რაიონებში ევაკუირებულ სპეციალისტთა ნაწილი. განემარტათ მათ, რომ სამი თვის შემდეგ, სურვილისამებრ შესაძლებლობა ექნებოდათ ოჯახების გადაყვანისაც და ყოველგვარ ხარჯებს ამისათვის რესპუბლიკა კისრულობდა.

როგორც ვრწმუნდებით, უაღრესად დიდი და მეტად მრავალმხრივი იყო საბჭოთა საქართველოს მშრომელების დახმარება ომით დაზარალებულ საბჭოთა რაიონებისადმი. მაგრამ ის შრომითი თავდადება, რაც ქართველმა ხალხმა გარკვეულ პირობებში მთლიანად ეაპარტახებულ ქლუხორისა და ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ სხვა ბთიანი რაიონების აღდგენა-კეთილმოწყობის საქმეში გამოიჩინეს, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა.

მტრის მიერ დაზარალებული საბჭოთა რაიონების აღსადგენად საყოველთაო-სახალხო დახმარებას და საბჭოთა მთავრობის დიდ ფულად დაბანდებას აღდგენით სამუშაოებზე თავისი ბრწყინვალე შედეგები მოჰქონდა თვით დიდი სამამულო ომის მსვლელობის პროცესში. ომის წლებშივე წარმატებით იქნა აღდგენილი ჰიტლე-

---

ლებულ რაიონებს. ამრიგად ბავშვებიც კი მთელი თავიანთი შესაძლებლობით დახმარებას უწევენ ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონების ბავშვებს. მაგალითად, ფ. მახარაძის სასულობის საბავშვო სახლმა (ქ. მახარაძე) დონის როსტოვის დაზარალებულ საბავშვო სახლს მნიშვნელოვანი რაოდენობის სურსათიან ერთად სახუკრად გაუგზავნა: ლიტერატურა, სათამაშოები და 14 ათასი მანეთი ფულად. ნავთლუღის საბავშვო სახლმა თბილისის პიონერთა სახლში გამართა საღამო, რომლის შემოსავალი მთლიანად გადაირიცხა როსტოველ ბავშვთა დახმარების ფონდში (სამ. ომის არქივის ფონდი 4, საქმე 298. ფურც. 39).

[80] სამამულო ომის არქივი. ფონდი 4, საქმე 562. ფურც. 4.

[81] გაზ. „კომუნისტი", 1943. 23 ნოემბერი.

ალი ბარბაროსების მიერ უდაბნო ზონად ქცეული ათასობით საბ-ჭოთა ქალაქი და სოფელი.

1943 წლიდან სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის ზრდის ახალ მძლავრ წყაროდ იქცა განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენილი დიდი სამრეწველო ქერები. ეკუთობრ ჩაიდგ ... ისეთი სამრეწველო გიგანტები. როგორიცაა ნოვოკრამატორსკაია მანქანათმშენებლობის ქარხანა, ენაკიევის მეტალურგიული. ხარკოვის ტურბოგენერატორის. ელექტრომექანიკური და სატრაქტორო ქარხნები. აღსდგა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა და სხვა. 1944 წ. ბოლოს სულ აღდგენილი იყო 10 დომენისა და დაახლოებით 40 მარტენის ღუმელი. 1 000-მდე ქვანახშირის შახტი. 35-მდე ელსადგური და სხვა. 1944 წელს განთავისუფლებული რაიონების მრეწველობის მთლიანი პროდუქცია თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა 1943 წლის საბოლოოდ მაჩვენებლებს[82].

საბჭოთა სამხედრო მეურნეობისა და ეკონომიკის შეუნელებელი ზრდით ნულამდე იქნა დაყვანილი ჰიტლერული გერმანიის უპირატესობა ტანკების. თვითმფრინავების. ნაღმმტყორცნების. ავტომატებისა და სხვათა წარმოების მხრივ.

ჩვენი ქვეყნის სამხედრო მრეწველობას კოლოსალური მიღწევები ამ პერიოდში ბევრად აჭარბებდა გერმანიისა და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნების მრეწველობის მაქსიმალურ მაჩვენებლებს ერთად აღებულს[83].

3. ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეოლოგიის გამარჯვება ფაშიზმის რასობრივ იდეოლოგიაზე

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ განხორციელებულ მთელ ამ ღონისძიებებს ფრონტისა და ზურგის ერთიანობის განმტკიცების და ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონების წარმატებით აღდგენას საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ომით დაზარალებული რაიონების აღდგენისა და სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკის ესოდენ დიდად გაძლიერების საქმეში, არამედ ასევე სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობის კიდევ უფრო ძეტად განმტკიცებისა და მისი დამკვიდრების თვალსაზრისით.

ფაშისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ მრავალეროვან სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა შორის ეროვნული სიძულ-

---

[82] Е. И. Солдатенко, Трудовой подвиг советского народа в Великой Отечественной войне, М., 1954, გვ. 53.

[83] П. А. Белов, Вопросы экономики в современной войне, М., 1951, გვ. 211.

ვილია შექმნაზე და კონფლიქტების გამოწვევაზე, რათა მიეღწიათ ფაშისტების გაბატონებისათვის სსრ კავშირის ხალხებზე. მაგრამ მათი ზრახვები ჩაიფუშა.

საბჭოთა მთავრობამ 1942 წ. 27 აპრილის ნოტაში მოიყვანა ნაწყვეტი ჰიტლერელთა საიდუმლო დოკუმენტიდან: „**Директивы по руководству экономикой во вновь оккупированных восточных областях**“[84], ეს საიდუმლო დოკუმენტი ნიღაბს ხდის ფაშისტებს. ამ დოკუმენტებში ნათქვამია: „ბალტიიპირეთის ქვეყნებში გერმანიის ორგანოები უნდა დაეყრდნონ გერმანელებს; გერმანიის ინტერესებისათვის გამოყენებულ იქნეს წინააღმდეგობა ლიტოველებს, ესტონელებს, ლატვიელებსა და რუსებს შორის... ბელორუსიაში გათვალისწინებულ იქნეს, რომ ბელორუსია ინტელექტუალურად ძალიან ჩამორჩება იქ მცხოვრებ ველიკორუსებს... სამხრეთში ჩვენი ინტერესებისათვის უნდა გამოყენებულ იქნეს... წინააღმდეგობა უკრაინელებსა და ველიკორუსებს შორის... კავკასიაში გამოყენებულ იქნეს წინააღმდეგობა ადგილობრივ მკვიდრთა შორის — ქართველებს, სომხებს, თათრებსა და რუსებს შორის“[85].

ფაშისტებს იმედები გაუცრუვდათ. მათი ოცნება გააქარწყლა საბჭოთა ხალხების მეგობრობის უძლეველობამ.

ომი სსრ კავშირსა და ფაშისტურ გერმანიას შორის იყო არა მარტო ურთიერთ დაპირისპირებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ სისტემას შორის, არამედ ორ შეურიგებელ იდეოლოგიას—ხალხთა მეგობრობისა და რასობრივ იდეოლოგიას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ჰიტლერელებმა ამ ომში განიცადეს არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური, არამედ მორალური და იდეოლოგიური დამარცხება. ხალხთა მეგობრობის ლენინურმა იდეოლოგიამ გაიმარჯვა ფაშისტურ რასობრივ იდეოლოგიაზე.

ომიანობის წლებში მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო გახდა კიდევ უფრო შემჭიდროებული, საბჭოთა ხალხები კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს და განმტკიცდა მათი მეგობრობა. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობაში ისე მოდიოდნენ ევაკუირებული უკრაინელი კოლმეურნენი, აგრეთვე წითელი არმიის დაჭრილი გენიჩენსკელი მებრძოლები და ოფიცრები ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ, როგორც თავიანთ საკუთარ სამშობლოში. იმ პოპიტალში. სადაც გენიჩენსკელი მებრძოლ

---

[84] Сб. Зверства, грабежи и насилия немецко-фашистских захватчиков. Л., 1942. стр. 26.

[85] იქვე.

ლავრენტიევი მკურნალობდა, სოფ. შრომიდან საპასუხო წერილი მისწერეს მას, სადაც წერდნენ:

„ჩამოდით, მიგიღებთ როგორც საკუთარ ღვიძლ ძმას".[56] ამგვარმა დამოკიდებულებამ დიდი გამოძახილი პოვა საბჭოთა მეომრებში. მას ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი პრესაც. მაგ., უმცროსი ლეიტენანტი ასლანოვი ამაზე წერდა: „სოფ. შრომის ოვირფასო კოლმეურნეებო! მე დღეს გაზ. „პრავდაში" წავიკითხე წერილი — „მეგობრობა",— თქვენი კოლმეურნეობის შესახებ. გული სიხარულით გვეკსება საბჭოთა ადამიანების ასეთი წმინდა მეგობრობისათვის. მადლობელი ვარ, საამაყო ამხანაგებო, იმისათვის, რომ ასე თბილად შეხვედით ვასილ ლავრენტიევს, ეს თქვენი სახელი და დიდებაა. ჩვენო ზურგის პატრიოტებო. თქვენ შეიძლება კუდეც იფიქროთ, რომ მე ვასილ ლავრენტიევს ვიცნობ. მაგრამ მე მას არ ვიცნობ. არც ის მიცნობს მე, მაგრამ ისე ვიცავ ჩემს დიდ სამშობლოს როგორც ის იცავდა. მე მოქმედი წითელი არმიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის პოლიტიკური ხელმძღვანელი ვარ.

როცა ჩემს მეგობრებს წავუკითხე ის წერილი, ბევრ მათგანს თვალზე სიხარულისა და სიამაყის ცრემლი მოადგა იმ ზრუნვისათვის, რომელიც გამოიჩინეთ თქვენს ძეგლაური უკრაინელებისადმი. უმცროსი ლეიტენანტი ასლანოვი"[57].

უკრაინელ კოლმეურნეებს ასეთივე კავშირი ჰქონდათ საქართველოს მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებთანაც[58]. უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა უანგარო მეგობრობის ეს ფურცლები ტიპიურია. იგი რამდენადმე გამოხატავს სსრ კავშირის მრავალეროვანი ხალხების მეგობრობის დიდ ძალას და მის სპეციფიკურ ფორმებს დიდი სამამულო ომის პერიოდში.

სსრ კავშირის ხალხთა ერთსულოვნებამ ფაშიზმი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში, ასევე მათმა უანგარო თანამშრომლობამ დაზარალებული საბჭოთა რაიონების სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღდგენისათვის და დახმარებამ ევაკუირებული მოსახლეობისადმი, უმაგალითოდ განამტკიცა ხალხთა მეგობრობა.

---

[56] გ. ლიტოვჩენკო, ბ. ორაგველიძე. ორი კოლმეურნეობის შემოქმედებითი თანამეგობრობა და შეჯიბრება. სახელგამი, 1954. გვ. 4.

[57] გაზ. „ზარია ვოსტოკა". 1943, 5 დეკემბერი.

[58] მაგალითად, 1944 წ. 22 მაისს გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის მშრომელებს, კოლმეურნეებს ეწვივნენ უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვის რაიონის კოლმეურნეები. გურჯაანელ და სინელნიკოველ კოლმეურნეობებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა. სტუმრები საჩუქრით დიდი ზეიმით გააცილეს რაიონის მშრომელებმა 1944 წ. 23 მაისს (გაზ. „კომუნისტი", 1944, 26 მაისი).

ი. ბ. სტალინის თქმით, ჩ ვ ე ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ხ ა ლ ხ თ ა მ ე-
გ ო ბ რ ო ბ ა მ ომის ყველა სიძნელესა და განსაცდელს გაუძლო და
კიდევ უფრო გამოიწრთო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ყვე-
ლა საბჭოთა ადამიანის საერთო ბრძოლაში[89]. სსრ კავშირის ხალხთა
მეგობრობის ლენინურმა იდეოლოგიამ ტრიუმფალურად გაიმარჯვა
ფაშიზმის შავბნელ რასობრივ იდეოლოგიაზე[90].

---

[89] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ. გვ. 132.
[90] ლ. ე ბ ა ნ ო ი ძ ე. სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა, 1953.

მანყოფილება მეექვსე

ღონისძიებები მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვისა და საფინანსო მეურნეობის განმტკიცებისათვის

თავი X

ომის დროის ხასურსათო ხიძნელენი და ღონისძიებები მის დასაძლევად

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ქვეყნის სამხედრო ეკონომიკის ზრდა და განმტკიცება ხორციელდებოდა არა მშრომელთა გაღატაკებისა და განადგურების გზით, როგორც ამას კაპიტალისტურ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი, არამედ სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების ბაზაზე; ომის უმეტეს წლებში ასევე რამდენადმე უმჯობესდებოდა სსრკ მშრომელთა მდგომარეობა. იზრდებოდა შრომის ხელფასის ფონდები, თვითეული მუშის და კოლმეურნის საერთო გამომუშავება და სხვ.

დამახასიათებელია, რომ სამამულო ომის წლებში სამხედრო ხარჯების აბსოლუტური ზრდის პირობებში, მისი ხვედრითი წონა სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად მცირდებოდა. მაგ., თუ ომის პირველ წელს ეს ხარჯები 66.6% უდრიდა, მესამე წელს 62,6% დავიდა. ომის უმეტეს წლებში იზრდებოდა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები.

საბჭოთა ხალხებისათვის დიდი სამამულო ომი იყო უდიდესი და უმძიმესი ომი, რომელიც კი ოდესმე გადაუტანია ჩვენს სამშობლოს თავისი არსებობის ისტორიაში. სამამულო ომმა შეიწირა არა მარტო

მილიონობით საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე, არამედ საბჭოთა ქვეყნის დიდძალი სახალხო დოვლათი. ჰიტლერელმა დამპყრობლებმა აუწერელი უბედურება და ტანჯვა მოუტანეს ჩვენს ხალხს მთელ რიგ სხვა ხალხებთან ერთად.

საბჭოთა ხალხები მამაცურად იტანდნენ ომიანობის ყველა სიძნელეს და სამშობლოს დაცვის უწმინდესი იდეებით გატაცებულნი მიდიოდნენ ყოველგვარი მსხვერპლის გაღებაზე. მაგრამ ამ „დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე... ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა“[1].

ომის წლებში, რასაკვირველია, პირველ პლანზე იდგა არა მასების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება, არამედ შეიარაღებულ ბრძოლებში სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნება, მისი დაცვა უცხო დამპყრობთა უღლისგან. აქედან წარმოსდგა ლოზუნგები: „ყველაფერი ფრონტისათვის“, „ყველაფერი მტრის განადგურებისათვის“, რომელთა განსახორციელებლად აღსდგა და დაირაზმა საბჭოთა ხალხი.

ომის წლებში თუ შეუნელებლად იზრდებოდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის წარმოების საშუალებათა წარმოება, სამაგიეროდ თითქმის სანახევროდ შემცირდა მოხმარების საგნების წარმოება.

ბუნებრივია, მოხმარების სამრეწველო საგნების წარმოების ესოდენ შემცირება გარკვეულ გავლენას ახდენდა მოსახლეობის მატერიალურ პირობებზე.

მოხმარების პროდუქტთა მწარმოებელი საწარმოების დიდი ნაწილი ფრონტის ინტერესების სამსახურში იქნა ჩაყენებული. შეიკვეცა უშუალოდ სამოქალაქო მოხმარების პროდუქციის გამოშვება. მოსახლეობის პირველი მოთხოვნილებების ზოგიერთი საქონლის რესურსებიც კი შემცირდა და თავი იჩინა სიძნელემ. ქართველი ხალხის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის, პირველი მცნება გახდა: „ყველაფერი ფრონტისათვის,“ „ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის“, და ფრონტი იღებდა ყველაფერს, რაც მას ესაჭიროებოდა: სურსათს, საჭურველს, ტანსაცმელს და შეიარაღებას.

ამ მხრივ სიძნელეები, და ისიც პერიოდულად, ზურგში უფრო იგრძნობოდა. ამიტომ ზურგის მშრომელთა მატერიალურ-საყოფა-

[1] ი. ბ. სტალინი, სიტყვა 1946 წ. 9 თებერვალს წინასაარჩევნო კრებაზე. გვ. 25.

ცხოვრებო პირობების უზრუნველყოფის საქმეში ომის დროს შექ-ნილი სიძნელენი მოითხოვდა საბარათო სისტემის შემოღებას ფარ-თო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო პროდუქტებზე, ასევე დამხმარე მეურნეობის, კოლექტიური და ინდივიდუალური მეგოსტ-ნეობის ფართოდ დანერგვას და სხვა ისეთ ღონისძიებათა გატა-რებას, რომლებიც საბინაო-საყოფაცხოვრებო, შრომის პირობების გაუმჯობესებით და ხელფასის ფონდების ზრდით ხასიათდებიან.

„ომის წლებში შემოღებულმა მომარაგების საბარათო სისტემამ შესაძლებლობა მოგვცა ზურგის მშრომელებიც უზრუნველგვეყო კვების ძირითადი პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით. საბ-ჭოთა ვაჭრობამ ღირსეულად ჩააბარა ომის გამოცდა"[2].

მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმ-ჯობესების საქმეში ომის წლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭე-ბოდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კავშირის შემდგომ განმტკიცებას; იგი გამო-ხატულებას პოულობდა მუშათა კლასისა და ქალაქის მთელი მოსა-ხლეობის სოფლისადმი დახმარებასა და საშეფო მუშაობის გაშლა-ში, კოლმეურნეობებისა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ყოველმხრივ დახმარებაში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულო-ბის გასაზრდელად. თავიანთი მხრივ, როგორც ჩვენ ამაში დავრწმუნ-დით, სოფლის მეურნეობის მუშაკები, კოლმეურნე გლეხობა, სის-ტემატურად ზრდიდა სურსათის ფონდებს ქალაქის მოსახლეობისა და მუშათა კლასისათვის, ზეგეგმით აბარებდა სახელმწიფოს ათეულ ათასობით ტონა მარცვლეულს, ხორცს და რძის ნაწარმს ქალაქის მშრომელთა უკეთ მომარაგებისათვის.

ომის წლებში, მართალია, ბაზარზე თაეი იჩინა სიძვირემ და ფუ-ლის გაუფასურებამაც კი, მაგრამ ეს შეუდარებლად მცირე იყო 1914—1920 წლებთან შედარებით[3]. ბარათებით ნორმირებულ პირველი მოთხოვნილების პროდუქტებზე შენარჩუნებულ იქნა ფიქსირებული ფასები. უცვლელი დარჩა ბინის ქირა და სხვა. ეს გარემოება კი მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებზე ზრუნვის დიდ ფაქტორად გვეელინება. მუშათა მატერია-ლურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და ამ მიმარ-

---

[2] საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობა, სტენოგრ. ანგ., გვ. 237.

[3] პირველი მსოფლიო ომისა და განსაკუთრებით მენშევიკების პატრონობის პერიოდში (1914—1920 წლებში) საქართველოს მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები კატასტროფულად გაუარესდა. პირველი მოთხოვნილე-ბის საგნებზე საშუალო საბაზრო ფასები რაღაც ზღაპრული სისწრაფით იზრდე-ბოდა. კერძოდ, თბილისის ბაზარზე (პ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმო-შობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1941, გვ. 441).

თულებით ომით გამოწვეულ სიძნელეთა გადალახვისათვის უაღ-
რესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შრომის ნაყოფიერების შემ-
დგომ ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

რესპუბლიკის ძირითად საწარმოებში შეუნელებლად იზრდებო-
და შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის სა-
წარმოებში 1935 წელთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება 1941
წელს გაიზარდა 49.3%-ით, 1942 კი—18.5%-ით[1].

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის
საწარმოებში 1944 წელს თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერების
ზრდა შეადგენდა 116 პროცენტს, რაც წინა წლის მაჩვენებელს 11
პროცენტით აღემატებოდა[2].

საწარმოო გეგმის შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების
ზრდასთან ერთად გაიზარდა პროდუქციის გამოშვება ერთეული მუ-
შის მიერ. მაგალითად, 1942 წელს ერთი მუშის გამომუშავება სა-
ქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში თუ
შეადგენდა 26 544 მანეთს, 1943 წლისათვის იგი გაიზარდა 29 045
მანეთამდე[3]. ომის პერიოდში მუშების საშუალო ხელფასის ზრდას
ჰქონდა ადგილი.

მაგ., ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობაში ხელფასის ზრდა
1937 წელთან შედარებით 1941 წლისათვის 54.4%, ხოლო 1942
წელს—25% აღემატებოდა. 1943 წლის აპრილიდან კი საქართველოს
ქვანახშირის მუშა-მოსამსახურეებს დიდი რაოდენობით მოემატათ
ხელფასი[7].

კომუნისტური პარტია ომის მძიმე წლებში სისტემატურად ზრუ-
ნავდა საწარმოებში ახლად მისულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
მათ საბინაო და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და სანიტარული
პირობების შექმნა-გაუმჯობესებაზე, სასადილოებზე, დამხმარე მე-
ურნეობებზე. ინდივიდუალური და კოლექტიური საბოსტნე მეურ-
ნეობის მასობრივად დანერგვასა და მათდამი აგროტექნიკური და
სხვა სახის დახმარებათა აღმოჩენაზე.

ომის წლებში გრძელდებოდა მუშათა საცხოვრებელი ბინების

---

[1] ნ. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქვანახშირის მრეწველობის უძველესი კერა საქართველოში. ეკონ. ინსტ. შრომები, ტ. 1, 1946, გვ. 188.

[2] გ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, ეურნ. „ბოლშევიკი", № 3—4, 1945.

[3] სამ. ომის ისტ. არქივი. ფონდი 4, საქმე 67. ფურც. 2.

[7] საკავშირო მთავრობამ ჯერ კიდევ 1942 წლის აგვისტოს დასაბა „ლონისძიებანი ქვანახშირის მრეწველობის სისტემაში მუშათა მიერ ნორმების გამოშუშავების გაზრდისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მომატების შესახებ", რაც საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში ოდნავ მოგვიანებით განხორციელდა (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი. ფონდი 14. საქმე 12837. ფურც. 48 და საქმე 12804. ფურც. 41 - 46).

მშენებლობა. რესპუბლიკის სამრეწველო რაიონებსა და ცენტრებში. საბინაო მშენებლობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო თავდაცვის ინტერესებით ახლად შექმნილი და საქართველოში ევაკუირებული საწარმოების, საამქროებისა და აგრეგატთა მუშა-მოსამსახურეების ბინით უზრუნველყოფის მიზნით; ასევე ითქმის ისეთ საწარმოებზეც. რომლებიც გაფართოვდნენ და ამის შესაბამისად მუშათა რიცხვიც ზოგ ადგილს ორჯერ გამრავლდა.

ახალ დიდ სამრეწველო უბნებად იქცა და მუშათა ბევრი ახალი მრავალსართულიანი ბინა აიგო თბილისისა და მისი გარეუბნების მიდამოებში. მუშათა ბინების მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობდა ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში. ტყიბულში და სხვაგან. გაიზარდა წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი. ტყვარჩელის და აკარმარის დაბა გამოეყო ოჩამჩირის რაიონს და 1942 წ. იანვრიდან იგი ქალაქ ტყვარჩელად გადაკეთდა. სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის ქალაქებში კომუნალური მშენებლობა საერთოდ შეფერხდა. ომმა საერთოდ უარყოფითი დაღი დაამჩნია საქალაქო მეურნეობას. ქალაქების ბიუჯეტი საგრძნობლად შეიკვეცა[8].

ომის წლებში რესპუბლიკის ქალაქებში შენელდა სამოქალაქო საბინაო მშენებლობანი. ამასთანავე გაიზარდა მოთხოვნა ბინებზე. შეიკვეცა საქალაქო ტრანსპორტის საშუალებანი, მოხდა ელექტროენერგიით სარგებლობის ლიმიტირება და სხვ.

ომის პირველსავე წელს საბჭოთა საქართველოში ევაკუირებულ საწარმოებს თან მოჰყვა ათასობით კვალიფიციური მუშა და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია. უპირველეს ამოცანად იქცა ამ საწარმოთა მუშების საბინაო და საყოფაცხოვრებო ნორმალური პირობების შექმნა. საქართველოს მშრომელები ევაკუირებულთ უთმობდნენ საკუთარ ბინებს. ვისაც კი ოდნავ ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

წარმოებაში ახლად მოსულ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათ მიერ ახალი პროფესიების დაუფლებისათვის ბრძოლა, მუშათა დაბალი თანრიგიდან უფრო მაღალ თანრიგზე გადაყვანა უშუალოდ მათ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ამოცანებს პასუხობდა.

სამამულო ომის პირველ პერიოდში სერიოზულ ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი საწარმოებში ახლად მოსული მუშების საყოფა-

---

[8] მაგალითად, ქ. თბილისის 1941 წლის ბიუჯეტი თუ 171 158 ათასი მანეთის რაოდენობით იყო დამტკიცებული, ომის გამოცხადების შემდეგ თბილისის საქალაქო ბიუჯეტიდან საკავშირო ბიუჯეტს თავდაცვის ხარჯების დასაფარავად გადაეცა 44 581 ათასი მან. 1942 წლიდან კი ქალაქის ბიუჯეტი შესდგა უკვე როგორც ომიანობის დროის ბიუჯეტი (გაზ. „კომუნისტი", 1944, 12 აპრილი).

ცხოვრებო პირობებისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების საქმეში. საქართველოს სამრეწველო საწარმოთა ზოგი ხელმძღვანელი მუშაკი და პარტიული ორგანიზაცია უმეტესად გაიტაცა ფრონტზე წასული მუშახელის რაოდენობრივად შეცვლის სწრაფვამ. ისინი ამ დროისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავდნენ ახლად მოსულთა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, კვალიფიკაციის დაუფლებაზე და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე; დამახასიათებელია ისიც, რომ ხშირად დავიწყებას ეძლეოდა ახლად მოსულთა შორის იდეურ-პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა. ყოველივე ამის შედეგად ზოგიერთ საწარმოში ახლად მოსული მუშების ნაწილი ცნელად მაგრდებოდა ადგილზე და მუშახელის დინება ხდებოდა.

მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ომის წლებში ხორციელდებოდა რესპუბლიკის ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების, ფართო მოხმარების სამრეწველო საწარმოთა როგორც აგებით, ასევე არსებულთა პროდუქციის ზრდით და მათი ახალი სახეობების ათვისებით. დამხმარე მეურნეობათა და საბოსტნე ნაკვეთების ფართობთა და მათი მოსავლიანობის ზრდის გზით.

ამ მიზნით ომის წლებში საქართველოში აიგო როგორც ახალი საწარმოები. ასევე ცალკე საამქროები*. იყო შემთხვევები. როცა

---

* მაგ.. მცხეთის ფანერის ქარხანაში აიგო სპეციალური ავტომატური ფაბრიკა ასანთის მასობრივად გამოშვებისათვის (1942 წელს ასანთის შემოზიდვა საქართველოში გაძნელებული იყო). ქიმკომბინატში აიგო ხელის საპნის წარმოების საამქრო. ელექტროლამპიონებით მოსახლეობის დაკმაყოფილებისათვის თბილისში ასევე ქოლეჯო გაკეთდა (ბადამწვარი) ნათურების საგენერაციო წარმოება. ომის წლებში მეტად გართულდა შემოზიდვა საბჭოთა კავშირის ცენტრალური რაიონებიდან საოჯახო ჭურჭლისა. ამ სიძნელის დასაძლევად რესპუბლიკის მეთელ რიგ საწარმოებთან შეიქმნა სპეციალური საამქროები ნაირსახოვანი თიხის ჭურჭლის საწარმოებლად: მხოლოდ 1942 წელს მათ შეძლეს 2 მილიონი ლიტრის ტევადობის ჭურჭლის გამოშვება. მახარაძის რაიონში კაოლინის თიხით მასობრივად აწარმოებდნენ ფაიფურის ჯამებს, ლამბაქებს, ჭიქებს და ელექტრო-ფაიფურის ნაწარმს. ბორჯომის ბუფეს ქარხანასთან სპეციალური საამქრო ჩაშოყალიბდა ფართო მოხმარების მინის ჭურჭლის ბოთლის, ჭიქის, ლამპის, გრაფინის, სამელნის და სხვათა საწარმოებლად: ფართო ბაზა შეიქმნა საგალანტერიო საგანთა — ოდეკალონის, პუდრის, საკარტლების, სარკეების, ჯაგრისის, ღილების და სხვათა ადგილობრივ საწარმოებლად (სამამული ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4. საქმე 67).

საქართველოს სარეწაო საბჭოს ინვალიდთა კოოპერაციამ წარმატებით ათვისა პარფიუმერიისა და კოსმეტიკის საგნების წარმოება აღგილობრივ ნედლეულთა საშუალებებით. გახსნეს 114 ფეხსაცმლის სარემონტო ატელი, ასევე ორჯერ გადიდდა ტანსაცმლის სარემონტო ატელების ოდენობა და სხვა. (სამამული ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 73, ფურც. 21—26).

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა ათვისეს ფართო მოხმარების ბეზინის ჩექმებისა და ავტოკამერების გაკეთების ნარჩენებისაგან წაღების, პოტებისა და სხვა სახის ფეხსაცმლის მასობრივად წარმოება როგორც ქალაქის ადგილობრივი. ასევე კოლმეურნეთათვის. ათვისეს და მასობრივად გამოშვეს გრიფელის რეზინები, პირის გადასაღები ქაღალდი და სხვა (იქვე).

სპეციალიზაციებზე გადაყვანილი საწარმოებიც კი თავდაცვის პროდუქციის გამოშვების გადიდებასთან ერთად ახერხებდნენ რესპუბლიკის როგორც სამრეწველო საწარმოთათვის საჭირო ნაწილების, ასევე ფართო მოხმარების საგნების წარმოებას ზურგის მშრომელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად[10].

საქართველოს ადგილობრივმა მრეწველობამ მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად უკვე 1941 წელსვე შესძლო აეთვისებინა ისეთი ახალი ნაკეთობანი, რომლებიც წინათ სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან შემოდიოდა. 1943 წელს მან 29,0 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმა[11].

ფართო მოხმარების საგნების წარმოების ზრდა სამამულო ომის გარდატეხის. 1943 წლიდან ახალ ეტაპზე ადის და განსაკუთრებული სწრაფი აღმავლობით ხასიათდება, იქმნება ფართო მოხმარების საგანთა ცალკე ახალი საწარმოები, საამქროები და აგრეგატები, ძლიერდება კადრების მომზადება და სხვა[12].

ფართო მოხმარების საგნების საწარმოთა მიერ გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებას დიდი ყურადღება მიექცა და მნიშვნელოვანი წარმატებებიც იქნა მოპოვებული[13].

---

[10] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 67.

[11] გაზ. „კომუნისტი", 1944, 23 თებერვალი.

[12] მაგალითად, ქუთაისის სამრეწველო კომბინატის სისტემაში 1944 წლის დასაწყისში ფართო მოხმარების საგნების წარმოების ზრდის მიზნით ჩამოყალიბდა ფართო მოხმარების საწარმოებში სპეციალური ტექნიკური წრეები, სადაც მზადდებოდა კადრები წარმოების სხვადასხვა დარგთათვის. საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოები დიდი ენერგიით შეუდგნენ მთელი რიგი ახალი ქსოვილების ათვისებას. მასობრივად დაიწყეს თბილისური შევიოტის, მერინოსის შალის და სხვა სახელწოდების საკოსტუმე და საპალტოე ქსოვილების გამოშვება. (სამ. ომის არქივი. ფონდი 2, საქმე 790, ფურც. 4).

1944 წლის პირველ ნახევარში ქუთაისში ამუშავდა შუშის დიდი ქარხანა, რომელსაც საქართველოს სსრ კვების მრეწველობის საწარმოების ტარა-ბუერლით დაკმაყოფილება დაეკისრა და დიდი რაოდენობით შეუდგა მინის ჭილების, შუკაის ყუთებისა და სხვა საგნების გამოშვებას.

ამავე პერიოდში მახარაძის ფაიფურის ბუერლის ქარხანამ აითვისა ფაიფურის თეფშების წარმოება. 1944 წლის პირველ ნახევარშიე დამთავრდა და მწყობრში იადგა ჩხარის ე. წ. მეტლახისა და კედლის ფილების წარმოება.

[13] მაგალითად, სამრეწველო კომბინატმა ასანთისა და საპნის წარმოების წლიური გეგმა ნოემბრის დამდეგს 178,9%, ფეხსაცმლის საწარმოებმა 103,2%, აეეჯისამ 127% შეასრულა.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა 1945 წლის 4 თვის საწარმოო დავალება 102,8% შეასრულა. ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გეგმა შესრულებულ იქნა 122%, 1945 წლის თებერვალში ქარხნის კოლექტივმა მიიღო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია. ფართო მოხმარების მექანიკური საამქროს ბეკერი ახალგაზრდა მუშა გეგმას 400—500% ასრულებდა.

ამ გზით ფართო მოხმარების საგნების წარმოება რესპუბლიკაში შეუნელებელი ტემპით იზრდებოდა; ომის დამთავრებისას კი, როცა ჩვენი ქვეყნის მძლავრი მრეწველობა სამხედრო რელსებიდან სამოქალაქოზე იქნა გადაყვანილი, ფართო მოხმარების საქონლის ინდუსტრიული გზით წარმოების გაფართოებას ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა.

ა. დ ა მ ხ მ ა რ ე მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ნ ი. სამამულო ომის წლებში მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დამხმარე მეურნეობის მოწყობისა და გაუმჯობესების საქმეს.

საქართველოს სსრ საწარმოებთან არსებული დამხმარე მეურნეობათა ქსელი სამამულო ომის პერიოდში დიდად გაიზარდა, გაძლიერდა და მუშა-მოსამსახურეთა სურსათით მომარაგების ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

დამხმარე მეურნეობებში ომის წლებში გააძლიერეს მუშაობა საწარმოო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა, ისინი ეუფლებოდნენ აგრომინიმუმს და ზრდიდნენ მოსავლიანობას. ამ გზითაც ხორციელდებოდა მუშა-მოსამსახურეთა სასადილოების სურსათით უკეთ მომარაგება.

1942 წ. დასაწყისიდან დასახულ იქნა სპეციალური ღონისძიებები საწარმოებებისა და დაწესებულებათათვის დამხმარე მეურნეობის გაფართოებისა და შექმნის შესახებ[14].

სამამულო ომის პერიოდში საქართველოში თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საწარმო, რომელსაც არ ჰქონოდა საკუთარი დამხმარე მეურნეობა. ეს მეურნეობები თავიანთი მზარდი მოსავლიანობით ხელს უწყობდნენ საწარმოო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა სურსათით მომარაგებისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების საერთო სახალხო საქმეს.

ბ. კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი და ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი მ ე ბ ო ს ტ ნ ე ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა. სამამულო ომის პერიოდში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლების მშრომელთა ოჯახების სასოფლო-სამეურნეო სურსათის სხვადასხვა სახეობით უზრუნველყოფის საქმეს.

მართალია, ომის დაწყების პირველი პერიოდიდანვე მოხდა სსრ კავშირის სასურსათო რეზერვების დაგეგმვა, სასურსათო საშუალე-

---

[14] იხ. საქართველოს მინისტრთა საბჭოს არქივი.

ბების ნორმირება. მათი გეგმური განაწილება. ამ მიზნითვე შემოღებულ იქნა სასურსათო და სამრეწველო პროდუქტების ბარათები საბჭოთა მოსახლეობის მომარაგების სწორი ორგანიზაციის მიზნით და სხვა. მაგრამ პარტია ეძებდა და პოულობდა სხვა წყაროებსაც მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად.

მრავალ სხვა ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა კოლექტიური და ინდივიდუალური მებოსტნეობის განვითარება დამხმარე მეურნეობებთან ერთად[15]. მასში ჩაება ჩვენი ქალაქის მშრომელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომელთაც ენერგიულად გააჩაღეს ბრძოლა მიჩენილ ნაკვეთებზე უხვი მოსავლის მისაღებად.

ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ ქალაქის მშრომელებს დაუბრკოლებლად მიეღოთ საუკეთესო ნაკვეთები მათთვის ხელსაყრელ ადგილებში. მათ ეწეოდათ აგროტექნიკური რჩევა-დარიგებანი, ეძლეოდათ სათესლე ავანსად ახალ მოსავლამდე. ეხმარებოდნენ ნიადაგის დასამუშავებლად საჭირო მანქანა-იარაღებით და სხვა. ამასთანავე განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადგილობრივ სას. საბჭოებს და კოლმეურნეობებს მთავრობამ სათანადო მითითებები მისცა იმისათვის, რომ ყოველმხრივ დახმარებოდნენ ქალაქის მშრომელებს ინდივიდუალური და კოლექტიური ნაკვეთების წარმატებით დამუშავების საქმეში უხვი მოსავლის მისაღებად. მშრომელთა შემოქმედებითმა ინიციატივამ ამ მხრივ ფართო გასაქანი პოვა[16].

მაგალითად, ქ. ქუთაისის მშრომელების აქტივობა კოლექტიური და ინდივიდუალური მებოსტნეობის განვითარების საქმეში ასეთ სურათს იძლევა (ცხრ. 29).

ცხრილი 29

წელი	ოჯახთა რაოდენობა, რომლებიც კოლექტივ. ბოსტ. ეწეოდნენ	ოჯახების რაოდენობა, რომლებიც ინდივიდუალურ ბოსტ. ეწეოდნენ	ფართობი ჰექტარობით	კოლექტ. და ინდ. მებოსტნეთა საერთო რაოდენობა.
1942	—	5372	325	5372
1943	165	8571	641	8736
1944	2000	9219	880	11219

[15] დიდი სამამული ომის წლებში 16 მილიონზე მეტ საბჭოთა მოქალაქეს ინდივიდუალური საბოსტნე ნაკვეთი ჰქონდა, ხოლო ომის უკანასკნელ 1944 წელს, პროფესიული კავშირის სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ცნობით, საკუთარი ბოსტანი ჰქონდა 18 მილიონზე მეტ მუშა-მოსამსახურეს მილიონ-ნახევარი ჰექტარი ნათესი ფართობით.

[16] გაზ. „კომუნისტი", 1945, 14 აგვისტო.

საბოსტნე ნაკვეთებზე, ბოსტნეულ-ბაღჩეულს გარდა, მარცვლეული კულტურებიც ითესებოდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ასეთი მეურნენი თავისი ოჯახის საყოფ ჭირნახულს ღებულობდნენ მიჩნეულ ნაკვეთებზე.

ინდივიდუალურ და კოლექტიურ მებოსტნეობას მისდევდნენ მუშა-მოსაძსახურეთა, სამამულო ომის ფრონტელთა ოჯახები და ასევე სამამულო ომის ინვალიდები. მაგალითად, ქუთაისის სინამდვილეში ამ მხრივ 1944 წელს ასეთი სურათი გვქონდა[17] (ცხრ. 30).

ცხრილი 30

მოსახლეობის ჯგუფი	ოჯახის რიცხვი	დამუშავებული საბოსტნე ნაკვეთი ჰექტრობით
1. სამამულო ომის ფრონტელთა ოჯახები . .	3256	313,6
2. სამამულო ომის ინვალიდები .	367	32,15
3. მუშები და მოსამსახურეები .	5596	534,05

კოლექტიურ და ინდივიდუალურ მებოსტნეობას მიჰყვეს ხელი თბილისის, გორის, ბათუმის, სოხუმის, სტალინირის, ფოთისა და სარაიონო ცენტრებისა და დაბების მუშა-მოსამსახურეებმა, ფრონტელთა ოჯახის წევრებმა და სამამულო ომის ინვალიდებმა. ყოველწლიურად იზრდებოდა ინდივიდუალურ მებოსტნეთა როგორც რიცხვი, ასევე მათი ნათესი ფართობი და მოსავლიანობა ერთეულ ჰექტარზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლმეურნეობების მშობლიური მზრუნველობა ფრონტელთა ოჯახებისადმი[18]. საქართველოს კოლმეურნეებმა 1943 წლის თებერვლის ბოლოს სამშობლოს დამცველთა ოჯახებისათვის გამოყვეს ინდივიდუალური საბოსტნე ნაკვეთები 7000 ჰექტარის რაოდენობით და ბევრ მათგანს დაეხმარნენ კიდეც მათ დამუშავებაში.

საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფა-დამუშავება და მისგან მაღალი მოსავლის მიღება ომის წლებში დიდმნიშვნელოვან სახალხო სახელმწიფოებრივ საქმედ გადაიქცა მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, — ქალაქის მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეში.

---

[17] სამამულო ომის არქივი. ფონდი 4. საქმე 298, ფურც. 90.

[18] ს. ბერაძე. გაფართოებული რეპროდუქცია კოლმეურნეობაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობის მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას „საქართველოს სოფლის მეურნეობისადმი დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილების საფუძველზე, როგორც აღინიშნა, ჩაის, თამბაქოსა და ყურძნის სახელმწიფო ჩაბარების პროდუქციის ფასები ერთისამად გაიზარდა და 1944 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეებს, წინასწარი გაანგარიშებით, 400 მილიონ მანეთზე მეტი თანხა უნდა მიეღოთ, ნაცვლად 164 მილიონ მანეთისა.

თ ა ვ ი XI

რესპუბლიკის მედიცინა და კურორტები საომრებლის დაჭცველთა და ომრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში

1. დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა გამოჯანსაღებაზე ზრუნვა

საქართველოს მაღალკვალიფიციური მედპერსონალი, რესპუბლიკის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტები, სამკურნალო დაწესებულებები, მოწინავე ფარმაკოქიმია, მსოფლიოში სახელგანთქმული საქართველოს კეთილმოწყობილი კურორტები, მათი შესანიშნავი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან ქვეყნის თავდაცვის სამსახურში დგებიან და საპატიო როლს ასრულებენ მტერზე გამარჯვების მოპოვებისათვის საერთო ბრძოლაში.

ომმა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და მედიცინის მუშაკების წინაშე გადაუდებელ ამოცანად დააყენა:

1. რაც შეიძლება დაჩქარებით განეკურნათ საბჭოთა არმიის დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლები და მეთაურები, რათა ისინი კვლავ საბჭოთა არმიის რიგებში დაბრუნებულიყვნენ, ხოლო ისინი, რომლებსაც აღარ შეეძლებოდათ იარაღის ტარება, ჩაებათ ზურგის სამუშაოებში.

2. გაეჩაღებინათ ბრძოლა ყოველგვარი ეპიდემიის გავრცელების წინააღმდეგ როგორც საბჭოთა არმიის რიგებში, ასევე ზურგის მშრომელთა შორის.

3. შეექმნათ მშრომელთა ნორმალური სამედიცინო-სანიტარული მომსახურების ყველა პირობა და ეზრუნათ ევაკუირებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე.

სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან საქართველოდან ფრონტზე წავიდა ექიმთა და საშუალო მედპერსონალთა დიდი

შემადგენლობა. რომლის საპატიო ამოცანების განხორციელება დაეკისრა მედმუშაკთა ზურგში დატოვებულ ნაწილს. ზურგში დარჩენილი ექიმები, უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლები და სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკები მთელ თავიანთ მუშაობას თავდაცვის ამოცანებს უმორჩილებდნენ. ისინი ენერგიულ მუშაობას ეწევიან ევაკოჰოსპიტლებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა მეომრების ჯანმრთელობის დასაცავად. 1941 წელსვე საქართველოდან ფრონტზე წავიდა ქირურგთა პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ასეთ პირობებში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა მედკადრეების მომზადებას და გადამზადებას. მაგ., ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კოლექტივმა 1943 წელს მრავალი ექიმი გადაამზადა, მოაწყო დოცენტებისა და პროფესორების ბრიგადების მივლინება რაიონებში. აფხაზეთში. აჭარაში. სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში. ბორჯომში, თელავსა და წყალტუბოში ჩამოყალიბდა ადგილობრივ ექიმთა გადასამზადებელი კურსები (100 საათიანი სასწავლო პროგრამით). ქირურგიაში, თერაპიაში, ტექსიკოლოგიასა და სხვ. დარგებში.

მოეწყო კურსები ნევროპათოლოგიის დარგში. სადაც ევაკოჰოსპიტალთა სათანადო დარგის მკურნალი ექიმების 98% გადამზადება მოხდა[19].

ომის წლებში მხოლოდ პროფორგანიზაციების ხაზით წარმოებიდან მოუწყვეტლივ კვალიფიკაცია აიმაღლა 950 ექიმმა და მრავალმა საშუალო მედპერსონალმა[20]. მომზადდა მედიცინის 1300 და სანიტარიის 300 მუშაკი.

ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტმა დიდი მუშაობა ჩაატარა რესპუბლიკაში მოსახლეობის ეპიდემიურ დაავადებათა ლიკვიდაციისა და მისი პროფილაქტიკის საქმეში.

ამ მიზნით შეიქმნა პროფესორებისა და დოცენტების გამსვლელი ბრიგადები სოფლებსა და რაიონებში. სისტემატური ხასიათი მიიღო გამსვლელი სამეცნიერო სესიების მოწყობამ და სხვ.

რესპუბლიკის გამოჩენილი ქირურგები, ნევროპათოლოგები, თერაპევტები და სხვ. მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი რაიონებსა და პერიფერიულ ქალაქებში განლაგებულ ევაკოჰოსპიტლებთან. ისინი სისტემატურად ჩადიოდნენ იქ და დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ავადმყოფებისადმი.

---

[19] სამამულო ომის ისტორიის არქივი. ფონდი 4. საქმე 871. ფურც. 76.
[20] იქვე.

ბრძოლისა და შრომის უნარის სწრაფად აღდგენის მიზნით ჰოსპიტლებში დაჭრილთა და ავადმყოფთა განსაკურნავად ფართოდ გამოიყენებოდა მკურნალობის კომპლექსური მეთოდები. ფართოდ იყენებდნენ აისხლის გადასხმას, ფიზიო-, ბალნეო- და კლიმატოთერაპიას. სამკურნალო ფიზკულტურას და სხვ. ამ მიზნით კარგად გამოიყენებოდა რესპუბლიკის კურორტების მთელი შესაძლებლობანი. შავი ზღვისპირეთის რბილი ჰავის (კეთილმოწყობილი კურორტებით). ბორჯომის, წყალტუბოს, მენჯის, საირმისა და სხვ. მინერალური წყლების გამოყენება აჩქარებდა ავადმყოფთა განკურნებას.

საქართველოში უაღრესად დიდი მნიშვნელობის ღონისძიებანი განხორციელდა ჰოსპიტალთა მძლავრი ქსელის შექმნისა და ორგანიზაციის საქმეში. საქართველოს სსრ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებით შეიქმნა საბჭოთა არმიის ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა და მეთაურთა მომსახურების დამხმარე რესპუბლიკური კომიტეტი.

რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი კურორტები და მთელი საკურორტო მეურნეობა, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, საავადმყოფოების დიდი უმრავლესობა. მთელი რიგი სკოლები. საერთო საცხოვრებლები და სხვა შენობები ევაკოჰოსპიტლებს გადაეცა. ჰოსპიტლებს გადაეცა ყოველგვარი საჭირო მოწყობილობანი სხვადასხვა კაბინეტების. ლაბორატორიების. საწოლებისა და თეთრეულის სახით და მათ მუშაობაში აქტიურად ჩაება რესპუბლიკის მაღალკვალიფიციური მედპერსონალი სახელმოხვეჭილი ქირურგების, ნევროპათოლოგების. თერაპევტების. ფსიქიატრების და სხვათა სახით.

1942 წელს. როცა მტერმა მოახერხა ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის მთელი რიგი რაიონების დაპყრობა. საქართველოში ამ მეზობელი რაიონებიდან ევაკუირებულ იქნა დიდძალი ევაკოჰოსპიტლები.

მრავალი ევაკოჰოსპიტლის დაჭრილი მეომრები რესპუბლიკის მშრომელთა დიდი მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი. რომლის შედეგადაც ევაკოჰოსპიტლების მუშაობაში სულ მალე მიღწეულ იქნა დიდი წარმატება და საქართველომ ამ მხრივ პირველი ადგილი მოიპოვა სსრ კავშირში. მაგალითად, 1942 წლის პირველ ნახევარში თუ რესპუბლიკის ჰოსპიტლებიდან ფრონტებზე დაბრუნებულები მხოლოდ 11—15 პროცენტს არ აღემატებოდა. 1942 წ. ბოლოს მან 75%-ს მიაღწია. დაჭრილთა განკურნების საქმეში აკად. მუხაძის მეთაურობით დიდი როლი შეასრულა სისხლის გადასხმის ინსტიტუტმა და მის ირგვლივ შემოკრებილმა დონორებმა[21].

---

21 სამამულო ომის ისტორიის არქივი. ფონდი 4. საქმე 869. ფურც. 3.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დონორობა და დონორთა აქტიური მონაწილეობა დაჭრილი მეომრების განკურნების საქმეში. მაგალითად, თუ 1942 წ. საქართველოში ითვლებოდა 5563 აქტიური დონორი, 1943 წელს აქტიურ დონორთა რიცხვი 15 000 კაცამდე გაიზარდა[22].

ავადმყოფი და დაჭრილი მეომრებისადმი სამედიცინო დახმარებისა და მკურნალობის საქმეში ევაკოჰოსპიტლებში ჩაბმული იყო არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის მედპერსონალის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ აგრეთვე აკადემიკოსები, პროფესორები და ცალკე კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერი მუშაკები.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა გამოჩენილი წარმომადგენლები (გ. მუხაძე, ა. წულუკიძე, ა. ალადაშვილი, პ. სარაჯიშვილი, ა. ზურაბიშვილი, პროფ. გ. დიდებულიძე, ნ. ყიფშიძე და სხვ.) თავიანთი კვლევითი მუშაობით და პრაქტიკით განუყრელად იყვნენ დაკავშირებული ევაკოჰოსპიტლებთან; დიდ დახმარებას უწევდნენ სპეციალიზირებულ ევაკოჰოსპიტლებს პროფესორები: კ. ერისთავი, დ. იოსელიანი, მ. წინამძღვრიშვილი, ე. ზაქარაია, ა. ყიფშიძე, ე. ფიფია, კ. ვეფხვაძე, პ. ქავთარაძე, ნ. დემეტრაძე, ა. გოცირიძე, დ. ჯავახიშვილი, კ. ჩიქოვანი და სხვ.[23]

სამედიცინო მეცნიერება გამდიდრდა მკურნალობის დიდი პრაქტიკით, მისი თეორია და პრაქტიკა არასოდეს ისე არ შერწყმია ერთმანეთს როგორც სამამულო ომის პერიოდში. ჰოსპიტლებში მკურნალობასთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაც გაცხოველებით მიმდინარეობდა, ეწყობოდა ევაკოჰოსპიტალთა ექიმების რესპუბლიკური თათბირები, (1942 წ. ივნისი, 1944 წ. მაისი), სადაც გამოჰქონდათ მთელი რიგი სამეცნიერო მოხსენებები (მაგ., 1944 წ. მოსმენილ იქნა 100 მეცნიერული მოხსენება, რომლებიც მოიცავდნენ სამამულო ომის პერიოდში ევაკოჰოსპიტლების მუშაობის გამოცდილებათა განზოგადებას). საქართველოს ჯანსახკომის ევაკოჰოსპიტალთა მასალების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე ომის წლებშივე დაწერილ იქნა მთელი რიგი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები[24].

1946 წ. მარტში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დადგენილება მიიღო 1941 — 1945 წლებში საბჭოთა მედიცინის მიერ მიღებული გამოცდილების მეცნიერული დამუშავებისა და განზოგადების შე-

---

[22] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 869, ფურც. 3.
[23] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 871, ფურც. 77.
[24] სამამულო ომის არქივი, ფონდი 2, საქმე 871, ფურც. 80.

სახებ[25]. ამ უდიდესი მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომის გაჟოცემის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში საბჭოთა მედიცინის მეცნიერებათა გამოჩენილ მოღვაწეთა შორის შეყვანილ იქნა აკადემიკოსი ი. ი. ჯანელიძე, რომელიც სამამულო ომის წლებში ქ. კიროვში მუშაობდა. მან თავის კლინიკაში ხანგრძლივად შეუხორცებელი ჭრილობების სწრაფად განკურნების ახალი მეთოდები შეიმუშავა, რითაც უდიდესი დახმარება გაუწია სამშობლოს.

დიდი ყურადღება მიექცა შრომით თერაპიას. ჯერ კიდევ 1942 წლიდან საქ. სსრ სოციუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა სამამულო ომის ინვალიდების სამუშაოზე მოწყობისა და სწავლების სამმართველო. ამ მიმართულებით მუშაობა იქამდე გაფართოვდა, რომ თვით ჰოსპიტალშიც კი, მკურნალობის პროცესში, ამა თუ იმ ხელობას სწავლობდნენ დაჭრილები[26].

1942 წ. 14 ივლისს გაიხსნა აგრეთვე საბეჭდ მანქანათა მექანიკოსების მოსამზადებელი კურსები. ასევე გაიხსნა სხვა პროფესიების მიხედვით ინვალიდთა მოსამზადებელი სკოლები და სხვა[27].

ამ უაღრესად ნაყოფიერმა ღონისძიებებმა გარკვეულ დადებით შედეგებს მიაღწია. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდების შრომითი მოწყობისა და სწავლების სამმართველომ თავისი არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში სამუშაოზე გაგზავნა 2000 ინვალიდზე მეტი.

ისეთი სახის ინვალიდთათვის, რომლებსაც საშუალება არ ჰქონდათ დაბრუნებოდნენ თავიანთ პროფესიას, მოწყობილ იქნა სხვადასხვა ვადის კურსები თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბორჯომსა და ბათუმში. ომის ინვალიდებმა შეისწავლეს მოანგარიშეობა, ბუხჰალტრობა, ფოტოგრაფობა, დურგლობა და სხვა პროფესიები. ბევრი კურსდამთავრებული მალე შეუდგა მუშაობას და შრომის ნაყოფიერების მაღალმაჩვენებლებს იძლეოდა.

იმ პირთათვის, რომლებიც საჭიროებდნენ სისტემატურ მოვლას, მოწყობილ იქნა ინვალიდთა სახლი, სადაც ისინი სპეციალურ წრეებში სწავლობდნენ სხვადასხვა შესაფერ ხელობას როგორიცაა, მაგალითად, ხეზე ამოჭრა და სხვ.[28]

---

[25] გაზ. „კომუნისტი", 1946, 28 მარტი.

[26] **Труды второй научной конференции врачей эвакогоспиталей Наркомздрава Грузинской ССР.** თბილისი, 1946.

მარტო თბილისში 1942 წ. აგვისტოში თორმეტ ადგილას იქნა ჩამოყალიბებული კოლმეურნეობების აღმრიცხველებისა და მოანგარიშეების კურსები, გახსნილ იქნა ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნოები და საბუჰალტრო კურსები

[27] გაზ. „კომუნისტი", 1942, 16 აგვისტო.

[28] გაზ. „კომუნისტი", 1942, 6 სექტემბერი.

ომის ინვალიდებისათვის ახალი შესაფერი პროფესიების ათვი-
სების ცდა საქართველოში. მართალია, პირველი მსოფლიო ომის
დროსაც იყო, მაგრამ იგი არ ატარებდა ორგანიზებულ ხასიათს, მო-
წყვეტილი იყო შრომითი თერაპიის მეცნიერებათა საფუძვლებს და
უმეტესად ერთეული, პიროვნული ქველმოქმედებითი სახის მატა-
რებელი იყო.

საბჭოთა საქართველოს მთავრობა და მშრომელები ერთი წუთი-
თაც კი არ ანელებდნენ ყურადღებას სამამულო ომის ინვალიდები-
სადმი ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის საქმეში. მაგ., 1943
წლის ივლისში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზ-
ში ჩატარდა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო
საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფი-
ლებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა
ომის ინვალიდების საპენსიო მომსახურეობის და შრომითი მოწყობის
საკითხი (მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ სოციუზრუნ-
ველყოფის სახალხო კომისარი გ. ელისაბედაშვილი[29]). დამახასიათე-
ბელია, რომ მხოლოდ 1944 წელს რესპუბლიკის ევაკოჰოსპიტლებში
მოწყობილ მოკლევადიან კურსებზე ახალ პროფესიას დაეუფლა
1113 ინვალიდი[30].

1943 წლიდან საქართველოში მედიცინის მუშაკებმა გააძლიერეს
მუშაობა შრომითი თერაპიის პრობლემებზე. დაარსდა სამამულო
ომის ინვალიდთათვის ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის
ინსტიტუტი. მედიცინის მეცნიერ მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა
თანამშრომლობით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროტეზე-
ბის სამრეწველო ტექნიკური გაუმჯობესების საქმეს, საპროტეზო სა-
ამქრო ქარხნად გადაკეთდა და მოხდა მისი სრული რეკონსტრუქცია.

2. მზრუნველობა რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე

ომის წლებში საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექ-
ცეოდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სანიტარული პირობების
დაცვას. ეპიდემიასთან ბრძოლის ღონისძიებებს. რესპუბლიკის ქა-
ლაქებსა და სოფლებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში
ამ მიმართულებით საგანგებო ღონისძიებები ტარდებოდა, სისტემა-
ტურად ეწყობოდა სანიტარული დათვალიერებები. იკითხებოდა
ლექციები. ეწყობოდა ჯგუფური საუბრები და კონსულტაციები. მა-
გალითად, ქ. ქუთაისის ექიმთა საზოგადოების წევრების მიერ ქალა-

[29] გაზ. „კომუნისტი", 1943, 7 ივლისი.
[30] სამამულო ომის არქივი, ფონდი 4, საქმე 871, გვ. 82.

ქის მცხოვრებთა შორის ომიან წლებში მთლიანად 10 334 ლექცია-საუბარი ჩატარდა, და ეს მაშინ, როცა ამ საზოგადოების ყველაზე უფრო აქტიური წევრების 70% სამამულო ომის ფრონტზე იმყოფებოდა. სანიტარული დათვალიერების საფუძველზე მკაცრი კონტროლი ხორციელდებოდა ფურნეებში, ბაზრებსა და კვების ობიექტებზე.

ომის წლებში გადამდებ სნეულებათაგან მოსახლეობის დასაცავად ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აცრების მასობრივად და ხარისხოვნად ჩატარებას, აბანოების და სადეზინფექციო კამერებისა და პუნქტების ქსელის გადიდებას. ეაგზლებსა და სხვა სახის საზოგადო შესაკრებ ადგილებზე მოეწყო სანგამტარები და დეზკამერები, შეიქმნა მოძრავი დეზრაზმები. საკონსულტაციო საექიმო პუნქტები, ეაგონ-აბანოები, შხაპები და სხვა სამკურნალო პროფილაქტიკური ობიექტები. დიდი ყურადღება ექცეოდა შრომის პირობების დაცვას და გაუმჯობესებას, ტექნიკური უშიშროებისა და ტრავმატიზმის შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანას.

რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა შრომის დაცვის, ტექნიკური უშიშროების უზრუნველყოფის საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი კომიტეტის კომისიები და შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორები. ისინი ანაწილებდნენ შრომის დაცვისათვის განკუთვნილ სახსრებს. სამამულო ომის პირველ წლებში, როცა კვალიფიციური მუშების დიდი ნაწილი ფრონტზე წაედა და მათი ადგილი ქარხანაში ახლად მოსულმა მუშებმა დაიპირეს, ზოგიერთ ქარხანაში ტრავმატიზმის შემთხვევები რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ ამას მალე მოეღო ბოლო. მაგალითად, რესპუბლიკის აბრეშუმის მოწინავე მრეწველობაში 1943 წელს ორჯერ ნაკლები იყო ტრავმატიზმის შემთხვევები, ვიდრე 1941 წელს. ტრავმატიზმის შემცირებით მცირდებოდა დღეები, როცა მუშას დროებით შრომის უნარი ეკარგებოდა[31].

ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა ბავშვებისადმი, მათი ჯანმრთელობის დასაცავად. ამოცანად დაისახა არც ერთი ფრონტელის ბავშვი, რომელთა დედები კოლმეურნეობაში ან წარმოებაში მუშაობდა, არ დარჩენილიყო უყურადღებოდ და მზრუნვე-

---

[31] К. Церетели, Охрана труда на предприятиях шелковой промышленности Грузии, журнал „В помощь фабрично-заводским и местным комитетам", № 12, 1944, декабрь, гг. 32-33.

ლობის გარეშე. დაისახა ღონისძიებები სპეციალური ინტერნატების, საბავშვო ბაღების და სხვა ტიპის საბავშვო დაწესებულებათა შექმნის შესახებ[32].

დიდი ღონისძიებები განხორციელდა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის, მათი კვების გაუმჯობესების და საბავშვო დაწესებულებათა რიცხობრივი ზრდის და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ომის წლებში გამრავლდა საბავშვო ბაღებისა და ბაგების რიცხვი, გამრავლდა დედათა და ბავშვთა საკონსულტაციო სამედიცინო დაწესებულებების რიცხვი, რასაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ადასტურებს (ცხრ. 31).

ცხრილი 31

ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებანი	1940 წ.	1945 წ.
დედათა და ბავშვთა საკონსულტაციო პუნქტი . .	111	123
მუდმივ მოქმედი ტიპის საბავშვო ბაგების რიცხვი	281	296
მათი საწოლების რიცხვი	9623	12 600
საბავშვო პოლიკლინიკები .	25	30
საბავშვო საავადმყოფოები	5	10

სამამულო ომის წლებში დიდი სისწრაფით, განსაკუთრებით სოფლად, გამრავლდა სეზონური საბავშვო ბაღების რიცხვი, სადაც საწოლების რიცხვი. მაგალითად, 1945 წლისათვის 21 346 აღემატებოდა[33].

თუ 1941 წელს საქართველოში 636 საბავშვო ბაღი ითვლებოდა და მასში 37 ათასამდე ბავშვი ირიცხებოდა, მათი რიცხვი სამამულო ომის პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა[34].

1940 წელს თუ რესპუბლიკაში 99 საავადმყოფო არსებობდა, 1943 წელს საავადმყოფოების რიცხვი 41-მდე შემცირდა, 1945 წ. კი მათი რიცხვი დიდად იზრდება, დიდდება საწოლების ოდენობაც.

ომის პირველ წლებში შემცირდა სამოქალაქო საავადმყოფოთა

---

[32] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 11549, ფურც. 3—4.

[33] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 4, საქმე 871.

[34] ცნობები აღებულია სტატისტიკური სამმართველოდან.

რიცხვი ჰოსპიტლებად მათი გადაკეთების გამო. მაგრამ სამაგიეროდ გაიზარდა საავადმყოფოთა საწოლების რიცხვი.

ამავე პერიოდში იზრდება ამბულატორიულ პოლიკლინიკათა რიცხვი, საფერშლო-საბებიო პუნქტების რიცხვი. რენტგენის კაბინეტები, აფთიაქების რიცხვმა 500-მდე მიაღწია და სხვ.

ინფექციურ დაავადებათაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით საქართველოში სადეზინფექციო კამერებს გარდა ქალაქად და სოფლად ომის წლებში აიგო აბანოები და სანიტარულ-ჰიგიენური დაწესებულებანი. რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში აშენდა აბანოები. მოხდა ძველის რეკონსტრუქცია და მაქსიმალურად იქნა გამოყენებული ადგილობრივი თბილი წყლები. მაგალითად, 1942 წელს სოფ. ყანჩაეთში დაიწყეს და 1943 წელს დაამთავრეს 600 კვადრატული მეტრის შემცველი საუცხოო აბანოს შენებლობა. აბანო აიგო სოფლის ბუნებრივი გოგირდის წყლების ბაზაზე. რომელთა ტემპერატურა 25° უდრის და გააჩნია სამკურნალო თვისებები (ლ. მამისაშვილი. ყანჩაეთის კოლმეურნეობა. ნარკვევი, ტექსტი ხელნაწერისა დაცულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში. გვ. 36).

ასეთია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგები ომის ძნელ პერიოდში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის. წინააღმდეგ ამგვარი მზრუნველობისა, თუ რაოდენ უპატრონოდ იყო მიტოვებული პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა. ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა იმდროინდელი პრესა. მაგალითად. გაზეთი „სახალხო ფურცელი" 1917 წ. 6 იანვარს იუწყებოდა. რომ ხალხის ჯანმრთელობა გაუარესდა, „დამპალ ციებცხელებას ისე მოუკიდნია ფეხი, რომ კახეთის- მთელი რიგი სოფლები ამოწყვეტის გზაზეა დამდგარი... დამპალი ციებით ავადმყოფია მცხოვრებთა 95%; ომის წყალობით მთელი კახეთი თითქმის უექიმოდ დარჩა. სოფლებში არსებული ქსენონები ზოგი დაიკეტა. ზოგი ფერშლის ანაბარა დარჩა. უწამლოდ". ასე სავალალო მდგომარეობაში რჩებოდა საქართველო სამედიცინო მომსახურების მხრივ მენშევიკების ბატონობის პეიროდშიც.

საქართველოს ჯანმრთელობის ორგანოებისა და მუშაკთა ამოცანები უშუალოდ იყო დაკავშირებული სამამულო ომის ცალკე პერიოდებთან. სამამულო ომის უკანასკნელ წელსა და მის დამამთავრებელ პერიოდში ჯანმრთელობის ორგანოების ამოცანებს წარმოადგენდა ომის ინვალიდთა მკურნალობა. მათი მოსახურეობა, სოფლისა და

ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის გაძლიერება. დემობილიზებული საექიმო კადრების სამუშაოზე მოწყობა, ექიმთა კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებაზე ზრუნვა და სხვ.[35]. სამამულო ომის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ფინანსური სახსრები, გაღებული სოცკულტურული მშენებლობისათვის. თუ ომამდელ 1940 წელს საქართველოში აღნიშნული დანიშნულებით დაიხარჯა 794,8 მილიონი მანეთი, ომისშემდგომ 1946 წელს მისი რაოდენობა ერთ მილიარდ მანეთს აჭარბებს[36].

რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ომის წლებში დიდი ღონისძიებები განხორციელდა მედკადრების მომზადებისა და გადასამზადებლად. საქართველოს სამედიცინო სასწავლებლებმა 3794 მედმუშაკი გამოუშვეს. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი სისტემატურად აწყობდა კურსებს, სემინარებსა და ლექციებს როგორც დედაქალაქში, ასევე რაიონულ ცენტრებსა და დაბებში. მაგალითად, 1944 წ. მაისიდან ნოემბრამდე საქართველოს 30 რაიონში წარმოებიდან მოუწყვეტლივ კვალიფიკაცია აიმაღლა 400 მედმუშაკმა. ჰოსპიტლებში გამრავლდა ავადმყოფების საწოლთა რიცხვი. 1940 წელს საერთოდ საწოლთა რიცხვი 13 272 უდრიდა, რაც 1945 წ. 16 458 აღწევს[37]. იზრდება ექიმების რიცხვი. 1940 წელს მათი რაოდენობა თუ 4172 უდრიდა, 1945 წელს 4490-მდე გაიზარდა, 1942 წლიდან მედმუშაკებს მოემატათ ხელფასი. ყველა ეს ღონისძიება იქითკენ იყო მიმართული, რომ სამამულო ომის წლებში მშრომელთა ჯანმრთელობა უკეთ ყოფილიყო დაცული. თავი არ ეჩინა ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიებს, რომლებიც, ისტორიულად, ომების საერთო თანამგზავრია. და მართლაც, 1945 წლისათვის საქართველოს სამედიცინო ქსელი უფრო ძლიერი აღმოჩნდა რაოდენობრივად და ხარისხობრივადაც, ვიდრე იგი ომამდელ 1940 წელს იყო.

3. საქართველოს კურორტები ქვეყნის თავდაცვის სამსახურში

საქართველო განთქმულია თავისი კურორტებით, კეთილმოწყობილი სანატორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით. აქ მოიპოვება ძვირფასი მინერალური სამკურნალო წყლები, შესანიშნავი მაღალმთიანი და შავი ზღვის სანაპირო კლიმატიური საკურორტო ადგილები, ულამაზესი ხეობები და შავი ზღვის პლაჟები, რომლებიც

---

35 გაზ. „კომუნისტი", 1945, 10 აგვისტო.

36 ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

37 ლ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, საექიმო კადრები საქართველოში დიდი სამამულო ომის შემდეგ. თბილისი, 1958.

საბჭოთა ხალხების ჯანმრთელობის სამჭედლოდ და დასვენების საუკეთესო ადგილებადაა საყოველთაოდ აღიარებული[38].

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს კურორტების მუშაობა მთლიანად გარდაიქმნა, არსებული სანატორიუმები და სხვა სამკურნალო დაწესებულებანი საევაკუაციო ჰოსპიტლებისა და თავდაცვითი სანატარიუმ ობიექტებად იქნა გამოყენებული[39].

საქართველოს კეთილმოწყობილი კურორტები დაკრილი და ავადმყოფი საბჭოთა მეომრების გამაჯანსაღებელ მძლავრ კერად იქცა, ასევე ყურადღება გამახვილდა კურორტების დასაცავად[40].

რესპუბლიკის არა მარტო საკურორტო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, არამედ საქართველოს რიგი ქალაქი და დაბა, განსაკუთრებით 1942 წლიდან, ევაკოჰოსპიტლებით იქსელებოდა და მათი რიცხვი სწრაფად იზრდებოდა[41].

წყალტუბოს, ბორჯომის, აფხაზეთისა და აჭარის, აბასთუმანისა და საქართველოს ბევრ სხვა კურორტებზე ათეულ ათასობით საბჭოთა არმიის დაკრილი მეომრები მკურნალობდნენ. გაზეთ „კრასნი ფლოტის“ 1944 წ. ერთ-ერთ ნომერში წყალტუბოს წყლების სამკურნალო თვისებათა შესახებ ნათქვამია:

„წყალტუბოს წყლების მოქმედება სასწაულს ჰგავს. ქერჩში დესანტების გადასხმის დროს მაიორ კალგანოვს კონტუზია მოუვიდა. მას წაერთვა ფეხები და ხელები. წყალტუბოში მატარებლიდან სა-

---

[38] ფართოდაა ცნობილი ბორჯომის, წყალტუბოს, აბასთუმანის, გაგრის, ქობულეთის და საქართველოს ათობით სხვა კურორტების სახლები, რომლებიც ფაქტიურად აშენდა და კეთილმოწყობილი გახდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. 1941 წელს საქართველოს 22 კურორტმა თავისი 122 სანატორიუმით, პანსიონატითა და დასასვენებელი სახლით მომსახურება გაუწია 500 ათას ავადმყოფს და დამსვენებელს, მაშინ როცა 1913 წელს ასეთების რიცხვი 470 კაცს არ აღემატებოდა (სამამულო ომის არქივი. ფონდი 4, საქმე 871. ფურც. 177).

[39] დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, კურორტოლოგია, თბილისი, 1945, გვ. 2.

[40] სამამულო ომის პერიოდში დიდად დაზარალდა საქართველოს კურორტები. ეს გარემოება ჯერ კიდევ 1943 წ. 6 მაისს საქ. კპ (ბ) ცეკას ბიუროს მსჯელობის საგნად იქცა და აღინიშნა კურორტთა ქონების დამტვრევა-განიავების, შენობების დაზიანების და დანგრევის ცალკეული ფაქტები. მათი ხმარება-გამოყენების წესების დარღვევის გამო. აღინიშნა საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს სუსტი მოქმედება რესპუბლიკის საკურორტო მეურნეობისა და ფონდების დაცვის საქმეში. დაისახა ღონისძიებები სარემონტო სამუშაოების სასწრაფოდ ჩატარებისა და საკურორტო ქონების განიავებაში დამნაშავეთა წინააღმდეგ ზომების მიღება დაეკისრა რესპუბლიკის პროკურატურას (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 12853, ფურც. 27—29).

[41] მიუხედავად ამ გარდაქმნისა ომის წლებში სანატორიუმები და დასასვენებელი სახლების მცირე რაოდენობა საქართველოში მაინც დარჩა; მაგალითად, 1940 წელს თუ რესპუბლიკაში 71 კეთილმოწყობილი სანატორიუმი ითვლებოდა, 1944 წელს მათი რიცხვი 25-მდე შემცირდა. ასევე დასასვენებელი სახლების რიცხვი თუ 1940 წელს 61-ს აღწევდა, 1945 წლისათვის მათი რიცხვი 8-მდე დადის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ დასახელებული სანატორიუმები და

ჯაცით გადმოიყვანეს იგი ზურგის ტვინის მძიმე ტრავმით. წყალტუ-ბოში მისი ჯანმრთელობა მთლიანად აღდგა. ფრონტზე დაბრუნების შემდეგ მან ისეთი მამაცობა გამოიჩინა, რომ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა"[42].

საბჭოთა არმიის ავადმყოფ მეომართა გამოჯანმრთელების, ისე როგორც ზურგის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაში, ფრიად საპატიო როლს ასრულებდა საბჭოთა ფარმაკოქიმიური მრეწველობა. ომის წლებში შეიქმნა და გაფართოვდა ფარმაკოქიმიური ქარხნები, სადაც იწარმოებოდა მედიკამენტები, უახლესი პრეპარატები, მოწყობილობანი. ხდებოდა წამლის დასამზადებელ ნედლეულთა გადამუშავება და სხვ.

განსაკუთრებით დიდია საბჭოთა საქართველოს წარმატებანი ფარმაკოქიმიის დარგში. დიდი სამამულო ომის პერიოდში პროფ. ი. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ფარმაკოქიმიური ინსტიტუტის მუშაკებმა დაწერეს 181 სამეცნიერო შრომა, რის საფუძველზედაც ათვისებულ იქნა 35 სახის ახალი სამკურნალო პრეპარატი, რომლებიც სამრეწველო მასშტაბით იწარმოებოდა საქართველოს ფარმაკოქიმიურ ქარხნებში[43].

მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოლოგიის ინსტიტუტებმა ომის წლებში აითვისეს და მასობრივად იწარმოებოდა საბჭოთა არმიისა და მოსახლეობის ჯანდაცვის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა ფაგები, ვაქცინები, პრეპარატები და ხსნარები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომელთა აქტივობით მთელი რიგი ღონისძიებები ჩატარდა რესპუბლიკაში არსებულ ველურ სამკურნალო მცენარეთა და გარეული ხილის სახეობის შესწავლისა და მათი სამრეწველო მასშტაბით გამოყენებისათვის ფარმაკოქიმიურ მრეწველობაში[44].

ოასასვენებელი სახლები ასევე თავდაცვის საქმეს ემსახურებოდნენ (ცნობები აღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოდან. კულტურის და ჯანმრთელობის სექტორი).

[42] „Красный флот," 1944, 6 ოქტომბერი.

[43] სამამულო ომის წლებში ადგილობრივ რესურსთა ბაზაზე თბილისში აგებულ იქნა ტანინისა და სხვა სახის პრეპარატების ფარმაკოქიმიური ქარხნები.

ბათუმის ეროფეინის ქარხანამ ტანინის წარმოების ნარჩენებისაგან დაამზადა ბრიკეტები, რომელსაც ფართოდ გამოიყენებენ ტყავეულის გადამუშავებელ მრეწველობაში. თბილისის ხორცკომბინატის ბაზაზე დაიწყო ახალი პრეპარატების წარმოება (სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფ. 4. საქ. 67. ფურც. 7).

[44] აკადემიის სამეცნიერო სათანადო დაწესებულებათა და სოფლის პიონერული და კომკავშირული ახალგაზრდობის ერთგვარად კოორდინირებული მუშაობა შესანიშნავ შედეგს იძლეოდა ამ მიმართულებით. მაგ., საჩხერის რაიონში ახალგაზრდობამ 1943 წელს 172 კომკავშირული ბრიგადა ჩამოაყალიბა, რომლე-

4. მზრუნველობა ომისა და შრომის ინვალიდებზე, პენსიონერებზე, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე

ომის წლებში საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში, საყოველთაო-სახალხო მზრუნველობით და საბჭოთა სახელმწიფოს სისტემატური დახმარებით სარგებლობდნენ სამამულო ომის ინვალიდები, პენსიონერები და შრომის ინვალიდები, გაიზარდა უჩვეულო სიუწრაფით პენსიების ფონდი. დაისახა სპეციალური ღონისძიებები ომის ინვალიდების მიერ ახალი, შესაფერი პროფესიების ასათვისებლად და მათ ნაყოფიერ შრომითს საქმიანობაში ჩასაბმელად.

რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების მაგალითზე ვერწმუნდებით, რომ ომის წლებში გამრავლდა როგორც სამამულო ომის პენსიონერთა, ასევე შრომის პენსიონერთა რიცხვი და მათზე გაცემული პენსიების რაოდენობა.

არასრული ცნობებით ომის წლებში საქართველოში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს მიეცათ სახელმწიფო დახმარების სახით 706 853 843 მანეთი, საზოგადოებრივი დახმარებით 18 219 119 მანეთი; ხოლო პენსია გაცემულ იქნა 37 216 756 მანეთის რაოდენობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა მთავრობის გულისხმიერი ზრუნვა და შეუნელებელი ყურადღება მრავალშვილიანი დედებისადმის დახმარების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სახელმწიფო ომიანობის ურთულეს პირობებში ყოველგვარი რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას ახდენდა და ეკონომიას ეწეოდა ყოველ მანეთზე, მრავალშვილიან დედებს ასეული მილიონობით ეძლეოდათ სახელმწიფოსაგან დახმარება. მრავალშვილიანი და ხელმოკლე დედები ომის წლებში, გარდა ფულადი დახმარებისა, საბჭოთა სახელმწიფოსაგან სხვა სახის დახმარებითა და დიდი შეღავათებით სარგებლობდნენ.

მაგალითად, 1936 წელს 27 ივნისს კანონის გამოსვლის პირველ წელს რესპუბლიკაში თუ დახმარება მიეცა 3092 დედას 3146 ათას მანეთამდე, 1940 წელს მათი რიცხვი გაიზარდა 10476-მდე. რომელ-

---

ბიც ენერგიულად მუშაობდნენ ველურ სასარგებლო მცენარეთა შეგროვებაზე. ბრიგადებში სულ გაერთიანებული იყო 3343 ქალ-ეაჟი, რომელთაგან უმრავლესობა — 2115 გოგონა იყო. ამ ბრიგადებში ფართოდ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, მათი მუშაობისა და შეჯიბრების შედეგები სისტემატურად განიხილებოდა რაიკომის ბიუროზე. მაგ., 1943 წ. რაიონმა ასკილის დამზადების გეგმა 150%-ით შეასრულა, ზეგეგმით სახელმწიფოს ჩააბარა ათასეულ კილოგრამობით მოცვი, სიმინდის ფოჩი, გუდაფშუტა და სხვ. შეგროვდა გარეული ხილი, თხილი და სხვ. საჩხერის რაიონის მაგალითი ტიპიურია. (გაზ. „კომუნისტის" 1942 წ. 9 იელისის ნომერში გამოქვეყნდა აკად. ნ. კეცხოველის წერილი: „ახალგაზრდა პატრიოტებო, შეეკრიბოთ სამკურნალო მცენარეები", რაც მოწოდებასავით ჟღერდა).

თაც მიეცათ 30 471 ათასი მანეთი. 1941 წ. 11 365 დედას მიეცა 33 940 ათასი მანეთი, 1942 წ. 10 883 დედას—30 782 ათასი მანეთი, 1943 წ. 10 046 დედას — 27 492 ათასი მანეთი[45].

მრავალშვილიანი დედებისადმი დახმარება და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა არაჩვეულებრივად გაძლიერდა 1944 წლის ივლისიდან, როცა გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“[46]. საბჭოთა საქართველოში ამ კანონის ცხოვრებაში გატარებისათვის უაღრესად დიდი ღონისძიებები ტარდება როგორც ქალაქად, ასევე სოფლად[47].

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში 1944 წ. 11 სექტემბერს შედგა რესპუბლიკური თათბირი დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხებზე. იქ აღინიშნა, რომ 1944 წ. რესპუბლიკაში მუშაობდა 289 ბაგა, 59 სამშობიაროსახლი, 121 ქალთა და ბავშვთა კონსულტაცია, 14 კვებისა და რძის სადგური, ფრონტელთა ცოლებისა და მარტოხელა დედებისათვის გაიხსნა 4 საბავშვო სახლი 310 საწოლით და სხვ.

განათლების კომისარიატის სისტემაში იმ დროს ასობით მოქმედი საბავშვო სახლი იყო, სადაც 34 ათასი ბავშვი იზრდებოდა[48].

სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას და ზრუნვას იჩენდა დედათა და ბავშვთა კეთილდღეობისათვის. მაგ., ორსულ ქალთა კვების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და ფოთის საავაჭრო ორგანიზაციებს მათზე დამატებით სანოვაგის გაცემის შესახებ[49]. ასევე იზრდებოდა სამედიცინო დახმარება და მომსახურეობა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დასაცავად.

ამრიგად, საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა უდედმამო ბავშვებსა, ფრონტელთა შვილებსა, მრავალშვილიან დედებსა და ფეხმძიმე ქალებზე ომიანობის პერიოდში არა თუ არ შენელებულა, არამედ განსაკუთრებული ღონისძიებები ვატარდა იმისათვის, რომ ბევრად უფრო გაზრდილიყო და განმტკიცებულიყო მათზე საყოველთაო-სახალხო ზრუნვა და დახმარება.

---

[45] გაზ. „კომუნისტი“, 1944, 17 მარტი.
[46] ეერნ. „ბოლშევიკი“, 1944, № 8—9; გვ. 86.
[47] ეერნ. „ბოლშევიკი“, 1944, № 8—9.
[48] გაზ. „Медработник“, 1944, 5 ოქტომბერი.
[49] გაზ. „კომუნისტი“, 1942, 6 სექტემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულება გამოსცა მრავალშვილიანი დედების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. ამიერიდან კიდევ უფრო გაძლიერდა ზრუნვა მრავალშვილიანი დედებისადმი როგორც სახელმწიფოს, ასევე მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მხრივ.

ხალხთა მასებისა და სახელმწიფოს ასეთი მზრუნველობა სამშობლოს დამცველთა ოჯახებისა და დაობლებული ბავშვებისადმი, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისადმი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. იგი მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ წარმოშვა.

„წინანდელ ომებში ჯარისკაცთა ოჯახებს ბედის ანაბარა სტოვებდნენ. ეს ოჯახები ნადგურდებოდნენ და სიღატაკეში ვარდებოდნენ. საბჭოთა არმიის მეომრები ხედავდნენ, რომ საბჭოთა სახელმწიფო მათ ოჯახებს გაჭირვებაში არ სტოვებს. მათ იცოდნენ, რომ იგი დაეხმარება მათს ცოლებსა და შვილებს, მამებსა და დედებს... ეს არის ჩვენი ჯარების მაღალი მორალურ-საბრძოლო სულისკვეთების ერთ-ერთი წყარო“[50].

1944 წლის 25 დეკემბერს მოქმედი არმიიდან მებრძოლი ა. ნინუა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს სწერდა: „გიხდით უღრმეს მადლობას ჩემი ოჯახისადმი მატერიალური დახმარებისათვის; აღფრთოვანებული ვარ ჩემს ოჯახზე თქვენი მზრუნველობით. ეფიცავ, რომ მთელი ენერგიით ვიბრძოლებ სამშობლოსათვის, ავაზაკ ფაშისტებს სრულ განადგურებამდე“.

წითელარმიელი გორდელაძე (ლანჩხუთის რაიონი, სოფ. ღრმაღელე) მადლობით აღსავსე წერილს უგზავნის საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს მისი ოჯახისადმი მზრუნველობისა და დახმარების აღმოჩენის გამო. მებრძოლი პირობას იძლევა, რომ იგი „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს ფაშისტური გერმანიის სრულ განადგურებამდე“[51].

ანალოგიური შინაარსის წერილები მოქმედი არმიიდან განუწყვეტლივ მოდიოდა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც არაფერს ზოგავდნენ ფრონტელ მეგობართა ოჯახების დასახმარებლად[52].

---

[50] ა. ს. შ ჩ ე რ ბ ა კ ო ვ ი, მოხსენება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე 1944 წლის 21 იანვარს.

[51] სამამულო ომის ისტორიის არქივი, ფონდი 6, საქმე 137, ფურცელ. 2.

[52] ვ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, სოფ. სადმელის კოლმეურნეობა. ხელნაწერი დაცულია ეკონომიკის ინსტიტუტში.

ასეთი დამოკიდებულების დამყარება ფრონტზე მყოფ მოქმედ-არმიის მეომრებსა და ზურგის მშრომელებს შორის უმაგალითო მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში, იგი მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებას ახასიათებს.

მთელ ამ გრანდიოზული მასშტაბის საყოველთაო-სახალხო პატრიოტულ კეთილშობილ საქმიანობას სათავეში ედგა კომუნისტური პარტია. სწორედ პარტიის ხელმძღვანელობით გაიზარდა საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, მისი ჰუმანურობა და კეთილშობილება.

დიდი სამამულო ომის უმძიმეს წლებში თუ საბჭოთა სახელმწიფო არ ზოგავდა სახსრებს და ყოველგვარი საშუალებებით ზრუნავდა მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების სათანადო დონის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის, ომის დამთავრების შემდეგ ამ მიმართულებით ახალი, მობრუნების პერიოდი დაიწყო.

მთელი გაქანებით იწყო განვითარება სამოქალაქო მრეწველობამ. დაიწყო მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური დაკლება და ასეული მილიარდები იქნა დაბანდებული გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად.

5. ღონისძიებანი რესპუბლიკის საფინანსო მეურნეობის განმტკიცებისათვის

საბჭოთა საფინანსო მეურნეობა და სწორი საფინანსო პოლიტიკა დიდ როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის სამხედრო ეკონომიკის განმტკიცებისა და მტერზე გამარჯვების მოპოვების საერთო საქმეში. სამხედრო რელსებზე გადაყვანილი სახალხო მეურნეობის შეუფერხებლად დაფინანსებით საბჭოთა სახელმწიფომ ომის წლებში უდიდეს გამარჯვებას მიაღწია. უცხო სახელმწიფოებიდან ყოველგვარი სესხის მიღების გარეშე ქვეყნის შიგნით წარმატებით გამოინახა რესურსები სამშობლოს დაცვისათვის საჭირო ახალი უმძლავრესი სამრეწველო მშენებლობების დასაფინანსებლად.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთათვის ომების დაფინანსების გამომწყვეტ წყაროს კაბალური გადასახადები და სესხები შეადგენენ. ამას ადასტურებს არა მარტო წინა ომების გამოცდილება, არამედ მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილებიც[53].

---

[53] მეფის რუსეთის მზარდი სამხედრო ხარჯები I მსოფლიო ომში უცხოეთის კაბალური სესხით იფარებოდა. მაგ., 1917 წლის დასაწყისს მხოლოდ ომით გამოწვეული ხარჯები 26 მილიარდ მანეთს აღემატებოდა, რომლის ერთი მესამედი უცხოეთის სესხზე მოდიოდა, ხოლო დანარჩენი შინაგან სესხზე და ქაღალდის ფულის სწრაფ ემისიაზე. რუსეთის სახელმწიფოს ვალებმა 1913 წლის 8824 მლნ

სამამულო ომის ოთხი წლის მანძილზე სსრ კავშირის მიერ, რომელიც წარმატებით აფინანსებდა სამხედრო ხარჯებს, რამაც 551 მლრდ. მან. მიაღწია, სახალხო მეურნეობაში 113 მილიარდი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი იქნა განხორციელებული. გარდა ამისა, 75 მილიარდი მანეთი ომის წლებშიეე იქნა გაღებული ჰიტლერელ დამპყრობელთაგან განთავისუფლებული საბჭოთა რაიონების აღდგენაზე. ეს უზარმაზარი საშუალებანი მთლიანად ჩვენი ქვეყნის შინაგანი რესურსებით იქნა დაკმაყოფილებული ყოველგვარი უცხოური სესხის გარეშე. საბჭოთა ქვეყნის მთელი ამ ხარჯების დაფინანსების მთავარ წყაროს შეადგენდა შემოსავალი და დაგროვება სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებში.

სამრეწველო ბანკის ცნობით, 1942 წელს დაფინანსდა 10 315 ახალი სამრეწველო მშენებლობა, ხოლო 1943 წელს — 10 418 საწარმოს მშენებლობა, რომლებიც უახლესი ტექნიკითა და მექანიზმებით იყო შეიარაღებული. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის აუცილებელი ხარჯების დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად წყაროს წარმოადგენდა სოციალისტური სახალხო მეურნეობის დაგროვება. მუშათა კლასის პატრიოტული თავდადებით შეუნელებლივ იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება და მცირდებოდა პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, ომის წლებში მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობამ 50 მილიარდ მანეთზე მეტი ეკონომია მიიღო. კერძოდ, სამხედრო პროდუქციაზე ფასები შეამცირა 35 მილიარდ მანეთამდე[54].

ამავე დროს მთელი თავისი სიძლიერით გამოვლინდა საბჭოთა პატრიოტიზმის უაღრესად ცხოველმყოფელი ძალა. საბჭოთა ხალხმა საკუთარი ინიციატივით გამონახა საბჭოთა სახელმწიფოსადმი ნებ-

---

მანეთიდან 1916 წლისათვის 25 221 მლნ მან. მიაღწია. უცხოეთის მსხვილი კაპიტალისტური მონოპოლიური გაერთიანებანი უზომოდ გამდიდრდნენ. ე. ი. ლ ე ნ ი ნ ი წერდა: „ამერიკელი მილიარდერები იყენენ თითქმის ყველაზე მდიდარნი და იმყოფებოდნენ გეოგრაფიულად ყველაზე უსაფრთხო მდგომარეობაში. ისინი ყველაზე მეტად გამდიდრდნენ. მათ თავიანთ შეეალეებად აქცევს ყველა, თვით ყველაზე მდიდარი ქვეყნები... ყოველ დოლარზე ტალახის კოროხია შეძრახველიანი სამხედრო დაკვეთებიდან, რომლებიც ყოველ ქვეყანაში შეძლებულებს ამდიდრებენ და ღარიბებს აღატაკებენ, ყოველ დოლარზე სისხლის ყალია, იმ სისხლის მორევისა, რაც 10 მილიონმა მოკლულმა და 20 მილიონმა დასახიჩრებულმა დაღვარა" (თხზ., ტ. 23, გვ. 179—180). ამერიკელი მილიარდელები გამდიდრებისათვის ბევრად უარეს, ყოველად საზიზღარ მეთოდებსა და ხერხებს ეიმართავენენ მეორე მსოფლიო ომის დროს.

[54] **А. Г. З в е р е в, О государственном бюджете СССР за 1945 г. и исполнении государственного бюджета СССР за 1943 г., М., 1945, გვ. 11—12; его же „Советские финансы и строительство социализма в СССР," сборник „Финансы СССР XXX лет." стр. 5.**

ყოფლობით მასობრივად დახმარების მრავალი ფორმა და საშუალება.

ომმა უდიდესი ხარჯები მოითხოვა; საჭირო გახდა ბიუჯეტით გათვალისწინებული ზოგიერთი არააუცილებელი ხარჯის შემცირება და ასევე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადიდება. მაგალითად. ომის 1-ლ წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ორ მესამედზე მეტი თუ სამხედრო ხარჯებზე მოდიოდა, სამამულო ომის მესამე წელს იგი 62.6%-მდე შემცირდა სამხედრო ხარჯების აბსოლუტური ზრდის პირობებში (1942 წლის 108 მილიარდ მანეთიდან იგი 1943 წელს 125 მილიარდ მანეთამდე გადიდდა).

1944 წლიდან კიდევ უფრო დიდი სისწრაფით იზრდება საბიუჯეტო ხარჯების ხვედრითი წონა. გაღებული სახალხო მეურნეობაზე. მაგ., ეს ხარჯები 1944 წელს 1943 წელთან შედარებით 1.5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა საგრძნობლად გადააჭარბა ომამდელ დონეს.

1944 წ. თებერვალში ჩვენს დედაქალაქში, მოსკოვში შედგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-10 სესია. სესიაზე ნათლად იქნა დემონსტრირებული საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერება და სიმტკიცე.

სესიამ დაამტკიცა 1944 წ. სახელმწიფო ბიუჯეტი და, მიუხედავად ომის უდიდესი ხარჯებისა, მან გამოჰყო 54 მილიარდამდე მან. სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, ხოლო 51 მილიარდ მანეთზე მეტი ხალხის სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. სახელმწიფო ბიუჯეტში ასევე გამოხატულება პოვა ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონების აღდგენის ხარჯებმა. ამ მიზნით გამოიყო 16 მილიარდი მანეთი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-10 სესიაზე მიღებულ იქნა კანონები მოკავშირე რესპუბლიკებში თავდაცვის სახალხო კომისარიატებისა და საგარეო საქმეთა კომისარიატების შექმნის შესახებ. ეს ღონისძიებები ემყარებოდა მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკურ. ეკონომიურ და კულტურულ ზრდას და უშუალოდ იყო დაკავშირებული სსრ კავშირის ძალისა და ძლიერების შემდგომ ზრდასთან. იგი ასევე ნათლად გამოხატავდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომ ზრდას.

1941 წელსვე. კერძოდ. საქართველოს რესპუბლიკიდან ასეულ მილიონობით მანეთი გადარიცხულ იქნა საკავშირო ბიუჯეტში თავდაცვითი წარმოებების დასაფინანსებლად.

როგორც 1942 წლის. ისე ომის მომდევნო წლების რესპუბლიკის

ბიუჯეტი შედგენილი იყო როგორც ომიანობის პერიოდის სახელმწიფო ბიუჯეტი"[55].

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოსავალი და დაგროვება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე შეუნელებლად იზრდებოდა. ასე მაგალითად, თუ მოგების ანარიცხები ბიუჯეტში 1940 წელს შემოსული იყო 204.6 მილიონ მან., 1941 წელს იგი გადიდდა 260.4 მილიონ მანეთამდე. 1942 წელს — 305.6 მილიონ მანეთამდე[56].

დიდი სამამულო ომის 1-ლ პერიოდში საქართველოს სსრ სახ. ბიუჯეტი, მსგავსად სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა. მართალია. რამდენადმე იკვეცება, მაგრამ მოკლე დროში იგი კვლავ უბრუნდება ნორმალურ, ე. ი. ომამდელ მდგომარეობას და დიდი სამამულო ომის უკანასკნელ წელს უკვე 166 673 ათასი მან. აჭარბებს 1940 წ. ომამდელ დონეს. საქ. სსრ სახ. ბიუჯეტთა მოცულობა ომის წლებში 1940 წ. ბიუჯეტთან შედარებით (ათას მანეთობით) ასეთ მაჩვენებლებს იძლევა (ცხრ. 32)[57].

ცხრილი 32

წლები	რესპუბლიკური ბიუჯეტი	ადგილობრივი ბიუჯეტი	ჯამი
1940	517 595	728 234	1 245 829
1941	425 149	593 352	1 018 501
1942	379 111	474 717	853 828
1943	421 350	574 684	996 034
1944	518 380	707 229	1 225 609
1945	593 183	819 319	1 412 502

საბჭოთა სახელმწიფომ და მასში გაერთიანებულმა მოკავშირე რესპუბლიკებმა წარმატებით შეძლეს სახელმწიფო ფინანსების და სახალხო შემოსავლის გამოყენება სახალხო მეურნეობის იმ დარგების მაქსიმალურად გაფართოებისათვის, რომლებიც უშუალოდ მტერზე გამარჯვების საქმეს ემსახურებოდნენ. ამასთანავე ხაზი უნ-

[55] ა. კაკაბაძე. საქართველოს სსრ ფინანსები დიდი სამამულო ომის წლებში, საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1951, გვ. 230.

[56] საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-7 სესიის მასალები, ამხ. კ. ს. ციმაკურიძის მოხსენებიდან. „კომუნისტი", 1944, 16 მარტი.

[57] ცნობები აღებულია საქ. სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

და გაესვას ახალ კანონზომიერებას, დამახასიათებელს მხოლოდ საბჭოთა წყობილებისათვის, რომ ომის ურთულეს პირობებში სოციალისტური სახელმწიფოს მზრუნველობა ხალხის კეთილდღეობაზე არ შენელებულა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება კვლავ პოულობდა სახსრებს სახალხო მეურნეობის და კულტურის, საბჭოთა ხალხის მატერიალური პირობების შემდგომი აღმავლობისათვის.

დასკვნის მაგიერ

ამრიგად, საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან და მის შეიარაღებულ ძალებთან ერთად დიდ სამამულო ომში სოციალისტური სამშობლოს დასაცავად უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს და ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი ამ უმძიმესი და უსასტიკესი ომიდან კიდევ უფრო გაძლიერებული და განმტკიცებული გამოვიდა. გაცამტვერდა მსოფლიო რეაქციული ძალების იმედები, რომ სსრ კავშირი როგორც ძლიერი ქვეყანა დაკნინდებოდა, დიდი ხნით დაკარგავდა თავის გავლენას და ომის შემდეგ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმზე დამოკიდებული გახდებოდა. სინამდვილეში სავსებით საწინააღმდეგო რამ მოხდა: სსრ კავშირმა აღადგინა თავისი ტერიტორიული კანონიერი უფლებები და ბევრად უფრო განამტკიცა თავისი სახელმწიფო საზღვრების უშიშროება.

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებათა საფუძველზე უდიდესი მნიშვნელობის ახალ მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებს მიეცა დასაბამი. განუზომლად გაიზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი და წარსულის მოგონებად-ღა დარჩა სსრ კავშირის საერთაშორისო იზოლაციის პერიოდი. შეიქმნა მძლავრი მსოფლიო სოციალისტური სისტემა სსრ კავშირის მეთაურობით.

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შედეგად მთელ რიგ ქვეყნებში, სახელდობრ: პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, ალბანეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში სამუდამოდ იქნა დამხობილი კაპიტალიზმი და ამ ქვეყნების ხალხები სოციალიზმის ბანაკს შეურთდნენ. სოციალიზმის გზაზე გამოვიდნენ იუგოსლავიის ხალხებიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ 600 მილიონიან ჩინეთში, კორეასა და ვიეტნამში დამხობილ იქნა იმპერიალიზმის უღელი და წარმოიშვა სახალ-

ლო რესპუბლიკები, რასაც ხელი შეუწყო სსრ კავშირის გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში. მაო ძე-დუნის მოხდენილი თქმით: „რომ არ არსებულიყო საბჭოთა კავშირი, რომ არ ყოფილიყო გამარჯვება ანტიფაშისტურ მეორე მსოფლიო ომში, რომ არ განადგურებულიყო, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, იაპონიის იმპერიალიზმი... განა ჩვენ შევძლებდით ასეთ ვითარებაში გამარჯვებას? რა თქმა უნდა, რომ არა".

ეს ჩინეთთან ერთად ასევე ეხება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს. სწორედ ამიტომ ევროპისა და აზიის განთავისუფლებული ხალხები საბჭოთა კავშირისადმი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით არიან გამსჭვალული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი. რომელსაც სსრ კავშირი მეთაურობს. მასში გაერთიანებულია 12 ქვეყანა 1 მილიარდამდე მოსახლეობით.

ახლა. როცა სამამულო ომის გამარჯვებით დაგვირგვინებიდან 13 წელი გავიდა, კიდევ უფრო ნათელი გახდა საბჭოთა ხალხის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა და მისი დამსახურება მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე. ფაშიზმის მხეცური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოების მოწინავე იდეოლოგიამ, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიამ, რასებისა და ეროვნებათა თანასწორობის, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიამ.

საბჭოთა კავშირის ამ გამარჯვებათა საფუძველი, მისი ძალისა და ძლიერების წყარო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ შობილი თვით ჩვენი მოწინავე სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ბუნებაშია. საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა და ყოველისმძლე საბჭოთა პატრიოტიზმი ჩვენი სამშობლოს გამარჯვებათა უუყვევი საფუძველია. დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვება გამოვედილ იქნა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. „თავისი ორგანიზატორული მუშაობით პარტიამ საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ძალ-ღონე, ჩვენი ქვეყნის მთელი ძალები და საშუალებანი დაუქვემდებარა მტრის განადგურების საქმეს. პარტიამ დარაზმა მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია საძნელეთა გაბედულად გადალახვისათვის, მოაწყო მძლავრი შრომითი აღმავლობა, ფრონტის სამსახურში ჩააყენა სახალხო მეურნეობა, ერთიან საბრძოლო ბანაკად გადააქცია ჩვენი ქვეყანა. ომის წლებში კომუნისტური პარტია

კიდევ უფრო შეუსისხლხორცდა ხალხს. კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს"[38].

კომუნისტები ყველგან—ფრონტზე და ზურგში—საბჭოთა ხალხის მოწინავეთა რიგებში იდგნენ. ისინი განამტკიცებდნენ საბჭოთა მეომრების რიგებს, ზრდიდნენ მათში სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავდადებას და სიძულვილს მტრისადმი. კომუნისტები უჩვენებდნენ მტერთან ბრძოლაში ვაჟკაცობისა და გამბედაობის მარად დაუვიწყარ მაგალითებს. საბჭოთა მეომრების იმ რიცხვიდან, რომელთაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, 60% კომუნისტები შეადგენენ. კომუნისტები მეთაურობდნენ მრავალმილიონიანი პარტიზანული რაზმების ბრძოლას მტრის ზურგში.

საბჭოთა ხალხებმა ომის წლებში კიდევ უფრო ღრმად განიცადეს, რომ კომუნისტური პარტია არის „გონება, სინდისი და პატიოსნება ჩვენი ეპოქისა". ამიტომ იყო, რომ ათეულ ათასობით საბჭოთა მეომრები ბრძოლებში წასვლის წინ განცხადებას წერდნენ კომუნისტური პარტიის რიგებში მისაღებად. ომის ყველაზე უმძიმეს წლებში მეტად დიდი იყო პარტიის რიგებში საბჭოთა ადამიანების ლტოლვა. 1941 წელს თუ კომუნისტური პარტიის რიგებში 3.8 მილიონი წევრი და კანდიდატი ირიცხებოდა, 1945 წლის 1 აპრილისათვის მათი რიცხვი 5.8 მილიონამდე გაიზარდა.

საბჭოთა ხალხის ღრმა ნდობა თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი წარმოადგენდა დიდ სამამულო ომში მტერზე გამარჯვების უმნიშვნელოვანეს პირობას. ი. ბ. სტალინი 1945 წლის 24 მაისს კრემლში საბჭოთა არმიის მეთაურთა პატივსაცემად გამართულ მიღებაზე ხაზგასმით აღნიშნავდა საბჭოთა ხალხის დამსახურებას დიდ სამამულო ომში. იგი ამბობდა: „ჩვენს მთავრობას ცოტა შეცდომა როდი ჰქონდა. ჩვენ გვქონდა სასოწარკვეთილი მდგომარეობის მომენტები 1941—1942 წლებში, როდესაც ჩვენი არმია უკან იხევდა, სტოვებდა უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ლენინგრადის ოლქის, ბალტიისპირეთის, კარელიაფინეთის რესპუბლიკის ჩვენთვის მშობლიურ სოფლებსა და ქალაქებს. სტოვებდა, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო. სხვა ხალხს შეეძლო ეთქვა მთავრობისათვის: თქვენ ვერ გაამართლეთ ჩვენი მოლოდინი, გაგვეცალეთ, ჩვენ სხვა მთავრობას დავაყენებთ, რომელიც ზავს შეკრავს გერმანიასთან და უზრუნველყოფს ჩვენთვის მოსვენებას"[39].

---

[38] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903—1953), სახელგამი, 1953, გვ. 24.

[39] ი. ბ. სტალინი, დიდი სამამულო ომის შესახებ, სახელგამი, 1947, გვ. 218—219.

მაგრამ საბჭოთა ხალხი ამ გზით არ წავიდა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დიდ სამამულო ომში გამარჯვებისათვის.

ასეთ პირობებში ჩვენი კვლევა-ძიების მეცნიერული გზით წარმართვა, ბუნებრივია, მთელი პრინციპულობით გვავალებდა, რომ დიდი სამამულო ომის ისტორიული მოვლენები შეგვესწავლა ყოველგვარ ხელოვნურ შელამაზებათა გარეშე და შეგვერჩია „არა ცალკეული ფაქტები, არამედ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ფაქტების **მთელი ერთობლიობა**"[60].

სამამულო ომში საბჭოთა ხალხების მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ჩვენ განხილული გვაქვს ომის დროის სიძნელეთა, შეცდომების, ცალკეული დამარცხებებისა და სასოწარკვეთილ მდგომარეობის მომენტების გათვალისწინებით, ვინაიდან არავისთვის სადავო არ შეიძლება იყოს ის ჭეშმარიტება, რომ ისტორიის არც გაუმჯობესება შეიძლება და არც გაუარესება.

დიდ სამამულო ომში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ნათლად გამოვლინდა სოციალისტური ერების ძლიერება და ურღვევი ერთიანობა[61].

საქართველოს კომუნისტური პარტია, ასრულებდა რა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დირექტივებს, უშრეტი ენერგიით ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ომის წლებში, მობილიზებულ იქნა რა რესპუბლიკის მთელი შესაძლებლობა, მოეწყო საბჭოთა არმიისათვის გაძლიერებული დახმარება. უზრუნველყოფილ იქნა ფრონტი საჭირო რესურსებითა და რეზერვებით. საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციების წევრთა ნახევარზე მეტი ფრონტზე წავიდა (1941 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კომპარტიაში ირიცხებოდა 98 892 წევრი და კანდიდატი. აქედან 52 600 საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა).

ომის წლებში მასების ნდობა პარტიისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. რამდენადაც მძიმე იყო მდგომარეობა ფრონტზე და ბრძოლა უფრო მძაფრ ხასიათს ღებულობდა. რესპუბლიკის მშრომელთა მოწინავე ადამიანები იმდენად უფრო მეტად ილტვოდნენ კომუნისტური პარტიის რიგებში შესასვლელად. პარტიის რიგები გაიზარდა და განმტკიცდა მამაცი მეომრებით, წარმოების საუკეთესო ადამიანებით, მოწინავე მუშებით, კოლმეურნეებითა და ინტელიგენტებით.

---

[60] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 360.

[61] გ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები, ვ. ი. ლენინის სახ. თბილისის რკინიგზის ინსტ. შრომების კრებული, 1957.

1941—1944 წლებში საქართველოს კპ(ბ) რიგებში შევიდა 25 000-ზე მეტი კაცი[62]. პარტიის რიგებში ლტოლვა დღითი დღე იზრდებოდა. 1945 წელს ეს რიცხვი ბევრად გაიზარდა. დემობილიზაციის შედეგად საქართველოს პარტორგანიზაციებს ათეულ ათასობით თავისი წევრი დაუბრუნდა.

დიდი და მეტად სახელოვანი როლი შეასრულა მტერზე გამარჯვების საქმეში ლენინურმა კომკავშირმა, რომელიც ომის წლებში ბევრად უფრო მტკიცედ დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სამამულო ომის ფრონტზე 160 000 კომკავშირელი გაგზავნეს. საქართველოდან არმიაში მოხალისედ წავიდა 13 640 ახალგაზრდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს კომკავშირის რიგები ზურგში არ შესუსტებულა, იგი იზრდებოდა რიცხობრივად და მტკიცდებოდა ორგანიზაციულად. მარტო 1941 წლის მეორე ნახევარში კომკავშირულ ორგანიზაციებს 20 266 ახალგაზრდა შეემატა. 1942 წელს კი—22 166, ხოლო 1943 წ. 38 388. ამრიგად ომის 3 წლის მანძილზე 100 ათასამდე. მხოლოდ მთლიანად სამამულო ომის წლებში 117 ათასამდე ახალი წევრი შეემატა საქართველოს ალკკ რიგებს[63].

ქალებმა და მოზარდებმა წარმატებით შეცვალეს ფრონტზე წასული მეომრები, სწრაფად აითვისეს რთული პროფესიები. ომის უმძიმეს წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობა გარდაიქმნა ომის ყაიდაზე, მან შეინარჩუნა მაღალი დონე და აითვისა ისეთი სახის სამხედრო პროდუქციის წარმოება, რომელიც წინათ არასოდეს, არ იწარმოებოდა.

იმ უძნელეს ვითარებაში, როცა კავკასიის ფრონტის ჯარები თითქმის მოწყვეტილი აღმოჩნდნენ ძირითადი სამრეწველო ცენტრებისგან, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ყოველმხრივ უზრუნველეყო ფრონტის გაზრდილი მოთხოვნები საომარი მასალის, შეიარაღების, სურსათისა და ტანსაცმლის მიწოდების საქმეში.

თავდაცვის კომიტეტის ყველა მითითება განუხრელად ტარდებოდა ცხოვრებაში და შეუფერხებლად და გადაჭარბებით იწარმოებოდა საქართველოში ფრონტის საჭიროებისათვის ყველა სახის სპეც. დაკვეთები. საქართველოს მშრომელები ამაყობდნენ იმით, რომ მათ

---

[62] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14. საქმე 12212, ფურც. 189. ასევე „ბოლშევიკი". 1944. № 8—9.

[63] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14. საქმე 12212. ფურც. 15—18.

მიერ გამოშვებული პროდუქცია ეხმარებოდა გმირ საბჭოთა არმიას ფაშისტური ურდოების განადგურებისათვის ბრძოლებში.

ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე გამარჯვების მსოფლიო-ისტორიულ საქმეში. როგორც დავრწმუნდით. ნარადსახსოვარი წელილი შეიტანა ქართველმა ხალხმა. სამამულო ომის წლებში შრომითი მამაცობისა და გმირობის უეკნობი მაგალითები გვიჩვენეს საქართველოს მუშებმა. კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ. საბჭოთა არმიის რიგებში გაერთიანებულმა ქართველმა მეომრებმა ასახელეს სამშობლო. 120 ქართველმა მეომარმა საბჭოთა კავშირის გმირის უმაღლესი წოდება დაიმსახურა, 50 ათასზე მეტი დაჯილდოვდა მთავრობის ორდენებით, ასეული ათასობით მებრძოლს გადაეცა მედლები სსრ კავშირის გმირი ქალაქებისა და კავკასიის დაცვისათვის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთელ რიგ ქალაქთა განთავისუფლებისა და ბერლინის აღებისათვის გმირულ ბრძოლებში მონაწილეობისათვის. ამ ისტორიულ გამარჯვებას ქართველმა ხალხმა როგორც შრომის, ასევე ბრძოლის ფრონტებზე მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის ხალხებთან საბრძოლო თანამეგობრობის ყოველმხრივ განმტკიცების გზით.

საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის ღირსეულად მონაწილეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, რომ ისტორიულად, ასეული წლების მანძილზე ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის, ცარიზმისა და უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ მრავალ ბრძოლებში ერთად დაღვრილი სისხლით მტკიცდებოდა და ვითარდებოდა რუსი და ქართველი ხალხების, რუსეთისა და საქართველოს ყველა მშრომელთა საბრძოლო კავშირი და ურყევი თანამეგობრობა.

საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავის შესრულების დღესასწაულთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში საქართველოს მშრომელებისადმი ნათქვამია: „სამამულო ომის წლებში ქართველმა ხალხმა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში უნარიანი საბრძოლო მოქმედებისა და გმირობისათვის ათასობით ქართველი მეომარი დაჯილდოვებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა საქართველოს მუშები. კოლმეურნეები და ინტელიგენცია თავდადებულად შრომობდნენ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად".

წინამდებარე გამოკვლევაში მოყვანილი ფაქტები და მისი მეცნიერული ანალიზი ერთხელ კიდევ უდავოდ გვარწმუნებენ, რომ საბ-

ჭოთა ხალხმა ფაშისტურ კოალიციაზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ი. ბ. სტალინი მეთაურობდა.

1945 წლის 9 მაისი ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღედ გამოცხადდა. სამშობლოში გამარჯვებით დაბრუნებული სახელოვანი ქართველი მეომრები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაებენ მშვიდობიან შრომაში. ომგადახდილმა გმირებმა შრომის ფრონტზე—ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მიწდერებსა და საბჭოთა მეურნეობებში—ახალი ენერგიით გააჩაღეს ბრძოლა და ზოგი მათგანი სოციალისტური შრომის გმირიც კი გახდა. სრულიად მოკლე დროში საბრძოლო წრთობაგადებული მრავალი დემობილიზებული გაბედულად იქნა დაწინაურებული ხელმძღვანელ სამუშაოებზე — ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებად, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად, ბრიგადირებად და სხვა სახის მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

* * *

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის ქართველი ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ შეუდგა ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაციას. საქართველო, მართალია, არ გამხდარა საომარი მოქმედების ასპარეზად, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო მეურნეობამ ომის სიმწვავე მძიმედ განიცადა.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შედგენილ იქნა ომისშემდგომ სამუშაოთა გრანდიოზული პროგრამა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების (1946—1950 წლების) ხუთწლიანი გეგმა, რომლის საფუძველზედაც უნდა მომხდარიყო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენა და მისი შემდგომი აღმავლობა.

ხუთწლიანი გეგმის კანონში ნათქვამია, რომ ომისშემდგომ პერიოდში „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანაა—აღმოიფხვრას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ომის შედეგები, აღადგინოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდგომ მნიშვნელოვანი ოდენობით გადააჭარბოს ამ დონეს“[64].

---

[64] კანონი საქ. სსრ სახ. მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 — 1950 წლ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სახელგამი, 1956, გვ. 6.

საქართველოს მშრომელებმა დიდი წარმატებით გადაჭრეს ეს ამოცანა. რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის მოცულობამ ჯერ კიდევ 1948 წელს 292 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს და ხუთწლიანი გეგმით დასახული ყველა მაჩვენებელი მრეწველობის დარგში 1949 წლის III კვარტალის ბოლოს მთლიანად განახორციელა (საქართველოს კპ(ბ) XIV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 418). სამრეწველო პროდუქციის მრავალფეროვან დარგებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფოლადის, თუჯის, ავტომანქანების, კოქსის და სხვათა წარმოება.

ამავე პერიოდში ასევე დიდ წარმატებებს აღწევს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა, რასაც ადასტურებს კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების სისტემატური ზრდა. 1950 წელს იგი 3.6-ჯერ გაიზარდა 1940 წელთან შედარებით. 1949—1951 წლებში განხორციელდა კოლმეურნეობათა გამსხვილება. რესპუბლიკის 3900 კოლმეურნეობიდან 2 060 მსხვილი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. ამიერიდან კოლმეურნეობებში უფრო ფართოდ ინერგება მოწინავე ტექნიკა და აგრობიოლოგიური მეცნიერების ახალი მიღწევები. დიდი ღონისძიებები განხორციელდა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და მძლავრი სარწყავი სისტემების მშენებლობის საქმეში, გადიდდა მარცვლეულის ნათესი ფართობი. ახალ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის, ჩაის, ციტრუსებისა და მრავალწლიანი კულტურების დარგებმა.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ქვეყნის განვითარებამ ახალი ძალით ცხადყო სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. ჯერ კიდევ 1954 წელს მთელი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1940 წელთან შედარებით 2,8-ჯერ გადიდდა, ხოლო მძიმე მრეწველობა 3.4-ჯერ. 2.5-ჯერ მეტად გაიზარდა ნაციონალური შემოსავალი. ამაღლდა მშრომელთა მყიდველობითი უნარიანობა. ეს მაშინ, როცა კაპიტალიზმია სამყაროში ომის შემდეგ ღრმავდება საერთო კრიზისი და იზრდება უმუშევრობა (Е. Варга, Основные вопросы экономики и политики империализма, М., 1957.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებით შეიარაღებულ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს უდიდესი პერსპექტივები აქვთ დასახული მეექვსე ხუთწლედში (1955—1960); მეხუთე ხუთწლედთან შედარებით, საქართველოში მთელი მრეწველობის პროდუქცია ამ პერიოდში 1.6-ჯერ გადიდდება. აქედან ელექტრომრეწველობა და ენერგიის გამომუშავება—1.8-

ჯერ. თუჯის გამოდნობა—1,6-ჯერ, ქვანახშირის მოპოვება—1,4-ჯერ. აზოტოვანი სასუქების წარმოება—9-ჯერ, ცემენტისა—3-ჯერ, ბამბის ქსოვილებისა—2,8-ჯერ, ტყავის ფეხსაცმელებისა—1,4-ჯერ, ყურძნის ღვინისა—1,8-ჯერ, ჩაისა—1,3-ჯერ. ქალაქი თბილისი მიიღებს გაზს უახლოეს მომავალში და ა. შ.[65].

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში 1955 წელთან შედარებით 1960 წლისათვის მარცვლეულის წარმოება გადიდდება 1,3-ჯერ, ხორცისა—1,7-ჯერ, რძისა—2-ჯერ, მატყლისა—1,4-ჯერ, აბრეშუმის პარკისა—1,3-ჯერ. სარწყავი მიწების ფართობი—40 ათას ჰექტარამდე; აგრეთვე ამოშრობილ იქნება 10 ათას ჰექტარამდე მიწების ახალი ფართობი, აღორძინების ფართო გზაზე გამოდის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურა, ხელოვნება და მეცნიერება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე განხორციელდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგთა მართვის ახლებურად გარდაქმნა, მისი რეორგანიზაცია, რომლებიც ნაკარნახევია დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპებით და მოწოდებულია სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი სწრაფი აღმავლობისაკენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის დადგენილებათა შესაბამისად, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნით, რომელიც აერთიანებს 1000-ზე მეტ სამრეწველო საწარმოს, რესპუბლიკის მრეწველობა ახლებურად, უფრო მაღალ დონეზე იწყებს მუშაობას; წარმოების მუშაკები უფრო სრულად იყენებენ სამრეწველო რეზერვებს და განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის საერთო ძლიერებას. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამ ახალი აღმავლობის საფუძველზე დიდ წარმატებებს აღწევს სოფლის მეურნეობა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდი პერსპექტივები გამოხატულებას პოულობენ სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებში—„საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ,"—რომელიც მიღებულ იქნა 1958 წ. აპრილში. საქართველოს მოწინავე მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მუშაკები.

---

[65] სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. სახელგამი, 1955, გვ. 88—89.

ძთელი კოლმეურნე გლეხობა, მიესალმა სესიის ამ ისტორიულ დადგენილებას და რესპუბლიკა უკვე ერთ-ერთი მოწინავეა მთელ კავშირში ამ დადგენილებების განხორციელებისათვის ბრძოლაში. კოლმეურნეობებმა იწყეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების მასობრივი შესყიდვა და სხვ., ფართოდ გაშალეს მუშაობა სარემონტო-ტექნიკური სადგურების მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში თუ რაოდენ დიდ და უმაგალითო წარმატებებს მიაღწია ქართველმა ხალხმა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შემდგომი აღორძინების საქმეში, ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა 1958 წლის მარტში მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. რომელიც საბჭოთა ხალხის კულტურის ზეიმად იქცა და საქვეყნო აღიარება პოვა.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დიდ წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოებულ იქნა რესპუბლიკის 380 ხელოვანი შემოქმედი, რომელთაგან 5-ს მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდება და 12 დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით. ასევე დიდი წარმატებით ხასიათდება მოწინავე საბჭოთა მეცნიერების რიგებში მტკიცედ დარაზმული ქართველი მეცნიერების მრავალმხრივი მუშაობა. ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების რიგებს ამშვენებენ ლენინური პრემიის ლაურეატები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის საზეიმო დღეების სამზადისში საბჭოთა კავშირის მიერ მსოფლიოში პირველად დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვება მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და მთელი საბჭოთა ხალხის ნამდვილი ტრიუმფია. მისი უმაგალითო გამარჯვებაა.

ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში. შეურყეველად იბრძვის მთელს მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცებისათვის. ახალი ომის გამჩაღებელთა ალაგმვისათვის.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ, მისმა მსოფლიო-ისტორიულმა შედეგებმა და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ტრიუმფალურმა ზეიმმა გააცოფა საერთაშორისო იმპერიალიზმი და გააქტიურა ბურჟუაზიული იდეოლოგია. „ბურჟუაზიული იდეოლოგები ამტკიცებენ, რომ სოციალისტური ბანაკის შექმნა და

განმტკიცება ზღუდავს ბანაკში შემავალი ქვეყნების თავისთავადობასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას"[66]. ბურჟუაზიული იდეოლოგები. ცდილობენ რა რღვევა შეიტანონ სოციალისტურ ბანაკში, გააფთრებით ებრძვიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპს და ქადაგებენ „ნაციონალური კომუნიზმის" მავნე იდეოლოგიას. თანამედროვე რევიზიონიზმი მიზნად ისახავს გათიშვა შეიტანოს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში და ძირი გამოუთხაროს სოციალისტური ქვეყნების ძლევამოსილ ბანაკს.

თანამედროვე რევიზიონიზმი მთელი თავისი სიცხადით გამოაშკარავდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის VII ყრილობაზე, რომლის მიერ მიღებული პროგრამის პროექტი პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს რეაქციული ნაციონალიზმით ცვლის. „პროგრამის ეს პროექტი არღვევს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირეულ პრინციპებს, ეწინააღმდეგება სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა გასული წლის ნოემბრის მოსკოვის თათბირის დეკლარაციას, ამავე დროს ეწინააღმდეგება 64 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა თათბირის მშვიდობის მანიფესტს, რომელსაც იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის წარმომადგენელიც დაეთანხმა"[67].

იუგოსლაველი კომუნისტების მტკიცებანი მასზე, რომ „კაპიტალისტურ სამყაროში სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური ტენდენციების მზარდი ტალღა ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, რომ კაცობრიობა შეუჩერებლივ და სხვადასხვა გზით და ღრმად შედის სოციალიზმის ერაშიო"—„მოწესრიგებული კაპიტალიზმისა" და „კაპიტალიზმის სოციალიზმში მშვიდობიანი შეზრდის" ათასჯერ დაგმობილი მოძღვრების მკვდრეთით აღდგენის უბადრუკ ცდას წარმოადგენს. იუგოსლაველი კომუნისტების მიერ არასწორადაა შეფასებული თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა. ორი სისტემის არსი კი დაყენილია „ორ ანტაგონისტურ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკამდე" — ხოლო თავიანთ თავს ისინი წარმოიდგენენ ამ ბლოკსზედა მდგომარეობაში; ისინი ცილს სწამებენ სოციალისტურ ბანაკს. ამბობენ, რომ იგი ახორციელებს ეგრეთ წოდებულ „ძალის პოზიციებისა და ჰეგემონიისათვის ბრძოლის პოლიტიკას"-ო.

---

[66] ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი. სიტყვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობაზე 1958 წლის 3 ივნისს, გაზ. „კომუნისტი".

[67] გაზ. „ჟენმინიბაოს" 1958 წლის 5 მაისის მოწინავე „თანამედროვე რევიზიონიზმი დაგმობილ უნდა იქნას", გაზ. „პრავდა", 1958, 6 მაისი.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამხილებდა რა ამგვარ ცილისწამებათა უსაფუძვლობას, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობაზე აღნიშნავდა:

„მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა უზრუნველყოფს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის უპირატესობათა მაქსიმალურ გამოყენებას, ზრდის მის ძალასა და ძლიერებას ახალი ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში და კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ცხოვრებამ დამაჯერებლად დაგვანახვა, რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცება არა თუ არ ბღალავს რომელიმე ამ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, არამედ, პირიქით, მათი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საიმედო გარანტიაა.“

ამ უმძლავრეს ბანაკში თანამეგობრობით გაერთიანებული ხალხთა მასები გაბედულად იბრძვიან მშვიდობისათვის და უპირისპირდებიან ახალი ომის გამჩაღებელთა იმპერიალიზმის ბანაკს, რომლის მეთაურობენ დღეს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული ბურჟუაზია გვეელინება. მაგრამ ასეთი ომი, უდავოა, განადგურებას უქადის თვით იმპერიალიზმის სისტემას; ამას დამაჯერებლად ადასტურებენ ორი მსოფლიო ომის გაკვეთილები. ყველა მშრომელის დასაცავად სოციალიზმის ბანაკის მშრომელები, შეიარაღებულნი ლენინური ბრძნული საგარეო პოლიტიკის პრინციპებით ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, მტკიცედ ილაშქრებენ ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ და იბრძვიან მთელს მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიული დადგენილება საბჭოთა კავშირის მიერ ყველა სახის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი, დიდი ბრიტანეთის და მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხებზე, ნათლად ადასტურებს საბჭოთა ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, სსრ კავშირის ხალხებთან ურღვევი კავშირისა და დიადი თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების გზით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაბედულად მიდიან წინ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

მნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა

1941 წლის 22 ივნისი — ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების: რუმინეთის, ფინეთისა და უნგრეთის ეერაგული თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყება.

1941 წლის 22 ივნისი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება „სამხედრო მდგომარეობის შესახებ". 1905 — 1918 წლებში დაბადებულ მოქალაქეთა სამხედრო მობილიზაციის გამოცხადება.

1941 წლის 26 ივნისი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ომიანობის პერიოდში მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო დროის რეჟიმის დაწესება.

1941 წლის 30 ივნისი — თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნა ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით.

1941 წლის 2 ივლისი — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაიწყო მოსახლეობის საყოველთაო-სავალდებულო მომზადება საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის.

1941 წლის 3 ივლისი — თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი.

1941 წლის 19 ივლისი — ი. ბ. სტალინის დანიშვნა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრად.

1941 წლის 19 ივლისი — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა თბილისის პლეხანოვის სახელობის კლუბში მოაწყო ანტიფაშისტური საღამო.

1941 წლის 19 ივლისი — მაიორმა ლებანიძემ და კაპიტანმა სავინმა პირველი ყუმბარები დააყარეს კონსტანცას სევასტოპოლის დაბომბვის საპასუხოდ.

1941 წლის 7 აგვისტო — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად ი. ბ. სტალინის დანიშვნა.

1941 წლის 25 აგვისტო — საბჭოთა ჯარები გადავიდნენ ირანის საზღვრებზე და 40 კილომეტრით წაიწიეს არდებილისა და თავრიზის მიმართულებით.

1941 წლის 6 სექტემბერი — თბილისში დაიწყეს ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ხაზით საცხოვრებელ სახლებში მორიგეობის შემოღება.

1941 წლის 7 სექტემბერი — ახალგაზრდობის XXVII საერთაშორისო დღეს თბილისში ჩატარდა კომკავშირულ-ახალგაზრდული კვირაობა. დედაქალაქის 52 ათასზე მეტი ახალგაზრდა სამუშაოდ ეწვია ფაბრიკა-ქარხნებს.

1941 წლის 12 სექტემბერი — გაიმართა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ორასოვანთა თათბირი. რომელმაც პატრიოტული მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის მშრომელებს.

1941 წლის 14 სექტემბერი — თბილისის კინოსტუდიამ დაიწყო მოკლემეტრაჟიანი ფილმების დამზადება თავდაცვის თემატიკაზე.

1941 წლის 18 სექტემბერი — თავდაცვის კომიტეტის დადგენილებით 1941 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო სავალდებულო სამხედრო სწავლება სსრ კავშირის მოქალაქეთა 16-დან 50 წლის ასაკამდე.

1941 წლის 18 სექტემბერი — თბილისის ა. ს. გრიბოედოვისა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრებში დაიდგა პიესა „მხედართმთავარი სუვოროვი“.

1941 წლის 29 სექტემბერი — შედგა თბილისის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგი.

1941 წლის სექტემბერი — საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მასობრივად დაიწყო საბჭოთა არმიისათვის თბილი ტანსაცმლის ორგანიზებულად შეგროვება.

1941 წლის სექტემბერ-ოქტომბერში — საქართველოს კოლმეურნეები „თავდაცვის ფონდის“ გასაძლიერებლად თესავენ თავდაცვის საკოლმეურნეო ჰექტრებს.

1941 წლის 18 ოქტომბერი — საქართველომ შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

1941 წლის 19 ოქტომბერი — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის

საქართველოს ფილიალში შედგა საქართველოს მეცნიერთა ანტიფაშისტური მიტინგი.

1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერი — საქართველოს სამრეწველო საწარმოებში. ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. გაცხოველდა ორასოვანთა მოძრაობა.

1941 წლის 4 ნოემბერი — საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში მასობრივად დაიწყო სახსრების შეგროვება საბრძოლო სატორპეტო კატარღების ასაგებად.

1941 წლის 6 ნოემბერი — ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

1941 წლის 7 ნოემბერი — ი. ბ. სტალინის სიტყვა წითელი არმიის პარადზე წითელ მოედანზე მოსკოვში.

1941 წლის 20—21 ნოემბერი — შედგა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმი.

1941 წლის 5 დეკემბერი — საქართველოს კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა.

1941 წლის 10 დეკემბერი — გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფილიპე იესეს ძე მახარაძე.

1941 წლის 25 დეკემბერი — საქართველოს ჩაის ფაბრიკებმა გეგმის დამატებით გამოუშვეს 550 ტონა მზა ჩაი.

1941 წლის დეკემბერი — საქართველოს მშრომელებმა მასობრივად იწყეს საახალწლო საჩუქრების გაგზავნა საბჭოთა არმიის მოქმედ ნაწილებში.

1941 წელი — საქნავთის მუშაკებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნავთობის ამოღებისა და ჭაბურღილების გათხრის 1941 წლის გეგმა და სამშობლოს 2700 ათასი მანეთის ეკონომია მისცეს.

1942 წლის 2 იანვარი — კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძეს მიენიჭა არტილერიის გენერალ-მაიორის წოდება.

1942 წლის 3 იანვარი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს გ. თ. სტურუა.

1942 წელი 29 იანვარი — ქართველმა პოეტებმა ი. აბაშიძემ, ა. მაშაშვილმა და გ. ლეონიძემ ინახულეს მაიორ ა. ჯახიევის ჯავშნიანი მატარებლის მებრძოლთა შემადგენლობა.

1942 წლის 21 თებერვალი — საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა

არმიის მოქმედ ნაწილებს საჩუქრად გაუგზავნეს ორი ეშელონი (60 ვაგონი) სურსათ-სანოვაგის ამანათი.

1942 წლის 23 თებერვალი — გამოქვეყნდა ბრძანება თავდაცვის სახალხო კომისრისა № 55.

1942 წლის 23 თებერვალი — გამოქვეყნდა ფრონტის ყირიმის უბნის მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების წერილი საბჭოთა საქართველოს მშრომელებისადმი.

1942 წლის 2—3 მარტი — შედგა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი.

1942 წლის 5 — 7 მარტი — თბილისის კინოთეატრებში უჩვენეს კინო ფილმი „გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან".

1942 წლის 19 მარტი — მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრში დაიდგა ლ. გოთუას პიესა „მეფე ერეკლე".

1942 წლის 22 მარტი — თბილისში გარდაიცვალა ესპანეთის მუშათა კლასის ბელადი ხოზე დიასი.

1942 წლის 24 მარტი—დოლორეს იბარურის ჩამოსვლა თბილისში.

1942 წლის 9 აპრილი — დაბა ტყვარჩელი და აკარმარი გადაკეთდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქ ტყვარჩელად.

1942 წლის 11 აპრილი — გამოქვეყნდა ქალაქ სევასტოპოლის პიონერთა და მოსწავლეთა წერილი საქართველოს ბავშვებისადმი.

1942 წლის 21 აპრილი — ქ. თბილისის ადგილობრივმა საჰაერო თავდაცვამ ბრძანება გამოსცა ქალაქში შუქშენიღბვის რეჟიმის სასტიკად დაცვის ღონისძიებათა გატარების შესახებ.

1942 წლის 1 მაისი — გამოქვეყნდა ბრძანება თავდაცვის სახალხო კომისრისა № 130.

1942 წლის 13 მაისი — პორფირე გიორგის ძე ჩანჩიბაძეს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

1942 წლის 23 მაისი — თბილისში დაიდგა შოთა რუსთაველის ძეგლი.

1942 წლის 23 — 24 მაისი — ლენინის გზის მოსკოვის კვანძის რკინიგზელები და შეიარაღების სახალხო კომისარიატის მუშაკები გამოდიან სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის პირველ ინიციატორებად.

1942 წლის 3 ივნისი — თბილისში შედგა მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობის სტახანოველთა საქალაქო თათბირი

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხებზე.

1942 წლის 10 ივნისი — თბილისში შედგა ახალგაზრდობის მეორე ანტიფაშისტური მიტინგი.

1942 წლის 11 ივნისი—გამოქვეყნდა პირობები სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობისა და მაღალი მოსავლის მისაღებად.

1942 წლის 20 ივნისი — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა გამოაცხადა კონკურსი ქართული მასობრივი სიმღერებისა და ქართული სამხედრო მარშის შექმნაზე.

1942 წლის 23 ივნისი — გამოქვეყნდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს წერილი — „სამამულო ომის ერთი წლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები“.

1942 წლის 27 — 29 ივნისი — თბილისში ჩატარდა საქართველოს სსრ ჯანსაღკომის ევაკოჰოსპიტლების სამედიცინო მუშაკთა 1 თათბირი.

1942 წლის 12 ივლისი — თბილისის სამხატვრო გალერეაში გაიხსნა დიდი გამოფენა, მიძღვნილი სამამულო ომისადმი. გამოფენაში მონაწილეობდნენ ჩრდილო კავკასისა და ამიერკავკასიის გამოჩენილი მხატვრები.

1942 წლის 19 ივლისი — საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა დიდი სპორტული დღესასწაული.

1942 წლის 27 ივლისი — წულუკიძის რაიონის სოფ. მათხოჯში გაიმართა საზეიმო მიტინგი თანასოფლელ ნ. ადამიასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების გამო.

1942 წლის 1 აგვისტო — საქართველოს მწერალთა სასახლეში აღინიშნა დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან 150 წლისთავი.

1942 წლის 12 აგვისტო — დააჯილდოეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის 119 მუშაკი.

1942 წლის აგვისტო — ფაშისტური არმიების შემოჭრა სსრ კავშირის სამხრეთში.

1942 წლის 19 აგვისტო — ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ბრძანებით დაწესდა თბილისის სრული დაბნელება.

1942 წლის 23 აგვისტო — თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლების ანტიფაშისტური მიტინგი.

1942 წლის 25 აგვისტო — სოფელ პრავოურვანსკოეში (ამჟამად

ბუხაიძე). ჩრდილო კავკასიაში დაღუპა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი კაპიტანი მიხეილ ბუხაიძე.

1942 წლის 25 აგვისტო—ქ. თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით ქალაქში გამოცხადდა სამხედრო წესები.

1942 წლის 25 აგვისტო — საქართველოს რაიონებში წარმატებით ჩატარდა მეორე რიგის საყოველთაო სამხედრო სწავლება, შემოწმდა შედეგები.

1942 წლის 4 სექტემბერი — თბილისის კინოსტუდიამ დაამთავრა დიდი ისტორიული ფილმის „გიორგი სააკაძის" I-ლი სერიის გადაღება.

1942 წლის 27 სექტემბერი — თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა ანტიფაშისტური მიტინგი.

1942 წლის სექტემბერ-ოქტომბერი — საქართველოს მშრომელებმა შეაგროვეს და საბჭოთა არმიის მოქმედ ნაწილებს გაუგზავნეს საოქტომბრო საჩუქრები.

1942 წლის 3 ოქტომბერი — ი. ბ. სტალინის პასუხები ამერიკის ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვებზე.

1942 წლის 14 ოქტომბერი — კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძეს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

1942 წლის 24 ოქტომბერი — გამოქვეყნდა მ. ი. კალინინის სტატია „ბრძოლა კავკასიისათვის".

1942 წლის 25 ოქტომბერი — საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ჩაის დამზადების წლიური გეგმა.

1942 წლის 27 ოქტომბერი — საქართველოს მშრომელებმა წერილით მიმართეს სტალინგრადის დამცველებს.

1942 წლის 6 ნოემბერი — ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

1942 წლის 10 ნოემბერი — გიორგი ივანეს ძე ყუფარაძეს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

1942 წლის 19 ნოემბერი—დაიწყო სტალინგრადის რაიონში განლაგებული საბჭოთა არმიის ნაწილების შეტევაზე გადასვლა ფაშისტ ოკუპანტების გასანადგურებლად.

1942 წლის 27 ნოემბერი — გამოიცა ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია.

1942 წლის 18 დეკემბერი — საქართველოს კოლმეურნეებმა დაი-

წყეს თანხების შეგროვება სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად.

1942 წლის 20 დეკემბერი — ლენინგორის რაიონის სოფ. უკანაუბნის კოლმეურნემ გიორგი ბაშარულმა 150 ათასი მანეთი შეიტანა საბრძოლო თვითმფრინავის ასაგებად.

1942 წლის 22 დეკემბერი — დაწესდა მედლები: „ლენინგრადის დაცვისათვის“, „ოდესის დაცვისათვის“, „სევასტოპოლის დაცვისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“.

1942 წლის 24 დეკემბერი — გარდაიცვალა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. შეროზია.

1942 წლის 24 დეკემბერი — ი. ბ. სტალინის მისალმება და საბჭოთა არმიის მადლობა საქართველოს კოლმეურნე გლეხობისადმი სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნის“ მშენებლობისათვის 72 500 ათასი მანეთის შეგროვების გამო.

1942 წლის დეკემბერი — რესპუბლიკის მშრომელები მასობრივად უგზავნიან საახალწლო საჩუქრებს საბჭოთა არმიის მოქმედ ნაწილებს.

1943 წლის 4 იანვარი — ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი ნალჩიკი.

1943 წლის 10 იანვარი — წალკის რაიონის სოფელ კუშჩის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოჯახმა სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებ ფონდში 500 ათასი მანეთი შეიტანა.

1943 წლის 19 იანვარი — საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა არმიის XXV წლისთავის შესახვედრად მასობრივად დაიწყეს თანხების შეგროვება თვითმფრინავთა ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად.

1943 წლის 21 იანვარი — ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი სტავროპოლი.

1943 წლის 1—7 თებერვალი — საქართველოში სოფლად და ქალაქად ჩატარდა ფრონტელთა ოჯახების დახმარების კვირეული.

1943 წლის 2 თებერვალი — მთლიანად დამთავრდა სტალინგრადის რაიონში ალყაშემორტყმულ გერმანელ-ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია.

1943 წლის 3 თებერვალი — სრულიად საქართველოს კათალიკოს

პატრიარქმა კალისტრატემ მორწმუნეთა სახელით თავდაცვის ფონდში შეიტანა ფულადი თანხები.

1948 წლის 8—10 თებერვალი — შედგა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი.

1948 წლის 9 თებერვალი — სტალინის დეპეშა საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთათვის ძმური სალამის და წითელი არმიის მადლობის გადაცემის შესახებ, რომლებმაც შეაგროვეს საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად 261 მილიონი მანეთი.

1948 წლის 23 თებერვალი — გამოქვეყნდა ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა № 95.

1948 წლის 23 თებერვალი — გამოქვეყნდა გენერალ ი. ვ. ტიულენევის წერილი — „ჩვენ მოვიგეთ ბრძოლა კავკასიისათვის“.

1948 წლის 3 მარტი — ქობულეთელი მოწინავე კოლმეურნეები და მტს-ის მუშაკები გამოდიან სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატორებად დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში.

1948 წლის 4 მარტი — გმირმა სტალინგრადელებმა მგზნებარე პატრიოტული წერილი მოსწერეს საქართველოს მშრომელებს.

1948 წლის 4—30 მარტი — დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეები აქტიურად ეხმაურებიან ქობულეთელ კოლმეურნეთა ინიციატივას.

1948 წლის 6 მარტი — ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ მოწოდებით მიმართა აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეებს და მტს-ის მუშაკებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

1948 წლის 6 მარტი—ი. ბ. სტალინს საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება მიენიჭა.

1948 წლის 7 მარტი — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში ჩამოყალიბდა დიდი სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი სექცია. დაიწყო მასალების შეგროვება დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის შესახებ.

1948 წლის 22 მარტი — საქართველოს მშრომელთა პირადი დანაზოგებით აგებულ თვითმფრინავთა ესკადრილიები საზეიმო ვითარებაში გადაეცა საბჭოთა არმიას.

1943 წლის 26 მარტი — სტალინური პრემიის ლაურეატმა აკად. ს. ჯანაშიამ, რეჟისორმა მ. ჭიაურელმა, სახალხო არტისტებმა ა. ხორავამ და ვ. ანჯაფარიძემ თავდაცვის ფონდში შეიტანეს დიდ- რაოდენობის ფულადი თანხები.

1943 წლის 15 აპრილი — გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რკინიგზაზე სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ.

1943 წლის 16 აპრილი — თბილისის მშრომელებს სტუმრად ეწვია სტალინგრადის ისტორიული დაცვის გვარდიელ მონაწილეთა ჯგუფი ნ. ტ. თავართქილაძის მეთაურობით.

1943 წლის 1 მაისი — გამოქვეყნდა ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა № 195.

1943 წლის 11 — 19 მაისი — საქართველოს მშრომელები აძლიერებენ დახმარებას ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონების მშრომელებისადმი.

1943 წლის 18 მაისი — გამოქვეყნდა „ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებისადმი".

1943 წლის მაისი — ქართველ მებრძოლთა წერილს საქართველოს მშრომელები ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით პასუხობენ.

1943 წლის 21—22 ივნისი — შედგა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმი.

1943 წლის 10 აგვისტო — თბილისის კინოსტუდიამ დაამთავრა „გიორგი საკაძის" მეორე სერიის გადაღება.

1943 წლის 22 აგვისტო — გამოქვეყნდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „გერმანელ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელი ამოცანების შესახებ".

1943 წლის 16 სექტემბერი — ჩრდილო კავკასიის ფრონტის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი ნოვოროსიისკი. უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაში მოხსენებული არიან გენერალ-ლეიტენანტ კ. ლესელიძის ჯარები.

1943 წლის 22 სექტემბერი — 414-ე მსროლელმა დივიზიამ, რომელიც ქართველი მეომრებისაგან შედგებოდა, გაათავისუფლა ქალაქი და ნავსადგური ანაპა.

1943 წლის 9 ოქტომბერი — ჩრდილო კავკასიის ფრონტის ნაწილებმა დაასრულეს მოწინააღმდეგის დაჯგუფების განადგურება, მთლიანად გაწმინდეს ტამანის ნახევარკუნძული გერმა-

ნელ-ფაშისტ დამპყრობლებისაგან და მოსპეს გერმანელთა პლაცდარმი, რომელსაც ისინი ყუბანზე ბრძოლისათვის იყენებდნენ.

1943 წლის 9 ოქტომბერი — კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძეს გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

1943 წლის 12 ოქტომბერი — რუსთაველის სახ. თეატრმა დადგა ა. შანშიაშვილის პიესა „კრწანისის გმირები“.

1943 წლის 16 ოქტომბერი — სხვიტორში აკ. წერეთლის სახლ-მუზეუმში გაიხსნა აკ. წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

1943 წლის 31 ოქტომბერი — თბილისში შედგა ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა თათბირი სანიტარიის საკითხებზე.

1943 წლის 5 ნოემბერი — სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეებს ნ. გელაძეს, შ. კოხრეიძეს, ა. წიკლაურს და გზის უფროსს გ. კიკნაძეს.

1943 წლის 6 ნოემბერი — ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

1943 წლის 6 ნოემბერი—გიორგი მაისურაძემ გაიმეორა ალექსანდრე მატროსოვის გმირობა.

1943 წლის 6 ნოემბერი — თბილისში ჩამოვიდა ანაპის 414-ე ქართული დივიზიის დელეგაცია.

1943 წლის 7 ნოემბერი — ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა № 309.

1943 წლის 10 ნოემბერი—საქართველოში დაიწყო სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების მეორე კვირეული.

1943 წლის 10 ნოემბერი — გამოქვეყნდა პრეზიდენტ აკად. ნ. მუსხელიშვილის სტატია — „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია სამამულო ომის დღეებში“.

1943 წლის 18 ნოემბერი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტს მიეკუთვნა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელი.

1943 წლის 28 ნოემბერი—1 დეკემბერი—თეირანში შედგა საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მეთაურთა კონფერენცია.

1943 წლის დეკემბერი — საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა მეომრებს გაუგზავნეს საახალწლო საჩუქრები.

1944 წლის 3 იანვარი — საქართველოდან მოსკოვის მშრომელებს

გაუგზავნეს 73 მილიონი, ხოლო ლენინგრადის მშრომელებს 16 550 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

1944 წლის 11 იანვარი — გამოქვეყნდა გაზ. „პრავდის" მოწინავე სტატია. მიძღვნილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაჯილდოებისადმი.

1944 წლის 18 იანვარი — ერთ-ერთ საავიაციო ეskadრილიას მიენიჭა გმირი მფრინავის ალექსანდრე წურწუმიას სახელი.

1944 წლის 16—17 თებერვალი — შედგა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის X პლენუმი.

1944 წლის 21 თებერვალი — გარდაიცვალა გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე.

1944 წლის 22 თებერვალი — გ. ყურაშვილს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

1944 წლის 23 თებერვალი — გამოქვეყნდა ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა № 16.

1944 წლის 10 მარტი — გესტაპოს მიერ დაპატიმრებული. ხოლო შემდეგ წამებით მოკლულ იქნა სიმფეროპოლის კომკავშირული ფარული ორგანიზაციის შტაბის წევრი ზ ო ი ა რ უ ხ ა ძ ე.

1944 წლის 21—25 მარტი — ჩატარდა საქართველოს სსრ ევაკოჰოსპიტალთა ექიმების მეორე სამეცნიერო კონფერენცია.

1944 წლის 28 მარტი — ქ. თბილისში ევაკოჰოსპიტალის ბაზაზე ომის ინვალიდთათვის მოეწყო ორთოპედიის და აღდგენითი ქირურგიის საავადმყოფო.

1944 წლის 7 აპრილი — მ. ი. კალინინმა წერილი მისწერა გმირულად დაღუპული მფრინავის ი. ჯინჭარაძის დედას ფ. ბოლქვაძეს.

1944 წლის 16 აპრილი — გურჯანელმა კოლმეურნეებმა ომით დაზარალებულ საბჭოთა რაიონის მშრომელებს საჩუქრად გაუგზავნეს 260 მსხვილფეხა პირუტყვი, 218 ცხვარი, 100 ღორი და 10 ცხენი.

1944 წლის 1 მაისი — გამოქვეყნდა ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა № 70.

1944 წლის 1 მაისი — დაწესდა მედლები „მოსკოვის დაცვისა" და „კავკასიის დაცვისათვის".

1944 წლის 5 მაისი — გამოქვეყნდა გაზ. „პრავდის" მოწინავე: „დიდება მოსკოვისა და კავკასიის გმირ დამცველებს".

1944 წლის 5 მაისი — თელავის რაიონის სოფელ ომალოს კოლმე-

ურნემ ტოხოშაშვილმა მესამე სამხედრო სესხის 310 ათასი მანეთის ობლიგაცია შეიძინა.

1944 წლის 9 მაისი — საბჭოთა არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს სიმაგრე და მნიშვნელოვანი სამხედრო საზღვაო ბაზა შავ ზღვაზე ქალაქი სევასტოპოლი და მთლიანად გაწმინდეს ყირიმი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

1944 წლის 17 მაისი — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეებმა უკრაინის განთავისუფლებულ რაიონებს საჩუქრად გაუგზავნეს 212 ათასი ნამყენი ვაზი. ვენახების აღსადგენად.

1944 წლის 25 მაისი — გარდაიცვალა ქართველი მწერალი და საზოგადო-მოღვაწე ნიკო ლორთქიფანიძე.

1944 წლის მაისი-ივნისი — მოსკოვში წარმატებით მიმდინარეობდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საღამოები.

1944 წლის 6 ივნისი — გაიხსნა მეორე ფრონტი ევროპაში. ნორმანდიაში მოკავშირეებმა გადმოსხეს ინგლის-ამერიკის ჯარები.

1944 წლის 20 ივნისი — ქუთაისში განახლდა სათეატრო ახალი დიდი ნაგებობის მშენებლობა.

1944 წლის 21 ივნისი — გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე საქართველოს სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი ს. ჩოლოყაშვილი.

1944 წლის 22 ივნისი—საქართველოდან ომით დაზარალებულ უკრაინის მოძმე რაიონებს გაეგზავნა დიდი რაოდენობით ტრაქტორები. გუთნები. კომბაინი, მოტორები, თესლი, რამდენიმე ათასი სული პირუტყვი და სხვ.

1944 წლის 4 აგვისტო — ქობულეთის რაიონის ცენტრი დაბა ქობულეთი ქალაქად გამოცხადდა.

1944 წლის 4—5 სექტემბერი — შედგა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი.

1944 წლის 3 ოქტომბერი — თბილისში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბდა ერთწლიანი პარტიული სკოლა.

1944 წლის ოქტომბერი—დაიწყო საქართველოს მშრომელთადმი მედალის „კავკასიის დაცვისათვის" გადაცემა.

1944 წლის 15 ოქტომბერი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტს მიეკუთვნა ა. რაზმაძის სახელი.

1944 წლის 30 ოქტომბერი — სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პოეტ იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავის საიუბილეო საღამო.

1944 წლის 6 ნოემბერი — ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

1944 წლის 7 ნოემბერი — გამოქვეყნდა ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა № 220.

1944 წლის 10 — 18 ნოემბერი — რესპუბლიკაში მიმდინარეობდა სამშობლოს დამცველთა ოჯახების დახმარების მორიგი კვირეული.

1944 წლის 28 ნოემბერი — გაიხსნა საქართველოს სსრ სოფლის ექიმთა პირველი ყრილობა.

1944 წლის 17 — 27 დეკემბერი — თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკის დეკადა.

1944 წლის 19 დეკემბერი — საქართველომ ვადაზე ადრე შეასრულა ჩაის დამზადების გეგმა.

1944 წელი — გამოვიდა მხატვრული კინოფილმი „ჯურღაის ფარი".

1944 წელი — თბილისის კინოსტუდიის ლენინის ორდენით დაჯილდოება.

1944 წელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

1944 წელი — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის განახლება.

1945 წლის 13 იანვარი — საქართველომ გადაჭარბებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების 1944 წლის დამზადების გეგმა.

1945 წლის 29 იანვარი — თბილისში ჩატარდა საქართველოს ენერგეტიკოსთა რესპუბლიკური თათბირი.

1945 წლის 4 — 13 თებერვალი — შედგა სსრ კავშირის, დიდ ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს მეთაურთა ყირიმის კონფერენცია (იალტაში).

1945 წლის 23 თებერვალი — გამოქვეყნდა ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა № 5.

1945 წლის 23 თებერვალი — ბელორუსიის პირველი ფრონტის ნაწილებმა გაათავისუფლეს ქალაქი და სიმაგრე პოზნანი. უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაში მოხსენებული არიან გენერალ-მაიორ კობერიძის ჯარები. ბრძანებულება გვარდიის უფროს ლეიტენანტ გიორგი ივანეს-ძე თვაურისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

1945 წლის 26 — 27 თებერვალი — ჩატარდა საქართველოს კომკავშირის XVI ყრილობა.

1945 წლის 5 მარტი — საქართველოს უხუცესი მფრინავი ბესარიონ ქებურია ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

1945 წლის 6 მარტი — სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტ იუსტინე ივლიანეს ძე ჯანელიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

1945 წლის 7—8 აპრილი — შედგა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმი.

1945 წლის 29 აპრილი — თბილისის საწარმოო-დაწესებულებებში ჩატარდა მიტინგები, მიძღვნილი საბჭოთა და ინგლის-ამერიკის ჯარების შეხვედრისადმი გერმანიის ტერიტორიაზე ქალაქ ტორნაუს რაიონში.

1945 წლის 30 აპრილი — საბჭოთა ჯარებმა ბერლინში დაიკავეს რაიხსტაგის შენობა, რომელზედაც მეომრებმა მელიტონ ქანთარიამ და მიხეილ ეგოროვმა გამარჯვების დროშა აღმართეს.

1945 წლის 1 მაისი — გამოქვეყნდა ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა № 20.

1945 წლის 2 მაისი — საბჭოთა არმიის ნაწილებმა მთლიანად დაიკავეს გერმანიის დედაქალაქი ბერლინი. ბერლინის გარნიზონმა დაყარა იარაღი და დანებდა.

1945 წლის 8 მაისი — გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია.

1945 წლის 9 მაისი — ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების გამო. ბრძანებულება 9 მაისის გამარჯვების დღესასწაულად გამოცხადების შესახებ.

1945 წლის 6 ივნისი — დაწესდა მედალი „1941 — 1945 წწ. დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

1945 წლის 9 ივნისი — დაწესდა მედლები: „ბერლინის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“, „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“, „პრაღის განთავისუფლებისათვის“, „ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“.

1945 წლის 23 ივნისი — სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკთა დემობილიზაციის შესახებ.

1945 წლის 24 ივნისი — გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად მოსკოვში, წითელ მოედანზე, შედგა გამარჯვების პარადი.

1945 წლის 27 ივნისი — ი. ბ. სტალინისადმი უმაღლესი სამხედრო წოდების — საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის მინიჭება.

1945 წლის 9 აგვისტო — საბჭოთა კავშირმა ომი გამოუცხადა იმპერიალისტურ იაპონიას.

1945 წლის 14 აგვისტო — იაპონიამ გამოაცხადა უსიტყვო კაპიტულაცია.

1945 წლის 2 სექტემბერი — იაპონიის წარმომადგენლების მიერ უსიტყვო კაპიტულაციის აქტის ხელმოწერა ტოკიოში. ი. ბ. სტალინის მიმართვა რადიოთი ხალხისადმი იაპონიაზე გამარჯვებასა და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასთან დაკავშირებით.

1945 წლის 3 სექტემბერი — იაპონიაზე გამარჯვების დღე.

1945 წლის 4 სექტემბერი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ".

1945 წლის 12—13 სექტემბერი — შედგა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი.

1945 წლის 1 ოქტომბერი — მედლის „იაპონიაზე გამარჯვებისათვის" დაწესება.

დ ა ნ ა რ თ ი

საბჭოთა კავშირის გმირების სია

ადამია ნოე პეტრეს ძე
ავალიანი ლავრენტი მიხეილის ძე
ალფაიძე გალაქტიონ ელისეს ძე
ასლამაზიშვილი სურენ არტემის ძე
ასრიანი აშოტი მინას ძე
ბარციცი რაუდენი მიხეილის ძე
ბაქრაძე დავითი ილიას ძე
ბახტაძე გიორგი გიორგის ძე
ბენდელიანი ჭიჭიკო ყაისარის ძე
ბერდაშვილი გიორგი ივანეს ძე
ბეროშვილი ვლადიმერი ლევანის ძე
ბიბილაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
ბილანიშვილი გიორგი ივანეს ძე
ბოსტანჯიანი მიგრანი მიგრანის ძე
ბუაჩიძე გიორგი მიხეილის ძე
ბუკია აკაკი კონსტანტინეს ძე
გაბლია ვარლამი ალექსის ძე
გაბრიაძე გრიგოლი ივანეს ძე
გალუსტაშვილი სოკრატი ალექსის ძე
გამცემლიძე შოთა ლევანის ძე
გარანიანი ერვანდ გიორგის ძე
გახოკიძე მიხეილი ლევანის ძე
გეგეშიძე არკადი სპირიდონის ძე
გვანცელაძე ვლადიმერი ვასილის ძე
გვენცაძე ივანე ნიკოლოზის ძე
გოგიჩაიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე
გორბაჩევი მიხეილი ნიკიფორეს ძე
გორბაჩევსკი, ალექსანდრე ივანეს ძე

გოცირიძე გიორგი გიორგის ძე
გრიგორიანი სერგო ვართანის ძე
გუბელაძე ვლადიმერი იასონის ძე
გურგენიძე ალექსანდრე ერმალოს ძე
დანელია ამირანი იოსების ძე
დარბინიანი ლევანი ოგანეზის ძე
დემეტრაშვილი იანე გაბრიელის ძე
დიასამიძე მიხეილი სტეფანეს ძე
დუპლი ივანე მინას ძე
ესებუა ვლადიმერი მიხეილის ძე
ელადიმიროვი ბორისი ალექსანდრეს ძე
ზუბალოვი ფეოფილაქტე ანდრიას ძე
ზუმბულიძე ბორისი ზაქარიას ძე
თავაძე დავით ელიზბარის ძე
თვაური გიორგი ივანეს ძე
თურქია ვლადისლავი ალექსანდრეს ძე
ინასარიძე გიორგი მოსეს ძე
იოსელიანი იაროსლავი კონსტანტინეს ძე
კაზარიანი აშოტი ვაგარშაკის ძე
კანანაძე ალექსანდრე გიორგის ძე
კანკავა ვლადიმერი ალექსანდრეს ძე
კეთილაძე სერგო პოლიკარპეს ძე
კვაჭანტირაძე ვასილი შალვას ძე
კილასონია გერმანე ვლადიმერის ძე
კობერიძე ერმილე გრიგორის ძე
კობლოვი სერგო კონსტანტინეს ძე
კოვალი დიმიტრი ივანეს ძე
კოზაევი შალვა ვასილის ძე
კოზანოვი სარდიონი დავითის ძე
კოკოსკირია იასონი ბესატოვის ძე
კოტანოვი თედორე ევგენის ძე
ლელაძე გიორგი დავითის ძე
ლექავა ვახტანგი აკაკის ძე
ლესელიძე ბიქტორი ნიკოლოზის ძე
ლურსმანაშვილი ვლადიმერი სამსონის ძე
მაისურაძე გიორგი ვასილის ძე
მებაღიშვილი კარლო ალექსანდრეს ძე
მერკვილაძე დავითი სერგოს ძე

ნანეიშვილი ვლადიმერი ვარდენის ძე
ოგანოვი სერგო მომბრევის ძე
ოსტაევი ალექსანდრე ეგორის ძე
პაპაძე ვლადიმერი ივანეს ძე
პაპუაშვილი გიორგი იოსების ძე
პერმისაშვილი ალექსი ზაქარიას ძე
პოპკოვი ვიტალი ივანეს ძე
რაზმაძე გალაქტიონი სამსონის ძე
როსტიაშვილი შოთა პეტრეს ძე
საბანოვი გიორგი სევასტის ძე
სიმონიანი კარაპეტ სიმონის ძე
სორდია ბონძი ავქსენტის ძე
სირტლანოვა მაგუბა გუსეინის ასული
სულაბერიძე ალექსანდრე სერგოს ძე
სხულუხია გიორგი პეტრეს ძე
ტერელაძე აკაკი ლუკას ძე
ტიბუა შოთა პლატონის ძე
ტყაბლაძე კონსტანტინე ევსტაფის ძე
ტუღუში ელისე სიმონის ძე
უკლება კირილე ნიკიფორეს ძე
ურუშაძე ნოე ალექსანდრეს ძე
ქანთარია მელიტონ ვარლამის ძე
ქირია შალვა ნესტორის ძე
ყოჩიევი კონსტანტინე გიორგის ძე
შენგელია გიორგი დავითის ძე
შიშინაშვილი აბიბო ერასტოს ძე
შორნიკოვი ალექსანდრე სერგოს ძე
ჩაკრიანი არუთინ ხაჩიკის ძე
ჩანჩიბაძე პორფილე გიორგის ძე
ჩეჩელაშვილი ოთარი გიორგის ძე
ჩიქოვანი ვახტანგი ვლადიმერის ძე
ჩილაჩავა შალვა ილიას ძე
ჩოჩიევი ვასილი სიმონის ძე
ჩუბინიძე ლევანი ვარლამის ძე
ჩხაიძე ვლადიმერი მიხეილის ძე
ჩხაიძე სერგო არისტახოს ძე
ციციშვილი ირაკლი ნიკოლოზის ძე
ცუცქირიძე კონსტანტინე ზაქარიას ძე

ცხოვრებოვი ივანე დავითის ძე
წიქარაძე პლატონი ლუკას ძე
წულუკიძე ბორისი აბესალომის ძე
წურწუმია ალექსანდრე პეხუს ძე
ჭიღლაძე სერგო გედეონის ძე
ხაჯიევი კონსტანტინე ილიას ძე
ხარაზია ვლადიმერი კომსაგის ძე
ხიტალიშვილი ზაქარია სოლომონის ძე
ხმალაძე ილია გიორგის ძე
ჯაბიძე დავითი ვასილის ძე
ჯანჯღავა ვლადიმერი ნიკოლოზის ძე
ჯაფარიძე თენგიზ ივანეს ძე
ჯინჭარაძე ისრაფილი ქემალის ძე

სოციალისტური შრომის გმირები

გელაძე ნიკოლოზ ვასილის ძეს (რკინიგზელი)
კიკნაძე გრიგოლ სიმონის ძეს —„—
კოხრეიძე შალვა ვასილის ძეს —„—
ყიფილაშვილი შალვა ნიკოლოზის ძეს (ფრონტელი რკინიგზელი)
წიკლაური ანდრია ვასილის ძეს (რკინიგზელი)
მუსხელიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძეს (აკადემიკოსი)
ჯანელიძე იუსტინე ილიანეს ძეს (აკადემიკოსი, მედიცინის სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი).

სახელთა საძიებელი*

ა

აბაევი დ. — 256.
აბაკელია ა. — 30.
აბაკელია თ. — 340.
აბაშელი ა. — 324. 326, 339.
აბაშიძე ი. — 324—6. 337. 368.
აბაშიძე გ. — 324. 326—7. 339.
აბესაძე ა. — 46.
აბესაძე ვანო — 46.
აბესაძე ვას. — 46.
აბესაძე ვლ. — 46.
აბესაძე თ. — 46.
აბესაძე ლ. — 46.
აბესაძე შ. — 46.
აბესაძეები — 352.
აბრამია ვ. — 47. 324.
აბრამიშვილი ნ. — 366.
აბრამიშვილი შ. — 403.
აგარკოვი ე. — 191.
აგიაშვილი ნ. — 324.
ადამია ა. — 69.
ადამია ნ. — 348. 362 — 3. 102.
აკალიანი ლ. — 354.
აკჩიანი ს. — 333.
აზმაიფარაშვილი შ. — 334. 337.
აიბა ა. — 61.
აიკაზაშვილი ო. — 217, 252, 265.
აკოფოვი — 60.
ალადაშვილი ა. 158.
ალექსანდროვი ა. — 339.
ალექსიშვილი მ. — 11.
ალიოხინი — 60.
ალფაიძე გ. — 84, 359. 381, 383.
ამირანაშვილი ვ. — 338—9.
ამისულაშვილი შ. — 324, 329.
ანდრიაშვილი ა. — 337.
ანდრონიკაშვილი — 295.
ანთელავა ი. — 11. 295.
ანთელიძე ბ. — 399.
ანთიძე ქ. — 13. 135. 218—9.
ანტონოვსკაია ა. — 327.
არაბიძე თ. — 137.
არაბიძე ი. — 103.
არაყიშვილი დ. — 334, 337—6.
არუსტამოვი — 60.
არზუმანოვი ლ. — 390.
არტემიძე ე. — 376.
არჯანია ი. — 431.
ასათიანი — 389.
ასათიანი ლ. — 47, 324.
ასათიანი ო. — 51.
ასათიანი შ. — 389.
ასკანელი მ. — 45. 219. 239, 109.
ასლამაზაშვილი ს. — 374.
ასლანიშვილი ი. — 389.
ასლანოვი — 443.
აფხაზავა ვ. — 51.
აფხაიძე შ. — 326.
ალა-მაჰმად-ბანი — 11. 295.
ახალბედაშვილი გ. — 60.
ახვლედიანი გ. — 42. 76, 283. 292.
ახვლედიანი ე. — 340.
ახვლედიანი ს. — 324.
ახება — 69.
აჰმედოღლი ა. — 237.

* საძიებელში არაა შეტანილი ქრონიკასა და დანართში მოხსენებული სახელები.

ბ

ბაბალაშვილი ი. — 370.
ბაბაქადირ-მურაღოვი — 148—9.
ბაგრატიონი ბ. — 295, 342, 350.
ბადახიშვილი ა. — 63.
ბადრიძე დ. — 338.
ბალანჩივაძე ა. — 337—8.
ბანკინა ვ. — 431.
ბარაბაშვილი ბ. — 373.
ბარამია ლ. — 333.
ბარამია მ. — 13.
ბარბაქაძე — 360.
ბარბაქაძე უ. — 410.
ბარბაქაძეები — 208.
ბარიშნიკოვა ე. — 178, 142.
ბარნაბიშვილი ვ. — 383.
ბარციცი რ. — 375.
ბასილაშვილი გ. — 236.
ბატურინი — 361.
ბაქრაძე დ. — 12, 373, 376, 389.
ბახაკაშვილი — 383.
ბახტაძე გ. — 374.
ბახტაძე ვ. — 469.
ბახტაძე ქ. — 240, 290.
ბაჯაძე ი. — 13, 199, 276.
ბაჯელიძე — 384.
ბაჯელიძე რამ. — 219.
ბაჯელიძე რიფ. — 219.
ბაჯელიძე ხ. — 219.
ბედუქაძე შ. — 360.
ბელიაშვილი ა. — 329.
ბენდელიანი ჯ. — 84. 366. 373. 378.
ბენედიქტოვი ი. — 223, 279.
ბეკოვი — 342.
ბერაძე ს. — 454.
ბერიტაშვილი ი. — 42, 283, 290—91.
ბეროშვილი ვ. — 374.
ბერულავა ხ. — 332.
ბერძენიშვილი გ. — 330.
ბერძენიშვილი ნ. — 11, 295—6.
ბიბილაშვილი ა. — 380—1. 383.
ბიკოვა — 193.
ბილანიშვილი გ. — 374.
ბობოხიძე კ. — 324, 326.
ბოგვერაძე ნ. — 41.
ბოგომოლეცი ა. — 283.
ბოდოშვილი ლ. — 129.
ბოლქვაძე ფ. — 375.
ბორზილოვი ვ. — 60.
ბოსტოღანაშვილი ი. — 224.
ბოკორიშვილი ა. — 76. 292.
ბოკორიშვილი ლ. — 296.
ბოკორიშვილი ს. — 418.
ბრამაზონი ბ. — 89.
ბრეგაძე გ. — 6. 477.
ბეაჩიძე გ. — 309, 371.
ბულისკირია — 265.
ბურდენკო ნ. 283.
ბურჯალიანი ე. — 15.
ბუცხრიკიძე მ. — 219.
ბუხაიძე მ. — 348, 368, 378.

გ

გაბაშვილი ვ. — 295.
გაბელია შ. — 70.
გაბესკირია ე. — 326, 331.
გაბინაშვილი ვ. — 60.
გაბუნია ვ. — 354.
გაბუნია კ. — 358.
გაგუა ი. — 374.
გალანჩოვი — 377.
გალდერი — 16, 145.
გალუსტოვი ა. — 236.
გამგონაძე ვ. — 189.
გამრეკელი ბ. — 334 — 5.
გამრეკელი დ. — 338.
გამსახურდია კ. — 329.
გამყრელიძე დ. — 71.
გამცემლიძე შ. — 354, 377—8, 380
გაპონენკო ლ. — 6.
გარაყანიძე დ. — 413.
გარაყანიძე ვ. — 413.
გასიტაშვილი ი. — 70.
გასიშვილი — 60, 81.
გატოვსკი — 12.
გაფრინდაშვილი ფ. — 71.
გაჩეჩილაძე დ. — 324—5, 327.
გახოკიძე მ. — 348. 362—3, 372.
გეგეშიძე ა. — 83, 348, 363, 402, 423.
გეგეშიძე ვ. — 423.
გეგეშიძე ო. — 423.

გედეანიშვილი გ. — 75.
გედეანიშვილი ი. — 199.
გელაშვილი კ. — 46.
გელაშვილი მ. — 46.
გელაშვილი ნ. — 377.
გელაძე — 358.
გელაძე ნ. — 85.
გელოვანი ძ. — 321—5, 332.
გერინგი — 148.
გერლიც — 17.
გეწაძე მ. — 194.
გეალია ა. — 389.
გეალია ს. — 376.
გვანცელაძე ი. — 374.
გველესიანი გ. — 276.
გველესიანი რ. — 387.
გვენეტაძე თ. — 359.
გვენცაძე ვ. — 393.
გვეტაძე რ. — 324, 327, 329.
გვრიტიშვილი დ. — 13, 295. 366.
გიასელი გ. — 330.
გიგინეიშვილი ე. — 405.
გიგინეიშვილი ო. — 389.
გიგოლაშვილი ა. — 341.
გიორგაშვილი მ. — 70.
გიორგაძე ა. — 154.
გიორგაძე აკ. — 238.
გიორგაძე გ. — 341.
გიორგობიანი გ. — 389.
გლინკა ბ. — 373.
გლინკა დ. — 373.
გოგიაშვილი კ. — 334.
გოგიტიძე ხ. — 219.
გოგიჩაიშვილი ნ. — 368.
გოგიჩაიშვილები — 209, 353.
გოგიძე ვ. — 374.
გოდუნოვი ბ. — 335.
გოთუა ლ. — 330. 334—5.
გოკიელი ი. — 337.
გოკიელი ლ. — 283.
გოლდენეიზერი — 342.
გომელაური ლ. — 305, 464.
გომიაშვილი ა. — 324, 329. 333.
გორგანელი ვ. — 332.
გორგასალი ვ. — 295. 347.
გორგილაძე ლ. — 11.
გორგიშვილი ს. — 45.
გორდელაძე ო. — 374, 469.
გორკი ძ. — 32.
გოცაძე გ. — 418.
გოცირიძე ა. — 458.
გოცირიძე ს. — 374.
გრიშაშვილი ი. — 321.
გრიშკო-ლოზინსკი 312.
გუბელაძე ვ. — 374.
გუგუშვილი ვ. — 330.
გუგუშვილი ვ. — 11. 13. 24. 16, 233. 247. 249. 296.
გეღერიანი — 16, 81. 359.
გეღიაშვილი ლ. — 340.
გული დ. — 326.
გურამიშვილი დ. — 328.
გურგენიძე ა. — 360, 363.
გურეშიძე თ. — 135.
გურეშიძე ს. — 380.
გესევი ა. — 390.
გუჯაბიძე ს. — 376.

დ

დადიანი ზ. — 48, 76. 328—9, 347, 362.
დავით აღმაშენებელი — 295, 347, 349—50.
დავითაშვილი გ. — 13, 60.
დათიაშვილი ნ. — 137.
დალაქიშვილი შ. — 359.
დარასელი ვ. — 331. 333—4.
დარასელია ვ. — 240.
დგებუაძე ვ. — 129.
დევსტრაშვილი — 194.
დემენტიევა ვ. — 432.
დემეტრაშვილი ი. — 404.
დემეტრაძე ნ. — 458.
დეშანოესკია თ. — 219.
დიასამიძე ვ. — 365—6. 402.
დიდებულიძე გ. — 458.
დიმიტრი დონელ — 293.
დიმიტრი თაყდადებული — 347.
დოლაქიძე ა. — 57. 90.
დოლენჯიშვილი ვ. — 242.
ოოლიძე ს. — 341.

დონდუა ვ. — 295.
დორეული გ. — 360.
დუმბაძე მ. — 11. 295.

ე

ებანოიძე ლ. — 444.
ებრალიძე ს. — 166.
ეგოროვი მ. — 184. 383.
ელიზბარაშვილი ლ. — 85.
ელისაბედაშვილი — 81.
ელისაბედაშვილი გ. — 460.
ენგელსი ფ. — 93, 296, 344—5. 351.
ერეკლე მეორე — 295. 347.
ერემენკო — 357.
ერენბურგი ი. — 372.
ერისთავი დ. — 335.
ერისთავი კ. — 458.
ესართია გ. — 364.
ესებუა ვ. — 364

ვ

ვაკელი ი. — 331, 334.
ვარდანაშვილი — 418.
ვასაძე ა. — 334.
ვასაძე მ. — 219.
ვერელოვი ა. — 390.
ვეტუნევა ქ. — 135.
ვეფხვაძე — 341.
ვეფხვაძე კ. — 458.
ვეშაპელი — 81.
ვორობიოვი ვ. — 17.
ვოროშილოვი კ. — 69.

ზ

ზავიალოვ ა. — 371.
ზავრიევი კ. — 75.
ზასლავსკი დ. — 342.
ზაქარაია ს. — 458.
ზემბროლოვი — 57.
ზვერევიჩი ბ. — 61.
ზორია თ. — 70.
ზუბრილოვი — 392.
ზურაბიანი გ. — 389.
ზურაბიშვილი ა. — 458.
ზურაბიშვილი გ. — 45.
ზუხუბაია ვ. — 45, 219, 239, 409.

თ

თავართქილაძე ნ. — 366, 401—2.
თავაძე დ. — 340, 381, 383.
თავაძე რ. — 340.
თავაძე ს. — 329.
თამარ მეფე — 295, 347, 350.
თანდილაშვილი ვ. — 242.
თარგამაძე ლ. — 128.
თარხნიშვილი მ. — 335.
თაქთაქიშვილი ო. — 339.
თაქთაქიშვილი შ. — 337.
თეთუაძე პ. — 224.
თეიმურაზ პირველი — 295.
თემურ-ლენგი — 41. 295.
თვალჭრელიძე ა. — 73. 283—4.
თვაური გ. — 84, 380.
თოდრაძე ტ. — 288.
თოდრია ა. — 60.
თოდრია ვ. — 355.
თოიძე გ. — 190.
თოიძე ი. — 340.
თოიძე მ. — 334. 340.
თომაშვილი დ. — 330.
თოფურია ვ. — 292.
თოფურიძე ვ. — 340.
თუთურაშვილი ლ. — 129.
თხინვალელი — 239.

ი

იაშვილი ნ. — 217, 227, 233, 274.
ივანე მეოთხე — 335.
ივანიშვილი გ. — 405.
ილურიძე ა. — 179.
ილურიძე კ. — 60. 130. 144. 194. 204.
იმედაძე გ. — 330.
იოსელიანი ა. — 13. 92, 95, 219, 226, 295. 350, 399, 437.
იოსელიანი დავითი — 458.
იოსელიანი დიმიტრი — 376. 389.
იოსელიანი ი. — 348, 361—2, 411.
იოსელიანი შ. — 325, 330, 332.
ირემაძე — 136.
ისიანი ს. — 47, 324. 330, 332.
იუტკინა ა. — 261.

კ

კაზალიკაშვილი — 389.
კაკაბაძე ა. — 45, 232, 256, 273, 473.
კაკაბაძე ვ. — 126.
კაკაბაძე ბ. — 331.
კაკაბაძე ს. — 341.
კაკაბაძე სარგის — 295.
კაკაბაძე ხ. — 217.
კაკულია — 359.
კალანდაძე ა. — 51.
კალანდაძე ტ. — 333.
კალაძე კ. — 325.
კალაძე ნ. — 354, 366, 363.
კალგასოვი — 465.
კალიაღინი ტ. — 371.
კალინინი მ. — 294, 346, 375, 404.
კალმახელიძე ბ. — 424.
კანანაძე ა. — 348, 363.
კანკავა ა. — 364.
კანკავა ვ. — 348, 368
კაპანაძე — 384.
კაპანაძე ი. — 71.
კარაევი გ. — 390.
კარბელაშვილი ლ. — 46.
კარბელაშვილი მ. — 46.
კარბელაშვილი ნ. — 46.
კარალოვი — 342.
კაცი ს. — 335.
კახეთელიძე ვ. — 250.
კეზევაძე — 384.
კეკელიძე კ. — 42.
კეცხოველი ნ. — 75, 283, 467.
კვარაცხელია — 60.
კვარაცხელია ა. — 48.
კვარაცხელია ტ. — 48, 75.
კვატაშიძე ვ. — 60.
კვაპანტირაძე — 358.
კვაპანტირაძე ვ. — 380.
კიკვიძე ა. — 11, 295.
კიკვიძე ლ. — 136.
კიკნაძე გ. — 191.
კიკნაძე მ. — 83, 358.
კილაძე გ. — 334, 338.
კიმი მ. — 6.
კიპარენკო-დამანსკი — 342.
კირაკოზოვი — 81.
კლაუზევიცი კ. — 93—4.
კლდიაშვილი ს. — 329—30, 334.
კლეისტი — 367.
კობალაშვილი ა. — 57.
კობერიძე ე. — 354, 380—1, 383.
კობოლოვი ს. — 375.
კოვალენკო ნ. — 431.
კოვპაკი ს. — 12, 373, 375.
კოზაევი შ. — 375.
კოზანოვი ს. — 374.
კოზლოვი ა. — 12.
კოკელაძე დ. — 148.
კოკილაშვილი ა. — 333.
კოკოლაშვილი დ. — 242.
კოკორინი ვ. — 30.
კოკოსკირია ე. — 375.
კომაროვი ვ. — 282.
კონონენკო ე. — 403.
კოპალიანი ა. — 340.
კოუედუბი ი. — 354.
კორნეიჩუკი ა. — 333.
კორძაძე — 81.
კოჩიევი კ. — 364.
კოჩინაშვილი ა. — 30.
კოხრეიძე დ. — 166.
კოხრეიძე ე. — 189.
კოხრეიძე შ. — 59, 85, 191.
კრავეიშვილი ბ. — 338.
კრავჩენკო — 137.
კრასნოსელსკოვი — 354.
კუბლაშვილი ა. — 392.
კუპატაძე ნ. — 393.
კუპრაძე ვ. — 47, 283.
კუტუზოვი მ. — 293, 342.
კუფტინი ბ. — 296.

ლ

ლაბაძე არტ. — 46.
ლაბაძე არჩ. — 46.
ლაბაძე ი. — 46.
ლაბაძე ს. — 46.
ლავრენტიევი ვ. — 443.
ლანგე ე. — 355.
ლებანიძე მ. — 332.
ლებანიძე შ. — 84.
ლენინი ვ. ი. — 3, 7—8, 21—22, 54,

76, 91—2, 95—6, 98, 161, 293—1, 296, 344—6, 469—70, 477.
ლეონიძე გ. — 76, 324—6, 337.
ლეონიძე ვ. — 331.
ლეკაკა გ. — 30.
ლესელიძე გ. — 383.
ლესელიძე ე. — 353, 380.
ლესელიძე კ. — 45, 70, 83—4, 171, 340, 346, 348, 353, 359, 369, 371—3, 378, 394, 402.
ლესელიძე ნ. — 70, 352.
ლეფსვერიძე ი. — 380.
ლისტი — 367.
ლიტვინენკო გ. — 443.
ლოლაძე შ. — 376.
ლორთქიფანიძე ი. — 129.
ლორთქიფანიძე კ. — 47, 76, 321, 329.
ლორია ბ. — 330.
ლეკიანოვა — 137.
ლენინი — 191.
ლერსმანაშვილი — 352.
ლერსმანაშვილი ვ. — 348, 368.
ლერსმანაშვილი ი. — 404.

მ

მაისაშვილი ს. — 340.
მაისურაძე გ. — 354, 377, 380.
მაისუროვი — 75.
მაკალათია ს. — 296.
მაკი ფ. — 369.
მალაზონია ნ. — 326, 330.
მამისაშვილი ლ. — 463.
მანანეფიანი ი. — 349.
მასშტეინი — 305.
ძანჯგალაძე — 166.
მარ ძე-დენი — 475.
მარგიანი რ. — 324, 329.
მარიდაშვილი ს. — 217.
მარუაშვილი ლ. — 389.
მარქსი კ. — 93, 161, 245—6, 296, 344—5, 351.
მატროსოვი ა. — 354, 380.
მაქაცარია თ. — 70.
მაქაცარია ქ. — 61.
მაქსიმოვი — 360.
მელანაშვილი ნ. — 142.
მაკაშვილი შ. — 310.
ძახაბელი ძ. — 360—1.
მაჩიტაძე ა. — 47.
მაკაკარიანი მ. — 337.
მახათელაშვილი — 288.
მახარაძე ფ. — 68.
ძგელაძე — 191.
მდივანი გ. — 330, 334—5.
მებალიშვილი კ. — 383.
მეგრელიშვილი — 355.
მეგრელიშვილი დ. — 374.
მეკოკიშვილი გ. — 376.
მელქაძე — 360.
მერაბიშვილი კ. — 341.
მესხია შ. — 295.
მესხიშვილი ლ. — 439.
მინინი კ. — 293.
მინეი ი. — 6.
მირცხულავა (მაშაშვილი) ა. — 321—6, 337.
მიტოიანი გ. — 45.
მიტროფონოვა ა. — 6.
მიქაბერიძე ნ. — 389.
მიქაშავიძე შ. — 128.
მიქელაძე გ. — 370.
მიქელაძე მ. — 353.
მიქელი — 220.
მიშაკოვი — 84.
მიხალკოვი ს. — 339.
მნათობაშვილი — 358.
მოდრეკილი მ. — 317.
მონასაშვილი ტ. — 139.
მოსაშვილი ა. — 337.
მოსაშვილი ი. — 324, 326—7, 329.
მოსკვინი — 342.
მოსულიშვილი — 237.
მეკეანაძე ვ. ბ. — 346, 353, 360, 402.
მრეველიშვილი მ. — 326.
მუსერიძე ო. — 370.
მუსოლინი — 376.
მუსხელიშვილი ნ. — 29, 42, 73, 283—4, 287, 300.
მუხაძე გ. — 457—8.
მშველიძე შ. — 334, 337—8.
მშვენიერაძე — 220.
მხეიძე ვ. — 127.

ნ

ნადარეიშვილი დ. — 341.
ნადარეიშვილი ს. — 340.
ნადირაძე — 360.
ნადირაძე თ. — 137.
ნაზარენკო თ. — 373.
ნათაძე რ. — 76, 292.
ნაკაშიძე მ. — 338.
ნანეიშვილი ვ. — 84. 354, 366, 402.
ნაპოლეონი — 145. 349—50.
ნარიმანიძე გ. — 389.
ნარიმანიძე დ. — 337.
ნატროშვილი გ. — 324. 329.
ნატროშვილი ე. — 217.
ნაუმოვი ი. — 12.
ნაფეტვარიძე გ. — 324. 332.
ნაცვლაძე მ. — 218.
ნებელიშვილი ც. — 219.
ნეველი ა. — 293. 342.
ნემიროვიჩ-დანჩენკო — 342.
ნეფარიძე დ. — 339.
ნეფარიძე გ. — 359.
ნიკოლაიშვილი კ. — 218.
ნიკოლაძე ი. — 30. 334, 340.
ნიკოლაძე ნ. — 95.
ნინუა ა. — 469.
ნიორაძე გ. — 76.
ნონეშვილი ი. — 47. 324—5. 329, 333.
ნუცუბიძე ა. — 13, 227, 270.

ო

ობოლაძე ნ. — 189.
ოგანიანი გ. — 409.
ოდინცევი — 354.
ოთინაშვილი ზ. — 424.
ოლეიშკინი — 365.
ონიანი — 389.
ონიკაშვილი ს. — 193.
ოპიზარი ბექა — 317.
ოპიზარი ბეშქენ — 317.
ორაგველიძე გ. — 213.
ორაგველიძე მ. — 443.
ორაგველიძე ქ. — 69.
ორჯონიკიძე ს. — 346.
ოსეფაშვილი თ. — 46.
ოსეფაშვილი ს. — 46.
ოსტაპენკო დ. — 373.
ოსტაპენკო ი. — 373.
ოსტროვსკი ა. — 335.

პ

პატარქალიშვილი — 60.
პატაბიშვილი დ. — 332.
პაულიუსი — 365.
პირმისაშვილი ა. — 348, 368—9.
პირტახია — 326.
პლიევა მ. — 219.
პლიევი ბ. — 13.
პლიევი ი. — 375.
პოჟარსკი დ. — 293, 342.
პურნიკი ლ. — 362.

ჟ

ჟღენოვი ა. — 52.
ჟიჟავაძე ა. — 265.
ჟორჟოლაძე ს. — 355.
ჟორჟოლიანი ი. — 376.
ჟერული ვ. — 326.
ჟღენტი მ. — 418.
ჟღენტი ს. — 47. 332.

რ

რაზმაძე — 378.
რაზმაძე ა. — 297.
რაზმაძე გ. — 374.
რაზმაძე ი. — 346. 383.
რეგისტანი ე. — 339.
რევაზიშვილი გ. — 179.
რეხვიაშვილი ვ. — 376.
რიგვავა ძ. — 264.
რიმსკი-კორსაკოვი 316.
რიჟამაძე ი. — 275.
რობაქიძე ა. — 193. 296.
რობაქიძე გ. — 448.
რობაქიძე კ. — 85.
როდმიცევი — 365.
როკი ვ. — 334.
რომანოვსკი ბ. — 341.
რონდელი დ. — 341.
რჟეშევსკი ა. — 335.
რუდენკო პ. — 373.
რუზველტი ფ. — 87, 184.
რურუა პ. — 330.
რუსეიშვილი ე. — 69.

რესიძე კ. — 330.
რეხაძე ზ. — 376.

ს

საკაძე გ. — 295. 342, 347.
სალუქვაძე რ. — 418.
სამსონია ა. — 331, 334—5.
სამხარაძე — 194.
სამხარაძე გ. — 364.
სანაძე კ. — 340.
სანიკიძე კ. — 48.
საფიროვი ნ. — 356.
სარაული შ. — 359.
სარაჯიშვილი ბ. — 158.
სარაჯოღლუ — 147.
სარსანია ქ. — 62. 70. 81, 213, 217, 240, 265.
საღარაძე გ. — 335.
სემიოლოვი ა. — 63, 190.
სერგაცკოვი — 370.
სვანი ვ. — 60.
სვანიძე ა. — 238.
სვანიძეები — 45.
სიდოროვი ა. — 6.
სილაგაძე ი. — 348.
სიმონოვი კ. — 334—5.
სიტაია — 81.
სიხარულიძე ქ. — 296, 347.
სლანოვი — 375.
სოზიაშვილი ი. — 46.
სოზიაშვილი შ. — 46.
სოლოვიოკი ვ. — 335.
სორდია ბ. — 374. 377.
სოსელია ო. — 295.
სპეხოვი ბ. — 63.
სპეხოვი ტ. — 138.
სტალინი ი. — 18. 24. 26. 33. 52—4. 89. 97—8. 104, 117—8, 143. 172. 184, 293. 341. 343. 348. 366. 378. 382, 405. 439. 444, 446. 476. 480.
სტეპანოვი ე. — 12.
სტეფანიანი — 129.
სტურუა ბ. — 365.
სტურუა გ. — 68.
სუვოროვი . — 293, 342.
სულავა ა. — 332.
სულიაშვილი ს. — 329.
სურგულაძე ა. — 11, 20.
სხულუხია გ. — 354, 363. 378.

ტ

ტაბიძე გ. — 76. 324. 337.
ტაკიძე დ. — 217, 265.
ტარლე ე. — 316.
ტატანაშვილი ე. — 354. 380, 383.
ტელპუხოვსკი ბ. — 6, 15.
ტერელაძე ა. — 373—4, 377.
ტიპელსკირხი კ. — 17, 94, 141, 145, 197.
ტიხონოვი ნ. — 326, 331. 333. 366.
ტოლბუხინი თ. — 83. 352—3, 378.
ტოლსტოი ლ. — 316.
ტოროშაშვილი მ. — 418.
ტრუმენი — 89.
ტყაბლაძე კ. — 309, 374.
ტყეშელაშვილი ნ. — 448.

უ

უბილავა ვ. — 325. 332.
უზნაძე დ. — 76. 292—3.
უკლება კ. — 384.
ულიანოვი — 378.
ურუშაძე ნ. — 374.
უსენაშვილი ს. — 217.

ფ

ფალიაშვილი ზ. — 30, 338.
ფანჯაკიძე ლ. — 389.
ფარჯიკია ბ. — 377.
ფარჯიკია ე. — 358.
ფარულია ვ. — 354.
ფედოროვი ა. — 12.
ფირცხალაიშვილი ა. — 11.
ფიფია — 60.
ფიფია ე. — 458.
ფოსტერი უ. — 16, 86, 89.
ფოცხვერაშვილი ა. - 335.
ფრანგიშვილი ა. — 76.
ფრანგიშვილი ვ. — 292.
ფროლოვა თ. — 411.
ფურცელაძე დ. — 389.
ფურცხვანიძე შ. — 154.
ფუჩიკი ი. — 385.

ქ

ქადეიშვილი — 358.
ქავთარაძე პ. — 458.
ქათამაძე ვ. — 137.
ქათამაძე ვ. — 57, 392.
ქათამაძე დ. — 190.
ქანთარია ე. — 265.
ქანთარია მ. — 184, 348—9, 383.
ქეარხახია ჩ. — 264.
ქვლიეიძე მ. — 332.
ქიაჩელი ლ. — 76. 328.
ქორიძე დ. — 45.
ქორქია რ. — 330.
ქოჩიაშვილი მ. — 13. 370. 376.
ქუთათელაძე — 283.
ქუთათელაძე ი. — 466.
ქუთათელი ა. — 329. 341.
ქურდაძე ლ. — 189.
ქურდიანი ა. — 30.
ქუჩიშვილი გ. — 49. 324, 337.

ღ

ღამბაშიძე შ. — 335.
ღარიბაშვილი — 358.
ღლონტი მ. — 348. 354. 370.
ღლონტი ც. — 389.
ღოღობერიძე კ. — 45. 219, 225, 233, 242.

უ

უალიჩავა ე. — 70.
უალიჩავა მ. — 70.
უალიჩავა ქ. — 70.
უაუხჩიშვილი ს. — 296.
უიფიანი მ. — 191.
უიფშიძე დ. — 41.
უიფშიძე ნ. — 458.
უიფშიძე ს. — 458.
უელიაშვილი მ. — 70.
უურაშვილი გ. — 348. 354, 365, 370—1.
უუფარაძე გ. — 348. 354, 368—9, 378. 402.
უუფუნია ე. — 217. 261.
უუფუნია თ. — 217.

შ

შაგინიანი მ. — 291.
შაიშმელაშვილი ი. — 295.
შაკგულიძე ნ. — 136.
შაკერზაშვილი თ. — 337.
შალამბერიძე — 84.
შანიძე ა. — 42. 292.
შანშიაშვილი ს. — 76. 331. 331—5.
შატბერაშვილი გ. — 327, 330. 335.
შაქარაშვილი რ. — 219.
შაკ-აბასი — 41. 295.
შაკ-ნადირი — 41.
შეეჩენკო ტ. — 316.
შენგელაია დ. — 47. 324. 329.
შენგელია გ. — 374.
შვერნიკი ნ. — 118.
შიმანსკი — 365.
შინქუბა ბ. — 326.
შოთა რუსთაველი — 31, 327, 341.
შოთაძე შ. — 190.
შონია ნ. — 264.
შოლირიძე გ. — 84.
შტეინმანი — 342.
შუაევა გ. — 139.
შუისკი ვ. — 335.
შუმახერი — 17.
შურლაია შ. — 383.
შჩერბაკოვი ა. — 52. 469.
შჩუსეევი ა. — 30.

ჩ

ჩადუნელი დ. — 41.
ჩაიკოვსკი — 316.
ჩანდრი კ. — 90.
ჩანჩიბაძე პ. — 83, 340, 346, 353, 358. 9. 364, 366. 371—3.
ჩარგეიშვილი — 85.
ჩარკვიანი შ. — 330.
ჩახვაშვილი ნ. — 13. 333.
ჩერჩილი უ. — 86. 145. 184, 381—2.
ჩეჩელაშვილი ო. — 383.
ჩეხოვი ა. — 316.
ჩიგიტაშვილი ო. — 218.
ჩიკვაიძე ვ. — 47.
ჩინგიზ-ხანი — 295.

ჩიტაია გ. — 296.
ჩიტაიშვილი — 365.
ჩიტაიშვილი გ. — 83—4, 358.
ჩიტაძე ა. — 406.
ჩიტაძე ი. — 406.
ჩიქობავა ა. — 76, 283, 292.
ჩიქოვანი ვ. — 377—8.
ჩიქოვანი კ. — 458.
ჩიქოვანი მ. — 296.
ჩიქოვანი ს. — 76, 324—6, 328—9.
ჩორნი ბ. — 327.
ჩუბინიძე ვ. — 378.
ჩუბინიძე ლ. — 374, 377—8, 208, 403—4.
ჩხაიძე ს. — 364.
ჩხეიძე უ. — 335.
ჩხეტია შ. — 11, 296.
ჩხობაძე პ. — 359.

ც

ცაგარეიშვილი ვ. — 337.
ცაგარელი გ. — 383.
ციბულკო — 354.
ციმაკურიძე — 341.
ციმაკურიძე უ. — 167, 200, 473.
ცინცაბაძე ი. — 130.
ცინცაძე ი. — 11, 350.
ციციშვილი ი. — 359, 374, 389.
ცომაია ვ. — 189.
ცომაია ს. — 351.
ცუცქირიძე კ. — 383.
ცქიფურიშვილი — 60.
ცხომელიძე ლ. — 45.

წ

წერეთელი — 341.
წერეთელი გ. — 292.
წერეთელი ს. — 47.
წიკლაური — 136.
წიკლაური — 365.
წიკლაური ა. — 59, 85, 191.
წილოსანი ვ. — 360.
წილოსანი ი. — 360.
წინამძღვრიშვილი მ. — 458.
წიტაიშვილი — 356—7.
წიქარაძე პ. — 364.
წიქარიშვილი შ. — 358.
წულია გ. — 70.
წულია ივანე — 70.
წულია ილიანე — 70.
წულია იონა — 70.
წულია ტ. — 70.
წულია ჭ. — 71.
წულაძე ა. — 236.
წულუკიძე ა. — 458.
წულუკიძე გ. — 74, 286, 303.
წურწუმია ა. — 84, 324, 348, 361—2, 373, 402, 411, 423.
წყნეთელი მაია — 347.

ჭ

ჭაკვაკაძე ალ. — 351.
ჭაკვაკაძე თ. — 335.
ჭაკვაკაძე ი. — 31, 94—6, 399.
ჭანკოტაძე შ. — 354.
ჭანუყვაძე ფ. — 47.
ჭანუყვაძე ქ. — 47.
ჭაჭიაშვილი — 57.
ჭეიშვილი ნ. — 13, 383.
ჭელიძე ნ. — 389.
ჭელიძე ო. — 332.
ჭიაურელი მ. — 341.
ჭილაია ს. — 325.
ჭილაშვილი — 392.
ჭიღლაძე — 60.
ჭიჭინაძე დ. — 194.
ჭიჭინაძე კ. — 326.
ჭუბაბრია კ. — 360.
ჭუმბურიძე — 204.
ჭუმბურიძე. დ. — 189.

ხ

ხაბურზანია ვ. — 178.
ხავთასი გ. — 47.
ხარაზია ვ. — 362, 374—5.
ხარაძე ნ. — 338.
ხარაძე რ. — 296.
ხარებოვი ა. — 375.
ხასია ბ. — 238.
ხაჭაპურიძე ბ. — 292.

ბაკაურიძე გ. — 13, 20. 76, 283, 295, 297.
ბერგიანი ბ. — 389.
ბერგიანი გ. — 389.
ბიხანიშვილი შ. — 130, 192.
ბონელიძე — 129.
ბორავა ა. — 334—5.
ბოჯავა ზ. — 292.
ბოლშაოეი ნ. — 52. 89, 196, 269. 484.
ბუბულური ვ. — 360.
ბუნდაძე ტ. — 11.
ბუნტუა ნ. — 66. 176—7, 190.
ბუციშვილი მ. — 357.

ჯ

ჯაბადარი გ. — 362.
ჯაბიძე დ. — 361.
ჯავახიშვილი დ. — 458, 465.
ჯავახიშვილი ი. — 296—7.
ჯავრიშვილი კ. — 390.
ჯანაშია ს. — 42, 76, 283, 295—6.
ჯანგულაშვილი თ. — 332.
ჯანელიძე ა. — 42, 133.
ჯანელიძე ი. — 283, 300, 459.
ჯანეერდაშვილი მ. — 359.
ჯანიაშვილი ა. — 176.
ჯანჯღავა ე. — 353, 360. 383.
ჯაოშვილი თ. — 242.
ჯაფარიძე ა. — 389.
ჯაფარიძე გ. — 340, 389.
ჯაფარიძე თ. — 389.
ჯაფარიძე მ. — 331, 389.
ჯაფარიძე ს. — 335.
ჯაფარიძე უ. — 340.
ჯახიევი — 358.
ჯგუბურია გ. — 409.
ჯინჭარაძე — 377.
ჯინჭარაძე გ. — 346. 360.
ჯინჭარაძე ი. — 373. 375.
ჯიქია პ. — 74, 303.
ჯიჯეიშვილი — 51.
ჯულუხაძე — 136.
ჯულაშვილი ი. — 84. 357.

ჰ

ჰიტლერი ა. — 17, 37—8. 86. 88—9.
ჰუპერტი ჰ. — 348.

ИМЕННОЙ УКАЗАТЕЛЬ

Б

Багдасаров В. Ш.—14.
Барамия М. И.—372.
Безпяткий И. Ф.—14.
Белов П. А.—12. 116—7, 197, 441.
Болтин Е. А.—12.
Бурджалов Э. Н.—12.

В

Варга Е.—481
Вознесенский Н.—12, 25.

Г

Галкин В.—353.
Гейдаров—14.
Гешберг С. Р.—12, 167.
Глухов В. М.—14.
Готовский Л. М.—22, 26.
Грановский Е. А.—12.

Д

Дарасели В.—392
Джураев Р.—14, 373.

Е

Евстафьев Г. Н.—138, 178

Ж

Жилин П. А.—148, 348, 369.

З

Зверев А.—118.
Зверев Л. Г.—471.
Зингер М.—411.

И

Ингерсолл Р.—16.

К

Казакова А.—14.
Карнаухов Е.—12.
Каширин А.—49.
Кинебулатов Х. Б.—248.
Клаузевиц К.—93.
Колтаков М. К.—14.
Кузменко Д. Г.—22, 26.
Кузнецов В.—182.
Кузьмина Г. В.—11.
Куфтин Б.—296.

Л

Лерский И.—12

М

Максимов П.—12.
Манандян Я. Л.—349.
Мансветов Н. В.—207.
Метлоф Г.—16.
Митрофанова А. В.—16.
Мнацаканян А. Н.—14.

О

Оникимов И. В.—11.

П

Петрушевский И. П.—349.
Погребинский А.—173.

С

Синицкий А. М.—53.
Соколов Г.—109.
Солдатенко Е. И.—12, 441.
Сталин И. В.—14.
Супруненко Н. И.—14.

Т

Тельпухонский Б. С.—11, 118, 141, 173—4.
Типпельскирх К.—145, 198.

Ф

Фостер У. З.—86, 89.

Х

Хрущев Н. С.—438.

Ц

Царица Тамара—349.
Церетели К.—461.

Ч

Чернышевский Н. Г.—349.
Черчилль У.—145

Ш

Шервашидзе А.—377.

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

აბასთუმანი — 465.
აბაშა — 46, 232—3. 249. 255. 262, 412.
აბაშისპირი — 46. 233, 249.
აბისინია — 36.
აგარა — 23, 212. 243. 262. 437.
ადიგენი — 45, 232. 256, 364, 414.
ადლერი — 392.
ავსტრია — 36. 116. 380.
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 14, 33, 119, 148—9. 153. 242. 299. 333. 336, 338, 340, 349, 367, 394, 397—8, 401.
აზია — 89, 90. 475.
აზოვი — 370. 428.
აკტიუბინსკი — 182.
ალაზანი — 212.
ალბანეთი — 36. 376. 474.
ალშე — 433.
ამბროლაური — 234. 277.
ამერიკა — 5. 16—18. 35—36. 89. 117, 171—2. 181. 198, 285. 381, 384.
აშშ — 17. 34, 36. 86—9, 116—117. 198, 381. 485.
ამიერკავკასია — 19. 20, 33, 43, 59, 73, 87—8. 101—2. 106, 111, 114. 119. 146—9, 153—4, 158—60, 165—7. 171, 179—80, 184—5. 187—8. 326, 335, 338—9. 346, 348—9, 357, 192, 196, 207. 239, 261, 284, 304. 364, 369—70, 372—3, 378, 392, 394—5. 397—8. 400—1, 447.
ანაპა — 320. 363, 368, 371, 401.
ანასეული — 290.
არაშენდა — 215.
არგვეთი — 57, 276, 392.
არდენი — 381—2.
არდონი — 370.
არხანგელსკი — 43.
ასპინძა — 347. 414.
ასურეთი — 237.
აფრიკა — 87.
აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 27, 69, 155—7. 242—3, 260, 277, 321, 324, 330, 332, 348, 400. 409—12, 428, 430, 456, 465.
ალმ. პრუსია — 85, 181, 184, 377, 379, 381, 405.
აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 156, 221, 234, 260. 289, 321, 324. 330—2. 409—10, 433, 436, 456, 465.
ახალსოფელი — 261.
ახალქალაქი — 212, 255. 287. 414.
ახალციხე (ვალე) — 23. 186, 273. 290, 414.
ახლო აღმოსავლეთი — 87.
ახმეტა — 212.
აჯამეთი — 128—9, 227, 287.

ბ

ბათუმი — 23, 61, 81, 120, 123, 147—8, 157. 185. 188. 194. 241, 245, 290, 302, 313, 395, 397—8, 427, 429, 431, 449. 454, 459, 466, 468.

* ყველა აქ დასახელებული პუნქტები სსრ კავშირის 1941—1945 წლების ადმინისტრაციულ დაყოფას ემყარება.

ბალკანეთი — 116. 381.
ბალტიის ზღვა — 335. 360.
ბალტიისპირეთი — 36. 43. 357. 379. 442. 476.
ბალტიკა — 382.
ბალყარეთი — 369.
ბარენცი — 39. 377.
ბაკო — 23. 87. 145. 147—8. 153. 171. 397.
ბაქსანი — 354. 368—70. 437.
ბაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 104. 247. 253.
ბებნისი — 290.
ბელგია — 39. 116.
ბელგოროდი — 171. 381.
ბელგრადი — 380.
ბელეცკი — 188.
ბელი — 83.
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 36. 82. 171. 183. 279. 326. 353. 373—4. 376—7. 379. 383. 439. 442. 476.
ბერლინი — 12—13. 184. 344. 353. 356. 379—81. 383. 479.
ბორჯომი — 465.
ბულგარეთი — 474. 484.

გ

გაგრა — 241. 313. 392. 431. 465.
გალი — 45. 219. 239. 241. 264. 409.
გაგეჭკორი — 277.
გენიჩესკი — 65. 431. 442.
გერმანია — 5. 16—18. 34—41. 49—51. 55. 58. 69. 82—3. 85—9. 93—4. 97—9. 104. 112—13. 115—18. 143. 145. 147. 172. 181. 183—4. 197—8. 206. 283. 317. 357. 365. 379—82. 384. 405—6. 434. 441—2. 469. 474. 476. 479—80. 483. იხ. აგვე აღმ. და დას. გერმანია.
გორაბერეჟოული — 378.
გორი — 23. 148. 186. 212. 222. 228—9. 244. 262—3. 290. 302. 313. 367. 393. 395. 409. 454.
გორკი — 196.
გროზნო — 147.
გუდაუთა — 241. 313. 392. 399.
გულრიფში — 428.
გუმბრინი — 209.
გურჯაანი — 214. 218. 237. 253. 111—2. 414. 433.

დ

დანია — 39.
დანციგი — 380.
დარდანელი — 147.
დარიალი — 397.
დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 12.
დიდგორი — 347.
დიდი ბრიტანეთი — 86—7. 485.
დიდი თონეთი — 404.
დიუნკერკი — 381.
დიღომი — 227.
დმანისი — 277.
დნეპრი — 171. 374. 377—8. 393. 404.
დნეპროპეტროვსკი — 413.
დნესტრი — 326.
დონბასი — 106. 129. 153—4. 171. 182. 195—6. 436. 438.
დონი — 104. 147. 205. 242. 364. 436.
დონის როსტოვი — 82. 85. 439. 440.
დოდუშკინო — 368.
დონლუზ ოუზ-ბაში — 369.
დოღლაური — 227.
დუშეთი — 234. 277. 414. 429.

ე

ევროპა — 18. 22. 36. 50. 86—7. 89. 115. 172. 181. 185. 197. 344. 349. 351. 353. 356. 376. 379. 381. 475.
იხ. აგვე დას. ევროპა.
ელბა — 184. 377. 384.
ელდარი — 257.
ელნია — 80.
ენაკიევო — 436. 441.
ენგური — 81. 213.
ერევანი — 149.
ერწო — 227.
ესპანეთი — 39.

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 36, 82, 183, 360—1, 373.

ვ

ვალუიკი — 354.
ვარციხე — 217, 233, 274.
ველისციხე — 443.
ვენა — 184, 379—80.
ვიეტნამი — 474.
ვისლა — 374, 379—80, 382.
ვიტებსკი — 84, 357.
ვოლგა — 326, 364, 380.
ვოლგისპირეთი — 38, 43, 102, 114, 115, 377.
ვორონეჟი — 365.

ზ

ზაპესი — 155, 166, 192.
ზემო როკი — 219, 256.
ზემო სვანეთი (მესტია) — 410—11, 416, 389.
ზესტაფონი — 23, 57, 73, 119, 120, 128—9, 131, 137, 187—8, 191, 194, 208—9, 220, 238, 286, 386, 392, 395, 403, 418, 437.
ზლატოუსტი — 182.
ზნაური — 244.
ზოდი — 71.
ზუგდიდი — 222, 240, 242, 255, 261, 302, 408, 423.

თ

თამარიანი — 45.
თბილისი — 23, 30, 41—42, 45, 47—8, 56, 59—61, 63—4, 69, 73—4, 81, 120, 122, 124, 130, 132—3, 135—7, 139, 142, 144, 146—52, 155—6, 164—6, 185, 188, 192—5, 221, 235—6, 239, 245, 251, 253, 284, 287—8, 290—1, 302, 304, 308, 313, 316—7, 325, 336—8, 340—1, 343, 368, 378, 388, 394—5, 398, 401, 409, 413, 422, 426—7, 429, 430—1, 435—8, 440, 447, 449, 456, 459.
თეთრიწყარო — 255, 261, 277, 404, 422.
თეირანი — 88.
თელავი — 23, 222, 262, 276, 302, 414, 418, 423, 429, 456.
თერგი — 171, 370.
თიანეთი — 227.
თურქეთი — 10, 39, 146—7, 277, 391.
თურქმენეთი — 14.
თუშ-ფშავ-ხევსურეთი — 348, 392.

ი

იალბუზი — 308—9, 389.
იალტა — 152.
იაპონია — 5, 35—6, 39, 143, 183, 198, 317, 474—5, 479, 483.
იასნაია-პოლიანა — 316.
ილმე — 57, 392.
იმერეთი — 289.
იმიერკავკასია — 350.
იმიერპოლარეთი — 379.
ინგლისი — 5, 16—18, 35—36, 38, 116—17, 145, 171—2, 181, 265, 381.
ინგური — 128, 240.
ინდოეთი — 87, 89, 90.
ირანი — 87—8, 351.
იტალია — 35—36, 39, 172, 181, 353, 376, 379.
იუგოსლავია — 181, 376, 380, 474, 484.

კ

კავკასია — 10, 12—13, 16, 37—38, 43—46, 73, 75, 110, 143—49, 151, 153—4, 156—61, 169—71, 175, 179, 209, 219, 221, 234, 252, 259, 265, 287, 295, 304, 312, 317, 326, 328—9, 344, 348, 350—53, 356, 364—5, 367—73, 376—8, 381, 383, 389—91, 393—5, 397—401, 405, 442, 479.
კავკასიონი — 147, 159, 369, 389.
კალინინგრადი — 184.
კანადა — 36.
კარელია — 379.
კარელია-ფინეთი — 36, 183, 476.

კარპატები — 382. 405.
კასპი — 23. 46, 229. 244.
კასპიის ზღვა — 397.
კაუნასი — 39.
კავრეთი — 215, 237.
კახეთი — 289, 350, 463.
კენიგსბერგი — 184. 377.
კეხვი — 227.
კიევი — 39, 43. 342, 377—8, 404.
კიროვი — 41, 459.
კისლოვოდსკი — 424.
კლინი — 316.
კოდა — 261.
კოლხეთი — 186, 277.
კოლხიდა — 27. 227.
კომიშლოსკი — 261.
კორეა — 474.
კოტლარევსკაია — 369.
კრამატორსკი — 182.
კრასნოდარი — 171, 242, 253, 340, 428—31.
კრწანისი — 295. 347.
კუზნეცკი — 162. 182. 193.
კუიბიშევი — 189, 410, 416.
კუმა-ზალკა — 370.
კურილიის კუნძულები — 384.
კურსკი — 171—2, 373—4. 381.

ლ

ლაგოდეხი — 45. 233. 242, 255, 262—3. 414. 422. 423. 429.
ლაითერი — 220. 304.
ლანჩხუთი — 213 217—18. 221—22. 237. 402. 469.
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 12. 36. 82—3. 183, 299, 373.
ლაფანყური — 276.
ლაშისღელე — 69.
ლენინგორი — 244.
ლენინგრადი — 12, 23, 37—38, 42, 46. 51, 64. 82. 144. 146, 160. 170, 267, 304. 316. 320. 326. 336, 342, 357, 359—61, 372, 377, 379, 416, 476.
ლენჯერი — 416.
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 36. 82, 183. 373
ლოტარინგია — 116.
ლუარი — 379.

მ

მაგნიტოგორსკი — 140, 182, 193. 196.
მაიაკოვსკი — 274.
მაიკოპი — 423, 437.
მაისკოე — 369.
მაკეევკა — 140. 182.
მამათი — 217.
მამისონის უღელტეხილი — 148. 397.
მანგლისი — 347.
მანჯურია — 384.
მარაბდა — 352.
მარნეული — 277.
მარუხი — 148. 397.
მახარაძე — 65. 70. 220. 240—1. 255, 261—3, 374, 423. 431, 440. 442. 450.
მახინჯაური — 375.
მაჰაჩყალა — 147.
მელაანი — 215.
მენჯი — 457.
მეორე სვირი — 57.
მესხეთი — 277. 289.
მეჯვრისხევი — 393.
მინსკი — 39.
მირზაანი — 60. 155. 186. 224.
მოზდოკი — 171.
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 14. 36, 82. 193. 373, 379. 476.
მოსკოვი — 12. 16. 23. 27. 30, 37—8, 43, 51, 63, 82—5. 116—8. 134. 144—6. 160, 178. 182, 195 6. 267. 304. 331. 336. 338. 342. 357—9. 372. 375, 377, 405, 413. 416. 472. 483—4.
მეხროვანი — 257.
მყინვარწვერი — 287.
მცხეთა — 253, 423, 450.

ნ

ნაიბერი — 261.
ნალჩიკი — 171, 371.

ნატანები — 45. 261.
ნიკოპოლი — 106. 436.
ნინოწმინდა (საგარეჯო) — 227.
ნიუნი-დნეპროვსკი — 436.
ნიცა — 181, 379.
ნოვგოროდი — 379.
ნოვოკრამატორსკი — 441.
ნოვოპეჩორსკი — 182.
ნოვოროსიისკი — 147, 171, 368, 372. 397. 435.
ნოვოჩერკასკი — 371. 423.
ნორვეგია — 39, 116.
ნორმანდია — 181, 379.

ო

ოდერი — 184. 374. 379. 383.
ოდესა — 12. 43. 84. 144, 152. 357, 361. 363. 372, 374, 377, 379.
ომალო — 418.
ონი — 277.
ორიოლი — 171, 374.
ორლოვი — 43.
ორში — 377.
ორჯონიკიძე — 47—8, 148, 370. 423.
ორჯონიკიძე (ხარაგაული) — 410.
ოსეთის სამხედრო გზა — 148.
ოსმალეთი — 295. 351.
ოქუში — 45. 219. 239, 264.
ოჩამჩირე — 241. 313. 392. 399, 449.

პ

პარიზი — 351.
პატარა ფოთი — 70.
პერეკოპი — 393.
პირველი მაისი — 220.
პოზნანი — 380.
პოლონეთი — 36. 39, 116, 181, 184, 376. 379—81. 474.
პომერანია — 184.
პრაგოურვანსკაია — 368.
პრიშიბსკაია — 369.
პრუტი — 188.

ჟ

ჟიტომირი — 39.

რ

რაჭა-ლეჩხუმი — 348.
რიონპესი — 155.
როდინოული — 208. 403.
როსტოვი — 128, 152, 171.
რუმინეთი — 39, 48. 181, 188. 379, 474.
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა — 17, 20—22. 24—26. 37, 65. 87, 128, 130. 140. 147. 173. 183. 189—90, 195—6. 198—9. 269. 293—5, 329, 335—6. 345—6. 350—1, 373, 407. 470. 479.
რსფსრ — 118. 147. 173. 438.
რუსთავი — 140, 185. 192. 195.
რეკეი — 372.

ს

საბაკო — 275.
საბერძნეთი — 36. 39.
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — 3 — 5. 7, 9,—11. 13—26. 28—43. 47. 49—50, 52—4. 65—6. 73. 78—83. 85—9, 93. 98—102. 104—6. 109. 112—9. 122. 125—8, 131, 134. 137—41, 143—4. 147—9, 151. 153—5, 159—61, 163. 166—7, 169—70, 172—5, 180—2, 184—5. 187—8. 192—3, 196—9. 202. 205—7. 214. 217, 221. 223—5, 228—30. 234—5. 237—8. 241—2, 244. 246—8. 255, 257—9. 262, 264, 266, 268—9. 273, 279. 280—2. 285. 293—4, 296. 299. 301—2. 308, 310. 312. 323—4, 328—31. 333—4. 339, 343—4. 346, 348, 352—3. 356—8. 363, 365. 367. 369, 372, 374—5. 379—81, 384, 387, 390, 392, 397. 401. 408. 413, 419. 425, 434. 436. 441—6, 450—2, 455. 457—8, 467—70. 472. 474—6. 479—3. 485.
საგარეჯო — 288.
საზანო — 219.
საირმე — 457.
სამგორი — 121. 227.
სამტრედია — 23, 189, 395.

სამხრ. ამერიკა — 87.
სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური ოლქი — 48, 156—7, 186, 222, 227, 234, 244, 249, 299, 321, 324, 330, 332, 348, 392, 400, 427, 456.
სამხრ. სახალინი — 384.
საწმარო — 148, 369.
სართიჟალა — 288.
სარო — 414.
საფრანგეთი — 34—6, 39, 50, 116, 181, 353, 376, 381.
საქარა — 289.
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 4—6, 9—10, 12—3, 18—34, 37, 39, 41—9, 55—74, 77—82, 85, 90, 94, 98—102, 104—12, 118—127, 129—134, 136—7, 139—42, 144, 161, 163—9, 171, 174—6, 146—8, 150—160, 177—80, 184—96, 199—205, 207—217, 220—1, 224, 227—71, 276—81, 283—92, 295—305, 307, 309—13, 315—22, 331, 335—43, 346—7, 349—53, 357—8, 364, 367, 369, 371, 373, 376, 378, 384—92, 394—418, 420—33, 435—40, 443, 447—52, 454—69, 472—4, 477—82.
საჩხერე — 210, 466, 467.
სევასტოპოლი — 39, 123, 144—5, 160, 304, 348, 361—4, 368, 371—2, 374, 428.
სენა — 379.
სერპუხოვი — 84.
სეტი — 416.
სვანეთი — 277, 348, 370, 400, 408, 416.
სვერდლოვი — 261.
სვირი — 386.
სილეზია — 381.
სინელნიკოვი — 443.
სინოპი — 428.
სიღნაღი — 253, 287—8, 414.
სკრა — 290.
სლავიანსკაია — 309.
სპოლეისკი — 386.
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 12, 14, 33, 87, 119, 148, 153—4, 242, 261, 333, 336, 338, 340, 319, 367, 394, 397—8, 401.
სოხუმი — 23, 120, 138, 157, 17[illegible] 185—6, 188, 392, 395, 399, 11[illegible] 412, 427—9, 131, 135, 154, 159, 468.
სოჩი — 336, 392.
სტავროპოლი — 58, 124.
სტალინგრადი — 10, 12, 17, 101, 113, 145—6, 148, 150, 169, 171, 179, 372, 375, 377, 381, 383, 397, 401, 405, 435—6, 139, 441.
სტალინირი — 13, 23, 148, 188, 214, 302, 454.
სტალინო — 140, 182.

ტ

ტაგანროგი — 316.
ტამანი — 368, 371—2.
ტარასოვკა — 128.
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 14, 22.
ტექსელი — 13, 376.
ტირიფონი — 277.
ტიხვინი — 82, 85, 316.
ტუფსე — 147—8, 397.
ტულა — 84, 116, 359.
ტულონი — 181, 379.
ტყვარჩელი — 23, 59, 61, 66, 74, 120, 135, 154—6, 178, 180—8, 192, 194, 210, 303, 398—9, 438, 449.
ტყიბული — 23, 59, 61—2, 71, 120, 131, 139, 154, 177, 186, 188, 190, 193—4, 201, 398, 448—9.

უ

უღე — 45, 232, 256, 273.
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 14, 182, 207, 248, 299, 373.
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკა — 12, 14, 36, 38, 65, 82, 104, 108, 140, 171, 173, 183, 190, 195, 205, 239, 242, 294, 316, 340, 353, 373-9, 394, 405, 428, 431, 435—40, 443, 476. იხ. აქვე სამხრ. უკრაინა.
უნგრეთი — 39, 181, 379—80, 474.
ურალი — 23, 43, 102—3, 114—5, 119, 138, 190, 195—6, 282.
ურვანი — 368.

ფ

ფეოდოსია — 152.
ფინეთი — 39, 181.
ფოთი — 123, 148, 234, 274, 395, 422, 429, 454, 468.
ფორქ-შაღრიარი — 261.
ფსიხოდი — 368.
ფსკოვი — 432.

ქ

ქარელი — 229, 244, 262.
ქართლი — 289, 311, 350.
ქერჩი — 361, 368, 372, 465.
ქეაისი — 189.
ქვეზანი — 131.
ქვემო ბაღები — 264.
ქვემო ბოდბე — 218.
ქვემო შუხუთი — 213.
ქვემო ჭალა — 46.
ქლუხორი — 148, 369, 397, 421, 440.
ქობულეთი — 219, 222, 241, 259, 422, 465.
ქუთაისი — 23, 44, 120, 127, 130, 134—5, 139, 141, 148, 178—9, 185, 188, 195—6, 209, 220—1, 245, 255, 288, 302, 304, 313, 315, 330, 368, 395, 398, 409—10, 423, 427, 429—30, 439, 449, 451, 453—4, 456, 459—60, 468.

ღ

ღრმაღელე — 469.

ყ

ყაბარდო-ბალყარეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური ოლქი 369.
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 22, 227, 299.
ყაზბეგი — 287, 400.
ყანდაური — 215.
ყანჩაეთი — 463.
ყარაგანდა — 182.
ყარაიაზი — 257.
ყვარელი — 232, 414, 418.
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 12, 22, 182.
ყირიმი — 12, 84, 104, 108, 184, 239, 242, 326, 336, 338, 353, 356, 361—4, 372—4, 376, 379, 391, 397, 400, 429—30, 435, 457.
ყუბანი — 104, 108, 147, 205, 239, 364, 372, 437.
ყულარი — 257.

შ

შავი ზღვა — 39, 46, 84, 106, 119, 124, 147—8, 154, 166, 171, 335, 337, 361—2, 372, 377, 395, 428, 464.
შავი ზღვისპირეთი — 364, 457.
შაულიაუ — 50.
შაშიანი — 215.
შინდისი — 212.
შირაქი — 59, 186, 237.
შორეული აღმოსავლეთი — 227.
შპრეე — 380.
შრომა — 45, 65, 215, 219, 224—5, 233, 240, 242, 261, 374, 431, 442—3.
შუა აზია — 102, 114, 119, 227, 242, 357, 372.
შუქრუთი — 71.

ჩ

ჩალაუბანი — 215.
ჩეგემი — 369.
ჩელიაბინსკი — 182.

ჩერკასკი — 370, 378.
ჩერნი — 378.
ჩერნინო — 404.
ჩეხია — 36.
ჩეხოსლოვაკია — 39, 50, 116, 181, 376, 379—80, 404—5, 474.
ჩინეთი — 36, 87, 474—5. იხ. აქვე ცენტრ. და ჩრდ. ჩინეთი.
ჩოხატაური — 242, 378.
ჩრდ. კავკასია — 65, 101, 159, 171, 253, 320, 336, 338, 340, 356, 364, 367—8, 370—1, 373, 391, 394, 397, 400, 428—31, 435—7, 440, 457.
ჩრდ. კორეა — 384.
ჩრდ. ოსეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკა — 253.
ჩუვაშეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკა — 12.

ც

ცაგერი — 260, 424.
ცომბირი — 43, 102—3, 114—15, 119, 138, 299. იხ. აქვე დას. ცომბირი.
ცრემლოვანი — 71.
ცხაკაია — 237, 290, 423.
ცხრაწყარო — 418.

წ

წალენჯიხა — 255.
წალკა — 409.
წითელწყაროო — 224, 242, 255, 266, 290, 409, 412, 414, 416.
წირქვალი — 406.
წულუკიძე — 220, 304.
წყალტუბო — 209, 393, 423, 456—7, 465—6.
ჭიათურა — 23, 59, 61—2, 67, 71, 87, 119—20, 137, 156, 174—5, 178, 187—8, 194, 209—10, 255, 277, 393—4, 398, 406, 424, 435, 449.
ჭიკაანი — 232.
ჭილოუ — 69.

ხ

ხარკოვი — 43, 171, 206, 312, 365, 374, 436, 441.
ხაშური — 41, 166, 189, 229, 237, 244, 262, 395, 424.
ხერსონი — 65, 431.
ხვარბეთი — 45, 70.
ხრამი — 18ი.
ხრამჩესი — 121, 186, 437.
ხულო — 221, 433.
ხუცუბანი — 219, 226.

ჯ

ჯავა — 219.
ჯიმითი — 215.
ჯიჯურაული (ღუშეთი) — 227.

ჰ

ჰოლანდია — 13, 39, 116, 353, 376.

ГЕОГРАФИЧЕСКИЙ УКАЗАТЕЛЬ

А

Адигея—14.
Азербайджанская Советская Социалистическая Республика—14.
Америка—86, 89.
Армянская Советская Социалистическая Республика—349.

Б

Башкирская Автономная Советская Социалистическая Республика—248.
Берлин—12, 381.
Бухарская Советская Социалистическая Область—14, 373.

В

Великобритания—19, 381—2.
Воронеж—14.

Г

Германия—35, 116, 197.
Грузинская Советская Социалистическая Республика—202, 229-264-5, 291, 312, 314, 362, 392, 426, 459, 462.

З

Закавказье—349.

К

Кавказ—170, 371—2.
Карпаты—373.

Р

Российская Советская Социалистическая Федеративная Республика—173—4.

С

Саратов—14.
Союз Советских Социалистических Республик—9, 12, 14,18—19, 25, 35, 40, 88, 118, 141, 173, 181, 207, 230, 353. 381—2. 434, 471.
США—19, 381—2.
Сталинград—170.

Т

Ташкент—14.

У

Украинская Советская Социалистическая Республика—14, 65, 431.

Ю

Юго-Осетинская Советская Социалистическая Область—13.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3
შესავალი 7

განყოფილება პირველი

საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წინ

საბჭოთა საქართველოს მშრომელები სოციალიზმის აშენებისა და ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის ბრძოლაში 27

განყოფილება მეორე

ფაშისტური გერმანიის თავდასხმა სსრ კავშირზე და მთელი ძალების მობილიზება საბჭოთა სამშობლოს დასაცავად

თ ა ვ ი I. დიდი სამამულო ომის დაწყება და საქართველოს მშრომელთა დარაზმეა მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად 39

1. ქართველი ხალხის შვილების ლტოლვა დიდი სამამულო ომის ფრონტებისაკენ 40
2. საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ერთობლიეი ბრძოლა საბჭოთა სამშობლოზე მტრის მოულოდნელი თავდასხმით გამოწვეულ უპირატესობათა ლიკვიდაციისათვის 49
3. ღონისძიებანი საბჭოთა არმიის კვალიფიციური რეზერვების მომზადებისათვის 55

თ ა ვ ი II. ზურგის მშრომელთა პატრიოტული მოძრაობა ფრონტზე წასულთა შესაცვლელად ომის დაწყების პირველ თვეებში და რესპუბლიკის მშრომელთა პირველი წარმატებანი 58

1. მუშათა კლასის შრომითი მამაცობის ახალი ეტაპის დასაწყისი 50
2. კოლმეურნე გლეხობის თავდადება
3. მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ჩადგომა სამშობლოს დაცვის სამსახურში 72
4. საყოველთაო-სახალხო პატრიოტული წამოწყებანი საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად 77

თ ა ვ ი III. საბჭოთა სამშობლოს სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა ომის დაწყების პერიოდში 82

1. საბჭოთა არმიისა და მის რიგებში მყოფ ქართველ ძლიერთა გმირული ბრძოლა გერმანიის „ელვისებური ომის“ გეგმის ჩაშლისათვის 82

2. ანტიფაშისტური კოალიციის ჩამოყალიბება სსრ კავშირის მეთაურობით. მსოფლიოს დემოკრატიული ძალების დარაზმვა ფაშიზმის გასანადგურებლად 85

3. ომისა და ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი. საბჭოთა არმიისათვის მტკიცე ზურგის მოწყობის ლენინური მემკვიდრეობის შემოქმედებითი გამოყენება დიდ სამამულო ომში 96

ბანაკოფილება მესამე

სახალხო მეურნეობა საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის სამსახურში. საქართველოს მშრომელთა საბრძოლო ამოცანები

1. სამხედრო რელსებზე ახლად გადაყვანილი სახალხო მეურნეობის სიძნელენი, მათი დაძლევა და მძლავრი აღმაღლობის დასაწყისი 102

2. საქართველოს სსრ გადაქცევა საბჭოთა არმიის ერთ-ერთ ძლავრ არსენალად 106

თ ა ვ ი IV. საქართველოს მუშათა კლასის გმირული შრომა და მრეწველობის წარმატებანი 112

1. საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასის საერთო მიღწევები იარაღ-საჭურველთა წარმოების ზრდის საქმეში 112

2. საომარ ყაიდაზე გარდაქმნილი საქართველოს მრეწველობის განვითარების პირობები 119

3. საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა ომის შედეგად გამოწვეულ სიძნელეთა დაძლევისათვის 125

4. ღონისძიებანი ფრონტზე წასულთა შესაცვლელად ყველიფერ მუშათა ახალი კადრებით 133

5. მუშათა კლასის ახალი წარმატებანი გმირი ქალაქებისა და კავკასიის დაცვისათვის ბრძოლების დროს 143

6. საქართველოს მუშათა კლასი სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 161

7. საქართველოს მუშათა კლასის მიღწევები დიდი სამამულო ომის ძირეული გარდატეხის პერიოდში 169

8. საქართველოს მუშათა კლასის მიღწევები სამამულო ომის გადამწყვეტ და საბოლოო გამარჯვების წლებში (1944—1945 წწ.) 180

9. ჩვენი მრეწველობის განვითარების გზა და საერთო პირობები სამამულო ომის წლებში 196

თ ა ვ ი V. საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება და კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი სამამულო ომის პერიოდში 205

1. ბრძოლა სოფლად შექმნილი სიძნელეების დაძლეევისათვის. მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის კავშირის განმტკიცება 205

2. კოლმეურნე ქალთა, მოხუცთა და მოზარდთა შრომითი მამაცობა ფრონტზე წასულთა შესაცვლელად 216

3. ღონისძიებანი კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის შემდგომი ზრდისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის 223

შრომის ანაზღაურების ახალი წესი და შრომადღეების საგალდებულო მინიმუმის გადიდება 223

ბ. ღონისძიებანი სათესი ფართობის გადიდებისათვის 226

გ. ბრძოლა მტს-ების შესაძლებლობათა და ცოცხალი გამწევი ძალის მაქსიმალური გამოყენებისათვის 229

4. ძუშათა კლასის გლეხობისადმი დახმარების ახალი ეტაპი 235

5. ზრუნვა ტექნიკური და მრავალწლიანი კულტურების მოკლა-პატრონობისა და მათი მოსავლიანობის გადიდებისათვის 239

6. საზოგადოებრივი მეცხოველეობა სამამულო ომის პირობებში 248

7. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მონაწილეობა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 258

კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი საბჭოთა არმიისა და ქალაქის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში 258

ბ. ბრძოლა სახელმწიფო დამზადებათა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის 265

8. გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დიდი სამამულო ომის პერიოდში 269

ა. წარმოების ძირითად საშუალებათა და განუყოფელი ფონდების ზრდა 269

ბ. კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ზრდა, ნატურალური და ფულადი ანაზღაურების გადიდება 271

გ. კოლმეურნეობებში შრომის უკეთესი ორგანიზაციის დანერგვისათვის ბრძოლა 273

დ. რესპუბლიკის ზოგიერთი სოფლიდან მოსახლეობის ადგილგადასაცვლების და ახლად დასახლების ღონისძიებათა განხორციელება 275

თ ა ვ ი VI. კულტურული მშენებლობა საქართველოში სამამულო ომის პერიოდში . . 280

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია სამშობლოს დაცვის სამსახურში 281

2. უმაღლესი სასწავლებლები 301
3. სახალხო განათლება 308
4. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები 315
5. გამომცემლობა, პრესა და რადიო 318
6. ქართული ლიტერატურა და ხელოვნება ქვეყნის თავდაცვის სამსახურში 323

განყოფილება მეოთხე

ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა სსრ კავშირის ხალხებთან დიდ სამამულო ომში

თავი VII. ქართველი მეომრების მამაცობა და გმირობა დიდ სამამულო ომში 344
1. ცოტა რამ წარსულიდან 344
2. მარადსახსოვარი გმირული საბრძოლო ეპიზოდები 352
3. ბრძოლა საბჭოთა არმიის რეზერვების მომზადებისათვის. მისი ფორმები და ორგანიზაცია 385
4. ბრძოლა ზურგისა და ფრონტის ერთიანობის განმტკიცებისათვის 395

განყოფილება მეხუთე

საყოველთაო-სახალხო ზრუნვა საბჭოთა არმიისა და ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონებისადმი

თავი VIII. რესპუბლიკის მშრომელების ზრუნვა საბჭოთა არმიის შეიარაღების გაძლიერებისათვის 407
1. თანხების ნებაყოფლობითი შეგროვება თავდაცვის განმტკიცებისათვის 407
2. ზრუნვა თავდაცვის ფონდების შექმნისათვის 113
3. შეფობა სამშობლოს დამცველთა ოჯახების, დაჭრილი და ავადმყოფი მეომრებისა და დაობლებული ბავშვებისადმი 418
4. საქართველოს მშრომელთა საშეფო მუშაობა ჰოსპიტლებში 424
თავი IX. დახმარება ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონებისადმი და ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცება 427
1. მზრუნველობა ევაკუირებული მოსახლეობისადმი 427
2. ძმური დახმარება ომით დაზარალებული საბჭოთა რაიონებისადმი 433
3. ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეოლოგიის გამარჯვება ფაშიზმის რასობრივ იდეოლოგიაზე 441

ბანაოფილება მეექვსე

ღონისძიებები მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვისა და საფინანსო მეურნეობის განმტკიცებისათვის

თ ა ვ ი X. ომის დროის ხასურსათო სიძნელენი და ღონისძიებები მის დასაძლევად

თ ა ვ ი XI. რესპუბლიკის მედიცინა და კურორტები სამშობლოს დამცველთა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში 1[illegible]

1. დაკრილ და ავადმყოფ მებრძოლთა გამოჯანსაღებაზე ზრუნვა 45[illegible]
2. მზრუნველობა რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავ[illegible] 4[illegible]
3. საქართველოს კურორტები ქვეყნის თავდაცვის საძსახურში 4[illegible]
4. მზრუნველობა ომისა და შრომის ინვალიდებზე. ხენსიონერებზე. მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე 4[illegible]

ლასკვნის მაგიერ 471

ბნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა 48[illegible]

დანართი 50[illegible]

საბჭოთა კავშირის გმირების სია 5[illegible]

სოციალისტური შრომის გმირები

სახელთა საძიებელი 5[illegible]

Именной Указатель 518

კეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

Географический указатель 529

შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი ზევი-დან	სტრიქონი ქვევი-დან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
6		4	ისტორიის	ისტორიის და ეკონომიკის
12		7	А. Е. Балтиков	Е. А. Болтин
14	13		Українской	Украинской
16		11	Лорф	Ролф
43		12	988289	98892
45		9	ივნისი	ივლისი
57	14		დოლიკაძე	დოლაქიძე
60		4	გასიაშვილი	გასიშვილი
63		11	ა. სემიოლოვი	ა. სემიოლოსი
83—84	3	1	ს. ლესელიძე	კ. ლესელიძე
107		1	საქ.-1417	საქ. 11417
112	5			თავი მეოთხე
119	18		იწარმოებდა	იწარმოებოდა
142		16	კ. ბარიშკინას	ეკატერინე ბარიშნიკოვას
148		2	А. П. Жирин	П. А. Жирин.
155		3	ფონდი 4	ფონდი 14
156		2	გაზ. „ბოლშევიკი“	ჟურნ.»„ბოლშევიკი“
170		1	გვ. 147—148	გვ. 153
„		14	ბლოკადის	ბლოკადის ნაწილობრივ
172		15	სსრ კავშირის	საბჭოთა კავშირის
176		15	ქარხნის	№ ქარხნის
178	16	6	ბარიშკინა	ბარიშნიკოვა
183	7		ფედერაციის	ფედერაციის რაიონებში,
188		1	XIX	XIV
212	9		1944	1942
215	10		1944	1943
217	15		დ. ტაბიძე	დ. ტაკიძე
219		13	გ. ასვანუა	მ. ასვანუა
239		2	ვ. ზუნბუბაია	ვ. ზუნუბაია
264	4	9,20	ქ. ქვაჩახია	ჩ. ქვაჩახია
„	17		გ. რიგვავამ	ძ. რიგვავამ
272		20	სოფ. ვალეს	სოფ. უდეს
279	18		მილიარდი	მილიონი
280	3		ერთნახევარჯერ	1,5 ცენტნერით
288	16		გამოიყვანა	გაავრცელა
293		2	სსრ კავშირის	საბჭოთა კავშირის დიდი
308	8		მუშაობის	მუშაკების
312		3	1943, № 9, გვ. 4	1944, № 8—9, გვ. 75
313	11		უპატრონო	უდედმამო
385		12	60000	160000
401		18	რესპუბლიკებში ჩამოსული	რესპუბლიკებში
401		17	დელეგაცია	დელეგაციის ჩამოსვლა,
429	4		მინისტრთა საბჭოსთან	სახკომსაბჭოსთან



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი გ. ბრეგაძე
გამომც. რედაქტორი ც. შალამბერიძე
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ა. თოდუა
კორექტორი ლ. გორდელაძე

გადაეცა წარმოებას 11.7.58; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.10.58; ქაღალდის ზომა 60×92 1/16; ქაღალდის ფურცელი 16.56; საბეჭდი ფურცელი 33,12; საავტორო ფურცელი 31,05 საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 31.46

შეკვ. № 1774 უე 06597 ტირაჟი 1000

ფასი 22 მან. 25 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.